ცისანა სეხნიაშვილი

ეკონომიკის ისტორია

ნაწილი II

ცისანა სეხნიაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი.

ცისანა სეხნიაშვილი

ეკონომიკის ისტორია

ნაწილი II

თბილისი
2005 წელი

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკის ისტორიის სრული კურსის მეორე ნაწილს. მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების, განვითარებადი ქვეყნების, სსრ კავშირის, საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი თავისებურებები და ტენდენციები პირველი მსოფლიო ომიდან თანამედროვეობამდე. გამოვლენილია ეკონომიკური ფაქტორები, რამაც გამოიწვია მათი განვითარება ან ჩამორჩენა. ნაჩვენებია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა; წარმოებითი ურთიერთობები და წარმოების ორგანიზაციის ფორმები; მმართველობის სამეურნეო მექანიზმი; სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა; ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება დასავლეთ ევროპაში და სხვა რეგიონებში; ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმები და ღონისძიებები ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის; აგრეთვე სამეურნეო მექანიზმის რეფორმირების ცდები აღმოსავლეთ ევროპის, აზიის ქვეყნებში და კუბაში.

ნაშრომში წარმოდგენილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ფინანსების და ფულის მიმოქცევის განვითარების ძირითადი თავისებურებანი და ტენდენციები. განხილულია საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების და დამკვიდრების საკითხები.

წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელიც დაინტერესებულია მსოფლიო და სამამულო ეკონომიკის ისტორიით.

თემა 5 (§1 2) 9 (§3 4) 13 14 17 18 მომზადებულია უფროსი მასწავლებლის *მარინე ღუდუშაურის*; თემა 8 21 (§1) 27 — უფროსი მასწავლებლის *თამარ ათანელიშვილის*, თემა 21 (§4) 28 (§1 2) 30 (§1 2) — მასწავლებელ *ქეთევან ჩიტალაძის* თანაავტორობით.

რედაქტორი: ავთანდილ სილაბაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: პარმენ ლემონჯავა — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შოთა ვეშაპიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკა სეფაშვილი — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© ც. სეხნიაშვილი. ეკონომიკის ისტორია, II ნაწილი. 2005.

თემა 15. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური როლის ზრდა მსოფლიო ომებსშორის პერიოდში

1. აშშ-ის პოზიციების განმტკიცება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

XX საუკუნის მეორე ათწლეულში – 1914-1918 წწ. პირველმა მსოფლიო ომმა ჩაითრია ჯერ ევროპის 8 ქვეყანა, შემდეგ 30 ქვეყანაზე მეტი მილიარდნახევარი მოსახლეობით, რაც პლანეტის მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდა. ომი მიმდინარეობდა ევროპის, აზიის და აფრიკის 4 მლრდ. კვ კმ ფართობის ტერიტორიაზე, ფრონტი გადაიჭიმა 2,5-დან 4 ათას კმ-მდე. ომში მობილიზებული 74 მლნ-იდან დაიღუპა 10 მლნ, დაიჭრა და დასახიჩრდა 20 მლნ. მეომარი. ეპიდემიისა და შიმშილისაგან დაღუპულ მშვიდობიან მცხოვრებთა რაოდენობამ 10 მლნ. შეადგინა. ყოველივე ამას თუ დავამატებთ შობადობის შემცირებას, საერთო დანაკარგმა დაახლოებით 36 მლნ. ადამიანი შეადგინა. ომისაგან განადგურდა მონაწილე ქვეყნების მატერიალურ ფასეულობათა დაახლოებით მესამედი. ეს იყო არა მარტო უზარმაზარი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, არამედ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო სექტორის, საცხოვრებელი ფონდის, ბუნებრივი რესურსების და სხვა ინფრასტრუქტურის დანაკარგები.

პირველმა მსოფლიო ომმა შეარყია ევროპის ქვეყნების მეურნეობა და აშშ-ს განუმტკიცა კაპიტალისტური მსოფლიოს ლიდერის პოზიცია. მეომარი ქვეყნები საჭიროებდნენ სხვადასხვა საქონელს, რომელსაც მათი სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნილი მრეწველობა აღარ აწარმოებდა. ეს საქონელი შეეძლოთ შეეძინათ ერთერთი უდიდესი არამეომარი ქვეყნისგან – აშშ-სგან. ამის გამო ომის წლებში ამერიკული საქონლის ექსპორტი გაიზარდა 1,5-ჯერ. თუმცა სამრეწველო წარმოება სულ 20%-ით გაიზარდა.

რომმა განამტკიცა აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის ტერიტორიას არ შეხებია მასობრივი ნგრევა. აშშ არმიამ საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში მიიღო, თუმცა ოფიციალურად ამ ომში 1917 წ. აპრილიდან ჩაერთო. ამიტომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ადამიანთა დანაკარგები სხვა დანარჩენი ქვეყნების მრავალმილიონიან დანაკარგებთან შედარებით მცირე იყო. დაიღუპა 120 ათასი და დაიჭრა 230 ათასი კაცი.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემდგომი გამდიდრებისათვის წარმატებით ისარგებლა ევროპაში მიმდინარე მოვლენებით. იგი მეომარ ქვეყნებს ამარაგებდა სამხედრო მასალებით, სურსათით და ნედლეულით. ომის წლებში ამერიკის მონოპოლიების საერთო წმინდა მოგებამ მანამდე არნახულ თანხას – 34 მლრდ. დოლარს მიაღწია. 1920 წ. აშშ-ის მოსახლეობა შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 6%, მაგრამ აქ აწარმოებდნენ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარს. თითქმის 3-ჯერ გაიზარდა სამრეწველო საქონლის ღირებულება. გაფართოვდა სამხედრო მრეწველობა და გემთმშენებლობა. თუ 1913 წ. აშშ-ის წილად მსოფლიო სამრეწველო წარმოების 36% მოდიოდა, 1920 წ. უკვე 47% შეადგინა. 20-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში მოიპოვებოდნენ მსოფლიოში მოპოვებული ნახშირის ნახევარს, ნავთობის 2/3-ს, აწარმოებდნენ მსოფლიოში წარმოებული თუჯისა და ფოლადის 3/5-ს, ავტომობილების 85%-ს. აშშ-სათვის პირველი მსოფლიო ომის მთავარი შედეგი იყო მისი, როგორც ლიდერის პოზიციის საბოლოო განმტკიცება სამრეწველო წარმოების სფეროში.

ომისშემდგომ ორ წელიწადში აშშ-ში მაღალი სამეურნეო კონიუნქტურა იქნა შენარჩუნებული, რასაც ხელს უწყობდა ევროპის ქვეყნებში ომისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის აქტიური დახმარება.

პირველი მსოფლიო ომის მნიშვნელოვანი შედეგია აშშ-ის საერთაშორისო ფინანსური სტატუსის შეცვლა. იგი გადაიქცა ევროპის სახელმწიფოთა ძირითად კრედიტორად, ხოლო ნიუ-იორკი გახდა საერთაშორისო საფინანსო ცენტრი. აშშ-მა ევროპის ქვეყნებს სამხედრო საჭიროებისათვის სესხის სახით მისცა 11 მლრდ. დოლარზე მეტი. გაიზარდა კერძო ამერიკული ინვესტიციები საზღვარგარეთ: თუ ომის დასაწყისში იგი შეადგენდა 2,6 მლრდ დოლარს, 1920-იან წწ. იგი 7 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. ომის შედეგად მსოფლიო ეკონომიკურმა ცენტრმა ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა.

ომის შედეგად აშშ-მა დაიპყრო მსოფლიოს ძირითადი გასაღების ბაზრები, ნედლეულის წყაროები და დაამკვიდრა თავისი ჰეგემონია დასავლეთში. 1913-1920 წწ. აშშ-ის ვაჭრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან 400%-მდე გაიზარდა. ეკონომიკურ ექსპანსიას თან მოჰყვა 1915 წ. ჰაიტის, ხოლო 1916 წ. – დომინიკის რესპუბლიკის ოკუპაცია. დაამყარა სამხედრო კონტროლი ნიკარაგუაში, განახორციელა ინტერვენცია კუბასა და მექსიკაში.

ომის მოთხოვნილებებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ კიდევ უფრო დააჩქარა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. 20-იანი წლების დასაწყისში მუშათა ნახევარზე მეტი და აშშ-ის სამრეწველო წარმოების 2/3 კონცენტრირებულ იქნა უმსხვილეს მონოპოლიებში.

ომის წლებში სწრაფი ეკონომიკური განვითარების შედეგად აშშ გადაიქცა მაღალგანვითარებულ მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. მისმა მოსახლეობამ შეადგინა 105,7 მლნ. კაცი. 1920 წ ქვეყნის ისტორიაში პირველად ქალაქის მოსახლეობამ გადააჭარბა სოფლისას. 42 მლნ. შრომისუნარიანი მოსახლეობიდან 25 მლნ. (დაახლოებით 60%) დასაქმებული იყო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მომსახურების სფეროში.

ომისშემდგომი ეკონომიკური აღმავლობა 1920 წლის ზაფხულში შეიცვალა ხანმოკლე, მაგრამ ღრმა ეკონომიკური კრიზისით. ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ომის შემდგომ გაქრა მოთხოვნილება იარაღ-საჭურველზე და ევროპაში მისი ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. აშშ-ის საქონლის გასაღება მსოფლიო ბაზარზე გაუარესდა. ამასთანავე, თვით აშშ-ის მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა საგრძნობლად დაეცა.

ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო. 1921 წ. სამრეწველო პროდუქციის მო-

ცულობა 1920 წ. ივნისთან შედარებით საშუალოდ 32%-ით შემცირდა. 2-ჯერ შემცირდა ფოლადის წლიური გამოდნობა, თითქმის 2-ჯერ – მანქანათმშენებლობის პროდუქცია, მკვეთრად დაეცა ქვანახშირის მოპოვება. 1921 წ. გაზაფხულზე მრეწველობამ დაიწყო კრიზისიდან გამოსვლა, მაგრამ კრიზისამდელ დონეს მხოლოდ 1922 წ. ბოლოს მიაღწია. უმუშევართა რაოდენობა 1922 წ. 5 მლნ. კაცამდე გაიზარდა. დაეცა აშშ-ის მუშათა ცხოვრების დონე.

კრიზისი მრეწველობაში გადაიხლართა ღრმა და დამანგრეველ აგრარულ კრიზისში. ფერმერების შემოსავალი 40%-ით დაეცა, გაკოტრდა 450 ათასი ფერმერი. 1921-1923 წწ. ფერმერული მოსახლეობა 2 მლნ კაცით შემცირდა. ომის და ომისშემდგომ პირველ წლებთან შედარებით ცხოვრების დონის დაცემამ ქვეყანაში გამოიწვია პოლიტიკური ვითარების გამწვავება. ხელისუფლება საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მხარს უჭერდა ნამდვილ ამერიკულ ანუ მყარი ინდივიდუალიზმისა და სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკას.

პირველმა მსოფლიო ომმა დააჩქარა სახელმწიფოს როლის გაძლიერების ტენდენცია. ამასთანავე, სამეურნეო ურთიერთობების მკაცრი სახელმწიფო რეგლამენტაცია და ეკონომიკური რესურსების მობილიზაცია სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისა და ომის გაგრძელების წინაპირობად მოიაზრებოდა. ამიტომ ომის დამთავრებისთანავე ყველა ქვეყანაში მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკას სამეურნეო ურთიერთობებში.

აშშ-ის ადმინისტრაციამაც შესაბამისად შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. მან მოკლე დროში მოახდინა სამხედრო რეგულირების ორგანოების ლიკვიდაცია. ფედერალური სააგენტოების უმეტესობა, რომლებიც ახორციელებდნენ მთავრობის კონტროლს ეკონომიკის ზოგიერთ დარგებზე, გაუქმდა. ხელშეუხებელი დარჩა მხოლოდ სახელმწიფო რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ბერკეტები, როგორიცაა ფედერალური სარეზერვო სისტემა და ფედერალური სავაჭრო კომისია, რომლებიც ახორციელებდნენ კონტროლს ბანკებზე და კორპორაციების საქმიანობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს

მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფო რეგულირება აშშ-ის ეკონომიკის ფუნქციონირების ნაწილი გახდა.

1923 წელს აშშ-მა შეძლო დაეძლია პირველი მსოფლიო ომითა და 1920-1921 წწ. კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელეები. ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც გაგრძელდა 1929 წლის შუახანამდე, აღინიშნა მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ის პოზიციების გაღრმავებით. ამერიკელთა ცხოვრების დონის ამაღლებამ ეკონომიკის ისტორიაში მიიღო „ამერიკული აყვავების“ სახელწოდება.

„აყვავება“ განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. აშშ-ის გადაქცევა მსოფლიო საფინანსო ცენტრად, რამაც მონოპოლისტურ ბურჟუაზიას უზარმაზარი მოგების შესაძლებლობა მისცა. 1923-1929 წწ. კორპორაციების წმინდა მოგებამ შეადგინა 50 მლრდ. დოლარზე მეტი, ე.ი. 175-ჯერ მეტი, ვიდრე ომის წლებში.

2. ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლება, რასაც საფუძველი შეუქმნა წარმოების კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ. მოხდა ერთის მხრივ წარმოების ტექნიკური გადაიარაღება, მისი ენერგოშეიარაღების გადიდება, საწარმოო პროცესების ფართო მექანიზაცია, და მეორეს მხრივ – სტანდარტიზაციის დანერგვა, ტიპური დეტალების მასობრივი დამზადება და შემდეგ მათი სწრაფი აწყობა კონვეიერულ ხაზებზე. შრომის ინტენსივობის გადიდება უზრუნველყოფდა ერთ მუშაზე გამომუშავების ზრდას, რომელიც 1923-1929 წწ. საშუალოდ 43%-ით გაიზარდა.

3. ფუნდამენტური გამოკვლევები და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას, რის შედეგადაც გაიზარდა აშშ-ის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკაში. 20-იანი წლების ბოლოს იგი აწარმოებდა კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო წარმოების 48%-ს, ანუ 10%-ით მეტ პროდუქციას, ვიდრე დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და იაპონია ერთად აღებული.

4. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების – ფოლადჩამომსხმელ, ნავთობგადამმუშავებელ და ელექტროენერგეტიკის განვითა-

რებას. ფოლადის წარმოება 1921 წ. 32 ათასიდან გაიზარდა 1929 წ. 57 ათას ტონამდე, შესაბამისად ნავთობი 33-დან 138 მლნ. ტ-მდე. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ახალი დარგები, ისეთები, როგორიცაა საავტომობილო, ელექტრო-ტექნიკური, ქიმიური, სინთეტიკური მასალების წარმოება და რადიოტექნიკური მრეწველობა.

ამერიკული „აყვავების“ სიმბოლო გახდა ავტომობილი. ფორდის ქარხნების, „ჯენერალ მოტორსის“ და „კრაისლერის“ მიერ ავტომობილების გამოშვება 1921 წლის 1,5 მლნ.-დან 1929 წლის 4,8 მლნ.-მდე გაიზარდა, რაც მსოფლიო საავტომობილო პროდუქციის 3/4-ს შეადგენდა.

საავტომობილო მრეწველობა ხელს უწყობდა სხვა დარგების აღორძინებასაც, ვინაიდან ავტომობილი საჭიროებდა ლითონს, რეზინს, ბენზინს. სწორედ ამ დროს ხდება მოსახლეობის საყოველთაო „ავტომობილიზაცია“, როდესაც ავტომობილი გადაიქცა თითქმის ყოველი ოჯახის აუცილებელ ნივთად. 1929 წ. აშშ-ის ავტომობილების საერთო პარკმა მიაღწია 26 მლნ. ერთეულს, რომელთაგანაც 23 მლნ. ნაყიდი იყო კრედიტით, აშშ-ის ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 189 ავტომობილი. ამან ამერიკის მოსახლეობის საშუალო ფენას საშუალება მისცა გადასახლებულიყო საგარეუბნო სახლებში. საგარეუბნო სახლი და ავტომობილი გადაიქცა ამერიკის ცხოვრების წესად.

ენერგოშეიარაღების ზრდამ და ახალი ტექნიკის დანერგვამ შექმნა წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების საფუძველი ეკონომიკის სხვა დარგებშიც. 20-იანი წლების ბოლოს ელექტროფიცირებული იყო აშშ-ის ფაბრიკების დაზგების დახლებით 70%. ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა 1913 წლის 20 მლრდ-დან 1929 წლის 116 მლრდ. კვტ.სთ.-მდე.

სამრეწველო აღმავლობის შედეგად ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 17%-ით. თუმცა მისი განაწილება არათანაბრად ხდებოდა. მსხვილი ბურჟუაზიის წილად, რომელიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 1%-ს შეადგენდა, ეროვნული შემოსავლის 14,5% მოდიოდა. 513 მილიონერი 1 მლნ. მუშის წლიური გამომუშავების ტოლ შემოსავალს იღებდა. გაიზარდა მოსახლეობის დანარჩენი ფენების, განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიისა და კვალიფიციური მუშების შემოსავლებიც. განვადებით გაყიდვის სისტემის გავრცელებამ ამ ფენებს შესაძლებლობა მისცა ეყიდათ ავტომობილები, რადიომიმღებები, მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. 1929 წ. სამომხმარებლო კრედიტმა 6,4 მლრდ. დოლარი შეადგინა.

გაიზარდა აშშ-ის საგარეო ვაჭრობა. ამ სფეროში მათ ჩამოიტოვეს ინგლისი და მსოფლიო ლიდერები გახდნენ. ამერიკის ექსპორტი 1913 წლის 2,4 მლრდ. დოლარიდან გაიზარდა 1929 წლის 5,1 მლრდ. დოლარამდე.

არახელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა ეკონომიკის აგრარული სექტორი. თუმცა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლამ, როგორიცაა მანქანების, ხელოვნური სასუქების, უახლესი აგროტექნიკის გამოყენება, ხელი შეუწყო პროდუქციის მოცულობის ზრდას, კანადის, არგენტინის და ავსტრალიის კონკურენციის გამო პრობლემა შეიქმნა მისი გასაღების სფეროში, როგორც საგარეო, ასევე საშინაო ბაზრებზე. 20-იან წლებში ვერც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებმა და ვერც ფერმერული მეურნეობების უმეტესობის შემოსავლებმა ვერ მიაღწიეს კრიზისამდელ დონეს. უკვე 1925-1926 წწ. შეინიშნებოდა აგრარული პროდუქციის ჭარბწარმოება. ქრონიკულად ზარალიანები გახდნენ წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობანი. 1925-1929 წწ. ვალებისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო გაიყიდა 547 ათასი ფერმა, ანუ მთელი რაოდენობის 8,7%. ფერმერული მეურნეობების გაკოტრება ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ 20-იანი წლების აღწერისას აშშ-ის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა ფერმერული მოსახლეობის საერთო რაოდენობის აბსოლუტური შემცირება 1920 წლის 32 მლნ.-დან 1930 წ. 30,5 მლნ.-მდე.

აშშ-ში აღმავლობას ჰქონდა არსებითი ნაკლოვანებები. აღმავლობის წლებში აღინიშნებოდა საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა და მასობრივი უმუშევრობა. საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობამ შეადგინა 19%, ხოლო უმუშევარი იყო 2 მლნ.-მდე კაცი.

აღმავლობის წლებში მაღალი ტემპით განვითარდა ე.წ. ახალი დარგები – საავტომობილო, საავიაციო, რადიოელექტრონული მრეწველობა, ხოლო ძველ დარგებში – მეტალურგიული, ქვა-

ნახშირის, საფეიქრო, შეინიშნებოდა ზრდის ტემპის შეჩერება. საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა და უმუშევრობა უპირატესად ამ დარგებში არსებობდა. ეს დაკავშირებული იყო ტექნიკურ პროგრესთან./ ქვანახშირი ორთქლის ძრავასთან ერთად წარსულს ჩაბარდა. შიდაწვის ძრავა კი მოითხოვდა თხევად საწვავს, რკინიგზების მშენებლობა მოითხოვდა დიდი რაოდენობით შავ ლითონს, ხოლო ახალი ტექნიკა – ფერად შენადნობს. შემცირდა საფეიქრო მრეწველობისთვის გასაღების ბაზარი, ვინაიდან უპირატესად სწორედ ეს დარგი ვითარდებოდა კოლონიებსა და სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შესამჩნევად გაძლიერდა მრეწველობის სხვადასხვა დარგების არათანაბარი განვითარება.

2. 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სოციალური წინააღმდეგობების გამწვავება აშშ-ში

1929 წლის 24 ოქტომბერს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა მოიცვა პანიკამ, რაც დაკავშირებული იყო აქციების კურსის კატასტროფულ დაცემასთან. ეს იყო აშშ-ის ეკონომიკური კრიზისის სიმპტომი. ეს კრიზისი გადაიზარდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში. აქციების კურსის დაცემა გაგრძელდა მთელი სამი წელი და 1933 წ. მარტში მისმა საერთო ღირებულებამ შეადგინა 17 მლრდ. დოლარი, ე.ი. 1929 წ.-თან შედარებით შემცირდა 4,5-ჯერ.

/1929-1933 წწ. ეკონომიკური კრიზისი იყო ჭარბწარმოებითი ყველაზე ღრმა კრიზისი კაპიტალიზმის მთელი ისტორიის ძილზე. დაახლოებით ოთხი წელი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა იმყოფებოდა სრული დეზორგანიზაციის მდგომარეობაში. კრიზისმა განსაკუთრებული ძალით გააჩანაგა რიკის შეერთებული შტატები./

კრიზისის დამანგრეველი ძალა გამოვლინდა სამრეწველო წარმოების მკვეთრ დაცემაში. ამერიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ 1930 წ. 1929 წელთან, ანუ კრიზისამდელ დონესთან შედარებით შეადგინა 80,7%, 1931 წ. – 68,1, ხოლო 1932 წ. – 53,8%. 1932 წლის ზაფხულიდან 1933 წლის გაზაფხულამდე პერიოდში კრიზისი უაღრესად გამწვავდა, მხოლოდ 1933 წ. გაზაფხულზე დაიწყო აშშ-ის სამრეწველო წარმოების ნელ-ნელა აღმავლობა და ეკონომიკა დეპრესიის ფაზაში გადავიდა.

პროდუქციის გამოშვების შემცირება ყველაზე ძლიერ გამოვლინდა მძიმე მრეწველობის დარგებში. ვინაიდან ეს დარგები ყველაზე მეტად იყო მონოპოლიზებული, ხოლო მონოპოლისტები წარმოების შემცირებით ცდილობდნენ არ დაეშვათ ფასების მეტისმეტი დაცემა, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი მოგება. 1929-1932 წწ. ქვეყანაში ნახშირის მოპოვება 42%-ით, ხოლო ფოლადის გამოდნობა 4-ჯერ შემცირდა. 1932 წ. ფოლადჩამომსხმელი მრეწველობა დაეცა 1901 წ. დონემდე; ხოლო თუჯის გამოდნობა – 1886 წლის დონემდე, 285 ღუმელიდან ძლივს მოქმედებდა 46.

სამრეწველო საწარმოთა, სავაჭრო და ფინანსური ორგანიზაციების და ფირმების გაჩანაგებამ და გაკოტრებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. განსაკუთრებული ძალით კრიზისმა ქვეყნის საბანკო სისტემა შეარყია. ოთხ წელიწადში 1929-1932 წწ. არსებობა შეწყვიტა 5760 ბანკმა, ე.ი. მთელი ბანკების მეხუთედმა.

სამრეწველო წარმოების ძლიერმა დაცემამ, ათეულ ათასობით ქარხნის, ფაბრიკისა და მაღაროს დახურვამ, საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობამ გამოიწვია უმუშევრობის კოლოსალური ზრდა. 1933 წ. აშშ-ში ითვლებოდა 12,8 მლნ. სრული უმუშევარი, რაც შეადგენდა სამუშაო ძალის 25%. მრავალი მათგანი ვერ შოულობდა რა სამუშაოს გადასახლდა სოფელში, მოსახლეობა სოფლად მიდიოდა არა იმიტომ, რომ იქ კარგი იყო, არამედ იმიტომ, რომ ქალაქში უფრო ცუდად იყო საქმე. აშშ-ში გაჩნდა ფერმერული დასახლებანი, სადაც ფული შეცვალა ადგილობრივმა ნატურალურმა ცვლამ. ეს გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში.

კრიზისმა გამოიწვია საქონლის ფასის მკვეთრად დაცემა. ფერმერების მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ სამრეწ-

ველო საქონლის ფასები, სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან შედარებით, უფრო ნაკლებად შემცირდა. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასები 1932 წელს 1929 წელთან შედარებით შემცირდა 8-10-ჯერ. ასეთ პირობებში შეუძლებელი შეიქმნა გადასახადების გადახდა. 1932 წელს გადასახადებმა და ვალმა დაიკავა ფერმერული მეურნეობის მთლიანი შემოსავლის 40%-მდე, რამაც გამოიწვია ფერმერების უმეტესობის გაჩანაგება, ოთხი წლის განმავლობაში ვალების გადაუხდელობის გამო გაიყიდა 897 ათასი ფერმერული მეურნეობა, ანუ მთელი მეურნეობის 14%. ამის გამო ისინი ან რჩებოდნენ ძველ ადგილზე არენდატორებად, ან ტოვებდნენ მეურნეობას და ავსებდნენ უმუშევართა არმიას.

1929 წელს შეიქმნა ფედერალური ფერმერული მმართველობა, რომლის მიზანიც იყო ფერმერებისთვის დახმარება და სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სტაბილიზაცია. დაბანდებულ იქნა 500 მლნ. დოლარი. იმის გამო, რომ არ დაცემულიყო ფასები, სესხებს აძლევდნენ მათ, ვინც დათანხმდებოდა რომ ბაზარზე არ გაიტანდა თავის მარაგ პროდუქციას. დაიწყეს ხორბლის და ბამბის შესყიდვა. 1931 წ. შეწყვიტეს შესყიდვა და დაიწყო დაგროვილი საქონლის გაყიდვა, ამან კი გამოიწვია აგრარულ ბაზარზე დეზორგანიზაცია და უფრო გააუარესა ფერმერების ძირითადი მასის მდგომარეობა.

1931 წლის ბოლოს შეიქმნა ეროვნული საკრედიტო კორპორაცია 500 მლნ. დოლარის კაპიტალით სამრეწველო, საფინანსო, სავაჭრო და სარკინიგზო კომპანიების ხსნისათვის, მან თავის თავზე აიღო ქონების შესყიდვის და ბანკების ვალების გადახდის საქმე. 1932 წ. იანვრამდე ბანკებს გადასცა 400 მლნ. დოლარი სესხი, მაგრამ ამ ღონისძიებამ საფინანსო კრიზისი ვერ შეაჩერა.

იმისათვის, რომ შეეჩერებინა ფასების შემცირება და ეხსნა ფერმერები გაკოტრებისგან, მთავრობა ყიდულობდა სასოფლო-სამეურნეო საქონელს და შემდგომ ანადგურებდა. გაანადგურეს მილიონობით ტონა მარცვლეული, ყავა, შაქარი, ბრინჯი. ხორბალს სიიაფის გამო საწვავად იყენებდნენ ორთქლმავლებში. დაიწყეს ზოგიერთი სკოლის და სამთავრობო დაწესებულების ხორბლით გათბობა. იმის გამო, რომ წინა წლის ბამბის მარაგი საკმარისად აკმაყოფილებდა მსოფლიო მოთხოვნას, ბამბის ნათესები გადახნეს.

ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყანაში გამოიწვია მუშათა საპროტესტო მოძრაობის აღმავლობა. 1931 წლის ზაფხულში ნახშირის რაიონებში – პენსილვანიაში, ოჰაიოსა და დასავლეთ ვირჯინიაში გაიფიცა 40 ათასი მაღაროელი ხელფასის შემცირებისა და სამუშაოდან მასობრივი გათავისუფლების გამო. 1932 წ. ზაფხულში დაიწყო პირველი მსოფლიო ომის ვეტერანთა გამოსვლები, რომლებიც მოითხოვდნენ ომის პერიოდში არმიაში სამსახურისათვის კომპენსაციების გადახდის დაჩქარებას. 1932 წ. დეკემბერში უმუშევართა წარმომადგენლებმა მოაწყეს მსვლელობა დედაქალაქში, ისინი კონგრესს სთხოვდნენ მიეღოთ განსაკუთრებული ზომები მუშების და ფერმერების დასახმარებლად.

საპროტესტო გამოსვლები მოაწყვეს ფერმერთა ფართო ფენებმაც, ისინი მოითხოვდნენ აღკვეთილიყო პროდუქციის დაბალ ფასებში გაყიდვა.

მასობრივმა სოციალურმა საპროტესტო მოძრაობამ ქვეყანაში დაძაბა პოლიტიკური ვითარება. 44-თვიანმა ეკონომიკურმა კრიზისმა გადაღალა აშშ-ის მოსახლეობა და იგი უიმედობამ მოიცვა. არათანმიმდევრულმა, ეპიზოდურმა და უნიათო ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია პრეზიდენტ ჰ. ჰუვერის ადმინისტრაციის მიმართ ამერიკის საზოგადოების საქმიანი წრეების უკმაყოფილება.

3. ფ. რუზველტის ადმინისტრაციის რეფორმები („ახალი კურსი“). მისი შედეგები და მნიშვნელობა

1933 წელს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ. პრეზიდენტი გახდა ფ. რუზველტი, მან გაატარა რიგი რეფორმებისა, რომლებიც ცნობილია „ახალი კურსის“ სახელწოდებით. „ახალი კურსის“ თეორიულ საფუძველს შეადგენდა ინგლისელი ეკონომისტის ჯ. კე-

ინსის მოსაზრება კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ფ. რუზველტმა აღიარა სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა სამეურნეო ურთიერთობებში. ახალი ადმინისტრაციის რეფორმებმა მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საფინანსო და საბანკო სისტემა, ასევე სოციალური და შრომითი ურთიერთობები.

ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია კარნახობდა რეფორმების გატარება დაწყებულიყო საფინანსო-საკრედიტო პრობლემების გადაწყვეტით. 6 მარტს პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და დახურა ყველა ბანკი. მიიღეს საგანგებო საბანკო კანონი, რომელსაც საფუძვლად დაედო ბანკების გახსნის დიფერენცირებული მიდგომა. ქვეყნის ყველა ბანკი დაიყო სამ ჯგუფად. პირველში შედიოდა „ჯანსაღი" ბანკები, რომლებიც იმსახურებდნენ პირველ რიგში გახსნას; მეორეში – ბანკები, რომელთაც დახმარების გაწევის შემდეგ შეეძლოთ ფუნქციონირება; მესამეში – ისინი, რომელთაც არ შეეძლოთ ფუნქციონირება და საჭირო იყო მათი ლიკვიდაცია. 1933 წ. გაზაფხულზე მუშაობა განაახლა ბანკების 4/5-მა, ეს იყო უპირველესად მსხვილი ბანკები, ხოლო 2 ათასი წვრილი საკრედიტო დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა ან შეუერთდნენ უფრო მსხვილ საკრედიტო დაწესებულებებს. მოქმედ ბანკებს საკრედიტო ურთიერთობების გამოსაცოცხლებლად მიეცათ სამთავრობო კრედიტი 1 მლნ. დოლარის ოდენობით. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბანკების მეანაბრეთა დეპოზიტების დაზღვევის ვალდებულება. ამან კი ხელი შეუწყო მეანაბრეთა ნდობის ზრდას ბანკების მიმართ, გაიზარდა ანგარიშზე სახსრების შეტანა და თავიდან იქნა აცილებული ბანკების გაკოტრება. ამ და სხვა სახის ზომების გატარების შედეგად მთავრობამ შეძლო დაერეგულირებინა საბანკო საქმიანობა.

1933 წლის 5 აპრილის კანონით აიკრძალა ოქროს ექსპორტი. გამოვიდა ბრძანება აშშ-ის მოქალაქეების მიერ 100 დოლარის ზევით ოქროს მარაგის ბანკებში ჩაბარების აუცილებლობის შესახებ. ამავდროულად ნებადართულ იქნა ახალი ბანკნოტების გამოშვება, რომლებიც არ იყო უზრუნველყოფილი

ოქროთი. ქვეყანაში დაიწყო დოლარის გაუფასურება ოქროსთან შეფარდებით. დოლარის ღირებულება დაეცა 30%-ით. 1934 წ. იანვარში გატარდა დოლარის დევალვაცია, დაიწყო ვერცხლის მონეტების მოჭრა, ე.ი. შემოვიდა ბიმეტალიზმი.

1933 წ. 16 ივნისს მიიღეს კანონი საბანკო საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვითაც გაიყო ბანკების სადეპოზიტო და საინვესტიციო ფუნქციები. შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია. თავდაპირველად დაზღვევის ზომა არ აღემატებოდა 2500 დოლარს ყოველ ანგარიშზე. დაზღვევა ფინანსდებოდა ბანკების მიერ გადახდილი სადაზღვევო შემოსავლებიდან. 1934 წლის დასაწყისში ითვალისწინებდნენ რა მეანაბრეთა უმეტესობის სურვილს, რომ ჰქონოდათ გარანტიები, ბანკების 80%-მა დააზღვია თავისი დეპოზიტები. კანონით დაწესდა, რომ 10 ათასამდე დოლარის დეპოზიტი ექვემდებარება დაზღვევას 100%-ით, 10-დან 50 ათასამდე დოლარი – 75%-ით, ხოლო 50 ათას დოლარის ზევით – 50%-ით, რის შედეგადაც სრულად აღდგა საბანკო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა.

აშშ-ის პრეზიდენტმა 1935 წლის საბანკო კანონით ფედერალური სარეზერვო სისტემის მართვის უფლება მიანიჭა საბჭოს, რომელსაც თვითონ უნდა განესაზღვრა იმ რეზერვების თანხა, რაც უნდა დარჩენილიყო ბანკებში. მათ შეეძლოთ გაეზარდათ ან შეემცირებინათ მიმოქცევაში არსებული ქაღალდის მასა, არეგულირებდნენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მიყიდვას ბანკებზე.

1933-1934 წწ. მიღებულ იქნა კანონი ბირჟების საქმიანობის რეგულირების შესახებ, რომლის მიზანიც იყო დაემყარებინა წესრიგი აქციებით ვაჭრობაში და შეეკვეცა სპეკულაცია.

„ახალი კურსის" პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით მთავრობამ მიაღწია ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობათა გაძლიერებას, ხოლო მეწარმეთა პოზიციების გაუმჯობესებით შეიკვეცა სპეკულაციური კაპიტალის საქმიანობა, შეიქმნა საინვესტიციო პროცესის გამოცოცხლების წინაპირობები, რაც „ახალი კურსის" უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. სამრეწველო წარმოების გამოცოცხლებას – აშშ-ის აყვავების საფუძველს – უნდა გადაეწყვიტა მრავალი კრიზისული პრობლემა და მათ შორის, მთავარი – კოლოსალური უმუშევრობის შემცირება.

მრეწველობისა და შრომითი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების გზაზე კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1933 წ. 16 ივნისს მიღებული კანონით მრეწველობის აღდგენის შესახებ. მრეწველობის თითოეული დარგის მეწარმეებს შესთავაზეს ნებაყოფლობით გაერთიანებულიყვნენ და შეემუშავებინათ „პატიოსანი კონკურენციის კოდექსი“, რომლითაც, ჯერ ერთი, დაწესდებოდა წარმოების ზომა, მეორე, განისაზღვრებოდა ხელფასის დონე და სამუშაო დროის ხანგრძლივობა და, მესამე, – ცალკეულ კონკურენტებს შორის განაწილდებოდა გასაღების ბაზრები... ამ კანონის მოქმედების პერიოდში შეჩერდა ანტიტრესტული კანონმდებლობა.

მრეწველობის გაჯანსაღებისათვის შეიქმნა ნაციონალური ადმინისტრაცია გენერალ ჰ. ჯონსონის მეთაურობით. იგი წარმოადგენდა ფედერალური მასშტაბის უზარმაზარ სახელმწიფო აპარატს შტატებსა და ქალაქებში შესაბამისი ორგანოებით. ერთი წლის შემდეგ მან მოიცვა საწარმოები 20 მლნ ადამიანით. 450 კოდექსი გავრცელდა აშშ-ის მრეწველობის და ვაჭრობის 95%-ზე. ნაციონალურმა ადმინისტრაციამ მოიწონა 750 კოდექსი, რომელიც მოიცავდა მრეწველობის სრულიად სხვადასხვა სფეროებს შავი მეტალურგიიდან და ქვანახშირიდან დაწყებული, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სამზარეულოს ჭურჭლის წარმოებამდე. თვითოეულს უნდა უზრუნველეყო, რომ არ ყოფილიყო ჭარბწარმოება და შეენარჩუნებინათ „მშვიდობა“ მრეწველობაში. მრეწველობაში რეგულირების ახალი სისტემა ეწინააღმდეგებოდა ანტიტრესტულ კანონმდებლობას, რომლის მოქმედებაც დროებით შეაჩერეს. მსხვილ მონოპოლიებს ხელს აძლევდათ ანტიტრესტული შეზღუდვების მოხსნა. 1934 წ. 200 მნიშვნელოვან სამრეწველო კორპორაციას შემოსავლები გაეზარდათ 60%-ით 1933 წ. შედარებით.

კანონი მრეწველობის გაჯანსაღების შესახებ შეეხო შრომით ურთიერთობებსაც. მან უფლება მისცა მუშებს მონაწილეობა მიეღოთ კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და პროფკავშირებში. მეწარმეებს არ აეკრძალათ მუშებთან დაედოთ ინდივიდუალური ხელშეკრულებები. კანონით რეგლამენტირებულ იქნა მინიმალური ხელფასი კვირაში 12-15 დოლარის ოდენობით, მაქსიმალური სამუშაო დღე (8 სთ.), სამუშაო კვირის ხანგრძლივობა (44 სთ.) და აიკრძალა ბავშთა შრომა.

„ახალი კურსის“ განხორციელების პერიოდში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გამოვლინდა სოციალური პოლიტიკის სფეროში. ყველაზე მწვავე პრობლემად რჩებოდა უმუშევართა პრობლემა. უმუშევრობის დასაძლევად აშშ-ის კონგრესის მიერ შექმნილმა საზოგადოებრივ სამუშაოთა ადმინისტრაციამ გაშალა ფართომასშტაბიანი საქმიანობა მუნიციპალურ მეურნეობებში, კერძოდ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის დაიწყო შარაგზების, ხიდების, სტადიონების, აეროდრომების მშენებლობა.

1933 წ. აპრილიდან ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივ სამუშაოთა სისტემამ. შეიქმნა სპეციალური ბანაკები 18-დან 25 წლამდე ასაკის უმუშევარი ახალგაზრდებისათვის. ისინი უზრენველყოფილნი იყვნენ უფასო კვებით, საცხოვრებლით, სპეცტანსაცმლით და თვეში 30 დოლარის ხელფასით, რომლიდანაც თითოეული ვალდებული იყო 25 დოლარი გაეგზავნა თავისი ოჯახისათვის. ახალგაზრდები 6 თვის მანძილზე მუშაობდნენ გზების და კაშხლების შეკეთებაზე, ასუფთავებდნენ ტყეებსა და პარკებს, ანაშენიანებდნენ ტყეებს, ეწეოდნენ მელიორაციას. ბანაკებში წავიდა 250 ათასი ახალგაზრდა. ნოემბერში შეიქმნა ახალი – სამოქალაქო სამუშაოთა უწყება. მან თავისი საქმიანობის ოთხნახევარი თვის განმავლობაში დახარჯა 933 მლნ. დოლარი, ზამთარში ობიექტებზე მუშაობდა 4 მლნ. კაცი. 1935 წლისათვის ბანაკები გაფართოვდა და მასში მეორე მსოფლიო ომამდე წავიდა 3 მლნ. კაცი. საგანგებო დახმარებათა ადმინისტრაცია შტაბებს აძლევდა დოტაციას უმუშევართა დასახმარებლად. 1934 წ. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებულ იქნა 5 მლნ. კაცი. დახმარება გაიცა 20 მლნ. ამერიკელზე.

„ახალმა კურსმა“ მოიცვა აგრარული სფეროც. 1933 წ. 12 მაისს მიღებულ იქნა კანონი სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ. კრიზისის დასაძლევად კანონი ითვალისწინებდა ღონისძიებათა გატარებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების მოსამატებლად 1909-1914 წწ. დონემდე. მათ შორის ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის შემცირებას, აგრეთვე საგანგებო ზომების გატარებას სახელმწიფოს მიერ ფერმერული დავალიანების დასაფინანსებლად, რომელიც 1933 წლის დასაწყისში შეადგენდა 12 მლრდ. დოლარს.

ფერმერები, რომლებიც ნებაყოფილობით თანხმდებოდნენ წარმოების მოცულობის შეზღუდვაზე, ან ნაწილი პროდუქციის განადგურებაზე, ღებულობდნენ პრემიებს და კომპენსაციებს. ეს სახსრები გამოიყოფოდა ფონდიდან, რომელიც იქმნებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავების გადასახადისაგან. ამ პერიოდში მარცვლეულზე არსებული ფასების პირობებში ხელსაყრელი იყო მათი გამოყენება საწვავად, ზოგიერთ შტატებში ხორბალს და სიმინდს წვავდნენ შეშასთან და ნახშირთან ერთად. ამ კანონის მოქმედების პირველ წელს ხორბლის ნათესები შემცირდა 7,5 მლნ. აკრით, ხოლო 10 მლნ. აკრი გადახნეს, გაანადგურეს 6,4 მლნ. ღორი და გადაამუშავეს სასუქად. ყველა ეს ღონისძიება ტარდებოდა მაშინ, როდესაც ათეულობით მილიონი ადამიანი შიმშილობდა და სანახევროდ შიშველი იყო.

გაუმჯობესდა მდგომარეობა აგრარულ სექტორში, ფერმერთა შემოსავალი 1936 წ გაიზარდა 50%-ით. სესხების საშუალებით მრავალმა ფერმერულმა მეურნეობამ თავი დააღწია კრიზისს. მხოლოდ ფერმერთა დაახლოებით 10% (600 ათასი) გაკოტრდა და გაიყიდა. სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ კანონით გატარებული ზომები შეეხო უპირველესად წვრილ ფერმერებს. მსხვილ ფერმერებს შეეძლოთ ნათესები შეემცირებინათ ნაკლებნაყოფიერი მიწების ხარჯზე. ამ დანაკარგის კომპენსირება ხდებოდა კარგი მიწების დამუშავების გაუმჯობესებით. ყიდულობდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სასუქებს, ამაღლებდნენ შრომის ნაყოფიერებას, რაც ზრდიდა მიღებული პროდუქციის რაოდენობას. შეღავათიანი კრედიტებით ძირითადად სარგებლობდნენ კონკურენტუნარიანი ფერმები, ვიდრე წვრილი და საშუალო ფერმები, რომელთაც არ შეეძლოთ სამეურნეო მანევრირება. 1936 წ აპრილში აშშ-ის სასამართლომ გააუქმა კანონი სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ.

„ახალი კურსის“ აგრარული პოლიტიკის მეორე ეტაპი დაიწყო 1936 წ. მარტში მიღებული კანონით. მთავრობის მიზანი დარჩა ძველი – აეწიათ იმ პროდუქციის ფასები, რომლებსაც მსხვილი ფერმერები აწვდიდნენ ბაზარს. მხოლოდ მისი მიღწევის საშუალებანი შეიცვალა. გაითვალისწინეს რა წარსული გამოცდილება, როდესაც მსხვილი ფერმერები ხშირად ბოროტად იყენებდნენ მთავრობის სუბსიდიებს. მოხდა პრემიების დიფერენცირება არა მარტო შემცირებული ფართობების ზომის მიხედვით, არამედ დამუშავებისთვის გაუქმებული ნიადაგების ნაყოფიერების მიხედვით. მოხდა გადახდილი სახსრების აკუმულირება არა იმ საგანგებო გადასახადიდან როგორც ეს მანამდე ხდებოდა, არამედ გამოიყოფოდა ბიუჯეტიდან 500 მლნ. დოლ. ოდენობით.

„ახალი კურსის“ აგრარული პოლიტიკის დამამთავრებელი ეტაპი იყო 1938 წ. კანონი, რომელმაც გააძლიერა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია, რომლის მიხედვითაც ფასების შენარჩუნებას მიაღწიეს არა ნამეტი პროდუქციის განადგურებით, არამედ მისი შენახვით, მას თან ახლდა გადახდა ფერმერებისათვის ჯერ კიდევ გასაყიდ საქონელზე. ერთდროულად აშშ-ის მთავრობა ატარებდა დემპინგის პოლიტიკას საზღვარგარეთ, ასტიმულირებდა ხორბლის და ბამბის ექსპორტს. გატარებული ღონისძიებების შედეგად ფერმების გაკოტრება შენელდა. იპოთეკური დავალიანება შემცირდა 2 მლრდ. დოლარით, ფერმერების ფულადი შემოსავლები, სახელმწიფო პრემიებთან ერთად, გაიზარდა 1932 წ. 4,7 მლრდ. დოლარიდან 1939 წლის 8,5 მლრდ. დოლარამდე.

„ახალი კურსის“ სოციალური პოლიტიკა შეეხო არა მარტო მუშებს და ფერმერებს, არამედ ქალაქის საშუალო ფენას, ინტელიგენციას. მოსახლეობის ეს ფენა რამდენადმე ჩადგა ტრადიციულ ფასეულობათა კალაპოტში და არ მიეცა გასაქანი, რომ რევოლუციური იდეებით გატაცებულიყო.

1933-1939 წწ. ქვეყანაში გაიფიცა 8 მლნ კაცი. პროტესტის ყველაზე აქტიური ფორმა გახდა „მჯდომარე გაფიცვა“. ასეთი გაფიცვები აღმოჩნდა ეფექტური და ხელს უწყობდა პროფკავშირების შექმნას იმ დარგებშიც კი, სადაც მეწარმეთა ძალადობა საგრძნობი იყო.

მშრომელთა ამგვარი გააქტიურების შედეგად მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მუშების და ფერმერების ინტერესებისათვის. აშშ-ის მუშათა კლასის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო 1935 წლის ივლისში მიღებული „ნაციონალური კანონი შრომითი ურთიერთობების შესახებ“, რომელმაც მიიღო ვაგნერის კანონის სახელწოდება (სენატორ რ. ვაგნერის სახელის მიხედვით).

პირველად აშშ-ის ისტორიაში მუშებმა მიიღეს პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის და კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლება. მეწარმეებს აეკრძალათ: მუშათა ორგანიზაციების შექმნაში ჩარევა, პროფკავშირების წევრების დისკრიმინაცია. სასამართლოში ჩვენების მიცემისათვის მათი გათავისუფლება, ან შევიწროება, აეკრძალათ კოლექტიური მოლაპარაკება მუშების მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან. პროფკავშირებისა და მუშათა საჩივრების განსახილველად და მეწარმეთა მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად შეიქმნა შრომითი ურთიერთობების ნაციონალური სამმართველო, რომლის გადაწყვეტილებათა გაპროტესტება შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოს წესით. ვაგნერის კანონის მიღებამ არსებითად შეცვალა ქვეყანაში შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი ასპექტი დემოკრატიზაციისაკენ. თუმცა ვაგნერის კანონის იურისდიქციის გარეშე დარჩა მილიონობით მუშა, რომლებიც ვერ გაწევრიანდნენ პროფკავშირულ მოძრაობაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი იყო 1935 წ. აგვისტოში მიღებული კანონი სოციალური დაზღვევის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ორი ტიპის დაზღვევას – მოხუცებულობის და უმუშევრობის. საპენსიო ფონდი იქმნებოდა როგორც მეწარმეების, ასევე მუშებისა და მოსამსახურეების გადასახადების ხარჯზე ხელფასის 1%-ის ოდენობით. დახმარებას იღებდნენ 65 წელს მიღწეული მოქალაქენი, ასევე ავადმყოფები და ინვალიდები. საპენსიო უზრუნველყოფის ნორმები ერთნაირი იყო მთელ ქვეყანაში. შტატების კანონმდებლობა განსაზღვრავდა დახმარების მიმღებთა კატეგორიას, თანხის სიდიდეს და მისი მიღების ვადებს. ეს კანონი გავრცელდა მსხვილ სამრეწველო საწარმოებზე და არ შეეხო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშა-მოსამსახურეებს, სასოფლო-სამეურნეო მუშაკებს, შინა მოსამსახურეებს და სახელმწიფო მოსამსახურეებს. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ეს დადგენილება იყო მუშათა კლასის მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

1933 წლიდან აშშ-ის ეკონომიკამ დაიწყო კრიზისიდან გამოსვლა, რასაც ხელი შეუწყო „ახალმა კურსმა“. 1933 წლიდან 1935 წლამდე იგი ვითარდებოდა შეფერხებით. მხოლოდ 1936 წელს დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება, წარმოების და ვაჭრობის

ზრდა. წარმოებამ 1929 წლის დონეს მიაღწია, თუმცა აღმავლობა მაინც ვერ დაიწყო, უმუშევრობა შემცირდა, მაგრამ ვერ მოისპო.

1937 წელს აშშ შევიდა ახალ ეკონომიკურ კრიზისში, იგი დაიწყო მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებში და მალე გადავიდა მძიმე მრეწველობაშიც. ამ კრიზისის თავისებურება ის იყო, რომ იგი მოჰყვა არა ეკონომიკურ აღმავლობას, არამედ მის გამოცოცხლებას. 1937-1938 წწ კრიზისის პერიოდში ფოლადის ჩამოსხმა შემცირდა 44%-ით, ავტომობილების გამოშვება – ნახევარზე მეტით, სამრეწველო წარმოება 36%-ით, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 10,5 მლნ-მდე.

მკვეთრად გამწვავდა აგრარული კრიზისი. განსაკუთრებით მძიმე იყო ფერმერების მდგომარეობა, რომლებსაც მოყავდათ ხორბალი და ბამბა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება დაძლეულ იქნა მხოლოდ 1939 წ სექტემბერში, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როდესაც დაიწყო სამხედრო შეკვეთები.

„ახალი კურსის“ პროგრამა წარმოადგენდა ერთერთ ყველაზე პროგრესულ ფურცელს აშშ-ის ისტორიაში. სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი როლის წყალობით ქვეყანამ შეძლო კრიზისიდან გამოსვლა.

მუშების, ფერმერების, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის, ზანგი მოსახლეობის პოლიტიკურმა გააქტიურებამ აიძულა პრეზიდენტი რუზველტი „ახალი კურსის“ გატარების პერიოდში გამოეჩინა მოქნილობა, მანევრირება, გაეთვალისწინებინა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესები და წასულიყო დათმობაზე. ამავე დროს „ახალი კურსი“ არ შეიძლება შეფასდეს როგორც გეგმურ ეკონომიკაზე გადასვლა, ვინაიდან კერძო საკუთრება რჩებოდა ურყევი, ნაციონალიზებული არ ყოფილა არც ერთი საწარმო და ბანკი. „ახალი კურსის“ შედეგად განმტკიცდა მსხვილი ბურჟუაზიის პოზიციები. გაძლიერდა წარმოებისა და ბანკების კონცენტრაცია.

„ახალი კურსის“ გატარებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. რუზველტის წინააღმდეგ გამოვიდა მორგანი, დიუპონი, როკფელერი, მელონი. ოპოზიცია მოითხოვდა სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმას, მსხვილ კაპიტალზე გადასახადების შემცირებას და მშრომელების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას.

რუზველტის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის ხარჯზეც ხორციელდებოდა გაფართოებული კვლავწარმოებისა და სოციალური პროგრამის დაფინანსება. 1938 წ. რუზველტმა დაიწყო ე.წ. „ამოტუმბვის“ გეგმის გატარება. საზოგადოებრივი სამუშაოს მოცულობა გაფართოვდა, დახმარების მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა 21,3 მლნ.-მდე. ამის გამო აშშ-ში კეინსის თეორიის მომხრეთა რაოდენობამ იმატა. სწრაფად გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი და 1939 წ. 2,2 მლრდ. დოლარი შეადგინა.

„ახალი კურსის“ რეფორმებს ჰქონდათ უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ამერიკის, ასევე მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის. მან აჩვენა სახელმწიფო რეგულირების როლი კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში, და რომ ეკონომიკის მოქნილი რეგულირება, განსაკუთრებით კი მისი განვითარების რთულ პერიოდში, სასიცოცხლოდ აუცილებელია. სახელმწიფოს მიერ სამეურნეო ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით ჩარევა აშშ-ის საბაზრო მექანიზმის განუყოფელ ნაწილად იქცა. რეფორმის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ის, რომ შეინიშნებოდა სერიოზული ძვრები ქვეყნის სოციალურ განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად „ახალი კურსის“ ღონისძიებების გატარებისა, 30-იან წწ. აშშ უფრო ნელი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. 1929-1937 წწ. აშშ-ის წილი კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში შემცირდა 48-დან 42%-მდე, ხოლო მისი წილი მსოფლიო ექსპორტში 1926-1929 წწ. 42,2%-დან 1936-1939 წწ. 32,3%-მდე შემცირდა. ამასთანავე, აშშ აგრძელებდა თავისი კონკურენტების შევიწროების პოლიტიკას. მაგალითად, ომამდელ პერიოდში ამერიკის მონოპოლიებმა დაიწყეს ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოების მითვისება. 1938 წ. მისი მოპოვების 14%-ს აშშ-ის კომპანიები აკონტროლებდნენ. ამერიკის კაპიტალის ექსპორტი განსაკუთრებით გაძლიერდა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში. 1940 წელს აშშ-ის ინვესტიციის საერთო თანხამ კანადასა და ლათინურ ამერიკაში შეადგინა 7,7 მლრდ. დოლარი, რაც 30%-ით მეტი იყო 1929 წელთან შედარებით. აშშ-მა გააძლიერა მთელი კონტინენტის ეკონომიკური დაკაბალება.

თემა 16. გერმანიის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო ომებსშორის პერიოდში

1. პირველი მსოფლიო ომის ეკონომიკური მიზეზები და შედეგები

პირველი მსოფლიო ომი წარმოადგენს ქვეყნების დაპირისპირების პირდაპირ შედეგს, რაც გამოწვეული იყო მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობით. მსოფლიოში გაჩნდა ძალთა ახალი თანაფარდობა, დაიწყო ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს გადანაწილებისათვის. ომის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ეკონომიკური ინტერესების შეჯახება, ბრძოლა კოლონიებისათვის.

XX ს. დასაწყისში მსოფლიო უკვე განაწილებული იყო მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ეს დაყოფა აღარ შეესაბამებოდა მათ რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნები – აშშ, გერმანია და იაპონია მაშინ გამოვიდნენ არენაზე, როდესაც მსოფლიო უკვე განაწილებული იყო. ვინაიდან კოლონიებისა და გავლენის სფეროების ნებაყოფილობით დათმობას არავინ აპირებდა, იგი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ძალმომრეობით.

წინააღმდეგობა უმსხვილეს ქვეყნებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა XX ს. დასაწყისში. მწვავე იყო წინააღმდეგობა გერმანიასა და ინგლისს შორის. გერმანია ინგლისს ავიწროებდა როგორც ევროპაში, ასევე აღმოსავლეთის ბაზრებზე, შეაღწია რა ბალკანეთსა და მცირე აზიაში. გერმანიის სარკინიგზო მშენებლობა ბერლინი–ბოსფორი–ბაღდადი (სამი „ბ“), საშიშროების წინაშე აყენებდა ინგლისის ბატონობას ახლო აღმოსავლეთში. ეს საშიშროება კიდევ უფრო გამწვავდებოდა, თუკი გერმანია კონტროლს დააწესებდა სუეცის არხზე. ასეთ შემთხვევაში საზღვაო გზა ინგლისიდან ინდოეთისაკენ საგრძნობლად გაიზრდებოდა.

საერთაშორისო მდგომარეობა გაამწვავა აგრეთვე დაპირისპირებამ საფრანგეთ-გერმანიას შორისაც. საფრანგეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პირველი მსოფლიო ომის მომზადებაში. იგი ისწრაფვოდა 1870-1871 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომში დამარცხების რევანშისათვის. მას სურდა დაებრუნებინა გერმანიის მიერ მიტაცებული ელზასი და ლოთარინგია. თავის მხრივ, გერმანია საფრანგეთისგან მოითხოვდა მისთვის გაეყო თავისი სამფლობელოები ჩრდილოეთ აფრიკაში.

ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის და რუსეთის ინტერესებს გერმანია შეეჯახა როგორც კაპიტალის გატანის სფეროში, ასევე საგარეო ვაჭრობაში. აშშ და გერმანია იბრძოდნენ ლათინური ამერიკისა და აზიის ბაზრებისათვის. რუსეთთან საგარეო ეკონომიკური დაპირისპირება დაკავშირებული იყო გერმანიაში რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეტანასთან, რაზეც 90-იან წლებში გერმანიამ გაზარდა ბაჟები. ამის საპასუხოდ რუსეთმაც გაზარდა ბაჟები გერმანულ საქონელზე. გამწვავდა საბაჟო ომი. ამ კონფლიქტში გაიმარჯვა გერმანიამ, რუსეთმა შეამცირა საბაჟო გადასახადები, მაგრამ ამან მათ შორის წინააღმდეგობები ვერ მოსპო.

მსოფლიო ომის გაჩაღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა წინააღმდეგობებმა აღმოსავლეთ ევროპასა და გერმანიას შორის, რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს შორის; რუსეთ-თურქეთს შორის; ავსტრო-უნგრეთის და ბალკანეთის ქვეყნებს შორის; თურქეთსა და ბალკანეთის ქვეყნებს შორის, თვით ბალკანეთის ქვეყნებს (სერბეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი) შორის. გერმანიის კონტროლის დაწესება ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე ხელს არ აძლევდა რუსეთს, რომელსაც მარცვლეულის 80% გაჰქონდა ხმელთაშუა ზღვით. მარცვლეული კი რუსეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქტი იყო.

პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არაევროპული ქვეყნების – აშშ-სა და იაპონიის პოზიციებს. ჩინეთში და წყნარი ოკეანის აუზის ბაზრებზე აშშ ეჯახებოდა იაპონიის ინტერესებს. აშშ-სათვის ხელსაყრელი იყო წინააღმდეგობანი ევროპაში, ვინაიდან იგი მისცემდა გამდიდრების შესაძლებლობას და ამასთანავე დაასუსტებდა მის კონკურენტ ევროპის ქვეყნებს. ამერიკელებმა ზუსტად გათვალეს,

რომ მსოფლიო ბაზარზე აშშ-სთვის გერმანია უფრო საშიში მეტოქე იყო, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი.

წინააღმდეგობანი გამოიწვია მსოფლიოში ორი ძირითადი იმპერიალისტური ბლოკის გამოჩენამ. ერთი შეიქმნა XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში. გერმანიამ, ემზადებოდა რა მსოფლიოს გადანაწილებისათვის, 1879 წ. დადო სამოკავშირო ხელშეკრულება ავსტრო-უნგრეთთან, რომელსაც 1882 წ. შეუერთდა იტალია (თუმცა 1915 წ. იტალია დაუპირისპირდა თავის მოკავშირეებს). მეორე – 1904 წ. ხელშეკრულება დადო ინგლისმა და საფრანგეთმა, რომელთაც 1907 წ. შეუერთდა რუსეთიც. შეიქმნა სამთა კავშირი – ანტანტა.

XIX ს. 80-იან წლებში გერმანიამ დაიწყო კოლონიური დაპყრობები. თავისი პროტექტორატი დაამყარა ტოგოსა და კამერუნზე. ამავე დროს გერმანელებმა დაიკავეს კუნძულ ახალი გვინეის ჩრდილოეთი ნაწილი, მიიტაცეს კიდევ რამდენიმე მცირე კუნძული. 1885 წ. მან თავისი პროტექტორატი დაამყარა აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიაზეც.

გერმანიის აგრესია მისწვდა ჩინეთსაც, სადაც შექმნილი იყო გერმანიის სამხედრო ბაზა. შემდეგ კი წაიწია წყნარი ოკეანისკენ, რის შედეგადაც ესპანეთი იძულებული გახდა გერმანიისათვის ჩალის ფასად მიეყიდა მარიანის და კაროლინის კუნძულები. გერმანია სულ უფრო და უფრო აფართოებდა თავის კოლონიურ სამფლობელოებს. ომის დასაწყისისათვის, 1914 წ. იგი ფლობდა კოლონიებს 2,9 მლნ. კვ. კმ. ტერიტორიით და 12,3 მლნ. მოსახლეობით. მაგრამ მას ეს არ აკმაყოფილებდა, გერმანიის მადა იზრდებოდა. პანგერმანელებს მიზნად ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და პორტუგალიის კოლონიების, საფრანგეთის რიგი რაიონების, მთელი ბელგიის, ჰოლანდიის დაპყრობა, შემდეგ ირანის და ინდოეთის, ბოლოს კი ამერიკის კონტინენტის ხელში ჩაგდება, საბოლოოდ კი – მძლავრი იმპერიის შექმნა.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების ერთერთი მთავარი მიზანი იყო ბრძოლა კოლონიებისა და გავლენის სფეროებისათვის.

გერმანიის გეგმა ელვისებური გამარჯვების შესახებ გადაიქცა მითად. მან გადაჭარბებით შეაფასა თავისი ეკონო-

მიკური რესურსები და სამხედრო პოტენციალი. ომი ოთხ წელიწადს გაგრძელდა და ძალზე ძვირად დაუჯდა გერმანიას. ომში დაიღუპა 1 მლნ. 800 ათასი ადამიანი, ხოლო ტყვეებთან და დაჭრილებთან ერთად დანაკარგმა შეადგინა 7,5 მლნ. ადამიანი. საომარმა დანახარჯებმა შეადგინა 150 მლრდ. მარკა. გერმანიამ არა თუ მიაღწია მსოფლიოს გადანაწილებას თავის სასარგებლოდ, მან დაკარგა სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები, ტერიტორია და ხალხი.

2. ვერსალის ხელშეკრულება და მისი გავლენა გერმანიის ეკონომიკაზე

1919 წლის 28 ივნისს ვერსალის სარკეებიან დიდ დარბაზში, იქ, სადაც 1871 წ. ზარბაზნების ქუხილში გერმანია იმპერიად გამოცხადდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. მიულერმა და იუსტიციის მინისტრმა ი. ბელმა ხელი მოაწერეს დამამცირებელ ხელშეკრულებას, რომლითაც გერმანია მთავარ სამხედრო დამნაშავედ იქნა აღიარებული.

ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის ტერიტორია მნიშვნელოვნად შემცირდა. გერმანიას საფრანგეთისათვის უნდა დაებრუნებინა 1871 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მიტაცებული რკინისა და კალიუმის საბადოებით მდიდარი ელზასი და ლოთარინგია. საფრანგეთს (გამოსყიდვის უფლებით) საკუთრებაში გადაეცა ზაარის ქვანახშირის მაღაროები, ხოლო თვით ზაარის ოლქი 15 წლით მმართველობაში გადაეცა ერთა ლიგას.

1918 წ. ხელახლა ჩამოყალიბებულ პოლონეთის სახელმწიფოს გადაეცა XVIII ს. ანექსირებული პოზნანი და დასავლეთ პრუსია, აღმოსავლეთ პრუსიის რიგი რაიონები და პომერანია, რომელიც ძირითადად პოლონელებით იყო დასახლებული, პოლონეთმა მიიღო „დერეფანი“ გერმანიის ტერიტორიებს შორის ბალტიის ზღვის სანაპიროსკენ. პოლონეთი პრეტენზიას აცხადებდა პორტ დანციგზეც (გდანსკი), მაგრამ იგი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად და გადავიდა ერთა ლიგის მმართველობაში. გერმანიამ აღიარა პოლონეთის, ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა. კატეგორიულად აიკრძალა ავსტრიის გერმანიასთან შეერთება. ბელგიას დაუბრუნდა ეიპენის და მალმედის მხარე და მორენეს ტერიტორია. დანიას – ჩრდილოეთი შლეზვინგი. ჩეხოსლოვაკიას გადაეცა გულჩინსკის ოლქი. ერთა ლიგის მმართველობაში გადავიდა მემელის ოლქი, ხოლო 1923 წ. მემელი (კლაიპედა) გადაეცა ლიტვას. თუკი გერმანია კეთილსინდისიერად შეასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს, გათვალისწინებული იყო, რომ საფრანგეთს, ინგლისსა და ბელგიას მდ. რეინის მარცხენა ნაპირიდან 5, 10 და 15 წლის შემდეგ თანდათანობით გამოეყვანა საოკუპაციო ჯარები.

მთლიანობაში გერმანიამ დაკარგა 73 ათასი კვ. კმ., ანუ ტერიტორიის 13,5%, სადაც ცხოვრობდა 6,5 მლნ ადამიანი, ანუ მოსახლეობის 10%. დაკარგულ მიწებზე მოდიოდა რკინის მადნის 75%, თუთიის – 20%, ნახშირის მოპოვების 20% და თუჯის გამოდნობის 20%.

გარდა ამისა, გერმანია იწყებდა რა ომს, ისწრაფვოდა გადაენაწილებინა კოლონიები თავის სასარგებლოდ, მაგრამ მან პრაქტიკულად ყველა კოლონია დაკარგა და იძულებული გახდა უარი ეთქვა საკუთრებაზე საზღვარგარეთ. გერმანიის კოლონიები განაწილდა უფრო გავლენიან, გამარჯვებული კოალიციის ქვეყნებზე. ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს ტოგო და კამერუნი, ინგლისმა მიიღო აღმოსავლეთ აფრიკა. ბრიტანეთის დომინიონებს – სამხრეთ აფრიკის კავშირს, ავსტრალიას და ახალ ზელანდიას დაემატა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქი და კურძული სამოა. იაპონიისა გახდა კაროლინის და მარიანის კუნძულები წყნარ ოკეანეში, გერმანიას ასევე ჩამოერთვა უფლებები შანდუნის ნახევარკუნძულზე. ბელგიამ მიიღო აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილი. ამრიგად, გერმანიამ დაკარგა ნედლეულის უდიდესი წყაროები და გასაღების ბაზრები.

ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ომისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამარჯვებული ქვეყნებისათვის უნდა გადაეხადა 132 მლრდ. მარკა რეპარაცია ოქროთი. აუცილებელი იყო, რომ ავანსის სახით უახლოეს ორ წელიწადში შეეტანა 20 მლრდ. მარკა. რეპარაციის გადასახდელად კონფისკაცია გაუკეთდა 5 ათას ორთქლმავალს, 150

ათას ვაგონს, 140 ათას ძროხას, მრავალ სასოფლო-სამეურნეო მანქანას. შემდგომი 10 წლის მანძილზე გერმანია ვალდებული იყო რეპარაციის სახით საფრანგეთის, ბელგიისა და იტალიისათვის მიეწოდებინა ნახშირი, სამშენებლო მასალები, ქიმიკატები და სარძევე პირუტყვი. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ანტანტის ქვეყნების კომერციული ინტერესები. მათთვის სხვადასხვა სახით გარანტირებული იყო სავაჭრო და საინვესტიციო შეღავათები. გერმანიას დაეკისრა აგრეთვე მდ. რეინის მარცხენა ნაპირზე განლაგებული საოკუპაციო ჯარების შენახვის ხარჯები. სიმაგრეები დატოვეს მხოლოდ აღმოსავლეთის საზღვარზე.

გერმანიას სამხედრო პოტენციალის შესუსტების მიზნით აუკრძალეს საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახური. მას ნება ეძლეოდა ჰყოლოდა დაქირავებული ჯარისკაცებით დაკომპლექტებული არმია 100 ათასი კაცის რაოდენობით საშინაო საქმეების მოსაგვარებლად არა უმეტეს 4 ათასიანი ოფიცერთა კორპუსით. გერმანიას ეკრძალებოდა ჰყოლოდა წყალქვეშა ფლოტი, სამხედრო ავიაცია, მძიმე არტილერია, ტანკები. სამხედრო საზღვაო ფლოტი შემოიფარგლებოდა 6 ჯავშნოსანი და რამდენიმე მომცრო გემით. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი ჩაძირეს. მთლიანად იქნა დემილიტარიზებული რეინის ოლქი.

ამასთანავე, გერმანიას აეკრძალა სამხედრო მრეწველობის ქონა. შეწყდა იარაღის და სამხედრო მასალების გამოშვება, დაწესებული მოცულობის ზევით არსებული სამხედრო მარაგი გადაეცემოდა გამარჯვებულ ქვეყნებს. აკრძალეს ჯავშნოსნების, ტანკების, სამხედრო გემების გამოშვება, აგრეთვე მხუთავი, მომწამვლელი და სხვა გაზების წარმოება. უნდა დანგრეულიყო ციხე-სიმაგრეები. ეს შეზღუდვები გერმანიას შესაძლებლობას აძლევდა მთელი ყურადღება და სახსრები მიემართა მეურნეობის სამშვიდობო აღმავლობისათვის.

ვერსალის სახელშეკრულებო სისტემამ ვერ შეძლო საერთაშორისო უთანხმოებისა და კონფლიქტების მოგვარება. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებით უკმაყოფილება, იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გაძლიერება წარმოშობდა ახალი ომის გაჩენის საშიშროებას.

3. გერმანიის ეკონომიკა 20-იან წლებში. დაუესისა და იუნგის გეგმები

ომის პერიოდში კოლოსალური ნგრევის შედეგად გერმანიის ეროვნულმა შემოსავალმა ომისშემდგომი პერიოდის დასაწყისში შეადგინა 1913 წლის დონის 50%. ქვეყანა მოიცვა ეკონომიკურმა ქაოსმა, რომელიც 1924 წლამდე გაგრძელდა. მცირდებოდა მრეწველობის მოცულობა. ეს გამოიწვია არა მარტო რიგი სამრეწველო რაიონების დაკარგვამ, არამედ იმანაც, რომ მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობანი მწყობრიდან გამოდიოდა. მიუხედავად 1918 წ. ნოემბერში შექმნილი სადემობილიზაციო სამმართველოს ენერგიული საქმიანობისა, 1924 წლამდე გერმანიაში გრძელდებოდა ეკონომიკური კრიზისი, ეცემოდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. მრეწველობის დემილიტარიზაცია მტკივნეულად მიმდინარეობდა. მოსახლეობის გაღატაკების შედეგად საშინაო ბაზარი ძლიერ შეიკვეცა, ხოლო საგარეო ბაზარი დაიკარგა. ომის წლებში მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალური მდგომარეობა. 1916 წლიდან მრავალი გერმანელი შიმშილობდა, მასიური გახდა უმუშევრობა, შემცირდა რეალური ხელფასები, რომელმაც 1918 წელს 1900 წელთან შედარებით 72% შეადგინა. საწარმოო ტრავმები გაიზარდა 50%-ით. ყველაფერმა ამან გამოიწვია სოციალური მღელვარება, შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია, რასაც 1918 წლის ნოემბერში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება მოჰყვა. 1919 წლის 31 ივლისს მიღებული კონსტიტუციის შესაბამისად წარმოიშვა ვეიმარის რესპუბლიკა, რომელმაც 1933 წლამდე იარსება.

ომის შედეგად გერმანიის ეკონომიკამ განიცადა კრახი. იგი მოექცა გამარჯვებული ქვეყნების გავლენის ქვეშ. სიტუაცია გაამწვავა 1920-1921 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მკვეთრი დაცემა გამოიწვია 1923 წ. თებერვალში საფრანგეთ-ბელგიის არმიის მიერ რურის ოლქის ოკუპაციამ, რური იყო მისი ძირითადი ინდუსტრიული ცენტრი. ამით გერმანიამ დაკარგა ნახშირის მოპოვების 88%, თუჯის გამოდნობის 70%, ფოლადის გამოდნობის 40%. გერმანიას ასევე დიდი დარტყმა მიაყენა აქციამ, რომელიც ჩატარდა გადაუხდელი რეპარაციის ამოღების საბაბით;.

მყარი დარჩა იუნკრების ეკონომიკური ბაზა. იუნკერთა მამულებს, რომლებიც მთლიანად მეურნეობათა 1,5% შეადგენდა, ეკავა მთელი მიწის ფართობის 34% მაშინ, როდესაც მოსახლეობის 57,3%-ს, წვრილ გლეხებს ჰქონდათ მიწის 4%. თუმცა მსხვილი მიწათმფლობელების პოლიტიკური პოზიციები შესუსტდა.

კრიზისმა მოიცვა გერმანიის სოფლის მეურნეობა. სასუქების მკვეთრი უკმარისობის გამო დაეცა მოსავლიანობა. 1923 წ. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა ომამდელის 70%. შენელდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა. ომამდელთან შედარებით იმპორტმა იკლო 38%-ით, ხოლო ექსპორტმა – 33%-ით. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა მზა ნაწარმის გატანა (50%-ით). გერმანიის საერთო წილმა მსოფლიო ექსპორტში 1923 წ. შეადგინა 6% (1913 წ. იყო 13%).

ფულდღეს უბედურებად გადაიქცა ინფლაცია. ქაღალდის ფულის გამოშვებამ მიიღო ასტრონომიული მასშტაბები. 1920 წ დასაწყისში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფული 1914 წ. შედარებით გაიზარდა 25-ჯერ. ეს პროცესი არ შეჩერებულა შემდგშიც. თუ 1913 წ. ერთ დოლარში იძლეოდნენ 4 მარკას, 1920 წ. – 65, 1922 – 191, 1923 წ. იანვარში – 4300, ხოლო იმავე წლის ნოემბერში – 8 მლრდ. მარკას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფული იმ ქაღალდზე იაფი იყო, რომელზედაც ის იყო დაბეჭდილი.

ინფლაციით ისარგებლეს იუნკრებმა და კულაკებმა. ისინი გათავისუფლდნენ ბანკის უზარმაზარი დავალიანებისაგან, რომელიც 18 მლრდ. მარკა გაუფასურებული ქაღალდის ფულით დაიფარა.

გამდიდრდნენ მრეწველებიც. ისინი საქონელს ყიდდნენ მზარდი ფასებით, ხოლო გადასახადს იხდიდნენ გაუფასურებული მარკებით. მრავალი მათგანი რეიხსბანკიდან იღებდა კრედიტს ოქროთი და იხდიდა ქაღალდის ფულით. სამაგიეროდ გაკოტრდა წვრილი ბურჟუაზია, რომელთა დანაზოგებიც გაუფასურდა. 1922 წ. ბოლოს მრეწველებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 422 მლრდ. მარკა სესხი, რომელიც მალევე გაუფასურდა. კრედიტს აბრუნებდნენ ნომინალით. მაგალითად, ცნობილმა მრეწველმა გ. სტინესმა 1922 წ. 1 ივლისს მთავრობისაგან მიიღო კრედიტი 5 მლნ მარკა, რომელიც უნდა გადაეხადა 1923 წ. იანვარში. ამ ფულით მაშინვე იყიდა დოლარები კურსით 1 დოლარი – 117 მარკა, სულ 43 ათასი დოლარი. ვალის გადახდის დროს დოლარის კურსმა აიწია 4279 მარკამდე. კრედიტის დასაფარად სტინესს მოუწია გადაეხადა 1160 დოლარის ექვივალენტი მარკებით. დანარჩენი 41840 დოლარი დარჩა მასთან. სავალუტო სპეკულაცია ხელს უწყობდა სტინესის კონცერნის ზრდას. მისი კაპიტალი შეფასებული იყო 8 მლრდ. მარკად ოქროთი. კონცერნს ეკუთვნოდა 290 ქვანახშირის მაღარო, 200 რკინის მაღარო, 190 ელექტროსადგური, 65 სატრანსპორტო საწარმო, 285 ბანკი და სავაჭრო კომპანია, 160 სხვა საწარმო.

1923 წ. შემოდგომაზე ფასების ზრდამ მიაღწია დღეში 16%, ხოლო ხელფასები გაიზარდა 1 მლრდ.-ჯერ. კვალიფიციური მუშის ყოველდღიური ხელფასი ბერლინში 1923 წ. ნოემბერში შეადგენდა 3 ტრლ. 38 მლრდ მარკას, ეს ასტრონომიული თანხა საკვებადაც კი არ ყოფნიდა. ასეთ ხელფასს ატარებდნენ კალათებით. 1923 წ. გატარდა ფულის რეფორმა. 1 მლრდ. ძველი მარკა შეეფარდა 1 ახალ მარკას, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ოქროთი. მარკა გახდა სტაბილური, 1924 წ. მოისპო ბიუჯეტის დეფიციტი.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა 1919-1923 წწ. გერმანია იძულებული იყო გადაეხადა რეპარაცია 8 მლრდ მარკა ოქროთი.

გარდამავალ პერიოდში პარალელურად ფუნქციონირებდა ორი საემისიო ბანკი – რენტბანკი და რეიხსბანკი ორი განსხვავებული ფულადი სისტემით. 1924 წ. მიმოქცევიდან ამოიღეს რენტბანკის მარკები და ამით ამ ბანკმა არსებობა შეწყვიტა. მისი ფუნქციები გადაეცა რეორგანიზებულ რეიხსბანკს. ახალი ბანკნოტები 40%-ით იყო უზრუნველყოფილი ოქროთი და იცვლებოდა ოქროზე. რეიხსბანკი რენტბანკისგან განსხვავებით აღარ ექვემდებარებოდა გერმანიის მთავრობის კონტროლს. იგი მოექცა სარეპარაციო კრედიტორების კონტროლის ქვეშ.

ქვეყანაში სტაბილიზაციისათვის უნდა მომხდარიყო სამრეწველო მოწყობილობათა მოდერნიზაცია, გაძლიერებულიყო უმსხვილესი მონოპოლიების პოზიციები; კარტელები და სინდიკატები შეცვლილიყო ტრესტებით და კონცერნებით.

ქვეყანაში ეკონომიკურმა კრიზისმა შექმნა რევოლუციური სიტუაცია. 1923 წ. შეიქმნა მუშათა მთავრობა ტიურინ-

გიასა და საქსონიაში, მოხდა შეიარაღებული აჯანყება ჰამბურგში. სოციალური დაძაბულობის ზრდამ და რევოლუციურმა გამოსვლებმა, ომში გამარჯვებული ქვეყნები აიძულა გერმანიასთან წასულიყვნენ ზოგიერთ დათმობაზე.

1924 წ. აშშ-მა და ინგლისმა დაიწყეს გერმანიის დაფინანსება. ამასთან ერთად აშშ და ევროპის წამყვანი ქვეყნები მიისწრაფვოდნენ აღედგინათ ძალთა თანაფარდობა, რომელიც დაირღვა ომში გერმანიის დამარცხების შედეგად, მათ სურდათ ჩაექროთ მაღალი სოციალური დაძაბულობა ქვეყნის შიგნით, რაც დასავლეთ ევროპაში სოციალიზმის შეღწევის საშიშროებას ქმნიდა.

1924 წ აგვისტოში ლონდონის კონფერენციაზე მიღებული იქნა ე. წ. „დაუესის გეგმა". იგი დამუშავდა საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტების მიერ ჩიკაგოს ერთერთი ბანკის დირექტორის გენერალ ჩ. დაუსის თავმჯდომარეობით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მორგანის ბანკების ჯგუფთან. მიღებულ იქნა პროგრამა რეპარაციის პირობების შესასუსტებლად.

ამ გეგმით კაპიტალდაბანდებანი გერმანიის ეკონომიკაში უნდა გადიდებულიყო. ფორმალურად სახსრები გაიცემოდა გერმანიის ეკონომიკის აღდგენისა და რეპარაციის თანხების ამოღების უზრუნველსაყოფად, ფაქტიურად ფინანსდებოდა პროგრამა გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ასაღორძინებლად. აშშ (ნაწილობრივ ინგლისიც) გერმანიას აძლევდა სესხებს ეკონომიკის აღსადგენად, ამ სესხებით მიღებული შემოსავლები მიდიოდა ინგლისის და საფრანგეთის რეპარაციების გადახდაზე, ხოლო თავის მხრივ ინგლისი და საფრანგეთი მიღებული რეპარაციით აშშ-ს დაუბრუნებდნენ თავის სამხედრო ვალებს.

სარეპარაციო გადასახადების უზრუნველსაყოფად დაუესის გეგმა ითვალისწინებდა სამ ძირითად წყაროს. ჯერ ერთი, შემოსავლები ბაჟიდან და არაპირდაპირი გადასახადებიდან, უმთავრესად ფართო მოხმარების საგნებიდან, როგორიცაა შაქარი, თამბაქო, ლუდი, ქსოვილები, ფეხსაცმელი. გამოუშვეს სპეციალური ობლიგაციები. მეორე, შემოსავლები გერმანიის რკინიგზის ექსპლოატაციიდან. მესამე, მრეწველობაში მოგებიდან გადასახადის დაწესება.

დაუესის გეგმა ითვალისწინებდა ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადების მკვეთრ შემცირებას. 1924-1925 საბიუჯეტო წელს 1 მლრდ. მარკა ოქროთი, 1925-1926 წწ. – 1,2 მლრდ, შემდგომ 4 წელს დაგეგმილი იყო 1750 მლნ. მარკამდე, ხოლო 1929 წ. გერმანიას უნდა გადაეხადა 2,5 მლრდ. მარკა.

გათვალისწინებული იყო რურის ქვანახშირის აუზის ოკუპაციის შეჩერება, რათა არ დაეშვათ რუსეთის მსგავსად რევოლუცია გერმანიაში და შეემცირებინათ სოციალური დაძაბულობა. გადაწყდა გაეძიდებინათ სესხები და პირდაპირი ინვესტიციები გერმანიის მრეწველობაში.

1924 წლიდან დაიწყო გერმანიის ეკონომიკის სტაბილიზაცია, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა აშშ და ინგლისის მიერ გადაცემულმა სესხებმა. ამ ქვეყნებიდან გერმანიამ „დაუესის გეგმის" მოქმედების პერიოდში მიიღო 21 მლრდ. მარკა, რომლის 70% მოდიოდა აშშ-ზე. ეს სესხები ხმარდებოდა ძირითადად სამხედრო მრეწველობას, მოწოდებული იყო სტრატეგიული ნედლეული, საიდუმლო იყო საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია (შეღავათიანი კრედიტებით). კრედიტი წარმოადგენდა გერმანიის მრეწველობის ძირითადი კაპიტალის 2/3. გრძელვადიანი კრედიტები, რომელსაც ღებულობდნენ მონოპოლიები, შეადგენდა 12 მლრდ. მარკას და გამოიყენებოდა წარმოების მოდერნიზაციაზე. თვითონ მთავრობამ მაშინვე მიიღო 800 მლნ. მარკის სესხი.

ამ გეგმის მოქმედების პერიოდში გერმანიამ გადაიხადა სარეპარაციო თანხა 8 მლრდ მარკის ოდენობით.

1928 წ. სამრეწველო წარმოება ომამდელთან შედარებით გაიზარდა 8%-ით. სწრაფი ტემპებით განვითარდა მძიმე მრეწველობა. უდიდეს წარმატებებს მიაღწია მანქანათმშენებლობამ, ელექტროტექნიკურმა და ქიმიურმა მრეწველობამ. ათვისებულ იქნა სინთეტიკური ბენზინისა და სინთეტიკური აბრეშუმის წარმოება. წარმოების ორგანიზაციაში დაინერგა ფორდის და ტეილორის მეთოდები, რითაც 40%-ით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გერმანია სამრეწველო წარმოების მოცულობით ევროპაში პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა აშშ-ის შემდეგ.

მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლას თან ახლდა მონოპოლიზაციის პროცესის გაძლიერება. 1925 წ. შექმნილი ქიმიური კონცერნის „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ საწარმოებში იწარმოებოდა გერმანიის სინთეტიკური ბენზინის და საღებავების 100%, აზოტის – 80%, ხელოვნური აბრეშუმის – 25%. რურის ექვსი კონცერნი აკონტროლებდა თუჯის წარმოების 65% და ქვანახშირის მოპოვების 60%. 1925 წ გაკოტრებული სტინესის კონცერნი აღდგენილ იქნა 1926 წ. „ფოლადის ტრესტის“ სახით, რომელიც აკონტროლებდა თუჯის გამოდნობის 43%, ფოლადის და რკინის წარმოების 40%, ჰქონდა 300 საწარმო, სადაც მუშაობდა 200 ათასი მუშა. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ბატონობდა „ელექტრობის საყოველთაო საზოგადოება“. და „სიმენსი“.

20-იანი წლების ბოლოს გერმანიის მრეწველებმა შეძლეს დაებრუნებინათ დაკარგული საერთაშორისო პოზიციები. 1929 წ. გერმანიის ექსპორტმა ომამდელს გადააჭარბა 3 მლრდ. მარკით. 300 საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანებიდან 200-ში მონაწილეობდა გერმანიის საფინანსო კაპიტალი. 1926 წ. გერმანიის ინიციატივით შეიქმნა ევროპის ფოლადის ტრესტი, რომელიც განაგებდა ფოლადის წარმოების 75%.

გერმანიის სამრეწველო ნაწარმმა წარმატებით დაიბრუნა საგარეო ბაზარი. მან მანქანების და მოწყობილობების გატანით გაუსწრო ინგლისს. სავაჭრო ოპერაციების მოცულობა ექსპორტში გაზარდა 17%-ით, იმპორტში კი – 30%-ით.

1930 წ. იანვარში „დაუესის გეგმის“ ნაცვლად შეიმუშავეს ახალი რეპარაციელი „იუნგის გეგმა“, რომელიც დაამტკიცა ჰააგის კონფერენციამ. ეს იყო რეპარაციების ამოღების ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა წლიური გადასახადის მოცულობის შემცირებას და გერმანიის ეკონომიკაზე კონტროლის გაუქმებას. ცვლილება შეეხო რეპარაციის ამოღების წესს. მის ერთადერთ წყაროდ დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტი და მოგება რკინიგზიდან. გაუქმდა მრეწველობის მოგებიდან ანარიცხები.

მორგანის ელექტროტექნიკური ტრესტის პრეზიდენტი ო. იუნგი (ერთერთი ავტორი „დაუესის გეგმისა“) დაინიშნა სარეპარაციო პრობლემების განსახილველი საექსპერტო კომიტეტის

თავმჯდომარედ, რომლის პროექტიც დაედო საფუძვლად „იუნგის გეგმას“. სარეპარაციო თანხა შემცირდა 132 მლრდ. მარკიდან 113,9 მლრდ. მარკამდე. გადახდის ვადა განისაზღვრა 59 წლით. შემცირდა ყოველწლიური გადასახადები. 1931-1934 წწ. გადასახდელი თანხა განისაზღვრა 1 მლრდ. 650 მლნ. მარკით, ხოლო შემდეგი 30 წელი ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადი უნდა გაზრდილიყო 2 მლრდ. მარკამდე. დანარჩენ წლებში შენატანები შემცირდებოდა. შემცირდა ნატურით გადასახადებიც. რეპარაციის ნაწილი განისაზღვრა სამოკავშირეო ვალების დასაფარავად. ამ კატეგორიის თანხები უახლოეს 10 წლიწადში განისაზღვრა 700 მლნ. მარკით.

რეპარაციის მიღების, განაწილების და სამოკავშირეო ვალების ანგარიშსწორებისათვის შეიქმნა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, რომელიც განთავსდა ბაზელში, იგი უზრუნველყოფდა მძიმე მრეწველობისა და სამხედრო წარმოების დაფინანსებას, ამასთანავე განამტკიცებდა ამერიკის პოზიციებს გერმანიაში. აღსანიშნავია, რომ კრიზისი გრძელდებოდა, რაც ამწვავებდა ეკონომიკურ პრობლემებს. ამიტომ იუნგის გეგმის რეალიზაცია სახიფათოდ ცნეს. 30-იანი წლების დასაწყისში მიიღეს გადაწყვეტილებების სერია, რომელიც დაკავშირებული იყო სარეპარაციო გადასახადების რეგლამენტაციასთან. მაგალითად, 1931 წ. ამერიკის პრეზიდენტმა ა. ჰუვერმა წამოაყენა წინადადება, რომ რეპარაციების გადახდა შეეჩერებინათ ერთი წლით. 1932 წ. ლოზანის კონფერენციაზე გადასახადები შემცირდა 3 მლრდ. მარკამდე და მისი გადახდის ვადა განისაზღვრა 15 წლით.

რაც შეეხება ქვეყანაში სოციალურ ვითარებას, პრობლემები კვლავ არსებობდა. 30-იანი წლების დასაწყისისთვის საშუალო ხელფასმა შეადგინა ომამდელის 60-70%, რაც 20%-ით დაბალი იყო საფრანგეთის მუშის და 40%-ით დაბალი ინგლისის მუშის ხელფასზე. ამასთან ერთად სამუშაო დღე 1927 წ. გაიზარდა 10-დან 12 საათამდე. 1924-1929 წწ. უმუშევრობა მერყეოდა 3,5-დან 19 მლნ.-მდე.

ამრიგად, გერმანიის ეკონომიკისათვის 20-იანი წლები თავდაპირველად იყო უდიდესი ნგრევისა და ეროვნული დამცირების, ხოლო შემდგომ კრიზისის თანდათანობით დაძლევისა და

მეურნეობის აღდგენის წლები. 1924-1928 წწ ეკონომიკურ აღმავლობას ხელი შეუწყო: უცხოურმა ინვესტიციებმა და კრედიტებმა, ძირითადი კაპიტალის განახლებამ და წარმოების მოდერნიზაციამ, მონოპოლიზაციამ და საგარეო ბაზარზე გასვლამ.

4. გერმანიის მეურნეობა 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში

1929 წლის ოქტომბერში დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შეეხო გერმანიასაც. გერმანია ყველაზე მეტად დაზარალდა, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები მნიშვნელოვნად იყო დაფუძნებული უცხოეთის კრედიტებზე და ინვესტიციებზე.

სამრეწველო წარმოების დაცემა 1929 წლის ბოლოდან 1932 წ. აგვისტომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირდა 40,6%-ით. ძლიერ დაეცა წარმოება მძიმე მრეწველობაში: 1932 წ. მანქანათმშენებლობის სიმძლავრეები დატვირთული იყო მხოლოდ 27%-ით, სამშენებლო მრეწველობაში – 20%-ით. მკვეთრად დაეცა წარმოება სამთამადნო საქმესა და მეტალურგიაში. ფოლადის გამოდნობა შემცირდა 64,9%-ით, თუჯის – 70,3%-ით, მანქანათმშენებლობის წარმოება – 62,1%-ით, გემთმშენებლობის მოცულობა – 80%-ით. უმოქმედოდ იყო მთლიანად სამრეწველო რაიონები. მაგალითად, 1932 წლის დასაწყისში ზედა სილეზიაში გაჩერდა ყველა ბრძმედი. შეწყდა მშენებლობა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 2,5-ჯერ. 1932 წ. გერმანიის სამრეწველო საწარმოები გამოიყენებდნენ თავისი სიმძლავრეების მხოლოდ 33,4%.

კრიზისის პერიოდში გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. ოფიციალური მონაცემებით 1933 წ. უმუშევართა რაოდენობამ 9 მლნ. კაცს მიაღწია, რაც დაქირავებული მუშახელის ნახევარს შეადგენდა. მათგან მხოლოდ 20% ღებულობდა მიზერულ დახმარებას. უმუშევარნი იყვნენ ხელოსნები, მშენებლები, ვაჭრები, თავისუფალი პროფესიის პირები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ დახმარებას. გარდა ამისა, იყვნენ ნაწილობრივ უმუშევარნი, რომლებიც საწარმოში კვირაში 2-4 დღე მუშაობდნენ, ისინი შრომისუნარიანი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდნენ. 1933 წ. დასაწყისში სამუშაო დაკარგა 60 ათასმა მოსამსახურემ და მოხელემ.

უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი აღმოჩნდნენ, ვინც დარჩა წარმოებაში. ხელფასის საერთო ფონდი 1929-1932 წწ. შემცირდა 20 მლრდ. მარკით, თითქმის ორჯერ. ზოგიერთი მონაცემებით, 1932 წ. გერმანიის მუშათა საშუალო კვირეული გამომუშავება შეადგენდა 21,74 მარკას, მაშინ, როდესაც ოფიციალურად სასიცოცხლო მინიმუმი შეადგენდა 39,05 მარკას. კრიზისის დროს დაზარალდა მოსახლეობის ყველა ფენა. ხელოსნური წარმოების ბრუნვა შემცირდა 1928 წლის 20 მლრდ.-დან 1932 წლის 10,9 მლრდ. მარკამდე, ხოლო წვრილი ვაჭრობის ბრუნვა იმავე პერიოდში 36,3 მლრდ-დან 23 მლრდ. მარკამდე. აღსანიშნავია, რომ ამ ფენის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 5 მლნ. კაცს, ხოლო ოჯახებთან ერთად 12-13 მლნ.-ს.

სამრეწველო კრიზისის გავლენით გაღრმავდა აგრარული კრიზისიც. სოფლის მეურნეობის შემოსავალი დაეცა 30%-ით. სოფლის მეურნეობის დავალიანებამ 1931 შეადგინა კოლოსალური თანხა – 11,8 მლრდ. მარკა. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის დაცემამ შეზღუდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება, ამას დაემატა ის, რომ ქვეყანაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია მარცვლეულის მოსავლის ზრდა. სახელმწიფო დოტაციას ძირითადად მსხვილი იუნკრული მეურნეობანი ღებულობდნენ. 5 მლნ.-ზე მეტი წვრილი მეურნეობა (მთელ მეურნეობათა 77,8%, 9,5% მიწის ფართობით), რომლებიც ეწეოდნენ მეცხოველეობას, არ აწარმოებდნენ მარცვლეულს, ამიტომ იძულებულნი იყვნენ პური და პირუტყვის საკვები ეყიდათ, რასაც ისინი გაკოტრებამდე მიჰყავდა. 1932 წ. გაიყიდა 560 ათასი ჰა ფართობის გლეხთა მიწები.

1930 წ. გაზაფხულზე შექმნილი ბრიუნინგის მთავრობა შეეცადა კრიზისის დაძლევას, მოახდინა სოციალური დაზღვევის სისტემის ლიკვიდაცია, შემოიღო ახალი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, გაზარდა ბაჟები სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის შემოტანაზე და ა.შ. 1931 წ. დეკემბრიდან შემცირდა დახმარება უმუშევრებზე, პენსიები და სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასები. ხელფასები შემცირდა 10-15%-ით. ამავდროულად შეზღუდეს მოსახლეობის დემოკრატიული უფლებები, რეიხსტაგმა ისინი თანდათანობით ჩამოაშორა სახელმწიფო საქმეებს და ქვეყანის მართვის სადავეები იმ მცირერიცხოვანი ჯგუფების ხელში გადავიდა, რომლებიც სამხედრო მოხელეთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დამანგრეველი შედეგები გერმანიის ეკონომიკისათვის იყო კატასტროფული. თითქმის განახევრდა სამრეწველო წარმოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოება შემცირდა 31%-ით. გერმანიის წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში შემცირდა 1928 წლის 14,6%-დან 1932 წლის 8,9%-მდე. გერმანიის ექსპორტი შემცირდა 58%-ით. მხოლოდ მუშათა მესამედს ჰქონდა სრული სამუშაო კვირა. კრიზისის პერიოდში მრეწველობა დატვირთული იყო მხოლოდ 35,7%-ით. 1932 წელს მუშების საშუალო კვირეული ხელფასი 47%-ით ნაკლები იყო, ვიდრე 1929 წელს. გერმანია გადაიქცა სიღარიბის, უმუშევრობის, ქრონიკული შიმშილის, უიმედობის და მილიონობით სასოწარკვეთილი ადამიანის ქვეყნად.

კრიზისის პერიოდში გერმანიის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ იგი გადატვირთული იყო ვალებითა და სარეპარტაციო გადახდებით, ამასთანავე კრიზისის პერიოდში შეწყდა უცხოეთის კაპიტალის ნაკადი, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა გერმანიის მრეწველობის აღორძინებაში.

5. გერმანიის ფაშისტური ხელისუფლება და მისი ეკონომიკური პოლიტიკა

გერმანიაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებამ გამოიწვია პოლიტიკური სისტემის კრახიც. მემარჯვენე ეკონომიკური და პოლიტიკური წრეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს დემოკრატიული მეთოდებით მართვა უპერსპექტივოა. რეიხსტაგმა უკანა პლანზე დაიხია და მთელმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის სახახლეში გადაინაცვლა. პრეზიდენტმა პ. ჰინდენბურგმა და მისმა წრემ რევანში დაისახეს მიზნად.

1933 წლის 30 იანვარს ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა რეიხსკანცლერად დანიშნა ჰიტლერი. ჰიტლერი თანდათან პოპულარული ხდებოდა, ვინაიდან ის გერმანელ ხალხს პირდებოდა არა მარტო „ნათელი წარსულის“ დაბრუნებას, არამედ უფრო „ნათელ მომავალს“, უპირველესად კი საყოველთაო საერთო დასაქმებას, წესრიგს ქვეყანაში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სასიცოცხლო სივრცის გაფართოებას, სიმდიდრეს და „დაბალ“ რასაზე ბატონობას. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლიდან გერმანიაში დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. მისი არსი იყო სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა, ასევე ეკონომიკის მაქსიმალური ცენტრალიზაცია ფაშისტური პარტიის, სახელმწიფოსა და საფინანსო-სამრეწველო ელიტის ხელში.

ჰიტლერმა წამოაყენა ლოზუნგი „ზარბაზნები კარაქის ნაცვლად“. ფაშისტები ცდილობდნენ ხალხი ბრმა იარაღად გადაექციათ. გერმანელებს, განსაკუთრებით ჯარისკაცებს, ჩააგონებდნენ: „იფიქრე მუდამ ფიურერზე, დაე სხვა აზრები ნუ შეგაშფოთებს, იცოდე, იგი შენს მაგივრად ფიქრობს და წყვეტს“. ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ ისეთ ახალგაზრდობას გამოვზრდით, რომლის წინაშეც მსოფლიო აცახცახდება. მე მსურს მის გამოხედვაში მტაცებელი მხეცის ელვარებას ვხედავდე“. ჰიტლერი ფაშისტებს „დაბალი რასის“ მილიონობით ადამიანის გაწყვეტისაკენ მოუწოდებდა და პირდებოდა: ხვალ შენს წინაშე მთელი მსოფლიო დაიჩოქებსო. ხელისუფლების სათავეში ფაშისტების მოსვლით გერმანია კვლავ ომის კერად იქცა.

1933 წ. 1 თებერვალს ვადამდე დაშალეს პარლამენტი და 5 მარტს დანიშნეს ხელახალი არჩევნები. ფაშისტებს რეიხსტაგში უმრავლესობის მოპოვება სურდათ. 20 თებერვალს გერინგი უმსხვილესი მრეწველების წრეში მონოპოლისტებს არწმუნებდა, რომ თუ არჩევნებში მხარს ფაშისტებს დაუჭერდნენ, ეს იქნებოდა უკანასკნელი არჩევნები 10 წლის და შეიძლება 100 წლის განმავლობაშიც კი. მონოპოლისტებმა მხარი დაუჭირეს ფაშისტებს არა მხოლოდ მორალურად, არამედ ფინანსურადაც.

მათ მხარდასაჭერად ორგანიზებულ იქნა მიტინგები, დემონსტრაციები. 27 და 28 თებერვალს ღამით პოლიტიკური მოწინააღმდეგეების – კომუნისტების სახელის გატეხვის მიზნით გადაწვეს რეიხსტაგი. დააპატიმრეს 10 ათასი კაცი.

რეიხსტაგის დაწვის მეორე დღეს პრეზიდენტმა საგანგებო დეკრეტით გააუქმა მნიშვნელოვანი დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება: აკრძალა კომუნისტური და სოციალურ-დემოკრატიული მასალების ბეჭდვა, პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება, კრებები. მიუხედავად ტერორის, დემაგოგიის და საარჩევნო მაქინაციებისა, ფაშისტების წინააღმდეგ ხმა 22 მლნ-მა ამომრჩეველმა, ე.ი. ნახევარზე მეტმა მისცა. კომუნისტების მიერ მიღებული 81 მანდატის უკანონოდ გამოცხადებით ფაშისტებმა მიიღეს „უმრავლესობა“ რეიხსტაგში. 1933 წ. 24 მარტს ახალმა პარლამენტმა ჰიტლერის მთავრობას მიანიჭა საგანგებო უფლებამოსილება და ფაქტიურად გააუქმა ვეიმარის კონსტიტუცია.

ფაშისტების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო საყოველთაო მილიტარიზაცია.

1933 წ. ივნისში ეკონომიკის სამინისტროსთან ორგანიზებულ იქნა გერმანიის ეკონომიკის გენერალური საბჭო, რომელმაც დასახა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. მასში შედიოდნენ 12 უმსხვილესი მონოპოლიის წარმომადგენლები – კრუპი, ტისსენი, ფეგლერი, ფლიკი და სხვ., ასევე ფაშისტური ბიუროკრატიის 5 წარმომადგენელი. 1934 წ. გამოიცა დეკრეტი შრომითი ფრონტის შესახებ, რომელმაც აკრძალა გაფიცვები და მუშის ერთიდან მეორე საწარმოში გადასვლა, გაუქმდა კოლექტიური ხელშეკრულებები, ხოლო საწარმოთა ხელმძღვანელობამ მიიღო დიქტატორული უფლებამოსილება. ოფიციალურად დაიწყეს იძულებითი შრომის სისტემის დამკვიდრება.

ამავდროულად განხორციელდა წარმოების იძულებითი კონცენტრაცია, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი მონოპოლისტებისათვის. 1933 წ. მიიღეს კანონი იძულებითი სინდიცირების შესახებ, რომლის შესაბამისად ცალკეული საწარმოები უნდა შესულიყვნენ არსებულ კარტელებსა და სინდიკატებში. ეს ტენდენცია 1934 წელს განამტკიცეს კანონით, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო იმგვარი მეურნეობა, სადაც

სავალდებულო იქნებოდა საწარმოების გაერთიანება დარგობრივი და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

შეიქმნა საწარმოო-სამეურნეო ორგანიზაცია, რომელიც იყოფოდა მრეწველობის, ენერგეტიკის, ვაჭრობის, სარეწების, საბანკო და სადაზღვევო საქმის ექვს საიმპერიო ჯგუფად. დარგობრივთან ერთად შეიქმნა მმართველობის რეგიონული სტრუქტურა: მთელი გერმანია დაიყო 18 სამეურნეო ოლქად.

ეკონომიკის ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდი გახდა პირდაპირი ადმინისტრაციული დიქტატი. მაგალითად, სააქციო საზოგადოებების რეფორმით ლიკვიდირებულ იქნა ყველა ის საზოგადოება, რომელსაც 100 ათას მარკაზე ნაკლები კაპიტალი ჰქონდა, ხოლო ახალი სააქციო საზოგადოების შექმნა შესაძლებელი იყო, თუ მისი კაპიტალი იყო 500 ათასი მარკა და მეტი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გერმანიის ეკონომიკის მილიტარიზაცია. 1936 წ. სექტემბერში დაამტკიცეს ეკონომიკური რესურსების მობილიზაციის, დეფიციტური მასალებისა და სამხედრო შეიარაღების დიდძალი მარაგის შექმნის პირველი ოთხწლიანი გეგმა. გერმანელი მონოპოლისტები მილიტარიზაციაში ხედავდნენ კრიზისიდან გამოსავალს, ხოლო 1940 წლის ბოლოდან დაიწყო მეორე ოთხწლიანი გეგმის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა მატერიალური რესურსის ტოტალურ მობილიზაციას სამხედრო მრეწველობის სწრაფი განვითარებისათვის.

გააფართოეს რკინის მადნის მოპოვება და მისი იმპორტი შვედეთიდან, ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ლუქსემბურგიდან, საფრანგეთიდან და მისი კოლონიებიდან, რამაც გერმანიას მისცა შესაძლებლობა 1938 წ. გამოედნო 23,3 მლნ. ტ ფოლადი და ამ მაჩვენებლით ევროპაში პირველ ადგილზე გამოსულიყო. გარდა ამისა, საზღვარგარეთიდან შეისყიდიდნენ ნიკელს, კალას, ვოლფრამს, მოლიბდენს, ქრომს, პლატინას, ბოქსიტებს. 1933-1938 წწ. ბოქსიტების შემოტანა გაიზარდა 5-ჯერ, 1939 წ. ალუმინის გამოდნობამ გერმანიაში მიაღწია მსოფლიო წარმოების 30%-ს, ამ მაჩვენებლით გერმანიამ გადაინაცვლა პირველ ადგილზე. გაიზარდა ნავთობპროდუქტების, სინთეტიკური კაუჩუკის, ავტომობილების, დაზგების წარმოება. გერმა-

ნიამ ომისათვის შექმნა ძლიერი ბაზა, თანაც ისარგებლა იმავე ქვეყნების რესურსებით, რომლებთანაც ომს აპირებდა. გერმანიის ეკონომიკაში უდიდეს ინვესტიციებს აბანდებდა აშშ. აუშენა მეტალურგიული ქარხნები, აშშ-ის კორპორაციები გერმანიას უზიარებდნენ ტექნოლოგიურ საიდუმლოებს, როგორიცაა: კაუჩუკის წარმოება, რადიოდანადგარები, დიზელის ძრავის მოწყობილობანი. ამასთანავე ამერიკის ქარხნები ფაშისტურ არმიას ამარაგებდნენ ავტომობილებით.

უმსხვილესი მონოპოლიების კოლოსალური გამდიდრების წყარო გახდა სახელმწიფო შეკვეთები. კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ საერთო შემოსავალი 1932 წ. შეადგენდა 48 მლნ. მარკას, 1939 წ. გაიზარდა 363 მლნ. მარკამდე, კრუპის კონცერნისა – 118 მლნ. მარკიდან 395 მლნ. მარკამდე. გერინგი გახდა უმსხვილესი მონოპოლისტი, რომლის საწარმოებში 600 ათასი კაცი მუშაობდა. თვითონ ჰიტლერი გახდა ბეჭდვითი გამომცემლობის მფლობელი, მან გამოსცა საკუთარი ნაშრომი – „ჩემი ბრძოლა“, რომლის იძულებითი გავრცელებითაც 4 მლნ. დოლარი შემოსავალი მიიღო.

ეკონომიკის მილიტარიზაციამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა და წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. ამავე დროს მსუბუქი მრეწველობის წარმოების მოცულობა შემცირდა. წინმსწრები ტემპებით გაიზარდა სამხედრო ტექნიკის – თვითმფრინავების, ტანკების, არტილერიის გამოშვება. მძიმე და სამხედრო მრეწველობისკენ იყო მიმართული მთელი ინვესტიციების 3/5. ამ დარგებს პრიორიტეტულად აკრედიტებდნენ, ამარაგებდნენ ნედლეულითა და სამუშაო ძალით, რის შედეგადაც მძიმე მრეწველობამ 1934 წ. მიაღწია კრიზისამდელ დონეს, ხოლო 1939 წ. 50%-ით გადააჭარბა მას. 1932-1938 წწ. სამხედრო წარმოება და ხარჯები შეიარაღებაზე გაიზარდა 10-ჯერ. ომის დაწყების წინ შეიარაღების ხარჯებმა შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის 58%.

1937 წ. მუშაობა დაიწყო 300-ზე მეტმა სამხედრო ქარხანამ, მათ შორის იყო 60 საავიაციო, 45 საავტომობილო და სატანკო, 70 ქიმიური, 15 სამხედრო-გემთმშენებელი და სხვ. თუ 1931 წ. გერმანია უშვებდა 13 თვითმფრინავს, 1933 წ. ეს რაოდენობა 368-მდე, ხოლო 1939 წ. – 8295-მდე გაიზარდა.

უდიდესი სამხედრო ხარჯების დასაფინანსებლად ჰიტლერელებმა სამჯერ გაზარდეს მშრომელთა გადასახადები, შეზღუდეს სურსათისა და სამრეწველო საქონლის მოხმარება. ლოზუნგმა – „ზარბაზნები კარაქის ნაცვლად“ რეალური ახრი შეიძინა. აიკრძალა ინვესტიციები სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ დარგებში, რომელთა წარმოებამ ომის დასაწყისისთვისაც ვერ მიაღწია 1928 წ დონეს.

წარმოებაში თანდათანობით დაიწყო იძულებითი შრომის შემოღება. 1935 წ. შემოიღეს შრომითი ვალდებულება 18-25 წლამდე ახალგაზრდებზე, 1938 წ. იგი გახდა საყოველთაო. უკვე 1934 წ. მუშა-მელითონეებს აუკრძალეს სამუშაოს შეცვლა, ხოლო 1935 წ. აღრიცხვის და მობილიზაციის მიზნით შემოიღეს სპეციალური მუშათა ბილეთები და სამუშაო დღე გააგრძელეს 10-14 სთ-მდე. მილიონობით ადამიანი თითქმის უფასოდ შრომობდა აეროდრომების, ავტოსტრადების, ყაზარმების მშენებლობაზე და სამხედრო საწარმოებში.

1933 წ. მოხდა სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციაც. ომის დასაწყისისათვის აგრარული პოლიტიკა მიმართული იყო სასურსათო რეზერვების შესაქმნელად. შემოიღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო მიწოდების სისტემა, ლიკვიდირებულ იქნა სოფლის მუშაკთა პროფკავშირები. 1939 წ. გამოცემული კანონით „სამემკვიდრეო კომლის შესახებ“, მეურნეობა 7,5-დან 125 ჰა-მდე გაათავისუფლეს სამემკვიდრეო და საანდგილმამულო გადასახადებისგან. ასეთი მეურნეობები მემკვიდრეობით გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს. 1941 წლისათვის შექმნილი იყო 730 ათასი სამემკვიდრეო მამული, რაც შეადგენდა მეურნეობათა საერთო რაოდენობის 1/10-ს.

კანონით სოფლის მეურნეობა გაიყო გლეხებად და სოფლის მეურნეებად. გლეხის სახელწოდების უფლება მიიღო მხოლოდ ეგრეთ წოდებული არიული წარმოშობის სამემკვიდრეო მამულის მფლობელებმა. იმის გამო, რომ გლეხის მამული სამემკვიდრეოდ გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს, დანარჩენ შვილებს თავად არმიის რიგებში იარაღით ხელში უნდა დაეპყროთ ახალი მიწები და მოეპოვებინათ „სასიცოცხლო სივრცე“.

სოფლის მეურნეებს, რომლებიც ფლობდნენ მიწის მცირე ნაკვეთებს, დააწვათ ომისათვის სასურსათო მარაგის დამზა-

დების ვალდებულების მთელი სიმძიმე. მათ განსაზღვრული ჰქონდათ, თუ რა უნდა დაეთესათ, რამდენი ჩაებარებინათ და რა ფასად. ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ გაეყიდათ ქათამიც კი, ამის შედეგად 1933-1939 წწ. დაახლოებით მილიონნახევარი სოფლის მეურნე გაკოტრდა და გაჩანაგდა.

1938 წ. გერმანია გახდა მძლავრი სამხედრო სახელმწიფო. სამრეწველო წარმოებით იგი ევროპაში პირველ და მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა, გერმანიის ეკონომიკა ორიენტირებული იყო მხოლოდ სამხედრო დაკვეთებზე. ლიკვიდირებული იქნა მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებები, დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. გერმანიის მილიტარიზმი ამზადებდა კატასტროფას პლანეტის მასშტაბით. ჰიტლერელებმა გააუქმეს ვერსალის ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც ზღუდავდნენ გერმანიის შეიარაღებას. შემდეგ კი ისარგებლეს იმით, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის მმართველი წრეები განგებ ხუჭავდნენ თვალს ჰიტლერელთა მოქმედებაზე და მეტიც, ეხმარებოდნენ კიდეც.

წინააღმდეგობებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო ფაშისტური და მილიტარისტული ქვეყნების – გერმანიის, იტალიის და იაპონიის დამპყრობლურ მისწრაფებებთან, აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ს შორის ურთიერთობის გამწვავებამ თანდათანობით გამოიწვია მსოფლიოში ომის სამი კერის წარმოშობა.

პირველი კერა წარმოიშვა აღმოსავლეთ აზიაში. აქ აგრესორად გამოვიდა იაპონია, რომელსაც სურდა დაეპყრო მანჯურია, შეეღწია მონღოლეთში, დაექვემდებარებინა ჩინეთი და ხელში ჩაეგდო მისი რესურსები, დაეპყრო ინდოეთი და შემდეგ მთელი სამრეთ-აღმოსავლეთი აზია.

მეორე კერა წარმოიშვა ევროპაში. გერმანია, რომელმაც ინგლისისა და აშშ-ის მხარდაჭერით და ფინანსური დახმარებით აღადგინა ქვეყნის სამხედრო მანქანა, სარგებლობდა რა დასავლეთის სახელმწიფოებს შორის უთანხმოებით, ცდილობდა კიდევ უფრო გაემწვავებინა ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ემზადებოდა ომისათვის, როგორც ევროპის ქვეყნების, ასევე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ომის მესამე კერა წარმოიშვა აფრიკაში, კერძოდ, ეთიოპიაში იტალიის აგრესიიასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთი აფრიკა გახდა იტალიელი ფაშისტების დარტყმის ობიექტი. იტალიის ეთიოპიაში შეჭრა დარტყმას მიაყენებდა ინგლისს. ამასთანავე საფრთხე შეექმნებოდა ევროპიდან ინდოეთისა და აზიის ქვეყნებისაკენ მიმავალ გზებსაც.

1937 წ ნოემბერში გაფორმდა გერმანიის, იაპონიის და იტალიის სამთა ბლოკის (ე. წ. ანტიკომინტერნული პაქტი). ამის შემდეგ გერმანიამ სრულად დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების ვალდებულებები. ანტიკომინტერნული პაქტით სამთა ბლოკი ცდილობდა დასავლეთის სახელმწიფოების ყურადღება გადაეტანათ სხვა მიმართულებით, თითქოს ისინი იბრძოდნენ სსრ კავშირისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. სინამდვილეში პაქტის მონაწილე ქვეყნების მიზანი იყო თავდაპირველად ევროპის დაპყრობა და დანაწილება, შემდეგ კი ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის სამფლობელოების მიტაცებას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

გერმანია მოითხოვდა რა „სასიცოცხლო სივრცეს“ და კოლონიებს, აშშ და ინგლისი ცდილობდნენ გერმანიის ეს მისწრაფება მიემართათ საბჭოთა კავშირისკენ, რაც წარმოადგენდა ამ ქვეყნების მემარჯვენე წრეების მიერ 1938 წ. სექტემბერში შემუშავებული მიუნჰენის პოლიტიკის საფუძველს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ გერმანია და მისი მოკავშირე იაპონია გააჩაღებდნენ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ და მებრძოლი ქვეყნები ერთმანეთს დაასუსტებდნენ. ამის შემდეგ ახალი ძალებით სცენაზე გამოვიდოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ ნებას დაუქვემდებარებდნენ მთავარ კონკურენტებს მსოფლიო ბაზარზე – გერმანიას და იაპონიას და გაანადგურებდნენ სსრ კავშირს. მათ დაუთმეს გერმანიას ავსტრია და გასაგლეჯად მიუგდეს ჩეხოსლოვაკია (მიუნჰენის შეთანხმებით, ჯერ დაანაწილეს, ხოლო 1939 წ. მთლიანად დაიპყრეს ჩეხოსლოვაკია). 1939 წ. 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ამით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

თემა 17. ინგლისის ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება მსოფლიო ომებსშორის პერიოდში

1. პირველი მსოფლიო ომის გავლენა ინგლისის ეკონომიკაზე. ეკონომიკის შეჩერება ომისშემდგომ პირველ ათწლეულში

პირველმა მსოფლიო ომმა ინგლისის ეკონომიკაზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა ერთერთ გამარჯვებულ ქვეყანას. ომში დაიღუპა 750 ათასი კაცი, ხოლო 1,7 მლნ. დაიჭრა. ომის პერიოდში ინგლისმა დაკარგა სავაჭრო ფლოტის 40%, სამხედრო საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი, ეროვნული სიმდიდრის ნახევარი, კაპიტალდაბანდებანი რუსეთში და სესხი, რაც მისგან ჰქონდა აღებული რუსეთს. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება დაეცა 20%-ით. მთლიანად შეწყდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ომის წლებში ინგლისის მრეწველობა უთანაბროდ ვითარდებოდა: ძველ, ტრადიციულ დარგებში წარმოება შემცირდა სამუშაო ძალის არმიაში და სამხედრო საწარმოებში გაწვევის, ნედლეულის ნაკლებობისა და მოწყობილობათა ცვეთის გამო. წარმოების ზრდა ომის წლებში მიმდინარეობდა მრეწველობის ახალი დარგების გაფართოების ხარჯზე, როგორიცაა: საავტომობილო, ქიმიური, საავიაციო, იარაღის დამამზადებელი, ფოლადჩამომსხმელი, რომელიც ლითონით ამარაგებდა სამხედრო ქარხნებს. მკვეთრად გაუარესდა საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა. თითქმის ორჯერ შემცირდა ინგლისური საქონლის ექსპორტი, ხოლო იმპორტი პირიქით გაიზარდა ორჯერ. ამან კი გაზარდა საგარეო დავალიანება.

ომის საერთო ხარჯებმა შეადგინა 10 მლრდ. გირვ. სტერლინგზე მეტი, გადასახადები 6-ჯერ გაიზარდა, რის შედეგადაც დაიფარა სამხედრო ხარჯების მესამედი, დანარჩენი ხარჯები იფარებოდა საშინაო და საგარეო სამხედრო სესხებით, ამან კი

გამოიწვია სახელმწიფო ვალების ზრდა. ინგლისის საშინაო ვალი გაიზარდა 10-ჯერ, 1913 წლის 645 მლნ.-დან 1919 წლის 6,6 მლრდ. გირ. სტერლინგამდე. საგარეო ვალმა ომის ბოლოს 1150 მლნ. გირ. სტერლინგს მიაღწია, რომლის დიდი ნაწილი – 850 მლნ. გირ. სტერლინგი, მოდიოდა აშშ-ზე. ამრიგად, ინგლისი კრედიტორიდან მოვალე ქვეყნად გადაიქცა. საზღვარგარეთ სამრეწველო მონოპოლიის დაკარგვასთან ერთად დაკარგა მსოფლიო ფინანსური ცენტრის როლიც. მსოფლიო ფინანსურმა ცენტრმა ლონდონიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა.

ომის მსვლელობისას დაირღვა ინგლისის ტრადიციული საგარეო კავშირებიც. მას არ შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი ეკონომიკური პოზიციები აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში, საიდანაც იგი აშშ-ისა და იაპონიის კაპიტალმა გამოდევნა.

რუსეთის ამოვარდნამ კაპიტალისტური სისტემიდან ინგლისს დააკარგვინა ერთერთი მსხვილი საგარეო ბაზარი. ინგლისის კაპიტალი დიდ როლს თამაშობდა რუსეთის სამთამადნო, ნახშირის, ოქროს, ნავთობმომპოვებელ და მრეწველობის სხვა დარგებში. რუსეთში ნავთობის მოპოვების თითქმის ნახევარს აკონტროლებდა ინგლის–საფრანგეთის კაპიტალი. მეფის რუსეთში არსებული სააქციო საზოგადოებების უცხოური კაპიტალიდან ინგლისს ეკუთვნოდა 507,5 მლნ. მანეთი, ანუ 22,66%. ინგლისმა რუსეთის სახით დაკარგა სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზარი და ნედლეულისა და სურსათის იმპორტის წყარო. აქედან გამომდინარე, მას სერიოზული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა რუსეთში. ინგლისმა საფრანგეთთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო უცხოეთის ინტერვენციის გაჩაღებაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა უშედეგოდ.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად პარიზის კონფერენციით ინგლისის კოლონიური სამფლობელოები გაიზარდა 2,6 მლნ. კვ. კმ., 9 მლნ მოსახლეობით. ინგლისის კონტროლის ქვეშ მოექცა გერმანიის მთელი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, თითქმის მთელი ტანგანიკა, ტოგოს 1/3, კამერუნის და ახალი გვინეის ნაწილი, სოლომონის კუნძული, მესოპოტამია, ტრანსიორდანია, პალესტინა და სხვა მიწები. ამან შესაძლებლობა მისცა ინგლისს გაეფართოებინა კოლონიური ექსპლოატაციის მასშტაბები, გა-

ეუმჯობესებინა ქვეყნის ნედლეულით და სურსათით მომარაგება. ვერსალის ხელშეკრულებით ინგლისს წილად ხვდა იმ რეპარაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც გერმანია გამარჯვებულ ქვეყნებს უხდიდა. და რაც მთავარია გერმანია, როგორც კონკურენტი, დიდი ხნით ჩამოშორდა მსოფლიო ბაზარს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ის ზეგავლენით ინგლისმა დაკარგა სამხედრო-საზღვაო მონოპოლია.

პირველი მსოფლიო ომის შედეგები ინგლისისათვის იყო საკმაოდ წინააღმდეგობრივი, რამაც გამოიწვია ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება ომისშემდგომ წლებში, თუმცა ომის დამთავრებისთანავე იყო ხანმოკლე გამოცოცხლება, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის შიგნით სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნილების მკვეთრი ამაღლებით და აღდგენითი სამუშაოებით, რასაც ეწეოდნენ ომის მონაწილე ქვეყნები. ამავე დროს სახელმწიფოს უდიდესი დანახარჯები ჰქონდა დემობილიზებული ჯარისკაცების, სამხედრო მეზღვაურების, სამხედრო ქარხნების სამუშაოს გარეშე დარჩენილი მუშების დასახმარებლად.

მთავრობის მთავარი ამოცანა იყო ეკონომიკის გადაყვანა სამშვიდობო ყაიდაზე. ლიკვიდირებული იქნა ომის დროს შექმნილი სახელმწიფო კონტროლის ყველა ორგანო, მხოლოდ 1921 წ. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რკინიგზაზე კონტროლის ნაწილობრივი აღდგენის შესახებ. ამ მიზნით სარკინიგზო კომპანიები გააერთიანეს ოთხ რეგიონულ ჯგუფში.

რამდენადმე გაფართოვდა სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია. მთავრობა მონაწილეობდა უმუშევართა დასახმარებელ პროგრამაში, საცხოვრებლების მშენებლობებში, სახალხო განათლების სისტემის განვითარებაში. მაგ., 1918 წ. მიიღეს განათლების მინისტრის – ფიშერის მიერ შემუშავებული კანონი სახალხო განათლების სისტემის რეფორმირების შესახებ, რომლითაც დაკანონდა 14 წლამდე ასაკის ბავშვთა სავალდებულო სწავლება. უფასო გახდა დაწყებითი განათლება.

1919-1920 წწ. სავაჭრო-სამრეწველო გამოცოცხლებამ გამოიწვია ინგლისის მრეწველობის რიგი დარგების პროდუქციის გამოშვების ზრდა და საგარეო ვაჭრობის გაფართოება ამ წლებში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 8,1%-ით, ფოლადის

15,2%-ით, გემთმშენებლობა – 25,4%-ით, ექსპორტი – 38,1%-ით. ომის პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა, მაგრამ იგი 10%-ით, ხოლო ექსპორტი 30%-ით ჩამორჩებოდა 1913 წლის დონეს.

ინგლისის ეკონომიკური განვითარება ორ მსოფლიო ომს შორის ხასიათდებოდა ქრონიკული დეპრესიით. ინგლისი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ვერ შეძლო მეურნეობის სრულად აღდგენა 20-იანი წლების პერიოდში.

სამრეწველო პროდუქციის საერთო ინდექსმა 1924 წელს 1913 წელთან შედარებით შეადგინა 91%. ეს ტენდენცია შეინიშნებოდა შემდგომ წლებშიც. ინგლისმა სამრეწველო პროდუქციის გამოშვებით 1929 წ. ძლივს მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო კაპიტალის ექსპორტით – 1930 წ. ინგლისის მრეწველობა „ტკეპნიდა“ ერთ ადგილზე.

20-იანი წლების მეორე ნახევარში სწრაფი ტემპით განვითარდა ახალი – საავტომობილო, საავიაციო, ძრავების მშენებლობის, ქიმიური და ელექტროტექნიკური დარგები. თუმცა ამ დარგების წარმოების მოცულობის წილი მთლიანად სამრეწველო წარმოების მოცულობაში 10%-ს ძლივს აღწევდა.

ბრიტანეთის ინდუსტრიის ძველ დარგებშიც შენელდა განვითარება. მაგ., 1928 წ. ინგლისში ნახშირის მოპოვება 1913 წ.-თან შედარებით 17%-ით შემცირდა, მაშინ, როდესაც მსოფლიო მოპოვება გაიზარდა 6%-ით, ამავე პერიოდში ინგლისში თუჯის გამოდნობა დაეცა 55%-ით, ხოლო მთელ მსოფლიოში გაიზარდა 12%-ით. შემცირდა საფეიქრო მრეწველობის წარმოება, ინგლისის წილი მსოფლიოში არსებული თითისტრების რაოდენობაში შემცირდა 39-დან 34%-მდე, შავი მეტალურგიის საწარმოები სანახევროდ იყო დატვირთული. იგივე ვითარება იყო გემთმშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, რაც უმუშევრობის ზრდას იწვევდა.

ინგლისის მონოპოლისტები საკუთარი საწარმოების რეკონსტრუქციას არ ჩქარობდნენ, ვინაიდან ისინი გამდიდრებას ცდილობდნენ საზღვარგარეთ კაპიტალის გატანით, დამოკიდებულ ქვეყნებთან არაექვივალენტური გაცვლით და სხვ. ინგლისის ბევრ საწარმოში გამოიყენებდნენ მოძველებულ, უკვე სამუზეუმო ექსპონატად ქცეულ მანქანებს.

ინგლისის ეკონომიკა განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1920-1929 წწ. მსოფლიოში ინგლისის სამრეწველო წარმოების წილმა შეადგინა 9,8%, ხოლო 1913 წ. იგი უდრიდა 14,8%-ს. დაეცა ინგლისის წილი მსოფლიო ექსპორტში: 1911-1913 წწ. ინგლისის წილი შეადგენდა 15,2%-ს, ხოლო 1926-1928 წწ. – 12,5%.

ტექნიკური ჩამორჩენილობა განაპირობებდა ინგლისური საქონლის კონკურენტუნარიანობის დაცემას. საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობაში ინგლისი განიცდიდა იაპონიის, ხოლო ნახშირის გასაღებაში – გერმანიისა და პოლონეთის კონკურენციას. აშშ კი ინგლისს ავიწროვებდა ახალი დარგების პროდუქციის ექსპორტში.

ინგლისელი მრეწველები გამოსავალს პოულობდნენ ძვირადღირებული ნაწარმის გამოშვებაში, რომელიც მოითხოვდა მაღალი კვალიფიკაციის შრომას. ისეთი საქონელი, როგორიცაა ქსოვილი, ფეხსაცმელი, მანქანები, ჩარხები, ავტომობილები, მოტოციკლები, თვითმფრინავები, პირადი იარაღი და სხვა მაღალი ხარისხის საქონელი გამოირჩეოდა ამერიკის და გერმანიის საქონლისაგან და კარგად იყიდებოდა. მაგრამ საექსპორტო პოზიციების მდგრადობა დამოკიდებული იყო მასობრივი, ნაკადური წარმოების დანერგვაზე, რაც მკვეთრად შეამცირებდა ხარჯებს. ამ სფეროში კი ინგლისი მკვეთრად ჩამორჩებოდა კონკურენტ ქვეყნებს.

ინგლისის ექსპორტზე გაავლენა იქონია მთავრობის წინდაუხედავმა საფინანსო პოლიტიკამ. ინგლისს სურდა რა დაებრუნებინა მსოფლიო ბანკირის პოზიციები და განემტკიცებინა ეროვნული ვალუტის ავტორიტეტი 1925 წ. შემოიღო ოქროს სტანდარტი, გაადიდა გირვანქა სტერლინგის ღირებულება. სხვა ვალუტასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა გირ. სტერლინგის კურსი. მან გაამყარა ბანკირთა პოზიციები, მაგრამ დიდი დარტყმა მიაყენა მრეწველებს, რომლებიც თავის საქონელს საზღვარგარეთ ყიდიდნენ გაუფასურებული უცხოური ვალუტით. ინგლისური საქონელი იყიდებოდა თითქმის 12%-ით ძვირად.

ინგლისის ექსპორტის განვითარება შეაფერხა მსოფლიო ვაჭრობაში პროტექციონისტული ტენდენციის ჭარბობაში, კოლონიებში და დომინიონებში საკუთარი წარმოების გაზრდამ.

მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ ინგლისის ნედლეულით და სურსათით მომარაგება დიდად იყო დამოკიდებული იმპორტზე. 20-იანი წლების შუახანებში მთელი მოხმარებული ბამბა, შალის 9/10, რკინის მადნის 2/3 და სასურსათო საქონლის 60% შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. 1924-1929 წწ. იმპორტმა ერთნახევარჯერ გადააჭარბა ექსპორტს. სავაჭრო ბალანსი იყო პასიური, რომლის დაფარვაც ხდებოდა ე.წ. „უხილავი ექსპორტიდან“ შემოსავლებით (შემოსავლები უცხოური ინვესტიციებიდან, საშუამავლო საფინანსო ოპერაციებიდან, ნაოსნობიდან).

ომისშემდგომ ათწლეულში ინგლისის მრეწველობაში ძლიერდება მონოპოლიების პოზიციები, მაგრამ ქრონიკული დეპრესიის პირობებში მონოპოლიზაციის ძირითადი ფორმა გახდა არა მარტო კაპიტალის კონცენტრაცია, არამედ მისი ცენტრალიზაცია. 20-იან წლებში შეიქმნა ხუთი უმსხვილესი კონცერნი: ფოლადის – „ინგლიშ სტილ კორპორეიშნი“, მრავალდარგოვანი „იმპერიალ ქემიკალ ინდასტრიზ“, სამხედრო-მეტალურგიული „ვიკერს-არმსტრონგი“, ქიმიური „იუნილეივერ“ და ა.შ. ეს მონოპოლიური გაერთიანებანი აკონტროლებდნენ სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს. თუმცა მრეწველობის კონცენტრაციით ინგლისი ჩამორჩებოდა გერმანიას და განსაკუთრებით აშშ-ს.

ამრიგად, ომისშემდგომ პირველ ათწლეულში ინგლისის ეკონომიკა რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. ეს განპირობებული იყო ერთის მხრივ ინგლისის ბურჟუაზიის ძირითადი მასის მიერ ეკონომიკური განვითარების ძველი, ტრადიციად ქცეული ტენდენციის – კოლონიის ხარჯზე ცხოვრების მხარდაჭერით, რომელთაც არ სურდათ მსხვილი თანხების დაბანდება საკუთარი ეკონომიკის განვითარებისათვის. მეორეს მხრივ, უფრო ახალგაზრდა და ენერგიულ სახელმწიფოთა მზარდი მსოფლიო კონკურენცია ინგლისის ხელისუფლებას აიძულებდა განეხორციელებინა პრინციპული გარდაქმნები ეკონომიკის მართვის სრულყოფის მიმარულებით, თუმცა ზოგჯერ ესეც არ იძლეოდა სასურველ შედეგს და ქვეყანა სულ უფრო მეტად თმობდა თავის პოზიციებს.

2. 1929-1933 წწ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციების გაძლიერება ინგლისში

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ინგლისში შედარებით გვიან დაიწყო და უარყოფითი გავლენა მოახდინა ინგლისის ეკონომიკაზე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ინგლისში მრეწველობა კრიზისის წინა პერიოდში ძალიან ნელა ვითარდებოდა და კრიზისის დასაწყისისთვის ძლივს აღწევდა ომამდელ დონეს. ქვეყანაში არ იყო სამრეწველო აღმავლობა. კრიზისის სიმპტომები მხოლოდ 1930 წლის პირველ კვარტალში გამოვლინდა. სამრეწველო წარმოების საერთო ვარდნამ 18% შეადგინა (მთელ კაპიტალისტურ სამყაროში – 36%, აშშ-ში – 46,2%). თუმცა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ინგლისში უფრო ნაკლებად შემცირდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. კრიზისმა უფრო მეტად დააზარალა მრეწველობის ძველი დარგები. თუჯის გამოდნობამ 1933 წ. 1929 წელთან შედარებით შეადგინა 47,1%, ფოლადის – 54,4%, რკინის მადნის მოპოვებამ – 55,4%. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გემთმშენებლობა: მთლიანი ტონაჟი შესაბამისად 11-ჯერ, ანუ 1522 ათასიდან 133 ათას ტონამდე შემცირდა.

კრიზისმა მოიცვა სოფლის მეურნეობაც. მისი პროდუქციის ფასები 34%-ით შემცირდა. ასევე შემცირდა ნათესი ფართობები. ფერმერების დიდი ნაწილი გაჩანაგდა.

კრიზისი საგარეო ვაჭრობასაც შეეხო. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა შემცირდა 60%-ით. დაეცა მანქანების, ფოლადის და სხვა საქონლის ექსპორტი. შემცირდა კაპიტალის გატანაც. ინგლისის ისტორიაში პირველად 1931 წ. საგადამხდელო ბალანსი გახდა პასიური (110 მლნ. გირ. სტერლინგი). სავაჭრო ბალანსი იყო ქრონიკულად დეფიციტური. დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისს საზღვარგარეთის კაპიტალდაბანდებათა 24%-ით გაუფასურებამ, რასაც მოჰყვა ე.წ. „უხილავი ექსპორტის“ მკვეთრი შემცირება.

ინგლისში დაიწყო მასობრივი უმუშევრობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში. თუ 1930 წ. ინგლისის მოსახლეობის 16,8% იყო უმუშევარი, 1932 წ. შეადგინა 25,5%. ნახშირის მრეწველობის ცენტრი – უელსი, საფეიქრო – ლანკაშირი, გემთმშენებლობის რაიონი მდინარე კლაიდზე და ინგლისის მრეწველობის რიგი ცენტრები გადაიქცნენ „დეპრესიის რაიონებად“. ასეთ რაიონებში უმუშევრობა 20-დან 37,5%-მდე გაიზარდა. ამასთანავე მეწარმეებმა დაიწყეს მუშათა ხელფასების შემცირება.

მთავრობა კრიზისიდან გამოსავალს პოულობდა ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაში.

კრიზისის დაწყებამდე მთავრობამ შექმნა უმუშევრობასთან ბრძოლის საგანგებო სამინისტრო, რომელმაც წამოაყენა შემდეგი პროგრამა: 1) „დეპრესიის რაიონებიდან“ მოსახლეობის გადასახლება სოფლად, ნაკლებად დაზარალებულ სამრეწველო რაიონებსა და დომინიონებში; 2) საზოგადოებრივი სამუშაოების შექმნა. ამ პროგრამის რეალიზაციამ არსებითი შედეგები ვერ გამოიღო, ვინაიდან ახალ ადგილებში ყველას არ ყოფნიდა სამუშაო, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად ასიგნებანი არ იყო საკმარისი. 1930 წ. აგვისტოში პარლამენტმა მიიღო კანონი სადაზღვევო თანხების გაცემის შესახებ. ახალი კანონით დახმარებას ვერ მიიღებდნენ შემდეგი კატეგორიის უმუშევრები: სეზონური მუშები, უწყვეტი სტაჟის უქონელი პირები, არასრული სამუშაო დღით მომუშავენი, გათხოვილი ქალები. მთელი „ეკონომია“ შეადგენდა 5 მლნ. გრ. სტერლინგს. ამ ზომებმა ვერ გამოიღო სასურველი შედეგები. 1931 წ. გაზაფხულზე გაუარესდა ინგლისის ფინანსური მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო „გირვანქის უკუქცევა“. ოქრო სულ უფრო მეტად გაედინებოდა ინგლისიდან. 1931 წ იანვრიდან მარტამდე ოქროს გადინებამ ინგლისიდან შეადგინა 7, ხოლო ივნის-სექტემბერში – 34 მლნ. გრ. სტერ.. საფრანგეთმა გაიტანა 25,5 მლნ გრ. სტერ., მსხვილი თანხები ამოიღო ბელგიამ, ჰოლანდიამ, შვეიცარიამ. ოქროს მარაგი ქვეყნიდან უკუიქცა.

ქვეყანაში ამ პრობლემების გადასაწყვეტად 1931 წ. მარტში მთავრობამ შექმნა „ეროვნული ეკონომიკის“ სპეციალური კომისია მსხვილი ბანკირის ჯ. მეიას მეთაურობით. მისი პროგრამით სახელმწიფო ბიუჯეტის 120 მლნ. გრ. სტ. დეფიციტი უნდა დაფარულიყო უმუშევართა დახმარებების

შეზღუდვის ხარჯზე. ამ პროგრამის გამოქვეყნებამ გამოიწვია სამთავრობო კრიზისი, რასაც მისი გადადგომა მოჰყვა.

შეიქმნა ახალი „ეროვნული მთავრობა“ მაკდონალდის ხელმძღვანელობით. მთავრობა აშშ-დან და საფრანგეთიდან მიღებული სესხებით ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა მიღებული ფული (50 მლნ. გრ. სტ.) სწრაფად გაქრა, ახალი სესხის მისაღებად კი უნდა შეესრულებინათ ჯ. მეიას პროგრამა. მაკდონალდმა, რომელმაც 20%-ით შეამცირა თავისი, როგორც პრემიერის ხელფასის განაკვეთი, სხვებსაც მოუწოდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმისკენ. მეფემ 10%-ით შეამცირა თავისი შემოსავალი, უმუშევრებზე დახმარება შემცირდა 10%-ით, 1931 წ. ნოემბერში აიკრძალა დახმარების გაცემა იმ უმუშევრებზე, ვინც იმყოფებოდა ოჯახის კმაყოფაზე, შეუმცირეს ხელფასები სახელმწიფო მოსამსახურეებს, უპირველესად მასწავლებლებს და ზღვაოსნებს.

1931 წ. ინგლისში დაიწყო მწვავე ფინანსური კრიზისი, რაც გამოწვეული იყო გირ. სტერ. გაუფასურებით, მისი ოქროს სტანდარტის გაუქმებით, რასაც შედეგად 1/3-ით დევალვაცია მოჰყვა.

ინგლისის სავალუტო და საგარეო სავაჭრო პოზიციების გასამყარებლად 1931 წ. 25 სახელმწიფოს მიერ შეიქმნა „სტერლინგის ბლოკი“, რომელშიც ბრიტანეთის კოლონიებისა და დომინიონების (კანადის გამოკლებით) გარდა შევიდა შვედეთი, ნორვეგია, დანია, ფინეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, პარაგვაი, ბოლივია, ტაილანდი, თურქეთი, ირანი, ჰოლანდია და ეგვიპტე. სტერლინგის ბლოკში შემავალ ქვეყნებს საკუთარი ქვეყნის ვალუტის კურსი მოჰყავდათ ინგლისური გირ. სტერლინგთან შესაბამისობაში. მათი სავალუტო რეზერვები ძირითადად ლონდონში ინახებოდა. ბლოკის ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ანგარიშსწორების ერთეულს წარმოადგენდა ინგლისური გირ. სტერლინგი. „სტერლინგის ბლოკის“ ქვეყნები უცხოური ვალუტის თავიანთ რეზერვებს გადასცემდნენ ინგლისს საერთო სარეზერვო ფონდში, რის მაგივრადაც შესაბამისი რაოდენობით იღებდნენ ინგლისურ გირ. სტერლინგს. ბლოკის ზონის გარეთ საქონლის ყიდვა იმ შემთხვევაში შეეძლოთ თუ ინგლისი მათ მისცემდა დოლარის საჭირო რაოდენობას. თუ ბლოკის რომელიმე ქვეყნის ექსპორტი აღემატებოდა იმპორტს ინგლისიდან, განსხვავებას ის ნაღდი ფულით კი არ იღებდა, არამედ ლონდონის ბანკში ამ ქვეყნის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაირიცხებოდა სტერლინგის აქტივის სახით, რომლის გამოყენება მას შეეძლო ბლოკის ქვეყნებში საქონლის შესაძენად. ინგლისს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა სტერლინგის აქტივების გამოყენებაც. „სტერლინგის ბლოკის“ ფინანსური პოლიტიკის შედეგად ინგლისურ გირ. სტერლინგს მიეცა შესაძლებლობა მომსახურებოდა მსოფლიო საქონელბრუნვის 40-50%-ს, ეს პროცესი ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგაც გრძელდებოდა.

ინგლისის კრიზისიდან გამოსასვლელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ეკონომიკური რეზერვების მობილიზაციას. 30-იანი წლების დასაწყისში მას დაერქვა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა, ინგლისი იძულებული შეიქნა ეცნო დომინიონების საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობა, თუმცა თანამეგობრობის ფარგლებში ინგლისის ბურჟუაზიის პოზიციები უფრო ძლიერი იყო.

ინგლისის საქონლის კონკურენტუნარიანობა თანდათან ამაღლდა. ინგლისის საშინაო ბაზარზე სამრეწველო ნაწარმის რეალიზაციის პირობების გაუმჯობესებას ხელს უწყობდა ასევე 1931-1932 წწ. ინგლისის მიერ ფრიტრედერობაზე საბოლოო უარის თქმა და მკაცრ პროტექციონისტულ პოლიტიკაზე გადასვლა. 1932 წ. თებერვალში შემოტანილ საქონელზე ბაჟები 10-დან 33%-მდე მერყეოდა, ხოლო ზოგიერთ საქონელზე 100%-საც კი აღწევდა.

ამავე დროს ინგლისი ისწრაფვოდა განევითარებინა თავისი ეკონომიკური კავშირები ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებთან ამ მიზნით 1932 წ. ოტავაში (კანადა) ჩატარდა კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებით მეტროპოლიის ვაჭრობაზე კოლონიებთან და დომინიონებთან დაწესებულ იქნა დაბალი, პრეფერენციული (უპირატესობის მიმცემი) საბაჟო ტარიფები. ინგლისმა და მასზე დამოკიდებულმა ქვეყნებმა მკვეთრად შეამცირეს ან სრულად გააუქმეს გადასახადები ურთიერთსაქონელბრუნვაში. ინგლისურმა საქონელმა დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა დამოკიდებული ქვეყნების ბაზრებზე, ხოლო მათმა საქონელმა – ინგლისის საშინაო ბაზარზე. ბრიტანეთის იმ-

პერიის ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქონლის 80% საბაჟო გადასახადის გარეშე შედიოდა ინგლისში, ხოლო დანარჩენი 20% მცირე ბაჟით იბეგრებოდა.

გარდა ამისა, ინგლისმა მთელ რიგ საქონელზე, რომელიც შემოიტანებოდა სხვა ქვეყნებიდან დააწესა ახალი, ან გაზარდა ძველი ბაჟები, რათა ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების ანალოგიური საქონელი თავის ბაზარზე აღმოჩენილიყო პრიორიტეტულ მდგომარეობაში. მაგ., თუკი ინგლისი უცხოურ საქონელს ბეგრავდა 10%-იანი ბაჟით, იგივე საქონელი დომინიონებიდან შემოდიოდა უბაჟოდ. ამგვარი პოლიტიკით ინგლისი ზღუდავდა საქონლის შემოტანას სხვა ქვეყნებიდან, რათა იმპერიის ქვეყნებს გაედიდებინათ თავისი ექსპორტი. დამოკიდებულ ქვეყნებს თავის მხრივ ინგლისური საქონელი უბაჟოდ შეჰქონდათ თავის ბაზრებზე. ოტავის კონფერენციის გადაწყვეტილების შედეგად გაიზარდა ვაჭრობა ინგლისსა და იმპერიის ქვეყნებს შორის.

იმპორტზე ბაჟების შესახებ კანონით მთავრობას მიეცა შესაძლებლობა იმ ქვეყნების საქონელზე, რომლებიც დისკრიმინაციულ პირობებში აყენებდნენ ბრიტანეთის იმპერიაში წარმოებულ საქონელს, ბაჟები 100%-მდე გაეზარდა. ამ კანონის უშუალო შედეგი იყო ის, რომ ინგლისის იმპორტი 1932 წ. შემცირდა 100 მლნ. გირ. სტერლინგით, 1933 წ. კი 7 მლნ. გირ. სტერლინგით, რამაც გააუმჯობესა ინგლისის საგადამხდელო ბალანსი. პროტექციონისტულმა პოლიტიკამ დადებითი გავლენა მოახდინა ინგლისის ეკონომიკის განვითარებაზე, ვინაიდან საშინაო ბაზარი დაცული აღმოჩნდა უცხო ქვეყნების საქონლის კონკურენციისაგან. პროტექციონისტულმა პოლიტიკამ ინგლისს შესაძლებლობა მისცა დაედო საკუთარი საქონლისა და ბაზრისათვის ხელსაყრელი ხელშეკრულებები, რომელიც უზრუნველყოფდა თანამეგობრობის ქვეყნებში ინგლისური საქონლის გაბატონებას. მაგალითად, დანიამ აიღო ვალდებულება, რომ ნახშირზე, თუჯზე და ფოლადზე თავისი მოთხოვნილების 80% ინგლისიდან იმპორტით დაფარავდა.

გამოცოცხლება, რომელიც 1932 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, არ გადაიზარდა ახალ აღმავლობაში. ქვეყანა შევიდა დეპრესიის ფაზაში.

ამრიგად, 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მძიმედ აისახა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაზე. მთავრობა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებაში, მონოპოლიების ზრდასა და კაპიტალის კონცენტრაციის წახალისებაში, ასევე მეტროპოლიისა და დომინიონების მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებში ეძებდა.

3. ეკონომიკური ვითარება ინგლისში მეორე მსოფლიო ომის წინ

ინგლისის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის ნიშნები შეიმჩნეოდა 1933 წ ბოლოს, ხოლო 1934 წ მიღწეულ იქნა სამრეწველო წარმოების კრიზისამდელი დონე. 1933 წლიდან ინგლისის ეკონომიკა თანდათანობით გადავიდა განსაკუთრებული სახის დეპრესიაში, ხოლო 1935 წლიდან კვლავ აღმავლობა დაიწყო, რაც 1937 წლამდე გაგრძელდა. ბრიტანეთის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლას ხელი შეუწყო კაპიტალდაბანდებათა მიმართულების შეცვლამ საშინაო ბაზრისკენ, რომელიც დაცული იყო მაღალი ბაჟებით, და რასაც ხელს უწყობდა მთავრობის საფინანსო პოლიტიკა. კერძო კაპიტალის ანაბრების სტიმულირებისათვის გატარდა „იაფი კრედიტის“ პოლიტიკა, რის შედეგადაც ომის წინ კაპიტალის ძირითადი მასა აღმოჩნდა ინგლისის შიგნით, რაც უზრუნველყოფდა კაპიტალდაბანდებებს მრეწველობაში. თუ უცხოური ინვესტიციები ინგლისში 1931-1939 წწ. გაიზარდა 41 მლნ.-დან 61 მლნ. გრ. სტერლინგამდე, საშინაო კაპიტალდაბანდებებმა 1931 წ. 89 მლნ, ხოლო 1936 წ. – 217 მლნ. გრ. სტერ. შეადგინა.

ინგლისის მეურნეობის ცალკეული დარგები არათანაბრად ვითარდებოდა. მაგ., 1937 წ. ნახშირის, საფეიქრო მრეწველობა და გემთმშენებლობა ვერ აღწევდა 1929 წ. დონეს, ხოლოდ თუჯის და ფოლადის წარმოება გაიზარდა.

სამრეწველო პროდუქცია ძირითადად საბინაო მშენებლობის გამოცოცხლების და მრეწველობის ახალი დარგების

ხარჯზე იზრდებოდა. მაგ., ძრავების, ავტომობილების, თვითმფრინავების, რადიოაპარატურის წარმოება. განვითარდა აგრეთვე სამხედრო მრეწველობა, ამასთან ერთად შეინიშნებოდა ტრადიციული დარგების – მეტალურგიის, გემთმშენებლობის ძირითადი კაპიტალის განახლება, რაც 30-იანი წლების პერიოდს წინა ათწლეულისაგან განასხვავებდა.

გრძელდებოდა ინგლისის მრეწველობის კონცენტრაციის პროცესიც. 1935 წ. მანქანათმშენებლობის მსხვილ საწარმოებში (ათასი და მეტი მუშით) დაკავებული იყო ამ დარგის მუშათა 2/3, ავტომობილმშენებლობის მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა წილად მოდიოდა – 58%, ელექტროტექნიკურში – 60, საავიაციოში – 76,5%, გემთმშენებლობაში 2/5. ქიმიურ მრეწველობაში მუშათა 1/3 დაკავებული იყო საწარმოებში, სადაც 500 მუშაზე მეტი იყო. მოხდა ზოგიერთი მონოპოლიის რეორგანიზაციაც.

ქვეყანაში არ შემცირებულა უმუშევრობა. 1937 წ. მაღაროელთა 15% და გემთმშენებელთა 21% სრულიად უმუშევარი იყო.

ხანმოკლე გამოცოცხლების შემდეგ 1937 წ. ინგლისში დაიწყო მორიგი კრიზისი. ეს კრიზისი არ იყო ყოვლისმომცველი და არ შეეხო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. კრიზისმა მოიცვა უმთავრესად ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები, რომლებსაც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გარდაქმნილი თავისი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე.

კრიზისმა ინგლისის მეურნეობის მრავალ დარგში წარმოების მოცულობის შემცირება გამოიწვია. ნახშირის მოპოვება 1938 წ. 1937 წელთან შედარებით შემცირდა 5,6%-ით, თუჯის წარმოება – 20,3, ფოლადის – 19,9, ბამბის – 20,2 გემთმშენებლობის – 16,2%-ით. კრიზისი შეეხო საგარეო ვაჭრობასაც. ექსპორტი შემცირდა 9,9%-ით, ხოლო იმპორტი – 9,8%-ით. კრიზისის შედეგად გაიზარდა უმუშევრობა. 1939 წლის შემოდგომაზე ეკონომიკური კრიზისი შეწყვიტა მეორე მსოფლიო ომმა.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ინგლისი ეკონომიკური განვითარებით კვლავ ჩამორჩებოდა მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებს. ეს ჩამორჩენა გამოწვეული იყო არა მხოლოდ იმით, რომ ეს ქვეყნები შედარებით სწრაფად განვითარდნენ,

არამედ თავად ინგლისის დაქვეითებითაც, რასაც მისი ეკონომიკა განიცდიდა ომებსშორის ოცი წლის მანძილზე. ინგლისის მრეწველობის ტექნიკურმა და ორგანიზაციულმა ჩამორჩენამ განაპირობა შრომის ნაყოფიერების ვარდნაც.

ომის წინა პერიოდში სოფლის მეურნეობის ზრდა იყო უმნიშვნელო. 1918-1939 წწ. დამუშავებული მიწის ფართობი 2 მლნ. ჰა-თი შემცირდა. მიწის საკმაოდ დიდ ნაწილს იყენებდნენ არასაწარმოო მიზნებით: სანადირო სავარგულებად, ირმების საძოვრებად და ა.შ. ამასთანავე ინგლისის მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომლებიც შემოჰქონდათ ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებიდან, არ ვრცელდებოდა პროტექციონიზმი. ინგლისელი ფერმერები უცხოეთის კონკურენციისაგან ნაკლებად დაცულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მრეწველები. მთავრობა ფართოდ გამოიყენებდა სუბსიდიებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. 1939 წ. შუალედში დაწესდა გარანტირებული ფასები სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქტებზე: რძეზე, ხორცზე, ხორბალზე, შვრიაზე, შაქრის ჭარხალზე და სხვ. სახელმწიფოს სუბსიდიებმა მთლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სასაქონლო ღირებულების 8% შეადგინა. ეს დადებითი ღონისძიება იყო, მაგრამ არ იყო საკმარისი სოფლის მეურნეობის მასშტაბების იმდენად გასაფართოებლად, რომ დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნილება. სოფლის მეურნეობის განვითარებას ისიც ამუხრუჭებდა, რომ ამ დარგში უფრო დაბალი ანაზღაურება იყო, ვიდრე სხვაგან, რაც სოფლის მეურნეობიდან სამუშაო ძალის გადინებას იწვევდა. ამის გამო, სოფლად დასაქმებულთა რაოდენობა 30%-ით, ხოლო სახნავი მიწის ფართობი – 25%-ით შემცირდა.

მსოფლიო ომებსშორის პერიოდში ტექნიკის გაუმჯობესებითა და სამიწათმოქმედო კულტურის ამაღლების შედეგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ინგლისის სოფლის მეურნეობა ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე მხოლოდ 30%-ით აკმაყოფილებდა. სამამულო პროდუქტებით უზრუნველყოფის სიდიდე პროდუქციის სახეების მიხედვით სხვადასხვა იყო. მაგ., ქვეყნის მოთხოვნილებას ახალ რძეზე ად-

გილობრივი წარმოება აკმაყოფილებდა 100%-ით, კარტოფილზე – 94%-ით, ხორცზე – 51%. საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ შაქრის და ცხიმის 84%, ხორბლის და ფქვილის – 88%, ზეთის – 91%. ომის პერიოდში ინგლისს შეექმნებოდა სიძნელეები საზღვარგარეთიდან სურსათის გადმოზიდვაში. 1937 წლიდან მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში გატარებული ღონისძიებები მიმართული იყო არა მხოლოდ იქითკენ, რომ იგი გამხდარიყო უფრო მეტად კონკურენტუნარიანი, არამედ იქითკენაც, რომ მომზადებულიყო მოსალოდნელი ომისათვის.

ომის წინა წლებში მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობდა კაპიტალის მიქცევას სოფლის მეურნეობისკენ, რის შედეგადაც სავაჭრო და სამრეწველო მონოპოლიები აქტიურად მკვიდრდებოდნენ სოფლის მეურნეობაში. შეიქმნა მსხვილი ფერმები. ომის წინა წლებში ქვეყანაში ფაქტიურად აღარ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების არც ერთი სფერო, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომლის განვითარებაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ყოფილიყო დაკავშირებული საბანკო, სამრეწველო, ან სავაჭრო კომპანიებთან.

1939 წ. ბოლოს ინგლისში დაიწყო წარმოების ზრდა და 1940 წ. შუალედში კრიზისამდელ დონეს მიაღწია. 1937 წ. კრიზისის დაძლევა დაკავშირებული იყო სამხედრო წარმოების ზრდასთან. გარდა ამისა, 30-იანი წლების მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა ინგლისის ურთიერთობის ნორმალიზაცია მასზე დამოკიდებულ ქვეყნებთან. ოტავის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა და საიმპერიო პრეფერენციული სისტემის შექმნამ ქვეყანაში ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები შექმნა.

მხოლოდ 1937 წ. გამწვავდა ინგლის-ირლანდიის კონფლიქტი. ირლანდიის პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლითაც თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. 1938 წ. ინგლისი იძულებული იყო ეცნო ირლანდიის რესპუბლიკა, შეეწყვიტა საბაჟო ომი და მისი ტერიტორიიდან გამოეყვანა ჯარები. ინგლისი ირლანდიასთან თანამშრომლობდა თავდაცვით საკითხებში, და ამავდროულად ზღუდავდა მის საგარეო პოლიტიკურ სუვერენიტეტს.

დომინიონებთან ინგლისის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის დათრგუნვა. იგი კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ყველა ზომებით და საშუალებებით ცდილობდა გავლენის შენარჩუნებას. დომინიონებმა დაიწყეს ინგლისიდან ზოგიერთი საქონლის იმპორტის შეზღუდვა, ამან ინგლისში გამოიწვია იმპორტის ზრდა ექსპორტთან შედარებით და დაიწყო საგარეო სავაჭრო დეფიციტი. ამასთან დომინიონებმა გააფართოეს კავშირები ურთიერთშორის და იმპერიის გარეშე ქვეყნებთან. ბრიტანეთის იმპერიის ბაზრებზე შეიჭრნენ ინგლისის მსხვილი კონკურენტები – აშშ, იაპონია და გერმანია.

აშშ-ის კონკურენციის შედეგად შემცირდა ინგლისის როლი რიგ საერთაშორისო სანედლეულო კარტელებში. თუ პირველ მსოფლიო ომამდე ინგლისი ასრულებდა წამყვან როლს ნავთობის და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე, აშშ-ის ნავთობის კომპანიების ჩარევით ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. 1939 წ. ამერიკის კაპიტალის კონტროლის წილმა ნავთობის მარაგზე 58%, ხოლო 1937 წ. – ნავთობის მოპოვებაში 80% შეადგინა. გაიზარდა აშშ-ის როლი ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაში.

მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ-მა მოახერხა პირველი ბზარი გაეჩინა ბრიტანეთის იმპერიის პრეფერენციულ სისტემაში. კანადასთან ვაჭრობაში მათ ისეთივე უპირატესობა მოიპოვეს, რაც ოტავის შეთანხმებით მხოლოდ ინგლისს ენიჭებოდა.

ინგლის-ამერიკის კონკურენცია უმთავრესად კაპიტალის გატანის სფეროში ვლინდებოდა, ინგლის-გერმანიისა კი ძირითადად სამრეწველო საქონლის ექსპორტში. 1937 წ მსოფლიო ექსპორტში ინგლისის და გერმანიის წილი ერთნაირი იყო – 20,8%, ხოლო ახალი დარგების – მანქანების, ქიმიური პროდუქტების, ელექტროსაქონლის, ფოლადის ნაწარმის – ექსპორტში გერმანიამ რამდენადმე გაუსწრო ინგლისს.

ინგლისის და გერმანიის ინტერესები მრავალ სფეროში ეჯახებოდნენ ერთმანეთს. მაგ., პრეფერენციული სისტემის მოქმედებით ბრიტანეთის იმპერიის ბაზრები გერმანიისათვის ფაქტიურად დაიკეტა. სამაგიეროდ, მან ინგლისის მონოპოლიები გამოდევნა სხვა ბაზრებიდან, განსაკუთრებით სამ-

ხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ ევრ‍ოპიდან, ლათინური ამერიკიდან. 1938 წ. გერმანიის წილი 8-ჯერ აღემატებოდა ინგლისის წილს უნგრეთისა და ბულგარეთის იმპორტში, 6-ჯერ – რუმინეთის და 3-ჯერ – საბერძნეთის იმპორტში. ამ ქვეყნებიდან გერმანია ღებულობდა ნედლეულს და სურსათს (ბოქსიტებს, ნავთობს, ტყვიას, ხე-ტყეს, თაფლს, პურს, ხორცს).

ჰიტლერული გერმანია ცდილობდა მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას, კერძოდ ბრიტანეთის და საფრანგეთის კოლონიების მითვისებას. ინგლისის, აშშ-ის და საფრანგეთის იმპერიალისტები კი ცდილობდნენ გერმანიის ინტერესები მიემართათ სსრკ-სკენ, რაც 1938 წ. მიუნჰენის პოლიტიკის საფუძველი გახდა. მათ სურდათ, რომ გერმანიას და მის მოკავშირე იაპონიას ომი გაეჩაღებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დაასუსტებდნენ რა მებრძოლი ქვეყნები ერთმანეთს, ამის შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოები თავს მოახვევდნენ საკუთარ პოლიტიკას მთავარ კონკურენტებს მსოფლიო ბაზარზე და განადგურების პირას მიიყვანდნენ საბჭოთა კავშირს. ამგვარი ბეცი პოლიტიკის შედეგად ფაშისტურმა გერმანიამ ხელთ იგდო ავსტრია და ჩეხოსლოვაკია.

ამრიგად, ბრიტანეთმა მართალია დაკარგა მსოფლიო კაპიტალისტური სავაჭრო ცენტრის ფუნქცია, მაგრამ მაინც შეინარჩუნა მოწინავე პოზიციები. ინგლისის სასაქონლო ბირჟებს ეკავათ მონოპოლიური მდგომარეობა.

მიუხედავად 30-იანი წწ. წარმატებებისა ბრიტანეთმა ვერ შეძლო პირველობის დაბრუნება მსოფლიო ბაზარზე. იგი გამოირჩეოდა განვითარების დაბალი და არასტაბილური ტემპებით. 8 წლის განმავლობაში (1921, 1926, 1928, 1930-1933, 1938 წწ.) შეინიშნებოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის წარმოების დაცემა. მიუხედავად ხელისუფლების დახმარებისა და კოლონიური იმპერიის რეზერვების მობილიზაციისა, ინგლისის პოზიციები მსოფლიო არენაზე მაინც უარესდებოდა. 1938 წ. მისი წილი მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში 1913 წ. შედარებით 14,8-დან 11,3%-მდე შემცირდა. თუმცა მეორე მსოფლიო ომის წინ ინგლისი კვლავ მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ გვევლინება.

თემა 18. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების ტემპების შენელება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

1. პირველი მსოფლიო ომის გავლენა საფრანგეთის ეკონომიკაზე

პირველმა მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და განვითარებულ ქვეყნებს შორის მის პოზიციაზე. ომის წლებში და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაში მოხდა ღრმა ცვლილებები.

ომმა საფრანგეთი ძლიერ დააზარალა. დაიღუპა 1,3 მლნ. და დასახიჩრდა 750 კაცი. უშუალოდ საფრანგეთის ტერიტორიაზე ოთხი წელი მიმდინარეობდა საომარი მოქმედებანი. ომის დასაწყისშივე გერმანიის მიერ ოკუპირებულ იქნა საფრანგეთის სამრეწველო წარმოებით განვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთის 10 დეპარტამენტი, რის შედეგადაც წყობიდან გამოვიდა 6 ათასი კმ რკინიგზა და 52 ათასი კმ გზატკეცილი. გერმანელებმა დაანგრიეს და დააზიანეს 550 ათასი სახლი, 23 ათასი ფაბრიკა, ქარხანა და მაღარო. განადგურდა სავაჭრო ფლოტის ნახევარი. საერთო დანაკარგმა შეადგინა 134 მლრდ. ფრანკი ოქროთი. საფრანგეთი კრედიტორიდან მოვალე ქვეყნად გადაიქცა. მისმა სამხედრო და ომისშემდგომმა ვალმა აშშ-თან და სხვა ქვეყნებთან შეადგინა 62 მლრდ. ფრანკი. 1920 წ. საფრანგეთის საერთო სახელმწიფო ვალმა შეადგინა 300 მლრდ. ფრანკი.

ომის წლებში საფრანგეთმა ცენტრალურ, სამხრეთ და დასავლეთის რაიონებში მოახდინა სამრეწველო ობიექტების ევაკუაცია. პარიზში, ლიონში, მარსელში, ნანტაში, ბორდოში, ტულუზაში და სხვა ქალაქებში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. გააძლიერა ნახშირის და რკინის მეორეხარისხოვანი საბადოების ექსპლოატაცია, გააფართოვა წყლის ენერგიის გამოყენება. მიუხედავად მნიშვნელოვანი დეპარტა-

მენტების ოკუპაციისა სამხედრო მრეწველობას იარაღით უნდა მოემარაგებინა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მოკავშირეთა არმიაც. ნედლეულის ნაწილი იგზავნებოდა ინგლისში. ომმა ბიძგი მისცა საავიაციო, საავტომობილო და ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

ნედლეულის, საწვავის და სამუშაო ძალის სიმცირის პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმოების რაციონალიზაციას. მოხდა მისი მექანიზაცია და სტანდარტიზაცია, შეიცვალა მრეწველობის წამყვანი დარგების ტექნიკური დონე. მთლიანად ომის წლებში უზარმაზარმა სამხედრო-სამრეწველო შეკვეთებმა და ოკუპირებული რაიონების დანაკარგების კომპენსირების აუცილებლობამ დააჩქარა საფრანგეთის ინდუსტრიალიზაცია, თუმცა წარმოების განვითარება იყო ცალმხრივი, ვინაიდან უპირატესობა ძირითადად ომისათვის მომუშავე საწარმოებს ენიჭებოდა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოება კი ნელა ვითარდებოდა.

ომმა მნიშვნელოვნად შეარყია საფრანგეთის სოფლის მეურნეობა. ქვეყნის სურსათის მომარაგებაში დიდ როლს თამაშობდა ოკუპირებული რაიონები. გლეხები ჯარში მობილიზაციის გამო მოწყდნენ სოფლის მეურნეობას. მკვეთრად დაეცა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. საფრანგეთი იძულებული იყო იმპორტი გაეზარდა.

ომმა უარყოფითად იმოქმედა საფრანგეთის საკრედიტო სისტემაზე, მოხდა ფასების, სახელმწიფო ვალების და სპეკულაციის ზრდა. მრეწველობის და ვაჭრობის მოგების ზრდას თან სდევდა რეალური ხელფასების დაცემა და მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერება.

ომის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა საზღვარგარეთის ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ბზარი გაუჩნდა მისი, როგორც მსოფლიო კრედიტორის პოზიციას. ომის პერიოდში მოხდა კაპიტალის მნიშვნელოვანი გადანაცვლება კრედიტის სფეროდან წარმოებაში.

ომის წლებში და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. გიგანტურმა მონოპოლიებმა, რომლებიც გამდიდრდნენ საომარი შეკვეთებით, ხელში ჩაიგდეს ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პოზიციები. უმსხვილესი ბანკები:

პარიზ-ნიდერლანდების, ინდოჩინეთის, ლიონის კრედიტი და სხვ., ატრიალებდნენ ასეულობით მილიონ ფრანკს.

საფრანგეთის ეკონომიკაში დიდი იყო სოფლის მეურნეობის როლი. 1921 წ. სოფლად ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 53,6%. ომის ზეგავლენით გაძლიერდა მიწის მსხვილი მფლობელების: კაპიტალისტების, მემამულეების და კულაკების კონცენტრაციის პროცესი. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, მსხვილი მეურნეობების წილად (თვითოეული 40 ჰა-ზე მეტი ფართობით), რომლებიც შეადგენდნენ მთელი მეურნეობების 3,3%, მოდიოდა დამუშავებული მიწის ფართობის 45,6%. მაშინ, როდესაც წვრილი მეურნეობანი (1 ჰა-მდე ფართობით) შეადგენდნენ მთელი მეურნეობების 38,5%, ფლობდნენ დამუშავებული მიწის ფართობის 2,6%-ს. მთელი მეურნეობების 1/4 ამუშავებდნენ გლეხი-მოიჯარეები. საფრანგეთის სოფელში ითვლებოდა 3 მლნ. მოჯამაგირე.

საფრანგეთისათვის მნიშვნელოვანი იყო 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გერმანიამ საფრანგეთს დაუბრუნა რკინითა და კალიუმის საბადოებით მდიდარი ელზასი და ლოთარინგია, საფრანგეთს საკუთრებაში (გამოსყიდვის უფლებით) გადაეცა ზაარის ქვანახშირის აუზი, სადაც თავმოყრილი იყო 52 მსხვილი მეტალურგიული საწარმო, მასზე მოდიოდა აგრეთვე გერმანიის ბამბის მრეწველობის 1/6. ამასთანავე, საფრანგეთს უნდა მიეღო გერმანიის მიერ გადასახდელი რეპარაციის თანხების 52% იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც მან განიცადა 1871 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში ელზასის და ლოთარინგიის დაკარგვის შედეგად. საფრანგეთმა გააფართოვა თავისი კოლონიური იმპერია გერმანიის კოლონიების ხარჯზე. მიიღო სირია, ლიბანი და გერმანიის აფრიკული კოლონიების ნაწილი.

2. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა 20-იან წლებში

პირველი მსოფლიო ომისგან მნიშვნელოვნად დაზარალდა საფრანგეთის ეკონომიკა. სამრეწველო წარმოება 40%-ით და სასოფლო-სამეურნეო – 1/3-ით შემცირდა. ომის შემდგომ

პერიოდში კი მოხდა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. საფრანგეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები აღემატებოდა სხვა ლიდერი ქვეყნების ზრდის ტემპებს (გარდა აშშ-სა). 1929 წ. სამრეწველო წარმოება 1920 წელთან შედარებით გაიზარდა 77%-ით.

საფრანგეთის ეკონომიკის ზრდა გამოწვეული იყო: 1. ელზასისა და ლოთარინგიის დაბრუნებით; 2. დანგრეულ ოლქებში აღდგენილი სამუშაოების გაფართოებით, რამაც საფრანგეთის მძიმე მრეწველობა უზრუნველყო შედარებით ფართო და მყარი საშინაო ბაზრით; 3. გერმანული რეპარაციების მიღება. ვერსალის ხელშეკრულებამ საფრანგეთში შექმნა ხელსაყრელი პირობები სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის. ქვეყანამ მიიღო მრავალი მსხვილი საწარმო და ნედლეული რესურსებით მდიდარი ლოთარინგია და ელზასი. ლოთარინგია იძლეოდა იმდენ მადანს, რასაც მთელი ქვეყანა. აქ იყო კარგად შეიარაღებული მეტალურგიული ჭარხნები. მადნის მოპოვებით საფრანგეთი ევროპაში პირველ და მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. საფრანგეთის ბრძმედების საწარმოო სიმძლავრეები გაიზარდა 70%, ხოლო ფოლადის ჩამომსხმელი – 50%-თ. ელზასში იყო მაღალგანვითარებული საფეიქრო მრეწველობა. ომამდელ წლებში აქ იწარმოებოდა ქვეყანაში დამზადებული ქსოვილების ნახევარი. ელზასში იყო კალიუმის მარილების უმდიდრესი საბადო. საარის ოლქი ქვეყანას ამარაგებდა ნახშირით. ომისშემდგომ პერიოდში გამდიდრდა საფრანგეთის მეტალურგიული და სანედლეულო ბაზა, რამაც გააფართოვა წარმოების საშუალებათა წარმოების ბაზარი.

სამრეწველო წარმოების აღმავლობას ხელს უწყობდა აგრეთვე ადრე ოკუპირებულ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში აღდგენითი სამუშაოები, იქმნებოდა ნედლეულისა და მოწყობილობათა დამატებითი ბაზარი. ამ რაიონებში მრეწველობა ფაქტიურად თავიდან იქმნებოდა, აშენდა და მოდერნიზებულ იქნა მრავალი პორტი. ცენტრალური მასივის, ალპებისა და პირენეის მთებში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. წარმოების შეიარაღება ხდებოდა ახალი ტექნოლოგიებით. ამასთანავე ახდენდნენ ძველ მოწყობილობათა განახლებას.

აღმავლობას 20-იან წლებში სტიმულს აძლევდა გერმანიის რეპარაციები, რომლებიც 1930 წლამდე 20,7 მლრდ. მარკის (ოქროთი) საერთო თანხიდან საფრანგეთმა მიიღო 8,2 მლრდ. მარკა. ასევე რეპარაციის ანგარიშში ღებულობდა ნახშირს, ხე-ტყეს, ცემენტს. საფრანგეთის საწარმოებზე დაბალ ფასებში ანაწილებდნენ ნახშირს, რამაც შეამცირა წარმოების ხარჯები და გაზარდა საფრანგეთის საქონლის კონკურენტუნარიანობა. რეპარაციებმა გავლენა იქონია კაპიტალის დაგროვებაზე, ოქროს და ვალუტის ნაკადზე. სახელმწიფო სუბსიდიების დახმარებით აღდგა და შეკეთდა 8 ათასამდე სამრეწველო საწარმო, აშენდა ახალი ქარხნები, ელექტროსადგურები, გაიყვანეს რკინიგზები.

საფრანგეთის კოლონიური სამფლობელოები ტერიტორიულად 20-ჯერ აღემატებოდა თვით საფრანგეთის ტერიტორიას. ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა კოლონიების, როგორც სანედლეულო და სასურსათო ბაზის და სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრის როლი. საფრანგეთის ექსპორტში კოლონიების წილი 1918 წ. შეადგენდა 11,4%, ხოლო 1927 წ. – 37%. ამგვარად, საფრანგეთის ომის შემდგომ სამეწველო აღმავლობას დიდად შეუწყეს ხელი კოლონიებმა, რომლებიც საფრანგეთის მრეწველობას უზრუნველყოფდნენ ნედლეულის მრავალი სახეებით და გასაღების ბაზრით. 1927-1933 წწ საფრანგეთის კაპიტალის ექსპორტის 75% მოდიოდა კოლონიურ სამფლობელოებზე.

ზრდის სწრაფი ტემპი განაპირობა ახალი სამრეწველო ცენტრებისა და მრეწველობის ახალი დარგების, საავტომობილო, საავიაციო, ნავთობჩამომსხმელი, ელექტროტექნიკური, ქიმიური, რადიოტექნიკური და სხვ. აღმოცენებამ.

ომის შემდეგ ეკონომიკის მშვიდობიან ყაიდაზე გადასაყვანად მთავრობამ გააუქმა საბარათო სისტემა; ომისდროინდელი კანონები ნედლეულის, შეკვეთების და სამუშაო ძალის სახელმწიფოს მიერ განაწილების შესახებ; სამხედრო ქარხნების ნაწილი გადაეცა კერძო პირებს.

ომის წლებში და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. გიგანტურმა მონოპოლიებმა, შნეიდერმა, როტშილ-

დმა და სხვა მსხვილმა მრეწველებმა და ბანკირებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი პოზიციები. მძიმე მრეწველობაში „მძიმე მრეწველობის კომიტეტი“ აერთიანებდა 250 მეტალურგიულ კომპანიას, რომელთაგან ექვსი აწარმოებდა მთლიანად ქვეყანაში წარმოებული თუჯის და ფოლადის პროდუქციის 3/4-ს. გაიზარდა მაღაროების მფლობელთა ცენტრალური გაერთიანების, სამთო-მეტალურგიული საწარმოების გაერთიანების, საფრანგეთის გემისმფლობელთა ცენტრალური კომიტეტის ძლევამოსილება; ნახშირის მოპოვებას აკონტროლებდა სამი კომპანია, კვების მრეწველობას – სამი, ქიმიურს – ხუთი, ავტომობილმშენებლობას – 3, ელექტროტექნიკურ მრეწველობას – ერთი კომპანია.

საფრანგეთის მეურნეობა არათანაბრად ვითარდებოდა. აღმავლობა შეინიშნებოდა წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში. მსუბუქი მრეწველობის დარგები კი ტკეპნიდნენ ერთ ადგილას. გარდა ამისა, ზრდის პროცესს შესაბამისად თან არ სდევდა სოფლის მეურნეობის აღმავლობა. ომის დროს და ომის შემდეგ მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი მოიცავდა ჭარბწარმოების კრიზისმა.

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა მერყეობდა ომამდელი დონის ფარგლებში. მისი წარმოების ზრდამ (1938 წ. 10%-ით მეტი 1913 წელთან შედარებით) ვერ აღმოფხვრა საფრანგეთის აგრარული სექტორის მწვავე პრობლემები. შეინიშნებოდა ტექნიკური აღჭურვილობის უკმარისობა და დაბალი მოსავლიანობა, წარმოების შედარებით მაღალი ხარჯები და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი კონკურენტუნარიანობა. ამავე დროს ფასები საშინაო ბაზარზე იყო ძალიან დაბალი, რაც არ იყო საკმარისი წვრილი მეურნეობის ხარჯების დასაფარავად. ეს კი იწვევდა გლეხთა გაჩანაგებას და სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციას. საფრანგეთი ძველებურად რჩებოდა პარცელური მეურნეობის ქვეყნად, რომელიც მოკლებული იყო ტექნიკურ სიახლეებს, ნაკლებად ხდებოდა აგრონომიული მეთოდების მოდერნიზაცია და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის წარმოებაში დროებით შეიქმნა განვითარების ხელსაყრელი პირობები, რასაც შედეგად მოჰყვა 20-იან წლებში წარმოების აღმავლობა. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. 1929 წ. საფრანგეთის სამრეწველო წარმოება 1920 წლთან შედარებით გაიზარდა 77%-ით.

3. 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი გამოვლენის თავისებურებანი

საფრანგეთის ეკონომიკის სტაბილიზაცია ხანმოკლე აღმოჩნდა. 1930 წლის შემოდგომაზე, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთში მოგვიანებით დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. კრიზისმა შეაჩერა აღდგენითი სამუშაოები და გამოაცოცხლა სამხედრო მრეწველობა. ამ კრიზისის შედეგად საფრანგეთის ეკონომიკა 1913 წლის დონემდე დაქვეითდა.

კრიზისმა მოიცვა როგორც წარმოების საშუალებათა მწარმოებელი, ისე მოხმარების საგნების მწარმოებელი საწარმოები. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული, საფეიქრო, ტყავის, კვების. კრიზისი ერთობ გაჭიანურდა და 1935 წლამდე გაგრძელდა, ქვეყანაში დაიწყო დეპრესია, რომლის დროსაც სამრეწველო წარმოება რამდენადმე გაიზარდა, თუმცა 1929 წ. დონეს მაინც ვერ მიაღწია.

კრიზისის წლებში საფრანგეთის მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობა 1929 წ. შედარებით დაეცა 69,6%-მდე, წარმოების საშუალებათა წარმოება – 80%-მდე, თუჯის გამოდნობა – 50%-მდე. შემცირდა ავტომობილების, ფერადი ლითონების, ალუმინის და თუთიის წარმოება. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საფეიქრო მრეწველობა, სადაც ჯერ კიდევ 20-იანი წლების შუახანებისთვის საწარმოთა ქრონიკულად დაუტვირთაობა და განვითარების შეჩერება შეინიშნებოდა.

ეს პერიოდი ხასიათდება არა მარტო წარმოების შეკვეცით, არამედ ტექნიკური განვითარების შეჩერებითაც. გაიზარდა წარ-

მოების დაუტვირთაობა. სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მოწყობილობათა არასაკმარისად მოდერნიზაციას საფრანგეთი მიყავდა ტექნიკურ ჩამორჩენილობამდე. 1938 წ. მანქანების საშუალო ასაკი საფრანგეთში იყო 25 წელი, ინგლისში – 7-8 წელი, აშშ-ში – 5-7 წელი, გერმანიაში – 3-4 წელი. მრეწველობის განვითარების ტემპებით, წარმოების მოცულობით და ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვებით საფრანგეთი ჩამორჩებოდა აშშ-ს, ინგლისს და გერმანიას.

კრიზისისგან ძლიერ დაზარალდა გლეხობა. სოფლის მეურნეობის შემოსავლებმა 1934 წ. შეადგინა 17 მლრდ. ფრანკი, ნაცვლად 1920 წლის 44,8 მლრდ.-ისა, ვალების, გადასახადების და იჯარის გადაუხდელობის გამო მასიური ხასიათი მიიღო გლეხების ქონების გაყიდვამ. გლეხები ტოვებდნენ სოფელს და მიდიოდნენ ქალაქში. სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა 2 მლნ. ღატაკი და 25 მლნ. მოჯამაგირე. 1934-1935 წწ. გაჩანაგდა 400 ათასი გლეხი, მათი მიწები ხელში უვარდებოდა მდიდარ მიწათმფლობელებს, რომლებიც მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 2%-ს შეადგენდნენ და ფლობდნენ მთელი დამუშავებული მიწის ნახევარს.

კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე. საგარეო ვაჭრობა შემცირდა 2-ჯერ. საფრანგეთმა, ვერ გაუძლო რა ინგლისის, აშშ-სა და გერმანიის კონკურენციას, დათმო თავისი პოზიციები საგარეო ბაზრებზე. მოიშალა საშინაო ბაზრი, მკვეთრად შემცირდა ფასები ხორბალზე, ქერზე, შვრიაზე, მატყლზე, შაქარზე. იმპორტი და ექსპორტი 1930 წ. შედარებით 65%-ით შემცირდა. თუ კრიზისამდე საფრანგეთის ექსპორტი უსწრებდა წარმოების ზრდას, კრიზისის შემდეგ წარმოების ვარდნასთან შედარებით ექსპორტი უფრო სწრაფად მცირდებოდა. 1931 წლიდან საგადამხდელო ბალანსი გახდა პასიური. საზღვარგარეთის მოვალეების გაკოტრებასთან დაკავშირებით შემცირდა შემოსავლები საზღვარგარეთული ინვესტიციებიდან.

კრიზისის წლებში ბეურმა ქვეყანამ მოითხოვა სესხების გადახდის გადავადება. მკვეთრად შემცირდა ტურიზმი, რამაც გამოიწვია არა მარტო სავალუტო, არამედ მომსახურების სფეროს (რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.) შემოსავლების შემ-

ცირება, ასევე შემცირდა ფუფუნების საგნების წარმოება, სამკერვალო წარმოებისა და ა.შ. ექსპორტის მკვეთრმა შემცირებამ იმპორტთან შედარებით, შეასუსტა საფრანგეთის საგარეო-სავაჭრო პოზიციები. მისი წილი ომის დასაწყისში 7,7-დან 5%-მდე დაეცა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა დაკარგა საერთაშორისო მევახშის ფუნქცია. საზღვარგარეთული ინვესტიციების ნახევარი (9 მლრდ. დოლარიდან 4 მლრდ. დოლარი) დაკარგა რუსეთში კაპიტალისტური საკუთრების ნაციონალიზაციასთან და მეფის ხელისუფლებისა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ აღებული ვალების გაუქმებასთან დაკავშირებით. საზღვარგარეთის საწარმოების ნაწილი, სადაც დაბანდებული იყო საფრანგეთის კაპიტალი, გაიყიდა სამხედრო ვალების გადასახდელად. საფინანსო ცენტრმა გადაინაცვლა აშშ-ში. მართალია 1923-1937 წწ. საფრანგეთს კაპიტალი გაჰქონდა ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ქვეყნის საფინანსო დასუსტების პროცესი. გაიზარდა საწარმოო ინვესტიციების წილი კოლონიებში. თუ ომამდე კოლონიებზე მოდიოდა საზღვარგარეთულ კაპიტალდაბანდებათა 10%, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში შეადგინა 20%. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში საფრანგეთის კაპიტალდაბანდებები შეფასებული იყო 4,2 მლრდ. დოლარით, აქედან 500 მლნ. მოდიოდა კოლონიებზე. შეცვალა საგარეო სავაჭრო კურსიც. კოლონიების წილი ექსპორტში 1929 წ. 9%-დან 1937 წ. 28,2%-მდე, ხოლო იმპორტი – 12,1-დან 24%-მდე გაიზარდა. მოსახლეობის ზრდის დაბალ დონესთან დაკავშირებით კოლონიები გადაიქცნენ იაფი სამუშაო ძალის წყაროდ, რომლის ექსპლოატაციაც უზარმაზარ მოგებას აძლევდა ფრანგ მონოპოლისტებს.

4. სახალხო ფრონტის ეკონომიკური პოლიტიკა

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად რთული მდგომარეობა შეიქმნა საფრანგეთის ეკონომიკაში. კრიზისმა გამწვავა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. 1936წ მრეწ-

ველობაში დაწყებული გამოცოცხლება კვლავ 1937 წ. დაწყებულმა კრიზისმა შეცვალა.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ გააძლიერა უმსხვილესი მონოპოლისტური კავშირების ძალაუფლება, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკების ფინანსური ძლიერება, განსაკუთრებით საფრანგეთის ბანკის, რომლის კაპიტალი 1935 წ. 1929 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა და 80 მლრდ ფრანკი შეადგინა. მუშათა შრომის ინტენსიფიკაციის მიუხედავად მათი ხელფასი 1929 წ. დონეზე დაბალი იყო. გაიზარდა ფასები, გადასახადები, ინფლაცია. 1938 წ. ფრანკის კურსი 1929 წ. შედარებით 2-ჯერ დაეცა, რის შედეგადაც 1938 წ. საცალო ფასები 1936 წელთან შედარებით 1/3-ით გაიზარდა.

1935-1938 წწ. პირდაპირი გადასახადები გაიზარდა 20%-ით, მშრომელთა წილად მოდიოდა მთელი გადასახადების 90%. გაძლიერდა მასების ექსპლოატაცია, ეკონომიკის მილიტარიზაცია. 1937 წ. სამხედრო ხარჯებმა შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის 30%. გამალებულმა შეიარაღებამ გააღიდა ფინანსური ოლიგარქიის მოგება.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავების პირობებში დაიწყო ბრძოლა ეკონომიკის ლიბერალური რეფორმირების მომხრეებსა და იმ რეაქციულ წრეებს შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები ცდილობდნენ საპარლამენტო სისტემის ლიკვიდაციას და ფაშისტური დიქტატურის დამყარებას, რაც გამოიწვევდა მთელ სახალხო მეურნეობაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის ჩამოყალიბებას.

სოფლად წარმოიქმნა პრობლემა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების სფეროში, შემცირდა ფასები, რამაც გამოიწვია გლეხთა უკმაყოფილება. ინტელიგენციის უკმაყოფილება გამოიწვია სახელმწიფო ხარჯების შემცირებამ განათლებასა და კულტურაზე. მრეწველობაში გახშირდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, სოციალური სამართლიანობისათვის, მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ შეუერთდა ინტელიგენცია, გლეხობა და ქვეითი ნის საშუალო ფენა.

ამ პირობებში საფრანგეთის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები გაერთიანდნენ ერთიანი სახალხო

ფრონტის შექმნის ლოზუნგით, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკელები, დემოკრატები, ლიბერალები, სოციალისტები, კომუნისტები და საშუალო ფენა.

1936 წ იანვარში გამოქვეყნდა სახალხო ფრონტის პროგრამა, რომლის შედგენაშიც მონაწილეობდა 98 ორგანიზაცია. პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იყო მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

პროგრამის მთავარი მოთხოვნა იყო: პოლიტიკური ამნისტია; ფაშისტური ლიგის დაშლა; კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა; სამხედრო მრეწველობის ნაციონალიზაცია; მსხვილ ბანკებზე კონტროლი; 40-საათიანი სამუშაო კვირის და ორკვირიანი ფასიანი შვებულების შემოღება; უმუშევართათვის დახმარების გაზრდა; გლეხებისთვის დახმარება; სამუშაო ადგილების გაზრდა; ასაკობრივი საპენსიო ბარიერის შემცირების ხარჯზე საზოგადოებრივი სამუშაოების მასშტაბური ორგანიზაცია; სასოფლო-სამეურნელ საქონელზე შესასყიდი ფასების რეგულირებას მწარმოებელთა ინტერესების გათვალისწინებით; კანონი სავაჭრო შეხობებზე გადასახადების შესახებ; წვრილ რანტიეთა ინტერესების დაცვა; მუშებისათვის ხელფასის მომატება საშუალოდ 7-დან 15%-მდე; პროფკავშირების თავისუფლება.

1936 წ. 4 ივლისს ჩამოყალიბდა სახალხო ფრონტი სოციალისტური პარტიის ლიდერის ბლიუმეს ხელმძღვანელობით. სახალხო ფრონტის ეკონომიკური პლატფორმის უდიდესი ნაწილი განმტკიცებული იქნა კანონმდებლობით. მიღებული იქნა ასზე მეტი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კანონი. ეს იყო სახალხო ფრონტის ტრიუმფი. განხორციელდა პროგრამის ცალკეული პუნქტი, კერძოდ: ხელფასები გაეზარდა მაღაროელებს და სახელმწიფო მოსამსახურეებს, პენსიები გაეზარდა ყოფილ ფრონტელებს, გაუქმდა სახელმწიფო მოსამსახურეების წინააღმდეგ მიმართული დეკრეტები, უმუშევართათვის შეიქმნა საზოგადოებრივი სამუშაოები, უმუშევრობის დახმარებები გათავისუფლდა გადასახადებისაგან. მთავრობამ მოახდინა ვალების გადავადება მრეწველობაში, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში. შეჩერდა ვალების გამო წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების ქონების გაყიდვა, მათ

შეღავათიან პირობებში მიეცათ კრედიტები. ეროვნულმა ბიურომ მყარ ფასებში განახორციელა მარცვლეულის შესყიდვა, რომელიც კრიზისის პერიოდის ფასებს 2-3-ჯერ აღემატებოდა. სოფლად მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე შემოიღეს დახმარებები, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მუშებზე – ფასიანი შვებულებების სისტემა. საფრანგეთის კერძო ბანკებზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი, მოხდა სამხედრო მრეწველობის ნაწილობრივი, ხოლო რკინიგზის სრული ნაციონალიზაცია. შეიქმნა რკინიგზის ეროვნული საზოგადოება სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით.

1937 წ. საგადასახადო რეფორმით გადასახადი წვრილ საწარმოებზე იყო 2%, ხოლო მსხვილზე – 6%. მსხვილ მემკვიდრეობასა და შემოსავლებზე გაიზარდა გადასახადები. ახალგაზრდებისთვის მთავრობამ გაახანგრძლივა სწავლის ვადა, გამოყო დამატებითი კრედიტები განათლების, მეცნიერების და კულტურის განვითარებისათვის.

სახალხო ფრონტმა, რომლის რიგებში გაერთიანებული იყვნენ მუშები, გლეხები და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ჩაიშალა რეაქციის ცდა საფრანგეთში დაემყარებინა ფაშისტური ტიპის დიქტატურა. მშრომელებმა მიაღწიეს სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. თუმცა ამ მონაპოვარის შენარჩუნებას ვერ მოახერხეს. დაიწყო ოქროს გატანა საზღვარგარეთ. ბანკირები და ქარხნების მფლობელები ცდილობდნენ ფრანკის კურსის დაცემას, რათა მუშათა ხელფასი გაეუფასურებინათ.

1937 წ. მეორე ნახევარში ქვეყანა მოიცვა ახალმა ეკონომიკურმა კრიზისმა. პირველ რიგში მან დარტყმა მიაყენა მძიმე ინდუსტრიას – მეტალურგულ, მანქანათმშენებელ, გემთმშენებელ და საამშენებლო მრეწველობას, იგი გავრცელდა მსუბუქ მრეწველობაზე და სოფლის მეურნეობაზე. დაიწყო უმუშევრობის ზრდა, გაძლიერდა ინფლაცია. მსხვილი ბურჟუაზია სისტემატურად არიდებდა თავს გადასახადების გადახდას.

1936 წ. მთავრობამ მიიღო შეიარაღების ოთხწლიანი პროგრამა. იგი ითვალისწინებდა ტანკების, არტილერიის, ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო საშუალებების წარმოების გაფართოებას. 1937 წ. 1 იანვრიდან 1939 წ. 1 სექტემბრამდე საფრანგეთის არმიის შეიარაღებისათვის დაიხარჯა 30 მლრდ. ფრანკი.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი წარმოების მოცულობით და ტექნიკური დონით რამდენადმე ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მას გააჩნდა მათზე არანაკლებ აღჭურვილი მეტალურგიული, ლითონდამმუშავებელი, ელექტროტექნიკური, ქიმიური, საავტომობილო და სხვა საწარმოები, რომელთაც მოკლე დროში შეეძლოთ გადასულიყვნენ სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე.

ამრიგად, საფრანგეთს ჰქონდა რეალური პოტენციალი წარმატებით გაეწია წინააღმდეგობა გერმანია-იტალიის ფაშიზმისათვის, მაგრამ ხელისუფლების სათავეში სახალხო ფრონტის მივსლისთანავე ბურჟუაზიამ დაიწყო სამხედრო პროგრამის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. მაგ., საავიაციო ქარხნებმა უარი თქვეს მრავალცვლიანი სამუშაოს შემოღებაზე. 1938 წ. მარტში მთავრობამ პროფკავშირების მხარდაჭერით მიაღწია თავდაცვით დარგებში 45 საათინი სამუშაო კვირის შემოღებას. მრეწველობის ხელმძღანელობამ იმ მოტივით, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული სერიული წარმოება, უარი განაცხადა სამუშაო დღის გახანგრძლივებაზე.

საფრანგეთის მონოპოლისტები პრაქტიკულად ახორციელებდნენ ლოზუნგს „უმჯობესია ჰიტლერი, ვიდრე სახალხო ფრონტი“. მრავალი ბანკი და კომპანია თანამშრომლობდა გერმანიის და იტალიის მონოპოლიებთან, რითაც ფაქტიურად ხელს უწყობდნენ მათი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის განმტკიცებას. ბურჟუაზიამ დაიწყო აშკარა კომპანია სახალხო ფრონტის მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ.

1938 წ. აპრილში შეიქმნა მემარჯვენე რადიკალის დალადიეს მთავრობა, რომელიც ფორმალურად მხარს უჭერდა სახალხო ფრონტს, 1936 წ. მთავრობამ პარლამენტისგან მიიღო განსაკუთრებული უფლებები ფინანსური გაჯანსაღების და მშრომელთა უფლებების ლიკვიდაციის შესახებ, 8%-ით

გაიზარდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, ხოლო გადასახადები მსხვილი სამრეწველო და საბაჭრო საწარმოებიდან შეამცირეს.

1938 წ. ოქტომბერში ყრილობაზე რადიკალების პარტიამ და რადიკალ-სოციალისტებმა მოიწონეს დალადიეს მთავრობის პოლიტიკა და მიიღეს გადაწყვეტილება სახალხო ფრონტის დაშლის შესახებ.

დალადიეს სახელთანაა დაკავშირებული 1938 წ. მიუნხენის ხელშეკრულების ხელმოწერა ევროპის ოთხ ქვეყანას შორის (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) ჩეხოსლოვაკიის დაყოფის შესახებ. მან ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის დაწყებას. ცდილობდნენ ჰიტლერისათვის გაეხსნათ გზა აღმოსავლეთისაკენ, რეალურად კი ამგვარმა პოლიტიკამ 1940 წ. მოამზადა საფრანგეთზე თავდასხმა.

ამრიგად, საფრანგეთის ეკონომიკა მსოფლიო ომებსშორის პერიოდში უთანაბროდ ვითარდებოდა. ეკონომიკის გამოცოცხლების, აღმავლობის და სტაბილიზაციის პერიოდს ენაცვლებოდა ეკონომიკური რყევა, რამაც ქვეყანაში არასტაბილური ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შექმნა. ამ პირობებში მემარჯვენე წრეების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო სახალხო მეურნეობაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებისაკენ. სახელმწიფო რეგულირება დაეხმარა ბურჟუაზიას რეფორმების გზით გამოსულიყო რთული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან. ამასთანავე, საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებისათვის საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკურ ურთიერთობათა რეფორმირების პოლიტიკას სახელმწიფო რეგულირების სიტემის საფუძველზე სოციალური ბრძოლის უკიდურესი ფორმების გამოყენების გარეშე. საფრანგეთში ეტატიზაციის გამოცდილება სასარგებლო აღმოჩნდა სამეურნეო რეფორმირებისას ევროპის სხვადასხვა (განსაკუთრებით სკანდინავიის) ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

თემა 19. იაპონიის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო ომებსშორის პერიოდში

1. პირველი მსოფლიო ომის გავლენა იაპონიის ეკონომიკაზე

იაპონია პირველ მსოფლიო ომში გამოდიოდა რა ანტანტის მხარეზე, არ აწარმოებდა სამხედრო მოქმედებებს. მისი სამხედრო ოპერაციები შემოიფარგლა მხოლოდ ჩინეთში გერმანიის მფლობელობაში მყოფი შანდუნის პროვინციისა (მთავარ ქალაქ ცინდაოსთან ერთად) და წყნარ ოკეანეში გერმანიის კუთვნილი კუნძულების დაპყრობით. იაპონია ცდილობდა ესარგებლა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ეძარცვა ჩინეთი. 1915 წელს იაპონელმა იმპერიალისტებმა ჩინეთს წარუდგინეს „21 მოთხოვნა“, რომელიც ითვალისწინებდა ჩინეთში იაპონიის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დიქტატის დაწესებას. მრავალი ამ მოთხოვნათაგან, ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებული და გათვალისწინებული იქნა იმავე წელს დადებულ იაპონია-ჩინეთის კაბალურ ხელშეკრულებაში. მაგ.: იაპონიისათვის მიეცათ ჩინეთში სამრეწველო და კომერციული საქმიანობის უფლება; ჩინეთის რიგი ტერიტორიების, რკინიგზების და საწარმოების არენდის უფლება; ცნობილი იაპონიის განსაკუთრებული უფლებები სარკინიგზო მშენებლობის დაკრედიტებაში; აკრძალულიყო ჩინეთის პორტების და ყურეების არენდა სხვა სახელმწიფოების მიერ და ა.შ.

იაპონიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა საომარი ვითარება ევროპაში. მან სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. 3-ჯერ გაზარდა თავისი ექსპორტი ამ რაიონებში. ომის ბოლოს იაპონიის წილი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში შეადგენდა 50%, ინგლისის წილი – 17,1%, ხოლო აშშ – 12,8%. თითქმის ხუთჯერ გაიზარდა იაპონიის საზღვარგარეთული ინვესტიციები.

სამხედრო მიწოდებებმა და საგარეო ეკონომიკურმა ექსპანსიამ ბიძგი მისცა ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას.

მისი პროდუქციის მოცულობა ომის წლებში გაიზარდა 2-ჯერ და მეტად. თითქმის 3-ჯერ გაიზარდა თუჯის და ფოლადის გამოდნობა, 7-ჯერ – გემების ტონაჟი. ომის ბოლოს იაპონიის გემთმშენებლობა მსოფლიოში მესამე ადგილზე გამოვიდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა იაპონიის საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობა. ომის წლების მთავარი ეკონომიკური შედეგი იყო იაპონიის აგრარულ-ინდუსტრიულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევა.

იაპონია ანტანტისათვის ასრულებდა რა სარფიან სამხედრო შეკვეთებს, ამავე დროს უზრუნველყოფდა მონოპოლიების უდიდეს მოგებასაც. ქვეყანაში სააქციო კაპიტალი 4-ჯერ გაიზარდა. იზრდებოდა მუშათა ექსპლოატაცია, ახანგრძლივებდნენ სამუშაო დღეს. 1914-1919 წწ. მუშათა რეალური შემოსავალი 1/3-ით დაეცა. სამაგიეროდ მონოპოლიებმა, მაგალითად, კონცერნმა „მიცუბისმა“ 1917-1919 წწ. ჩამოაყალიბა ახალი მსხვილი კომპანიები, რამდენიმე ასეული მილიონობით იენის კაპიტალით: 1917 წ. – გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი, რკინის და ფოლადის ჩამომსხმელი, 1918 წ. – სამთო, სავაჭრო და სასაწყობო, 1919 წ. – ბანკი და სადაზღვევო კომპანია.

ომმა დააჩქარა იაპონიის სოფლების გაჩანაგება. მკვეთრად გაიზარდა ფასები სურსათზე, განსაკუთრებით ბრინჯზე. ღარიბი გლეხობა წარმოადგენდა იაპონიის სოფლის მოსახლეობის 70%-ზე მეტს, გლეხებს ბრინჯი არ ყოფნიდათ რა ახალ მოსავლამდე, იძულებული იყვნენ გაძვირებული ეყიდათ იგი. გრძელდებოდა გლეხთა გაღატაკება. გაიზარდა მოიჯარეთა და ნახევრადმოიჯარეთა რაოდენობა. იჯარის გადასახადმა ნატურით ზოგიერთ ადგილზე მიაღწია ბრინჯის მოსავლის 60-70%. გარდა იჯარისა, გლეხი დიდ სახელმწიფო გადასახადებს იხდიდა. ღირიბი გლეხები ხშირად ებმებოდნენ სავახშო, ხოლო შეძლებული გლეხები – საბანკო სესხების კაბალაში.

პროლეტარიატისა და გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, კაპიტალისტებისა და სპეკულანტების გამდიდრება ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. იაპონიაში დაიწყო სახალხო პოლიტიკური აქციები. სურსათზე ფასების მკვეთრი მომატების გამო დაიწყო გაფიცვები, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყანა. ბრინჯი ომამდელთან შედარებით 6-ჯერ გაძვირდა. 1918 წლის აგვისტოში გამოსვლებმა საერთო ეროვნული ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობაში მონაწილეობდა 10 მლნ.-მდე კაცი – მუშები, გლეხები, ხელოსნები, სტუდენტები. მოძრაობა გაგრძელდა 2 თვე და იგი სასტიკად ჩაახშეს.

1918 წ. გაზაფხულზე იაპონიამ დაიწყო ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მათ განიზრახეს დაეპყროთ ციმბირის უდიდესი ნაწილი და დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. ეს ინტერვენცია დამთავრდა სრული მარცხით, ვინაიდან ინტერვენციამ მოითხოვა მნიშვნელოვანი ხარჯები, დაახლოებით 900 მლნ. იენი. იაპონია იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. მან დატოვა კუძულ სახალინის ჩრდილოეთი ნაწილიც.

2. იაპონიის ეკონომიკური განვითარება 20-იან წლებში

იაპონიის ეკონომიკაში სამხედრო აღმავლობა არ იყო მუდმივი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებით გაუარესდა იაპონიის საგარეო ეკონომიკური პოზიციები. ევროპის სახელმწიფოებმა განაახლეს თავისი საქონლის გატანა აზიის ბაზრებზე და ამით იაპონიის კაპიტალისტებმა დაკარგეს აღმოსავლეთის ეს ბაზრები.

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გამოვლინდა იაპონია–აშშ-ის წინააღმდეგობა. აშშ გადაიქცა რა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნად, იაპონიამ რამდენადმე დათმო თავისი პოზიციები. ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921-1922 წწ. აშშ-ის ძალდატანებით იაპონიამ ცნო პრინციპი ჩინეთში „ღია კარის“ შესახებ, რაც შეესაბამებოდა აშშ-ის ინტერესებს ჩინეთის ბაზარზე.

საგარეო ეკონომიკური პოზიციების შესუსტებამ უარყოფითად იმოქმედა იაპონიის ეკონომიკურ განვითარებაზე. ომის დამთავრების შემდეგ 1920-1921 წწ. ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დაიწყო კრედიტის სფეროში. 1920 წ. გაზაფხულზე გაკოტრდა რამდენიმე ათეული ბანკი. მათ დასახმარებლად იაპონიის სახელმწიფო ბანკმა გამოყო 120 მლნ. იენი. იაპონიის ექსპორტი დაეცა 40%-ით, იმპორტი კი 31%-ით. სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 20%-ით. კრიზისის სიმძლავრე იმან

განაპირობა, რომ იაპონია განსაკუთრებულად იყო დამოკიდებული საგარეო ბაზარზე. კრიზისმა გამოააშკარავა იაპონიის ეკონომიკის სუსტი მხარეები: 1. მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების უთანაბრობა; 2. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა; 3. სპეკულაციური ტიპის საწარმოების სიმრავლე. კრიზისმა იაპონიის მრეწველები აიძულა, რომ ეკონომიკა სასწრაფოდ გადაეყვანათ მშვიდობიან ყაიდაზე.

1923 წ. 1 სექტემბერს იაპონიაში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ყველაზე მეტად დაზარალდა ტოკიოს რაიონი იოკოჰამა. დაიღუპა 140 ათასი კაცი, მატერიალურმა ზარალმა მიაღწია 5 მლრდ. იენს. სახელმწიფომ დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულებს და პირველ რიგში მსხვილ მეწარმეებს. მათ გადაუვადა ყველა სახის გადასახადები და მისცა კომპენსაცია მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ასეთმა დახმარებებმა მნიშვნელოვნად უბიძგა იაპონიის მრეწველობას აღმავლობისკენ.

1924-1926 წწ. შეინიშნებოდა სამშენებლო, მეტალურგიული, გემთმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების სწრაფი ზრდა, გაფართოვდა ვაჭრობაც. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების საერთო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 6,6 მლრდ.-დან 7,1 მლრდ. იენამდე. უდიდესი მიღწევები ჰქონდათ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ მრეწველობაში. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად მოწინავე პოზიცია ეკავა ბამბეულის წარმოებას, რომელიც იძლეოდა სამრეწველო წარმოების 40%-ს. იაპონიის ნაწარმი მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას უწევდა სხვა ქვეყნებს. განუწყვეტლად იზრდებოდა მძიმე მრეწველობის როლი. 1929 წ. იგი იძლეოდა დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის 30%-ზე მეტს. იაპონიის მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის ზრდაზე დიდი გავლენა იქონია კორეის და მანჯურიის ნედლეულის რესურსების ექსპლოატაციამ.

1924-1926 წწ სამრეწველო აღმავლობის პერიოდში დამთავრდა იაპონიის მანქანათმშენებლობის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბება. ყოველწლიურად იზრდებოდა წარმოებული ძრავების რაოდენობა, რომლებსაც გამოიყენებდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში. 1918-1929 წწ. ძრავათა სიმძლავრე გაიზარდა 4-ჯერ და შეადგინა 4,5 მლნ. ცხენის ძალა. ამავდროულად მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის პრო-

ცესი. 1929 წ. საწარმოები, რომლებშიც იყო 50 კაცზე მეტი, აწარმოებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 61%-ს.

იაპონიის მსხვილი კაპიტალი სულ უფრო მეტად განიმტკიცებდა პოზიციებს ეკონომიკის მთავარ დარგებში. კონცერნებმა „მიცუბისმა“ და „სუმიტომომ“ თავისი სიმძლავრეები გაზარდეს მძიმე მრეწველობაში, „მიცუბისმა” და „იასუდამ” – კრედიტებსა და საგარეო ვაჭრობაში.

ომისა და ომისშემდგომ პერიოდში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი მონოპოლისტურ გაერთიანებათა (ოჯახური კონცერნების – ძაიბაცუს სახით) ჩამოყალიბებით დამთავრდა. იგი აერთიანებდა ათეულობით სხვადასხვა საწარმოს, საოჯახო კორპორაციის კონტროლის ქვეშ და მოიცავდა ეკონომიკის ძირითად დარგებს. დასავლეთის საფინანსო-სამრეწველო მონოპოლიებისგან განსხვავებით ძაიბაცუ ჩამოყალიბდა არა კონკურენციული ბრძოლის შედეგად, არამედ სახელმწიფოს მიერ საგანგებო სავაჭრო-სამრეწველო ხელშეწყობით, რომელიც განსაკუთრებულ ოჯახებს ეძლეოდათ. ძაიბაცუს დამახასიათებელი ნიშანია მისი უნივერსალურობა. კონცერნი „მიცუბისი” 20-იან წლებში აკონტროლებდა 120 კომპანიას 900 მლნ. იენით. მის შემადგენლობაში შედიოდა სარკინიგზო და ელექტროტექნიკური კომპანიები, აგრეთვე – მეტალურგიული, სამთამადნო, გემთმშენებელი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები. კონცერნი „სუმიტომოც” მრავალდარგოვანი იყო. გაერთიანება „იასუდა” თავიდან იყო მსხვილი საბანკო სახლი, მაგრამ შემდეგ მის კონტროლს დაექვემდებარა მრავალი სამრეწველო საწარმო.

ძაიბაცუს ძირითადი ნიშანია მისი მჭიდრო კავშირი სახელმწიფოსთან. დიდი იყო სახელმწიფოს, როგორც უმსხვილესი მეწარმის როლი. სახელმწიფო საწარმოებში მაღალი იყო ტექნიკური დონე. 1887-1940 წწ. მთავრობამ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების 2/3, მისი ძირითადი ნაწილი კონცერნებს გადაეცა. იმპერატორი, როგორც ქვეყნის უმსხვილესი მესაკუთრე, ფლობდა 1/2 მლრდ. იენის აქციებს, იყოფდა შემოსავლებს „მიცუბისის” და „სუმიტომოს” საგარეო ვაჭრობიდან და გემთმშენებლობიდან. სახელმწიფო–მონოპოლისტური კაპიტალი იაპონიაში მონოპოლი-

ებთან ერთად ჩამოყალიბდა. ეს განაპირობებდა მის განსაკუთრებულ ხასიათს.

იაპონიისათვის დამახასიათებელი იყო საგარეო ვაჭრობის პასიური ბალანსი, რაც მეტყველებდა საქონლის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე. ამის გამო ხშირად მეწარმეებს თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად ახიის ბაზარზე საქონელი დაბალ ფასებში გაჰქონდათ.

იაპონიის სამრეწველო აღმავლობა არ იყო ხანგრძლივი და მყარი. უკვე 1926 წ. ბოლოს და 1927 წ. დასაწყისში დაიწყო სამრეწველო პროდუქციის მოცულობის შემცირება. 1927 წ. ქარხნების უმეტესობა 1/4-ითაც არ იყო დატვირთული. 1925-1927 წწ. მუშათა რაოდენობა შემცირდა 10%-ით. 1927 წ. მარტ-აპრილის სამრეწველო კრიზისს საფინანსოც დაემატა. მან მოიცვა საკრედიტო-საბანკო სისტემა, გაკოტრდა სავაჭრო სახლებისა და ბანკების ნაწილი. ამავე დროს გაძლიერდნენ უმსხვილესი ბანკები. 1928 წ. ხუთ მათგანში („მიცუი", „მიცუბისი", „იასუდა", „სუმიტომო" და „დაიიჩი") იმყოფებოდა ქვეყნის მთელი საბანკო დეპოზიტების 35%, ხოლო სხვა 10 ბანკის ხელში – 55%. უნდა აღინიშნოს, რომ გაძლიერდა იაპონიის დამოკიდებულება საგარეო ბაზარზე და საგარეო სანედლეულო ბაზაზე.

1919-1928 წწ. იაპონიის სოფლის მეურნეობა ფაქტიურად იმყოფებოდა კრიზისულ მდგომარეობაში. ეს იყო მშრომელთა ცხოვრების დაბალი დონის მთავარი მიზეზი. საერთოდ ქვეყანაში იყო საშინაო პოლიტიკური არასტაბილურობა. 1927 წ. ხელისუფლებაში მივიდა გენერალი ტანაკა, მან შეიმუშავა გეგმა „ტანაკას მემორანდუმის" სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებდა იაპონიის იმპერიალიზმის სტრატეგიულ კურსს, აგრესიის გზით მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. ამ გეგმის განსახორციელებლად იაპონია თავს უნდა დახსმოდა ჩინეთს. ქვეყანაში ამ დროს თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. ამავე დროს ქვეყანაში გამწვავდა შიდაპოლიტიკური ბრძოლა და 1929 წ. ივლისში ტანაკას მთავრობა გადადგა.

ამრიგად 1919-1928 წწ. იაპონიისათვის გადაიქცა ეკონომიკის შემდგომი განვითარების მიმართულებების ძიების პერიოდად. ყველაზე დიდი შედეგები მიღწეულ იქნა მძიმე მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე იყო ორიენტირებული.

3. 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა იაპონიის ეკონომიკაზე

1929 წელს სამრეწველო აღმავლობა შეიცვალა ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისით. ამ დროს გამოვლინდა ქვეყნის ეკონომიკის სუსტი მხარეები და იაპონიის კაპიტალიზმის შედარებითი ჩამორჩენილობა. 1929-1931 წწ. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება შემცირდა 7,4 მლრდ.-დან 5 მლრდ. იენამდე, ანუ 32%-ით. მნიშვნელოვნად შემცირდა ქვანახშირის, მეტალურგიული, საფეიქრო დარგების და გემთმშენებლობის წარმოების მოცულობა. უმუშევართა რაოდენობამ 2,5-3 მლნ. კაცს მიაღწია.

კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა სოფლის მეურნეობას, რომლის პროდუქციის ღირებულება ამ პერიოდში 60%-ით შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონიის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეკონომიკის აგრარულმა სექტორმა პირველმა განიცადა კრიზისული ვარდნის მთელი სიმწვავე. მძიმე მდგომარეობა იყო მეაბრეშუმეობაში, სადაც დასაქმებული იყო გლეხური მეურნეობის 50%, ხოლო აბრეშუმის ნედლეულის ექსპორტმა შეადგინა 30%. აშშ-ში კრიზისის შედეგად იაპონიიდან შემცირდა აბრეშუმის ექსპორტი, რამაც კატასტროფულად დასცა აბრეშუმის ფასები. ფასების შემცირებამ აბრეშუმზე, ბრინჯზე და სხვ. გამოიწვია მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის 40%-ით შემცირება.

კრიზისის წლებში მთლიანად დაეცა იაპონიის ექსპორტი. 1931 წ. იგი 1929 წ.-თან შედარებით 2-ჯერ დაეცა, ამასთანავე ექსპორტზე მოდიოდა ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 20%. საშინაო და საგარეო ვაჭრობის შემცირებამ გამოიწვია გაუსაღებელი საქონლის დიდი რაოდენობით დაგროვება.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უმეტეს დარგებში, რომლებიც საშინაო ბაზრისათვის ამზადებდნენ ტრადიციულ იაპონურ საქონელს, როგორიცაა ეროვნული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქოლგები, კერამიკული ნაწარმი, ფარანი და სხვ. წარმოება მანუფაქტურულ სტადიაში იმყოფებოდა.

კრიზისი ტვირთად დააწვა მშენებლებს. დაიწყეს სამუშაო ადგილების შემცირება. უმუშევართა რაოდენობა 1929-1933 წწ. გაიზარდა 3 მლნ. კაცამდე, შემცირდა ხელფასები. ასეთ მძიმე ვითარებაში იაპონიის მთავრობა ეძებდა კრიზისიდან გამოსავალს. დაჩქარდა წარმოების რაციონალიზაცია, მისი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, რასაც თან სდევდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის მასობრივი გაჩანაგება. გაძლიერდა კოლონიების ისედაც მკაცრი ექსპლოატაცია. ქვეყანაში უკიდურესად გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი. მკვეთრად გაიზარდა გაფიცვების რაოდენობა მრეწველობაში და საიჯარო კონფლიქტები სოფლის მეურნეობაში.

კრიზისიდან გამოსავალს იაპონიის ბურჟუაზია ეკონომიკის აქტიურ მილიტარიზაციაში და ფაშისტური რეჟიმის დამყარებაში ეძებდა. ეს კი ერთგვარად განპირობებული იყო იაპონიის ეკონომიკის განვითარების თავისებური სამხედრო-ფეოდალური ხასიათით. იაპონიის მილიტარიზმის განსაკუთრებული აგრესიულობა გამომდინარეობდა ეკონომიკური ჩამორჩენილობიდან.

4. იაპონიის ეკონომიკის მილიტარიზაცია

1931 წ. იაპონიამ დაიპყრო მანჯურია, ჩინეთის ხელშეუვალი ნაწილი. მანჯურიის დაპყრობა ნიშნავდა აღმოსავლეთში მსოფლიო ომის კერის წარმოშობას. მანჯურიის ოკუპაცია განხორციელდა დასავლეთის ქვეყნების ხელშეწყობით, მათი ვარაუდით, იაპონია გამაგრდებოდა რა მანჯურიაში, ომს გააჩაღებდა სსრ კავშირთან. 1933-1935 წწ. იაპონიამ დაიკავა ჩრდილოეთ ჩინეთის რამოდენიმე პროვინცია, ხოლო 1937 წ. დაიწყო აშკარა ომი ჩინეთის წინააღმდეგ. იაპონიის მემარჯვენე წრეები ამ ომში სწრაფ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მაგრამ ომი გაგრძელდა. მიუხედავად გომინდანის მთავრობის მერყევი პოზიციისა, ჩინეთის ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობელებს. იაპონიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე გაიშალა მძლავრი პარტიზანული მოძრაობა. ომის გახანგრძლივებამ გააძნელა იაპონიის საშინაო მდგომარეობა. ომი მოითხოვდა დიდ სახსრებს. 1937-1938 წწ. სამხედრო ხარჯებმა შეადგინა 4 მლრდ იენი, ე.ი. იაპონიის ბიუჯეტის

ხარჯების 70%-ზე მეტი. 1933 წლიდან იაპონიის ბიუჯეტი ყოველწლიურად განიცდიდა დეფიციტს, რამელიც იფარებოდა ქაღალდის ფულის გამოშვებით.

იაპონიის სამხედრო დაპყრობებმა გამოიწვია მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის რიგი დარგების განვითარების აუცილებლობა. ვითარდებოდა ისეთი დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყო არმიის და ფლოტის მომარაგებასთან. 1931-1938 წწ. მთლიანად სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 1,6-ჯერ, ხოლო მეტალურგიისა – 10-ჯერ, მანქანათმშენებლობა – 6,7-ჯერ, ქიმიური მრეწველობა – 3,2-ჯერ, გაზის და ელექტროტექნიკური – 2,1-ჯერ. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სატვირთო ავტომობილების და თვითმფრინავების წარმოებას. 1939 წ. იარაღის და სამხედრო მასალების წარმოება 1925 წელთან შედარებით თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. ეკონომიკის მილიტარიზაცია ხელს უწყობდა მძიმე მრეწველობის მკვეთრ აღმავლობას. 1929-1938 წწ. მისი წილი წარმოების საერთო მოცულობაში 32,2-დან 60,8%-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც საფეიქრო მრეწველობის წილი შემცირდა 41,4-დან 20,2%-მდე.

იაპონიის ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა ხდებოდა სახელმწიფო-მონოპოლისტური პოლიტიკის ტენდენციის გაძლიერებით. მნიშვნელოვანი დარგების კონტროლი ხდებოდა სპეციალური სამთავრობო მითითებებით, ცენტრალიზებულად ხდებოდა ნედლეულის და საწვავის განაწილება. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო 1938 წ. მარტის კანონი „ერის საყოველთაო მობილიზაციის შესახებ“, რომლითაც მთავრობას უფლება მიეცა გაეკონტროლებინა არა მარტო მრეწველობა, არამედ ტრანსპორტი, საგარეო და საშინაო ვაჭრობა. უმსხვილესი კომპანიები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სამხედრო წარმოებასთან, სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი პრივილეგიებით კრედიტების, ნედლეულის, სამუშაო ძალის და გარანტირებული შეკვეთების მიღებისას.

თუ მონოპოლიებს ომისათვის მზადებამ მრავალმილიონიანი მოგება მოუტანა, მშრომელებისათვის იგი სამხედრო კატორღად იქცა. კანონით „ერის საყოველთაო მობილიზაციის შესახებ“ აიკრძალა ყოველგვარი გაფიცვები და კრებები. სამუშაო დღე ოფი-

ციალურად განისაზღვრა 12-14 საათით, ფაქტიურად კი იგი გრძელდებოდა 14-16 საათი. განუწყვეტელი ინფლაცია ზრდიდა ფასებს საქონელზე, ეს კი ხალხის გაღარიბებას იწვევდა. ომის წინ იაპონიის მუშათა რეალური ხელფასი 6-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ის და 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისის. ამასთანავე ქალების გამომუშავება შეადგენდა მამაკაცის ხელფასის 1/3-დან 1/2-მდე. ამით აიხსნება იაპონიის საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდის საიდუმლო მსოფლიო ბაზარზე. ველოსიპედების, საათების, რადიომიმღებების, საკერავი მანქანების საწარმოები მუშაობდნენ მხოლოდ ექსპორტისათვის.

სოფელში, სადაც შემორჩენილი იყო ფეოდალური გადმონაშთები, მოსახლეობის მდგომარეობა კვლავ მეტად მძიმე იყო. ომის წინ გლეხების მხოლოდ 30%-ს ჰქონდა საკუთარი მიწა, დანარჩენები მიწას ძველებურად იჯარით იღებდნენ მოსავლის ნახევრის გადახდის პირობით. გაძლიერდნენ მემამულური ტიპის კულაკები.

ინგლისის და აშშ-ის მემარჯვენე წრეები იაპონიის მიმართ ატარებდნენ „აღმოსავლეთის მიუნჰენის“ პოლიტიკას. აშშ ეხმარებოდა იაპონიას ალუმინის მრეწველობის განვითარებაში, აკრედიტებდნენ მანქანათმშენებლობას, ამარაგებდნენ დანადგარებით. აშშ იაპონიას აწვდიდა საჭირო ჯართის 80%. დასავლეთს გაძლიერებული იაპონიის აგრესია სურდა სსრ კავშირის წინააღმდეგ მიემართა. თუმცა მას შემდეგ, რაც იაპონია 1938 წ. დამარცხდა ტბა ჰასანთან, ხოლო 1939 წ. ხალხინ-გოლთან (მონღოლეთი), შეიცვალა სსრ კავშირზე აგრესიის გეგმები და გადაიდო უფრო ხელსაყრელი მომენტისათვის. ამავე დროს, იაპონიის აგრესია თვით მისი მფარველებისკენ მიიმართა.

1937 წ. იაპონიამ ხელი მოაწერა „ანტიკომინტერნულ პაქტზე“ ფაშისტურ გერმანიასთან, ხოლო 1940 წ. სექტემბერში ხელმოწერილი იქნა „სამმხრივი პაქტი“ იაპონიას, გერმანიასა და იტალიას შორის, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოს ხელახლა გადანაწილებას. 1941 წ. 8 დეკემბერს იაპონიის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებმა წარმატებული შეტევა განახორციელეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე პერლ-ჰარბორზე და ჰავაის კუნძულებზე. ამით იაპონიამ გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

1942 წ. შუახანებში იაპონიამ მოახდინა ფილიპინების, ინდონეზიის, ტაილანდის, ბირმის, მალაიზიის, ინდონეზიის, ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია. მიტაცებულ ტერიტორიებზე იაპონიამ დაამყარა მკაცრი კოლონიური რეჟიმი. ამ ტერიტორიებზე შეიჭრა იაპონიის კაპიტალი, რამაც გაამწვავა იაპონიის ურთიერთობები სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ინგლისთან და აშშ-თან.

ომმა არ გაამართლა იაპონიის გეგმები, რომლის მიზანიც იყო, თავი დაეღწია ეკონომიკური სიძნელეებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი უდიდეს სანედლეულო სიმდიდრეს ფლობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაპყრობილ რაიონებში, არ შეეძლო სრულად გამოეყენებინა ეს რესურსები, სატრანსპორტო საშუალებების უკმარისობის გამო.

იაპონიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საკმარისი არ აღმოჩნდა ასეთი ხანგრძლივი ომის საწარმოებლად. უკვე 1943 წლიდან იაპონიის მძიმე მრეწველობის პროდუქციამ მოწყობილობის ცვეთის, ნედლეულის და კვალიფიციური მუშების უკმარისობის გამო დაიწყო კლება. იაპონიის სამხედრო ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი იყო საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც არ იყო საკმარისი წყნარ ოკეანეში შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის მრეწველობის მოსამარაგებლად. გემთმშენებლობა ვერ აუდიოდა სავაჭრო ფლოტის დანაკარგების შევსებას. გამწვავდა ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა. ინფლაციამ გამოიწვია ფასების განუწყვეტელი ზრდა და რეალური ხელფასის მკვეთრი დაცემა. იაპონიის ხალხი შიმშილობდა.

ომის დასასრულს იაპონიის ხალხს თავს დაატყდა საშინელი ტრაგედია. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ამერიკის არმიამ იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოაგდო ატომური ბომბი, რის შედეგადაც დაიღუპა ასეულ ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა. ეს აშშ-ის მხრიდან იყო რევანში იაპონიის მიერ 1941 წ. „პერლ-ჰარბორის“ დაბომბვისა, და რომელმაც ტრაგიკული კვალი დატოვა რამოდენიმე თაობის იაპონელებზე.

1945 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა იაპონიას და სრულად გაანადგურა მისი არმია. 1945 წლის 2 სექტემბერს კი იაპონია იძულებული გახდა ხელი მოეწერა უსიტყვო კაპიტულაციაზე.

თემა 20. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო ომებსშორის პერიოდში (1917–1941 წწ.)

1. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და რევოლუციური გარდაქმნები

1917 წლის შემოდგომაზე რუსეთში მომწიფდა საერთო სახალხო კრიზისი. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტროგრადში მოხდა შეიარღებული აჯანყება და ხელისუფლებაში მოვიდა ერთ-ერთი რადიკალური პარტია – რსდმპ (ბ) ქვეყნის ღრმა კრიზისიდან გამოსვლის თავისი პროგრამით.

ოქტომბრის რევოლუცია იყო პარადოქსული, ვინაიდან იგი მოხდა „წვრილგლეხურ ქვეყანაში“. რევოლუციამ შექმნა მხოლოდ ახალი ტიპის სახელმწიფო, რომლის ბაზაზეც უნდა შექმნილიყო სოციალისტური ეკონომიკა. ამ დროისათვის არ ჩანდა სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლის ნიშნები და არ არსებობდა მისი მშენებლობის გამოცდილება. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის ისტორია განიხილება, როგორც ექსპერიმენტების, სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის გზების ძიების მთელი ჯაჭვი.

ყოფილი რუსეთის იმპერიის ძირითად ნაწილში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის მარტამდე. ეს პროცესი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გაძნელდა უკრაინაში, ამიერკავკასიაში, შუა აზიასა და ბალტიისპირეთში (იმ ნაწილში, რომელიც არ იყო ოკუპირებული გერმანიის მიერ), სადაც 1917 წლის ოქტომბერში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ძალები, რომლებიც მოითხოვდნენ რუსეთისაგან სრულ გამოყოფას. აქ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ რუსეთის მიერ მათი ოკუპაციის შედეგად დამყარდა.

ახალი ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის შეიარაღებული აგრესიით, თუმცა არანაკლები როლი შეასრულა მოსახლეობის მხარდაჭერამაც. საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა პირველი დეკრეტები, რომელიც დემოკრატიული ხასიათის იყო და ხალხის უმრავლესობის ცხოვრებისეულ ინტერესებს გამოხატავდა.

პირველ თვეებში საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო ხელში აეღო ეკონომიკის ადმინისტრირება, ანუ როგორც თავად იუწყებოდა, დაემყარებინა პროლეტარიატის დიქტატურა და შეექმნა სოციალისტური მმართველობის ორგანოები. ამ პერიოდის პოლიტიკას მისი მთავარი იდეოლოგი ვ. ი. ლენინი უწოდებდა „წითელგვარდიელთა“ იერიშს იძულებასა და ძალადობაზე დამყარებულ კაპიტალზე. თუმცა სწორედ იძულება და ძალადობა განსაზღვრავდა განსახილველი პერიოდის სპეციფიკას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად იშლებოდა მმართველობის მთელი რევოლუციამდელი სტრუქტურა და იქმნებოდა ახალი სახელმწიფო აპარატი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა საბჭოების ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში საკანონმდებლო ფუნქციას ასრულებდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო გახდა სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო), რომელიც ასევე ფლობდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას. ყოფილი სამინისტროების ნაცვლად შეიქმნა სახალხო კომისარიატები (სახკომატები), რომელიც მართავდა ეკონომიკას. ლიკვიდირებულ იქნა მართლმსაჯულების არსებული სისტემა. შეიქმნა რევოლუციური ტრიბუნალები, რომელთაც უნდა გაესამართლებინათ „პროლეტარული სინდისით და რევოლუციური თვითშეგნებით“.

დეკრეტით ზავის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლება მოუწოდებდა მეომარ ქვეყნებს შეეწყვიტათ ომი და დაედოთ ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო. ზავი უანექსიოდ ნიშნავდა სხვისი მიწების მიტაცებაზე და სხვა ხალხების იძულებით შეერთებაზე უარის თქმას, ხოლო ზავი უკონტრიბუციოდ კი

– გამარჯვებული ქვეყნის მიერ დამარცხებულ ქვეყანაზე ხარ
კის დადებაზე უარის თქმას. დეკრეტით გაუქმდა საიდუმლ
დიპლომატია. გაუქმდა აგრეთვე 1917 წლის თებერვლიდან ო
ტომბრამდე ყველა საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც დად
დროებითმა მთავრობამ. დეკრეტში მოცემული იყო მშვიდო
ბიანი თანაარსებობის იდეა სახელმწიფოებს შორის, რომელ
თაც აქვთ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წყობა. დე
რეტით მიწის შესახებ გამოცხადდა მსხვილი მიწის საკუთ
რების ნაციონალიზაცია და გლეხებს შორის მისი განაწ
ლება.

„დეკრეტს ზავის შესახებ“ ანტანტის მოკავშირეები არ გ
მოეხმაურნენ. მას მხარი დაუჭირა მხოლოდ გერმანიამ, რ
მელიც იმყოფებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური კატას
ტროფის წინაშე. 1917 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერ
დროებით ზავს და ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მშვიდობიან
მოლაპარაკება. საბჭოთა მხარე მოითხოვდა მშვიდობის და
ყარებას ყოველგვარი პირობების გარეშე. გერმანიამ წამო
ყენა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა პოლონეთის, ას
ბალტიისპირეთის ნაწილის და ბელორუსიის გადაცემას (დ
ახლოებით 150 ათასი კვ. კმ.). საბჭოთა მთავრობის შიგნი
უთანხმოების შედეგად მოლაპარაკება წარუმატებლად გა
რძელდა 2 თვე. ამით ისარგებლა გერმანიამ, დაარღვია დრო
ებითი ზავი და 1918 წ. 18 თებერვალს გადავიდა შეტევაზ
მათ არ შეხვედრიათ არავითარი წინააღმდეგობა, რადგან ქვ
ყანაში არმია ფაქტიურად დემობილიზებული იყო, ხოლო წ
თელგვარდიელთა ახალი რაზმები კი – სუსტად შეიარაღ
ბული და ცუდად ორგანიზებული.

პეტროგრადის დაცემის შიშით საბჭოთა მთავრობა დათა
ხმდა გერმანიის პირობებს, მაგრამ გერმანიამ გაამკაცრა მ
თხოვნა და პრეტენზიას აყენებდა უკრაინის დიდ ნაწილზე
ჩრდილოეთ კავკასიაზე და სხვ. გერმანიას უნდა გადასცემ
და 750 ათასი კვ. კმ. ტერიტორია 50 მლნ მოსახლეობით, ს
დაც განლაგებული იყო რკინიგზის ერთი მესამედი, ძირით
დი მეტალურგიული ქარხნები, დონბასის ქვანახშირის მაღ
როები და ა.შ. ამასთან ერთად, მთელ რუსეთს უნდა გადაეხ
და უზარმაზარი კონტრიბუცია სურსათით, ნედლეულით დ

ქროთი. 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილ იქნა ბრესტის ზავი. ამით რუსეთმა მიიღო მშვიდობიანი შესვენება, ხოლო ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს ხელისუფლება.

მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებებში შედიოდა ბანკების ნაციონალიზაცია, მიწის შესახებ დეკრეტის რეალიზება, მრეწველობის ნაციონალიზაცია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზება, მუშათა კონტროლის ორგანიზაცია.

დეკრეტით მიწის შესახებ გაუქმდა მიწაზე მემამულეთა საკუთრება ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. მემამულეთა, საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მამულები ინვენტარით, ყოველგვარი ნაგებობით. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადავიდა ადგილობრივი მიწის კომიტეტებისა და სამაზრო საბჭოების განკარგულებაში. სამუდამოდ გაუქმდა მიწაზე კერძო საკუთრება. ყველა მიწა: სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო, პოსესიური კერძო მესაკუთრული და სხვა ჩამორთმეული იქნა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და სრულიად სახალხო საკუთრებად და გადაეცა მშრომელებს სარგებლობისათვის. სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდა წიაღისეული (მადანი, ნავთობი, ნახშირი, მარილი და ა.შ.), ტყეები და წყლები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მაღალი კულტურის მეურნეობანი გლეხთა შორის არ განაწილებულა. ისინი გადაიქცა მსხვილ, სანიმუშო-საჩვენებელ მეურნეობებად. მიწით სარგებლობის უფლება მიეცა ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეეძლო დაემუშავებინა მიწა თავისი ოჯახის ძალებით, დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე. ის მიწარმოქმედნი, რომლებიც სიბერისა და ინვალიდობის გამო ვერ ამუშავებდნენ მიწას, კარგავდნენ ამ მიწით სარგებლობის უფლებას და სახელმწიფო მათ უზრუნველყოფდა პენსიით. მიწით სარგებლობა იყო გათანაბრებითი, ე.ი. მიწა ნაწილდებოდა მშრომელებს შორის შრომითი ან მოთხოვნილების ნორმის საფუძველზე. მიწით სარგებლობის ფორმები არ იყო შეზღუდული: იგი შეიძლებოდა ყოფილიყო საკარმიდამო, ხუტორული, სათემო, არტელური და სხვა სახის, იმის მიხედვით, თუ რომელი სოფელი როგორ გადაწყვეტდა. პერიოდულად ხდებოდა მიწის ფონდის გადანაწილება. იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე არსე-

ბული მიწის ფონდი საკმარისი არ იქნებოდა, ჭარბი მოსახლეობა უნდა გადასულიყო სხვა რაიონებში. პირველად გადასახლდებოდა გადასახლების მსურველი უმიწო გლეხები, შემდეგ სოფლის ის მცხოვრებნი, რომელთაც რაიმე დანაშაულის მიუძღოდათ, მაგ., დეზერტირები და სხვ. ბოლოს გადასახლება ხდებოდა კენჭისყრის ან მათი სურვილით – შეთანხმების საფუძველზე.

1917 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს) სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ. 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის მოზრდილთათვის დაწესდა 6 საათიანი სამუშაო დღე. 14 წლის ასაკამდე მოზარდთა შრომის გამოყენება აიკრძალა. აიკრძალა ქალებისა და მოზარდთა შრომის გამოყენება მიწისქვეშა სამუშაოებზე.

მსხვილ საწარმოებში, სადაც მუშები მტკიცედ იყვნენ შეკავშირებულნი, 8 საათიანი სამუშაო დღე შემოიღეს დაბრკოლებების გარეშე. წვრილ საწარმოებში მისი გატარება ბრკოლდებოდა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში არ გატარებულა.

გამოცემულ იქნა დეკრეტი სკოლის ეკლესიისგან, ხოლო ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, როგორც ოჯახში, ისე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მამაკაცისა და ქალის უფლებების გათანაბრების შესახებ.

სახელმწიფო ბანკი საბჭოთა ხელისუფლებამ ხელთ იგდო უკვე შეიარაღებული აჯანყების პროცესში 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს). სახელმწიფო ბანკის სეიფებში იყო 1,3 მლრდ. მანეთის ოქრო და 152,0 მლნ. მანეთის საკრედიტო ბილეთები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ სახსრების გამოყენება მაშინვე ვერ მოხერხდა. ბანკის მომსახურე პერსონალმა უარი განაცხადა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. 1917 წლის 7 (20) ნოემბერს პეტროგრადში სახელმწიფო ბანკის და მოსკოვში მისი კანტორის შენობა დაიკავეს შეიარაღებულმა მუშებმა, ჯარისკაცებმა და მატროსებმა, რომლებმაც გამოდევნეს გაფიცული მოხელეები. საბანკო ოპერაციების შესრულება დაიწყო ბანკის დამხმარე პერსონალის დახმარებით. დაიწყეს მუშებისათვის უბრალო საბანკო ოპერაციების სწავლება. 1917 წლის დეკემბრის შუალედში სახელმწიფო ბანკმა დაიწყო რეგულარულად ფულის მიღება და გაცემა.

გარდა სახელმწიფო ბანკისა რუსეთში იყო 59 კომერციული ბანკი. რევოლუციის შემდეგ კომერციულმა ბანკებმა მაშინვე შეწყვიტეს ყოველგვარი ოპერაციები. ეს იყო კონტრრევოლუციური საბოტაჟი.

ფულის გაცემის შეწყვეტა დედაქალაქს ტოვებდა საარსებო სახსრების გარეშე. საბჭოთა მთავრობა ცდილობდა მშვიდობიანი გზით დაუფლებოდა საბანკო კაპიტალს, 14 (27) ნოემბერს კონტროლი დააწესა კერძო ბანკებზე. სახელმწიფო ბანკი, როგორც საემისიო ცენტრი მათ უზრუნველყოფდა ფულით. საწარმოთა დასაფინანსებლად დაიწყო კომერციული ბანკებისათვის სესხების მიცემა, მაგრამ კერძო ბანკებმა ხელახლა დაიწყეს საბოტაჟი. ისინი იღებოდა დღეში ერთიორი საათით. მეანაბრეთა შორის წარმოიშვა პანიკა. ბანკებთან იმართებოდა დიდი რიგები. ეს ბანკები მხარს უჭერდნენ კონტრევოლუციას. სახელმწიფო ბანკის კონტროლი არ იყო საკმარისი, კერძო ბანკები მას აწვდიდნენ მცდარ ანგარიშებს.

ნამდვილი კონტროლი ბანკებზე შეიძლებოდა მიღწეულიყო მხოლოდ ნაციონალიზაციის გზით. 1917 წლის 14 (27) დეკემბრის დილით პეტროგრადში ყველა კერძო ბანკი დაიკავეს შეიარაღებულმა გვარდიელებმა, ხოლო საღამოს მიღებულ იქნა დეკრეტი კერძო ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. საბანკო საქმე სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა. ყველა კერძო კომერციული ბანკი შეუერთდა სახელმწიფო ბანკს.

1919 წლის 27 იანვრის (3 თებერვლის) დეკრეტით გაუქმდა ყველა საშინაო და საგარეო სესხი, რომელიც აღებული ჰქონდა მეფესა და დროებით მთავრობას. ამით ქვეყანა გათავისუფლდა 60 მლრდ. მანეთის ვალისგან, აქედან სგარეო ვალი იყო 16 მლრდ., რომელთა მხოლოდ სარგებლის გადახდა წლიურად 3 მლრდ მანეთს მოითხოვდა. სახელმწიფო გათავისუფლდა კაპიტალისტურ საკუთრებაზე ფინანსური დამოკიდებულებისაგან.

ბანკების ნაციონალიზაციამ საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცა კრედიტის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკაზე გაეძლიერებინა თავისი ზემოქმედება.

ბანკების ნაციონალიზაციით მთავრობას მიეცა შესაძლებლობა დაემყარებინა კონტროლი კერძო სამრეწველო საწარმოებზე და მოემზადებინა მათი ნაციონალიზაცია.

სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალურმა აღმასკომმა 1917 წლის 14 (27) ნოემბერს მიიღო „დადგენილება მუშათა კონტროლის შემოღების შესახებ“ წარმოებაში. მუშათა კონტროლი შემოიღეს ყველა სამრეწველო, საბანკო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებში, სადაც არსებობდა დაქირავებული სამუშაო ძალა, კონტროლი დაწესდა პროდუქტების განაწილებაზე. კონტროლი მოიცავდა საწარმოთა საქმიანობის ყველა მხარეს: წარმოებას, ნედლეულისა და საქონლის ყიდვასა და გაყიდვას, მათ შენახვას, ფინანსურ ოპერაციებს. კონტროლის ამოცანა იყო შეემოწმებინა როგორ იყენებდა ბურჟუაზია თავის კერძო საკუთრებას, რათა არ დაეშვათ მისი გამოყენება კონტრრევოლუციის ინტერესებისათვის.

მუშათა კონტროლი მრავალი ათასი მოწინავე მუშისათვის გადაიქცა სამეურნეო მართვის სკოლად, მრეწველობის ხელმძღვანელთა, ორგანიზატორების, ტექნიკოსების, ფინანსისტების მომზადების საქმეში. მთელ რიგ საწარმოებში მუშათა კონტროლი გადაიზარდა მუშათა მმართველობაში, შემდეგ კი ასეთი საწარმოები ნაციონალიზებულ იქნა მთავრობის მიერ.

მუშათა კონტროლიდან და მუშათა მმართველობიდან 1917 წ. 2 (15) დეკემბრის დეკრეტით აღმოცენდა სახალხო მეურნეობის მართვის უმაღლესი ორგანო – სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუს).

სმუს-ს დაეკისრა მთელი სახალხო მეურნეობისა და ფინანსების ორგანიზაცია. იგი ამუშავებდა ნორმებს და გეგმას ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებისათვის. სმუს-ს უფლება ჰქონდა ქვეყანაში გაეტარებინა ყოველგვარი ღონისძიებანი. სმუს-ი წარმოადგენდა ეკონომიკის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით მართვის პირველ კონ-

კრეტულ ფორმას. ადგილებზე, გუბერნიებში და მაზრებში შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოები.

იმ დროს, როდესაც კერძო საწარმოებში მიმდინარებდა მუშათა კონტროლი, ნაციონალიზებულ იქნა სახელმწიფო (სახაზინო) ქარხნები და ფაბრიკები. ისეთი უმსხვილესი ქარხნები, როგორიც იყო იუორსკის, ბალტიის, ობუხოვის და სხვ., გადავიდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში. იწყებოდა სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოების შექმნა. ეს ხელისუფლებას აძლევდა შესაძლებლობას კონტროლი გაეწია კერძო კაპიტალისათვის და თანდათან ხალხისათვის გადაეცა მრეწველობის დარგების მმართველობა.

ნაციონალიზაცია დაჩქარდა იმ ქარხნებსა და ფაბრიკებში, რომლის მფლობელებიც ეწეოდნენ ანტისაბჭოთა საბოტაჟს. ასე 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსაზოგადოებული იქნა მრავალი მსხვილი საწარმო – პუტილოვის, ნევის, სესტრორეცკის, დონბასისა და ურალის ქარხნები.

დიდი მნიშვნელოვება ჰქონდა აგრეთვე ტრანსპორტის საშუალებათა ნაციონალიზაციას. რევოლუციამდე რუსეთის რკინიგზების 2/3 სახაზინო ანუ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. რევოლუციის შემდეგ მათი გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების ხელში გაძნელდა, რადგან რკინიგზის ადმინისტრაციამ უარი თქვა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. საგზაო აღმასრულებელმა კომიტეტმა განდევნა ადმინისტრაციის წარმომადგენლები და თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს რკინიგზაზე.

1918 წლის დასაწყისიდანვე მთელ რიგ კერძო რკინიგზაზე შეიქმნა მუშათა მმართველობა, ხოლო ამავე წლის 28 ივნისის დეკრეტით ყველა კერძო რკინიგზაც სახელმწიფოს ხელში გადავიდა. 1918 წლის 26 იანვრის დეკრეტით განხორციელდა საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ნაციონალიზაციაც.

უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება იყო მრეწველობის ნაციონალიზაცია. ნაციონალიზაცია ტარდებოდა თანდათანობით. პირველ ეტაპზე (1917 წ. ნოემბერი – 1918 წ. მარტი) სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიოდა ცალკეული მსხვილი საწარმოები. მათი ნაციონალიზაცია განპირობებული

იყო უმთავრესად მფლობელთა საბოტაჟით, რომლებიც არ ცნობდნენ მუშათა კონტროლს და სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ დავალიანებებს. ნაციონალიზაცია ხდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ პოლიტიკურად საშიში იყო ამა თუ იმ საწარმოს დატოვება კაპიტალისტის ხელში.

ნაციონალიზაციის მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1918 წლის მარტიდან ივნისამდე. ამ პერიოდში ნაციონალიზაცია მრეწველობის ყველა დარგში უფრო ორგანიზებულად ტარდებოდა. სახელმწიფოს ხელში გადავიდა ნახშირის, ლითონის, ნავთობის, შაქრის მრეწველობა და სხვ.

ნაციონალიზაციის საბოლოო ეტაპი იყო პერიოდი 1918 წ. ივნისიდან წლის ბოლომდე. 1918 წლის 28 ივნისს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი მსხვილი მრეწველობის საყოველთაო ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა ნახშირის, რკინისა და სპილენძის მომპოვებელი, პლატინის, ვოლფრამის, ვერცხლისა და ტყვიის, აზბესტის, ლითონისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები (რომელთა კაპიტალი ერთ მილიონ მანეთზე მეტი იყო), მანქანათმშენებელი, ხომალდების, ორთქლმავლების, ვაგონების, იარაღის და სხვ. ქარხნები; ბამბის, მატყლის, სელის, აბრეშუმის, ჯუთის, ქერელის გადამმუშავებელი ფაბრიკები და სხვ.

1918 წლის 21 აგვისტოს ჩატარებული სამრეწველო აღწერით ნაციონალიზებულ საწარმოთა რაოდენობა უდრიდა 3668. მსხვილი მრეწველობა თითქმის მთლიანად იქნა ნაციონალიზებული.

1918 წლის 23 იანვარს გამოიცა დეკრეტი მთელი სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. გემები მფლობელებს დაუტოვეს მხოლოდ წვრილმანი რეწვისათვის, ხოლო მთელი ოვეზსაჭერი, ვეშაპსაჭერი გაერთიანებები გადაეცა სახელმწიფოს. 1918 წლის 22 აპრილის დეკრეტით გამოცხადდა მთელი საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაცია. ამ მომენტიდან უცხოეთთან ყოველგვარი საქონლით ვაჭრობა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ სახელმწიფოს მიერ.

დეკრეტი მიწის შესახებ მოიცავდა სამ ძირითად პუნქტს: მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მთელი მიწების ნაციონალიზაციას და გათანაბრებით მიწათსარგებლობას.

1918 წლის 19 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა კანონი „მიწის სოციალიზაციის შესახებ“. აღგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაწესდა გათანაბრებითი მიწათსარგებლობის ნორმები. ბოლშევიკური აგრარული პროგრამა არ ითვალისწინებდა გათანაბრებით მიწათსარგებლობას (რადგან გეგმაში იყო სოციალისტური ტიპის მსხვილ მეურნეობათა შექმნა), ვინაიდან გლეხობა მოითხოვდა გათანაბრებით მიწათსარგებლობას, მთავრობამ პოლიტიკურად მართებულად ჩათვალა გლეხთა უმრავლესობის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენდა, თუ რა პრინციპით უნდა გაენაწილებინათ მიწა. გლეხთა უმრავლესობა მოითხოვდა როგორც მემამულეთა, ისე კულაკთა მიწების განაწილებას სულადობის მიხედვით. კულაკები კი მხოლოდ მემამულეთა მიწების განაწილებას ემხრობოდნენ კომლების, მოჯამაგირეთა, ან პირუტყვის რაოდენობის მიხედვით. საშუალო გლეხობა მხარს უჭერდა გაყოფას სულადობის გათვალისწინებით.

1918 წლის გაზაფხულზე მიწების პირველი გადანაწილება თითქმის მთლიანად დასრულდა. გათანაბრებით მიწათსარგებლობას ჰქონდა უარყოფითი მხარეც, რაც მალევე გახდა გლეხთათვის თვალსაჩინო. მიწების დიდი ნაწილი აღმოჩნდა კულაკების ხელში. ზოგიერთ გუბერნიაში გადანაწილების დროს მემამულეთა მიწები მათ არაკანონიერად ჩაიგდეს ხელში.

ყოფილ მემამულეთა მამულებში დაიწყეს საბჭოთა მეურნეობების შექმნა. 1918 წლის ოქტომბერში ქვეყანაში იყო 400-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა (1 მლნ(დესეტინაზე მეტი მიწით); საბჭოთა მეურნეობების სახით უმთავრესად ხდებოდა მოწინავე მეთოდებისა და კულტურული მეურნეობრიობის პროპაგანდა. ამავდროულად სოფლის მეურნეობაში აღმოცენდა კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ფორმა. პირველ კოლექტიურ მეურნეობებში – არტელებსა და კომუნებში – უმთავრესად ღარიბები და მოჯამაგირეები წევრიანდებოდნენ.

პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი შეიქმნა 1917 წლის ოქტომბერში არხანგელსკის გუბერნიის სოფელ პრიშიბინოში. სახელმწიფოს დახმარებით არტელმა შეიძინა ტრაქტო-

რი, გუთანი, რკინის ფარცხი, სალეწი, ცხენის ფარცხ
მწკრივში სათესი და სხვ. ინვენტარი.

სახელმწიფო დახმარებას უწევდა კოლმეურნეობებს და სა
ჭოთა მეურნეობებს, უგზავნიდა სპეციალისტებს, უშენებდ
სარემონტო სახელოსნოებს, უზრუნველყოფდა სპეციალის
ტებით, პირუტყვით, თესლით და ა.შ.

კულაკები იმისათვის, რომ სახელმწიფოსგან მიეღოთ შ
ღავათები, ფორმალურად ქმნიდნენ კოლმეურნეობებს. ს
სოფლო-სამეურნეო კომუნებისა და არტელების სრულიად რ
სეთის I ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო კომუნების
და არტელების კავშირის წესდება. ამ წესდებით არტელი
წევრები ვალდებულნი იყვნენ პირადად ემუშავათ მეურნე
ბაში, ხოლო მიღებული პროდუქტების განაწილება მომ
დარიყო შრომის მიხედვით. არტელის წევრებს მიეცათ პირად
მეურნეობების ქონის უფლება. ამ წესდებამ თუმცა არა სრ
ლად, მაგრამ გარკვეულწილად შეძლო კოლექტიურ მეურნე
ბათა სტრუქტურის მოწესრიგება.

1918 წელს ქვეყანა აღმოჩნდა ინტერვენტებისა და შინაგან
კონტრრევოლუციის რკალში. სამხედრო მუქარის გვერდით არ
ნაკლებ საშიშროებას ქმნიდა შიმშილი.

1918 წელს პურზე მოთხოვნა იყო 36 მლნ. ფუთი, ხოლ
ქვეყანა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდა მხოლოდ 15 მლნ. ფ
თით, ე.ი. ნახევარწლიურ ნორმაზე ნაკლებით. ქვეყნისათვ
პურზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე მნიშვნელოვ
და მწვავე პრობლემად იქცა. შიმშილი მძვინვარებდა არა იმ
ტომ, რომ ქვეყანაში არ იყო პური, არამედ მას მალავდნ
კულაკები და სოფლის ბურჟუაზია.

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა 1918 წლ
27 მაისს გამოსცა დამატებითი დეკრეტი „სასურსათო დ
ტატურის შესახებ“. სურსათის სახალხო კომისარიატს მი
ცა განსაკუთრებული რწმუნებანი პურის შესყიდვაზე. შე
მნა სასურსათო რაზმები, რომლებსაც ევალებოდათ ფიქს
რებულ ფასებში ამოეღოთ ნამეტი პური. 1918 წ. გაზაფხუ
ზე ფული უკვე გაუფასურებული იყო და ფაქტიურად პურ
ამოღება ხდებოდა უფასოდ, ან უკეთეს შემთხვევაში სამრ
ველო საქონელზე იძულებითი გაცვლით.

კანონით „მიწის სოციალიზაციის შესახებ“ სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდა პური, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და თესლით ვაჭრობა. 1918 წელს სოფლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გასაცვლელად გაიგზავნა 1 მლრდ. 160 მლნ. მანეთის საქონელი: სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რკინა, ლურსმანი, შუშა, ქსოვილი, ტყვია, ფეხსაცმელი, ნავთი, საპონი, თამბაქო, მარილი, შაქარი და სხვ. სამრეწველო საქონელი.

1918 წლის აგვისტოში სასურსათო რაზმებმა იძულების წესით ამოიღეს 30 მლნ. ფუთი პური, ე.ი. თითქმის ის რაოდენობა, რა მოთხოვნაც არსებობდა ქვეყანაში. წლის ბოლოს ქვეყანაში საყოველთაო შიმშილი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო წითელი არმია უზრუნველყვეს სურსათით. იმისათვის, რომ ამოღებული პური და სურსათი თანაბრად განაწილებულიყო, შემოიღეს ნორმირების საბარათო სისტემა.

1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით შეიქმნა დარიბთა კომიტეტები, რომელთაც ევალებოდათ პურის, პირველი მოთხოვნილების საგნებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილება, ადგილობრივი სასურსათო ორგანოებისადმი დახმარება, ზედმეტი პურის ჩამორთმევა და გადანაწილება, ასევე ადგილობრივი მმართველობისათვის დახმარება საზოგადოების მიერ ყანების დამუშავებისა და მოსავლის აღების საქმეში.

1918 წლის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებამ პოზიციები განიმტკიცა ადგილებზე სასოფლო საბჭოების შექმნის გზით. საბჭოების VI ყრილობისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის 1918 წლის 2 დეკემბრის დადგენილებით დარიბთა კომიტეტები ლიკვიდირებულ იქნა და საბჭოებში გაერთიანდა.

1918 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა ხელისუფლება უკვე სრულად ფლობდა ეკონომიკის მართვის სადავეებს. ამის შემდეგ პრიორიტეტული გახდა დანგრეული ეკონომიკის აღდგენა და მეურნეობის სოციალისტური ფორმების დამკვიდრება.

სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ვინაიდან მსხვილ სამრეწველო საწარმოთა თითქმის მესამედი უმოქმედოდ იდგა. ნედლეულის და სათ-

ბობის ნაკლებობის გამო მოქმედი საწარმოებიც შეფერხებით მუშაობდნენ, ქვეყანა სასურსათო კრიზისს განიცდიდა.

მდგომარეობას უფრო ართულებდა ქვეყნის ეკონომიკის მრავალწყობიანობა. საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო ოთხი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა: 1. პატრიარქალურ ნატურალური მეურნეობა, რომელიც თითქმის არ იყო დაკავშირებული ბაზართან; 2. წვრილი საქონელწარმოება – უმთავრესად ბაზართან დაკავშირებული გლეხური მეურნეობანი; 3 კერძოსამეურნეო კაპიტალიზმი, რომელსაც მიეკუთვნებოდა ქალაქად ჯერ კიდევ არანაციონალიზებული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები, სოფლად კი კულაკური მეურნეობანი; 4 სახელმწიფო კაპიტალიზმი – საბჭოთა ხელისუფლების კონტროლქვეშ მომუშავე კაპიტალისტური საწარმოები.

სოციალიზმის აგება მოითხოვდა ქვეყნის ეკონომიკის ამ მრავალწყობიანობის ლიკვიდაციას, სოციალისტური წყობის დამკვიდრებას მეურნეობის ყველა დარგში.

ვ. ი. ლენინი შესაძლებლად თვლიდა ძველი კადრების გამოყენებას, რადგან ბურჟუაზიის საბოტაჟი უკვე დაძლეული იყო და სპეციალისტები იძულებულნი იყვნენ ეთანამშრომლათ საბჭოთა ხელისუფლებასთან. საჭირო იყო მათთვის მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მაღალი ხელფასით დაინტერესება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პროდუქტების წარმოებასა და განაწილებას, აღრიცხვასა და კონტროლს.

დაიწყო მუშაობა ქვეყნის ელექტრიფიკაციისთვის. 1918 წლის ზაფხულში დაიწყო ვოლხოვისა და სვირის ჰესების მშენებლობა, ჩატარდა კვლევითი და საპროექტო სამუშაოები შატურის, კაშირის, ნიჟე-გოროდის, ივანოვო–ვოზნესენსკის ელექტროსადგურებზე, დნეპრჰესსა და ვოლგა–დონის გემსავალ არხზე. გადაწყდა ურალისა და კუზნეცკის აუზების მადნეული რესურსების ბაზაზე ახალი ინდუსტრიული ბაზის მშენებლობა. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს.

1918 წლის ზაფხულში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც საბჭსთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. სამეურნეო გარდაქმნები შეჩერდა, რომელიც მხოლოდ 1921 წელს განახლდა.

2. ქვეყნის მეურნეობა უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში (1918–1920 წწ.)

ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე რუსეთში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, შეუპოვარი ბრძოლა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ეს განხეთქილება გამოიწვია დროებითი მთავრობის ძალდატანებით ჩამოგდებამ და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებამ, დამფუძნებელი კრების დათხოვნამ კი ქვეყანაში მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა.

დაპირისპირებამ ფართო მასშტაბი მიიღო 1918 წლის ზაფხულში, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ომი. ამას თან დაერთო ანტანტაში შემავალი ქვეყნების (ინგლისის და საფრანგეთის), ასევე გერმანიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ინტერვენცია.

1918 წლის შემოდგომაზე ქვეყანა იმყოფებოდა ფრონტების რკალში: ჩრდილოეთი ოკუპირებული იქნა ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ჯარების მიერ; შორეული აღმოსავლეთი – იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის და კანადის მიერ; ბალტიისპირეთი, უკრაინის ნაწილი, ბელორუსია, ყირიმი, ჩრდილოეთი კავკასია და ამიერკავკასია ხელში ჩაიგდო გერმანიამ; საბჭოთა ხელისუფლება დაემხო მთელ ტერიტორიაზე მდ. ვოლგიდან ვლადივოსტოკამდე; ცენტრალურ რუსეთში იფეთქა ანტისაბჭოთა ამბოხებამ; სამხრეთით მოქმედებდა დენიკინის და კრასნოვის არმიები; კაზაკების აჯანყებით დონზე დაემხო საბჭოთა ხელისუფლება.

უცხოეთის ინტერვენცია შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით: ჯერ ერთი, რუსეთის საერთაშორისო კრედიტორები ცდილობდნენ აენაზღაურებინათ ის ზარალი, რომელიც მათ რუსეთში უცხოელ მოქალაქეთა ქონების ნაციონალიზაციითა და საბჭოთა მთავრობის მიერ უცხოეთის ვალების გადახდაზე უარის თქმით მიაყენეს. მეორე, მათ არ უნდა დაეშვათ

სოციალიზმის პოპულარიზაცია დასავლეთის საზოგადოების დაბალ ფენებში, რაც იქაც საფრთხეს შეუქმნიდა ბურჟუაზიასა და კაპიტალისტურ მეურნეობას. გარდა ამისა, ანტანტის ქვეყნების პოლიტიკური წრეები მიისწრაფვოდნენ აღეკვეთათ რუსეთის გავლენა მის მიერ მისაკუთრებულ მოსაზღვრე ტერიტორებზე შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში.

ბრძოლების შედეგად საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ქვეყნის სამი მეოთხედი და დარჩა მხოლოდ ცენტრალური რუსეთის გუბერნიები.

დაკარგულ რაიონებში იწარმოებოდა ქვანახშირის 90%, რკინის მადნის 85%, თუჯისა და ფოლადის 3/4. ამ რაიონების დაკარგვამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ცენტრალური რუსეთის მრეწველობა, ბეცრმა ქარხანამ და ფაბრიკამ შეწყვიტა მუშაობა.

1918 წლის სექტემბრის დასაწყისში სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა საბჭოთა რესპუბლიკა გამოაცხადა ერთიან სამხედრო ბანაკად. ქვეყნის ყველა რესურები მობილიზებული იქნა თავდაცვის საჭიროებისათვის. აღმასკომის 1918 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით შეიქმნა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით, რომელმაც დაამყარა მკაცრი რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მოახდინა უწყებების მუშაობის კოორდინირება, მმართველობის უმაღლესი ორგანო რჩებოდა სმუს-ი.

საბჭოთა ხელისუფლება 1918 წლის ბოლოს გადავიდა საყოველთაო სამხედრო მობილიზაციაზე. მხოლოდ მუშები და გლეხები, 18-დან 40 წლამდე, იყვნენ ვალდებულნი გაევლოთ სამხედრო მომზადება.

1918 წელს ვ. ი. ლენინმა დაამუშავა სამხედრო ეკონომიკური პოლიტიკა. ეს ღონისძიებანი ისტორიაში შევიდა „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკის სახელწოდებით, რომლის ძირითადი პრინციპი იყო: ომის დროს, მატერიალური რესურსების ნაკლებობის პირობებში, უმოკლეს ვადაში ბურჟუაზიის ეკონომიკური ბაზის სრული მოსპობა და ნედლეულისა და მზა პროდუქციის განაწილების მკაცრი ცენტრალიზაცია; მთელი მრეწველობის დაჩქარებული ნაციონალიზაცია (1920 წლის

29 ნოემბრის დეკრეტით ნაციონალიზებულ იქნა არა მარტო მსხვილი და საშუალო საწარმოები, არამედ ისეთი საწარმოებიც, სადაც მუშაობდა 5 მუშაზე მეტი და ჰქონდათ მექანიკური ძრავები, ასევე მექანიკური ძრავის არმქონე საწარმოები 10 მუშით).

ომის წლებში წარმოება ეცემოდა სათბობის, ლითონის, ნედლეულის, სურსათის, კვალიფიციური მუშახელის, ინჟინერ-ტექნიკური კადრების უკმარისობის გამო.

საბჭოთა რუსეთის ერთადერთი სათბობი ბაზა იყო მოსკოვის ნახშირის აუზი, რომელიც სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას ნახშირზე. უფრო ცუდად იყო ნავთობის საქმე. 1919 წელს ქვეყანა არსაიდან არ ღებულობდა თხევად სათბობს. ამიტომ აქცენტი გაკეთდა ტორფის გადამუშავებაზე. ეს შესაძლებლობას იძლეოდა აემუშავებინათ ზოგიერთი ელექტროსადგური და გარკვეული ზომით გადაეფარათ მთავარი ნახშირის აუზის დანაკარგები. ინჟინერ ე. კლასსონის მიერ სამოქალაქო ომის წლებში პირველად მსოფლიოში გამოყენებულ იქნა ტორფის მოპოვების ჰიდრავლიკური წესი, რამაც ხელი შეუწყო ტორფის მოპოვების და გადამუშავების გადიდებას. ომის პერიოდში ტორფის მრეწველობა იყო ერთადერთი დარგი, რომლის პროდუქციაც იზრდებოდა.

კატასტროფულად დაეცა მეტალურგიის პროდუქცია. სამხრეთის 50 ბრძმედიდან 1920 წელს მხოლოდ ერთი მუშაობდა. ეს კი გამოწვეული იყო სათბობის, შავი ლითონების უკმარისობით, მეტალურგიულ და ლითონდამმუშავებელ ქარხნებს შორის საწარმოო კავშირების დარღვევით. შეწყდა რუსეთისათვის მნიშვნელოვანი მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, ნახევარფაბრიკატების იმპორტი, რამაც მძლავრი დარტყმა მიაყენა მანქანათმშენებლობას, მრავალი სახის მანქანების და მოწყობილობების წარმოება სრულიად შეწყდა.

მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რუსეთის მრეწველობის მთავარი დარგი საფეიქრო მრეწველობა, სრულად შეუწყდა იმპორტული ნედლეულის მიწოდება. მკვეთრად შემცირდა ადგილობრივი რესურსები. ამიტომ 1920 წ. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია თითქმის 7-ჯერ ნაკლები იყო ომამდელ დონესთან შედარებით.

საბჭოთა ხელისუფლებას მტრებთან გამარჯვება შეეძლო მხოლოდ მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა შესაძლებლობის მობილიზაციის შედეგად.

სმუს-ი დარგობრივი პრინციპით დაიყო შესაბამის მთავარ კომიტეტებად და ცენტრალურ სამმართველოებად – გლავკებად და ცენტრებად. მაგალითად, კვების განყოფილებაში სმუსში გაერთიანდა შემდეგი დარგობრივი გლავკები: გლავმუკა, გლავკონდიტერი, გლავკმოლოკო, გლავჩაი და ა.შ. გლავკები და ცენტრები ახორციელებდნენ საწარმოთა მომარაგების, გასაღების, ფინანსების უშუალო მმართველობას.

გლავკებსა და საწარმოებს შორის არსებობდა კიდევ ერთი შუალედური რგოლი – ტრესტი. ტრესტი უშუალოდ მართავდა რამდენიმე საწარმოს. ერთი ტრესტის საწარმოებს ჰქონდათ ერთიანი სალარო, წარმოების და მომარაგების ერთიანი გეგმა. ტრესტი ამუშავებდა საწარმოო პროგრამას, ახდენდა თავის საწარმოთა სპეციალიზაციას, გადაანაწილებდა მათ შორის მუშახელის, მოწყობილობებს და ნედლეულს, ადგენდა და ამტკიცებდა ხარჯთაღრიცხვას და ანგარიშგებას, ანაწილებდა შეკვეთებს და მზა პროდუქციას.

მრეწველობის მართვის ამ რთულმა სისტემამ მიიღო სახელწოება „გლავკიზი“. მმართველობის ასეთი მკაცრი ცენტრალიზაცია შესაძლებელს ხდიდა ნედლეულის, საწვავის, სურსათის მწირი მარაგის განაწილებას საწარმოებს შორის, სახელმწიფო საწარმოთა დამოუკიდებლობა შეიზღუდა მინიმუმამდე, ყველა საჭირო საკითხი წყდებოდა ცენტრში. გლავკი გამოცხადდა სმუს-ის ფუნქციურ განყოფილებად.

1920 წლის აგვისტოში სმუს-მა საწარმოები დაყო 4 ჯგუფად: დამკვრელი (მოწინავე, ანუ პრიორიტეტული), მომუშავე, ხანგრძლივად გაჩერებული და სალიკვიდაციო. მოწინავე საწარმოები, ძირითადად კი მნიშვნელოვანი სამხედრო ქარხნები, – ტულის, ობუხოვის, სესტრორეცკის, იჟევსკის და სხვ., პირველ რიგში მარაგდებოდა სათბობით, ნედლეულით და სამუშაო ძალით. სმუს-ში შეიქმნა სამხედრო მრეწველობის საბჭო. ამ საწარმოთა მუშები სარგებლობდნენ გაუმჯობესებული სასურსათო მომარაგებით და მათ მუშაობა სამხედრო სავალდებულო სამსახურად ეთვლებოდად.

საყოველთაო დეფიციტის პირობებში საწარმოები სახელმწიფოსგან უფასოდ ღებულობდნენ ნედლეულს, მოწყობილობას, მასალებს. ხოლო საწარმოთა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ყოველგვარი შემოსავალი პირდაპირ მიდიოდა სახელმწიფო შემოსავლებში. ამრიგად, ომის პერიოდში არ არსებობდა არავითარი სამეურნეო ანგარიში. სახელმწიფო საწარმოებს შორის ურთიერთობა წარმოებდა მარტივი ბუღალტრული გადარიცხვით ერთი ანგარიშიდან მეორეზე. გაუქმდა დაწესებულებების ყოველგვარი კომუნალური, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გადასახადი.

გასამხედროებული ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი იყო ტრანსპორტი, რომლის ნგრევა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო.

1918 წელს ტრანსპორტზე გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. რკინიგზის ყველა მუშაკი ითვლებოდა სამხედრო მობილიზებულად. ხშირად სრულიად ჩერდებოდა მგზავრთა გადაყვანა და მთელი მოძრავი შემადგენლობა დაკავებული იყო სამხედრო ტკირთების გადაზიდვებით.

1920 წელს შვედეთში, ინგლისში, გერმანიასა და კანადაში შეუკვეთეს მძლავრი ორთქლმავლების, დიდი სატვირთო ცისტერნების სათადარიგო ნაწილები, რამაც დააჩქარა სარკინიგზო ტრანსპორტის განახლება, ამის შედეგად 1921 წელს ტრანსპორტის მდგომარეობა სამოქალაქო ომის დაწყების პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა.

ამავე პერიოდში კომუნისტ რკინიგზელთა თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „შაბათობებს“, ამ ინიციატივით მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სადგურ სორტიროჩნოიაზე სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შეიკრიბა 15 კომუნისტი და უპარტიო და ანაზღაურების გარეშე შეაკეთეს 4 ორთქლმავალი. ამის შემდეგ ქვეყანაში ფართოდ გაიშალა კომუნისტური შაბათობები.

მძიმე მდგომარეობაში იყო წყლის ტარნსპორტიც. საზღვაო ფლოტი ბლოკირებულ იქნა ინტერვენტების მიერ. სამდინარო გზები ვოლგაზე, დნეპრზე, დვინაზე გადაჭრეს თეთრგვარდიელებმა. თუმცა საბჭოთა ხელისუფლება მაინც ახერხებდა სამდინარო ტრანსპორტით სარგებლობას. ომის მძიმე დღეებში დაიწყო ავიატრანსპორტის ისტორია. 1918 წელს გაიხ-

სნა რეგულარული ავიამიმოსვლა მოსკოვსა და პეტროგრადს შორის, ხოლო 1920 წ. – მოსკოვსა და ხარკოვს შორის.

მეურნეობის განვითარება მოითხოვდა ერთიან სახელმწიფო გეგმას. პირველ რიგში საჭირო იყო მძიმე მრეწველობის – წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა მიწათმოქმედების რეორგანიზაციაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ელექტრიფიკაციას, წარმოების თანამედროვე ენერგეტიკულ ბაზის შექმნას.

1920 წლის მარტში შეიქმნა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია – გოელრო. მასში შედიოდნენ სახელოვანი მეცნიერები და სპეციალისტები. კომისიამ შეადგინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმის პროექტი.

გოელროს გეგმა გათვლილი იყო 10-15 წელზე და მასში შევიდა ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვანი დარგის კონკრეტული დავალებები. გეგმა პირველ რიგში ითვალისწინებდა 30 თბო და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას 1,5 მლნ კვტ. სიმძლავრით. ქვეყნის ელექტრიფიკაციის გეგმა მოიცავდა მთელი სახალხო მეურნეობის, უპირველესად მძიმე მრეწველობის ელექტროენერგეტიკულ ბაზაზე საფუძვლიან რეკონსტრუქციას. ამ გეგმით მძიმე მრეწველობა 1913 წელთან შედარებით უნდა გადიდებულიყო 2-ჯერ და მეტად, ხოლო მსუბუქი – დაახლოებით 1,5-ჯერ; სოფლის მეურნეობაში გეგმა ითვალისწინებდა ნათესი ფართობის გადიდებას, მექანიზაციის, მელიორაციის და ირიგაციის გამოყენებას, სამიწათმოქმედო კულტურის ამაღლებას; ტრანსპორტზე – ფართო სარკინიგზო მშენებლობას და რკინიგზების ნაწილის ელექტრიფიკაციას; ელექტრიფიკაციის საფუძველზე კი მთლიანად ეკონომიკის ინტენსიფიკაციას.

მთავარი იყო შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა მატერიალური და შრომითი რესურსების ნაკლები დანახარჯებით.

10-15 წელზე გათვლილი გოელროს გეგმა 1913 წელთან და 1920 წელთან შედარებით ასეთი იყო: თუჯის გამოდნობა – 1917 წელს იყო 4,2; 1920 წ. – 0,116; ხოლო გოელროს გეგმით – 8,2 მლნ ტონა; შესაბამისად ფოლადის წარმოება – 4,2; 0,194 და 6,5 მლნ. ტ.; სპილენძის წარმოება – 31,1; 0,3 და 81,9 ათასი ტ.

ნახშირის ამოღება – 29,1; 8,6 და 62,3 მლნ. ტ.; რაიონული ელექტროსადგურების სიმძლავრე – 177; 0 და 1750 ათასი კვტ.

1921 წლის თებერვალში შრომისა და დაცვის საბჭოსთან შეიქმნა ერთიანი საგეგმო კომისია – „გოსპლანი".

დიდი ზარალი განიცადა ქვეყნის სოფლის მეურნეობამ. ასობით ათასი გლეხური მეურნეობა გაჩანაგდა, განადგურდა ცხენები და პროდუქტიული პირუტყვი. მემამულური მეურნეობების ლიკვიდაციის შემდეგ წვრილგლეხური მეურნეობები ვერ აკმაყოფილებდნენ სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილებას (რევოლუციამდე ისინი იძლეოდნენ სასაქონლო პურის 22%-მდე). სასაქონლო პური შემცირდა კულაკურ მეურნეობებშიც, სადაც აწარმოებდნენ მის 50%-ს. მრეწველობა, რომელიც დაკავებული იყო სამხედრო შეკვეთებით, სოფლის მეურნეობას ვერ უზრუნველყოფდა საკმარისი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით.

შეიცვალა სასურსათო პოლიტიკა: 1919 წლის 11 იანვარს პურის მონოპოლიას დაემატა სასურსათო გაწერა პურზე და ფურაჟზე. სასურსათო გაწერა გავრცელდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტებზე. გლეხები ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოსთვის ჩაებარებინათ სურსათის და ფურაჟის არათუ ნამეტი, არამედ საკუთარი მოთხოვნილების ნაწილიც ასევე დასათესი ფონდიდანაც კი.

ქალაქის მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით შემოღებული იქნა ნორმირებული მომარაგება – საბარათო სისტემა.

გლეხობას სასურსათო გაწერით აღარ ჰქონდა მატერიალური დაინტერესება განევითარებინა თავისი მეურნეობა. ამან გამოიწვია ნათესი ფართობის მნიშვნელოვანი შემცირება. მიწა ცუდად მუშავდებოდა, დაეცა მოსავლიანობა, მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა.

სასურსათო გაწერა, პირველ რიგში ვრცელდებოდა ყველაზე მდიდარ მეურნეობებზე, რომელთაც ჰქონდათ დიდი რაოდენობის კარგი მიწები, პირუტყვი და ინვენტარი. თუ ასეთი მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პური და სურსათი საკმარისი არ იქნებოდა არმიისა და ქალაქის მოსახლეობის გამოსაკვებად გაწერით გათვალისწინებულ სურსათს იხ-

დიდა საშუალო გლეხობაც, და თუ ესეც არ იკმარებდა, გად
სახადს სურსათით იხდიდა ღარიბი გლეხობაც.

სასურსათო გაწერის შემოღებასთან დაკავშირებით, პირ
ველი მოხმარების საგნებით კერძო ვაჭრობა აიკრძალა. სურ
სათის ნაკლებობის პირობებში გაცხოველდა სპეკულაცია პუ
რით და სხვა სურსათით. ისინი ქალაქში პურს ყიდდნენ სა
ხელმწიფო ფასთან შედარებით ათჯერ უფრო მაღალ ფასებ
ში. პურით თავისუფლად ვაჭრობა მიჩნეული იქნა დანაშაუ
ლად. პროდუქტების დამზადება დაეკისრა სურსათის სახალ
ხო კომისარიატს, რომელმაც მუშათა რაზმების მეშვეობი
შეძლო აელაგმა სპეკულანტები, კულაკები და კერძო ვაჭრე
ბი, რითაც არმიის და მოსახლეობის მომარაგება გამოიყვა
ნა იმ კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელიც მას ემუ
რებოდა 1918-1920 წწ.

უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პირობე
ში მძიმე სამეურნეო ამოცანას წარმოადგენდა ფინანსების დ
ფულის მიმოქცევის მოწესრიგება. ჯერ კიდევ პირველმა მსოფ
ლიო ომმა გამოიწვია დეზორგანიზაცია ამ სფეროში. მეფ
ხელისუფლებამ ომის წლებში 18-ჯერ გაზარდა ქაღალდი
ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, ხოლო დროებითმა მთა
რობამ 8 თვის მანძილზე – კიდევ 2-ჯერ. ოქტომბრის სოც
ალისტური რევოლუციის წინ ქაღალდის ფულის კურსი 15
ჯერ დაეცა.

1920 წელს გამოშვებულ იქნა თითქმის ტრილიონი მან
თის ქაღალდის ფული. ქაღალდის ფულის გამოშვებით ბ
მოწვეულმა ინფლაციამ სრულიად გააუფასურა ბურჟუაზი
მიერ დაგროვილი ფული. ღრმა ნატურალიზაციის პირობებ
ში ფულმა, როგორც ანგარიშისა და კონტროლის საშუალ
ბამ, ფაქტიურად დაკარგა მნიშვნელობა. მოიშალა და ფუნქც
დაკარგა საკრედიტო-საბანკო სისტემამ. ამის გამო 1920 წლ
იანვარში სახალხო (სახელმწიფო) ბანკი დროებით გაუქმდ

„სამხედრო კომუნიზმის" წლებში მიმდინარეობდა საბაზრ
ურთიერთობათა და მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაუ
რების ნატურალიზაცია. დაწესდა საყოველთაო შრომით
ვალდებულება ყველა კლასისათვის. სავალდებულო ფიზიკურ
შრომაში ჩაება ბურჟუაზიაც.

„სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკამ იარსება სამოქალაქო ომის დასრულებამდე, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო გამარჯვების მოპოვება. საბჭოთა ქვეყანა 1921 წლიდან შეუდგა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას.

3. სახალხო მეურნეობის აღდგენა. ახალი ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა (1921–1925 წწ.)

1920 წლის ბოლოს რუსეთის ძირითადი რაიონები გათავისუფლებული იქნა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან. მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის დაწყება კიდევ უფრო რთული იყო, ვიდრე 1918 წლის გაზაფხულზე. ოთხი წლის პირველი მსოფლიო ომის და შემდეგ კიდევ სამი წლის სამოქალაქო ომის შედეგად. განადგურდა ისიც, რაც ქვეყანამ ძველი რუსეთისგან მიიღო. ამ პერიოდში რუსეთი განიცდიდა მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რაც გამოწვეული იყო უდიდესი დანაკარგებით პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში. 1921 წლის დასაწყისში სამეურნეო გაჩანაგებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. საერთო ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 50 მლრდ. მანეთი ოქროთი. ამ დროს მსხვილი მრეწველობა აწარმოებდა 7-ჯერ ნაკლებ პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს. რკინიგზის ტვირთბრუნვა შემცირდა 4-ჯერ და მეტად. ომის პერიოდში შიმშილის, ავადმყოფობის და ტერორიზმის მსხვერპლი გახდა 10 მილიონამდე ადამიანი. 1,5-დან 2 მლნ.-მდე ადამიანი იძულებით იქნა ემიგრირებული, მათ შორის იყვნენ მსხვილი მეწარმეები, ფინანსისტები, პოლიტიკოსები, გენერლები, მხატვრები, მსახიობები, მწერლები, მხოლოდ 1922 წლის აგვისტოში ლენინის ინიციატივით ქვეყნიდან გააასახლეს 200-მდე გამოჩენილი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე, რომლებიც ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ, მათ შორის ფილოსოფოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, რომლებიც წარმოადგენდნენ ერის სახეს, სიამა-

ყეს და ელიტას. ამან ათწლეულების განმავლობაში დიდი დაღი დაასვა ქვეყნის ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებას. ომმა და სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია სამრეწველო მუშათა რაოდენობის შემცირება, მათი რიცხვი 1920 წელს იყო 1 მლნ. 270 ათასი, ანუ 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1913 წელს (2 მლნ. 400 ათასი). ომების წლებში მოსკოვმა დაკარგა მოსახლეობის ნახევარი, ხოლო პეტროგრადმა – 2/3. 1917-1920 წლებში ქალაქიდან სოფელში გადასახლდა 5 მლნ ადამიანი.

ნგრევის შესაჩერებლად და მეურნეობის აღსადგენად საჭირო იყო ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა.

სამოქალაქო ომის დროს მუშებსა და გლეხობას შორის დამყარდა სამხედრო პოლიტიკური კავშირი. ომის დროს გლეხი შეგუებული იყო იმას, რომ სასურსათო გაწერით მისგან უნდა წაელოთ მთელი ნამეტი პროდუქტი, მაგრამ როგორც კი ომი დამთავრდა და მემამულეთა დაბრუნების საფრთხე გაქრა, გლეხობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა სასურსათო გაწერის გამო. კულაკობა ხედავდა რა გლეხთა უკმაყოფილებას, ცდილობდა ანტისაბჭოთა განწყობა გაეღვივებინა.

გლეხთა მზარდი უკმაყოფილება სასურსათო გაწერის გამო უკვე პოლიტიკურ საფრთხეს ქმნიდა. 1921 წლის მარტში მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე – ნეპზე (Новая экономическая политика) გადასვლის შესახებ. ნეპის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით.

სასურსათო გაწერა უფრო მძიმე იყო, ვიდრე სასურსათო გადასახადი. გადასახადის ოდენობა განისაზღვრებოდა საგაზაფხულო თესვამდე. ასევე განისაზღვრული იყო გადახდის ვადები. პროდუქტს, რომელიც გადასახადის გარდა რჩებოდა, გლეხს უტოვებდნენ პირად განკარგულებაში და უფლება ეძლეოდა ამ ნამეტი პროდუქტებით ევაჭრა. ამასთან, ღარიბები გათავისუფლდნენ გადასახადისგან. 1923-1924 წწ. შემოღებულ იქნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომლის ნაწილი ფულით, ნაწილი კი პურით აიღებოდა, მომდევნო წლებში იგი მთლიანად ფულადი გადასახადით შეიცვალა. შეღავათიანად იბეგრებოდა კოლექტიური მეურნეობები, მკაცრად – კულაკობა, ე.ი. დიფერენცირება ხდებოდა კლასობრივი პრინციპით.

ნეპით დაშვებულ იქნა კერძო ვაჭრობა, თუმცა ეს არ იყო კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლება, რადგან ბაზარს სახელმწიფო არეგულირებდა.

ნეპი იყო პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომლის დროსაც დაშვებულ იქნა საბაზრო ურთიერთობები და რომელიც უნდა გამოეყენებინათ იმ სიძნელეების დასაძლევად, რომლებსაც წააწყდებოდნენ სოციალისტური მეურნეობის აშენებისას. მათ ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად დროებით დაუშვეს კაპიტალზმი იმ იმედით, რომ ეკონომიკის მართვის სადავეებს პროლეტარული სახელმწიფო სრულად ფლობდა.

სასურსათო გაწერის შეცვლამ სასურსათო გადასახადით გაზარდა გლეხთა დაინტერესება მეურნეობის განვითარებით და მიეცათ პროდუქტების გაცვლის შესაძლებლობა.

აღდგენით პერიოდში შენდებოდა ახალი საწარმოები. განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით დაიწყო ელექტროსადგურების მშენებლობა, რაც გათვალისწინებული იყო „გოელრო“-ს გეგმით. შენდებოდა ვოლხოვის, შატურის, კაშირის, შტეროვოს, „კრასნი ოქტიაბრის“ და სხვა ელექტროსადგურები. 1925 წელს ელექტროენერგიის მთელმა გამომუშავებამ მიაღწია 2,925 მლნ. კვტ. საათს, ნაცვლად 1913 წლის 1,945 მლნ კვტ. საათისა.

მრეწველობის აღდგენისათვის საჭირო იყო მისთვის საშინაო ბაზრის შექმნა. ასეთი ბაზარი შეიძლებოდა ყოფილიყო გლეხური მეურნეობა, რომელიც თავის პროდუქტებს გაიტანდა რა ბაზარზე გაუჩნდებოდა მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. მეორეც, მრეწველობის, კერძოდ მსუბუქი და კვების მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის საჭირო იყო ნედლეული, რომლის მწარმოებელიც სოფელი იყო და ბოლოს, ქალაქის, მოსახლეობისათვის სურსათი ისევ და ისევ სოფლის მეურნეობას უნდა მიეწოდებინა.

მრეწველობასთან შედარებით სოფლის მეურნეობა ნაკლებად დაზარალდა. თუმცა ომებმა მასაც მძიმე დაღი დაასვა.

ოკუპირებულ რაიონებში განადგურდა ნათესები და პირუტყვი, დაიტაცეს გლეხთა ქონება, გადაიწვა სოფლები, ალაგ-ალაგ კვლავ მოქმედებდა კულაკთა ბანდები. ამიტომ მეტად გართულდა სოფლის მეურნეობის აღდგენა.

აღდგენითი პერიოდის დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა წვრილგლეხურ მეურნეობათა ერთობლიობას 21 მლნ. გლეხური კომლით.

დაეცა მოსავლიანობა. ნათესი ფართობი 1920 წელს 1913 წ-თან შედარებით 25%-ით შემცირდა. კიდევ უფრო შემცირდა ტექნიკური კულტურების ნათესები.

ამ სიძნელეებს დაემატა 1921 წლის საშინელი გვალვა, რომელმაც მოიცვა ქვეყნის გუბერნიათა უმეტესობა, პირუტყვის დიდი ნაწილი ამოწყდა, ხოლო ნათესების ფართობი შემცირდა.

1923 წლის მაისში შემოღებულ იქნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც იკრიბებოდა შერეული ფორმით: ფულით, ან ნატურით. 1924 წლიდან კი – ფულადი ფორმით. ღარიბები გადასახადის სახით იხდიდნენ შემოსავლის 1,2%-ს, საშუალო გლეხი – 3,5%-ს, კულაკური მეურნეობები კი – 5,6%-ს.

სახელმწიფო გლეხურ მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს აძლევდა კრედიტებს, რომელსაც მუშა საქონლის, სასუქების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და მოწყობილობების შესაძენად იყენებდნენ. 1923-1926 წწ. კრედიტის სახით გაიცა 400 მლნ. მანეთზე მეტი.

ამ პერიოდში ქვეყანაში ჯერ არ აწარმოებდნენ ტრაქტორებს. სახელმწიფომ 1921-1926 წწ. საზღვარგარეთიდან შემოიტანა 20 ათასამდე ტრაქტორი. გლეხებს საშუალება ეძლეოდათ სამამულო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შეეძინათ შეღავათიან პირობებში – მრეწველობის ზარალს კი სახელმწიფო იღებდა თავის თავზე.

1925 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე მიუახლოვდა 1913 წლის დონეს. სოფლის მეურნეობის აღდგენის კვალდაკვალ მიმდინარეობდა ცვლილებანი მის დარგობრივ სტრუქტურაში, შემცირდა მარცვლეული კულტურების და გაიზარდა ტექნიკური კულტურების ხვედრითი წილი.

აღდგენით პერიოდში სოფლად იზრდებოდა საშუალო გლეხობის ფენა. ღარიბები თანდათან იქცნენ საშუალო გლეხებად. მათი ხვედრითი წილი რევოლუციამდელი 20%-დან 67%-მდე გაიზარდა, ხოლო კულაკობის ხვედრითი წილი 15%-დან 4,5%-მდე შემცირდა. სახელმწიფო ზღუდავდა და დევნიდა კულაკობას, ამზადებდა ნიადაგს მისი მთლიანი ლიკვიდაციისათვის.

ფართოდ გავრცელდა კოოპერაცია (გლეხთა მეურნეობების 28%-ს მოიცავდა). კოოპერატივები სწრაფად ვრცელდებოდა ტექნიკური კულტურების რაიონებში.

აღმოცენდა სპეციალიზებული საწარმოო-გამსაღებელი კოოპერატივები დარგების მიხედვით: მეკარტოფილეობის, მეთამბაქოეობის, მეჭარხლეობის, მეთესლეობის და ა.შ.

კოოპერატივის წევრების პროდუქციას კოოპერატივში უფრო მაღალ ფასებში იბარებდნენ, ვიდრე მათ კერძო დამამზადებელი უხდიდა.

საბჭოთა სახელმწიფო მხარს უჭერდა და ეხმარებოდა საწარმოო კოოპერატივებსაც, როგორც კოოპერაციის მაღალ ფორმას. ეს საწარმოო კოოპერაცია წარმოადგენდა: სასოფლო-სამეურნეო კომუნებს (10,6%), შრომის სასოფლო-სამეურნეო არტელებს (65,3%) და მიწის ერთად დამმუშავებელ ამხანაგობებს (24,1%).

უკვე აღდგენით პერიოდში გლეხობისათვის ნათელი გახდა, რომ მიწების მხოლოდ გათანაბრებით განაწილება, მიუხედავად სახელმწიფო დახმარებისა, გლეხობას ვერ იხსნიდა გაჭირვებისა და კულაკური კაბალისგან. გლეხობის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ კოლექტივიზაციის გზით.

კოლმეურნეობათა წევრების ძირითადი მასა ღარიბი და ნაკლებად შეძლებული საშუალო გლეხები იყვნენ, რომელთაც ან საერთოდ არ ჰქონდათ პირუტყვი, ან ჰქონდათ მცირე რაოდენობით. მათი 84% უცხენო და ერთცხენიანი მეურნეობები იყო.

ხელი ეწყობოდა კოლექტიური მეურნეობის განვითარებას. შრომის მაღალი ნაყოფიერებით, მრავალმინდვრიანი სისტემით, სასუქების, ხარისხიანი თესლის გამოყენებით და სხვ. წარმოაჩენდნენ კოლმეურნეობის უპირატესობებს, რათა მასში გაწევრიანებულიყო გლეხობა.

აღდგენით პერიოდში კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვ
წარმატებას ვერ მიაღწიეს. მათ ჯერ კიდევ არ ჰყოფნიდ
სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ნაგებობანი, პირუტყვი
სხვ. სათანადო დონეზე არ იდგა შრომის ორგანიზაცია. ხ
რად ითვლებოდა, კულაკობაც ცდილობდა ხელში ჩაეგდო
კოლმეურნეო ქონება. ამ პერიოდში მზადდებოდა წინაპირ
ბები შემდგომი მასობრივი კოლექტივიზაციისათვის.

მრეწველობის აღდგენისათვის საჭირო იყო მისი ორგან
ზაციული სტრუქტურის სრულყოფა. ომის დროს მრეწველ
ბა სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა. ასე გაგრძელ
კი შეუძლებელი იყო. საწარმოები უნდა გადაეყვანათ სა
ურნეო ანგარიშზე.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა შეუძლებელი იყო „გლ
კიზმის“ ლიკვიდაციის გარეშე, მისი დიქტატურა შეუთავ
ბელი იყო სამეურნეო ანგარიშის პრინციპთან, იგი მრეწ
ლობის განვითარების მუხრუჭად გადაიქცა. 1921 წლის
ვისტოში მიღებული დეკრეტით მრეწველობის მმართველ
ბის „გლავკების“ სისტემა „ტრესტებით“ შეიცვალა. გლავ
მოიცავდა ქვეყანაში არსებული თავისი დარგის ყველა
წარმოს, ტრესტი კი – მხოლოდ ნაწილს. ერთნაირი სახ
საწარმოთა ჯგუფს, ტერიტორიული ან საწარმოო-ტერიტორ
ული ნიშნით უფრო წვრილი საწარმოები გადავიდა საგუბე
ნიო სახალხო მეურნეობის საბჭოების უშუალო მმართველ
ბაში, ან იჯარით გაიცა კერძო პირებზე.

შეიცვალა სმუს-ის შინაგანი სტრუქტურაც. 1923 წლიდ
დარგობრივი გლავკების ადგილზე შეიქმნა ორი სამმართვ
ლო. მთავარი ეკონომიკური სამმართველო, თავისი განყოფ
ლებებით – სტატისტიკის, ფინანსების და ა.შ., იგი არეგ
ლირებდა მთელი მრეწველობის მუშაობას, ხოლო სახელმწიფ
მრეწველობის ცენტრალური სამმართველო უშუალოდ ხელ
მძღვანელობდა ტრესტებს.

შეიცვალა სატარიფო პოლიტიკაც, „სამხედრო კომუნი
მის“ გათანაბრებითი ხელფასის ნაცვლად შემოღებულ იქ
პრინციპი: „ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარი
ხის მიხედვით“. 1921 წლის სექტემბრიდან ხელფასის გამ
ანგარიშება დაიწყო თვითოეული მუშის კვალიფიკაციისა
გამომუშავების მიხედვით.

1921 წელს შეიქმნა „გოსპლანი“. აღმასკომებთან შეიქმნა
აგეგმო კომისიები, ხოლო ყველა სამეურნეო უწყებაში – სპე
იალური საგეგმო ორგანოები. 1925 წელს დაიწყო ყოველ
ლიური საკონტროლო ციფრების შედგენა მთლიანად ეკონო
იკის განვითარებისათვის.

ორგანიზაციული გარდაქმნების შედეგად ბამბეულის ქსო
ვილების გამოშვება 11-ჯერ და მეტად გადიდდა, სელის ქსო
ვილებისა – 6,2-ჯერ, შალის ქსოვილებისა – 4-ჯერ. მიუხე
დავად ასეთი სწრაფი ზრდისა, 1925 წელს ვერ იქნა მიღწე
ული ომამდელი დონე. ამის მიზეზი იყო სანედლეულო ბა
ზის სისუსტე. შუა აზიაში მებამბეობის დაცემის გამო ნედ
ლი ბამბის 80% სახღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ომის დროს
მეცხოველეობის დაცემამ განაპირობა შალის მრეწველობის
სანედლეულო ბაზის შევიწროება.

მძიმე მრეწველობაში წარმოების დაცემის ერთ-ერთი მთა
ვარი მიზეზი იყო სათბობის ნაკლებობა. გაფართოვდა შე
მის დამზადება და ტორფის მოპოვება, მაგრამ სათბობის ამ
სახეებით შეუძლებელი იყო მძიმე მრეწველობის განვითა
რება. მხოლოდ ქვანახშირის წარმოების გადიდება გადაწყ
ვეტდა სათბობის პრობლემას. პირველი რიგის ამოცანა გახ
და დონბასის აღდგენა, რომლის სწრაფი აღდგენითი სამუშა
ოების მიუხედავად, ქვანახშირის ომმამდელი დონე მხოლოდ
1927-1928 წწ. იქნა გადაჭარბებული.

შავი მეტალურგიის აღდგენა მიმდინარეობდა ნელა. 1913
წელს მოქმედი 136 ბრძმედის და 204 მარტენის ღუმელიდან
1921 წელს მხოლოდ 17 ბრძმედი და 22 მარტენის ღუმელი
მოქმედებდა. მეტალურგიის აღდგენა უფრო რთული იყო, იგი
გაგრძელდა პირველი ხუთწლედის დასაწყისამდე. 1925 წელს
მიღწეულ იქნა თუჯის გამოდნობის ომამელი დონის 36,4%
და ფოლადის გამოდნობის – 50,3%. ცუდი მდგომარეობა იყო
ფერად მეტალურგიაში.

მანქანათმშენებლობამ უკვე 1925 წელს გადააჭარბა ომამ
დელ დონეს. შეიქმნა ახალი დარგებიც, როგორიცაა საფეიქ
რო მანქანათმშენებლობა, საღებავების წარმოება, ჩაისახა
ტრაქტორმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა.

ნეპის პირველ წლებში სახელმწიფოს ხელში სათანადო
მატერიალური და ფულადი რესურსების ნაკლებობის გამო,

მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა კერძო კაპიტალის ჩაბმა მრეწ
ველობაში. ამ მიზნით მრავალი წვრილი საწარმო იჯარით
გადაეცა კერძო პირებს, კოოპერაციასა და ამხანაგობებს. მი
უხედავად კერძო მეწარმეობის აღორძინებისა, იჯარა სერი
ოზულად არ განვითარებულა.

უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის მიზნით სახელმწიფო მი
მართავდა კონცესიებს. სახელმწიფო საკონცესიო ხელშეკრუ
ლების დადებისას მოითხოვდა წარმოების განვითარების უზ
რუნველყოფას, მოწინავე ტექნიკის გამოყენებას, საბჭოთა ხე
ლისუფლების მიერ დაწესებული შრომითი კანონმდებლობის
დაცვას და ა.შ.

ნეპის პირველ წლებში უცხოეთის კაპიტალისტებისაგან
ბევრი წინადადება მოვიდა საკონცესიო ხელშეკრულების და
დების შესახებ, შემდეგ კი ეს რაოდენობა შემცირდა.

კონცესიების წილი ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში არ
იყო დიდი. ისინი უშვებდნენ მხოლოდ სამრეწველო პროდუქ
ციის 1%-ს. მათი ხვედრითი წილი მაღალი იყო სამთო მრეწ
ველობაში – კონცენსიონერები მოიპოვებდნენ ტყვიის და
ვერცხლის 60%-ს, მანგანუმის მადნის 85%, ოქროს – 30%
აწარმოებდნენ ტანსაცმლის 22%-ს.

1927-1928 წწ.-დან დაიწყო კონცესიების ლიკვიდაცია, ვი
ნაიდან მათ არ შეასრულეს საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვ
ნები და მხოლოდ მაღალ მოგებაზე ფიქრობდნენ.

გეგმური ეკონომიკის ხელმძღვანელობის მიზნით შექმნილ
სახელმწიფო საგეგმო კომისიას (1921 წ.) დაევალა საერთო
სახელმწიფოებრივი სამეურნეო გეგმის შედგენა და მათ შეს
რულებაზე მეთვალყურეობა. 1925 წლიდან იგი ადგენდა სა
ხალხო მეურნეობის განვითარების ერთწლიან გეგმებს, ანუ
„საკონტროლო ციფრებს“.

გარდამავალ პერიოდში ორგანიზაციული ცვლილებები
გავრცელდა ტრანსპორტზეც. გაუქმდა „სამხედრო კომუნიზ
მის“ დროს შემოღებული ცენტრალიზაცია. 1920 წლიდან და
იწყო აღდგენითი სამუშაოები რკინიგზის ტრანსპორტზე. მიმ
დინარეობდა დანგრეული ხიდებისა და საგზაო მეურნეობე
ბის აღდგენა, დაზიანებული შემადგენლობების რემონტი. დამ

თავრდა ადრე დაწყებული რკინიგზის ხაზების მშენებლობა, საქსპლოატაციო რკინიგზის ხაზების სიგრძე 1925 წელს 1913 წელთან შედარებით 27,3%-ით გაიზარდა. სარკინიგზო ტვირთზიდვაში 1925 წელს მიღწეულ იქნა ომამდელის 80%. სამდინარო ტვირთზიდვა კი ჩამორჩებოდა და ომამდელის მხოლოდ 50%-ს აღწევდა.

ნეპზე გადასვლამ და ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის გაცხოველებამ მოითხოვა საბჭოთა სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. ომების პერიოდში ფინანსები მოიშალა. სახელმწიფო ბიუჯეტი უზარმაზარი დეფიციტით სრულდებოდა, ქაღალდის ფული კატასტროფულად გაუფასურდა.

ანგარიშსწორების გამარტივებისა და გაადვილების მიზნით ორჯერ ჩატარდა ფულის დენომინაცია (სახელის გადარქმევა, ეროვნული ფულადი ერთეულის გამსხვილება ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლის მეშვეობით, ფულის მიმოქცევის გამყარების, ქვეყანაში აღრიცხვისა და ანგარიშგების გაადვილებისა და ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის ამაღლების მიზნით). 1922 წელს გამოუშვეს ახალი ფულის ნიშნები, რომლის ერთი მანეთი გაუტოლდა ადრე გამოშვებულ 10 ათას მანეთს, ხოლო 1923 წელს გამოუშვეს კიდევ ახალი ფულის ნიშნები, რომლის ერთი მანეთი გაუტოლდა 1922 წლის 100 მანეთს და 1922 წლამდე გამოშვებულ – 1 მილიონ მანეთს.

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ქაღალდის ფულის გაუფასურება არ შეჩერებულა. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

ფულადი მეურნეობის გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ბანკის დაარსებას (1921 წ. ოქტომბერი). 1922 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ბანკს უფლება მიეცა გამოეშვა 10 მანეთიანი საბანკო ბილეთები – „ჩერვონეცები“, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ოქროთი. იგი გათანაბრებული იყო ძველ 10-მანეთიან ოქროს მონეტებთან. სახელმწიფო ბანკი გადაიქცა საემისიო ცენტრად. ჩერვონეცების კურსი იყო მყარი. თანდათან დაიწყო მიმოქცევიდან გაუფასურებული ფულის ნიშნების გამოდევნა.

ჩერვონეცის პარალელურად მიმოქცევაში ჯერ კიდევ იყო გაუფასურებული ქაღალდის ფულის ნიშნები. ეს დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. საჭირო გახდა ფულის რეფორმის დამთავრება, რაც 1924 წელს განხორციელდა. მიმოქცევაში გამოუშვეს წვრილი 1, 3, 5-მანეთიანი კუპიურების სახაზინო ბილეთები, ასევე ვერცხლის, სპილენძის და პლატინის მონეტებიც. ეს ფული იყო კონვერტირებული: ისინი თავისუფლად გაიცვლებოდა ძირითად უცხოურ ვალუტაზე მეფის რუსეთის მანეთის ომამდელი კურსით (1 ამერიკული დოლარი უტოლდებოდა 1,94 მანეთს). დადგინდა ახალ ფულზე გაუფასურებული საბჭოთა ფულის ნიშნების გადაცვლის წესი: სახაზინო ბილეთების ერთი მანეთი საბჭოთა 50 ათას მანეთზე. ეს გადაცვლა დასრულდა 1924 წლის ზაფხულში. ამით ფულის რეფორმა დამთავრდა და სსრკ-ში შეიქმნა მტკიცე ვალუტა.

ფულის რეფორმის გატარებამ დიდად შეუწყო ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და სამეურნეო ცხოვრების აღმავლობას. მტკიცე ფულადი სისტემა უმნიშვნელოვანეს ბერკეტად იქცა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისათვის.

სახელმწიფო ბანკი იქცა მოკლევადიან საკრედიტო დაწესებულებად. სოფლად დაიწყო საკრედიტო კოოპერატივების შექმნა, რითაც საშუალო და ღარიბ გლეხობას მიეცათ შანსი გათავისუფლებულიყვნენ მევახშისა და კულაკის კაბალისგან.

შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ადგილობრივი საზოგადოებანი, საოლქო და რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო ბანკები, ხოლო 1924 წელს ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

1922 წელს შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაციის ბანკი, რომელიც 1923 წლიდან იქცა სრულიად რუსეთის კოოპერაციულ ბანკად.

მრეწველობის დაფინანსება დაევალა 1922 წელს შექმნილ სამრეწველო ბანკს, ხოლო ელექტრიფიკაციის დაფინანსება – ელექტრობანკს.

საგარეო ვაჭრობის დაკრედიტებისთვის 1922 წელს შეიქმნა რუსეთის კომერციული ბანკი. 1924 წელს იგი გადაკეთდა საგარეო ვაჭრობის ბანკად. შეიქმნა აგრეთვე ცენტრალური კომუნალური ბანკი.

ამრიგად, აღდგენით პერიოდში მოწესრიგდა ფულადი მეურნეობა და შეიქმნა საბჭოთა საკრედიტო სისტემა.

აღნიშნულ გარდაქმნებთან ერთად განხორციელდა საბიუჯეტო და საგადასახადო რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ვალუტის სიმტკიცეს, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციას და ერთიანი სახელმწიფო გეგმის შექმნის საფუძვლად იქცა. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიდიოდა ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაზე.

რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა უარი ეთქვა იმპერიაზე, რომელიც ცალკეული ქვეყნების ოკუპაციის გზით ჯერ კიდევ ცარიზმის (მონარქიის) პერიოდში შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლება ზედიზედ ახერხებდა პოსტიმპერიულ ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდით საზოგადოების დაბალი ფენების გადმობირებას და შემდგომ მათზე დაყრდნობით ამ ქვეყნების ხელახალ ოკუპაციას იმგვარად, როგორც ეს საქართველოს სინამდვილეში მოხდა.

1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა სამი რესპუბლიკის: აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოსგან.

შეიქმნა რა ერთიანი იდეოლოგიური ნიადაგი, რუსეთის ხელისუფლებას უკვე აღარ გასჭირვებია შეექმნა ერთიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, სადაც გააერთიანა უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ამიერკავკასიის სფსრ, შუა აზიის რესპუბლიკები და როგორც თავად უწოდებდა უფროსი ძმა ამ კავშირში – რსფსრ.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში შედგა საბჭოების I ყრილობა, რომელზედაც მიღებულ იქნა დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, არჩეულ იქნა უმაღლესი ორგანო – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის მეორე სესიაზე შეიქმნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის კომისარიატი. მასში გაერთიანდა რესპუბლიკების სმუს-ი სამხედრო და საზღვაო საქმის, საგარეო ვაჭრობის, ფინანსების, შრომის, საგზაო მიმოსვლის, კავშირგაბმულობის, სახალხო კომისარიატები. საორგანიზაციო

საკითხების მოგვარების შემდეგ უპირველეს ამოცანად იქცა ამ სრულიად განსხვავებული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაცია.

4. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

მსოფლიო და სამოქალაქო ომებისგან გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენამ ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო მთელი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ეკონომიკური დისპროპორციები.

მრეწველობაში ჩამორჩენილი იყო მანქანათმშენებლობა, სათბობის მოპოვება, მეტალურგია, სამშენებლო მასალების წარმოება, ტრანსპორტი. აქედან გამომდინარე, ქვეყანა ტექნიკურ-ეკონომიურად დამოკიდებული იყო დასავლეთზე. შემოჰქონდათ არა მარტო მანქანები, არამედ სამრეწველო ნედლეულიც კი. ამ დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო ინდუსტრიალიზაციით. ხელისუფლება, ითვალისწინებდა რა კაპიტალისტურ გარემოცვას, რომელიც ვერ ეგუებოდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელით შექმნილი არაპროგნოზირებადი მონსტრის შექმნას, განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებით. სსრკ-სთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა შეიარაღებული ძალების განმტკიცება. ეს კი მოითხოვდა მძიმე ინდუსტრიის შექმნას.

1925 წლის დეკემბერში საკ კპ (ბ) XIV ყრილობამ კურსი აიღო ინდუსტრიალიზაციაზე, რომლის დაფინანსების წყარო იყო: შემოსავლები ნაციონალიზებული მრეწველობიდან, ტრანსპორტიდან, ვაჭრობიდან, საგადასახადო სისტემიდან; შინაგანი რესურსები; შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიდან; მრეწველობის შიგნით სახსრების გადანაწილება „ა“ ჯგუფის დარგების სასარგებლოდ და ა.შ.

ეკონომიკური მშენებლობა ისე უნდა წარმართულიყო, რომ საბჭოთა კავშირი მანქანებისა და მოწყობილობების შემომტან ქვეყნიდან გადაქცეულიყო მათ მწარმოებელ ქვეყანად. მძიმე მრეწველობა ფაქტიურად თავიდან უნდა შექმნილიყო.

ამისათვის გარდა დიდი კაპიტალდაბანდებებისა, საჭირო იყო მილიონობით კვალიფიციური მუშისა და ასეულ ათასობით სპეციალისტის მომზადება, რომლებიც შეძლებდნენ რთული ტექნიკის გამოყენებას.

1924-1925 წწ. ინდუსტრიალიზაციისათვის გამოიყო 430 მლნ. მანეთის, ხოლო 1926-1927 წწ. – 1,5 მლრდ. მანეთის კაპიტალდაბანდებანი. ამ თანხით დაიწყო ახალი მძლავრი ობიექტების მშენებლობა და ძველს რეკონსტრუქცია-გაფართოება.

1927-1928 წწ. დაიწყო მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა ქერჩსა და ზლატოუსტში, შეიქმნა სპილენძსადნობი ქარხნები ამიერკავკასიასა და ყაზახეთში. ქვეყანა განიცდიდა ფერადი ლითოების ნაკლებობას.

1927-1928 წწ. დაიწყო ახალი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა ბაქოში, გროზნოში, ტუაფსეში. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქიმიზაციის დარგში.

დიდი ნაბიჯები გადაიდგა ელექტრიფიკაციის მიმართულებით: 1926-1928 წწ. მწყობრში ჩადგა შტეროვოს, ზემო ავჭალის, ვოლხოვის, შატურის და ნიუგოროდის ჰესები, რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ აღდგენით პერიოდში დაიწყო. შემდეგ მას მოჰყვა ჩელიაბინსკის, ხარკოვის, ბრიანსკის და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. 1927 წელს მიღებულ იქნა დადგენილება მდინარე დნეპრზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ.

მეტალურგიისა და ქიმიის განვითარებისათვის საჭირო გახდა მეტი რაოდენობით ხარისხიანი კოქსის წარმოება. დონეცის აუზში აშენდა სამი დიდი და 10 მცირე სიდიდის მაღაროე. 1926-1927 წწ. მწყობრში ჩადგა მანქანათმშენებლობის ისეთი გიგანტი, როგორიცაა მოსკოვის ელექტროქარხანა. დაიწყო სტალინგრადის სატრაქტორო, როსტოვისა და სარატოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელი ქარხნების მშენებლობა. ორთქლის ძრავები თანდათან იცვლებოდა ელექტრო ძრავებით, აითვისეს ტურბოგენერატორების და ელექტროსადგურებისათვის საჭირო სხვა აპარატურის წარმოების ტექნოლოგია.

1926 წელს დაიწყო 1500 კმ-ის სიგრძის თურქმენეთ-ციმბირის რკინიგზის მშენებლობა, რომლის მიზანი იყო დაე-

კავშირებინა ხორბლითა და ხე-ტყით მდიდარი დასავლეთ
ციმბირი ბამბით მდიდარ შუა აზიასთან. ამ რკინიგზის ე
სპლოატაცია დაიწყო 1931 წელს.

1926 წელს მძიმე მრეწველობის წარმოების მოცულობ
გაიზარდა 44%-ით და 1913 წლის დონეს 9%-ით გადააჭარბ

ინდუსტრიალიზაციის პირველივე წლებში საზღვარგარ
თიდან სამრეწველო პროდუქციის შემოტანა შემცირდა. 192
წელს ავტომობილების შემოყვანა 1913 წელთან შედარები
შემცირდა 24%-მდე, ლითონსაჭრელი ჩარხების – 79%-მდ
ქვანახშირის – 0,2%-მდე.

თუ მრეწველობა ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში სწრაფ
ტემპებით ვითარდებოდა, სოფლის მეურნეობა კვლავ ჩამორ
ჩებოდა. 1926 წლის აღწერით სოფლად ცხოვრობდა მოსახ
ლეობის 82,1%. 1925-1926 წელს სოფლის მეურნეობა იძლეო
და საერთო პროდუქციის 56,6%-ს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბატონობდა ხელით შრო
მა. თუ 1925-1927 წწ. მრეწველობაში საერთო პროდუქცი
გაიზარდა და შეადგენდა 32,8%-ს, სოფლის მეურნეობაში იგ
შეადგენდა სულ 5,1%-ს. 1927 წელს მარცვლეულის საერთ
პროდუქციამ მიაღწია თითქმის 1913 წლის დონეს, ხოლო სა
საქონლო პროდუქცია შეადგენდა ომამდელის ნახევარს. ე
აისსნება არა მარტო ტექნიკური ჩამორჩენილობით, არამე
წვრილგლეხური წარმოების დაბალი საქონლიანობით.

1926-1927 წწ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებ
იძლეოდნენ სასაქონლო პურის მხოლოდ 6%-ს, კულაკები –
20%, ღარიბი და საშუალო მეურნეობანი – 74%-ს. ამრიგად
პურის ძირითადი მომწოდებლები იყვნენ სუსტი, ტექნიკურად
შეუიარაღებული გლეხური მეურნეობანი.

1927 წლის დეკემბერში კპ (ბ) XV ყრილობამ შეიმუშავა
სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის პროგრამა: კოოპერი
რების გაფართოება საწარმოო პრინციპებით და კოლექტი
ვიზაცია; გეგმური ეკონომიკის საყოველთაო დანერგვა; კ
პიტალისტური სამეურნეო ელემენტების ლიკვიდაცია ქალაქ
და სოფლად.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური მოწყობისათვის
შემოიღეს კონტრაქტაციის სისტემა, რომლითაც სოფელი სა

ხელმწიფოსთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარე-
ბისა და სამაგიეროდ შესაბამისი წარმოების საშუალებების
მიღების სპეციალურ ხელშეკრულებას დებდა.

საბჭოთა ხელისუფლება ნიადაგს ამზადებდა კოლექტიურ
მეურნეობებში გლეხობის მასიურად გაწევრიანებისთვის. გა-
აუმჯობესა სოფლის მეურნეობის მომარაგება სასოფლო-სა-
მეურნეო მანქანებით. 1928 წ. სოფლის მეურნეობის სატრაქ-
ტორო პარკი უკვე შედგებოდა 27 ათასი მანქანისგან. ღარიბ
გლეხურ მეურნეობათა 35% გათავისუფლდა გადასახადისგან,
ხოლო კულაკური მეურნეობანი იბეგრებოდა გადიდებული სა-
სოფლო-სამეურნეო გადასახადებით.

შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მტს-ები. პირ-
ველი მტს დაარსდა ოდესის ოლქის შევჩენკოს სახელობის
კოლმეურნეობაში იმ მანქანათა ბაზაზე, რაც მას თავისივე
პარკში ჰქონდა.

მტს ვალდებული იყო კოლმეურნეობები და საბჭოთა მე-
ურნეობები უზრუნველეყო ტექნიკური მომსახურებით.
ამგვარად გამოინახა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო
სამუშაოთა ტექნიკური უზრუნველყოფის შესაბამისი ფორმა.
მტს-ით მომსახურება მოითხოვდა მიწების საერთო მასივე-
ბის შექმნას, ე.ი. გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას.

1927-1928 წწ.-დან კოლმეურნეობათა შექმნა დაიწყო უკრაი-
ნაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში. კოლმეურნე-
ობაში ერთიანდებოდა უღარიბესი გლეხობა, იყო ზეწოლა სა-
შუალო გლეხებზე, რომ გაერთიანებულიყვნენ კოლმეურნეობებში.
კოლმეურნეობები თანდათან მსხვილდებოდნენ, ეუფლებოდნენ
წარმოების ტექნიკასა და კულტურას, დაწესდა შრომის მიხედ-
ვით სახოგადოებრივი წარმოების პროდუქციის განაწილება.

5. სსრ კავშირის ეკონომიკა ომამდელი ხუთწლების პერიოდში

ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის დამთავრებისა და სახელ-
მწიფო სექტორის გაფართოვების შემდეგ დაიწყო წლიური და-
გეგმვიდან პერსპექტიულ დაგეგმვაზე გადასვლა. ეკონომიკის

განვითარების პერსპექტიულ გეგმაში აისახებოდა შესა
რულებელი ვალდებულებები დროის დიდი მონაკვეთისთვის
ასეთი იყო ხუთწლიანი გეგმები. ხუთი წელი სრულიად სა
მარისი იყო იმისათვის, რომ აშენებულიყო მსხვილი სამრეწ
ველო საწარმო, ელექტროსადგური, რკინიგზა ან სანაოსნ
არხი. ამავე დროის მანძილზე შესაძლებელი იყო უახლეს
ტექნიკის საფუძველზე საწარმოთა გარდაქმნა და აღჭურვა
ეს მოსაზრებანი დაედო საფუძვლად სსრკ სახალხო მეურნე
ობის ყველა დარგის პერსპექტიულ დაგეგმვას ხუთწლედებ
მიხედვით.

1929 წლის მაისში სსრკ საბჭოების V ყრილობამ დაამ
ტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების
პირველი ხუთწლიანი (1928-1932 წწ.) გეგმა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას შეად
გენდა: სსრ კავშირის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ
ქვეყნად გადაქცევა, მძლავრი მძიმე ინდუსტრიის, როგორც
მთელი ეკონომიკის რეკონსტრუქციის ბაზის შექმნა; სოფლად
სოციალისტური მეურნეობის შექმნა; ქვეყნის თავდაცვისუ
ნარიანობის გაძლიერება; ნაციონალური რესპუბლიკების სა
მეურნეო და კულტურული აღმავლობა; ექსპლოატატორული
კლასების ლიკვიდაცია. ხუთწლიანი გეგმით ეკონომიკაში უნ
და დაბანდებულიყო 64,6 მლრდ. მანეთი, აქედან 16,4 მლრდ
მანეთი – მრეწველობაში; 10 მლრდ. მანეთი – ტრანსპორ
ტზე; 23,2 მლრდ. მანეთი – სოფლის მეურნეობაში. მრეწვე
ლობაში კაპიტალურ დაბანდებათა 75% განკუთვნილი იყო
მძიმე ინდუსტრიის განსავითარებლად. უნდა აშენებულიყო
1500-ზე მეტი თანამედროვე სამრეწველო საწარმო.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების მსვლელობაში გამოვლინ
და მრავალი რეზერვი, რის გამო ხუთწლედის ცალკეული
ვალდებულებანი მნიშვნელოვნად გადიდდა, რამაც გეგმა გა
ხადა პრაქტიკულად შეუსრულებადი წარმოების მაღალი ტემ
პით განვითარების პირობებშიც კი.

პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი შეს
რულდა ვადამდე, 4 წელსა და 3 თვეში. მთელმა მრეწველო
ბამ ხუთწლედის მანძილზე ერთიორად გაზარდა თავისი ძი
რითადი ფონდები, ხოლო მძიმე ინდუსტრიამ – სამჯერ. აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად ეს მონაცემები საკმაოდ გაზრდილია. ეს დასტურდება 1987 წ. გამოქვეყნებული გაანგარიშებებით 1929-1938 წწ., ე.ი. ორ ხუთწლედში წარმოება გაიზარდა 117%-ით. მეორე ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 17%-ით, ხოლო ვინაიდან ხუთწლედში ზრდის ტემპები იყო დაახლოებით ერთნაირი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სინამდვილეში პირველ ხუთწლედში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 50-60%-ით.

თუ 1926-1928 წწ. მრეწველობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 20%-ზე მეტი, იმ დროის ოფიციალური მონაცემებით ხუთწლედის წლებში მან შეადგინა 19,2%, ხოლო მკვლევარების ნ. შმელევის და ვ. პოპოვის გაანგარიშებით – 9-13%. აღნიშნული გეგმა ამ გამოთვლებით შესრულდა მხოლოდ 51%-ით.

1932 წელს სახელმწიფო ასიგნებათა ნახევარზე მეტი ხმარდებოდა ახალ მშენებლობებს. აიგო 1500 ახალი ფაბრიკა და ქარხანა, უმეტესობა წარმოადგენდა იმ დროისათვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ გიგანტებს. 1930 წელს ამოქმედდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, რომელიც წლიურად 50 ათას ტრაქტორს უშვებდა. ეს ქარხანა-გიგანტი აიგო 11 თვეში. ასეთივე მოკლე ვადაში – 15 თვეში აშენდა ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა.

აშენდა გორკის და მოსკოვის საავტომობილო ქარხნები, სვერდლოვსკის უდიდესი მანქანათმშენებელი ქარხანა, მოსკოვის მანქანათმშენებელი ქარხნები, როგორიცაა: საკისრების ქარხანა „კალიბრი“, „სტანკოსტროი“ და სხვ. აიგო აგრეთვე ნახშირის 143 მაღარო, ცემენტის, ხის სახერხი და სხვა საწარმოები.

მანქანათმშენებლობის აღჭურვას ხელი შეუწყო 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. კრიზისის პერიოში, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები მწვავედ საჭიროებდნენ თავიანთი საქონლის გასაღების ბაზრებს, მოხსნეს ყოველგვარი აკრძალვა სსრ კავშირისათვის სტრატეგიული საქონლის მიყიდვაზე და დაშვებულ იქნა მანქანათმშენებლობისათვის საჭირო ისეთი მოწყობილობების მახსური გაყიდვა, რომლის მიყიდვა სსრკ-სთვის მანამდე იკრძალებოდა. მათი შესყიდვისათვის ქვეყანაში თავმოყრილი იქნა ყველა სახსრები.

კუზბასის ნახშირის და ურალის რკინის მადნის ბაზაზ
ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში შეიქმნა მეორე მეტალურ
გიული ცენტრი, წარმოიშვა მანქანათმშენებლობის და ქიმიი
დიდი საწარმოები.

მოხდა ძვრები საწარმოო ძალთა ტერიტორიულ განლაგე
ბაში. დაიწყო მშენებლობანი ურალში, ციმბირში, ყაზახეთ
ში, შუა აზიის რესპუბლიკებში. აიგო ათასობით კილომეტ
რი ახალი რკინიგზის ხაზები, აღმოცენდა ახალი დიდი ქა
ლაქები და გარდაიქმნა ძველი, ამაღლდა ქვეყნის თავდაც
ვითუნარიანობა.

დიდი იყო მიღწევები ელექტრიფიკაციის დარგში. „გოელ
რო“-ს გეგმით გათვალისწინებული 30 რაიონული ელექტრო
სადგურიდან 1928 წელს უკვე მუშაობდა 19 სადგური, რომ
ლის სიმძლავრე შეადგენდა 610 ათას კილოვატს, ხოლო 193
წელს ელექტროსადგურების რაოდენობა 46-მდე გაიზარდა 265
ათას კვტ სიმძლავრით. „გოელრო“-ს გეგმა შესრულდა პირ
ველ ხუთწლედში.

პირველ ხუთწლედში შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარ
გები, როგორიცაა სატრაქტორო, საავტომობილო, ჩარხმშენე
ბელი, ქიმიური, მძიმე მანქანათმშენებელი, თვითმფრინავებისა
და საავიაციო ძრავების გამომშვები და თავდაცვით მრეწვე
ლობის სხვადასხვა დარგები. შეიქმნა საკუთარი ინსტრუმენ
ტული ბაზა. შეიძლება ითქვას, რომ ხუთწლედში განხორცი
ელდა XIV ყრილობის დადგენილება გადაექციათ სსრკ მანქა
ნა-მოწყობილობათა შემომტანიდან მათ მწარმოებელ ქვეყნად.

რეკონსტრუირებულ იქნა მეტალურგიის ძველი ბაზები -
კრივოი-როგი და ურალი, რამაც ხელი შეუწყო შავი მეტა
ლურგიის წინსვლას.

რაც შეეხება ფერად მეტალურგიას, პირველად აითვისეს
და გაიზარდა სპილენძის, თუთიის და ტყვიის წარმოება, თუმც
მათზე მოთხოვნა ვერ კმაყოფილდებოდა.

კვების მრეწველობის დარგში შეიქმნა უახლესი ტექნიკით
აღჭურვილი მძლავრი ხორცკომბინატები, საკონსერვო ქარ
ხნები და სხვ. განვითარდა სამკერვალო, ფეხსაცმელების და
მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგები. 1929 წლიდან მომუშა
ვეთა წახალისებლად შემოიღეს სოციალისტური შეჯიბრება

1931 წელს ლენინგრადის და ბალტიის ქარხნები გამოვიდ
ნენ შეჯიბრების ახალი ფორმის – სამეურნეო ბრიგადების
შექმნის ინიციატორებად.

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის საკოორდი
ნაციოდ 1931 წლის აპრილში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი.

მრეწველობის ახალი დარგების შექმნა და ძველი დარგე
ბის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია მოითხოვდა ცენტრალი
ზებული მმართველობის პრინციპიდან დარგობრივზე გადას
ვლას, ამიტომ 1932 წელს მოხდა სმუს-ის რეორგანიზაცია და
შეიქმნა დარგობრივი: მძიმე, მსუბუქი, ხე-ტყის მრეწველო
ბისა და სხვა სახკომატები.

პირველი ხუთწლედის წლებში განვითარდა ტრანსპორტის
ყველა სახე, განახლდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
განხორციელდა სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრან
სპორტის მნიშვნელოვანი განახლება-გაფართოება. აშენდა და
კეთილმოეწყო ნავსადგურები. საზღვაო ფლოტი ნაწილობრივ
შეივსო ახალი, გაუმჯობესებული სახის გემებით. თუმცა
ტრანსპორტის რეკონსტრუქციის და განვითარების ტემპები
ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს.

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში 1929 წელი იყო
დიადი გარდატეხის წელი. ამ წელს სოფლის ცენტრალურმა
ფიგურამ – საშუალო გლეხობამ – საბოლოოდ იბრუნა პირი
კოლმეურნეობებისაკენ.

მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებას თან ახლდა ნაკ
ლოვანებები. იყო კოლმეურნეობებში გლეხთა ძალდატანებითი
გაერთიანების შემთხვევები. მთავრობამ ყურადღება მიაქცია
ასეთ შეცდომებს და უზრუნველყო საკოლმეურნეო მშენებ
ლობის შემდგომი განვითარება.

სოფლის მეურნეობის იძულებითმა კოლექტივიზაციამ და
რეორგანიზაციამ უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის სა
სოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. საშუალო გლეხმა ვერ
გაითავისა კოლექტიური საკუთრება. 1929 წლიდან 1932 წლის
ჩათვლით შემცირდა მარცვლეულის საერთო მოსავალი. ძლი
ერ დაზარალდა მეცხოველეობა, ვინაიდან გლეხობა პირუტყვის
იძულებით კოლექტივში ჩაბარებას აპროტესტებდა და მასობ
რივად დაიწყო დაკვლა, შემცირდა პირუტყვის სულადობა.

1932 წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იძ
ლეოდნენ მარცვლეულის სახელმწიფო დამზადების 84,1%
მებამბეობის ახალი რაიონების: თურქმენეთის, ამიერკავკა
სიის, ყირიმის ათვისებით ქვეყანამ სრულად შეწვევიტა ბამ
ბის იმპორტი, 2-ჯერ გაფართოვდა სელის ნათესები. გაიზარდა
ბოსტნეული მეურნეობა.

კერძო ვაჭრობა იცვლებოდა სახელმწიფო და კოოპერაციუ
ლი ვაჭრობით. რაც შეეხება საბითუმო ვაჭრობას, 1927 წელს
მისი 95% სოციალისტური სექტორის წილად მოდიოდა, 1930
წელს კი კერძო კაპიტალისტური სექტორი მთლიანად გამო
დევნა, თუმცა საცალო საქონელბრუნვაში კერძო კაპიტალს
ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავა. ინდუსტრია
ლიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის
კვალდაკვალ საქონელბრუნვიდან სულ უფრო იდევნებოდა კერ
ძო კაპიტალი. სამრეწველო საქონელზე დაიწყო ფასების და
წესება, რის შედეგად მოხდა მრეწველობის და სოფლის მე
ურნეობის პროდუქციათა ფასებს შორის არსებული განსხვა
ვების ლიკვიდაცია. 1932 წლიდან კერძო ვაჭრობა სახელმწიფო
კანონით აიკრძალა, მისი ადგილი დაიკავა სახელმწიფო და
კოოპერაციულმა ვაჭრობამ. 1930 წლიდან დაშვებულ იქნა სა
კოლმეურნეო ვაჭრობაც, რომელიც ფართოდ ამოქმედდა 1932
წლიდან.

ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამა
შა საგარეო ვაჭრობამ. 1926-1932 წწ. მნიშვნელოვნად გაიზარდა
ექსპორტის მოცულობა, ძირითადად გადიოდა ნედლეული: ნავ
თობპროდუქტები, ხე-ტყის მასალები, ბეწვეული, მანგანუმის
მადანი, ასევე პური და კვების სხვა პროდუქტები. ექსპორ
ტის ნახევარზე მეტი მიდიოდა ინგლისში, გერმანიაში, საფ
რანგეთში, იტალიაში და აშშ-ში.

იმპორტის განსაკუთრებული ზრდა 1931 წელს აღინიშნა.
საწარმოო დანიშნულების იმპორტი მთელ იმპორტში იყო 93%.
მათ შორის მთავარი იყო მანქანები და მოწყობილობანი, ჩარ
ხები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ასევე ნედ
ლეული მძიმე მრეწველობისათვის. სამრეწველო წარმოების
გადიდების შედეგად 1932 წლიდან დაიწყო იმპორტის შემ
ცირება.

1929 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე სა
მეურნეო ანგარიშზე გადავიდა ყველა სამრეწველო საწარმო.
საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება ხელს
უწყობდა საკრედიტო რეფორმის გატარებას.

1930-1932 წწ. საბანკო საქმეში გატარდა საკრედიტო რე
ფორმა. ამ რეფორმით კრედიტის ძველი ფორმა (ურთიერთ
კომერციული კრედიტი და არაპირდაპირი საექსილო საბანკო
კრედიტი) შეიცვალა პირდაპირი საგეგმო საბანკო კრედი
ტით. საბანკო სისტემა გაიყო შემდეგნაირად: მოკლევადია
ნი დაკრედიტების ერთიანი ბანკი (სახბანკი) და კაპიტალური
მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტების და დაფინან
სების ბანკი (მრეწვბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი, ვაჭ
რობის ბანკი და კომუნალური ბანკი). რეფორმის შედეგად
სახელმწიფო ბანკის მეშვეობით სამეურნეო ორგანიზაციებს
შორის დამყარდა უნაღდო ანგარიშსწორების რაციონალუ
რი ფორმები.

საკრედიტო რეფორმით მოძლიერდა საბჭოთა საფინანსო-
საკრედიტო სისტემა და შესაძლებელი გახდა მისი გეგმა
ზომიერი მუშაობის განმტკიცება. მრავალგვარი საბიუჯეტო
გადასახადების ნაცვლად დაწესდა ბრუნვიდან გადასახადი და
მოგებიდან ანარიცხები.

პირველ ხუთწლედში სსრკ-ის ეროვნულმა შემოსავალმა,
კერძოდ კი 1932 წელს 117%-ით გადააჭარბა 1913 წლის მო
ცულობას. უკვე 1926 წელს სსრკ-ის ეროვნული შემოსავლის
მოცულობის ინდექსმა 1913 წლის დონეს გადააჭარბა, შემ
დეგ რეგულარულად დაიწყო ზრდა: 1913 წ. – 100%, 1926 წ.
– 103%, 1927 წ. – 110%, 1928 წ. – 121%, 1929 წ. – 138%, 1930
წ. – 167%, 1931 წ. – 195%, 1932 წ. – 217%. 1932 წელს სსრკ-
ში ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 45,5 მლრდ. მანეთი.

პირველი ხუთწლედის უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს,
რომ უმუშევრობის მოსპობა. სახელმწიფომ დიდი თანხები გა
იღო უფასო სამედიცინო მომსახურების, უფასო სწავლების,
პენსიების დანიშვნის და სხვათა დასაფინანსებლად. შემო
იღეს საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება.

სოფლად მოისპო სოციალურ ფენაბად დაყოფა და მოჯა
მაგირეობის სისტემა.

1930 წელს მასობრივი კოლექტივიზაციის დროს მოხდ
კულაკთა სრული ექსპროპრიაცია. განკულაკებას სამთავრობ
ორგანოები ახორციელებდნენ გლეხთა მეშვეობით. კულა
თა ქონება გადაეცემოდა კოლმეურნეობებს, ხოლო მათ სა
ლებში განათავსებდნენ სკოლებს და კულტურულ-საგანმა
ნათლებლო დაწესებულებებს.

ამ პოლიტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყანას
ყველა შეჰყავდათ კოლმეურნეობებში, იძულებით აერთიანებ
ნენ მათ მოძრავ-უძრავ ქონებას, თვითნებურად ადგენდნე
კლასობრივ მტერთა – კულაკთა სიებს, რომლებშიც უმეტე
შემთხვევაში შეჰყავდათ გამრჯე, წელგამართული გლეხურ
ოჯახები და მათ მშობლიური სოფლებიდან ერეკებოდნენ.

1931-1932 წწ. საკუთრება ჩამოართვეს და გადაასახლეს ჩრდ
ლოეთისა და აღმოსავლეთის რაიონებში 240757 კულაკის ოჯა
ხი (გლეხური მეურნეობათა საერთო რაოდენობის 1%-ზე ნა
ლები). ახალ საცხოვრებელ ადგილებზე ხდებოდა კულაკთ
ადაპტირება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან
ქვეყანაში კოლექტივიზაციამ მოიცვა გლეხური მეურნეობის
61,5%, სოციალისტური სექტორის წილად მოდიოდა ნათეს
ფართობის 78%.

სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას თან სდევდა წარმო
ბიდან კერძო კაპიტალის გამოდევნა. უკვე ხუთწლედის პირ
ველსავე წლებში კერძო საწარმოები თითქმის აღარ არსე
ბობდა. 1930 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული საწარ
მოები შეადგენდნენ მთელ სამრეწველო საწარმოების 99,9%
ს, ხოლო კერძო საწარმოები 0,1%-ს. კერძო სექტორის ხვედ
რითი წონა მრეწველობის საერთო პროდუქციაში 17,6%-დან
0,5%-მდე შემცირდა. 1930 წ. მრეწველობაში სრულად ბატო
ნობდა სახელმწიფო სექტორი.

ამრიგად, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში სო
ციალისტური საწარმოო ურთიერთობანი გახდა ყოვლისმომ
ცველი, შეიქმნა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი.

სკ კპ (ბ) XVII ყრილობამ დაამტკიცა მეორე ხუთწლიანი
გეგმა, რომელიც გათვალისწინებული იყო 1933-1937 წლების
თვის. მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითად პოლიტიკურ-
ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენდა: ყველა ექსპლოატატო-

რული კლასის საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების სრუ-
ლი მოსპობა, რომლებიც წარმოშობდა მათ. კაპიტალიზმის
გადმონაშთების დაძლევა ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიან-
თა შეგნებაში; მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა
სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებად და
სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის უახლესი ტექნი-
კური ბაზის შექმნა.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო იყო უდი-
დესი კაპიტალური მშენებლობანი, სამრეწველო წარმოების
მნიშვნელოვანი ზრდა, სარკინიგზო მშენებლობაში არსებუ-
ლი ჩამორჩენების დაძლევა, სოფლის მეურნეობის კოლექტი-
ვიზაციის დამთავრება.

მიღებულ იქნა აღმოსავლეთ რაიონების და ეროვნული რეს-
პუბლიკების სწრაფი განვითარების ვრცელი პროგრამა. მე-
ორე ხუთწლედში ეკონომიკური განვითარებისათვის გათვა-
ლისწინებული იყო 137,5 მლრდ. მანეთის კაპიტალდაბანდე-
ბანი, ნაცვლად პირველი ხუთწლედის 64,6 მლრდ მანეთისა.
ხუთ წელიწადში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება უნდა
გაზრდილიყო 63%-ით, პროდუქციის თვითღირებულება კი შემ-
ცირებულიყო 25%-ით.

მეორე ხუთწლედში გრძელდებოდა ახალ საწარმოთა მშენებ-
ლობა. სულ აიგო 4500 მსხვილი ახალი სამრეწველო საწარმო.

ხუთწლედში დამთავრდა სსრკ-ის მანქანათმშენებლობის
უმსხვილესი ქარხნების – ურალის მანქანათმშენებლობის,
ჩელიაბინსკის სატრაქტორო, ლუგანსკის ორთქლმავალმშე-
ნებელი ქარხნების მშენებლობა. ამ ქარხნებში დაინერგა
წარმოების ახალი ტექნოლოგია. აღსანიშნავია, რომ ახალი
ქარხნები ვერ მუშაობდნენ სრული დატვირთვით. მაგ., გორკის
საავტომობილო ქარხნის კონვეიერი პირველ ხანებში დეტა-
ლების უკმარისობის გამო მუშაობდა არა უმეტეს თვეში 10-
15 დღისა. უშვებდნენ სრულად დაუკომპლექტებელ მანქანებს
ფარების, მუხრუჭების, ხანდახან კაბინის გარეშეც. შემდგომ-
ში ამ სამუშაოებს ასრულებდნენ ეზოში, ხელით. მიზეზი
იყო სამრეწველო კადრების დაბალი კვალიფიკაცია. პირველ
ხუთწლედში აშენდა ქარხნები ახალი, იმპორტული ტექნიკით,
მაგრამ არ ჰყავდათ სპეციალისტები, რომლებიც შეძლებდნენ

ამ ტექნიკის სრულფასოვნად გამოყენებას. იმ პერიოდისათვი
საბჭოთა ინჟინრების პირველი ნაკადი ამთავრებდა უმაღლე
სასწავლებლებს და კვალიფიციური კადრების არარსებობი
გამო მათ სტუდენტური მერხიდან პრაქტიკის გარეშე პირდა
პირ ნიშნავდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

არ ყოფნიდათ არა მარტო ინჟინრები, არამედ კვალიფი
ციური მუშებიც, საჭირო იყო მათი პროფესიული მომზადება
ამიტომ მეორე ხუთწლედში დაიწყო მუშების მასობრივ
ტექნიკური სწავლება წარმოებისგან მოუწყვეტლად. პრაქტიკუ
ლად მუშათა მთელმა შემადგენლობამ გაიარა კვალიფიკაციის
ასამაღლებელი სკოლები და კურსები, რომელიც თითოეულ
საწარმოში იქმნებოდა.

განვითარდა სამთამადნო მანქანათმშენებლობა და შეწყ
და ამ მანქანების საზღვარგარეთიდან შემოზიდვა. შეიქმნა
ახალი ტიპის ნავთობსაბურღი, ამწე მანქანები და სხვ.

რკინიგზის ტრანსპორტისათვის შეიქმნა მძლავრი ორთქ
ლმავლები. 1938 წელს მძლავრი ორთქლმავლების წარმოება
გაიზარდა 1626 ერთეულამდე, ნაცვლად 1933 წლის 941
ერთეულისა, ათვისებულ იქნა ელმავალთა წარმოება.

მეორე ხუთწლედში სსრკ გადაიქცა ტექნიკურ-ეკონომიკუ
რად დამოუკიდებელ ქვეყნად. მისი მრეწველობა მთლიანად
აკმაყოფილებდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას მან
ქანებზე. სბჭოთა არმია შეიარაღდა უახლესი სამხედრო ტექ
ნიკით. ყოველივე ამას ხელი შეუწყო შავი მეტალურგიის
განვითარებამ, მწყობრში ჩადგა კრივოი-როგის, ნოვო-ლიპეც
კის, ნოვო-ტულსკის ქარხნები. გაფართოვდა კუზნეცკის და
მაგნიტოგორსკის კომბინატები. მწყობრში ჩადგა ალუმინის
ქარხანა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკის ელექტრო
ენერგეტიკული ბაზის შექმნა. მეორე ხუთწლედში ამოქმედდა
17 მსხვილი რაიონული ელექტროსადგური და თბოელექტრო
ცენტრალი, მათ შორის იყო სტალინოგორსკის, დობროვსკის,
შუა ურალის, კემეროვოს ელექტროსადგურები, კრივოი-რო
გის, კამის თბოელექტროცენტრალი და მრავალი სხვა., ასევე
11 მსხვილი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის სვირის,
რიონის, ნევის და სხვ. ამ ხუთწლედში ძირითადად დამთავ-

რდა მრეწველობის ელექტრიფიკაცია და სსრ კავშირი ელექ
ტროენერგიის გამომუშავების მხრივ მეორე ადგილზე გამო
ვიდა ევროპაში. თუმცა მეორე ხუთწლედში მთელი ეკონომი
კის ელექტროენერგიით სრულიად უზრუნველყოფა ვერ მო
ხერხდა.

1933-1937 წწ. ნახშირის ამოღება გაიზარდა თითქმის 2-ჯერ,
ნავთობის მოპოვება – 37%-ით, ხოლო ტორფისა – 77%-ით.

მეორე ხუთწლედში გაიზარდა აღმოსავლეთ რაიონების
ხვედრითი წილი ქვანახშირისა და ნავთობის ამოღებაში. გაუმ
ჯობესდა მოპოვებითი ტექნიკა, მექანიზაციის დონე ქვანახ
შირის წარმოებაში ამაღლდა 89,6%-ით.

დიდი მიღწევები იყო შავი მეტალურგიის განვითარება
ში. თუჯის გამოდნობა გადიდდა 2,3-ჯერ და მეტად, ფოლა
დის და ნაგლინისა – 3-ჯერ. მოქმედ საწარმოთა რიგებში
ჩადგა მაგნიტოგორსკის, აზოვსტალის, კრივოი-როგის, ურალ
ის, კუზბასის და სხვა ბრძმედები.

ამავე პერიოდში სსრკ სპილენძის წარმოებით პირველ ად
გილზე გამოვიდა ევროპაში, 1913 წელს მეშვიდე ადგილზე
იყო რუსეთი, ხოლო ალუმინის მრეწველობა საერთოდ არ
არსებობდა. 1937 წელს სსრკ ალუმინის წარმოების მოცულო
ბით მსოფლიოში მესამე ადგილზე გამოვიდა. აშენდა ვოლ
ხოვის და დნეპროვსკის ალუმინის ქარხნები.

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 5 წელ
ში 3-ჯერ გაიზარდა. განვითარდა ახალი დარგები: აზოტის,
ხელოვნური ბოჭკოს, სინთეზური კაუჩუკის და პლასტმასის
წარმოება. დაიწყო ხიბინის აპატიტებისა და სოლიკამსკის
კალიუმის მარილების დამუშავება და ათვისება.

ვითარდებოდა მსუბუქი მრეწველობაც. მეორე ხუთწლედ
ში ყველა სახის ქსოვილის წარმოება გაიზარდა 28%-ით, თეთ
რეულის და ტრიკოტაჟისა 4-ჯერ და მეტად; ტყავის ფეხსაც
მელებისა – 2,1-ჯერ. მთლიანად ფართო მოხმარების საგნე
ბის წარმოება 2-ჯერ გაიზარდა.

შეიქმნა კვების მრეწველობა, რომელიც რევოლუციამდელ
რუსეთში არ არსებობდა. ამოქმედდა ხორცის 17 კომბინატი,
კარაქისა და რძის – 83 საწარმო, 27 საკონსერვო ქარხანა, 139
პურის ქარხანა, ჩაის 25 ფაბრიკა, შაქრის 10 ქარხანა და სხვა.

მეორე ხუთწლედში აქტუალური იყო სოციალისტური შეჯიბრება. 1935 წლიდან დაიწყო წარმოების ნოვატორთა მოძრაობა და მათი სტიმულირება, რომელმაც მიიღო სტახანოვური მოძრაობის სახელწოდება. დონბასის მაღაროელის – ალექსი სტახანოვის ინიციატივით მაღაროელი მუშები დააწილეს ორ კატეგორიად: მნგრეველებად და გამმაგრებლებად. ამგვარად, მნგრეველი არ წყვეტდა მუშაობას უროთი, ხოლო გამმაგრებელი მხოლოდ ამაგრებდა ნანგრევს. ამან უდიდესი ეფექტი გამოიღო. 1935 წლის 31 აგვისტოს მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა ცვლაში 102 ტ ქვანახშირი მოანგრია და ტექნიკურ ნორმას 14-ჯერ გადააჭარბა. ეს იყო მსოფლიო რეკორდი. მოკლე დროში ნოვატორულმა (სტახანოვურმა) მოძრაობამ მოიცვა მთელი მრეწველობა, რაც მკვეთრად ადიდებდა შრომის ნაყოფიერებას. მეორე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება ნაცვლად გეგმური 63%-ისა გაიზარდა 82%-ით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის 2/3.

სსრკ-ის რესპუბლიკებმა მეორე ხუთწლედის წლებში სამრეწველო წარმოების განვითარებაში დიდი ნახტომი გააკეთეს. ხუთწლედში მრეწველობის საერთო პროდუქციის დირებულება უკრაინაში გაიზარდა 2,2-ჯერ (უსსრ 1937 წელს უშვებდა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც მთელი რევოლუციამდელი რუსეთი), ბულორუსიაში – თითქმის 2-ჯერ, საქართველოში – 2,1-ჯერ, სომხეთში – 2,3-ჯერ, თურქმენეთში – 2,3-ჯერ, ყაზახეთში – 2,4, ტაჯიკეთში – 3,7-ჯერ.

მეორე ხუთწლედის პერიოდში დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. განმტკიცდა საკონმეურნეო წყობილება. კოლექტიურმა მეურნეობებმა მოიცვა გლეხურ მეურნეობათა 93% და ნათესი ფართობის – 99,1%.

თუ პირველ ხეთწლედში მიმდინარეობდა იძულებითი კოლექტივიზაცია და მისი უპირატესობის პროპაგანდა, მეორე ხუთწლედში მთავარი იყო კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. ეს მოითხოვდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარღების გაძლიერებას. მეორე ხუთწლედის განმავლობაში სოფლის მეურნეობამ მიიღო დიდი რაოდენობით ტრაქტორები, კომბაინები და ავტომანქანები.

პირველი ხუთწლედის დამდეგს სოფლის მეურნეობაში ითვლებოდა 148 ათასი ტრაქტორი (15 ცხ. ძალიანი); ხუთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა უდრიდა 561 ათასს. სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა იმავე პერიოდში გაიზარდა 14 ათასიდან 146 ათასამდე.

მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 25%-ით გაიზარდა. ქვეყნის ახალ რაიონებში გაიზარდა მარცვლეულის ნათესებისა და ტექნიკური კულტურების ფართობები, სასოფლო-სამეურნეო წარმოება მნიშვნელოვნად გაფართოვდა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. 1935 წელს მიიღეს საკონლმეურნეო წესდება, სადაც განიმარტა პირადისა და საზოგადოებრივი საკუთრების ურთიერთშეხამება.

ორი ხუთწლედის განმავლობაში ნათეს ფართობებში კოლმეურნეობების წილი გაიზარდა 1928 წ. 2%-დან 1937 წლის 90%-მდე; პირადი მეურნეობების ხვედრითი წილი კი შემცირდა 96%-დან 0,8%-მდე.

მეორე ხუთწლედის ბოლოს მტს-ების რაოდენობა შეადგენდა 5818 და ემსახურებოდნენ კოლმეურნეობათა 91,5%-ს.

გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მარცვლეულის მოსავლიანობა 1937 წ. 64%-ით აღემატებოდა 1932 წლის დონეს. იმავე პერიოდში ბამბის მოსავლიანობა 2,1-ჯერ გაიზარდა, შაქრის ჭარხლისა – 4,3-ჯერ და ა.შ. ცალკეული რაიონების მოსავლიანობა კიდევ უფრო მეტად გადიდდა.

ჩამორჩებოდა მარცვლეულის და მეცხოველეობის მეურნეობები. მარცვლეულის საერთო მოსავალი და პირუტყვის სულადობა 1913 წლის დონეზე რამდენადმე დაბალი იყო.

მეორე ხუთწლედი ითვალისწინებდა რკინიგზების და საგზაო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და რეკონსტრუქციას. რკინიგზის ტრანსპორტზე 1933-1937 წწ. დაბანდებულ იქნა 17 მლრდ. მან., ე.ი. 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

1933-1937 წწ. გაუმჯობესდა სამდინარო ტრანსპორტიც. უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვი–ვოლგის არხის აღჭურვას. სამდინარო ფლოტის შემადგენლობა შეივსო

მძლავრი ორთქლმავლებით და თბომავლებით, თვითმავალ ბარჯებით და ა.შ. გაიზარდა საზღვაო ფლოტის ტონაჟი. მისმა ტვირთბრუნვამ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

მეორე ხუთწლედში სამოქალაქო ავტომობილმშენებლობის განვითარების შედეგად რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტი, გადიდდა სამოქალაქო ავიაცია. დამყარდა საჰაერო კავშირები ქვეყნის ყველა ძირითად ცენტრს შორის.

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის რესურსების ზრდამ 1935 წელს შესაძლებელი გახადა ნორმირებული (საბარათო) ვაჭრობის გაუქმება, ერთიანი სახელმწიფო ფასების შემოღება და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა. მანამდე კი ნორმირებული ვაჭრობის გვერდით არსებობდა სამრეწველო და სასურსათო საქონლით კოოპერაციული ვაჭრობა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ შემოიღო 1933 წელს.

წამყვანი როლი საცალო საქონელბრუნვაში ეკუთვნოდა სახელმწიფო ვაჭრობას. კოოპერაციულ ვაჭრობაზე მოდიოდა მთელი სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 1/4. სახელმწიფო ვაჭრობის სფეროდ გადაიქცა ქალაქი, კოოპერაციული ვაჭრობის სფეროდ კი სოფელი.

ხუთწლედში დიდად გაიზარდა საშინაო და შემცირდა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა. შემცირება განპირობებული იყო მანქანათმშენებლობის შექმნით. შემცირდა მანქანათა და მოწყობილობათა შემოტანა, აგრეთვე პურისა და კვების პროდუქტების გატანა. ინდუსტრიალიზაციამ შეცვალა იმპორტისა და ექსპორტის დარგობრივი სტრუქტურა. პურისა და სასურსათო საქონლის ნაცვლად უპირატესად გაჰქონდათ ლითონი, მოწყობილობანი, მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმი.

მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933-1937 წწ.) წარმატებით განხორციელებამ გამოიწვია საფუძვლიანი ცვლილებები. განხორციელდა მთელი ეკონომიკის სოციალისტური რეკონსტრუქცია და საზოგადოების სტრუქტურის შეცვლა. საზოგადოება შედგებოდა მუშათა და გლეხთა კლასისგან და ინტელიგენციისგან. ექსპლოატატორთა კლასები – მემამულეები, ბურჟუაზია, კულაკობა – სრულიად მოისპო.

მეორე ხუთწლედში ოფიციალური მონაცემებით სამრეწველო წარმოება გაიზარდა 120%-ით, მათ შორის „ა" ჯგუფის – 139%-ით, „ბ" ჯგუფის – 99%-ით, საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 17,1%. მანქანათმშენებლობაში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 2,9-ჯერ, მეტალურგიაში – 2,2-ჯერ, ქიმიურ მრეწველობაში – 3-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება – 2,7-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება. უკანასკნელი მონაცემებით წარმოება 1929-1938 წწ., ე.ი. ორ ხუთწლედში გაიზარდა 117%-ით. წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი მეორე ხუთწლედში შეადგენდა 14%-ს, ხოლო გეგმური დავალებანი შესრულდა 70%-ით. აღსანიშნავია პატიმართა ექსპლოატაცია, რომლებიც აშენებდნენ არხებს, რკინიგზებს და ახალ ქალაქებს, იღებდნენ მადანს და ამზადებდნენ ხე-ტყეს. მეორე ხუთწლედის ბოლოს ბანაკებში იმყოფებოდა 10-15 მლნ.-მდე პატიმარი, ე.ი. მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა 20-25%. ეს თითქმის მუქთი შრომა არსებითად ამცირებდა დანახარჯებს წარმოებასა და მშენებლობაზე.

ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია, რომ მეორე ხუთწლედის ბოლოს სსრკ-მა სამრეწველო წარმოების მოცულობით გაუსწრო ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანას, გამოვიდა ევროპაში პირველ და მსოფლიოში მეორე ადგილზე აშშ-ის შემდეგ. თანამედროვე მკვლევარების შეფასებით სსრკ მრეწველობა იმყოფებოდა მეხუთე ადგილზე აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის შემდეგ (ისევე, როგორც ეს მეფის რუსეთის, ანუ საუკუნის დასაწყისში იყო).

პარტიის XVIII ყრილობაზე, 1939 წლის მარტში დამტკიცდა მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938-1942 წწ.). დაისახა ახალი სამეურნეო ამოცანა – დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა უპირველესად მრეწველობის მძლავრ განვითარებას. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უნდა გაიდიდებულიყო 92%-ით საშუალო წლიური ზრდის ტემპი კი 14%-ით. წარმოების საშუალებათა წარმოება უნდა გაიდიდებულიყო 2-ჯერ მეტად, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება – 72%-ით.

მესამე ხუთწლედში პროდუქციის ზრდის 1% აბსოლუტ
რი ზომით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე პირველ ორ ხუ
წლედში.

მესამე ხუთწლედის დროს გართულდა საერთაშორის
ვითარება. კაპიტალისტური მსოფლიო ცდილობდა რ
აგრესია, რომელიც ფაშისტური გერმანიისგან მომდინარეობდ
სსრკ-ის წინააღმდეგ მიემართათ. 1939 წლის 1 სექტემბერ
დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა მთავრობამ 1939 წლ
აგვისტოში გერმანიასთან დადო თავდაუსხმელობის პაქტ
გერმანიაზე არანაკლებ მილიტარიზებულმა საბჭოთა კა
შირმაც 1939-1940 წწ., გასწია რა თავისი საზღვრები დასა
ლეთისაკენ, მიიერთა: დასავლეთ უკრაინა, დასავლეთ ბელ
რუსია, ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა, ლატვია, ლი
ვა და ესტონეთი. შემოერთებულ ტერიტორიებზე დაიწყო ს
მეურნეო-პოლიტიკური გარდაქმნები. სსრკ-ის ხელისუფლებ
ხვდებოდა, რომ ომი გარდაუვალი იყო და აძლიერებდა ქვეყ
ნის თავდაცისუნარიანობას. ამ მიზნით გეგმაში გაითვ
ლისწინეს თავდაცვითი მრეწველობის დაჩქარებული განვ
თარება; სათბობის, ელექტროენერგიის და ზოგიერთ სხვა ს
ხის პროდუქციის მსხვილი სახელმწიფო რეზერვების შექმნ
ქვეყნის აღმოსავლეთით უნდა გაფართოებულიყო ნახშირ-მ
ტალურგიის ბაზა; ვოლგასა და ურალს შორის შექმნილიყ
მძლავრი ნავთობის ბაზა – „მეორე ბაქო“. გათვალისწინებულ
იყო ახალ მშენებლობათა გადატანა აღმოსავლეთით – ურალ
სა და ციმბირში.

უდიდესი ეკონომიკური და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონ
და სამრეწველო გიგანტების ნაცვლად საშუალო ზომის ს
წარმოების მშენებლობას. ეს საშუალებას იძლეოდა ახალ
სამრეწველო სიმძლავრეები მოკლე ვადებში ამოქმედებულიყ
და ეკონომიკაში გათვალისწინებული იყო მსხვილი კაპიტალ
დაბანდებანი 192 მლრდ მანეთის ოდენობით, რაც თითქმის
უტოლდებოდა პირველ და მეორე ხუთწლედში ერთად აღებულ
კაპიტალდაბანდებებს.

მესამე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამრეწვ
ლო განვითარების პროგრამის შესრულება მოითხოვდა სათ
ნადო კვალიფიციურ სამუშაო ძალას, მუშახელის მობილიზებ

ძირითადად კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სისტემის მეშვეობით ხორციელდებოა.

მუშახელის მოძიების ასეთ მეთოდს ჰქონდა ნაკლოვანებანი. ხელშეკრულების გასვლის შემდეგ ბევრი კოლმეურნე სოფელს უბრუნდებოდა, საფაბრიკო-საქარხნო სწავლებით კი მუშები უმთავრესად იმ საწარმოებისთვის მზადდებოდა, რომელთა ბაზაზეც ეს სკოლები იყო შექმნილი. მრეწველობისა და ტრანსპორტის ზრდა მოითხოვდა სამუშაო ძალის სისტემატურ შევსებას. 1940 წლიდან შეიქმნა შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემა. კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის შეიქმნა სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლები სწავლის ორწლიანი კურსით, ხოლო მასობრივი პროფესიის მუშათა მომზადებისთვის – 6-თვიანი სწავლების კურსი.

გარდა ამისა, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე და სხვა სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაფართოვდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელი, შემოღებულ იქნა დაუსწრებელი სწავლების სისტემა და სხვ.

შრომის გააქტიურების მიზნით განხორციელდა საწარმოთა 8-საათიან სამუშაო დღეზე და 6-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა ერთი დღის დასვენებით. 1939 წლის იანვრიდან გაუქმდა მუშისა და მოსამსახურესთვის შემოღებულ შრომის წიგნაკები, რისი წარდგენაც აუცილებელი იყო სამუშაოს დაწყებისას.

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების მიზნით 1939 წლიდან განხორციელდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატების რეორგანიზაცია, რომელიც დაიყო 9 დამოუკიდებელ სახალხო კომისარიატად: ქვანახშირის, ნავთობის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის და სხვ. ასევე განხორციელდა მანქანათმშენებლობის და თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატების რეორგანიზაცია, რომელთაც გამოეყოთ მთელი რიგი დარგობრივი სახალხო კომისარიატები. ამით ხელმძღვანელობა მიუახლოვდა უშუალოდ წარმოებას.

მესამე ხუთწლედის 3,5 წლის განმავლობაში აიგო დ
მწყობრში ჩადგა 3000 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო
მთლიანად მესამე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების მო
ცულობა გადიდდა 45%-ით. მათ შორის მრეწველობის „ა“ ჯგუ
ფი – 53%-ით, „ბ“ ჯგუფი კი – 33%-ით.

ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა ელექტროსადგურე
ბის მშენებლობა მდინარეებზე: ჩუ, მანიჩი, ჩირჩიკი, კამა
სევანის ტბა. მათი დანიშნულება იყო იაფი ელექტროენერ
გიის გამომუშავებასთან ერთად სარწყავი მიწათმოქმედე
ბისათვის ხელშეწყობა. მწყობრში ჩადგა 2,8 მლნ. კვტ. სი
ახალი ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეები. ჰესების მშე
ნებლობა მიმდინარეობდა აღმოსავლეთ რაიონებში, რის შე
დეგადაც მათი წილი ქვეყნის ელექტროენერგიის მთლიან
გამომუშავებაში 1940 წელს 22,1%-მდე გაიზარდა, ნაცვლად
1913 წლის 10%-ისა.

წარმატებით მიმდინარეობდა „მეორე ბაქოს“ – ქვეყნის ნა
თობის მრეწველობის ახალი ბაზის შექმნა. მწყობრში ჩად
გა ახალი ჭაბურღილები. ნავთობმოპოვების სამუშაოები
მთლიანად იქნა მექანიზებული.

იზრდებოდა ნახშირის მნიშვნელობა. გაფართოვდა მაღარო
ების მშენებლობა მოსკოვის მახლობლად, (აქ მხოლოდ 1939-
1940 წწ. 37 მძლავრი მაღარო აიგო), ურალისა და შორეულ
აღმოსავლეთის აუზებში. გაიზარდა კუზბასის მნიშვნელობა,
სადაც აღმოაჩინეს ქვანახშირის ახალი საბადოები. გაორკეცდა
მისი მოპოვება ყარაგანდაში, პეჩორის აუზში დაიწყო ქვანახ
შირის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაცია. ახალი მძლავრი
მაღაროები აიგო ტყიბულსა და გელათში.

ამაღლდა სამუშაოთა მექანიზაციის დონე ქვანახშირის მო
პოვებაში. 1940 წელს ქვანახშირის ნგრევა მექანიზებული იყო
94,8%-ით, გამოზიდვა – 90,4%-ით, დატვირთვა რკინიგზის ვა
გონებში – 86,5%-ით. შემსუბუქდა მაღაროელთა შრომა და
ამაღლდა მისი ნაყოფიერება.

მწყობრში ჩადგა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნო
ვოტაგილის მეტალურგიული ქარხანა, ამურის, ნიჟნი-ტაგი
ლის მეტალურგიული ქარხნები. მაგნიტოგორსკის და კუზ
ბასის მეტალურგიულ კომბინატებში იგებოდა ახალი მარტენე

ღუმელები და ბრძმედები. გადიდდა ფეროშენადნობთა წარ
მოება. შენდებოდა ქარხნები ურალში, ციმბირში, შორეულ
აღმოსავლეთსა და ყაზახეთში.

შავი მეტალურგიის ზრდის ტემპები არ იყო საკმარისი.
მოთხოვნა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იგი იწარმოებოდა.
ეს უპირველესად მისი სანედლეულო ბაზის სივიწროვის შე
დეგი იყო. 1935 წლიდან შემცირდა კაპიტალდაბანდებანიც,
რაც ხელს უშლიდა ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებას.

აღმოსავლეთ რაიონებში მანქანათმშენებლობა ინტენსი
ურად ვითარდებოდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყ
ნის თავდაცვისათვის.

1939 წ. სტალინგრადის ქარხანაში აგრეგატული ჩარხების
და ნახევრად ავტომატებისგან შეიქმნა მსოფლიოში პირვე
ლი ავტომატური ხაზი. შეიქმნა ხელსაწყოთმშენებელი და აპა
რატმშენებელი მრეწველობა.

გაფართოვდა მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგე
ბი. აღმოცენდა ახალი დარგები კვების მრეწველობაში: საკ
ვები კონცენტრატების, ვიტამინების, მარგარინის წარმოება.

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცეოდა მშრომელთა შორის
სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორიც იყო მესამე ხუთ
წლედის სახელობის, შეჯიბრება საქარხნო მარკის ღირსები
სათვის და სხვ..

1939 წელს ურალის და უკრაინის მანქანათმშენებლობაში
თითქმის ერთდროულად აღმოცენდა მრავალდაზგოსანთა მოძ
რაობა, რომელიც ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას და ზოგავდა
სამუშაო ძალას. შემოიღეს პროფესიების მიხედვით: საუკე
თესო ხარატის, მემანქანის და სხვ. წოდებისათვის. გაფარ
თოვდა ქალთა შრომის გამოყენება სხვადასხვა დარგში.

მშრომელთა მორალური სტიმულირებისათვის 1938 წ.
დააწესეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მედლები
„შრომითი მამაცობისთვის“, „შრომითი წარჩინებისთვის“, „სა
მეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარჩინებით მუშა
ობისათვის“.

მრეწველობის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქცია 1941
წლისთვის უკვე შეადგენდა გეგმურის 86%-ს, მათ შორის, მძი
მე მრეწველობის – 90%, სავარაუდოდ, რომ არა გერმანიის

თავდასხმა, მესამე ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდებოდა. ომამდელ ხუთწლედებში გადიდდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, მწყობრში ჩადგა ათეულ ათასობით თანამედროვე სამრეწველო საწარმო. საავიაციო მრეწველობამ შექმნა ახალი ტიპის თვითმფრინავები. ახალი ტიპის მანქანები შეიქმნა ტანკმშენებელ ინდუსტრიაშიც. შეიქმნა საარტილერიო იარაღის ახალი სახეები. პრაქტიკულად ხორციელდებოდა სამხედრო ფლოტის მშენებლობის პროგრამა. გაიზარდა კვალიფიციური კადრების და ინტელიგენციის რაოდენობა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა არმიის პირადი შემადგენლობა, მას უკვე შეეძლო გამოეყენებინა ყველაზე რთული თანამედროვე ტექნიკა.

საბჭოთა კავშირის საზღვრებთან მსოფლიო ომის მოახლოების გამო გაიზარდა სამხედრო ხარჯები. მიმდინარეობდა არმიის ხელახალი შეიარაღება.

მუშათა მატერიალური დაინტერესება შეიცვალა დისციპლინის გაძლიერებით, რომელიც სულ უფრო მკაცრდებოდა. სამუშაოზე თვეში სამი დაგვიანებისთვის ასამართლებდნენ. გათავისუფლება და სხვა სამუშაოზე გადასვლა იკრძალებოდა. სამუშაოზე მიმაგრებული ადამიანი ყმის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ეს იყო მმართველობის ცენტრალიზაციის უკიდურესად გაძლიერების, დიქტატურის პერიოდი. არ არსებობდა არანაირი დემოკრატია. ადგილობრივ სამეურნეო ხელმძღვანელობას პრაქტიკულად არ შეეძლო გამოეჩინა სამეურნეო ინიციატივა. მმართველობაში უკუკავშირი – ადგილიდან ცენტრში – დარღვეული იყო, რის შედეგადაც ხელმძღვანელობის და დაგეგმვის ცენტრალურ ორგანოებს არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია ადგილებზე საქმის რეალური მდგომარეობის შესახებ, რაც წარმოშობდა გარდაუვალ შეცდომებს დაგეგმვაში.

მრავალი ქარხანა ასრულებდა დამატებით სამხედრო შეკვეთებს და ამცირებდა ძირითად სამშვიდობო პროდუქციის წარმოებას, რითაც მანქანათმშენებლობის რიგ დარგებში წარმოება დაეცა.

მიუხედავად გამალებული შეიარაღებისა, ქვეყანას არ ჰყოფნიდა თვითმფრინავები და ტანკები. გერმანიის არმია იყო

მოტორიზებული, სსრკ-ის – ქვეითი. გერმანელი ჯარისკაცები შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატებით, სსრკ-ის – შაშხანებით, რომლებიც მცირედ თუ განსხვავდებოდა პირველი მსოფლიო ომის შაშხანებისაგან.

მესამე ხუთწლედი შეწყდა ომის შედეგად. ხუთწლედის სამ წელიწადში ოფიციალური, აშკარად გაბერილი, მონაცემებით სამრეწველო წარმოება გაიზარდა 44%-ით, რაც ნაკლები იყო გეგმურთან შედარებით. ზოგიერთი დარგის განვითარება შეწყდა. სამ წელიწადში შავი მეტალურგიის წარმოება გაიზარდა 3%-ით, თითქმის არ გაზრდილა ნავთობის მოპოვება, ცემენტის წარმოება. შემცირდა ავტომობილების, ორთქლმავლების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სახარატო ჩარხების წარმოება.

მიუხედავად ნაკლოვანებისა დიდი სამამულო ომის დამდეგს ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობა ბევრად აღემატებოდა 1913 წლის და 1918-1920 წწ. რუსეთის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს. ამან განაპირობა გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

ომისწინა წლებში განვითარდა სოფლის მეურნეობაც, სასოფლო-სამეურნეო წარმოება უფრო მეტად იქნა მექანიზებული. ნათესებმა გადაინაცვლა აღმოსავლეთით. მსხვილ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო შეიქმნა კარტოფილის, ბოსტნეულის და მეცხოველეობის ბაზები. მიმდინარეობდა საირიგაციო სამუშაოები, გაიყვანეს უდიდესი ფერგანის არხი.

უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო მეცხოველეობა. იგი მოითხოვდა დაუყოვნებელი ზომების მიღებას. 1939 წ. დაწესდა სახელმწიფოსათვის ხორცის აუცილებელი ჩაბარება – მიწის ფართობის მიხედვით. კოლმეურნეობას განსაზღვრული ჰქონდა პირუტყვის სულადობის მინიმუმი. მოთხოვნა იყო, რომ შექმნილიყო მეცხოველეობის ახალი ფერმები და გაზრდილიყო პირუტყვის რაოდენობა.

1940 წ. დადგენილების შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების სავალდებულო მინიმუმის გამოანგარიშება დაიწყეს კოლმეურნეობის მიწის ფართობიდან. ახალი პრინციპი სტიმულს აძლევდა საკოლმეურნეო წარმოების

განვთარებას და კოლმეურნეთა ინიციატივას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა ხდებოდა საერთო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენით, რომელიც მოეწყო 1939 წ. გამოფენაზე თავისი გამოცდილების დემონსტრირებას ახდენდნენ საუკეთესო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები. სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ შეძლო ომის მძიმე წლებში უზრუნველეყო ქვეყანა კვების აუცილებელი პროდუქტებით და ნედლეულით.

საბჭოთა კავშირში გამოჩნდა მრეწველობის ახალი დარგები: საავტომობილო, სატრაქტორო, თვითმფრინავმშენებლობის, ელექტრო- და რადიოტექნიკური და ა.შ. განვითარდა მეტალურგია, ალუმინის, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. აღმოსავლეთში შექმნილმა სამრეწველო საწარმო-დუბლიორებმა დიდი როლი შეასრულეს ომის წლებში. ომამდელ წლებში სრულიად გარდაიქმნა სოფლის მერუნეობა. 1940 წელს მთელი გლეხური მეურნეობის 96,9% გაერთიანებული იყო კოლმეურნეობებში. ქვეყანაში იყო 7 ათასი მტს-ი და 4 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა.

ომამდელ წლებში წინ წავიდა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის ეკონომიკა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც ადრე ეკონომიკური განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. ამ რესპუბლიკებს გამოეყოთ უდიდესი კაპიტალდაბანდებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის განვითარებისათვის.

სსრკ სამეურნეო განვითარებით შეიქმნა ნიადაგი ფაშისტურ აგრესიაზე გამარჯვებისთვის. 1941 წლის 22 ივნისს სსრკ-ზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შედეგად ქვეყანაში შეწყდა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობა.

თემა 21. საქართველოს ეკონომიკური განვითარება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა 1918-1921 წლებში

საქართველო წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას. 1897 წ. აღწერით ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 19%-ს, სოფლისა კი – 81%-ს შეადგენდა. მართალია, ეს თანაფარდობა 1913 წლისათვის რამდენადმე შეიცვალა (26:74), მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში სამეურნეო დაცემისა და ეკონომიკის აგრარიზაციასთან დაკავშირებით ქალაქის მოსახლეობის წილი 1921 წლისთვის კვლავ 20%-მდე შემცირდა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ ერთობლივ პროდუქტში მრეწველობის წილად მხოლოდ 10%, ხოლო სოფლის მეურნეობაზე 90% მოდიოდა, აშკარა გახდება, რომ საქართველო იყო ტიპიური აგრარული ქვეყანა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თვით სოფლის მეურნეობაც ერთობ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა, ამის მიზეზი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის არქონა, ფეოდალური გადმონაშთების სიჭარბე, გლეხთა მცირემიწიანობა და უმიწობა, მათი სოციალურად დაკნინებული მდგომარეობა, ტექნიკის რუტინული დონე. ყოველივე ეს ძლიერ აბრკოლებდა სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებას.

1913-1917 წწ. მთელი ნათესი ფართობი 747,4 ათასიდან 498,1 ათას ჰექტრამდე, ანუ 1/3-ით შემცირდა. ეს ტენდენცია მომდევნო პერიოდშიც გრძელდებოდა. განსაკუთრებით დაეცა ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობა. მძიმე მდგომარეობაში იყო მრეწველობა. 1919 წ. მოიპოვებდნენ 36 ათას ტონა ნახშირს, ნაცვლად 1913 წ. 70 ათასი ტონისა, ე.ი. შემცირდა 49%-ით; 125,5 ათას ტონა

მანგანუმს ნაცვლად 1913 წლის 965,8 ათასი ტონისა, ანუ შემცირდა თითქმის 8-ჯერ, საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობამ ომამდელის მხოლოდ 13,8% შეადგინა.

მთლიანად იყო მოშლილი ტრანსპორტი. სარკინიგზო ვაგონებისა და ორთქლმავლების 70% მწყობრიდან იყო გამოსული. აყარეს და დააზიანეს რკინიგზა, ააფეთქეს ხიდები. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა კატასტროფამდე იყო მისული. ქვეყნის აღორძინებისათვის აუცილებელი იყო რადიკალური რეფორმების გატარება.

მსოფლიო ომებშორის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და მიმართულება მრავალჯერ შეიცვალა, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში საქართველოს სამგზის დაატყდა თავს სახელმწიფო გადატრიალებები მთელი თავისი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში ბატონობდა რუსეთის მეფის აბსოლუტიზმი, 1918-1921 წწ. ისარგებლა რა რუსეთში მონარქიული რეჟიმის დამხობით, საქართველომ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და დამყარდა დემოკრატიული წყობა, ხოლო 1921 წელს უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა კვლავ მოახდინა ქვეყნის ანექსია და დაამყარა კომუნისტური რეჟიმი. ამ გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე, იცვლებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებანიც./

საქართველოზე, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა-კოლონიაზე, ბუნებრივია, ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის იმ შინაგანმა პროცესმა, რაც XX ს-ის დასაწყისში რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რუსეთის ცარიზმი ძლიერ ზღუდავდა კოლონიების ეროვნულ-კულტურულ განვითარებას და მიზნად ისახავდა მათ რუსიფიკაციას, საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება წინსვლითაც კი ხასიათდებოდა და ეკონომიკური სიღატაკის ფონზე ერი სულიერი ქმნილებებით მდიდრდებოდა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში ცარიზმის დამხობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად. 1917 წლის 17 მარტს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. სასულიერო მოღვაწეთა კრებამ დაადგინა ხიონის ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულება. რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული იყო დაედასტურებინა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მასში შეიტანა შესწორება, რომ ავტოკეფალია ძალაში შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნით. ეს იმას ნიშნავდა, რომ მართმადიდებელი რუსეთის და სხვა არაქართველთა ეკლესიები ისევ რუსეთის ეკლესიის გამგეობაში დარჩენილიყო. ამან კი ქართველი სამღვდელოება გაანაწყენა. 17 სექტემბერს შედგა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა დამოუკიდებელი მართვა – გამგეობის დებულებანი და აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი. ეს იყო ეროვნული სუვერენიტეტისაკენ გადადგმული გაბედული ნაბიჯი./

მსოფლიო ომის შედეგად გამეფებული კრიზისითა და არეულობით ისარგებლა რა რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ, ხალხის მასებზე დაყრდნობით ხელახლა მოახდინა რევოლუცია და ქვეყანაში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. ამის შედეგად მართალია რუსეთი მსოფლიო ომს გამოეთიშა, მაგრამ ქვეყანამ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.

ამ პროცესებით ისარგებლეს საქართველოშიც. ეროვნულმა ძალებმა შეაფასეს რა შექმნილი ვითარება, გამოიყენეს ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. საქართველო რუსეთს გამოეყო. საქართველოს მართვა ითავა ეროვნულმა საბჭომ. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ გამოაქვეყნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რითაც აღსდგა 117 წლის წინ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა./

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ ეროვნული საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მინისტრები აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო), გიორგი ჟურული (ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა), გიორგი ლას-

ხიშვილი (განათლების), ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედებისა და შრომის), შალვა მესხიშვილი (იუსტიციის), ივანე ლორთქიფანიძე (გზათა). მთავრობამ 26 მაისის ღამეს დეპეშით აუწყა მსოფლიოს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ახალგაზრდა სახელმწიფოსთან დიპლომატიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარეს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებმა: გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ და სხვ. შემდგომში საქართველომ გაცხოველებული ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა ევროპის და ამერიკის მრავალ სახელმწიფოსთან, მათ შორის აშშ-თან.

1918 წლის 24 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია. 1918 წლის ოქტომბრის სხდომაზე „ეროვნული საბჭო“ გამოცხადდა საკანონმდებლო ორგანად და მას „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა. პარლამენტი ირჩევდა მთავრობას, რომელიც იყო აღმასრულებელი ორგანო. ნოე ჟორდანიამ ქართულ პარლამენტს დააკისრა კანონის შემუშავება მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ.

1918 წლის 8 ივნისს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლობასა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოსთან განუყოფლობას, ხოლო საქართველოს მთავრობა მას აღუთქვამდა ავტონომიურ უფლებებს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1920 წ. საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების პროექტი. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ეს პროექტი საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად. დებულებით აფხაზეთი მდინარე მუხადირიდან ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკავიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომურად მართავს შინაგან საქმეებს.

1919 წელს შიდა ქართლში, კერძოდ ჯავაში არალეგალურად შეიკრიბა კონფერენცია, რომელმაც შექმნა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი. ამ ორგანოს მიეცა დავალება დაჟრაზმა ოსი მოსახლეობა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისა და დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობისათვის. 1920 წლის მაისში ამ რაზმებმა დროებით მიაღწიეს წარმატებას, აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება და შექმნეს სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი. ივნისში გამოსცეს ბარძანება: „ონიდან დუშეთამდე მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ოსეთის რევკომს. ეცნობოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება“. 1920 წ. აჯანყება ჩააქრეს.

საქართველოს კონსტიტუცია ეყრდნობადა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის პრინციპებს. კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. კონსტიტუცია აკანონებდა მოქალაქეობას და მის უფლებებს. მასში განსაზღვრული იყო სახელმწიფო საფინანსო სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ავტონომიური თვითმმართველობა, სწავლა-განათლების არსი, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, ეკლესიასთან დამოკიდებულება და სხვ.

ნოე ჟორდანიას კონცეფციით საქართველოში სოციალისტური რევოლუცია შეიძლებოდა დაესახათ როგორც მიზანი, ისტორიული პერსპექტივა, მაგრამ არა როგორც უახლოესი პრაქტიკული ამოცანა. მისი აზრით, საზოგადოებას უნდა გაევლო აუცილებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური საფეხურები, ძველი რეჟიმის დაცემა და სახალხო დემოკრატიული წეს-ჩვეულებების დამყარება. პროგრამა-მინიმუმი გულისხმობდა სოციალური სამართლიანობის მოწესრიგებას ისე, რომ ყველა საზოგადოებრივი ფენა უზრუნველყოფილიყო საყოფაცხოვრებო პირობებით. ქვეყნის მართვა-გამგეობა უნდა აგებულიყო ფართო დემოკრატიზმის საფუძვლებზე, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ერთეულის ინტერესთა გათვალისწინებით. გეზი აღებული იყო საზოგადოების საშუალო ფენაზე, როგორც მთავარ დასაყრდენ ძალაზე, რომელსაც ბოლშევიკები რევოლუციის მტრულ ძალად თვლიდნენ და საყრდენად პროლეტარიატს მიიჩნევდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა იმ დროს, როდესაც მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. რუსეთში ამ ომმა სამეურნეო ნგრევა გამოიწვია. საქართველო კი ეკონომიკურად ინტეგრირებული იყო რუსეთთან. ამ დროს საქართველო ფლობდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრების ყველა ატრიბუტს: ტერიტორია, მოსახლეობის სამეურნეო კულტურა, მდიდარი წიაღისეული, ნოყიერი ნიადაგი, ზომიერი ჰავა, მდინარეთა ხშირი ქსელი და გასასვლელი ზღვაზე. განვითარების პერსპექტივას საფუძველს უმყარებდა მრავალდარგოვან მეურნეობათა ძველისძველი ტრადიციები. მაგრამ ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური სადავეების ხელში აღების და ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედების გამოცდილება. დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას აბრკოლებდა გარეშე ძალა რუსული ბოლშევიზმის სახით. ახალგაზრდა სახელმწიფოსა და მისი მეურნეობის მართვას კი აკლდა ეროვნული იდეალების პროპაგანდა და ეროვნული იდეოლოგიით გამსჭვალული კვალიფიციური კადრები.

სრული სამეურნეო ნგრევის ვითარებაში მრეწველობისა და ვაჭრობის შეუფერხებელი ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. არ იყო ნედლეული, მოძველებული იყო ტექნიკა, თავი იჩინა პირველი მოთხოვნილების საგანთა ნაკლებობამ. მძიმე იყო სასურსათო მდგომარეობა, რადგან რესპუბლიკაში არ იყო საკმარისი მარცვლეული. ასეთ ვითარებაში გაიზარდა სპეკულაცია. ყველაზე მძიმე იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წელი. ქვეყანას ყველაზე მეტად გაუჭირდა ეკონომიკის მოწესრიგება. სახელმწიფო ხაზინას ოქროთი არ გააჩნდა მანეთიც კი. მას ტვირთად დააწვა ფრონტიდან ჩამოსული ოფიცრებისა და ასევე დიდი ოდენობის მოხუცების რჩენა. გაიზარდა ფასები საქონელზე. შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად მთავრობა ცდილობდა ეტაპობრივად დაეძლია ეს სიძნელეები.

რესპუბლიკის მთავრობამ ფასების ზრდის უარყოფითი გავლენის შესარბილებლად შემოიღო ე.წ. „მუშათა მაგიდები", რომლის მეშვეობითაც მუშა-მოსამსახურეები ურიგოდ და შედავათიან ფასებში იღებდნენ პურს, შაქარს, ტანსაცმელს, საფ-

ვავს და ა.შ. მუშებისა და რკინიგზის მოსამსახურეთა ხელფასის გაზრდისათვის შეიქმნა სპეციალური ფონდები. მთავრობა ებრძოდა სპეკულაციას.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იყო, ერთის მხრივ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ფართო ასპარეზს უტოვებდა კერძო ინიციატივას, კერძო პირებისა და დაწესებულებების საქმიანობას. არსებულ საწარმოთა შორის დიდი იყო კერძო საწარმოთა ხვედრითი წილი (53%), ხოლო მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სექტორში იყო დასაქმებული (86%). ეს მეტყველებს იმაზე, რომ მსხვილი საწარმოები ძირითადად სახელმწიფოს ხელში იყო.

1920 წ. მომპოვებელ და დამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული იყო სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 15%, ანუ მთელი მოსახლეობის 0,3%. ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა მანგანუმის და ქვანახშირის მოპოვების გაფართოებას. მოხდა ჭიათურის მანგანუმის წარმოების ნაციონალიზაცია. 1920 წ. გაიტანეს 183 ათასი ტონა მანგანუმი. ნაციონალიზებულ იქნა ასევე ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაც.

საქართველოში მოქმედებდა ლითონის გადამამუშავებელი ქარხნები. თბილისის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანაში წლიურად იწარმოებოდა 25 ათასი ფუთი სპილენძი. ფუნქციონირებდა შუშის, საპნის, ტყავის, ღვინის, ლუდის ქარხნები. ქიმიურ ქარხანაში, რომელიც დაარსდა დამოუკიდებლობის პერიოდში, მზადდებოდა შაბიამანი, ნიშადური და სხვადასხვა მჟავა.

საქართველოში არსებობდა 112 ხე-ტყის ქარხანა, დაარსდა ასანთის რამდენიმე პატარა ქარხანა, რომელიც დღეში 10-15 ათას კოლოფს უშვებდა. მოქმედებდა ბამბის გადამამუშავებელი, მატყლის სართავი და აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები. 1920 წ. მკვეთრად შემცირდა თამბაქოს წარმოება და შეადგინა 1913 წლის 2%. არსებობდა 2000-მდე წისქვილი.

1918 წლის 26 მაისიდან 26 ნოემბრამდე საწვავის ნაკლებობის შედეგად საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. ეს გამოწვეული

იყო რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ანექსიით. მისი გასაბჭოების შემდეგ საქართველოში შეწყდა ბაქოს ნავთობპროდუქტების მიწოდება. გადაწყდა, რომ არსებული რეზერვები რაციონალურად გამოყენებინათ. ნავთობი უნდა მიეწოდებინათ წყალმომარაგებისთვის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის და სამტრედიის განათებისათვის და ასევე შიდაწვის ძრავებით აღჭურვილ სამრეწველო საწარმოებისათვის. ნავთობის მიწოდება განახლდა 1918 წლის 20 ოქტომბერს, მაგრამ 27 ნოემბრამდე მიწოდება იმდენად მცირე იყო, რომ შეადგენდა იმის ნახევარს, რაც წინა თვის განმავლობაში იხარჯებოდა.

საქართველოს მრეწველობაში ძირითადად განვითარებული იყო ლითონის, ქვის, თიხის და მინის დამუშავება, მანქანების, იარაღებისა და ინსტრუმენტების, პოლიგრაფიული, ელექტროენერგიის, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების წარმოება, რძის, ხორცის, ბეწვეულის, ქაღალდის დამუშავება.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაჩქარდა წარმოების კოოპერაცია. გაიხსნა სავაჭრო სამრეწველო პალატა. შეიქმნა სააქციონერო და კოოპერატიულ საზოგადოებათა კავშირები.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ოდითგანვე ტარდიციული დარგი, სოფლის მეურნეობა. მოსახლეობის 85% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. კლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. განვითარებული იყო მევენახეობა, მემარცვლეობა, მებაღეობა და მესაქონლეობა.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზი ტექნიკის ნაკლებობა და აგრონომთა სიმცირე იყო. აგრონომთა უმეტესობა განათლებას რუსეთში იღებდა, ამიტომ ვერ გამოადგებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობას. დაისვა საკითხი საქართველოში აგრონომიული სასწავლებლის გახსნის შესახებ.

მცირემიწიანი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უზრუნველყოფდა მოსავლიანობის გადიდებას.

მარცვლეულ კულტურებთან ერთად ყურადღება უნდა მიქცეოდა ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც ქვეყნის საკუთარ მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა და მისი ექსპორტიც მოხდებოდა. ასეთი იყო მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა და სუბტროპიკული კულტურების გაშენება.

მეაბრეშუმეობა საქართველოს ტრადიციული დარგი იყო. ამ დროს მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა ფასები აბრეშუმის პარკსა და თესლზე და რადგანაც ხელსაყრელი პირობები იყო მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, მთავრობამ გაატარა ღონისძიებანი დარგის აღმავლობისათვის.

საქართველოში დაიწყო სელის, კანაფის მოყვანა და დამუშავება. ყურადღება მიექცა მებოსტნეობას, გაიზარდა მეკარტოფილეობის ხვედრითი წილი.

მემცენარეობის განვითარებას ხელი უნდა შეეწყო ჩამორჩენილი დარგის, მესაქონლეობის განვითარებისათვის, მაგრამ რადგან იგი ძირითადად ბორჩალოსა და ახალციხის მაზრაში არსებობდა, რომელიც ამ პერიოდში გაუთავებელი ბრძოლების ასპარეზად იყო გადაქცეული, ეს დარგი გარკვეულწილად ყურადღების მიღმა რჩებოდა. მნიშვნელოვანი იყო მეცხოველეობის განვითარება, რადგან მატყლი წარმოადგენდა საექსპორტო საქონელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო იყო ჯანსაღი აგრარული ურთიერთობები. გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის მიზანი იყო. ჯერ ერთი, შეექმნა ხელსაყრელი პირობები სოფლად საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ამით ეკონომიკურად განემტკიცებინა ახალგაზრდა რესპუბლიკა, და, მეორე – მოეხსნა სოციალური დაძაბულობა სოფლად, რაც გამოიწვევდა პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას.

დამოუკიდებელ საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მიწის რეფორმის გატარება. კანონით მიწები დაიყო სამ კატეგორიად: 1) კულტურული მემცენარეობის (მევენახეობა, მებოსტნეობა და სხვ.) რაიონებში მემამულეთათვის დასატოვებელი მიწის ნორმა განისაზღვრა 7 დესეტინით; 2) მემარცვლეობის რაიონებში – 15 დესეტინით; 3) მესაქონლეობის რა-

იონებში – 40 დესეტინით. თანდართული შენიშვნის მიხედვით საგუბერნიო ან საოლქო მიწის კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ ადგილობრივი პირობების მიხედვით დასატოვებელი მიწის ნორმა პირველი კატეგორიის მამულებისათვის გაეზარდათ 10 დესეტინამდე, მეორესათვის – 20-მდე, ხოლო მესამესი – 50 დესეტინამდე.

ეს დოკუმენტი მხოლოდ ორ ძირითად საკითხს წყვეტდა: 1) განისაზღვრებოდა მემამულეებისათვის დასატოვებელი მიწის ნორმა; 2) ჩამორთმეული მიწებიდან იქმნებოდა სახელმწიფო ფონდი, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი, თუ რა ფორმით და რა რაოდენობით უნდა მომხდარიყო უმიწო და მცირემიწიანი გლეხების დაკმაყოფილება, რაც ეკონომიკურ და განსაკუთრებით იმ პერიოდში პოლიტიკურ სიბეცედ შეიძლება შეფასდეს.

დამოუკიდებლობის პერიოდში რეფორმის სრულყოფა ხორციელდებოდა ადგილებზე სამაზრო ერობათა მიერ. რეფორმის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმის ფარგლებში მესაკუთრეებს დაუტოვეს 27572 დესეტინა მიწა, დასავლეთ საქართველოში – 7115 დესეტინა მიწა, ხოლო მთავრობის ხელში გადავიდა 64000 დესეტინა მიწა, ტყე, ზამთრის და ზაფხულის საძოვრები. ფართო გზა მიეცა კერძო ინიციატივას მთავრობის მეთვალყურეობით, რამაც შექმნა პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

გაითვალისწინეს რა ზოგიერთი ქვეყნის (დანია, ბელგია, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი) გამოცდილება, სადაც სოფლად გაბატონებული იყო ტექნიკით უზრუნველყოფილი წვრილი სასაქონლო მეურნეობანი, /საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა გეზი აიღეს კერძო საკუთრებაზე დამყარებული წვრილსასაქონლო წარმოებაზე სოფლად./

/მთავრობამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები წვრილი წარმოების დასაცავად. ხელს უწყობდა წვრილ მწარმოებელთა შეკავშირებას და კოოპერირებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ტექნიკა და აგრონომიული ცოდნა. მიმდინარეობდა ჭარბად დასახლებული ადგილებიდან გლეხობის აუთვისებელ და ნაყოფიერ მიწებზე დასახლება. შეიქმნა 23 ახალი ქართული სოფელი./

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის აღმავლობისათვის საჭირო გახდა საფინანსო სისტემის შექმნა. იმ დროს ქაღალდის სამი ფული ტრიალებდა: „ნიკოლოზის“ ანუ „სამეფო“, „რომანოვების“ და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ყველა ეს ფული მოკლებული იყო ოქროთი უზრუნველყოფას. ხშირი იყო ფულის გაყალბებაც. ამას ემატებოდა საქონლით დაუბალანსებელი ფულის რაოდენობის ზრდა.

ახალი ფულის გამოშვებას ახლდა სიძნელეები. ჯერ ერთი, ამას დრო სჭირდებოდა. ფული ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რადგან მისი რეალური გაცვლა ოქროზე ან ნაკლებად გაუფასურებულ საზღვარგარეთის ვალუტაზე შეუძლებელი იყო. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ხელშეკრულება დაედო აზერბაიჯანთან და სომხეთთან ბონების გამოშვების შესახებ. ამ ხელშეკრულებით საქართველო გამოსცემდა 280 მლნ.-ს, ამ თანხიდან 80 მლნ.-ს მიიღებდა სომხეთი და 80 მლნ.-ს აზერბაიჯანი. 1919 წ. 20 იანვარს მიიღეს კანონი რესპუბლიკის საჭიროებისათვის კიდევ 80 მლნ.-ის გამოშვების შესახებ. ბონების არსებობა იყო დროებითი მოვლენა, გარდამავალი ეტაპი მანამ, სანამ შემოღებდნენ საქართველოს რესპუბლიკის საკუთარ ფულს, რომლითაც გამოსყიდული იქნებოდა ბონები.

სახელმწიფო ხაზინის გასაძლიერებლად 1919 წ. შემოღებულ იქნა ერთდროული გადასახადი მიწებზე. გადასახადები დანაწილდა მიწის ხარისხის მიხედვით. მიწის პატრონებს უნდა გადაეხადათ შემოსავლის 3%, საიდანაც ხაზინა მიიღებდა 70 მლნ-ს. მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალიზაცია ისე, რომ საქართველოს არც ერთი სახელმწიფოს ვალი არ ჰქონდა.

მთავრობამ ახალ პრინციპებზე დაყრდნობით მოაწესრიგა საბანკო საქმე/ საკრედიტო საქმის მოსაწესრიგებლად 1919 წლის 16 მარტს მოიწვიეს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელთა ყრილობა. მსჯელობის საგანი იყო საკრედიტო დაწესებულებათა სრულად გაეროვნულება და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში საკრედიტო დაწესებულებების დაარსების შესაძლებლობების განსაზღვრა.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის 1918-1919 წწ. გაწე-

ული ხარჯები იყო 663,5 მლნ, ხოლო შკვე 1920-1921 წწ. გათვალისწინებული იყო 855,2 მლნ., აქედან ხარჯები განათლებაზე შეადგენდა 5,26%.

შეიქმნა საკუთარი ფული, რომლის სიმტკიცე 1921 წლისათვის დიდად აღემატებოდა მეზობელი სახელმწიფოების ფულის სიმტკიცეს.

მთავრობამ გააუქმა რუსეთის საბაჟო დაწესებულებები და დააწესა 14 ახალი ქართული საბაჟო. 1919 წ. ივნისიდან 1920 წ. 31 მაისამდე საბაჟო გადასახადების სახით შემოვიდა 40,9 მლნ მანეთი, ნაცვლად გათვალისწინებული 2,5 მლნ-ისა, რაც ფუფუნების საგნებზე გადასახადის გადიდებამ გამოიწვია. 1920 წ. 18 აგვისტოს ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა, ვინაიდან შემოტანილი საქონლის საჭარბე ფულის კურსის დაცემას იწვევდა.

დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველომ მოახერხა ევროპის საფინანსო და სამრეწველო წრეებთან ურთიერთობის დამყარება. დადებული პირველი ხელშეკრულებები იმედს იძლეოდა, რომ საქართველო ეკონომიკურად განვითარდებოდა, მეურნეობის ზოგიერთ დარგში დაიწყო აღმავლობა, ეს კი ქმნიდა საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის, მაგრამ რუსეთმა კვლავ მოახდინა მისი ანექსია. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ვერ მოასწრო ეკონომიკურ შესაძლებლობათა რეალიზება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აქამდე მიჩნეული იყო საქართველოს მშრომელი მასების აჯანყებით მოპოვებულ გამარჯვებად და ქართველი ხალხის ინტერესების გამოხატულებად. წითელი არმიის ლაშქრობა და მის მიერ საქართველოს ოკუპაცია კი ფასდებოდა როგორც ქართველი ხალხისადმი ძმური დახმარება და არა როგორც ანექსია.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ კვლავ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. იგი კვლავ იქცა ამჯერად შკვე საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად. ქართველი ხალხის წინაშე კვლავ დაისვა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, უცხოელ დამპყრობთაგან გათავისუფლების ამოცანა.

2. საქართველოს ეკონომიკა 1921-1925 წწ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დაემთხვა პერიოდს, როდესაც საბჭოთა რუსეთი გადავიდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ე.წ. „ნეპზე"). ეს პოლიტიკა განპირობებული იყო საბჭოთა ქვეყნის საარსებო აუცილებლობით და წარმოადგენდა არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამოსავალს.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ვითარებაში მოხდა საქართველოს ეკონომიკური ინტეგრირება საბჭოთა ქვეყნებთან. 1921 წ. 14 აპრილის წერილში საბჭოეთის მთავარი იდეოლოგი და მეთაური ვ. ი. ლენინი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკებს მოუწოდებდა მთელი ძალღონით აემოქმედებინათ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა. „უფრო ნელა, უფრო ფრთხილად, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე – აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისგან განსხვავებით.

ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას"[1].

ეკონომიკის სრულიად ახალ, სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გარდასაქმნელად დაიწყო ძირითადი ეკონომიკური ბერკეტების თავმოყრა პროლეტარიატის ხელში და მმართველობის სოციალისტური ორგანოების შექმნა. ეს ძირითადად 1921 წლიდან განხორციელდა.

1921 წ. მარტში ნაციონალიზებულ იქნა კახეთის რკინიგზა. აპრილში განხორციელდა მიწების ნაციონალიზაცია, ამასთან, წიაღისეული სიმდიდრეებიც სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. მიწა უსასყიდლოდ გადაეცა გლეხობას. მიწის ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა. მიწათმფლობელთა მამულების კონფისკაციასთან ერთად ჩამორთმეული იქნა პირად მფლობელობაში

1. ვ. ი. ლენინი. ტ. 32, გვ. 397-400.

არსებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, დამხმარე სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, პირუტყვი და ა.შ.

1921 წლის მაისში გატარდა კერძო ბანკების ნაციონალიზაცია, ივნისში – მრეწველობის მსხვილ საწარმოთა, აგრეთვე ნავთობსაცავების, ტრანსპორტის, სავაჭრო ფლოტის და სხვათა ნაციონალიზაცია.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად დასახული ამოცანა, რომ ეკონომიკური ბერკეტები პროლეტარიატის ხელში გადასულიყო, გადაიჭრა. კაპიტალისტურ მეურნეობას და ბურჟუაზიას ეკონომიკური საფუძველი გამოეცალა. ქვეყნის ეკონომიკაში აღმოცენდა მეურნეობის სოციალისტური სექტორი.

1921 წ. შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუს-ი), რომელსაც ქვეყანაში გეგმიანი ეკონომიკის ხელმძღვანელობა დაევალა. დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე და შეიქმნა შრომის ინსპექცია.

ახალი ხელისუფლების მტკიცე ნებამ და აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ მოამზადა პირობები სახალხო მეურნეობის გარდაქმნისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში დაშვებულ იქნა მიწის იჯარა, კერძო პირების მიერ დაქირავებული სამუშაო ძალის გამოყენება. კოოპერატივებსა და კერძო პირებს წვრილი საწარმოები ეძლეოდათ იჯარით. ნებადართულ იქნა აგრეთვე ახალ (წვრილ) კერძომესაკუთრულ საწარმოთა გახსნა. კერძომრეწველთა ხელში რჩებოდა ჭიათურის მანგანუმის მადნის მოპოვება.

1922 წლიდან განხორციელდა მსხვილ საწარმოთა გაერთიანება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედ ტრესტებში. გაძლიერდა საწარმოთა კოლექტივების მატერიალური დაინტერესება და ინიციატივა წარმოების გადიდებაში. მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. სმუს-ის განკარგულებაში მყოფი 69 საწარმო გარდაიქმნა 53 მსხვილ საწარმოდ, რის შედეგადაც უფრო ეფექტურად ხდებოდა შრომის ორგანიზება, დაჩქარდა ტექნიკური პროგრესი და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

აღდგენითი პერიოდის ბოლოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 83,3% სოციალისტური სექტორის (სახელმწიფო 78

და კოოპერატიული 4,5%), ხოლო 16,7% კი – კერძო სექტორის წილად მოდიოდა.

სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა დააჩქარეს ეკონომიკის აღდგენა. მაგრამ 1923 წ. სსრკ ეკონომიკაში წარმოიშვა სამეურნეო სიძნელეები, რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საქართველოში. ეს ეხება ე.წ. „ფასების მაკრატელს“ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

საქართველოში ფასების დაცილება ამ ორი სახის საქონელს შორის კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსეთში. ამის მიზეზი იყო ის, რომ სამრეწველო საქონლის ძირითადი მასა საქართველოში რუსეთიდან შემოიტანებოდა, რის გამოც სატრანსპორტო ხარჯები კიდევ უფრო ადიდებდა ფასებს. გარდა ამისა, თვით საქართველოს მრეწველობის განვითარების დაბალი დონე, მაღალი თვითღირებულება აძვირებდა პროდუქციას, ხოლო ტრანსპორტის მოშლამ შეასუსტა კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, გლეხობამ შეწყვიტა სამრეწველო საქონლის შეძენა. წარმოიშვა მასალების დეფიციტი, დაბრკოლებები მრეწველობის მუშაობაში და ხელფასის გაცემაში, რამაც მუშათა უკმაყოფილება გამოიწვია. 1923 წ. ოქტომბრისათვის საქართველოში 29 ათასი უმუშევარი იყო.

დირექტიულ ღონისძიებათა შედეგად, მიმდინარეობდა მრეწველობის აღდგენა კერძოდ, 1924 წ. მიღებულ იქნა საქართველოს მსხვილი მრეწველობის წარმოების ომმადელი მოცულობის 60%, 1925 წ. – 86,4%, ხოლო 1926 წ. 1913 წ. დონე გადაჭარბებულ იქნა 28,4%-ით. 1921-1925 წწ. დაიწყო 20-მდე საწარმოს მშენებლობა, რომელთაგანაც ცხრა საწარმო 1925 წლამდე ამოქმედდა.

ნახშირის ამოღებამ საქართველოში 1924-25 წწ. მიაღწია 71,4 ათას ტონას, რაც 2,8%-ით აღემატებოდა 1913 წ. დონეს. 1926-27 წწ. კი 91,1 ათას ტონას მიაღწია და 44,2%-ით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა მანგანუმის მადნის მოპოვება, რამაც 1924 წ. 342,4 ათას ტონას მიაღწია, ე. ი. 2,7-ჯერ გადააჭარბა 1920 წ. მოცულობას. მაგრამ არსებული მაღაროები და გამამდიდრებელი საწარმოები საჭიროებდნენ ტექნიკურ რეკონსტრუქციას. აუცილებელი იყო აგრეთვე ახალ

საწარმოთა მშენებლობა, რაც დიდ თანხებს მოითხოვდა.

1923 წ. მთავრობამ მიიღო დადგენილება ჭიათურის მანგანუმის ნაციონალიზებული საწარმოების მძლავრ სამრეწველო საზოგადოებაზე საკონცესიოდ გადაცემის შესახებ. 1925 წ. 12 ივნისს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება სსრკ მთავრობასა და ამერიკელი ვ.ა. ჰარიმანის ფირმას შორის ამ ფირმისათვის მანგანუმის მრეწველობის 20 წლის ვადით საკონცესიოდ გადაცემის შესახებ.

ამერიკელ მრეწველთა მოღვაწეობა საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში ხანგრძლივი არ ყოფილა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ისინი საბადოებს მტაცებლურ ექსპლუატაციას უწევდნენ, წარმოების ტექნიკურ ბაზას კი არ აუმჯობესებდნენ. მანგანუმის მოპოვებამ 1927 წ. ძლივს მიაღწია ომამდელი მოპოვების 66,4%-ს (727 ათასი ტონა) და ექსპორტის 50%-ს. 1928 წ. ივლისის ბოლოს, იმის გამო, რომ ამერიკელები არ ასრულებდნენ საკონცესიო ხელშეკრულებას, გაუქმდა იგი. საქართველოს სმუს-თან შეიქმნა ტრესტი „ჭიათურმანგანუმი“. აქედან იწყება ამ დარგის აღმავლობა.

აღდგენით პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ლითონდამუშავებამ. მრეწველობის ეს დარგი საქართველოში ძლიერ ჩამორჩებოდა. მისი პროდუქციის 1913 წ. მოცულობა მხოლოდ 1926-27 წწ. იქნა გადაჭარბებული 7%-ით, ხოლო 1927-28 წწ. – 95,6%-ით.

/1922 წ. 10 სექტემბერს საძირკველი ჩაეყარა ინდუსტრიის მსხვილ ობიექტს – ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს (ზაჰესს). მთავრობის მიერ ზაჰესის ასაგებად გამოიყო 750 ათასი მანეთი (ოქროთი). იგი იყო პირველი ელექტროსადგური ამიერკავკასიაში და მეორე საბჭოთა კავშირში ვოლხოვის შემდეგ, ზაჰესი ექსპლოატაციაში გაშვებულ იქნა 1927 წლის 26 ივნისს./

/1924 წ. დაიწყო კიდევ ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა – აწჰესი და აბჰესი (აბაშის ჰესი მწყობრში ჩადგა 1928 წ.)./

1923 წ. საკავშირო მთავრობამ საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა მაუდის ერთი ფაბრიკა, რომელიც მწყობრში ჩადგა 1924 წ. ქუთაისში.

1925-26 წწ. თანაფარდობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის შეიცვალა პროპორციით 73,8:26,2 ნაცვლად 1913 წლის – 90:10-ისა.

მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის აღდგენა. 1922 წლიდან დაიგეგმა ნათესი ფართობების ზრდა და უკვე 1923 წ. მიღწეულ იქნა ომამდელის 87%; ზოგიერთი კულტურების მოსავლიანობამ გადააჭარბა კიდეც ომამდელ დონეს. 1925 წ. გადაჭარბებულ იქნა 1913 წ. დონე არა მხოლოდ მთელი ნათესი ფართობების მიხედვით, არამედ ხორბლის, სიმინდის, ტექნიკური კულტურების, პირუტყვის სულადობის მიხედვითაც (გარდა ცხენებისა), ჩაის პლანტაციების ფართობი 1925 წ. 48%-ით აღემატებოდა 1913 წ. დონეს. მაგრამ ჩამორჩებოდა სხვა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები, კერძოდ, ვენახების ფართობმა 1926 წელს 1913 წლის დონის 74%-ს შეადგინა. ამის მიზეზი იყო ვაზის მწვავე დაავადება – ფილოქსერა.

აღდგენილ იქნა მთელი რიგი ძველი არხები და აიგო ახალი. სახელმწიფო დახმარებას უწევდა სოფელს საწარმოო ძალთა აღგენაში და გლეხურ მეურნეობათა განვითარებაში: 1924-1926 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობას 900 ათასი მანეთის (ოქროთი) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მიეწოდა. მის ბაზაზე მოეწყო ამ მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები და უკვე 1925-26 წწ. 95 პუნქტი არსებობდა.

მიუხედავად ამისა, გლეხურ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის მდგომარეობა მძიმე იყო, მაგალითად, 1923 წ. გლეხურ მეურნეობათა 44,6%-ს არ ყავდა გამწევი ძალა, 54,1%-ს კი სახნავი იარაღი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე მიღწეულ იქნა 1926 წ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ საქართველოში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ვაჭრობა. ეკონომიკური კავშირები, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა, გაწყვეტილი იყო. საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მოშლამ ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო კავშირები ძლიერ შეასუსტა. ქალაქელები სურსათის, გლეხობა კი სამრეწველო ნაწარმის ნაკლებობას განიცდიდნენ.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირის მოწესრიგებისათვის. ფასების პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება და გლეხურ მეურნეობათა საქონლიანობის ზრდა განსაკუთრებით 1923-24 წწ.-დან აჩქარებდა ვაჭრობის განვითარებას. ამასთან ერთად ფართოვდებოდა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა, რომელმაც უპირატესი ადგილი დაიკავა როგორც საბითუმო, ასევე საცალო საქონელბრუნვაში. ვაჭრობის სფეროდან იდევნებოდა კერძო კაპიტალი. 1925-26 წწ. საბითუმო ვაჭრობის 93% სოციალისტური სექტორის (სახელმწიფო – 68% და კოოპერატიული 25%) წილად მოდიოდა, კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონა კი მხოლოდ 7%-ს უდრიდა, თუმცა საცალო საქონლბრუნვაში ეს უკანასკნელი 1/3-ზე მეტს შეადგენდა.

1925 წ. გადაჭარბებულ იქნა ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ომამდელი დონე, თუმცა ტვირთბრუნვის მიხედვით მაინც ჩამორჩებოდა. დაიწყო დანგრეული გზების აღდგენა და ახლის გაყვანა, არსებულის გაფართოება-რეკონსტრუქცია. ფუძეველი ჩაეყარა საავტომობილო მიმოსვლას და გადაზიდვას.

საბჭოთა კავშირში 1922-1924 წწ. ფულის რეფორმისა და საკრედიტო სისტემის შექმნის შედეგად, ძირეულად გაუმჯობესდა საქართველოს ფულის მიმოქცევა და საფინანსო მეურნეობა. ფულის მიმოქცევის რეგულირება დაიწყო სახელმწიფო ბანკმა. შეჩერდა ინფლაციის პროცესი. ვალუტის სტაბილიზაცია ხელს უწყობდა კრედიტის განვითარებას. 1921-1923 წწ. შეიქმნა საბანკო-საკრედიტო სისტემა. 1922 წ. ოქტომბერში გამოშვებულ იქნა პირველი სახელმწიფო სესხი ფულადი ფორმით, რაც შემნახველი სალაროების ქსელის განვითარებასთან ერთად ხელს უწყობდა მოსახლეობიდან ფულადი სახსრების მობილიზაციას და ამის შედეგად სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებას.

ფულად რეფორმასთან ერთად გატარდა საგადასახადო რეფორმაც, 1923 წლის ბოლოდან სამრეწველო საწარმოებმა დაიწყეს მოგების 70%-ის ჩარიცხვა ხაზინაში, რის შედეგადაც ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო გახდა საწარმოების მოგება და არა მოსახლეობიდან გადასახადები. შემოსავლების 50%-ს იძლეოდა არასაგადასახადო შენატანები. ხარჯების ძირითადი ნაწილი მიმართული იყო ეკონომიკის განვითარებასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე.

3. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

დამთავრდა რა სახალხო მეურნეობის აღდგენა, საქართველო ისევე, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირი, 1926 წლიდან შეუდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას, რომელზედაც კურსი აიღო საკ კპ (ბ) XIV ყრილობამ (1925 წ.). ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სსრ კავშირის მანქანების და მოწყობილობების შემომტანიდან მათ მწარმოებელ ქვეყნად გადაქცევა.

ინდუსტრიალიზაცია აუცილებელი იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოშიც, ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, აუცილებელი იყო მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება. 1925-26 წწ. ერთობლივ პროდუქტში მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა 26,2%-ს. პირველი ნაბიჯები საქართველოს ინდუსტრიალიზაციის გზაზე უკვე 1927-1929 წწ. გადაიდგა. ზაჰესის ამუშავების მეორე დღეს დაიწყო უფრო მძლავრი – რიონჰესის (48 ათასი კვტ, ამუშავდა 1934 წ.) მშენებლობა. 1929 წ. საფუძველი ჩაეყარა ტყვარჩელის ქვანახშირით მდიდარი საბადოების ათვისებას.

1928 წ. დაიწყო კახპის ცემენტის, კოდორის ხე-ტყის ქარხნების აგება, ამავე წელს დაიწყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი და მაუდის ფაბრიკების მშენებლობა, რომლებიც 1929 წ. ამუშავდნენ.

1926-1929 წწ. აიგო საწარმოები, სადაც ამუშავებდნენ დიატომიტსა და ანდეზიტს (ახალციხის რაიონში), აგრეთვე ლითოგრაფიულ ქვას, ბარიტსა და გუმბრინს ქუთაისის მახლობ-

ლად. ამუშავდა თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა, მარელისის ავეჯის ფაბრიკა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდებოდა მსუბუქ და კვების მრეწველობაში ძველ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ახალთა მშენებლობისათვის. კერძოდ, მსხვილ საწარმოებად გარდაიქმნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აგებული თბილისის ტყავის №1 და №2 ქარხნები. ამუშავდა ბათუმის და სოხუმის ტყავის ქარხნები, თბილისის №1 და №2 და ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკები.

გაფართოვდა და რეკონსტრუირებულ იქნა თამბაქოს, ღვინის და კონიაკის ქარხნები, აიგო ჩაის ახალი ფაბრიკები და ა.შ. უკვე 1928 წ. საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობამ 25%-ით გადააჭარბა 1913 წ. დონეს. უფრო მაღალი მაჩვენებლები იყო მძიმე მრეწველობაში. ყოველივე ამის შედეგად მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქტში ამაღლდა და 1928-1929 წწ. 36,2% შეადგინა.

მრეწველობას ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობა. 1921 წ. საქართველოში 321 ათასი გლეხური მეურნეობა იყო და მათი რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ ბაზაში დიდი ცვლილებანი არ მომხდარა.

1926 წ. ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევის მასალებით 388480 ინდივიდუალური გლეხური მეურნეობიდან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს მოკლებული იყო 40,8%, სახნავ ინვენტარს – 46,1%, სატრანსპორტო საშუალებებს – 56,8%, ველგვარ პირუტყვს – 12,8%, მუშა პირუტყვს – 37,5%. ამ წელს რესპუბლიკის გლეხურ მეურნეობებში ჰქონდათ სულ 163 ათასი კავი, 7 ათასი ხის გუთანი, 18 ათასი რკინის გუთანი, 55 ათასი ხის და 3 ათასი რკინის ფარცხი.

წვრილგლეხურ მეურნეობებში მანქანა-იარაღებს ვერ იყენებდნენ, შრომის პრიმიტიული იარაღების გამოყენებით კი შრომის ნაყოფიერება არ იზრდებოდა. 1927-28 წწ. ნათესი ფართობები 1913 წ. შედარებით 6,1%-ით გაიზარდა, მოსავლიანობა კი დაბალი იყო. სკკპ (ბ) XV ყრილობაზე (1927 წ.) გადაწყდა, რომ საჭირო იყო კოლექტივიზაციის განხორციელება, წვრილგლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლექტიურ მეურნეობებზე.

ჯერ კიდევ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებამდე, სოფლის მეურნეობაში ცენტრალურ ფიგურად იქცა საშუალო გლეხი. 1927-28 წწ. მის წილად მოდიოდა ყველა გლეხურ მეურნეობათა 62,5% (შემოსავლის 68,3%), ღარიბების – 32,1% (შემოსავლის 10,1%), კულაკების 5% (მთელის შემოსავლის 21,6%).

კოლექტივიზაციის პროცესი მიმდინარეობდა საკმაოდ მტკივნეულად, იძულებითა და მდიდარ გლეხთა, ე.წ. კულაკთა ექსპროპრიაციის, ქონების იძულებით ჩამორთვის გზით. აღმოცენდა პირველი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებიც. 1928 წ. დასაწყისში იყო 31 კოლექტიური მეურნეობა. ამავე წლის 1 მაისისათვის – 271, რომელშიც გაერთიანებული იყო 3574 გლეხური კომლი, ანუ გლეხური მეურნეობების მხოლოდ 0,9%. მათ წილად მოდიოდა სახნავის 0,3%. ჯერ კიდევ მცირე ზომის იყო კოლმეურნეობები, მათი ტექნიკური შეიარაღება კი დაბალი. ამ პერიოდში სოფლად სულ 300-მდე ტრაქტორი თუ მუშაობდა.

4. საქართველოს ეკონომიკა ომამდელ ხუთწლედებში

ეკონომიკის აღდგენის დამთავრებამ და სახელმწიფო სექტორის გაფართოვებამ შექმნა მეურნეობის ყოველწლიური დაგეგმვიდან პერსპექტიულ დაგეგმვაზე გადასვლის პირობები.

საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობამ (1929 წ.) განიხილა და მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა თანხა განისაზღვრა 664613 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 6-ჯერ აღემატებოდა მის წინა პერიოდში გაწეულ კაპიტალურ დაბანდებებს. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა 84% ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგებაზე მოდიოდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,5-ჯერ უნდა გადიდებულიყო.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით გეგმა ითვალისწინებდა პირველ რიგში მრეწველო-

ბის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მანგანუმის მადნის მოპოვება და ფეროშენადნობთა წარმოება, ტყის ბულისა და ტყვარჩელის ნახშირის საბადოთა დამუშავება, შირაქის ნავთობის სარეწის მოწყობა და სხვა, საბადოთა ძიება, ელექტრიფიკაციისათვის ჰიდროენერგორესურსების გამოვენება, ქიმიური მრეწველობის შექმნა და სხვ.

პირველ ხუთწლედში მიმდინარეობდა მშენებლობა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში; მთლიანად პირველ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო საშუალოდ საბჭოთა კავშირში – 2-ჯერ.

მიმდინარეობდა რიონჰესის, აჭარის წყლის ჰესისა და ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობა. ამ ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავება 42 მლნ კვტ/საათიდან 120 მლნ კვტ/საათამდე გაიზარდა, ე.ი. თითქმის 2,9-ჯერ.

პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა, მხოლოდ საძიებო სამუშაოთა ჩატარებას, საქართველოში ნავთობის საბადოთა გამოსავლენად. ფაქტიურად, ამ პერიოდში რამდენიმე ათეული ჭაბურღილი აიგო შირაქსა და მირზაანში, ხოლო ბათუმში განლაგდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც საექსპორტო ნავთს იძლეოდა.

მნიშვნელოვანი იყო ნახშირის მრეწველობის ზრდა, მისი ამოღება 1928-1932 წწ. 85 ათასი ტონიდან 205 ათას ტონამდე გაიზარდა, ე.ი. 2,4-ჯერ და მეტად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მანგანუმის მადნის მოპოვებას, რომელიც 1928-1932 წწ. 172 ათ. ტონიდან 389 ათ. ტონამდე ანუ 2,2-ჯერ გაიზარდა. მანგანუმის წარმოების ბაზაზე ზესტაფონში აიგო საკავშირო მნიშვნელობის ფეროშენადნობების ქარხანა. 1931 წ. მწყობრში ჩადგა კასპის ცემენტის ქარხანა, რომელმაც უკვე 1932 წ. 133 ათ. ტონა ცემენტი გამოუშვა.

პირველ ხუთწლედში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საქართველოს მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ. მათ გამოუშვეს აბრეშუმისა და ჩაის მეურნეობისათვის განკუთვნილი მანქანა-მოწყობილობანი. 1932 წ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ დაიწყო ღვინის წარმოებისათვის საჭირო საკმაოდ რთული

მოწყობილობის წარმოება. შეიქმნა ლითონკონსტრუქციების ქარხანა, რომელიც ამზადებდა ანძებს ელექტროგადამცემი ხაზებისათვის, ცისტერნებს, ხიდებისა და წყალსადენების კონსტრუქციებს და სხვ.

მძიმე მრეწველობის დარგებთან ერთად ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობაც. შალის ქსოვილების წარმოება ხუთწლედში 10-ჯერ გაიზარდა, აბრეშუმის ქსოვილებისა – 26,6-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლის წარმოება – 8,5-ჯერ. აღმოცენდა შაქრის მრეწველობა, კონსერვების წარმოება გაიზარდა 4,8-ჯერ და ა. შ.

შეიქმნა პირობები საქართველოს აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევისათვის. 1932 წ. თანაფარდობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის მათ ერთობლივ პროდუქტში უდრიდა 58,4 : 41,6 მრეწველობის სასარგებლოდ ნაცვლად 1928-29 წწ.-ის 36,2 : 63,8-სა. შეიქმნა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველი.

სოფლის მეურნეობის განვითარება ხასიათდებოდა უწინარეს ყოვლისა მისი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლით და საკოლმეურნეო წყობილების დამყარებით.

1929 წ. გაიშალა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, საშუალო გლეხობაც ერთიანდებოდა კოლმეურნეობებში. 1932 წელს საქართველოში იყო 3425 კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანებული იყო 165671 ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა ანუ გლეხურ მეურნეობათა 36,1%, 1933 წელს – 3481 კოლმეურნეობა 179389 გლეხური კომლით. 1933 წელს საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 51 გლეხური კომლი ნაცვლად 1928 წ. 15-ისა და 79,6 ჰა მიწა ნაცვლად 1928 წ. 9,2 ჰა, კოლმეურნეობათა ნათესებმა შეადგინა ყველა ნათესი ფართობების 31,4%

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა (მტს). პირველად ისინი საქართველოში 1929 წ. დაარსდა და მათი რაოდენობა იყო 3. 1933 წ. 31 მტს-ში მოქმედებდა 635 ტრაქტორი. ისინი ემსახურებოდნენ 3481-დან 1398 კოლმეურნეობას, ანუ კოლმეურნეობათა 40,1%-ს.

ნათესი ფართობები პირველ ხუთწლედში 793,1 ათას ჰა-დან 999,4 ათას ჰა-მდე ანუ 26%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში განსაკუთრე-

ბით გაიზარდა ტექნიკური კულტურების ფართობები 26,5 ათასი ჰა-დან 99,9 ათას ჰა-მდე ანუ 3,7-ჯერ და მეტად. მარცვლეულისა და პარკოსანთა ფართობები კი გაიზარდა 87 ათასი ჰა-თი.

ვენახების ფართობი 1932 წ. იყო 35,7 ათასი ჰა ნაცვლად 1928 წ. 35,4 ათასისა, ხეხილისა კი 39,2 ათასი ჰა ნაცვლად 16,6 ათასისა. ციტრუსების პლანტაციების ფართობი იმავე პერიოდში 800-დან 2 ათას ჰა-მდე, ჩაისა კი – 9,5 ათასიდან 25,5 ათას ჰა-მდე გაიზარდა.

კოლმეურნეობებში შეიქმნა მეცხოველეობის ფერმები. 1932 წელს იყო 262 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, 142 მეცხვარეობის, 28 მეფრინველეობის, 181 მეფუტკრეობის ფერმა. მაგრამ პირუტყვის ზოგიერთ სახეობათა სულადობის ზრდის გეგმა ვერ შესრულდა. ეს აიხსნება იმით, რომ გლეხობის ნაწილმა, საკუთარი პირუტყვის კოლექტივისათვის იძულებით გადაცემას მისი განადგურება არჩია.

ამ პერიოდში ვითარდებოდა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და ა.შ.

1928 წ. დაიწყო სურამის უღელტეხილის რკინიგზის ელექტრიფიკაციის სამუშაოები და 1932 წ. მწყობრში ჩადგა საბჭოთა კავშირში პირველი ელექტრიფიცირებული 63 კმ სიგრძის ზესტაფონი-ხაშურის მაგისტრალური უბანი.

ვაჭრობიდან გამოიდევნა კერძო კაპიტალი. 1932 წ. საცალო საქონელბრუნვაში საზოგადოებრივ სექტორზე მოდიოდა 98,1%, კერძო სექტორზე კი 1,9%

1933-1937 წწ. საბჭოთა კავშირში დაიწყო სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

მეორე ხუთწლედში საქართველოში უნდა დაჩქარებულიყო რიონჰესის, აწჰესის და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურების მშენებლობა. უნდა აეგოთ ახალი საწარმოები: ენგურის ქაღალდის კომბინატი, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა სოხუმში, საშენ-მასალათა წარმოების მრავალი საწარმო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში და სხვ. დაისახა საქართველოს შემდგომი ინდუსტრიული ზრდა და მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დასრულება.

1933-1937 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობაში 330 მლნ. მანეთის კაპიტალური დაბანდება დაიგეგმა, რაც 2,44-ჯერ აღემატებოდა პირველი ხუთწლედის ანალოგიურ მაჩვენებელს. მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებანი ამავე პერიოდში 42 მლნ. მანეთიდან 115,7 მლნ. მანეთამდე იზრდებოდა, სოფლის მეურნეობაში კი – 30 მლნ.-დან 62 მლნ. მანეთამდე.

კაპიტალური დაბანდების ზრდამ 1933-1937 წწ. უზრუნველყო მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების გადიდება 3,8-ჯერ და მეტად.

მთელი სამრეწველო წარმოების მოცულობა მეორე ხუთწლედში გაიზარდა 2,1-ჯერ, ხოლო მისი ზოგიერთი დარგის პროდუქცია უფრო მეტადაც გაიზარდა.

ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში მეორე ხუთწლედში 120 მლნ კვტ/სთ-დან 503 მლნ კვტ/სთ-მდე გაიზარდა, თუმცა გეგმა უფრო მეტს ითვალისწინებდა. დაიწყო რიონჰესის მწყობრში ჩადგომა, რომლის მშენებლობაც შემდეგ ომის გამო შეწყდა, ხოლო ხრამჰესის და სოხუმჰესის მშენებლობა ვერ დასრულდა. მეორე ხუთწლედში ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდის გეგმა ჩავარდა და მხოლოდ 55%-ით შესრულდა. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 1931 წ. აღმოცენებული ელექტროენერგიის დეფიციტი კიდევ ურფო გაძლიერდა.

მრეწველობის ელექტროტევადი დარგების (ფეროშენადნობი წარმოება და სხვ.) და რკინიგზის ტრანსპორტის მიმდინარე ელექტრიფიკაცია მკვეთრად ზრდიდა მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. რესპუბლიკაში ელექტროსადგურების სიმძლავრეთა და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ზრდა ჩამორჩებოდა მოთხოვნებს. მკვეთრად იგრძნობოდა ელექტროენერგიის ნაკლებობა, განსაკუთრებით წყალსიმცირის პერიოდში, რაც აფერხებდა მრეწველობის მუშაობას და ალიმიტებდა მის განვითარებას.

ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში 6 ღუმელიდან მხოლოდ 3 მუშაობდა. იზღუდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება სხვა საწარმოებზე და მოსახლეობაზე.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ნახშირის მრეწველობის ხაზით, ამუშავდა ტყვარჩელის ნახშირის მრეწველობა, სადაც მწყობ-

რში ჩადგა 1,2 მლნ. ტონა ნახშირის მოპოვების სიმძლავრე-ები. უკვე 1937 წლისათვის ტყვარჩელში 157 ათასი ტონა ნახშირი ამოიღეს, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში ნახშირის მოპოვება 1933-1937 წწ. 205ათასი ტონიდან 400 ათას ტონამდე გადიდდა, მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ უზრუნველყო ამიერკავკასიის მზარდი მოთხოვნილება ნახშირზე.

მიმდინარეობდა მანგანუმის მრეწველობის რეკონსტრუქციის სამუშაოები, მადნის მოპოვება 1932-1937 წწ. 389 ათასი ტონიდან 1650 ათას ტონამდე ანუ 4,2-ჯერ და მეტად გაიზარდა, გეგმა კი 1300 ათას ტონამდე გადიდებას ითვალისწინებდა. მეორე ხუთწლედში აღმოცენდა ფეროშენადნობთა წარმოება.

დიდი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს მანქანათმშენებლობის განვითარებაშიც. აიგო მანქანათმშენებლობის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა თბილისის ნავთობსაბურღი მოწყობილობის მანქანათსაშენი (შემდგომში კიროვის სახ. ჩარხმშენებელი), ბათუმის ჩაის მრეწველობის მოწყობილობის, ავჭალის თუჯისა და ფოლადის სხმულის ცენტრალიზებული ქარხნები (ცენტროლიტი). განხორციელდა ძველი მანქანამშენებელი და ლითონდამმუშავებელი ქარხნების რეკონსტრუქცია. 1937 წ. საქართველოში დაიწყო ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება. აღმოცენდა ჩარხმშენებლობა. ჩაის მრეწველობის განვითარებამ მოითხოვა ამ დარგისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება, რაც ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის აგებით გაღაიჭრა. მისი ექსპლოატაცია 1936 წ. დაიწყო.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საშენ-მასალათა წარმოება, კერძოდ, აგურის – თითქმის 2-ჯერ, კრამიტის 219 ათას კვ. მ-დან 906 ათას კვ. მ-მდე. მაგრამ ხუთწლიანი გეგმა უფრო მეტს ითვალისწინებდა, რაც მხოლოდ 76%-ით შესრულდა. საშენმასალებზე მშენებლობის მოთხოვნა უსწრებდა მის მიწოდებას. ამგვარი ვითარება აფერხებდა მშენებლობას.

მეორე ხუთწლედში აიგო და ამუშავდა ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა თბილისში, ბიტუმის ქარხანა ნატანებში, ბათუმის კოფეინის ქარხანა – ერთადერთი კავშირში. თბილისის ქიმიურმა კომბინატმა გაზარდა ლაქ-საღებავების წარმოება. 1936 წ. დაიწყო დარიშხანის საბადოს ექსპლოატაცია ამბროლაურის რაიონში. ამოქმედდა წნელისის ტალკის ქარხანა.

მძიმე მრეწველობის შემდგომ აღმავლობასთან ერთად მოხდა მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი ზრდაც. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 2.1-ჯერ, ხოლო კვების მრეწველობისა – 2,5-ჯერ და მეტად.

კიდევ უფრო განვითარდა სოფლის მეურნეობა, გაიზარდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების რაოდენობა და მათი ტექნიკური აღჭურვილობა.

მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს გლეხურ მეურნეობათ 76,5% კოლმეურნეობაში იყო გაერთიანებული.

საქართველოში უპირატესად უნდა განვითარებულიყო ტექნიკური კულტურების მეურნეობა, მებაღეობა და მევენახეობა, აგრეთვე მებოსტნეობა, პროდუქტიული მესაქონლეობა და მარცვლეული კულტურების მეურნეობა. ეს კი მოითხოვდა ნათესი ფართობის გაზრდას.

1937 წლისთვის ნათესი ფართობები 1016,8 ათას ჰა-მდე გაიზარდა ნაცვლად 1932 წლის 851 ათასი ჰა-ს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები: ვაზის 35,7 ათასი ჰა-დან 45 ათას ჰა-მდე, ხეხილის ბაღეების – 39,2 ათასიდან 59,7 ათას ჰა-მდე, ციტრუსების – 2 ათას ჰა-დან 5,7 ათას ჰა-მდე, ჩაის 25,5 ათას ჰა-დან 41,7 ათას ჰა-მდე და ა.შ. ხოლო ჩაის ფოთლის წარმოება იმავე პერიოდში 1609,3 ტონიდან 27311,6 ტონამდე გაიზარდა.

საქართველოში გაფართოვდა მტს-ების მშენებლობა. მათი რაოდენობა 1933 წელს იყო 31, 1937 წელს კი – 45. მტს-ების ტექნიკური აღჭურვილობის დახასიათებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ განკარგულებაში 1933 წ. იყო 635, ხოლო 1935 წ. – 1954 ტრაქტორი.

1935 წ. გამოყენებული იყო 46 უცხოური მარკის ტრაქტორი, 1936 წ. – 73, 1937 წ. – 67, 1939 წ. – 12 ერთეული.

გაიზარდა აგრეთვე მტს-ების ძირითად საშუალებათა დირებულება, რომლებიც 1933 წ. – 7,3, ხოლო 1937 წ. – 32,8 მლნ მანეთი იყო.

ინტენსიურად მიმდინარეობდა კოლხეთის დაბლობის ჭაობების ამოშრობის სამუშაოები. ყველაზე დიდი სამუშაო, რომელიც საქართველოში არსებული ჭაობების ამოსაშრობად შესრულდა, კოლხეთის სამუშაოები იყო, რომელიც 1925 წ. და-

იწყო, მაგრამ ფართოდ გაიშალა მხოლოდ 1932 წლიდან. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, რომ კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებზე 1925-1932 წწ. დაიხარჯა 4300 ათასი მანეთი, 1932 წლიდან 1935 წლამდე – 29 მლნ მანეთი. მეორე ხუთწლედში ამ მიმართულებით დაიხარჯა 67,6 მლნ მანეთი.

ქვეყანაში ინდუსტრიულ მშენებლობას თან ახლდა ტრანსპორტის ქსელის განვითარება და გაფართოება; მნიშვნელოვნად გაიზარდა რკინიგზის სიგრძე. 1934 წელს ელექტრიფიცირებული რკინიგზების ტვირთბრუნვა შეადგენდა 593 მლნ. ტონაკილომეტრს.

1931 წლიდან საქართველოში დაიწყო ავტოტრანსპორტის განვითარება. დამყარდა ავიაკავშირი მოსკოვთან და სსრ კავშირის სხვა ქალაქებთან, საქართველოს მრავალ ქალაქთან და რაიონულ ცენტრთან.

ინდუსტრიული კერები იქმნებოდა საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ერთეულებში: აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გადიდდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების რაოდენობა.

1936 წ. დეკემბერში სსრ კავშირში ჩატარდა საგანგებო VIII ყრილობა. ყრილობაზე მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ საბოლოოდ დააკანონა ქვეყანაში რეალურად არსებული სოციალისტური ზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება და მისი ძირითადი პრინციპები.

ამ დროისათვის საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში წარმოების სოციალისტური სისტემა დამკვიდრებული იყო ეკონომიკის ყველა დარგში.

1936 წლის სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც 14 წლის მანძილზე (1922-1936 წწ.) არსებობდა. ამ გადაწყვეტილებით აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ჩამოართვეს ფედერალური უფლებებიც კი და მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსით უშუალოდ სსრკ-ს დაუქვემდებარეს.

1937 წ. 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საგანგებო VIII ყრილობამ სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, სადაც აისახა

არსებული სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობის რეალობა და დაკანონდა საქართველოს სსრ-ს პოლიტიკური თვითმყოფადობა, რომელიც რა თქმა უნდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

1938-1942 წწ. მიღებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც 1941 წ. 22 ივნისამდე მშვიდობიან ვითარებაში ხორციელდებოდა. ამ პერიოდში საქართველოში შენდებოდა ახალი ინდუსტრიული საწარმოები, ზოგი მათგანის აგება დასრულდა და მწყობრშიც ჩადგა. მათ შორის იყო ახალი მძლავრი მადაროები ტყიბულსა და გელათში, ზაჰესის უკანასკნელი აგრეგატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი, ჩაის ახალი ფაბრიკები და სხვ. მიმდინარეობდა ახალი მადაროების, ხრამჰესის და სხვათა მშენებლობა. უნდა დაწყებულიყო მეტალურგიული ქარხნის აგება. მთლიანად 1938-1940 წწ. საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების მოცულობა 1/3-ით გადიდდა და 1913 წ. დონეს 10,2-ჯერ გადააჭარბა.

1940 წ. კოლმეურნეობებში იყო გაერთიანებული საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 94,1% და მათ წილად მოდიოდა ნათესი ფართობების 99%. 1940 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 3172 ტრაქტორი, 532 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

1938-1940 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 2057,4 მლნ მანეთი, რაც დიდად აღემატებოდა წინა ხუთწლედის შესაბამის დაბანდებათა მოცულობას. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 33%-ით.

1940 წლისთვის საქართველოს მრეწველობის მთელ პროდუქციაში კერძო სექტორის წილი 0-ს გაუტოლდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის წილად მხოლოდ 1% მოდიოდა. 1941 წლის დასაწყისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანეს გლეხურ მეურნეობათა 95%.

მესამე ხუთწლედის პირველი ორი წელი წარმატებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის. 1940 წელს საქართველოში იყო 48 მილიონერი კოლმეურნეობა. საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება 1932 წელს შეადგენდა 81 მლნ. მანეთს, ხოლო 1940 წელს 8055 მლნ. მა-

ნეთს. ამ წლებში გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები – 52,6 მლნ. მანეთიდან 762,3 მლნ. მანეთამდე, კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი – 46 მლნ. მანეთიდან 519 მლნ. მანეთამდე. გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა, გაიზარდა მათი ფულადი და ნატურალური შემოსავალი. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 1937 წლიდან 1939 წლამდე გაიზარდა 15%-ით, ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე – 37%-ით და ა.შ.

20 წლის მანძილზე მსოფლიო ომებშორის პერიოდში საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრავალი მსხვილი საწარმო. მსხვილ საწარმოთა მთლიანმა პროდუქციამ 1940 წელს 1913 წლის დონეს თითქმის 27-ჯერ გადააჭარბა. ეს ზრდა უზრუნველყოფილი იყო ახლად აშენებული, ან მთლიანად რეკონსტრუირებული საწარმოების მიერ. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობთა, კონსერვების, ტრიკოტაჟის, ქიმიურ-ფარმაცევტულ ნაკეთობათა, შამპანური ღვინის წარმოება; წარმოიშვა ახალი ინდუსტრიული რაიონები.

1939 წელს საქართველოს მსხვილ საწარმოთა შრომის ნაყოფიერება 1927-1928 წწ.-თან შედარებით 3,6-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა.

ინდუსტრიულმა მშენებლობამ მოითხოვა სატრანსპორტო ქსელის გაფართოება. რკინიგზის სიგრძე 1940 წლისათვის 1913 წელთან შედარებით 60%-ით გაიზარდა. მოხდა რკინიგზის ტექნიკური გადაიარაღება და ელექტრიფიკაცია. 1940 წლისათვის ელექტრიფიცირებული იყო 275 კმ რკინიგზა. 1934 წელს ელექტრიფიცირებული რკინიგზის წილად მოდიოდა ტვირთბრუნვა 593 მლნ. ტონაკილომეტრის ოდენობით, 1940 წელს ამ ტვირთბრუნვამ 2817 მლნ ტონაკილომეტრს მიაღწია. რესპუბლიკის ელექტრიფიცირებულ რკინიგზას ელმავლები მიეწოდებოდა რუსეთის სფსრ-დან. ვითარდებოდა საავტომობილო ტრანსპორტი. 1940 წელს ავტომობილების რაოდენობა 1928 წელთან შედარებით 16-ჯერ გაიზარდა, აქედან, სატვირთო მანქანებისა – 35-ჯერ.

საავტომობილო გზებმა ერთმანეთს დაუკავშირა მაღალმთიანი რაიონები, რომლებიც წინათ უგზოობის გამო მოწყვეტილნი იყვნენ ქალაქებს. მაღალმთიან კურორტებთან მიყვანილ იქნა საავტომობილო გზები.

სოფლად ტექნიკის დანერგვა მოითხოვდა შესაბამისი კადრების მომზადებას. ომამდელი სამი ხუთწლედის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 3768 აგრონომი და სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი, 901 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, მტს-ები ივსებოდა ტარქტორისტების, კომბაინერების, მძღოლების და მექანიკოსების კვალიფიციურ კადრებით, რომელთა რაოდენობა 1940 წლისათვის იყო 3600 კაცი.

სოფელში შენდებოდა კლუბები, სკოლები, საბავშვო ბაღები, რადიოკვანძები და სხვ. კულტურულ-საყოფაცხოვრებო კერები.

განვითარდა სოფლის მეურნეობის ახალი დარგები. საქართველო გადაიქცა სუბტროპიკული კულტურების და ჩაის წარმოების, მაღალგანვითარებული მეღვინეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის წამყვან ქვეყნად.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1940 წელს 1923 წელთან შედარებით 49-ჯერ გადიდდა, ხოლო ციტრუსებით გაშენებული ფართობი 1932 წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა. საკმაო ფართობზე შენდებოდა ეთერზეთოვანი კულტურები, დაფნა, ბამბუკი, ხურმა და სხვ. სუბტროპიკული კულტურები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ვენახის, ხეხილის და ტექნიკური კულტურების ფართობი. 1940 წელს ამ კულტურების ფართობი 6,5-ჯერ აღემატებოდა 1923 წლის დონეს. ამავე პერიოდში ნათესების საერთო ფართობი რესპუბლიკაში თითქმის გაორმაგდა.

ომამდელ ხუთწლედში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საქართველოსა და რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შორის.

ომამდელ ხუთწლედებში საქართველოში შეიქმნა და განვითარდა ქვანახშირის მოპოვების მეორე რაიონი – ტყვარჩელი. ქვანახშირის მრეწველობაში საწარმოო პროცესების მექანიზაცია შესაძლებლობას იძლეოდა გაზრდილიყო ქვანახშირის მოპოვება.

ს. ხალხო მეურნეობას დიდძალი მანგანუმი სჭირდებოდა. მას სხვადასხვა შენადნობების სახით იყენებდნენ მეტალურგიულ წარმოებაში, მაღალხარისხიანი ფოლადის მისაღებად, ასევე გამოიყენებოდა ქიმიურ და ელექტროტექნიკურ მრეწ-

ველობაში, იოდის, საღებავების, მანგანუმის პრეპარატების და სხვათა წარმოებისათვის. ჭიათურის მანგანუმი მთელ მსოფლიოში გამოირჩევა საუკეთესო ხარისხით. საერთო მარაგით მას მეორე ადგილი უკავია (ნიკოპოლის შემდეგ).

ჭიათურის მანგანუმის მოპოვების ზრდას მნიშვნელოვანწილად აფერხებდა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. აქ მხოლოდ 1957 წელს მწყობრში ჩადგა ფართოლიანდაგიანი ელექტრიფიცირებული რკინიგზა, რამაც ხელი შეუწყო მანგანუმის მოპოვების შემდგომ განვითარებას.

ომამდელ ხუთწლედებში საქართველოში შეიქმნა შავი მეტალურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა – ფეროშენადნობთა წარმოება (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც 1933 წელს ამუშავდა), მაგრამ სხვა სახეობის შავ ლითონთა წარმოება (თუ არ ჩავთვლით ფოლადს, რომლის ჩამოსხმა 1940 წ. 200 ტონას არ აღემატებოდა), რესპუბლიკაში არ არსებობდა.

ომამდე საქართველოს ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილი იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული, ქუთაისის ლითოფონის, ბათუმის კოფეინის ქარხნებით და რამდენიმე წვრილი, სხვადასხვა მინერალური საღებავის საწარმოთი.

1937-1938 წწ. ზემო სვანეთის ტყის რესურსების ბაზაზე ზუგდიდში აშენდა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი.

საამშენებლო მასალათა მრეწველობის ზრდა სამუშაოთა მასშტაბებით განისაზღვრებოდა. საკმაო რაოდენობით მოიპოვებდნენ ძვირფას საშენ მასალებსა და მოსაპირკეთებელ ქვებს. რესპუბლიკაში მუშაობდა ცემენტის, აგურის, კირის, კრამიტის მრავალი საწარმო.

საქართველოში არამადნეული ნედლეულის საფუძველზე მუშაობდა მინის, ფაიფურის, კერამიკული ნაწარმის, სხვადასხვა ცეცხლგამძლე ნაკეთობათა და სხვა ქარხნები.

მიუხედავად საამშენებლო მასალათა მრეწველობის ზრდისა ომამდელ ხუთწლედებში მისი პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს მშენებლობის მოთხოვნილებებს.

საქართველოში საგრძნობლად მაღალი იყო მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა, რომლის ძირითადი დარგები შექმნილი იყო რევოლუციამდე.

წარმოების მოცულობით პირველი ადგილი ეკავა კვების მრეწველობას. განვითარდა ჩაის, ღვინის, თამბაქოს, კონსერვების, ეთერზეთოვანი და ცხიმების წარმოება.

დიდი ყურადღება ექცეოდა კოლხეთის დაჭაობებული მიწების ამოშრობას და მის სავარგულებად გადაქცევას.

პირველ და მეორე ხუთწლედებში კოლხეთის დაბლობზე ამოაშრეს 17 ათასი ჰა ფართობი, ხოლო მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 40 ათასი ჰა-ს ამოშრობა, რაც დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ვერ შესრულდა.

1940 წლის ბოლოს საქართველოში 242 ათას ჰა მიწის ფართობი ირწყვებოდა. აგებული იყო მაშველის (12 ათ. ჰა), ტირიფონის (26,6 ათ. ჰა.), ალაზნის (33 ათ. ჰა), სალთვისის (18 ათ. ჰა) სარწყავი სისტემები. ომის დაწყებამ მათი მშენებლობაც შეაჩერა.

1928-1938 წლებში საქართველოს სსრ-ში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი გადიდდა 14,5-ჯერ, ხოლო საშუალო წლიური ხელფასი 4,7-ჯერ. შემოსავლის გადიდება ხელს უწყობდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ზრდას, გაუმჯობესდა მათი ცხოვრების პირობებიც.

ხალხის მატერიალური, საყოფაცხოვრებო პირობების და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა, გაიზარდა შობადობა და შესაბამისად მოსახლეობის რაოდენობა, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში.

სსრ კავშირი ზოგადად და საქართველოს სსრ ეკონომიკური განვითარების მხრივ კვლავ დაბალ დონეზე იმყოფებოდა მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად გაიზარდა წარმოების მოცულობა და მაღალი იყო სამრეწველო ზრდის ტემპი. სამრეწველო პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევა და გასწრება, რაც როგორც გამოცდილებამ ნათელყო, შეუძლებელია სახელმწიფო-დირექტიული ეკონომიკის პირობებში, მაშინ, როდესაც წინსვლის მთავარი ფაქტორი – კონკურენცია არ არსებობს.

1941 წელს ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ ქვეყანაში შეაჩერა მშვიდობიანი სამეურნეო განვითარება.

თემა 22. აშშ ეკონომიკური გაძლიერება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ომისშემდგომ ათწლეულში

მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიოს ხალხებს უდიდესი უბედურება მოუტანა. ომის წლებში დაიღუპა 55 მლნ. კაცზე მეტი. საწარმოო ძალების ნგრევამ მიაღწია კოლოსალურ მასშტაბებს. მსოფლიო იმპერიალიზმმა დაკარგა უზარმაზარი ტერიტორიები, მოსახლეობა, გასაღების ბაზრები, ნედლეულის წყაროები, კაპიტალის გატანის სფეროები, სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმები და ა.შ. გარდა ამისა, ომის შემდეგ განვითარების სოციალისტურ გზას დაადგნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნები. ომმა ხელი შეუწყო კოლონიური სისტემის კრიზისს. კოლონიურ სისტემაზე დიდი დარტყმა იყო ჩინეთში რევოლუციის გამარჯვება. სახელმწიფო დამოუკიდებლობა მოიპოვეს ისეთმა ქვეყნებმა როგორიცაა ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა, ეგვიპტე, სირია, სუდანი, ცეილონი, ლიბია და სხვ. რეალურად დადგა კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხი. შეიცვალა ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლოატაციის მეთოდები სახელმწიფო სესხების მიცემით, ე.წ. ტექნიკური დახმარების გაწევით და სხვათა სახით.

მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაზე. ომის დამთავრების შემდეგ აშშ აღმოჩნდა გაცილებით ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე დანარჩენი ქვეყნები. ისარგებლა რა თავისი მოწინააღმდეგეების გერმანიის და იაპონიის განადგურებით, მკაცრშირებების – ინგლისის და საფრანგეთის მკვეთრი დასუსტებით, აშშ-მა მსოფლიოში დაიკავა გაბატონებული პოზიციები. ქვეყ-

ნების დიდი ნაწილი ფინანსურად და ეკონომიკურად აშშ-ზე გახდა დამოკიდებული.

აშშ მეორე მსოფლიო ომში 1941 წ. დეკემბერს ჩაება. ომამდე იგი წარმოადგენდა ყველაზე მდიდარ ქვეყანას. ჯერ კიდევ 1939 წელს იგი მებრძოლ ქვეყნებზე ყიდდა იარაღს. შეადგინეს იარაღის დამზადების ფართო პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის დაიხარჯა ათობით მლრდ დოლარი. 1941 წ. მარტში, აშშ-ის კონგრესმა მიიღო ე.წ. ლენდ-ლიზის კანონი, რომლითაც დაიწყო გერმანიის მოწინააღმდეგე ქვეყნების მომარაგება იარაღით, საბრძოლო მასალებით, სურსათით და სხვა. ომის ბოლომდე აშშ-ის მიერ ლენდ-ლიზით გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნებს მიეწოდათ 46 მლრდ. დოლარის სამხედრო მასალები. მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო აშშ-ის გაძლიერებას და ომისშემდგომ პერიოდში გაბატონებული პოზიციების დაკავებას.

ომის წლებში აშშ-ის ეროვნული შემოსავალი გაორმაგდა, თითქმის ორჯერ გაიზარდა სამრეწველო წარმოება. 1939-1944 წწ. აშშ-ში სწრაფი ტემპით გაიზარდა გემთმშენებლობა, საავიაციო, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა. შეიქმნა ატომური იარაღის მწარმოებელი მრეწველობა. ომის წლებში ატომური ბომბის დამზადებაზე დაიხარჯა 2 მლრდ. დოლარამდე. მასში მონაწილეობდნენ სამრეწველო კომპანიები, რომლებიც ეკუთვნობა მორგანის, დიუპონის და მელონის ფინანსურ ჯგუფებს. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს აშშ-ის მთავრობამ და მთავარსარდლობამ ყოველგვარი საომარი აუცილებლობის გარეშე იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში განახორციელეს ატომური დაბომბვა, რის შედეგადაც დაიღუპა და დასახიჩრდა ასეულ ათასობით ადამიანი.

ისევე, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს, ახლაც უშუალოდ ამერიკის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებანი და არ განუცდია ნგრევა. ადამიანთა დანაკარგებიც შედარებით მცირე იყო (დაღუპულთა რაოდენობა შეადგენდა 229 ათას კაცს).

ომმა ამერიკის მონოპოლიებს მისცა გამდიდრების საშუალება. მათმა მოგებამ 1941-1945 წწ. მიაღწია გიგანტურ თანხას – 116 მლრდ. დოლარს. უზარმაზარი შემოსავლები მიიღეს რკ-

ფელერის, დიუპონის, მორგანის, მელონის და სხვა მთავარმა ფინანსურმა ჯგუფებმა. სამხედრო დანახარჯებმა შეადგინა 175 მლრდ. დოლარი, ხოლო ამერიკის მონოპოლიების წმინდა მოგებამ – 70 მლრდ. დოლარი. 1945 წ. აშშ-ის წილად მოდიოდა მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების 60% ომამდელის 43% ნაცვლად, მსოფლიო ნახშირის მოპოვების 50%, ნავთობის – 64, ფოლადის გამოდნობის – 53, ხორბლის წარმოების – 17 და სიმინდის – 63%. აშშ-მა თავის ხელში თავი მოუყარა ოქროს მარაგის 3/4-ს და კაპიტალისტური მსოფლიო ექსპორტის 40%-ს.

ომმა დააჩქარა აშშ-ის მრეწველობის კონცენტრაციის პროცესი. უმსხვილესი საწარმოების რაოდენობა 10 ათასზე მეტი მუშით გაიზარდა 7-ჯერ. 1939 წ. იყო 49 სამრეწველო საწარმო, 1944 წ. გახდა 344, ხოლო დასაქმებულ მუშათა რაოდენობა გაიზარდა 3,6-ჯერ.

ომმა დააჩქარა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესი. წარმოების მექანიზაციამ და ქიმიზაციამ სტიმული მისცა მის განვითარებას. გაიზარდა მოთხოვნილება ამქრიკულ სურსათზე, რამაც შესაძლებლობა მისცა ფერმერებს გაეღიდებინათ თავისი შემოსავლები.

აშშ ეკონომიკური უპირატესობა განპირობებული იყო მისი ფინანსური სიძლიერით. 1944 წ. ბრეტონვუდის კონფერენციაზე დაწესდა ოქროს სავალუტო სტანდარტის სისტემა, დოლარს დაეკისრა მსოფლიოს კონვერტირებული ვალუტის როლი. 1 უნცია ოქრო გაუტოლდა 35 დოლარს. დოლარი გახდა ანგარიშსწორების და სარეზერვო ფულის ერთეული, ოქროს თანაბრად იგი გადაიქცა ბანკნოტების ღირებულების გარანტად. ერთდროულად შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რომლებიც მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულნი იყვნენ აშშ-ზე, რომელმაც მათ მისცა თავდაპირველი კაპიტალი.

ომის დამთავრებისთანავე ქვეყნის წინაშე დადგა რეკონვერსიის პრობლემა, ე. ი. ეკონომიკის გადაყვანა საომარიდან მშვიდობიან ყაიდაზე.

აშშ ომიდან გამოვიდა გაძლიერებული, ამიტომ, ომის შემდეგ უკვე 1947 წელს სწრაფად და წარმატებით შეძლო რეკონვერსიის პრობლემის გადაწყვეტა. ეს განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: სახელმწიფოს მართვის კარგი ორგანიზაცია, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების რეკონვერსიის პროგრამა, კერძო მოთხოვნილების სწრაფი ზრდა, ინვესტიციების გაფართოება, მთავრობის ზემოქმედებით ექსპორტის ზრდა, ტექნოლოგიური უპირატესობა და შრომის მაღალი ნაყოფიერება, უდიდესი მოგება შესაძლებლობას აძლევდა ქვეყანას დაეფინანსებინა ახალი კაპიტალდაბანდებანი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

რეკონვერსიამ მოითხოვა სამხედრო დემობილიზაციის გატარება და განსაკუთრებული სამხედრო კონტროლის და რეგულირების სისტემის დემონტაჟი.

ომის დამთავრებისთანავე, 1945 წ. ნოემბერში პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადების შემცირებას 6 მლრდ დოლარით. დაჩქარდა სახელმწიფო სამხედრო ქარხნების და სურსათის მარაგის კერძო ბიზნესზე მიყიდვა. მთავრობის დახმარებით მსხვილმა კორპორაციებმა სამხედრო საწარმოები მოკლე დროში გადაიყვანეს სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებაზე. გაიზარდა ახალ მოწყობილობებზე მოთხოვნილება. წვრილმა და საშუალო მეწარმეებმა შეძლეს ესარგებლათ რეკონვერსიით და ჩაერთვნენ იმ სფეროში, სადაც ისინი ადრე ბიზნესს ვერ გაუწევდნენ კონკურენციას. ანალოგიური სიტუაცია იყო სოფლის მეურნეობაშიც, სადაც 1945-1947 წწ. შენარჩუნდა ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა.

1946 წ მიიღეს კანონი დასაქმების შესახებ, რომლითაც სახელმწიფოს ოფიციალურად დაეკისრა პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე. მას უნდა უზრუნველეყო მაქსიმალური დასაქმება, წარმოება და მსყიდველობითუნარიანობა. კანონით პრეზიდენტთან შეიქმნა ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისათვის და ყოველწლიურად მოხსენება ჩაებარებინა პრეზიდენტისათვის, ხოლო პრეზიდენტი თავის მხრივ წარუდგენდა კონგრესს. მოხსენებებში თამამდევრობით უნდა ყოფილიყო გადმოცემული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და რეკომენდაციები, რო-

გორც სახელმწიფო ორგანოებისათვის, ასევე კერძო მეწარმეებისათვის. ამ მასალების შესასწავლად და აუცილებელი საკანონმდებლო წინადადებების შესადგენად კონგრესმა შექმნა გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტი.

რეკონვერსიის ერთერთ პრობლემას წარმოადგენდა სწრაფად მზარდი ინფლაცია, რაც გამოიწვია ფასების ზრდამ. ფასების ზრდა კი გამოიწვია 1946 წ ფასებზე და ხელფასებზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებამ.

1948 წ. აშშ-ში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. უკვე 1949 წ. სამრეწველო წარმოება შემცირდა 6%-ით. უმუშევართა რაოდენობა 2 მლნ.-დან 3,4 მლნ-მდე გაიზარდა, რაც შეადგენდა სამუშაო ძალის 5,5%. კრიზისმა თითქმის ყველა დარგი მოიცვა და 11 თვეს გაგრძელდა. განსაკუთრებით ძლიერ შემცირდა ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, სატვირთო ავტომობილებისა და საფეიქრო ნაწარმის გამოშვება და ა.შ. შემცირდა მშენებლობის მოცულობა და კაპიტალდაბანდებანი ეკონომიკაში.

დაწყებული კრიზისის აღკვეთის მიზნით ტრუმენმა წამოაყენა რეფორმების პროექტი, რომელმაც მიიღო „სამართლიანი კურსის“ სახელწოდება. ზოგიერთი მათგანი გატარდა ცხოვრებაში. მაგ.: გაიზარდა ხელფასის მინიმუმი საათში 40-დან 75 ცენტამდე, სადაზღვევო დახმარებები, საპენსიო უზრუნველყოფა, რომელიც დამატებით 10 მლნ. კაცს შეეხო, მიიღო კონონი დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის 6 წლის მანძილზე 800 ათასი ბინის მშენებლობის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის პოლიტიკამ მიიღო ნეოკოლონიური მიმართულება. მათ ეკონომიკური დახმარების ნიღბით დაიწყეს ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილება. 1947 წ. მარტში საქვეყნოდ გამოცხადდა ე.წ. „ტრუმენის დოქტრინა“. ამერიკა საბერძნეთისა და თურქეთისადმი სამხედრო-ეკონომიკური დახმარების საბაბით, დაეხმარა რეაქციულ-ფაშისტურ ხელისუფლებას დაეთრგუნა სახალხო მოძრაობა ამ ქვეყნებში, რის შედეგადაც მან განიმტკიცა ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები ახლო და შუა აღმოსავლეთში.

1947 წ. აშშ-ის მთავრობამ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენის მიზნით წამოაყენა „მარშალის

გეგმა“, რითაც ფაქტიურად ამ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების ნიადაგი შექმნა. ამ გეგმაში მონაწილეობას დათანხმდა 16 ევროპული ქვეყანა, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, დასავლეთ გერმანია და ა.შ. აშშ-მა გადალახა დასავლეთ ევროპის ქვეყნების საბაჟო ბარიერები და ეს ქვეყნების გადააქცია ამერიკის სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად. აშშ ამუხრუჭებდა ამ ქვეყნების ეროვნული მრეწველობის აღდგენას და განვითარებას. „მარშალის გეგმის“ არსებობის 4 წელიწადში აშშ-ის კონგრესმა ამ მიზნით გამოყო 13 მლრდ. დოლარი. ამ კრედიტების რაციონალურ გამოყენებას შეეძლო აღედგინა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა, მაგრამ ამერიკის მონოპოლისტები ისწრაფოდნენ დასავლეთ ევროპაში პირველ რიგში გაესაღებინათ მზა პროდუქციის მარაგი. „მარშალის გეგმით“ გაცემული 4,7 მლრდ. დოლარზე მეტი, ანუ 44% მოდიოდა ხორბლის, ფქვილის, ბამბის, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, თამბაქოს, შაქრის, ნახშირის ნაწარმზე, თითქმის 700 მლნ. დოლარი – საოკეანო ფრახტის გადახდაზე, ხოლო მანქანების და მოწყობილობების მიწოდებამ შეადგინა 1,3 მლრდ. დოლარი, ანუ კრედიტის საერთო თანხის 11,8%. „მარშალის გეგმით“ აშშ გათავისუფლდა იმ ჭარბი პროდუქციისაგან, რომელიც აღარ საღდებოდა ქვეყნის შიგნით, ამასთან შეძლო ინვესტიციების გაზრდა ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში.

აშშ-მა 1949 წ. დაიწყო ე.წ. „სუსტად განვითარებულ ქვეყნებისადმი დახმარების პროგრამის“ განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა აშშ-ის მონოპოლიების მიერ აღნიშნული ქვეყნების ხარჯზე ბაზრის გაფართოებას. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა მათ აარიდებდა ჭარბწარმოების კრიზისის განვითარებას.

მომდევნო პერიოდში, 1952 წლიდან, შემუშავდა „ეიზენჰაუერ–დალესის დოქტრინა“, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ და საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ აქცევდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. დაიწყო ხელახალი შეიარაღების პროცესი და „ცივი ომი“. აღსანიშნავია აგ-

რესია ეგვიპტეში, ინტერვენცია ლიბანსა და იორდანიაში, სამხედრო პროვოკაციები კორეასა და კუბაში.

ამასთან ერთად, ეიზენჰაუერის მთავრობა ქვეყნის შიგნით სოციალურ სფეროში ახორციელებდა რეფორმებს. მიღებულ იქნა ფართომასშტაბიანი საგზაო და ბინათმშენებლობის პროგრამა, რომლის შესაბამისად 1960 წ. გაიყვანეს 7,5 ათასი მილის სიგრძის შარაგზა. 1955 წ. მიიღეს კანონი 45 ათასი ბინის და სხვა ნაგებობათა მშენებლობის შესახებ ნაკლებშემოსავლიანი ოჯახებისათვის.

1961 წლის აგვისტოდან აშშ-მა დაიწყო ლათინური ამერიკის ქვეყნების „დახმარება“ სახელწოდებით „კავშირი პროგრესისათვის“, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამ პროგრამას შეარქვეს „კავშირი აგრესიისათვის“.

1950 წ იანვარში კორეასთან დაწყებულმა ომმა სტიმული მისცა ამერიკის ეკონომიკას. ამავე წლის სექტემბერში მიიღეს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, რომლითაც ფედერალური მთავრობა უფლებამოსილი იყო ჩარეულიყო ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში. იგი პრეზიდენტს აძლევდა უფლებას თავად მოეგვარებინა სამრეწველო პრობლემები, გაენაწილებინა რესურსები, ეშენებინა ახალი ქარხნები, სამხედრო წარმოების ფასახალისებლად კერძო კაპიტალისათვის მიეცა საგადასახადო შეღავათები, დაწესებინა კონტროლი ფასებსა და ხელფასებზე. 1950 წ დეკემბერში კორეასთან ომის პირველსავე წელს ქვეყანაში შეიქმნა განაკუთრებული მდგომარეობა, შეიარაღებულ ძალების რაოდენობა გაიზარდა 2-ჯერ, სამხედრო თვითმფრინავების – 5-ჯერ, ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების და სხვ. – 4,5-ჯერ. ატომური იარაღის წარმოებისა და თერმობირთვული იარაღის შექმნისათვის ხარჯებმა 1952-1953 წწ. შეადგინა 5 მლრდ. დოლარი, რაც 3-ჯერ აღემატებოდა წინა წლებში გაწეულ ანალოგიურ ხარჯებს.

ომის წლებში აშშ-ის მრეწველობაში ინვესტიციებმა შეადგინა 30 მლრდ. დოლარი, ე.ი. მეტი, ვიდრე მთლიანად მეორე მსოფლიო ომში. გაიზარდა სამრეწველო საწარმოების და მოწყობილობების ამორტიზაცია. მონოპოლიების საკუთრებაში გადავიდა 2,5-ჯერ მეტი საწარმო, ვიდრე პირველ ომის-

შემდგომ წლებში. ამავდროულად სახელმწიფო სახსრების საფუძველზე შენდებოდა შერეული ტიპის ახალი ქარხნები, საიდაც იწარმოებოდა სამხედრო და სამოქალაქო საქონელი. კორეასთან ომში აშშ-მა განიცადა მარცხი, დაიღუპა 54 ათასი და დაიჭრა 103 ათასი კაცი. ომის პერიოდში სამხედრო შეკვეთების საერთო თანხამ 151 მლრდ. დოლარს მიაღწია. დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენდა მზარდი გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადები შეადგენდა შემოსავლების 90%-ს. ამ ომში გაიზარდა კორპორაციების შემოსავლები და ერთნახევარჯერ მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წლებში. 1952 წ. არჩევნებით პრეზიდენტი გახდა მეორე მსოფლიო ომის გმირი, გენერალი ეიზენჰაუერი. ფართო მასები იმედოვნებდნენ კორეასთან ომის შეჩერებას. 1953 წ. ივლისში კორეასთან ომი შეწყდა.

ამრიგად, ომისშემდგომ პირველ ათწლეულში აშშ-მა შეინარჩუნა და განამტკიცა თავისი პოზიციები კაპიტალისტურ ეკონომიკაში. გაძლიერდა სახელმწიფოს როლი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების რეგულირებაში, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა რეკონვერსიის და წარმოების ომისშემდგომ ციკლური დაცემის პერიოდში. ამასთან ერთად ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა სამხედრო ხარჯების ზრდა, მეურნეობის მილიტარიზაცია, რომელიც განხორციელდა უდიდესი სახელმწიფოების მეტოქეობისა და „ცივი ომის“ პირობებში.

2. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენა 60-იანი წლების მეორე ნახევარში

XX საუკუნის 50-იან წწ მეორე ნახევარში აშშ-ში შეინიშნება მნიშვნელოვანი ძვრები, როგორც ეკონომიკაში, ისე სოციალურ განვითარებაში, იგი გამოწვეული იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით, რომელიც გამოვლინდა წარმოების ავტომატიზაციასა და ელექტრონულ გამომთვლელი მანქანების გამოყენებაში, წარმოების ინტენსიფიკაციასა და კონცენტრაციაში, რასაც მოჰყვა ერთის მხრივ წარმოების განვითარე-

ბის დაჩქარება და ცხოვრების დონის ამაღლება და მეორეს მხრივ – უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. იგი მიმდინარეობდა დემოგრაფიული ცვლილებებისა და ურბანიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების ფონზე. 1960 წ. აშშ-ის მოსახლეობა 1950 წ. შედარებით გაიზარდა 19%-ით და მიაღწია 180,5 მლნ.-ს. ამავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 30%-ით. ურბანიზაციის დიდი ტემპი შეინიშნება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში.

აშშ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ერთერთი ძლიერი სტიმული იყო მისი მისწრაფება გამხდარიყო მსოფლიო ლიდერი. 1957 წ. ოქტომბერში საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსში ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შემდეგ აშშ-ის ხელისუფლება იძულებული გახდა კრიტიკულად შეეფასებინათ სამეცნიერო გამოკვლევების დონე, კადრების პედაგოგიური მომზადების ხარისხი, განათლების სისტემის მდგომარეობა ქვეყანაში და განეხორციელებინათ რადიკალური რეფორმები.

სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის სტიმულირების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სხვა კაპიტალისტური ქვეყნების კონკურენციის გაძლიერება. ევროპის ქვეყნების ინტეგრაციამ, იაპონიის სამრეწველო პოტენციალის აღორძინებამ აშშ-ის მონოპოლიებს შეუქმნა სერიოზული კონკურენციის პრობლემა საგარეო და შემდეგ საშინაო ბაზარზეც 50-იანი წწ. აშშ ჩამორჩა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებით. მაგ.: 1950-1960 წწ. მისი საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 3,2%, საფრანგეთში – 4,9, იაპონიაში – 8,2, დასავლეთ გერმანიაში – 8,6%. შემცირდა აშშ-ის სავალუტო ფონდი, საფუძველი შეერყა მსოფლიო ბაზარზე ამერიკული დოლარის აბსოლუტურ ბატონობას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთერთი გადამწყვეტი ბერკეტია კაპიტალდაბანდებათა ტემპების, მოცულობის, მიმართულების და სტრუქტურის შეცვლა. თუ 1929-1945 წწ. კერძო ინვესტიციების საერთო მოცულობა გაიზარდა 26,5-დან 30,2 მლრდ. დოლარამდე (1958 წ უცვლელი ფასებით), 1946-1965 წწ. იგი გაიზარდა 30,2-დან 72,8 მლრდ. დოლარამდე. ამ უზარმაზარმა სახსრებმა აშშ-ს ეკონომიკის მთელი რიგი დარგების მოდერნიზაციის შესაძლებლობა მისცა. მრეწველობამ და შემდეგ სოფლის მეურნეობამაც ფუნქციონირება სრულიად ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე დაიწყო. საწარმოო პროცესების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის მეშვეობით მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. შეიცვალა სანედლეულო რესურსების გამოყენების პრობლემებისადმი მიდგომა, გამოიწვია ეკონომიკის ახალი დარგების განვითარება.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დამახასიათებელი ნიშანი გახდა წარმოების ავტომატიზაცია, კერძოდ წარმოებაში, საბანკო საქმეში, მომსახურების სფეროში ელექტრონულ გამომთვლელი ტექნიკის შექმნა და გამოყენება. კომერციულ საქმიანობაში მისი გამოყენება დაიწყო 50-იანი წწ.-ის დასაწყისში და უკვე 1960 წ. დადგმული იყო 4267 ერთეული.

გაძლიერდა მონოპოლიებისა და სახელმწიფოს როლი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსებაში. ამასთანავე, იმის გამო, რომ მსხვილ კორპორაციებს უფრო ადვილად შეეძლოთ გადაწყვეტათ ინვესტიციების პრობლემა, 50-იან წწ. შუახანებში დაჩქარდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. 1955-1960 წწ. დარეგისტრირდა 3300 მონოპოლიის შეერთება. ამავე დროს წარმოიშვა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ახალი, უფრო მაღალი ფორმა კონგლომერატის სახით, იგი აწესებს მონოპოლიურ კონტროლს, რომელიც სრულიად არაა დაკავშირებული საწარმოო-ტექნიკურ პრინციპებთან. კონცერნი-კონგლომერატი უფრო აქტიურად შთანთქავენ გაკოტრებულ და ხანდახან აქტიურად მოქმედ, მაგრამ წვრილ კორპორაციებს. სოფლის მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციამ და კონცენტრაციამ გამოიწვია ფერმერული მეურნეობის შემცირება 5,3-დან 3,7 მლნ.-მდე.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ ცვლილება შეიტანა სამუშაო ძალის სტრუქტურაში. ტრადიციულ დარგებში, მომპოვებელ მრეწველობაში, ასევე ტრანსპორტზე მიმდინარეობდა დასაქმებულთა შემცირება, მაშინ როდესაც მომსახურების, კონტროლის და აღრიცხვის სფეროში, აგრეთვე სახელმწიფო

სექტორში სამუშაო ძალის რაოდენობა გაიზარდა სწრაფი ტემპით. აშშ გახდა პირველი კაპიტალისტური ქვეყანა, სადაც არასაწარმოო სფეროს მუშაკთა რაოდენობამ გადააჭარბა უშუალოდ ფიზიკური შრომით დაკავებულთა რაოდენობას. უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 1950-1960 წწ. გაიზარდა 7,5-დან 11%-მდე, ხოლო ფიზიკურად მომუშავე მუშების წილი შემცირდა 39-დან 36%-მდე.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია გარდა იმისა, რომ ქმნიდა ახალ შესაძლებლობებს წარმოების განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, თან სდევდა ახალი პრობლემები, რომლებიც გასათვალისწინებელია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას. მაგ.: ტექნოლოგიური სიახლის სწრაფად, ხშირად უკონტროლოდ დანერგვა დამღუპველად მოქმედებს ეკონომიკურ სისტემაზე; უმუშევრობის ზრდა, რომელიც გამოწვეულია წარმოების სტრუქტურაში ცვლილებებით, შესაბამისად მოითხოვს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას; ირღვევა წარმოებულ საქონელსა, მომსახურებასა და მოსახლეობის მსყიდველობით უნარს შორის ბალანსი; მცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპები ევროპის იმ სახელმწიფოთა მხრიდან კონკურენციის გაძლიერების ფონზე, რომლებსაც კურსი ინტეგრაციისაკენ აქვთ აღებული.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციას თანსდევს პროცესი, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოებას და ეკონომიკის მართვის სტრატეგიაში ახალი პრიორიტეტების განსაზღვრას მოითხოვს. ეს მოთხოვნილებები აისახა პროგრამაში სახელწოდებით „ახალი მიჯნები“, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ წარმოადგინა.

ჯ. კენედის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას საფუძვლად დაედო ეკონომიკური ზრდის ტემპის სტიმულირების იდეა. ამ პროგრამით სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად ეროვნული შემოსავლის ზრდა თითოეულ მომუშავეზე წელიწადში ნაცვლად 4%-ისა, უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5%-ისა.

„ახალი მიჯნების“ ძირითადი პრინციპები დამუშავებულ იქნა ეკონომისტთა ნეოლიბერალური ჯგუფის მიერ, პროფ-

სორ გელერის ხელმძღვანელობით, რომელიც დაინიშნა ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარედ. განუწყვეტელი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად პროგრამის მთავარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო საქონელს, მომსახურებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობის დამყარება, დასაქმების მაღალი დონისა და ფასების სტაბილურობის პირობებში.

1961-1962 წწ. კენედის მთავრობამ შეძლო რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების კონგრესზე გატანა, რომელიც გათვალისწინებული იყო „ახალი მიჯნებით“. მაგ.: საათობრივი ხელფასის მინიმუმი, რომელიც 1955 წ. იყო 1 დოლარი, გაიზარდა 1,25 დოლარამდე. გამოიყო ასიგნებანი ქრონიკული დეპრესიის რაიონების და ფერმერების დასახმარებლად, სამ თვემდე გაგრძელდა უმუშევრებზე დახმარების გაცემა. 1962 წ. მარტში მიიღეს კანონი, რომელმაც პირველად ქვეყნის ისტორიაში სახელმწიფოს წინაშე დააყენა სამუშაო ძალის მომზადებისა და სწავლების ამოცანა.

სახელმწიფო რეგულირებისათვის ადმინისტრაციამ ფართოდ გამოიყენა საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო ბერკეტები. 1962 წ. ყველა კორპორაციისათვის შეამცირეს ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ვადები და შემოიღეს საგადასახადო შეღავათები კაპიტალდაბანდებებზე. ამ ღონისძიებებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად დაჩქარებულიყო ინვესტიციების ზრდა. გაიზარდა სახელმწიფო ასიგნებანი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, განსაკუთრებით სამხედრო დარგში იმისათვის, რომ არ დაეშვათ ინფლაციის ზრდა, კენედის ადმინისტრაციამ პირველად, მშვიდობიან დროს განიზრახა მეწარმეებისა და პროფკავშირებისათვის ე.წ. „ორიენტირის“ სახით შემოეღო არა პირდაპირი კონტროლი ფასებსა და ხელფასებზე. ისინი ვარაუდობდნენ ხელფასებისა და ფასების ზრდის შეზღუდვას შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწეული დონის გათვალისწინებით.

კენედის პრეზიდენტობის დაწყება დაემთხვა ეკონომიკის ციკლური აღმავლობის ფაზას. თუმცა უკვე 1962 წ. სიტუაცია გართულდა: ზრდის ტემპები შენელდა, შემცირდა კაპი-

ტალდაბანდებათა მოცულობა. ამავე წლის მაისში მოხდა ბირჟაზე აქციების მკვეთრი დაცემა. ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო მსხვილი კაპიტალის სათავეში მდგომთა უკმაყოფილების კულმინაცია გახდა ადმინისტრაციის დაპირისპირება ფოლადჩამომსხმელ კომპანიებთან, რომლის სათავეშიც იყო „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშნი“. მათ, მიუხედავად იმისა, რომ ფოლადის ჩამომსხმელთა პროფკავშირებმა მოხსნეს თავისი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ, დემონსტრაციულად განაცხადეს ფოლადზე ფასების მკვეთრი მომატების შესახებ. გაფიცვებისა და ინფლაციის გაძლიერების საშიშროებამ აიძულა პრეზიდენტი ჩარეულიყო კონფლიქტში. გამოიყენა რა ხელისუფლების ყველა ბერკეტი, მან აიძულა „ფოლადის ტრესტი“ უარი ეთქვა ფასების მომატებაზე. მხოლოდ თეთრი სახლის კონფლიქტმა ფოლადჩამომსხმელი მრეწველობის კორპორაციებთან მკვეთრად გაამწვავა კენედის მთავრობის ურთიერთობა მსხვილ ბიზნესმენებთან. საბოლოოდ პრეზიდენტი იძულებული გახდა მსხვილი ბიზნესის სასარგებლოდ თავისი პოლიტიკური ორიენტაცია რამდენადმე შეეცვალა.

1963 წ. კორპორაციების მოგებიდან გადასახადები 52-დან 47%-მდე, ხოლო მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები 14 მლრდ. დოლარის საერთო ოდენობით შემცირდა. 1963-1964 წწ. სოციალურ საჭიროებაზე სახელმწიფოს საერთო ხარჯები გაიყინა 1962 წ. დონეზე. ციკლური აღმავლობის პირობებში გადასახადების ეს უპრეცენდენტო შემცირება, საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით, აშშ-ის ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პირველ მცდელობას წარმოადგენდა. „ახალი მიჯნების“ მოქნილმა პოლიტიკამ დადებითი შედეგები გამოიღო. სამრეწველო წარმოების ინდექსმა 1964 წ. 20%-ით გადააჭარბა 1961 წ. დონეს.

1963 წ. ნოემბრიდან კენედის მკვლელობის შემდეგ, ხელისუფალი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დაიწყო სოციალური რეფორმების გატარება, რომელიც ცნობილია „დიადი საზოგადოების“ სახელწოდებით. მისი ძირითადი რგოლი გახდა „ბრძოლა სიღატაკესთან“, იგი მიმართული იყო აშშ-ის მოსახლეობის უღარიბესი ფენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1964 წ. ქვეყანაში ითვლებოდა 36,4 მლნ. ღარიბი, რაც შეადგენდა მოსახლეობის 20%, ეს იყო ხალხი, რომლის რეალური შემოსავალი „სიღარიბის ზღვარზე“ დაბალი იყო. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ფერადკანიანი ამერიკელები, მოხუცები, ახალგაზრდები, რომელთაც არ ჰქონდათ მუდმივი სამუშაო, დაბალკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო მუშები და მრავალშვილიანი ოჯახები.

სიღატაკის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას ობიექტური მიზეზები განაპირობებდა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ჯერ ერთი, მასიური სიღარიბე გადაიქცა სერიოზულ მუხრუჭად, ვინაიდან ფერხდებოდა საჭირო კვალიფიკაციის სამუშაო ძალით წარმოების უზრუნველყოფა. მეორე, სიღარიბე ქმნიდა სოციალური და რასობრივი კონფლიქტების გამწვავებისა, დანაშაულებებისა, უმუშევრობისა და ა.შ. ზრდის ნიადაგს.

1964 წ. აგვისტოში აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი, რომელშიც განსაზღვრული იყო სიღარიბესთან ბრძოლაში სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. იგი მოიცავდა ოთხი სახის ღონისძიებებს: 1) პროფესიული მომზადება და სწავლება; 2) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით ეგრეთწოდებული „სათემო მოქმედების“ პროგრამა; 3) სპეციალური პროგრამა სოფელ ადგილებისა და წვრილი ბიზნესისათვის; 4) „მოხალისეები ამერიკის სამსახურში“ მისიონერული ტიპის ორგანიზაციის მოქმედება.

მთავარი ყურადღება მიექცა პროფესიულ მომზადებას და სწავლებას. შეიქმნა „შრომითი კორპუსები“, რომელშიც 1965-1968 წწ. მომზადება გაიარა 195 ათასმა კაცმა. მათ შორის ნახევარი იყო შავკანიანი მოსახლეობა.

გატარდა სოფლებში სიღატაკესთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებები. გათვალისწინებული იყო გაღარიბებული ფერმერებისთვის და სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის შეღავათიანი სესხების მიცემა, მათთვის სამედიცინო და იურიდიული დახმარების აღმოჩენა, წერა-კითხვისა და მარტივი პრო-

ფესიების სწავლება. განსაკუთრებული როლი სიღარიბესთან ბრძოლაში ეკუთვნოდა „სათემო მოქმედების“ პროგრამას, რომელშიც მონაწილეობდა ადგილობრივი საზოგადოებრიობა. შეიქმნა სპეციალური სააგენტოები, რომლებიც ანაწილებდნენ და აკონტროლებდნენ დახმარებების გამოყენებას. ამ მიმართულებით 1965-1968 წწ. დაიხარჯა 2,5 მლრდ. დოლარი, ანუ მთელი ეკონომიკური მართვის ხარჯების 45%.

ფედერალურ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ღარიბთა ბავშვების სკოლამდელ მომზადებას. ასევე გამოიყოფოდა სპეციალური სახსრები იმ სასწავლო დაწესებულებებისთვის, სადაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი იყო ღარიბი ოჯახებიდან. ეს ხელს უწყობდა ნაკლებად უზრუნველყოფილი ახალგაზრდების საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. შემოიღეს სამედიცინო დაზღვევა მოხუცებულებისთვის, ხოლო „სიღარიბის ზღვარზე“ მისულმა ოჯახებმა ფედერალური სუბსიდიების ანგარიშზე მიიღეს შეღავათიანი სამედიცინო დახმარება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რასობრივი დისკრიმინაციის შეზღუდვას. 1964 და 1968 წწ. კანონებით აიკრძალა დისკრიმინაცია საზოგადოებრივ ადგილებში დაქირავებასა და მომსახურებაში, მიწის გაყიდვასა და საცხოვრებლის არენდით მიცემაში. დიდი ნაბიჯები გადაიდგა შრომის კანონმდებლობაში. 1968 წ. ხელფასის მინიმუმი საათში 1,6 დოლარამდე გაიზარდა. ეს კანონი გავრცელდა მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ახალი კატეგორიის მუშებზე, მუდმივ სასოფლო-სამეურნეო მუშებზე და მოსამსახურეებზე.

მთლიანად 1964-1968 წწ. „სიღარიბესთან ბრძოლაში“ დაიხარჯა 10 მლრდ. დოლარი. სოციალურმა ხარჯებმა შეადგინა ფედერალური ბიუჯეტის 40%. 1961-1966 წწ. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 4-6%-ით. პირველად მრავალი წლის შემდეგ აშშ-მა გაუსწრო ევროპის ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის ტემპით. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ინდექსმა შეადგინა 156 (1959 წ. – 100). ამ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი განვითარების ფაქტორები იყო: კაპიტალდაბანდებათა მაღალი დონე, რაც საჭირო იყო სამეუნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ძირითადი კაპიტალის

განახლებისათვის; მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ზრდა; სახელმწიფო რეგულირების როლის და მასშტაბების ზრდა.

„დიადი საზოგადოების პროგრამის“ დაპირებები მთლიანად არ შესრულებულა. 1965 წ დაიწყო ომი ვიეტნამთან, რომელიც მოითხოვდა სამხედრო ხარჯების ზრდას და სოციალური პროგრამის სახსრების გაყინვას. სამხედრო ბიუჯეტი მოითხოვდა საშემოსავლო გადასახადზე 10%-იან დანამატს. კვლავ წარმოიქმნა ინფლაციის, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის პრობლემა.

არაპოპულარულმა ომმა ქვეყანაში გამოიწვია არნახული მასშტაბის ანტისაომარი მოძრაობა, რომელმაც სოციალური პროტესტის სხვა აქციებთან ერთად ქვეყანაში დაძაბა პოლიტიკური ვითარება და 1968 წ. არჩევნებში დემოკრატები მიიყვანა დამარცხებამდე.

3. აშშ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობათა გამწვავება 70-იან წლებში

1968 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა. ნიქსონის მმართველობის პირველივე წელს აშშ-ის ეკონომიკა წააწყდა სერიოზულ პრობლემებს. 1969 წ. შემოდგომაზე დაიწყო სამრეწველო წარმოების მკვეთრი დაცემა და შეადგინა 8% წელიწადში. იგი შეეხო როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ დარგებსაც. გაიზარდა უმუშევრობის დონე და შეადგინა 5 მლნ. კაცი. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დაეცა აქციების ღირებულება, შემცირდა კორპორაციების მოგება, მსხვილი ფირმები კოტრდებოდნენ. დაცემის საფუძველი გახდა ფასების ზრდა და მზარდი ინფლაცია.

ნიქსონმა ეკონომიკის სტიმულირებისათვის მიმართა განსაკუთრებულ ზომებს. 1971 წ. პრეზიდენტმა გამოაცხადა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა, რომელმაც გაიარა 4 ფაზა. პირველ ეტაპზე (1971 წ. აგვისტო – ნოემბერი) ფასები

და ხელფასები ერთ დონეზე გაიყინა 90 დღით, იმპორტზე დაწესდა დამატებითი 10%-იანი გადასახადები და დროებით შეწყდა დოლარის გაცვლა ოქროზე. აშშ-მა აღიარა დოლარის კურსის მერყეობა. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა ბრეტონ-ვუდის საფინანსო სისტემის დასასრულს, დოლარის ღირებულების შემდგომ დაცემას და ინფლაციის გაძლიერებას.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მეორე სტადიაზე (1971 ნოემბერი – 1973 წ. იანვარი) ფასების და ხელფასის გაყინვა შეიცვალა მათზე კონტროლით, მისი განხორციელებისათვის შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური კომისია. მთავრობამ აკრძალა ყოველწლიური ფასების ზრდა 2,5%-ზე ზევით და განსაზღვრა შრომის ანაზღაურების განაკვეთის მატების მაქსიმუმი ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში 5,5%-ით. 1971 წ. დეკემბერში დოლარის დევალვაციამ მსოფლიო ბაზარზე გაზარდა ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობა.

მესამე ეტაპზე (1973 წ. იანვარი – ივნისი) ფასებსა და ხელფასებზე სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლი მოიხსნა. ვარაუდობდნენ, რომ მეწარმეები და პროფკავშირები იმისათვის, რომ არ გაზრდილიყო ინფლაციის დონე, ნებაყოფლობით დაიცავდნენ ფასების ზრდის შეზღუდვას 2,5%-მდე წლიურად. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა და 1973 წ. გაზაფხულზე ინფლაციის ზრდის ტემპმა შეადგინა 8,2%. ამან აიძულა მთავრობა კვლავ 60 დღით გაეყინა ფასები, რომ შემდეგ გადასულიყო კონტროლის ახალ სისტემაზე.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მეოთხე ეტაპი ჩაიშალა, ვინაიდან 1974 წ. 30 აპრილს სტაბილიზაციის შესახებ კანონის მოქმედების ვადა ამოწურა. ამ დროისათვის ფასები სწრაფად იზრდებოდა, რაც ნაწილობრივად დაკავშირებული იყო 1973 წ. ივლისში ახალი აგრარული კანონის მიღებასთან, რომლითაც მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე. 1973 წ. აგვისტოში სპეციალურმა ეკონომიკურმა კომისიამ აღიარა, რომ ყოველი ცდა თავი გართმიათ ინფლაციისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

ნიქსონის ადმინისტრაციის სოციალური პოლიტიკა განსხვავდებოდა დემოკრატების „სიღარიბესთან ბრძოლის“ პოლიტიკისაგან. შემცირდა ასიგნებანი პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაზე, დახმარება ეთნიკურ უმცირესობაზე. ფედერალური მთავრობის ხარჯების შემცირებას თან ახლდა მოწოდებანი გაძლიერებულიყო შტატების და მუნიციპალიტეტების, ასევე კერძო კაპიტალის როლი სოციალური პოლიტიკის სფეროში, მთავრობა ითვალისწინებდა მოსახლეობის იმ ფენების ინტერესებს, რომელთაც არ შეეძლოთ თავისთავის უზრუნველყოფა.

1973 წ. ბოლოს აშშ-ის ეკონომიკაში ვითარება გაამწვავა მსოფლიო ენერგეტიკულმა კრიზისმა. კრიზისი თავის მხრივ გამოწვეული იყო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით, რასაც თან სდევდა ეკონომიკური სანქციები და ნავთობზე ფასების მკვეთრი მომატება. 1973 წ. ოქტომბერში დაიწყო არაბეთ-ისრაელის ომი, რომლის დროსაც არაბეთი მოითხოვდა 1967 წ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანას, მათ ერთბაშად შეწყვიტეს ნავთობის მიწოდება აშშ, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, ვინაიდან აშშ მოხმარებული ნავთობის 1/3 შედიოდა არაბეთის სახელმწიფოდან, შეწყვეტამ მტკივნეული დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. 1974 წ. გაზაფხულზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კისინჯერის ჩარევის შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება არაბეთის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ. არაბეთის ქვეყნებმა შეწყვიტეს ბოიკოტი ნავთობის მიწოდებაზე. თუმცა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციაში მათი ზეწოლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნავთობის ფასის მომატების შესახებ 3-დან 11,65 დოლარამდე 1 ბარელზე (1 ბარელი (ნავთობის) = 159 კუბ. დმ.).

ენერგეტიკულმა კრიზისმა გამოიწვია მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის 1973-1975 წწ. კრიზისი. აშშ-ში ეს კრიზისი უფრო მწვავე ფორმით გამოვლინდა, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ თავისი მაჩვენებლებით ჩამორჩებოდა 1929-1933 წწ. „დიდ დეპრესიას“.

კრიზისის დროს შეჩერდა წარმოების ზრდა, რასაც თან ახლდა ფასების და ინფლაციის ზრდა, თუმცა უმუშევრობისა და შრომის სარეზერვო არმიის გაზრდამ არ გამოიწვია ხელფასე-

ბის შემცირება; წარმოების ციკლური კრიზისი გადაიზარდა სტრუქტურულ, სანედლეულო და სავალუტო-საფინანსო კრიზისში.

სამრეწველო წარმოების დაცემამ მოიცვა პრაქტიკულად მრეწველობის ყველა, მათ შორის ახალგაზრდა დარგებიც: ელექტრონული, აეროკოსმოსური და სხვ. გაკოტრებულთა შორის აღმოჩნდა არა მარტო წვრილი და საშუალო ფირმები, არამედ უმსხვილესი სარკინიგზო და სავაჭრო კომპანიები, საბანკო კორპორაციები. კომერციული ბანკების ზარალმა შეადგინა 2 მლრდ. დოლარი, ხოლო კორპორაციების საერთო დავალიანებამ – 1 ტრილიონი დოლარი, რამაც 15-ჯერ გაააჭარბა მათ მოგებას გადასახადების გამოქვითვის შემდეგ. გაკოტრების ზღვარზე იყვნენ საავიაციო მრეწველობის ლიდერი ფირმები და ავიასატრანსპორტო კომპანიები.

ნავთობზე ფასის ზადამ მარტო 1974 წ. გამოიწვია თითქმის მთელ სამრეწველო საქონელზე 10%-იანი ფასების ზრდა. ხელფასის მატება მკვეთრად ჩამორჩებოდა ფასების, გადასახადების და ინფლაციის ზრდას. კრიზისის შედეგად აშშ-ის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირად 2 მლნ. კაცით, ხოლო სრული უმუშევრების რაოდენობამ 8 მლნ. კაცს მიაღწია. უმუშევართა შორის ჭარბობდა ახალგაზრდები, ქალები, ეროვნული უმცირესობები და შავკანიანი ამერიკელები.

კრიზისმა მთლიანად გამოავლინა ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტზე და საგარეო სავაჭრო კონიუნქტურაზე. კრიზისმა მსოფლიო ბაზრებზე გაამწვავა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მეტოქეობა. მნიშვნელოვან დარგებში აშშ შეავიწროვა გფრ-მა და იაპონიამ. ნავთობზე მსოფლიო ფასების მომატებამ გამოიწვია სავაჭრო ბალანსის უზარმაზარი დეფიციტი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო დოლარის პოზიციების შესუსტებას მსოფლიო სავალუტო ბაზარზე. კრიზისის სიღრმემ და მასშტაბურობამ, პრობლემების სირთულემ თავზარი დასცა ამერიკის ხელისუფლებას. აშშ-ში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა მოწოდებები სახელმწიფოს ომისშემდგომი პოლიტიკის საფუძვლიანი გადასინჯვის და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში რუზველტის მემკვიდრეობის რევიზიის შესახებ.

ეკონომიკურ კრიზისთან ერთად წარმოიშვა მწვავე პოლიტიკური კრიზისი, რაც დაკავშირებული იყო სასტუმრო „უოტერჰეიტში“ მიმდინარე გამოძიებასთან. რესპუბლიკურ ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ კორუფციაში, პოლიტიკურ შპიონაჟში საკუთარი პარტიის სასარგებლოდ, ფინანსურ დანაშაულებებში და ა.შ. „უოლტერჰეიტის“ აურზაურის გამო, რომელიც წარმოადგენდა ამერიკის საზოგადოებაში მომწიფებული ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების შედეგს, პრეზიდენტი ნიქსონი 1974 წ. აგვისტოში იძულებული იყო გადამდგარიყო.

მორიგ არჩევნებამდე აშშ-ის პრეზიდენტად დაინიშნა ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ფორდი. ფორდის თეთრ სახლში ხანმოკლე მოსვლამ გამოავლინა მისი სრული არაკომპეტენტურობა ეკონომიკის მართვაში. არ ჰქონდა რა სერიოზული ეკონომიკური პროგრამა, ის აცხადებდა, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ინფლაცია და პატრიოტულად განწყობილ მოქალაქეებს მოუწოდებდა, რომ ინფლაციასთან ბრძოლაში გამოეკლინათ თავიანთი მზადყოფნა. ამავე დროს აშშ-ის ეკონომიკაში გრძელდებოდა წარმოების ვარდნა, ხოლო უმუშევართა რაოდენობამ გადააჭარბა სამუშაო ძალის 9%-ს.

1976 წ. ხელისუფლების სათავეში მოვიდა დემოკრატთა ადმინისტრაცია ჯ. კარტერის მეთაურობით. კარტერი იმ უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც გროვდებოდა აშშ-ში 70-იანი წწ. დასაწყისიდან. წარმოების ზრდა მიმდინარეობდა ნელა და წელიწადში შეადგენდა 1,5%. ინფლაციის დონემ შეადგინა 6%, ხოლო უმუშევრობამ – 8%. მთავრობამ დემოკრატი ფორდის ადმინისტრაციისაგან ფედერალური ბიუჯეტი მიიღო მნიშვნელოვანი, 66 მლრდ. დოლარზე მეტი დეფიციტით, დეფიციტური იყო ასევე საგარეო-სავაჭრო ბალანსი, გადასაწყვეტი იყო ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის საკითხიც.

კარტერის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო 1981 წლისათვის მიეღწია დაბალანსებული ფედერალური ბიუჯეტისათვის. პირველ რიგში უნდა დაეძლიათ ინფლაცია და უმუშევრობა. ბიზნესისთვის ინვესტიციების სტიმულირების მიზნით კონგრესში წარმოდგენილ სამთავრობო პროგრამა-

ში გათვალისწინებული იყო საგადასახადო შეღავათები. ამავდროულად ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ასიგნებათა გადიდებას საზოგადოებრივ სამუშაოთა სისტემის გასაფართოვებლად, რაც დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფდა. ასევე ასიგნებანი უნდა გაზრდილიყო სწარმოო სწავლების ორგანიზებასა და უმუშევართა საკვალიფიკაციო გადამზადებაზე.

კარტერის ადმინისტრაციამ, თვლიდა რა ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტას, 1974 წ. კონგრესში წარმოადგინა ენერგეტიკული პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებდა ნავთობის და ნახშირის წარმოების გადიდებას ქვეყნის შიგნით; ნავთობის მსხვილი სტრატეგიული მარაგების შექმნას; მრეწველობასა და ყოფა-ცხოვრებაში ნავთობის ეკონომიური ხარჯვის ძიებას; სახელმწიფოს მიერ ხელი უნდა შეწყობოდა ახალი სახის საწვავისა და ენერგიის წყაროების შემუშავებას და წარმოებას. კონგრესმა დებატების შემდეგ ენერგეტიკული პროგრამის დიდი ნაწილი მიიღო. ნავთობის მრეწველების სასარგებლოდ გაუქმდა ნავთობის და გაზის ფასებზე სახელმწიფოს კონტროლი, ამავე დროს დაწესდა გადასახადი დამატებით მოგებაზე, რაც მიიღეს ნავთობის კომპანიებმა ამ ახალი შეღავათებით. მიიღეს ზომები ნახშირის მოპოვების გადიდების წახალისებისათვის და საწარმოებში, საცხოვრებელ სახლებსა და ტრანსპორტზე საწვავისა და ენერგიის გამზომ მოწყობილობათა სავალდებულო დამონტაჟებისათვის. ენერგიის და საწვავის ახალი წყაროების დამუშავების მიზნით შეიქმნა სინთეტიკური საწვავის საწარმოო კორპორაცია, რისთვისაც სოლიდური სახსრები გამოიყო.

1978 წ. კარტერმა წარმოადგინა ანტიინფლაციური პროგრამა. მისი მთავარი მიმართულება გახდა „ნებაყოფლობითი შეზღუდვის“ იდეა, რომლის თანახმადაც კერძო ბიზნესს თავი უნდა შეეკავებინა პროდუქციაზე ფასების მომატებისგან, ხოლო პროფკავშირებს – მუშათა ხელფასის მომატებისათვის ბრძოლისგან. ანტიინფლაციური პოლიტიკა ასევე ითვალისწინებდა ფედერალური მთავრობის ხარჯების შემცირებას. გაიყინა სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასები, შემცირდა ასიგნებანი სოციალურ მოთხოვნილებებზე. მთავრობის ამგვარი პოლიტიკა შედეგიანი აღმოჩნდა, აშშ-ში წარმოება რამდენადმე გაიზარდა. 1977-1979 წწ. შუახანებამდე ერთობლივი ეროვნული პროდუქციის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპებმა შეადგინა 4%, ქვეყანაში უმუშევრობა შემცირდა სამუშაო ძალის 5,8%-მდე. ვერ მოხერხდა მხოლოდ ინფლაციის დონის შემცირება.

კარტერის ადმინისტრაციის ანტიინფლაციურ პოლიტიკას ხელს უშლიდა სამხედრო ხარჯების სწრაფი ზრდა. დამტკიცებულ იქნა ახალი მსხვილი სამხედრო პროგრამები (საკონტინენტთაშორისო რაკეტები, ფრთოსანი რაკეტები, სტრატეგიული ბომბდამშენები და ა.შ.), რამაც გამოიწვია გამალებული შეიარაღება. 1980 წ. სამხედრო ხარჯები 5%-ით გაიზარდა.

ინფლაცია იქცა ამერიკის ეკონომიკის ხანგრძლივ უბედურებად. თუ 1977 წ. მისი საშუალოწლიური დონე იყო 6,5%, 1979 წ. – თითქმის 13%, ხოლო 1980 წ. იანვარში – 18% გახდა. ინფლაციისგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ ღარიბები, პენსიონერები და ფიქსირებული შემოსავლის მქონე პირები.

დემოკრატმა პოლიტიკოსებმა ვერ შეძლეს ბიუჯეტის დაბალანსება. 1981 წ ბიუჯეტის დეფიციტმა 59,6 მლრდ. დოლარი შეადგინა.

70-იანი წლების ბოლოს ამერიკის ეკონომიკის სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი. გაღრმავდა ზოგიერთი დარგის სტუქტურული კრიზისი. აშშ-ის წილი კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში შემცირდა 1960 წ. 42%-დან 1980 წ. – 36,7%-მდე. ასევე შემცირდა მისი წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში შესაბამისად 18%-დან – 13%-მდე. გამწვავდა კონკურენცია დასავლეთევროპულ და იაპონურ მონოპოლიებთან, როგორც საერთაშორისო, ასევე აშშ-ის საშინაო ბაზარზე. ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებამ ქვეყანა მიიყვანა იქამდე, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტის დონე ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ში იყო უფრო დაბალი, ვიდრე გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და თითქმის 15%-ით გადააჭარბა იაპონიამ.

ამრიგად, კარტერის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ქვეყნის 70-იანი წლების ვერც ერთი მწვავე პრობლემის გადაწყვეტა. მისი მოღვაწეობა ამერიკელი ისტორიკოსების მიერ ფასდება, როგორც „უფერული“, ხოლო თვით პრეზიდენტი, როგორც ბრანდიოზული პროგრამების ავტორი, რომელთაგან ვერც ერთის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო.

4. ეკონომიკური რეგულირების კონსერვატიულ მოდელზე გადასვლა. ეკონომიკური განვითარების შედეგები 90-იან წლებში

აშშ-ის ეკონომიკაში 40 წლის განმავლობაში (1948-1988 წწ.) მომხდარი ცვლილებების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ აშშ მთავრობა ატარებდა სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა (ეიზენჰაუერი, ნიქსონი, ფორდი, რეიგანი) მმართველობისას ხდებოდა წარმოების დაცემა, ხოლო დემოკრატების (ტრუმენი, კენედი, ჯონსონი, კარტერი) მმართველობისას ეკონომიკა განიცდიდა აღმავლობას. ასეთი კანონზომიერება დაკავშირებული იყო თითოეული ადმინისტრაციის განსხვავებულ მიდგომასთან ინფლაციისა და უმუშევრობისადმი. რესპუბლიკელები ტრადიციულად ქვეყნისათვის საშიშად თვლიდნენ ინფლაციას, ამიტომ ხელისუფლებაში მისვლისთანავე იწყებდნენ ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებას ეკონომიკური ზრდის შეჩერების გზით. დემოკრატები კი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ წარმოების გაფართოებას და უმუშევრობის შემცირებას, რაც სტიმულს აძლევდა ინფლაციას. ამრიგად, ორივე პარტიის განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკა განაპირობებდა ამერიკის ეკონომიკის არამდგრადობას.

70-იანი წლების ეკონომიკურმა სიძნელეებმა ეჭვის ქვეშ დააყენა საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სისწორე და მოითხოვა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვა. არსებული სისტემა შეიცვალა სახელმწიფო რეგულირების კონსერვატიული ვარიანტით, რომელიც განხორციელდა პრეზიდენტ რ. რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის წლებში (1981-1988 წწ.) და მიიღო „რეიგანომიკის“ სახელწოდება.

„რეიგანომიკა“ წარმოადგენს ნეოკონსერვატიული პოლიტიკის ერთერთ ვარიანტს, რომელიც 80-იანი წლების განმავლობაში და 90-იანი წლების დასაწყისში ყველა განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ გამოიყენა. პირველ რიგში დადგა წარმოების რაციონალიზაციის, მისი სტრუქტურული და ტექნოლოგიური გარდაქმნის, კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების საკითხი. მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვდა უფრო მოქნილ სახელმწიფო რეგულირებას, სახსრების დიდი რაოდენობით დაგროვებას მოწინავე დარგებში მისი ინვესტირებისათვის, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შეცვლისათვის, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ახლებურად გადაწყვეტისთვის.

ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის 1980 წ. რეიგანის ადმინისტრაციამ წამოაყენა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი სახელწოდებით „ახალი დასაწყისი ამერიკისათვის. ეკონომიკური აღორძინების პროგრამა“, რომელიც ემყარებოდა ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმენის მონეტარულ თეორიას. იგი მოიცავდა შემდეგ ძირითად დებულებას:

1) კორპორაციებზე გადასახადებისა და პირადი საშემოსავლო გადასახადების შემცირება;

2) მთავრობის ხარჯების ზრდის შეზღუდვა სოციალური პროგრამის შემცირების ანგარიშზე;

3) სამეწარმეო საქმიანობის დერეგულირება;

4) ინფლაციის დასაძლევად მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

რეიგანის პროგრამის განხორციელებისას წარმოიშვა სერიოზული სიძნელეები. 1980-1982 წწ. ქვეყნის ეკონომიკა მოიცვა ახალმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ფირმებზე უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა, ვიდრე 1973-1975 წწ. კრიზისმა. 1982 წ. განმავლობაში აშშ-ის გადამმუშავებელ მრეწველობაში საწარმოო სიმძლავრეების 30% უმოქმედოდ იყო. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა ავტომობილმშენებ-

ლობაში, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებში. წარმოების მოცულობა შემცირდა შავ მეტალურგიასა და ქიმიურ მრეწველობაში. მრავალი მსხვილი კომპანია აღმოჩნდა ფინანსური პრობლემების მარწუხებში. უმუშევრობამ მოიცვა სამუშაო ძალის 10%-ზე მეტი.

რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკის პირველი ნაბიჯი იყო გადასახადების შემცირება. კონგრესმა მიიღო კანონი სამი წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადების 25%-ით შემცირების შესახებ, ასევე სოციალურ მომსახურებაზე ფედერალური ხარჯების შემცირების შესახებ. ვარაუდობდნენ, რომ გადასახადების შემცირების შედეგად გაიზრდებოდა ინვესტიციები წარმოებაში, რაც შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს, გაზრდიდა ეროვნულ პროდუქტს და ყოველივე ამის შედეგად, მიუხედავად დასაბეგრი განაკვეთების შემცირებისა, გადასახადებით მიიღებდა დიდ შემოსავლებს.

სოციალური პოლიტიკის სფეროში წამოყენებულ იქნა „ახალი ფედერალიზმის“ პროგრამა. ამ პროგრამის თანახმად გაიყო ხელისუფლების ფედერალური, შტატების და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები. მთავრობას უნდა აეღო პასუხისმგებლობა ორი პროგრამის შესრულებაზე: მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებასა და მათთვის კვების ტალონების განაწილებაზე და ღარიბებისათვის სამედიცინო დახმარებაზე. დანარჩენი 44 სოციალური პროგრამა განსახორციელებლად გადაეცა შტატებს, შეიქმნა ფედერალური ფონდი ოთხი წლის მანძილზე მათი დამატებითი დაფინანსებისათვის.

რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის პირველი ვადის ბოლოს ინფლაცია დაეცა 4%-მდე. ქვეყანაში შესუსტდა ფულადი სახსრების შეჩერების პოლიტიკა. რამდენადმე შემცირდა საპროცენტო განაკვეთები, გაადვილდა სახლების და ავტომობილების შესყიდვის დაფინანსება. უმუშევრობა შემცირდა სამუშაო ძალის 8%-მდე. ამასთან, მიუხედავად გადასახადების შემცირებისა, ეკონომიკაში არ მოხდა ინვესტიციების სავარაუდო გამოცოცხლება, რომელიც მოსალოდნელი იყო ინფლაციის შემცირების შემთხვევაში. აღსანიშნავია

ისიც, რომ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და შეადგინა 200 მლნ. დოლარი, უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის ხარჯების გადიდების შედეგად.

რეიგანის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიზანი – ფედერალური მთავრობის მოქმედების სფეროს შეკვეცა განსაკუთრებით კი სოციალურ სფეროში, საშემოსავლო გადასახადების შემცირება, შეიარაღებული ძალების გაძლიერება არ შეცვლილა მეორე ვადით მისი თეთრ სახლში ყოფნის პერიოდში.

1986 წლის „საშემოსავლო გადასახადების შესახებ“ კანონის შესაბამისად პირადი საშემოსავლო გადასახადების მაქსიმალური ზღვარი შემცირდა 50-დან 28%-მდე, ხოლო კორპორაციების მოგებიდან – 46-დან 34%-მდე. კანონმა ფედერალური გადასახადების გადახდისაგან გაათავისუფლა მცირე შემოსავლების მქონე 6 მლნ. მოქალაქე. კანონის მიზანი იყო ისეთი სისტემის შექმნა, როდესაც თანაბარშემოსავლიანი პირები გადაიხდიდნენ თანაბარ გადასახადებს. ამასთან ერთად ახალმა კანონმა შეარყია პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის პრინციპი, რომელიც 1913 წელს იყო შექმნილი. ახალი კანონი ითვალისწინებდა, რომ მაღალშემოსავლიანი პირი გადაიხდიდა მეტ პროცენტს, ვიდრე დაბალ შემოსავლიანი. დაწესდა შემდეგი განაკვეთი: 15%-იანი საგადასახადო ბეგარა ოჯახზე, რომლის წლიური შემოსავალი 29750 დოლარზე ნაკლები იყო, ხოლო 28%-იანი – შემოსავლებზე, რომელიც აღემატებოდა ამ დონეს. ამ საგადასახადო პოლიტიკამ სტიმული მისცა საინვესტიციო აქტივობას, გაამყარა ყველაზე მდიდარი ამერიკელების სტატუსი და მისცა შესაძლებლობა „საშუალო კლასს“ გაეუმჯობესებინა თავისი მატერიალური მდგომარეობა.

1980-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა სამხედრო და კოსმოსური ტექნიკის წარმოება, ინფრასტრუქტურის მრავალრიცხოვანი ობიექტები (შარაგზები, არხები, გვირაბები, ხიდები და სხვ.), ელექტროსადგურები, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, ასევე უზარმაზარი მიწის სავარგულები (ქვეყნის მიწის ფართობის 40%-მდე) ეგრეთწოდებული სახოგა-

დებრივი მიწის ფონდებიდან, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII-XIX საუკუნეებში. სახელმწიფო საწარმოებში იქმნებოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 22%, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 13 მლნ. ადამიანი.

1983 წ. აშშ-ში დაიწყო შვიდწლიანი სამეურნეო აღმავლობა, რომელიც მიმდინარეობდა ეკონომიკის ღრმა სტრუქტურული გარდაქმნების პირობებში, რაც დაკავშირებული იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ახალ ეტაპთან. რეალური ინვესტიციები ინფორმაციის დასამუშავებელ ტექნიკაზე (ელექტროგამომთვლელი მანქანები, კავშირგაბმულობის მოწყობილობანი, საკონტროლო-საზომი და სამეცნიერო ხელსაწყოები) ყოველწლიურად გაიზარდა საშუალოდ 13%-ით.

1983-1989 წწ. აღმავლობის შედეგად მთლიანი ეროვნული შემოსავლის და პროდუქციის წარმოების რეალურმა მოცულობამ 1989 წ. კრიზისამდელ (1979 წ.) მაქსიმალურ დონეს თითქმის 28%-ით, პირადი მოხმარების საგნების მოცულობამ შესაბამისად 1/3-ით გადააჭარბა, რაც დაკავშირებული იყო დასაქმებულთა რაოდენობის გადიდებასთან. ამერიკის ეკონომიკაში შეიქმნა 17 მლნ.-ზე მეტი სამუშაო ადგილი, უმთავრესად მომსახურების სფეროში. უმუშევრობის დონემ შეადგინა 5% და იმყოფებოდა 1973 წ. შემდგომ პერიოდში ყველაზე დაბალ დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნილების ზრდა მეტყველებდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, რაც სტიმულს აძლევდა სამეურნეო აღმავლობას.

სახელმწიფო რეგულირება გავრცელდა აგრარულ სექტორზეც, სახელმწიფო ცდილობდა მხარში ამოდგომოდა ფერმერებს. მათგან მყარ ფასებში შეისყიდიდნენ ნამეტ პროდუქტს არმიის მოსამარაგებლად და საზღვარგარეთის ქვეყნების დასახმარებლად. გარდა ამისა, ახალისებდნენ სათეს სავარგულების კონსერვაციას და ამ გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის შემცირებას. ამის გამო ფერმერებს უხდიდნენ შესაბამის კომპენსაციას. ასეთი აგრარული პოლიტიკის გასატარებლად მთავრობა ხარჯავდა 7 მლრდ. დოლარს წელიწადში.

1983-1989 წწ. ეკონომიკური აღმავლობის მთავარი ფაქტორი იყო

1) ეკონომიკის სრული სტრუქტურული გარდაქმნა, რამაც შექმნა პირობები ძირითადი კაპიტალის განახლებისა და გაფართოების დაჩქარებისათვის;

2) პირადი მოთხოვნილების რეალური მოცულობის სტაბილური ზრდა;

3) დოლარის კურსის სტაბილიზაცია სხვა ქვეყნების ვალუტის შედარებით დაბალი დონესთან შეფარდებაში, რამაც აშშ ეკონომიკაში სხვა ქვეყნების უზარმაზარი საფინანსო რესურსების მიზიდვის საშუალება მისცა.

ამასთან ერთად 80-იან წლების აშშ-ის ეკონომიკის განვითარებაში შეინიშნება ნეგატიური მოვლენებიც. „რეიგანომიკის“ შედეგად აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 152 მლრდ. დოლარი, გასავლების გადამეტებამ შემოსავლებზე მიაღწია 5%. თითქმის ამდენივე იყო გასავლები სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე.

80-იან წლებში ყველაზე მდიდარი ამერიკელების შემოსავლები, რომლებიც შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 1%, თითქმის გაორმაგდა, ამავე დროს ამერიკელების 70%-ის შემოსავლები უფრო ნაკლებად გაიზარდა. აშშ, რომელსაც 60-იან წწ. ჰქონდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციით, 1987 წ. – ამ მაჩვენებლით გაასწრო 10 ქვეყანამ.

ამერიკელის საშუალო ხელფასი 90-იანი წწ. დასაწყისში იმყოფებოდა უკანასკნელი 30 წლის ყველაზე დაბალ დონეზე. 1990 წ. ამერიკელი მუშის საშუალო საათობრივი ანაზღაურება უტოლდებოდა 14,8 დოლარს, ნაცვლად დანიის – 17,9, გფრ-ის – 21,5 და შვედეთის – 21,9 დოლარისა.

შესუსტდა აშშ-ის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკაში. მან 1983 წ. შემდეგ დაკარგა კრედიტორის სტატუსი, რომელსაც ინარჩუნებდა 1917 წლიდან. აშშ გადაიქცა მოვალე ქვეყნად. 80-იანი წლების ამერიკის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ტენდენცია გახდა მისი მსოფლიო სამეურნეო კავშირში ინტეგრაციის დაჩქარება, ეკონომიკის „ავტონომიურიდან“ შედარებით უფრო „ღია ტიპზე“ გადასვლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მსოფლიო მეურნეობის საერთო ტენდენციებსა და წინააღმდეგობებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი.

80-იანი წწ. ბოლოს ყველაზე ხანგრძლივი აღმავლობის შემდეგ აშშ-ის ეკონომიკა შევიდა ზრდის ტემპების მკვეთრი შენელების ფაზაში. 1989-1992 წწ. ერთობლივი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობის საშუალოწლიურმა ზრდამ შეადგინა 1%, ნაცვლად 1982-1988 წწ. საშუალო 3,8%-სა.

1989-1992 წწ. ამერიკული ეკონომიკის დეპრესიული მდგომარეობა აიხსნება არა მარტო მოთხოვნის ძირითადი კომპონენტების შესუსტების, არამედ სპეციფიკური ფაქტორების ზემოქმედებითაც, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო საფინანსო-საკრედიტო სფეროს კრიზისული პროცესები და სახელმწიფო სამხედრო შესყიდვების შემცირება.

80-იანი წლების ბოლოს ეკონომიკა გადაიტვირთა იმ დავალიანებათა მომსახურებით, რომელიც უკანასკნელი აღმავლობის წლებში დაგროვდა. 1992 წ. მოსახლეობის, სახელმწიფოს და კორპორაციების საერთო არასაფინანსო დავალიანებამ გადააჭარბა 11 მლრდ დოლარს, 80-იან წწ. იპოთეკურ დავალიანებათა დასაფარად გადახდის წილი ოჯახურ შემოსავლებში გაიზარდა 9-დან 13%-მდე.

ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭების ერთერთი ფაქტორი იყო სახელმწიფო სამხედრო მოთხოვნილების შემცირება. 1988 წ.-დან სამხედრო ხარჯები განუწყვეტლად მცირდებოდა გარდა იმ პერიოდისა, რომელიც დაკავშირებული იყო სპარსეთის ყურეში კონფლიქტთან (1990 წ. ბოლო – 1991 წ. დასაწყისი). 1991 წ. სამხედრო წარმოების მოცულობა შემცირდა 6,6%-ით.

დაცემა 1990 წ. ოქტომბრიდან 10 თვე გაგრძელდა. სამრეწველო წარმოება შემცირდა 2%-ით. იგი შეეხო ძირითადად საავტომობილო წარმოებას, რაც დაკავშირებული იყო აშშ-ში იაპონური ფირმების გაძლიერებასთან. 1991 წ. ამ დარგის წარმოების მოცულობა 1988 წ. შედარებით შემცირდა 14,3%-ით. ამით აიხსნება იმავე პერიოდში 9,7%-ით მეტალურგიული წარმოების დაცემაც. მშენებლობაში კრიზისმა გამოიწვია სამშენებლო მასალების წარმოების შემცირება. 1990-1991 წწ. ხე-ტყის დამმუშავებული წარმოების პროდუქცია შემცირდა 10%-ით, ლითონკონსტრუქციების – 6,4%-ით, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ხალიჩების და ავეჯის – 27%-ით.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ძლიერ ექსპორტზე ორიენტირებული დარგები: ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებელი, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა შენარჩუნებულ იქნა. საექსპორტო ექსპანსია ხელს უწყობდა დოლარის კურსის შედარებით დაბალ დონეზე სტაბილიზაციას 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში. გაიზარდა ამერიკელ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა. 1989-1991 წწ. ყოველწლიურად 12%-ით იზრდებოდა მოწყობილობათა გატანა, რომელიც შეადგენდა აშშ-ის საგარეო ვაჭრობის მოცულობის 40%-ს. იგი განაპირობებდა მთლიანად ექსპორტის დაჩქარებული ზრდის ტემპს. ამავე დროს შენელდა იმპორტი აშშ-ში. 1991 წ. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი შემცირდა 74 მლრდ. დოლარამდე ნაცვლად 1987 წ. 159,7 მლრდ. დოლარისა. საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ათწლეულში დაყვანილ იქნა 8,6 მლრდ. დოლარამდე.

ეკონომიკური დაცემის ხანგრძლივობა აიხსნება იმითაც, რომ პირველად ომისშემდგომ წლებში კრიზისმა მოიცვა არამატერიალური წარმოების დარგების მნიშვნელოვანი ნაწილი. შემცირება დაიწყო მომსახურების სფეროში, უმუშევრობის საშუალო ნორმამ მიაღწია სამუშაო ძალის 7,3%-ს.

90-იანი წლების დასაწყისში მწვავე ეკონომიკურ პრობლემად იქცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი – 290 მლრდ. დოლარი, 4 მლრდ. დოლარამდე მზარდი სახელმწიფო ვალი, რამაც გამოიწვია ქვეყანაში საინვესტიციო აქტივების შემცირება; აშშ გადაიქცა უმსხვილეს მოვალე ქვეყნად.

1992 წლის ნოემბერში ხელისუფლების სათავეში მოვიდა პრეზიდენტი კლინტონი. დემოკრატიული ადმინისტრაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ეკონომიკის გაჯანსაღება საინვესტიციო პროცესების სტიმულირების გზით.

კლინტონის ეკონომიკური სტრატეგია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1) ხანგრძლივ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, მოხეტიალული პოლიტიკისგან განსხვავებით ფისკალური ზომების აქტიური გამოყენება;

2) სახელმწიფო რეგულირების გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მხარ-

დასაჭერად, სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გამოყენება მცირე ბიზნესის საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით;

3) სახელმწიფოს როლის გაძლიერება სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

დემოკრატთა ადმინისტრაციის მიერ დამუშავებული ეკონომიკის სტაბილიზაციის გეგმა შედგებოდა სამი ძირითადი პროგრამისაგან:

1) ეკონომიკის სტიმულირების მოკლევადიანი პროგრამა, რომელზედაც გამოიყო 30 მლრდ დოლარი. მისი ძირითადი ამოცანა იყო სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა გადასახადების სისტემის განვითარების გზით;

2) გრძელვადიანი საინვესტიციო პროგრამა, რომელიც გათვლილი იყო 1993 წლის შემდგომ 4 წლიან პერიოდზე. პროგრამა ითვალისწინებდა კერძო ინვესტიციებისათვის შეღავათებს და მის სტიმულირებას, მეურნეობის მნიშვნელოვან დარგებში მიზნობრივ კაპიტალდაბანდებებს. მის განსახორციელებლად გამოყოფილ იქნა 140 მლრდ. დოლარი;

3) საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების პროგრამა, რაც წარმოადგენდა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პირობას. გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 1997 წლამდე 500 მლრდ დოლარით, 1997 წელს კი – 140 მლრდ დოლარით, მთლიან ეროვნულ პროდუქტში ბიუჯეტის დეფიციტის წილის შემცირება 1994 წ 5,4%-დან 2,7%-მდე 1997 წელს.

1992 წელს აშშ-ში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, რომლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა შედარებით ნელი, მაგრამ სტაბილური და დაბალანსებული ზრდა. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 1992-1996 წწ. მერყეობდა 2-2,7% საზღვრებში. 90-იან წლებში სამომხმარებლო მოთხოვნილების საერთო შენელების ფონზე 80-იან წწ. შედარებით, შენარჩუნდა და გაიზარდა კიდეც აშშ-ის მოსახლეობის შედარებით უზრუნველყოფილი ნაწილის მყარი მოთხოვნილება. 1996 წ მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შესყიდვის მოცულობა 1991 წ. შედარებით გაიზარდა 33,5%-ით, ხოლო ინვესტიციების მოცულობა საცხოვრებელ ბინებზე – 42%-ით.

ამასთან ერთად აშშ-ში 90-იანი წწ. ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი მნიშვნელოვან წილად გახდა საინვესტიციო მოთხოვნილების ზრდა, რომელიც განპირობებული იყო წარმოების ტექნიკური განახლების აქტიური პროცესით თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის ბაზაზე. 1992-1996 წწ. ეკონომიკაში კერძო ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 37%-ით ნაცვლად 80-იანი წწ. მეორე ნახევრის 3%-ისა.

კლინტონის პრეზიდენტობის პირველ ოთხ წელიწადში ბიუჯეტის დეფიციტი 63%-ით შემცირდა და შეადგინა 107,3 მლრდ. დოლარი. ეს შედეგი მიღწეულ იქნა პრეზიდენტის რეალისტური, მყარი საბიუჯეტო მაკროეკონომიკური პოლიტიკით, ასევე ეკონომიკური აღმავლობითაც. პირველად მრავალი წლის შემდეგ დაეცა ინფლაციის (2,7%) და უმუშევრობის (5,6%) დონე. ქვეყანაში შეიქმნა 6 მლნ. ახალი სამუშაო ადგილი, უფრო ეფექტურად ამუშავდა ბიზნესი, გაფართოვდა საგარეო ვაჭრობა.

ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება არჩევნებში პრეზიდენტის ხელმეორედ არჩევისათვის. 1996 წ. 5 ნოემბერს იგი არჩეული იქნა მეორე ოთხწლიანი ვადით. კლინტონს ხმა მისცა ამომრჩეველთა 49%-მა. არჩევნების დღეს გამოკითხვის პროცესში ამომრჩეველთა 33% აღნიშნავდა, რომ 1992 წ. შედარებით მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და მხოლოდ 20% – გაუარესდა, ამომრჩევლების 56% ეკონომიკის მდგომარეობა შეაფასა, როგორც შესანიშნავი ან კარგი.

ქვეყანაში ეკონომიკის სერიოზულ პრობლემად კვლავ რჩებოდა საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. 1992-1996 წწ. საქონლის და მომსახურების იმპორტის მოცულობა, შესაბამისი ფასებში გაიზარდა 50%-ზე მეტად, ხოლო ექსპორტი – შემცირდა თითქმის ორჯერ, რის შედეგადაც კერძო ექსპორტის უარყოფითი სიდიდე გაიზარდა 1992 წლის 29,5 მლრდ.-დან 1996 წლის 117,1 მლრდ. დოლარამდე. ეს ძირითადად მოხდა ინდუსტრიულად განვითარებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე კანადასთან და იაპონიასთან ვაჭრობაში პასივების გადიდების ანგარიშზე. იაპონიასთან ვაჭრობაზე მოდიოდა ამერიკის სავაჭრო ბალანსის პასიური სალდო 40%.

საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი გახდა იაპონიასთან საგარეო-ეკონომიკური წინააღმდეგობების დარეგულირება, სამხრეთ კორეასთან, ჩინეთთან, ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებსა და კანადასთან საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაფართოება.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკური განვითარების გამოცდილება ცხადყოფს, რომ პრობლემების გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მხოლოდ არჩევნებსა და სახელმწიფო პოლიტიკურ ბერკეტებზე, არამედ მის პოტენციურ შესაძლებლობებზე ადაპტაცია მოახდინოს ახალ მსოფლიო სამეურნეო პირობებში, სახელმწიფო ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით.

ვახასიათებთ რა აშშ-ის ეკონომიკას XX ს. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მსოფლიოში ყველაზე სრულფასოვანი და ეფექტურია. უკანასკნელ ათწლეულში მან შეძლო ახალ პირობებში ადაპტაცია და შეინარჩუნა ლიდერობა განვითარებულ ქვეყნებს შორის. ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა, რომლებიც სათავეში უდგანან ამერიკის კაპიტალს, ჩამოაყალიბეს უზარმაზარი, მთელი მსოფლიოს მომცველი ე.წ. აშშ-ის „მეორე ეკონომიკა“.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გაჯანსაღებით აშშ-ის ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. უპირველესად ეს დაკავშირებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიის სწრაფი განვითარებასთან. იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კომპიუტერების, პროგრამული უზრუნველყოფის და კავშირგაბმულობის საშუალებების წარმოებასთან, ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები, ბევრად აღემატება საშუალოს. აშშ-ის ეკონომიკური ზრდის ასეთი ტემპი არა მარტო ყველაზე მაღალია, არამედ იგი სტაბილურია და აკმაყოფილებს საშინაო მოთხოვნილებებს. აშშ-ის საფინანსო სისტემა ყველაზე ძლიერი და მყარია მსოფლიოში, რაც დადასტურდა 1997-1998 წწ. საფინანსო კრიზისის დროს, როდესაც დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა. უნდა აღინიშნოს თანამედროვე ამერიკული ეკონომიკის კიდევ ერთი თავისებურება, მასში უკვე აღარ არსებობს ანტაგონიზმი მსხვილ და წვრილ ბიზნესს შორის, რომელიც დამახასიათებელი იყო წინა პერიოდში. აშშ-ში საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, რომელმაც ხელი შეუშალა წარმოების ზედმეტ კონცენტრაციას და რამაც აიძულა მსხვილი და წვრილი ბიზნესი შეეგსოთ ერთმანეთი.

აშშ-ის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების დიდი შესაძლებლობები. ამერიკის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები ოპტიმალურია, რადგანაც ქვეყანაში არავინ იბრძვის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის არც გაფართოებისათვის და არც მისი შემცირებისათვის. სახელმწიფო ეფექტურად ეხმარება და ხელს უწყობს კომპანიებს ბიზნესის განვითარებაში საგადასახადო შეღავათების, სუბსიდიების და ა.შ. გამოყენებით.

ოცდაათიანი წლების ბოლოს აშშ-მა დაუთმო ლიდერობა გერმანიას და იაპონიას, 1990-იან წლების ბოლოს აშშ-ის პოზიციები კვლავ მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ეს მოხდა უპირველესად მაღალი ტექნოლოგიის პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობით, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნით სარგებლობს, აქ მწვავე კონკურენცია არსებობს და აშშ-ს მყარად უჭირავს ლიდერის პოზიცია.

აშშ-ში ეკონომიკური პრობლემების მოჭარბება გაჟღენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე, ზემოქმედებს სხვა ქვეყნების სამეურნეო მდგომარეობაზე და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სტრუქტურაზე.

ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა მსოფლიოში აღიარებული ეროვნული ვალუტა – დოლარი. საერთაშორისო გარიგებების უმეტესობაც აშშ დოლარებში ხორციელდება. დოლარის კურსის ცვლილება მკვეთრ ცვლილებას იწვევს საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ფასებზე, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტის კურსზე და მთელი ეკონომიკის განვითარებაზე.

დიდია აშშ-ის ეკონომიკის როლი მსოფლიო საქონელბრუნვაში. ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერე აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრელი ფაქტორია.

თემა 23. გერმანიის გზა ევროპაში ეკონომიკური ლიდერობისაკენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები და ეკონომიკის აღდგენა ომისშემდგომ გერმანიაში

მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ.) მსოფლიოსთვის უდიდეს ტრაგედიად იქცა. უზარმაზარი იყო ომის მასშტაბები: მასში ჩაება 60 ქვეყანაზე მეტი, ანუ დედამიწის მცხოვრებთა 80%, საომარი მოქმედება გაიშალა ევროპის, აზიის, აფრიკის, აგრეთვე ოკეანეთის 40 ქვეყნის ტერიტორიაზე. იარაღასხმული იყო 140 მლნ. ადამიანი. ამ ომში დაიღუპა 55 მლნ. კაცზე მეტი. განადგურდა 316 მლრდ. ღირებულების ეროვნული სიმდიდრე. მთლიანად სამხედრო ხარჯები ოთხნახევარჯერ აღემატებოდა პირველი მსოფლიო ომის შესაბამის მაჩვენებელს.

ომის შედეგები განსაკუთრებით მძიმე იყო გერმანიისათვის: დაიღუპა 7 მლნ. ადამიანი, ასობით ათასი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში, 2 მლნ-ზე მეტი გახდა ომის ინვალიდი. დაინგრა საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო საწარმოები, სატრანსპორტო საშუალებები, ელექტროსადგურები და ა.შ.

მატერიალურ დანაკარგებს დაემატა ფინანსური კრახი, ვინაიდან სამხედრო მოქმედებანი ყოველწლიურად შთანთქავდა 120-150 მლრდ. მარკას. 2,5-ჯერ გაიზარდა გადასახადები, მაგრამ ეს ვერ ავსებდა ბიუჯეტის დეფიციტს. მთავრობა ხშირად მიმართავდა საშინაო სესხებს და კრედიტებს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ისედაც უზარმაზარი სახელმწიფო ვალი, რომელმაც 1939 წელს 30 მლრდ. მარკა შეადგინა, 1943 წ. – 195 მლრდ., ხოლო 1945 წ. – 390 მლრდ. მარკა, რაც ხუთჯერ აღემატებოდა 1938 წ ეროვნულ შემოსავალს. სახელმწიფომ

დაიწყო ქაღალდის ფულის გამოშვება, რომელმაც ომის წლებში შეადგინა 39,2 მლრდ. მარკა, რის შედეგადაც ინფლაციის დონემ მიაღწია 600%-ს ომამდელთან შედარებით. სამუშაო დღე 16 საათს აღემატებოდა, ხოლო ხელფასი 1940 წ. დონეზე რჩებოდა.

განუწყვეტელი საომარი მოქმედებები, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დანაკარგები გერმანიის ეკონომიკაზეც აისახა. წარმოება განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. დაპყრობილი ქვეყნებიდან იძულებით გადმოიყვანეს მილიონობით ადამიანი. 1940-1944 წწ. უცხოელ მუშათა და სამხედრო ტყვეთა რაოდენობა გაიზარდა 1 მლნ.-დან 7,5 მლნ.-მდე, მაშინ, როდესაც 1941 წელს გერმანიის მოსახლეობა იყო 69 მლნ. კაცი.

1943-1944 წწ. გერმანიაში წარმოიქმნა სურსათის ნაკლებობის პრობლემა. სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა ფრონტისა და ზურგის მოთხოვნებს, ამიტომ გერმანელმა ჯარისკაცებმა დაიწყეს დაპყრობილი ქვეყნების ძარცვა, რითაც ამარაგებდნენ არმიას, ხოლო პურის, პირუტყვის, ბოსტნეულის და კარტოფილის ნაწილი იგზავნებოდა გერმანიაში.

1944 წლის შემოდგომიდან დაიწყო ეკონომიკის საყოველთაო დეზორგანიზაცია. რკინიგზა განიცდიდა ვაგონების და ლოკომოტივების დეფიციტს. რკინიგზა ძირითადად სამხედრო გადაზიდვებით იყო დაკავებული, ხოლო ქარხნები, ფაბრიკები, ელექტროსადგურები რჩებოდნენ სათბობის, ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების გარეშე. სახელმწიფო შეკვეთები სამხედრო ტექნიკაზე არ სრულდებოდა. 1945 წლის აპრილში გერმანიის ეკონომიკა საბოლოოდ დაეცა, ხოლო 1945 წლის მაისში გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას.

1943 წ. თეირანის, 1945 წ. იალტის და პოტსდამის შეხვედრებზე გერმანიის ომისშემდგომი მოწყობის პრინციპები შეიმუშავეს ანტიჰიტლერული კოალიციის სამი ქვეყნის – სსრ კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურებმა, იგი ითვალისწინებდა გერმანიის სრულ დემილიტარიზაციას. სამხედრო დამნაშავეები 1945-1946 წწ. ნიურნბერგში წარსდგნენ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, სადაც მხილებულ იქნა ნაციზმის დანაშაულებრივი არსი.

/უდიდეს სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილებით გერმანია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად, სადაც შეიყვანეს გამარჯვებული ქვეყნების – სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარები./ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შევიდა ქვეყნის აღმოსავლეთის მიწები, ბრიტანეთის ზონაში – ჩრდილო-დასავლეთი, საფრანგეთის ზონაში – დასავლეთის, ხოლო აშშ-ის – სამხრეთის. საბჭოთა ადმინისტრაციის ზეგავლენით აღმოსავლეთის ზონაში ეკონომიკური მოწყობა დაიწყო საბჭოთა მოდელით, ხოლო დანარჩენ სამ ზონაში – საბაზრო ეკონომიკის მიხედვით./1946 წ. დეკემბერში აშშ და ინგლისი შეთანხმდნენ ზონების გაერთიანებაზე, ეს შეთანხმება ამოქმედდა 1947 წ. 1 იანვარს, 1948 წ. კი მათ შეუერთდა საფრანგეთი. შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ). საბჭოთა კავშირის ზონის, ანუ აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე 1949 წ. ოქტომბერში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ). ასევე შეიქმნა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – დასავლეთი ბერლინი./

გერმანიის სრული დემილიტარიზაცია ითვალისწინებდა უპირველესად სამხედრო სამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ლიკვიდაციას და იმ ფაბრიკების და ქარხნების შენარჩუნებას, რომლებიც სამშვიდობო პროდუქციას უშვებდნენ. გერმანიას ჩამოერთვა მანამდე მიტაცებული ყველა ტერიტორია და გამარჯვებული ქვეყნებისათვის მიეყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 20 მლრდ. დოლარის გადახდა არა მარტო ფულით, არამედ მანქანებით, ტექნიკით და სამრეწველო საწარმოთა მოწყობილობებით./

კატასტროფული იყო გერმანიის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ქალაქების მრეწველობის უდიდესი ნაწილი იყო განადგურებული, ნაწილი კი დაშლილი გამარჯვებული ქვეყნების მიერ, ხოლო გადარჩენილი საწარმოები არ მოქმედებდნენ. 1946 წ. სამრეწველო წარმოება შეადგენდა 1939 წლის 1/3-ს, ხოლო სოფლის მეურნეობა 30 წლით იყო ჩამორჩენილი, ფოლადის გამოდნობა შემცირდა 7-ჯერ, ნახშირის მოპოვება – 2,2-ჯერ და ა.შ.

1946 წ. ამერიკის ზონაში საწარმოო სიმძლავრეები დატვირთული იყო 26%-ით, საფრანგეთის ზონაში – 10-15%-ით, ამგვარივე მდგომარეობა იყო ინგლისის ზონაშიც, სადაც შედიოდა რურის ოლქი.

ომისშემდგომ გერმანიაში სურსათის მწვავე დეფიციტთან ერთად, საომარი ნგრევის შედეგად საბინაო კრიზისიც გამწვავდა. ამას თან დაერთო საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან, ანუ გერმანიის აღმოსავლეთის რაიონებიდან მოსახლეობის დასავლეთის რაიონებისკენ ემიგრაცია, რამაც დასავლეთში გამოიწვია მოსახლეობის ნახტომისებური ზრდა – 1939 წ. 40,3 მლნ.-დან 1950 წ. 48,6 მლნ.-მდე. მოსახლეობის ამ რაოდენობამ თავი მოიყარა მთელი ყოფილი გერმანიის ტერიტორიის ნახევარზე. 1947 წ. გერმანიას, კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, შესთავაზეს 20 მლნ. კაცის გასახლება, ვინაიდან მოსახლეობა აღმოჩნდა შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე. 1945 წ. მოსახლეობა მოიხმარდა თვეში 200 გრამ ხორცს, პირველადი მოხმარების საქონლის ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება გამოიყურებოდა შემდეგნაირად: ერთი თვეში – ხუთ წელიწადში, ერთი წყვილი ფეხსაცმელი – თორმეტ წელიწადში, ერთი კოსტიუმი – თხუთმეტ წელიწადში, ყოველ მეხუთე ახალშობილზე – ერთი სახვევი და ყოველ მესამე გერმანელს შეიძლება ჰქონოდა საკუთარი კუბოთი დაკრძალვის იმედი.

ქვეყნის საფინანსო სისტემა სრულიად იყო მოშლილი. მიმოქცევაში მყოფი ფული რამდენადმე აღემატებოდა სასაქონლო რესურსებს. ჰიპერინფლაციამ და ყოველგვარი საქონლის დეფიციტმა ქვეყანაში მოშალა ფულის მიმოქცევა. გაბატონდა „შავი ბაზარი“, სადაც პირდაპირი გაცვლით შეიძლებოდა ყველანაირი პროდუქციის ყიდვა. ნატურით ხდებოდა ცალკეულ საწარმოებს შორის გაცვლა, ურთიერთობანი ტრანსპორტის სფეროში, მუშათა შრომის ანაზღაურება და ა.შ. ეკონომიკური მართვის ბერკეტები თავმოყრილი იყო ერთდროულად გერმანიის თვითმმართველობის და საოკუპაციო ხელისუფლების ხელში. იზრდებოდა უმუშევრობა, ხალხი დარჩა უმიზნოდ და უფუნქციოდ, რის გამო ქალაქებში იზრდებოდა ხალხთა უკმაყოფილება, ამიტომ უკვე 1946 წ. საოკუპაციო ხელისუფლებამ თანდათანობით დაიწყო გადარჩენილი საწარმოების კერძო

მფლობელობაში გადაცემა, თუმცა შენარჩუნებულ იქნა სახელმწიფო ლიმიტები ნედლეულსა და მოწყობილობებზე.

2. „მარშალის გეგმისა“ და ლ. ერჰარდის რეფორმის როლი გერმანიის ეკონომიკის აღორძინებაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაისვა ევროპის იმ სახელმწიფოებისთვის დახმარების საკითხი, რომელთა ეკონომიკა არა მხოლოდ განადგურებული, არამედ წარმოების მილიტარიზაციის შედეგად მთლიანად იყო დეფორმირებული. ასეთი დახმარების აღმოჩენა შეეძლო მხოლოდ აშშ-ს, რომელიც ომის წლებში უფრო გაძლიერდა და გაიმყარა ლიდერის პოზიციები მსოფლიოში. ამერიკელები გამოვიდნენ „ევროპის აღდგენისა და განვითარების“ ინიციატივით. ამ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს სათავეში ედგა ომის პერიოდში აშშ-ის გენშტაბის უფროსი გენერალი ჯორჯ მარშალი, 1947 წ. იგი დაინიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნად, სწორედ ამის გამო ეწოდა პროგრამას „მარშალის გეგმა“.

1947 წ. ივნისში ეს გეგმა ჩამოყალიბებული და შეთანხმებულ იქნა აშშ-ის წამყვან სამრეწველო და საფინანსო ჯგუფებთან, ხოლო შემდგომ იგი წარედგინა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს. დახმარების გეგმა შეთავაზეს საბჭოთა კავშირსაც, მაგრამ სსრკ-მა უარი განაცხადა მის მიღებაზე იმის შიშით, რომ კაპიტალისტურ სამყაროს გავლენა არ მოეხდინა მის საშინაო საქმეებზე. ისარგებლა რა თავისი გავლენიანი პოზიციებით, სსრკ-მა ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ფინეთი და ბოლოს გდრ აიძულა უარი ეთქვათ მარშალის გეგმით გათვალისწინებულ დახმარებაზე.

მარშალის გეგმაში მონაწილე ქვეყნებს შორის იყო ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, თურქეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი, შემდეგ შეუერთდა გფრ. 1947 წ. პარიზის კონფერენციაზე შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი, რომლის დანიშნულებაც იყო ამერიკულ დახმარებაზე შეკვეთების შედგენა და კოორდინირება.

1948 წ. აპრილში ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი უცხოეთის სახელმწიფოებისთვის დახმარების შესახებ. კანონი ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნებისათვის დახმარების მიცემას გარკვეული პირობებით. კერძოდ, დახმარების მოსურნე სახელმწიფოს უარი უნდა ეთქვა თავის ქვეყანაში მრეწველობის ნაციონალიზაციაზე, სრული თავისუფლება უნდა მიეცა კერძო მრეწველობისათვის, მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა იმ დარგების წარმოება, რომლის პროდუქციასაც შეეძლო კონკურენცია გაეწია ამერიკის საქონლისათვის, აშშდან იმპორტზე შეემცირებინა საბაჟო ტარიფები, შეეზღუდათ ვაჭრობის მოცულობა „სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნებთან და სხვ. კანონით გახდა სავალდებულო ამ პირობების შესრულება.

„მარშალის გეგმის“ მოქმედების პერიოდში (1948-1951 წწ.) ევროპის ქვეყნებზე დახმარებამ შეადგინა 17 მლრდ. დოლარი, აქედან 11,5 მლრდ. დოლარი სამხედრო დახმარების, ხოლო 6,5 მლრდ. – გრძელვადიანი კრედიტების სახით. დახმარების 66%-ზე მეტი მოდიოდა ოთხ წამყვან ქვეყანაზე: დიდ ბრიტანეთზე, საფრანგეთზე, იტალიასა და გფრ-ზე. მათ შორის უპირატესობა ენიჭებოდა გერმანიას. ცდილობდნენ იგი ეროფილი მტრისაგან თავის მოკავშირე ქვეყნად გადაექციათ. ამ მიზნით გერმანიას გადაეცა 3,12 მლრდ. დოლარი. მარშალის გეგმის მიხედვით 1948-1951 წწ. გერმანიამ აშშ-გან მიიღო 2,422 მლრდ. დოლარი – თითქმის იმდენივე, რაც დიდმა ბრიტანეთმა (1,324 მლრდ.) და საფრანგეთმა (1,13 მლრდ) ერთად აღებული და 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიამ (0,704 მლრდ.).

მარშალის გეგმის ძირითადი მიზანი იყო: ევროპის დასუსტებული ქვეყნების დახმარება, ომის წლებში მოშლილი შიდაევროპული ვაჭრობის გამოცოცხლება და საერთაშორისო საწარმოო კავშირების გააქტიურება. კონტინენტზე ხელსაყ-

რელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად და ლიბერალური საგარეო ვაჭრობის იდეის განსახორციელებლად 1948 წ. აპრილში შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელსაც 1960 წ ეწოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარება ხორციელდებოდა რამდენიმე მიმართულებით პროდუქციის სახეობათა მიხედვით. ერთ-ერთი მთავარი იყო კვების პროდუქტების, საწვავის და ტრანსპორტის მიწოდება. გეგმაში ჩადებული იყო ამ მიმართულებით ამერიკული ასიგნებების ყოველწლიური შემცირება და ევროპული ქვეყნების მიერ საკუთარი რესურსების ზრდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნების უმეტესობას არ შეეძლო ამერიკული დოლარით გადახდა მოწოდებული საქონლის ღირებულება, საქონლის ძირითადი ნაწილი მიეწოდებოდა დოტაციის სახით და არა სესხით. ამგვარად, მოწოდებული საქონლის გაყიდვით მიღებული ადგილობრივი ვალუტა ხმარდებოდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეემცირებინათ ინფლაცია, განევითარებინათ ნახშირის მოპოვება, ლითონის, სამშენებლო მასალების წარმოება და ტრანსპორტი.

მარშალის გეგმით, მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სამრეწველო მოწყობილობათა მიწოდება საერთაშორისო სესხების პირობით. მიწოდების მესამე მიმართულება, რომელიც ფინანსდებოდა აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის ბანკის საგანგებოდ შექმნილი განყოფილებების მეშვეობით, ითვალისწინებდა სამრეწველო ნედლეულის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მანქანა-დანადგარების მარაგ ნაწილების და სხვ. მიწოდებას.

მარშალის გეგმით შემუშავებულმა პროგრამამ, რომელიც ცალკეული ქვეყნების ადგილობრივ ეკონომიკურ პროგრამებთან შეთანხმებით ხორციელდებოდა, დასავლეთევროპული ქვეყნების აღორძინება განაპირობა. 1947-1950 წწ. ამ ქვეყნების საბაზისო დარგების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 50%-ით გაიზარდა, ხოლო ცალკეული სახეობების მიხედვით უფრო მეტადაც: კალიუმის სასუქების წარმოება გაიზარდა

65%-ით, ფოლადის – 70%, ცემენტის – 75%, სატრანსპორტო საშუალებების – 150%, ნავთობპროდუქტების კი – 200%-ით. გაიზარდა მისი საექსპორტო შესაძლებლობანი. 1948-1952 წწ. ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 40%-ით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განმტკიცდა ევროპის საქონლის კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით ტექნიკურ სიახლეთა განხრით.

უნდა აღინიშნოს, რომ მარშალის გეგმა, გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის აღორძინებას, ერთგვარად ქვეყნებს შორის განხეთქილების საბაბადაც იქცა. იმის გამო, რომ სსრკ-მა არ მიიღო რა ეს პროგრამა და სხვა ქვეყნებიც აიძულა უარი ეთქვა მის მიღებაზე, 1940-1950 წწ. მსოფლიო გაიყო ორ მოწინააღმდეგე – კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკად, რომელთა შორის ურთიერთობამ „ცივი ომის“ სახელწოდება მიიღო. „ცივი ომის“ დაწყებიდან დასავლეთ გერმანია დასავლეთის ქვეყნების მოწინააღმდეგიდან პარტნიორ ქვეყნად იქცა. იგი გახდა ერთგვარი ფორპოსტი „საბჭოთა კომუნიზმისაგან“ დასაცავად, ვინაიდან სსრკ ეწეოდა დაუფარავ იდეოლოგიურ და სამხედრო აგრესიას აღმოსავლეთ ევროპაში „ცივი ომის” გათვალისწინებით. აშშ-ის პროგრამა სულ უფრო იღებდა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო დახმარების ფორმას. 1951 წ. მიიღო კანონი უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც ევროპაში გაიზარდა იარაღის, სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების, ტანსაცმლის და სხვ. მიწოდება, ამის სანაცვლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავის მხრივ თავისი ტერიტორია უნდა დაეთმოთ ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის, გარდა ამისა აიკრძალა ე.წ. სტრატეგიული საქონლით ვაჭრობა „სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნებთან. სსრკ-ის ქმედებაზე ამგვარი საპასუხო პოლიტიკით კიდევ უფრო იძაბებოდა საერთაშორისო ურთიერთობანი, ეს კი განამტკიცებდა უნდობლობასა და კონფრონტაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიამ ეფექტურად გამოიყენა საზღვარგარეთის დახმარება. ქვეყნის მთავრობამ ეს სახსრები მიმართა ძირითადად არა მოხმარებისათვის, არამედ წარმოების განახლებისა და განვითარებისათვის. გერმანიის მიერ მარშალის გეგმით მიღებული ყოველი დოლარი სხვადასხვა

სამეურნეო სექტორში 10-დან 20 დოლარამდე ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა.

გერმანიის ეკონომიკის გაჯანსაღების თაობაზე ქვეყანაში მიმდინარეობდა კამათი ეკონომიკური ლიბერალიზმისა და ძლიერი სახელმწიფო რეგულირების მომხრეებს შორის.

ომისშემდგომი გერმანიის სამეურნეო რეფორმების სულისჩამდგმელი იყო უდიდესი თეორიული ცოდნისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის გამოცდილების მქონე პროფესორი ლუდვიგ ერჰარდი, იგი თავის შრომებში ეკონომიკურ საკითხებზე და თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მხარს უჭერდა სოციალური საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბებას.

1948 წ. ერჰარდმა, სარგებლობდა რა სამხედრო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, დაიწყო რადიკალური სამეურნეო რეფორმების გატარება, რომლებიც სრულიად შეესაბამებოდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის სისტემას, იგი მოიცავდა ფულის რეფორმას, თავისუფალ ფასებზე და თავისუფალ მეწარმეობაზე გადასვლას. ამ რეფორმების მეშვეობით 10 წლის შემდეგ ქვეყანაში მოხდა „გერმანული სასწაული“, გერმანია გადაიქცა მძლავრ აყვავებულ სახელმწიფოდ, ევროპის „ლოკომოტივად“.

ახალი ეკონომიკური სისტემის პირველ საფეხურს წარმოადგენდა ფულის რეფორმა, რომლის ამოცანა იყო გაუფასურებული ფულის მოშორება და მყარი ფულის შექმნა 1948 წლის 21 ივნისის დეკრეტით საოკუპაციო ადმინისტრაციამ რეიხსმარკები გააუქმა და შემოიღო ახალი ფული – დოიტჩმარკა. ქვეყნის ყველა მოქალაქემ მიიღო 40 ახალი მარკა, ხოლო შემდეგ დაუმატეს 20. პენსიები, ხელფასები და ბინის გადასახადები იფარებოდა ახალი მარკებით შეფარდებით 1:1, ნაღდი ფულისა და დანაზოგების ნახევარი იცვლებოდა თანაფარდობით 1:10, მეორე ნახევარი დროებით გაიყინა, მოგვიანებით გაცვლის თანაფარდობა გახდა 1:20.

საწარმოთა ფულად ვალდებულებათა ძირითადი ნაწილი გადაანგარიშებული იქნა შესაბამისად 1:10. ყველა ქარხანამ, ფაბრიკამ და სხვა სამრეწველო საწარმომ მიიღო ნაღდი ფული პირველი ხელფასების გასაცემად, ხოლო შემდეგში უნდა გაეცათ საკუთარი სახსრებით. ყოფილი რეიხსბანკების და დაწესებულებების ყველა ძველი ვალდებულებანი ძირითადად გაუქმდა. შეიქმნა ახალი საემისიო ბანკი – გერმანული მიწების ბანკი, რომელიც თავის ურთიერთობებს კერძო ბანკებთან არეგულირებდა წესდების საფუძველზე. ამრიგად ლ. ერჰარდმა ფაქტიურად ერთი ხელის დაკვრით გაათავისუფლა გერმანია გაუფასურებული ფულის უზარმაზარი მასისგან, რამაც შესაძლებელი გახადა სწრაფად შეწყვეტილიყო ინფლაცია.

რეფორმის მეორე საფეხური იყო თავისუფალ საბაზრო ფასებზე გადასვლა, რომელიც დაიწყო 24 ივნისს, გამოქვეყნდა კანონი სამეურნეო წყობისა და ფასების პოლიტიკის პრინციპების შესახებ. დაკანონდა თავისუფალი ფასები, რითაც ლ. ერჰარდს მიეცა საშუალება გაეუქმებინა ყველა ის კანონი და დოკუმენტი, რომლებიც მკაცრად არეგულირებდნენ სამეურნეო ცხოვრებას. კერძოდ, გაუქმდა რესურსების ადმინისტრაციული განაწილება, ფასებზე კონტროლი, ხელფასის რეგულირება, რომელიც შემოღებული იყო ჯერ კიდევ ომამდე.

მიუხედავად საოკუპაციო ქვეყნების უკმაყოფილებისა, გერმანიაში სწრაფი ტემპით და თანმიმდევრულად ხდებოდა სახელმწიფო რეგულირების კანონების გაუქმება მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში ინგლისსა და საფრანგეთში ძლიერდებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, მიმდინარეობდა მასობრივი ნაციონალიზაცია, ხოლო მთავრობაში ჭარბობდა სოციალ-დემოკრატიულად მოაზროვნეები.

ამავე დროს გერმანიაში მიიღეს კანონი ყოველგვარი ფასების ზრდის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უწყობდა ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნებას და ინფლაციის ზრდის თავიდან აცილებას. ქვეყნანაში პერიოდულად ქვეყნდებოდა ფასების კატალოგები მოსახლეობის რეალური მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით. ლ. ერჰარდის სიტყვით – მყიდველი კვლავ გახდა ბაზრის განმსაზღვრელი პირი.

რეფორმის მესამე მიმართულება იყო თავისუფალი მეწარმეობის ხელის შეწყობა. ამ მიზნით მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, ანტიმონოპოლიური და ანტიკარტელური ბრძანებები და სხვ. ერჰარდმა მოითხოვა არა მარტო ხელმძღვანელობა

მონოპოლიებზე, არამედ მათი საქმიანობის აკრძალვაც თუკი ისინი თავისუფალ კონკურენციას შეავიწროებდნენ. ამ პერიოდში გერმანიაში ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობდა მონოპოლიების სამოქმედო არეალის და გავლენის სფეროების განსაზღვრისათვის. საბოლოოდ ჩამოყალიბდა კანონი, რომელიც ზღუდავდა მონოპოლიების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

იმისათვის, რომ კონკურენციას არ შექმნოდა დაბრკოლება, ერთი მონოპოლიის მიერ წარმოებული კონკრეტული პროდუქციის წილი არ უნდა ყოფილიყო მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ამ პროდუქციის მესამედზე მეტი, ორი-სამი მონოპოლიის მიერ წარმოებული – ნახევარზე მეტი, ოთხ-ხუთისა კი ორ მესამედზე მეტი. ყოველივე ამის შედეგად 1960-იანი წლების შუახანებში სოციალური საბაზრო ეკონომიკის მთავარი სუბიექტი გახდა წვრილი და საშუალო ბიზნესი, რომელიც აღიარებულ იქნა, როგორც „საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველი“ და თანდათანობით დიდ ადგილს იკავებდა გერმანიის ეკონომიკაში. სახელმწიფოს პოლიტიკა მთლიანად მიმართული იყო საშუალო და მცირე ბიზნესის განსავითარებლად. უკვე 1953 წ. საწარმოებზე, სადაც 500 კაცამდე იყო დასაქმებული, მოდიოდა მთელ დასაქმებულთა 50,8% და აწარმოებდნენ მთლიანად წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ნახევარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერჰარდის რეფორმებს საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლების მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობა ხვდებოდა, უპირველესად მემარცხენე სოციალისტებისგან, პროფკავშირების ლიდერებისგან, მონოპოლიების მმართველი რგოლიდან და სხვ. ლ. ერჰარდის წინადადებებს პარლამენტშიც არ შეხვედრიან აღტაცებით. ბუნდესტაგის ზოგიერთი დეპუტატი მისთვის ხელფასის ჩამორთმევას მოითხოვდა, აცხადებდნენ გერმანიის მტრად და ა.შ.

მიუხედავად ამისა, მალე პრაქტიკულად დამტკიცდა მთავრობის პოლიტიკის სისწორე: გაქრა „შავი ბაზარი“, რადგან მასობრივი მოთხოვნილებების საქონლის წარმოება ორ წელიწადში ორჯერ გაიზარდა. პროდუქტის საშოვარზე სიარულის ნაცვლად, ხალხმა მისი წარმოება დაიწყო. შეჩერდა ინფლაცია. გაუფასურებული რეიხსმარკების ნაცვლად გამოჩნდა და განმტკიცდა ახალი ვალუტა – დოიტჩმარკა. ფასები გაიზარდა არა ორ-სამჯერ, როგორც ამას სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ, არამედ რამდენიმე პროცენტით. თითქმის ასეთივე პროცენტით გაიზარდა საშუალო ხელფასიც, რაც ძირითადად შრომის ნაყოფიერების მესამედით გაზრდის ხარჯზე მოხდა. 1949 წლის ბოლოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1936 წ. დონეს (98,4%) მიუახლოვდა, ხოლო 1950-იანი წლების ბოლოს მას 14,4%-ით გადააჭარბა.

3. „ეკონომიკური სასწაული“ გფრ-ში, მისი წამყვან პოზიციებზე დამკვიდრება 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში

გერმანიის ეკონომიკური აღორძინება პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე (1948-1949 წწ) გატარდა ფულისა (სავალუტო) და ფასების რეფორმა, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე გაიზარდა რეალური ხელფასი.

მეორე, დაძაბულობისა და გარდატეხის პერიოდი დაიწყო 1950 წ., რის შემდეგაც – 1951 წლიდან აშკარად შეინიშნებოდა ომისშემდგომ სიძნელეთა დაძლევის ტენდენცია და უმუშევრობის შემცირება.

1952 წლიდან დაიწყო მესამე – სოციალური საბაზრო მეურნეობის ეტაპი, რომლის დროსაც ხდებოდა ახალი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება და მისი ვარგისიანობის გაანალიზება.

მეოთხე ეტაპზე (1953-1954 წწ.) შესაძლებელი გახდა უფრო მეტი შედეგების მიღება. თანაბარზომიერად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და რეალური ხელფასი, ფასები ჯერ სტაბილური გახდა, ხოლო შემდეგ დაიწყო მათი კლება. 1953 წ. ქვეყანაში შეინიშნებოდა მკვეთრი შემობრუნება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოებისაკენ, დაიწყო საბინაო მშენებლობის ზრდა, ეს კი საშუალებას იძლეოდა გადაეწყვიტათ

მილიონობით მოქალაქის საბინაო პრობლემა, რომლებიც ომის შემდეგ უსახლკაროდ დარჩნენ. ლ. ერჰარდის შეფასებით, 1953 წ. გადაიქცა მომხმარებლის წლად, ხოლო საზოგადოებამ დაიწყო წინსვლა საყოველთაო კეთილდღეობისკენ.

1954 წ. დაიწყო მეხუთე – მაღალი კონიუნქტურის ეტაპზე გადასვლა. სამრეწველო სიმძლავრეების სწრაფად გაფართოებას თან დაერთო ინფლაციური მოვლენები.

სწრაფი აღმავლობა შეიმჩნეოდა მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ოპტიკის, ელექტროენერგიის წარმოების და მრეწველობის სხვა დარგებში. 1950 წ. 1936 წელთან შედარებით ავტომობილების წარმოება გაიზარდა 60,6%-ით, ტრაქტორების – 189,8, ელექტროენერგიის – 61,6, მურა ნახშირის – 42,9%-ით და ა.შ. წარმოების მოცულობა ამავე პერიოდში გფრ-ში გაიზარდა 25,8%-ით, 1956 წ. – კიდევ 18%-ით. 1952-1953 წწ. შენელდა წარმოების ზრდის ტემპები, მაგრამ მას ეკონომიკაში მოჰყვა ახალი აღმავლობა, რაც გამოწვეული იყო ძირითადი კაპიტალის გაფართოებით, საწარმოო ტექნიკის განახლებით, ასევე იმ ღონისძიებებით, რომელსაც სახელმწიფო ატარებდა მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარების დასაჩქარებლად. 1953-1955 წწ. სამრეწველო წარმოება ყოველწლიურად 10-15%-ით იზრდებოდა, 1953-1956 წწ. იგი 39%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში მთავრობა იძულებული გახდა გაეტარებინა ღონისძიებები სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების შესანელებლად.

1950-იანი წწ. მეორე ნახევარში გფრ-მა სამრეწველო წარმოების მოცულობით აშშ-ისა და ინგლისის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა, ზოგიერთი მაჩვენებლით კი მან გაუსწრო ინგლისს. მისი წილი კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში 1946 წლის 3%-დან 1955 წ 9,4%-მდე გაიზარდა.

გერმანიის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კორეის ომმა (1950-1953 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ გერმანია უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ ომში, მისი საწარმოები დაკავებული იყო მეომარი ქვეყნების (განსაკუთრებით აშშ-ის) სამხედრო შეკვეთებით. გერმანული მანქანადანადგარები გავიდა საგარეო ბაზარზე. მხოლოდ 1950 წ. გფრ-

ის ექსპორტი გაიზარდა 120%-ით, ხოლო 1952 წ. ექსპორტის მოცულობამ გადააჭარბა იმპორტს, შედეგად სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო გაიზარდა და 1,2 მლრდ. მარკა შეადგინა. წამყვანი ადგილი ისევე როგორც ომამდე მძიმე მრეწველობის პროდუქციამ დაიკავა.

აღსანიშნავია სხვა ფაქტორებიც, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას: ძირითადი კაპიტალის განახლება, მუშათა შრომის ინტენსივობის ამაღლება, კაპიტალდაბანდებათა (განსაკუთრებით საზღვარგარეთის) ზრდა, რამაც ამ პერიოდისთვის 3,5 მლრდ. მარკას მიაღწია, ამ დაბანდებათა 1/3 მოდიოდა აშშ-ზე. გერმანიის კომპანიებმა თავის მხრივ აქტიურად დაიწყეს კაპიტალის გატანა საზღვარგარეთ, რამაც 1956 წ. 9 მლრდ. მარკა შეადგინა. კაპიტალი უმთავრესად გადიოდა ბრაზილიაში, არგენტინაში, კანადაში, აშშ-ში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთსა და სამხრეთ აფრიკის კავშირში.

გერმანიის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ 1955 წლამდე გერმანიას არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები და ეწარმოებინა სამხედრო პროდუქცია. ეს კი შესაძლებლობას აძლევდა მთავრობას, რომ ეროვნული შემოსავლის ნაწილი, ნაცვლად სამხედრო ხარჯებისა, კაპიტალდაბანდებებზე დაეხარჯა, მაშინ, როდესაც აშშ, ინგლისი და სხვა განვითარებული ქვეყნები თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს ხარჯავდნენ ჯარის შენახვასა და შეიარაღებაზე.

გამოჯანსაღდა სოციალური ვითარებაც, 1950-იან წლებში გერმანიაში პრაქტიკულად აღარ იყო უმუშევრობის პრობლემა. სამუშაო კვირა შემცირდა 52-დან 46 სათამდე, ხოლო ხელფასმა გადააჭარბა ომამდელ დონეს.

დიდი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. საოკუპაციო ხელისუფლების მიერ 1947-1949 წწ. გერმანიაში გატარდა აგრარული რეფორმა. მიიღეს კანონი მიწაზე საკუთრების შესახებ, რომლითაც უნდა გადანაწილებულიყო იუნკრების მიწები. მიწის სავარგულების ძირითადი ნაწილი გადავიდა საშუალო და მცირე მესაკუთრეების ხელში. ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურ-

ნეობაში დასაქმებულთა წილი სისტემატურად მცირდებოდა სამუშაო ძალის სოფლიდან ქალაქში მასობრივი გადასვლის გამო; 1950 წ. აქ დაკავებული იყო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 21,6%, 1954 წ. – 16,9, 1960 წ. – 13,8, ხოლო 1970 წ. – მხოლოდ 8,2%. ამის მიუხედავად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედეგად გაიზარდა პროდუქციის აბსოლუტური მოცულობა. ამ დარგის მაღალ ინტენსიობას ხელს უწყობდა გლეხური მეურნეობების ფართო მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება. 70-იანი წლების დასაწყისში ფართობის ერთეულზე ტრაქტორების და კომბაინების რაოდენობით გფრ წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას.

სოფლის მეურნეობაში ერთდროულად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და მოსავლიანობა. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაში ჭარბობდა მეცხოველეობა, ძირითადად სახორცე-სარძევე მიმართულების, რომლის პროდუქციამაც 70%-ით გადააჭარბა მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას.

ტექნიკური გადატრიალებისა და წარმოების ინტენსიფიკაციის კვალდაკვალ გაძლიერდა მეურნეობის გამსხვილების პროცესი. წვრილგლეხური მიწათმფლობელები ვერ უძლებდნენ რა კონკურენციას, ადგილს უთმობდნენ უფრო მყარ, მსხვილ მეურნეობებს.

1950-იანი წწ. შუახანებში გერმანია შევიდა მყარი ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში, რომელიც მთელი ათწლეული გაგრძელდა და „გერმანიის ეკონომიკური სასწაული“ ეწოდა. მაგრამ „გერმანული სასწაული“ – ეს არა მარტო ეკონომიკაა, – წერდა ერჰარდი თავის წიგნში „კეთილდღეობა ყველასათვის“, – მთავარი სასწაული ის არის, რომ რამოდენიმე ეკონომიკური რეფორმის შემდეგ გერმანელი ხალხი ჩამოყალიბდა თავისუფალ, კეთილის მსურველ და ხალისიან ერად. ეს წლები გამოირჩეოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ელვისებური ტემპებით, რომელიც გერმანიის ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ ფაქტორად იქცა.

ამ პერიოდში დაიწყო სამხედრო წარმოების რესტრუქტურიზაცია, რომლის დროსაც ორჯერ შემცირდა მომპოვებელი დარგების, უმთავრესად კი ნახშირის მოპოვების წილი. მთავრობა ქმნიდა სპეციალურ ფონდებს, საიდანაც ყოველ ამოუღებელ ტონა ნახშირზე (წინა წლებთან შედარებით) უხდიდნენ პრემიას 27,5 მარკის ოდენობით, რის გამოც 1960-იანი წწ. ნახშირის მოპოვება გერმანიაში 15 მლნ. ტონით შემცირდა. ამავდროულად ყოველ ტონა მოპოვებულ ნავთობზე ირიცხებოდა პრემია, რომელიც იფარებოდა ნავთობის საბაზრო ფასსა და ქვეყანაში მისი მოპოვების ღირებულებას შორის სხვაობიდან. ამგვარი პოლიტიკა განაპირობა იმან, რომ დაეცა ნახშირის, როგორც საწვავის, როლი. ამავე პერიოდში დაიწყეს იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, საავიაციო, სარაკეტო-კოსმოსური და სხვა საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

გერმანიის ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპის ინტეგრაციამ, რაშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა 1950-იანი წლების შუახანებში. გერმანია იყო ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების, ხოლო 1957 წ. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის – „საერთო ბაზრის“ დამფუძნებელი.

„საერთო ბაზარი“ არის დასავლეთ ევროპის ერთერთი ძირითადი რეგიონული ინტეგრაციული ორგანიზაცია. ხელშეკრულებას მისი შექმნის შესახებ ხელი მოეწერა რომში (ე.წ. რომის ხელშეკრულება) 1957 წ. 25 მარტს, რომელიც 1958 წ. მაისში შევიდა ძალაში. გაერთიანდა ექვსი სახელმწიფო: გფრ, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი. 1967 წ. მოხდა მანამდე დამოუკიდებელი სამი ევროპული დაჯგუფების (ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, ევრატომი, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა) შერწყმა, რის შემდეგაც ამ ინტეგრაციულ გაერთიანებას ეწოდა ევროპის თანამშრომლობა. მოგვიანებით, 1993 წ. ნოემბერიდან მისი ოფიციალური სახელწოდებაა – ევროპული კავშირი. ამ კავშირის სახით პრაქტიკულად საფუძველი ჩაეყარა ერთიან ბაზარსა და სავალუტო კავშირს, ჩამოყალიბდა ძირითადი მმართველი სტრუქტურები. ევროკავშირის სრუ-

ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი.

დასავლეთევროპული დაჯგუფების მონაწილე ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების მოხსნამ ევროპაში გააადვილა კაპიტალის, სამუშაო ძალის და მზა პროდუქციის გადაადგილება, კორპორაციული კავშირების გაძლიერება „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების საწარმოებს შორის, ყოველივე ამან ხელი შეუწყო სხვა ქვეყნებთან გფრ-ის ეკონომიკური კავშირების გაფართოებას და მისი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

„საერთო ბაზრის“ შექმნის რამდენიმე წლის შემდეგ, 1960 წ. ამ გაერთიანებაში გფრ-ის ხვედრითი წილი ნახშირის ამოღებაში იყო – 61%, ფოლადის წარმოებაში – 47%, ექსპორტის მოცულობაში – 39%, იმპორტის კი – 35%. ამგვარად, გერმანიამ შეძლო წამყვანი ადგილი დაეკავებინა დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს შორის და სამრეწველო წარმოების და ექსპორტის მოცულობით მეორე ადგილზე გამოსულიყო მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ.

60-იან წლებში გფრ-ის სამრეწველო წარმოება მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობდა. ათწლეულში ეროვნული შემოსავალი გაორმაგდა, თუჯის წარმოება გაიზარდა 30,7%-ით, ფოლადის – 33, ალუმინის – 87,4, გოგირდმჟავას – 39,9, ელექტროენერგიის – 209%-ით. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა პლასტმასის წარმოება: იგი გაიზარდა 4,4-ჯერ, მსუბუქი ავტომობილების – 87%-ით, რადიომიმღებების – 65%-ით, ტელევიზორების – 34%-ით, ხოლო ბუნებრივი გაზის მოპოვება 1960 წ. 0,04 მლრდ. კუბ. მ-დან 12,6 მლრდ-მდე, ე.ი. 31,5 ათასჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია 1966-1967 წწ. პირველი ომისშემდგომი კრიზისი, რომელიც უპირატესად მრეწველობის ტრადიციულ დარგებს (ნახშირის მოპოვება, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი) შეეხო. 1968 და 1969 წწ. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები შესაბამისად გაიზარდა 11,8 და 12,8%-ით, ხოლო 1970 წ. კვლავ 6,7%-მდე შემცირდა.

60-იან წლებში გფრ-ის ეკონომიკური წინსვლა დიდად განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, საგარეო ბაზარზე ორიენტაციამ, ასევე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის გადიდებამ.

გფრ-ში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვა ხდებოდა რამდენადმე თავისებურად. სპეციფიკა ის იყო, რომ თავდაპირველად ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში, დანერგილი ტექნიკური სიახლე არ ეფუძნებოდა საკუთარ გამოგონებებს, არამედ აქტიურად იძენდნენ უცხოურ გამოგონებათა პატენტებსა და ლიცენზიებს. უფრო ხელსაყრელი იყო შემოეტანათ მოწინავე ტექნოლოგიები, ვიდრე დაეხარჯათ დიდი თანხები მათ ხელახლა გამოგონებასა და ექსპერიმენტებზე. ამგვარად დაზოგილი სახსრები კი კაპიტალდაბანდებათა სახით მიემართებოდა მეურნეობის ძირითადი ფონდების გაფართოებასა და განახლებისაკენ.

60-იანი წლების დასაწყისში გფრ-ში სხვა ქვეყნებთან შედარებით შენელდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობა, საჭირო გახდა ტექნიკური პროგრესის პოლიტიკის შეცვლა და მის ძირითად მიმართულებებზე ყურადღების გაძლიერება საკუთარ გამოკვლევებზე დაყრდნობით. სხვაგვარად გერმანიას ტექნოლოგიური ჩამორჩენის საფრთხე ემუქრებოდა. ამ მიზნით გაწეული ხარჯები 1960 წლიდან 1970 წლამდე 5,2-ჯერ გაიზარდა, რის შედეგადაც უცხოური ლიცენზიების წილი 70-იანი წლების დასაწყისისთვის შემცირდა და 1960 წ. 20%-ის ნაცვლად 14% შეადგინა.

გფრ-ის აღდგენითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ კაპიტალდაბანდებანი ძირითადად მიემართებოდა ნედლეულისა და მასალების მწარმოებელი დარგებისკენ. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო უცხოური, უმთავრესად კი ამერიკული, რომელიც ბანდდებოდა მრეწველობის იმ მოწინავე დარგებში (მანქანათმშენებლობა, ნავთობგადამმუშავებელი, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა), რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სახეს განსაზღვრავდნენ. საკმაოდ დიდი იყო ინგლისის ინვესტიციები ნავთობის და ქიმიურ მრეწველობაში.

მრეწველობის ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციის ინტენსიურმა პროცესმა განსაზღვრა შრომის ნაყოფიერების ზრდა, რაც 1960-იან წლებში 60%-ს უდრიდა.

გფრ-ის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. 1970 წ მზა პროდუქციის ექსპორტით გფრ-მა ჩამოიტოვა აშშ და გამოვიდა პირველ ადგილზე. 70-იანი წლების დასაწყისში „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებზე მოდიოდა ექსპორტის 47% და იმპორტის 53% ნაცვლად 1960 წ. შესაბამისად 39% და 35%-ისა. ამან საშუალება მისცა გერმანიას დაეკავებინა წამყვანი ადგილი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის.

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა. 60-ინ წლებში სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა ეკონომიკური განვითარების პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. ეკონომიკური მართვის ჩვეულებრივი სისტემიდან (საფინანსო, საკრედიტო და საგადასახადო) სახელმწიფო გადავიდა ზოგადსამეურნეო, დარგობრივი და რეგიონული დაგეგმვის პრაქტიკაზე, სამხედრო-სამეცნიერო კვლევის, განათლების, ჯანმრთელობის, სატრანსპორტო, ფასების კონტროლის და ა.შ. ხარჯების გათვალისწინებით.

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და საგარეო ბაზარზე კონკურენციამ გააქტიურა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი, რომელმაც გადააჭარბა ომამდელ დონეს. ქვეყანაში კვლავ განახლდა ძველი და წარმოიქმნა ახალი დაჯგუფებები, რომლებსაც ძველებურად სათავეში ედგა კრუპის, ფლიკის, ტისენის, მანესმანის და სხვათა კომპანიები.

70-იანი წწ. დასაწყისში ალუმინის გამოდნობის 76% და ქვანახშირის მოპოვების 76% იმყოფებოდა ამ დარგების ერთი მონოპოლიის ხელში. საავიაციო წარმოების თითქმის 100% და ქიმიურის 60% თავს იყრიდა 3 უმსხვილეს კონცერნში. საავტომობილო წარმოების დაახლოებით 100% იძლეოდა 5 კონცერნი. დიდად იაქტიურეს გერმანულმა ფირმებმა ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნაში, რომლებიც იქმნებოდა ცალკეული ქვეყნების ეროვნული ფირმების გაერთიანების

შედეგად. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა საბანკო სფეროში: 1957 წ. აღდგენილ იქნა დოიტჩბანკი და დრეზდენბანკი, ხოლო 1958 წ. – კომერცბანკი.

ამასთანავე ქვეყანაში შეინიშნებოდა სხვა პროცესებიც. ჯერ კიდევ 1952 წ., ერთერთი გერმანული კონცერნი „ი.გ. ფარბენინდუსტრი“ აიყო სამ ფირმად. ამავე დროს მსხვილმა კორპორაციებმა აქტიურად დაიწყეს გზების ძიება წვრილ და საშუალო ფირმებთან კოოპერაციისაკენ, რასაც გერმანიის ეკონომიკის გამყარება და ეფექტურობის ზრდა მოჰყვა.

ამრიგად გფრ-ის ომისშემდგომი პერიოდის ეკონომიკურ განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ორი პერიოდი: პირველი – 50-იანი წლები, როდესაც გფრ აღადგინა ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკა და მეორე ადგილი დაიმკვიდრა კაპიტალისტურ ეკონომიკაში აშშ-ის შემდეგ. მეორე – 60-იანი წწ., როდესაც შეინიშნებოდა მერყევი ზრდის ტემპებით განვითარების ტენდენცია, რამაც საბოლოოდ გამოიწვია გფრ-ის წილის შემცირება დასავლეთ ევროპის სამრეწველო წარმოებაში. 1970 წ. კი მას გაუსწრო იაპონიამ და მსოფლიოში სამრეწველო წარმოებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მხოლოდ სხვადასხვა, საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით და შეხამებით ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება შედარებით მაღალი ტემპების შენარჩუნებისათვის.

4. გფრ ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 70-80-იან წლებში

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელმა დასავლეთ გერმანულ ეკონომიკას 70-80-იან წლებში შესაძლებლობა მისცა რეალური წარმატებებისთვის მიეღწია, ამ ეტაპზე მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის ტემპების მერყეობა, გერმანიამ განვითარებულ ქვეყნებს შორის შედარებით მაღალი პოზიცია შეინარჩუნა. ამ პოზიციის სიმყარე განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მსოფლიო ეკონომიკის მკვეთ-

რი ვარდნის პერიოდში (1973-1975 წწ. და 1980-1982 წწ.), რომლებსაც დასავლეთის ყველა ქვეყანაში გამწვავდა ენერგოსანედლეულო (ე. წ. „ნავთობის შოკი“) და სავალუტო პრობლემები, დაიწყო ინფლაცია და მასობრივი უმუშევრობა, წარმოიშვა პრობლემები საერთაშორისო ვაჭრობაში.

გერმანიამ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა მცირე და საშუალო ბიზნესის მეშვეობით შეძლო. 1970-იანი წწ. შუახანებში ქვეყანაში იყო 1,9 მლნ. მცირე და საშუალო საწარმო, აქედან ძირითადი ნაწილი (1,7 მლნ.) წარმოადგენდა წვრილ ფირმებს (სადაც დასაქმებული იყო საშუალოდ 9 კაცი). 200 ათასი ითვლებოდა საშუალო საწარმოდ (40-დან 499 კაცამდე), ხოლო 3,6 ათასი იყო მსხვილი საწარმო (500-ზე მეტი მუშით). 1975 წლიდან სახელმწიფო მცირე და საშუალო კატეგორიის საწარმოებზე აწესებდა მნიშვნელოვან საფინანსო, საკრედიტო და საგადასახადო შეღავათებს. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა 1986-1988, 1990 წწ. საგადასახადო რეფორმებმა.

1969 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები. ეკონომიკურ პოლიტიკაში ეს ნიშნავდა სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას მაკროეკონომიკურ დონეზე. შეიმუშავეს გრძელვადიანი დაგეგმვის პრინციპები. დერჰარდის ნეოლიბერალური დოქტრინა ადგილს უთმობდა ნეოკეინსიანურს. ეს იყო საბაზრო მეურნეობის განსხვავებული მოდელი, სადაც შენარჩუნებული იყო კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მეწარმეების ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, კონკურენცია და ფასწარმოქმნის მოდერნიზაცია. შემოიღეს გრძელ და საშუალოვადიანი დაგეგმვის ახალი ელემენტები, რომლებიც დააჩქარებდნენ მქვეყანაში მუდმივ, თანმიმდევრულ ეკონომიკურ ზრდას.

1982 წ. ნოემბერში არჩევნებში გაიმარჯვეს ქრისტიან-დემოკრატებმა ჰელმუტ კოლის მეთაურობით, რომლებიც ქვეყანას 1998 წლამდე მართავდნენ. ამ პერიოდში გერმანიის ეკონომიკა კვლავ დაუბრუნდა ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას. მაგრამ უკვე ახალ პირობებში. 1983-1990 წწ. ქვეყნის ეკონომიკა განუხრელად იზრდებოდა. მას საფუძვლად ედო ინვესტიციების გადიდება, ექსპორტის გაფართოება და სხვა ფაქტორები.

მთლიანად 1970-იანი წწ. გრძელდებოდა აქტიური სტრუქტურული გარდაქმნები. გერმანიამ გააააქტიურა სამრეწველო საწარმოების გატანა საზღვარგარეთ (ძირითადად არარენტაბელური და ეკოლოგიურად საშიში საწარმოების). 1976 წ. ამ კატეგორიის ქიმიურ კომპანიებზე საზღვარგარეთული ინვესტიციების ხვედრითი წილი შეადგენდა მთელ კაპიტალდაბანდებათა 32,5%.

სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კაპიტალის ექსპორტმა. მთავრობა საგადამხდელო ბალანსის გათანაბრების მიზნით ასტიმულებდა კაპიტალის ექსპორტს, ასევე იღებდა ზომებს სავალუტო რეზერვების დაგროვებისათვის. 1970-იან წლებში კაპიტალის გატანის საერთო მოცულობა გაიზარდა 40 მლრდ. მარკამდე, რამაც შესაძლებლობა მისცა გერმანიას განემტკიცებინა თავისი პოზიციები მსოფლიო სავალუტო ბაზარზე. 1972 წლიდან დაწყებული 1979 წ. ბოლომდე მარკის კურსი იაპონიის იენთან შედარებით 44,8%-ით, საფრანგეთის ფრანკთან – 47,7%-ით, აშშ-ის დოლართან – 85,5%-ით და იტალიურ ლირასთან – 159,3%-ით გაიზარდა. დოიტჩმარკა უფრო ხშირად გამოიყენებოდა, როგორც საგადამხდელო საშუალება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

დასავლეთ ევროპასა და „საერთო ბაზარში“ გერმანიის ადგილისა და პოზიციების განმტკიცებაზე დიდი გავლენა მოახდინა სამრეწველო საქონლით თავისუფალმა ვაჭრობამ და ევროპის სავალუტო სისტემის შექმნამ.

ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა საგარეო მოთხოვნილების ზრდა. 1989 წ. წინა წლებთან შედარებით გფრ-ის ექსპორტი გაიზარდა 10%-ით, 1982 წ. ახალი პროდუქციის წილი მოძველებული ასორტიმენტის საქონელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. ექსპორტის ზრდამ გამოიწვია დადებითი სალდოს ზრდა ვაჭრობაში 1988 წ. 128 მლრდ.-დან 1990 წ. 148,5 მლრდ. მარკამდე. ვაჭრობის მოცულობის ზრდა შეინიშნებოდა ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებშიც, სადაც გფრ ყიდდა თავისი საქონლის

50%-ს. 1980-1990 წწ. გერმანიამ მსოფლიო ბაზარზე პირველად გაუსწრო იაპონიას საქონლის ექსპორტით; იგი წარმოადგენდა კლასიკური ექსპორტიორი სახელმწიფოს ნიმუშს და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში დაიკავა მეორე ადგილი აშშ-ის შემდეგ. გერმანია ითვლებოდა მსოფლიოში მზა პროდუქციის, სამრეწველო დანადგარების, ტექნოლოგიების და სხვ. უმსხვილეს ექსპორტიორად. მისი მზა პროდუქციის ექსპორტში ჭარბობდა ავტომობილები, ჩარხები, ქიმიური მრეწველობის ნაწარმი და ელექტროტექნიკა.

სტაბილურად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობაც. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში დაიწყო წარმოების ინდუსტრიული მეთოდების ათვისება, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მაღალეფექტური აგროსამრეწველო კომპლექსები, შეიქმნა მსხვილი გაერთიანებანი, რომელნიც უშუალოდ თვითონ აწარმოებდნენ პროდუქციას, ახდენდნენ მის გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას. წვრილი გლეხური მეურნეობანი ვერ უძლებდნენ კონკურენციას და კოტრდებოდნენ ან ერწყმოდნენ მსხვილ ფირმებს. ეს სისტემა უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ეფექტურობას. მოსავლიანობით მემცენარეობაში და პროდუქტიულობით მეცხოველეობაში გერმანია მაღალ დონეზე იდგა დასავლეთ ევროპაში.

1980-1990-იან წწ. დიდი ცვლილებები მოხდა გერმანიის სოფლის მეურნეობაში. ევროპის ინტეგრაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობა აჯილდოებდა სამეურნეო ბრუნვაში დაკავებული მიწის სავარგულების შემცირებისათვის. 1988/89 სასოფლო-სამეურნეო წელს მიწის ფართობი შემცირდა 165 ათასი ჰა-ით, 1989/90 წწ. – კიდევ 60 ათასით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში დაეცა 4,5%-მდე. მიუხედავად ამისა, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა ახალი სასუქებისა და მავნებლებისგან დაცვის საშუალებების, მცენარეების ახალი მაღალმოსავლიანი სახეების, ჯიშიანი პირუტყვის, მექანიზაციის და სხვ. მეშვეობით. 70-80-იან წლებში ხორცის წარმოება გაიზარდა 20%-ით, შაქრის ჭარხლის მოსავალი – 44,1%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 0,4%-

ით, ღორის – 10,6%-ით, ცხვრის – 27,9%-ით და ა.შ. გერმანიას შეეძლო კვების პროდუქტებზე მოთხოვნილების 3/4 დაეკმაყოფილებინა საკუთარი პროდუქტებით.

5. გფრ-ის და გდრ-ის გაერთიანება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემები

1980-იან წლებში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიაღწია ეკონომიკურ განვითარების მწვერვალს. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი (4,5%) ბოლო 14 წლის განმავლობაში მაქსიმალური იყო. 1980-იან წლებში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდამ საშუალო წლიური გაანგარიშებით შეადგინა 5,2%, მაგრამ უკვე 1991 წლის შუახანს გერმანიაში დაიწყო ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირება, ხოლო 1993 წ. დაეცა ომისშემდგომი ისტორიის ყველაზე დაბალ დონემდე. ეს ვარდნა ყველაზე მეტად აისახა საავტომობილო მრეწველობის წარმობაზე – 25%-ზე მეტით, მანქანათმშენებლობაზე – 13%-ით, ორგტექნიკის – 27%-ით, ელექტროტექნიკის წარმოებაზე – 10%-ით და სხვ., ე.ი. დაზარალდნენ დარგები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალს. შესამჩნევად გაუარესდა ვითარება შრომის ბაზარზეც: 1993 წ. თებერვალში არასრული სამუშაო დღით მომუშავე საწარმოების რაოდენობა 15 ათასამდე გაიზარდა. 1993 წ. ზაფხულში უმუშევართა რაოდენობამ მიაღწია 2,2 მლნ., ხოლო 1996 წ. – 3,1 მლნ. კაცს. ამაზე რთული მდგომარეობა ქვეყანაში იყო მხოლოდ 1929-1933 წწ. ეკონომიკური კრიზისის წლებში, თუ არ ჩავთვლით სამეურნეო კატასტროფას ომისშემდგომ პირველ წლებში.

ეკონომიკაში ნეგატიური მოვლენები გამოწვეული იყო სხვადასხვა, მათ შორის გლობალური ხასიათის, ფაქტორებით, ვინაიდან 1990-1992 წწ. არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში შეინიშნებოდა წარმოების სრულმასშტაბიანი ვარდნა. აღმოჩნდა, რომ მრავალ ქვეყანაში სახელმწი-

ფოს მიერ ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის გატარებული ღონისძიებები ვერ აუმჯობესებდა ვითარებას როგორც სოციალურ, წარმოების, ბიზნესის, ისე საბანკო სფეროში. ყველგან მიმდინარეობდა საინვესტიციო ნაკადების აბსოლუტური შემცირება, რაც განსაკუთრებით აისახა ახალ მშენებლობებზე. შემცირდა მსოფლიო საქონელბრუნვის მოცულობა, მათ შორის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნების შორის.

გერმანიაში ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია მთელმა რიგმა საშინაო ფაქტორებმა, მათ შორის აღსანიშნავია სხვადასხვა სახის საქონლის გასაღების ბაზრების დაკარგვა აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილ სსრკ-ში, გერმანული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაუარესება. მნიშვნელოვნად შემცირდა მსოფლიო ვაჭრობის ტემპი. მისი რეალური მოცულობა ძლივს გაიზარდა 3%-ით. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთშორის ვაჭრობა გაიზარდა მხოლოდ 2,2%-ით ნაცვლად 1990 წ. 5%-ისა.

გერმანიაში ეკონომიკური სიტუაცია გაართულა 1990 წ. დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებამ და ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნამ. გერმანიის გაერთიანება მოხდა მშვიდობიანი, დემოკრატიული, ანტიავტორიტარული მოძრაობის გზით, რომელიც გაიშალა გფრ-ში, საბჭოთა კავშირზე ზეწოლისა და ყველა იმ ქვეყნის მხარდაჭერით, რომელთა მეშვეობითაც შეიქმნა საერთო ევროპული გაერთიანება. გერმანიის ტერიტორია გაიზარდა 1/3-ით, მოსახლეობა კი 64-დან 80 მლნ.-მდე.

შემოერთებულ მიწებზე დაიწყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის გადაყვანა საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე. ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სახოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ინტეგრაციამ, პრაქტიკულად გადადგმული პირველივე ნაბიჯებიდან, გამოავლინა სერიოზული პრობლემები. მთავრობამ აღმოსავლეთ გერმანიაში შეიმუშავა მეურნეობის ტრანსფორმაციის შოკური ვარიანტი, რომელიც უდიდეს კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა. ეს ხარჯები მთლიანად დასავლეთ გერმანიას დააწვა, რამაც ქვეყანაში გამოიწვია სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები: ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალების ზრდა და უმუშევრობა.

საბაზრო ელემენტების დანერგვით განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაში აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ მიწების გერმანელები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდნენ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და დირექტიული ეკონომიკის პირობებში. 1991 წ. დასაწყისში მრეწველობის 69 დარგიდან 1989 წ. დონე ძლივს შეინარჩუნა სამმა. შემდეგში საწარმოების დახურვის, ან მათი წარმოების მოცულობის შემცირების ტენდენცია უკვე ზვავისებური პრინციპით ამოქმედდა. 1993 წ. შუალედში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის შემცირებამ 40%-ს მიაღწია. არნახულად გაიზარდა სავაჭრო დეფიციტი. მთლიანად ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ, სუსტმა ექსპორტის (1995 წ. – 83 მლრდ. მარკა) და გაზრდილი იმპორტის (1995 წ. – 311 მლრდ. მარკა) გამო 228 მლრდ. მარკა შეადგინა.

განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ვითარება აღმოსავლეთ გერმანიის შრომის ბაზარზე. თუკი აქ უმუშევართა რაოდენობა 1989 წ. შეადგენდა დაახლოებით 240-250 ათას კაცს, 1990 წ. ბოლოს იგი 1,4 მლნ.-მდე გაიზარდა. 1989 წ. სრულად დასაქმებულთაგან რეგულარული სამუშაო შეინარჩუნა მხოლოდ 45%, ე.ი. 100 დასაქმებულიდან ახალ ფედერალურ მიწებზე 55-მა დაკარგა თავისი ძველი სამუშაო ადგილი. ასაკოვანმა მოსახლეობამ საერთოდ დაკარგა სამუშაოზე დაბრუნების შანსი.

შემოერთებულ მიწებზე საბაზრო გარდაქმნები მოითხოვდა კოლოსალურ კაპიტალდაბანდებებს. ქვეყნის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ ისინი არ ელოდებოდნენ ამ ოდენობის ხარჯებს. ყოფილი გდრ გადაიქცა „შავ ხვრელად“ გაერთიანებული გერმანიისათვის. თუკი 1991 წ. ქვეყნის აღმოსავლეთმა „შთანთქა“ 140 მლრდ. მარკა, 1992 წ. ამ თანხამ 152 მლრდ.-ს, 1993 წ. კი – 182 მლრდ. მარკას მიაღწია, რის შედეგადაც გაერთიანებული გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1993 წ. დაგეგმილი 31,7 მლრდ. მარკის ნაცვლად 69 მლრდ. მარკა შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ვალი 1990 წ. 1039 მლრდ. მარკიდან 1993 წ. 1850 მლრდ. მარკამდე გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროცესი გასული საუკუნის მიწურულისთვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ყოფილი გდრ-ის ეკონომიკა კვლავ ჩამორჩებოდა გფრ-ის დონეს. გრძელდებოდა არარენტაბელური საწარმოების ლიკვიდაცია. მცირდებოდა სამუშაო ადგილები. მაგ.: 1996 წ. შუალედში უმუშევართა რაოდენობამ 4,2 მლნ. კაცს მიაღწია, ე.ი. მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 11,1%.

მიუხედავად ეკონომიკაში ნეგატიური ტენდენციებისა გფრ გაერთიანების შემდეგაც კვლავ რჩება ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად ეკონომიკურ თანამეგობრობაში და მისი მდგომარეობა თანდათანობით კიდევ უფრო უმჯობესდებოდა. გფრ ეკონომიკური წინსვლის მიზეზებია:

1. სამომხმარებლო მოთხოვნების მაღალი დონე;
2. დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი;
3. დასაქმებისა და ხელფასის ზრდა;
4. გერმანიის საშინაო ბაზრის ზრდა ხუთი ახალი ფედერალური მიწის შემოერთების შედეგად;
5. ექსპორტზე ორიენტირებული დარგების უპირატესი განვითარება.

ამგვარად, გფრ და გდრ კვლავ ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა ორი ეკონომიკური სისტემის შერწყმა ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

მიუხედავად შერწყმის შედეგად წარმოქმნილი კრიზისისა, ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებენ, რომ XXI ს მას შეუძლია დაიკავოს ღირსეული ადგილი მოწინავე ქვეყნებს შორის. შვეიცარიის განვითარების მართვის ინსტიტუტის შეფასებით XXI ს. 20-30-იან წწ. გერმანია აშშ-თან, იაპონიასთან და ჩინეთთან ერთად იქნება მოწინავე ქვეყანა, რამდენადაც იგი ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას და შეუძლია აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია, რომელზეც დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე, ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებს გაერთიანებული გერმანიისათვის.

თემა 24. იაპონიის გადაქცევა მსოფლიოს პირველ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის წლებში

მეორე მსოფლიო ომში იაპონია ჩაება 1941 წლის 7 დეკემბერს, როდესაც მოულოდნელად თავს დაესხა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზას ჰავაიში. იგი მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის მხარეს გამოდიოდა, პირველ რიგში დაიპყრო ფილიპინები, ბირმა, ინდონეზია, ვიეტნამი, ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ჰონკონგი და სხვა ტერიტორიები. თუმცა საზღვაო ტრანსპორტის სისუსტის გამო იაპონია დაპყრობილი ტერიტორიების ნედლეულის რესურსებს სრულად ვერ ითვისებდა. იაპონიის გემთმშენებლობა ვერ აკმაყოფილებდა ფლოტის მოთხოვნილებებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა იაპონიის მრეწველობის სანედლეულო ბაზა და გაძლიერდა მისი სამხედრო პოტენციალი.

ცხადი იყო, რომ იაპონიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი ვერ უზრუნველყოფდა ხანგრძლივ საომარ მოქმედებებს. მრეწველობა მუშაობდა გადატვირთულ რეჟიმში, მოწყობილობანი სწრაფად ცვდებოდა. ქვეყანა მწვავედ განიცდიდა სურსათის და ნედლეულის ნაკლებობას. მემარჯვენე წრეები გამოსავალს ხედავდნენ მეურნეობის მილიტარიზაციაში. წარმოება ვითარდებოდა ცალმხრივად, მხოლოდ სამხედრო დარგების ხარჯზე. სწრაფად იზრდებოდა სამხედრო ხარჯები, მისი წილი ეროვნულ შემოსავალში რამდენიმეჯერ გაიზარდა. ქვეყანაში გატარდა განსაკუთრებული ზომები: გადიდეს სამხედრო გადასახადები, იძულებითი შესყიდვები, სესხები, სახელმწიფო კონტროლი კრედიტებზე, ინვესტიციებზე, საშინაო ვაჭრობაზე, განსაზღვრეს ნაწარმის ნომენკლატურა და ა.შ. სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიე-

ბებმაც ვერ შეძლო იაპონიის ეკონომიკის დეგრადაციის თავიდან აცილება.

ომის წლებში იაპონიის მთავრობა ახორციელებდა „სამხედრო რეგულირების“ საგანგებო ზომებს. უპირატესობა ენიჭებოდა სამხედრო წარმოების დარგებს. 1942 წ. გამოიცა ბრძანება „საშუალო და წვრილ საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ“, რის შედეგადაც ლიკვიდირებულ იქნა 250 ათასი საწარმო, დაჩქარდა წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია, აღმოცენდა მსხვილი კომპანიები, რომლებმაც ომის წლებში უზარმაზარი მოგება მიიღეს.

ომის წლებში გაღრმავდა იაპონიის ეკონომიკის განვითარების უთანაბრობა. გაიზარდა მძიმე მრეწველობის ხვედრითი წილი, 1942 წ. მან შეადგინა 72%. 1945 წ. ბამბის ქსოვლების წარმოება 1941 წელთან შედარებით დაეცა 25-ჯერ, ამცირებდნენ თითისტარების, საფეიქრო დაზგების და მსუბუქი მრეწველობის სხვა მოწყობილობათა რაოდენობას, რის შედეგადაც 1944 წ. თითისტარების რაოდენობა 9-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1936 წ. იაპონიის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1945 წ. ბოლოს შეადგენდა 1935-1937 წწ. 14%-ს, ხოლო სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ შეადგინა შესაბამისი პერიოდის საშუალოწლიური დონის 28,5%. 1948 წელს ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგაც კი, როდესაც დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა მიუახლოვდა ომამდელ დონეს, სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ იაპონიაში 1938 წ. დონესთან შედარებით შეადგინა 52%, თუჯის წარმოება შემცირდა 9-ჯერ, ფოლადის – 6,5-ჯერ, გემშენებლობის პროდუქციის გამოშვება – 7-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილის – 7,5-ჯერ და ა.შ. თუ ომის წინ იაპონიის წილად მოდიოდა კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოების 4,8%, 1947 წ. იგი 1,3%-მდე დაეცა. 1945 წ. ბოლოს მუშათა რეალურმა ხელფასმა შეადგინა ომამდელზე 13%-ით ნაკლები. ომის შემდგომ სამხედრო წარმოების გაჩერების, არმიისა და ფლოტის დემობილიზაციის, ყოფილი კოლონიებისა და ოკუპირებული ტერიტორიების დატოვების შემდეგ იაპონიაში უმუშევრობა მასობრივი გახდა და 10 მლნ. კაცს მიაღწია.

ომმა მოითხოვა უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რაც საკუთარი და დაპყრობილი ხალხების ძარცვით იფარებოდა. შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება და 1945 წ. ომამდელის მხოლოდ ნახევარი შეადგინა, რის გამოც ქვეყანაში წარმოიქმნა სასურსათო დეფიციტი. სისტემატურად იზრდებოდა მიმოქცევაში არსებული ფულის მასა და 1944 წ. მიაღწია 19 მლრდ. იენს 1937 წ. 2,5 მლრდ.-ის ნაცვლად. ფასები გაიზარდა მოხმარების საქონელზე. გლეხებს აიძულებდნენ პროდუქტები ჩაებარებინათ დაბალ ფასებში. მოსახლეობა შიმშილობდა. სამხედრო ქარხნებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა 15 საათს აღწევდა გამოსასვლელი დღის გარეშე. რეალური ხელფასი ომამდელის მხოლოდ ნახევარს შეადგენდა.

ამას ისიც დაემატა, რომ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს აშშ-მა განახორციელა იაპონიის ქალაქების – ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა, რამაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა იაპონიას. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას, რითაც საბოლოოდ დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. იაპონიას შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში დაწყებული ომი ძვირად დაუჯდა. მან დაკარგა 2 მლნ. კაცი, ასეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა და სამუდამოდ დასახიჩრდა ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური დაბომბვის შედეგად. იაპონიისათვის დიდი დარტყმა იყო წინა ათწლეულის მანძილზე მიტაცებული ყველა ტერიტორიის დაკარგვა. ამან გამოიწვია ნედლეულის, საწვავის, სურსათის და სხვა კოლონიური საქონლის მოწოდების შეწყვეტა, რომელზედაც იყო უმეტესწილად დამოკიდებული. საწარმოთა დიდი ნაწილი გაჩერდა, იაპონური საქონელი მთლიანად იქნა გამოძევებული მსოფლიო ბაზრიდან.

2. იაპონიის ეკონომიკის ომისშემდგომი პირველი ათწლეულის რეფორმები

მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებებისგან მისი საწარმოო-ტექნიკური ბაზა შედარებით ნაკლებად დაზარალდა, იაპონიის ეკონომიკა ვარდნას განიცდიდა, ვინაიდან ომის წინ

და ომის დროს მთელი ეკონომიკა მიმართული იყო არმიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში თითქმის მთლიანად გაჩანაგდა მსუბუქი მრეწველობა. იგი პრაქტიკულად ხელახლა უნდა შექმნილიყო.

სამხედრო მოქმედებების დამთავრების შემდეგ, იაპონია ოკუპირებულ იქნა ამერიკელი მეომრების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ მოკავშირე ქვეყნების სახელით. უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში გადავიდა აშშ-ის საოკუპაციო არმიის ხელში გენერალ დ. მაკარტურის მეთაურობით.

მოკავშირე ქვეყნების ომისშემდგომი პოლიტიკის საფუძველზე 1945 წ. 26 ივლისის პოტსდამის დეკლარაციაში განისაზღვრა იაპონიის მიმართ დამოკიდებულება. იგი მიზნად ისახავდა იაპონიის მილიტარიზმის საბოლოო ლიკვიდაციას, იაპონიის საზოგადოებაში დემოკრატიული ტენდენციების აღდგენასა და დამკვიდრებისათვის დაბრკოლებების მოხსნას, სიტყვის, სარწმუნოების და აზროვნების თავისუფლების დამყარებას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და პატივისცემას.

აშშ იაპონიის დემილიტარიზაციის პოლიტიკას ამერიკული სტანდარტებით ახორციელებდა. თავის მხრივ იაპონიის მემარჯვენე წრები, ეშინოდათ რა რომ კაპიტულაციას არ გამოეწვია რევოლუცია ქვეყანაში, ცოტახნის წინ თავის მტერ – აშშ-ს შეუკავშირდნენ და მათი სახით პოტენციურ დამხმარეებს ხედავდნენ. ასეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებამ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში რიგი ღონისძიებანი განახორციელა.

თავდაპირველად იაპონიის მონოპოლიები ეწინააღმდეგებოდნენ ეკონომიკის აღდგენას, ვინაიდან შიშობდნენ, რომ შესაძლებელი იყო მომხდარიყო მოქმედი საწარმოების დემონტაჟი რეპარაციების ანგარიშზე. ხურავდნენ ფაბრიკებს და ქარხნებს არარენტაბელობის, ნედლეულის უქონლობის, სახსრების უკმარისობის და სხვა მიზეზით. ომისშემდგომი ორი წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოებამ ვერ გადააჭარბა ომამდელის 1/3-ს.

აშშ-მა იმის გამო, რომ იაპონიის ოკუპირებისთანავე არ იზრუნა მისი ეკონომიკის აღდგენაზე, სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების აღმოცენების შედეგად იძულებული გახდა იაპონიისათვის ეკონომიკური დახმარება აღმოეჩინა. აშშ-მა დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის ეკონომიკურ, საშინაო და პოლიტიკურ განვითარებაზე. ამ პერიოდში ნაკლებად იყო სავარაუდო, რომ იაპონიას თვითონ გადაეწყვიტა რთული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები.

აუცილებელი იყო საფუძლიანად დამუშავებულიყო ქვეყნის მომავალი განვითარების პრინციპულად ახალი სტრატეგია. უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ მეურნეობის დანგრეული სტრუქტურის აღდგენა, არამედ მისი გადაიარაღება ახალ ტექნიკურ ბაზაზე. ამერიკელთა გეგმით რეორგანიზებულ იქნა მთავრობა, რომლის დახმარებითაც საოკუპაციო ხელისუფლებამ შეძლო განეხორციელებინა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ღონისძიებანი, ქვეყნის დემილიტარიზაცია და ტოტალური სამხედრო კონტროლიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

სერიოზული ცვლილებები განიცადა მრეწველობამ. აშშის უშუალო ჩარევით 1947-1948 წწ. ლიკვიდირებულ იქნა „ძაიბაცუ“, „მიცუი“, „მიცუბისი“, „სუმიტომო“, „იასუდა“ და სხვ. მონოპოლიები, ხოლო მათი აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები გაიყიდა იქ მომუშავეებზე. გიგანტი სავაჭრო-სამრეწველო კომპანიების კონტროლიდან გამოვიდნენ დიდი რაოდენობით ფირმები, რომლებიც მკაცრ მონოპოლურ სტრუქტურას აღარ ექვემდებარებოდნენ.

1947 წ. ძალაში შევიდა ანტიმონოპოლური კანონი, რომელიც კრძალავდა სამრეწველო კარტელების შექმნას, დაწესდა კონტროლი ფირმების შეერთებაზე, შეიზღუდა ერთმანეთის აქციების ხელში ჩაგდება. შემოიღეს თავისუფალი სავაჭრო გარიგებები, ქვეყნა მეწარმისათვის ხელმისაწვდომი გახდა დაფინანსების კერძო წყაროები. ქვეყანური ეს კი ხელს უწყობდა საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

ღონისძიება ძაიბაცუს ლიკვიდაციის შესახებ განიხილებოდა, როგორც სამართლიანი კონტრღონისძიება იმ სამრეწველო მაგნატების მიმართ, რომლებიც იყვნენ საომარი აგრესიის სულისჩამდგმელები. ამერიკელებისთვის კი ეს იყო ნაბიჯი მსოფლიო ბაზარზე პოტენციური ეკონომიკური მო-

წინააღმდეგის დასუსტებისაკენ, თუმცა უმსხვილესმა ძაიბაცუმ მაინც შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური და საფინანსო ბაზა. მსხვილი ბანკები დარჩა ხელშეუხებელი, რამაც რამდენიმე წლის შემდეგ მათ აღორძინებისა და დაკარგული პოზიციების აღდგენის შესაძლებლობა მისცა.

1947-1950 წწ. იაპონიაში გაატარეს აგრარული რეფორმა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, ვინაიდან იაპონიაში კვლავ არსებობდა ფეოდალური გადმონაშთები, მემამულეებს ეკუთვნოდათ სახნავის 40%, საძოვრების და ტყეების 2/3, მოიჯარე და ნახევრადმოიჯარე იყო გლეხთა 70%.

1946 წ. კანონით ქალაქში მცხოვრებ მემამულეებს, რომელთაც იჯარით ჰქონდათ მიწები გაცემული, ვალდებულნი იყვნენ გაეყიდათ ეს მიწები, ხოლო სოფელში მცხოვრებ მემამულეებს უნდა გაეყიდათ მიწის ზედმეტი ნაწილი. ამრიგად მიწის ჭარბი ნაწილი, რომელიც გაიცემოდა იჯარით, მიყიდათ მოიჯარეებს. რის შედეგადაც 1946-1950 წწ. იჯარით გაცემული სახნავის ფართობი შემცირდა 46-დან 9,3%-მდე. მიწის მესაკუთრე გლეხთა რაოდენობა გაიზარდა 1,9 მლნ.-დან 3,8 მლნ.-მდე, ხოლო მოიჯარეთა რაოდენობა 5-ჯერ შემცირდა. ამასთანავე სახელმწიფომ შეისყიდა მემამულეებისაგან მიწის დაახლოებით 1/3, შეიქმნა სახელმწიფო მიწის ფონდი, შემდეგ კი ეს მიწები ცალკეულ ნაკვეთებად შედარებით დაბალ ფასებში გაიყიდა გლეხებზე (კუნძულ ჰოკაიდოზე – 12 ჰა). თუმცა მრავალ ყოფილ მოიჯარეს ამ დაბალი გამოსასყიდი თანხის გადახდაც არ შეეძლო, რის შედეგადაც მემამულეთა მიწის საკმაოდ დიდი რაოდენობა სოფლის მცხოვრებთა მდიდარი ნაწილის ხელში აღმოჩნდა. წვრილ გლეხებს აჩანაგებდა მსხვილი კულაკური მეურნეობების კონკურენცია, რომელთა ხელში თანდათან გადადიოდა გაჩანაგებული გლეხების მიწები.

კანონით შეზღუდვები მოიხსნა მიწათმფლობელობის ზომაზე. გაუქმდა სახელმწიფოს კონტროლი მიწის ფასზე. დარჩა საშუალო და მსხვილ მიწათმფლობელთა ფენა. მიმდინარე აგრარული რეფორმა არ შეხებია მემამულეთა საკუთრებას ტყეებზე, საძოვრებსა და საირიგაციო ნაგებობებზე.

აგრარული რეფორმის გატარებისას მხედველობაში არ მიიღეს სოფლის მეურნეობის იმ დაქირავებული მუშების (მოიჯარეების) ინტერესები, რომელთაც ადრე არ შეეძლოთ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები, ამიტომ მათთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა არ იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, 1950 წ. გლეხთა მფლობელობაში გადავიდა მთელი სახური მეურნეობა, რომელიც ბაზარზე იყო ორიენტირებული. ამან გამოიწვია მდიდარ გლეხთა ფენის შექმნა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი. მემამულეების ფენა ფაქტიურად აღარ არსებობდა.

ამრიგად, ამ პერიოდში გატარებულმა აგრარულმა გარდაქმნებმა დაასრულა ის პროცესი, რომელიც დაიწყო მეიძის რევოლუციის დროს. რეფორმამ მართალია, ვერ მოსპო მცირემიწიანობა და უმიწობა, მაგრამ მან ხელი შეუწყო სოფლად სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებას, გლეხთა დიფერენციაციას, მიწების გადასვლას ბურჟუაზიისა და კულაკების ხელში. აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საწარმოო ძალთა განვითარება. ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, რომელმაც „მცირე მექანიზაციის“ ფორმა მიიღო. თანდათან გავრცელდა მცირე ელექტროძრავები, შიდაწვის ძრავები, ბაღ-ბოსტნის ხელის ტრაქტორები, თვითმავალი კულტივატორები, ხელის კულტივატორები და სხვ.

ამერიკის ხელისუფლება ხელს უწყობდა რეფორმების გატარებას სოციალურ სფეროში. 1946-1947 წწ. მიიღეს ახალი შრომითი კანონმდებლობა, რომლითაც დაწესდა რვასაათიანი სამუშაო დღე, რაც იაპონიისათვის უდიდესი მიღწევა იყო. ნორმის ზევით მუშაობა ნახლაურდებოდა დამატებითი ნიხრით. ყველა მშრომელისთვის დააწესეს ფასიანი შვებულება და სოციალური დაზღვევა, შემოიღეს ქალების და მოზარდების შრომის დაცვა. მიიღეს კოდექსი შრომის შესახებ, სამრეწველო საწარმოებში ლეგალიზებულ იქნა პროფკავშირები, მშრომელებს მისცეს გაფიცვის უფლება და სხვ. ამგვარმა რეფორმებმა შეხლუდა მეწარმეთა თვითნებობა, აიძულებდა მათ ეძიათ გზა ახალი ტექნიკის დასანერგად.

1946-1947 წწ. ამერიკის ადმინისტრაციის დახმარებით მომზადდა და 1947 წ. 3 მაისს ძალაში შევიდა იაპონიის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც იაპონია აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურ საპარლამენტო მონარქიად გადაიქცა. ახალი კონსტიტუციით იმპერატორის სტატუსი საფუძვლიანად შეიცვალა, აბსოლუტური მონარქიდან იგი გადაიქცა ერის ერთიანობის სიმბოლოდ და ფაქტიურად მოკლებული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებას. კონსტიტუციით იაპონელი ხალხი სამუდამოდ უარს ამბობდა ომზე, ასევე მუქარაზე და საერთაშორისო დავის გადასაწყვეტად შეარაღებული ძალების გამოყენებაზე, უარი თქვა შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე. გათვალისწინებული იყო თავდაცვის ძალების შექმნა, რომელთა შესანახად გამოიყოფოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის 1%-მდე. კონსტიტუციით განისაზღვრა ძირითადი დემოკრატიული უფლებები, მათ შორის არჩევნების უფლება, ქალთა თანასწორუფლებიანობა და ა.შ. ყველა ამ ღონისძიებამ დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის მომავალზე, კერძოდ მისი ეკონომიკის განვითარებაზე.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ აშშ-მა დაიწყო იაპონიის მიმართ ახალი პოლიტიკის გატარება სახელწოდებით „შებრუნებული კურსი“ („დოჯის ხაზი“). 1949 წ. საოკუპაციო ხელისუფლება შეუდგა იაპონიის „ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმის“ უზრუნველყოფას. გეგმის შედგენას ხელმძღვანელობდა საოკუპაციო ჯარების შტაბის მთავარი მრჩეველი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში, ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი, დეტროიტის ბანკის პრეზიდენტი დ. დოჯი. მან დაამუშავა დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, გათვალისწინებული იყო მკვეთრი, 62%-იანი ზრდა, დაბრუნებელი სახელმწიფო სუბსიდიების შეცვლა კომერციული საბანკო კრედიტით, ხელფასის სტაბილიზაცია, ფასებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება.

ცვლილებები მოხდა ამერიკული ეკონომიკური დახმარების სისტემაშიც. შეიქმნა ე.წ. „ექვივალენტური ფონდი“, რომელიც შეივსებოდა იაპონიაში ამერიკული საქონლის გაყიდვისაგან და რომელიც ადრე დახმარების სახით მიეწოდებოდა. ამ ფონდიდან კრედიტდებოდა იაპონიის კომპანიები საოკუპაციო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ვაჭრობის დაბალანსების მიზნით მიღებულ იქნა ზომები იაპონიის ექსპორტის გასაფართოებლად, ისეთი საქონლისაც კი, რომელიც თვით იაპონიას არ ჰყოფნიდა. დაწესდა გაცვლის მყარი კურსი, რომლის მიხედვითაც 360 იენი შეესაბამებოდა 1 აშშ დოლარს.

„ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმა“ ითვალისწინებდა იაპონიის თანდათანობით გადაქცევას მოწინავე ქვეყნად – „აზიის სახელოსნოდ“.

1949 წ. გატარდა საგადასახადო რეფორმა. საერთოდ გადასახადები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ მოხდა მათი დიფერენცირება – კორპორაციებზე გადასახადები შემცირდა ძირითადი კაპიტალის ღირებულების გადაფასების გზით, გაუქმდა ზემოგებაზე გადასახადები მშრომელთა გადასახადების გაღიდების ხარჯზე. ეს ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს კაპიტალის სწრაფი დაგროვებისათვის და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის, რომელიც შეზღუდული იყო დაბალი მსყიდველობითი მოთხოვნილებით, ვინაიდან იაპონიის მუშის ხელფასი ომისშემდგომ პირველ წლებში 508-ჯერ ნაკლები იყო დასავლეთ ევროპის და ამერიკის მუშების ხელფასზე. დოჯის რეკომენდაციით იაპონიის მთავრობამ დაიწყო ადმინისტრაციული აპარატის მოწესრიგება და საწარმოების მართვის რეორგანიზაცია, 1949 წ. შეამცირეს 0,5 მლნ. მოხელე. შეიზღუდა პროფკავშირების უფლებები სამუშაო ადგილების შემცირების დროს და მათი მოქმედების თავისუფლება საწარმოებში.

დ. დოჯის რეკომენდაციით 1950 წ. იაპონიაში გატარდა საბიუჯეტო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა უდეფიციტო ბიუჯეტზე გადასვლას. შეწყდა საკომპენსაციო თანხების გაცემა სამხედრო ქარხნების კონვერსიისათვის, ასევე ზარალიანი საწარმოების უსასყიდლოდ სუბსიდირება. მიღებულ იქნა ერთიანი ფიქსირებული სავალუტო კურსი (ჯერ კიდევ არაკონვერტირებული იენი); იაპონიის ყველა საწარმოს და ბანკს მიეცა საგარეო ბაზარზე ოპერაციების ჩატარების უფლება. თანდათანობით შეჩერდა ინფლაცია, მის კვალდაკვალ მოიხსნა ფასებზე კონტროლი, რაც საბაზრო ეკონომიკაზე სრულ გადასვლას ნიშნავდა.

კორეის ომმა, რომელიც დაიწყო 1950 წ. ივნისში, დიდი როლი ითამაშა იაპონიის ეკონომიკის აღდგენაში. იგი უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ ომში. სამხედრო მოქმედებების პერიოდში გახდა ამერიკის არმიის ზურგი. ომის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება შეიარაღებასა და სამხედრო მასალებზე, სამხედრო გადაზიდვებსა და მომსახურებაზე, სურსათზე და სხვ., რომელმაც განაპირობა სამხედრო-სამრეწველო აღმავლობა და იაპონიის მთელი ეკონომიკის გამოცოცხლება. 1950-1953 წ. ამერიკის სამხედრო შეკვეთებიდან შემოსავლებმა მიაღწია 2,5 მლრდ. დოლარს, რამაც შესაძლებლობა მისცა იაპონიას დაეფარა საგარეო სავაჭრო დეფიციტი და გაეფართოებინა საწყლულო რესურსების იმპორტი. ამერიკის სამხედრო შეკვეთების შესასრულებლად სრულად ამოქმედდა იაპონიის მრეწველობის ომისშემდგომი სიმძლავრეები, რომელიც აშშ-ის მეოხებით შენარჩუნდა, ვინაიდან მან უარი განაცხადა იაპონიის სამრეწველო მოწყობილობათა სარეპარაციო კონფისკაციაზე. მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვა მრეწველობასა და საგარეო ვაჭრობაზე, რომელიც დაუწესდათ კაპიტულაციის შემდეგ. დიდი ყურადღება დაეთმო იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას. საჭირო იყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, რომ გათანაბრებოდა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს. მაგრამ ვინაიდან იაპონია სუსტად იყო უზრუნველყოფილი საკუთარი ბუნებრივი რესურსებით, საჭირო იყო იმპორტშემცვლელი ტექნოლოგიების საფუძველზე გადამამუშავებელი დარგების შექმნა. თუ 1950-იან წწ. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა მეტალურგია, ჰიდროენერგეტიკა, ბემთმშენებლობა, 1960-იან წწ.-დან პრიორიტეტული გახდა საავტომობილო და ნავთობქიმიური მრეწველობა.

1949-1950 წწ. იაპონიის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1,5-ჯერ გაიზარდა და ომამდელ დონეს გადააჭარბა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1950-1954 წწ. 10-ჯერ აჭარბებდა 1945-1949 წწ. დონეს. იაპონიის სამრეწველო ბაზა კი ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კვლავ ჩამორჩებოდა. ჩარხების 70%-ზე მეტი 10 წლის და მეტის იყო, ქვეყანას არ ყოფნიდა საკუთარი სურსათი.

1951 წ. 8 სექტემბერს სან-ფრანცისკოში აშშ-მა და იაპონიამ დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელზეც ხელი 48 ქვეყანამ მოაწერა. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლით (1952 წ. აპრილი) ოფიციალურად დასრულდა იაპონიის ამერიკული ოკუპაციის ხანა.

ხელშეკრულებასთან ერთად იაპონიამ და აშშ-მა ხელი მოაწერეს ე.წ. უშიშროების პაქტს, რომლითაც შენარჩუნდა იაპონიის ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაცია იმ გაგებით, რომ გააფართოეს ამერიკული სამხედრო ბაზები, რომელსაც იაპონია ინახავდა. ამრიგად, ამერიკამ მიიღო უფლება იაპონიაში განუსაზღვრელი ვადით ჰყოლოდა თავისი ჯარები. ამ დათმობის სანაცვლოდ კი იაპონიას მნიშვნელოვნად შეუმცირდა სარეპარაციო თანხები.

იაპონიის ეკონომიკის აღდგენის პროცესი ძირითადად 1953 წ. დამთავრდა, სამრეწველო წარმოებამ 1938 წელს არსებულ დონეს მიაღწია, გერმანიაში ეს მოხდა 1951 წ., ხოლო იტალიაში 1948 წ. იაპონია კვლავ საშუალო განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გადაიქცა.

1952 წ. მსხვილი კორპორაციების საქმიანობაზე თითქმის ყველა შეზღუდვა მოხსნეს, რომლებიც დაწესდა ომის დამთავრებისთანავე. კვლავ ეკონომიკურ ლიდერებად იქცნენ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები „მიცუბიში“, „სუმიტომო“, „მიცუი“, „ფუძი“ და სხვ. მაგრამ ნაკლებად გავდნენ წინანდელ ძაიბაცუს, ვინაიდან ისინი უკვე სრულიად ახალი, მსოფლიო სტანდარტებით შექმნილ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. იმავე წელს იაპონია გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ხოლო 1955 წ. – ტარიფების და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებაში.

ამრიგად, მიიღო რა დამოუკიდებლობა ამერიკის საოკუპაციო ადმინისტრაციისაგან, იაპონიის მთავრობამ უმოკლეს დროში წარმატებით გააკეთა ეკონომიკური განვითარების შემდგომი მიმართულების არჩევანი. არჩეული მიმართულების წარმატების დასტურია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები 50-იანი წწ. მეორე ნახევარში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ომისშემდგომი რეფორმებით დაიწყო იაპონიის ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ახალი ეტაპი, მისი გადაქცევა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანად.

3. იაპონიის გადაქცევა მსოფლიოს წამყვან ქვეყნად

50-იანი წწ მეორე ნახევარში იაპონიის ეკონომიკა არნახულად სწრაფი ზრდის ფაზაში შევიდა. ამ პერიოდმა „იაპონიის ეკონომიკური სასწაულის“ სახელწოდება მიიღო. ეს უპირველესად დაკავშირებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპთან, რამაც 1951-1970 წწ. საშუალოდ წელიწადში შეადგინა 15,2% (ამავე პერიოდში გფრ-სა და იტალიაში იგი უტოლდებოდა 7,4%, საფრანგეთში – 6,2%, აშშ-ში – 4%, ინგლისში – 3%). 1961-1970 წწ. ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა 11% (საფრანგეთში – 5,8, იტალიაში – 5,6, გფრ-ში – 4,9, აშშ-ში – 4,1, ინგლისში – 2,8). ეროვნული პროდუქტის მოცულობით 1969 წ იაპონია კაპიტალისტურ მსოფლიოში გადმოვიდა მეორე ადგილზე აშშ-ის შემდეგ. გამუდმებით იზრდებოდა იაპონის მრეწველობის წილი მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში: 1950 წ. 1,7%-დან 1970 წ. – 10,1%-მდე. 1970 წ. მსოფლიო ექსპორტში მან დაიკავა მეოთხე ადგილი და მის წილად 7% მოდიოდა. იაპონიამ მსოფლიოს ყველა ქვეყანას გაუსწრო კაპიტალის დაგროვებით და გამოვიდა პირველ ადგილზე. 1968 წ იაპონიაში ძირითად კაპიტალზე ინვესტიციებმა შეადგინა ერთობლივი პროდუქტის 34,7%, აშშ-ში კი – 14%.

მთელი მსოფლიოს ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერება დღემდე ცდილობს ობიექტურად გაანალიზოს და დაადგინოს ამ ფენომენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და განსაზღვროს შესაძლებელი რეცეპტები სხვა ქვეყნებში იაპონიის გამოცდილების გამოსაყენებლად. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იაპონიის ეკონომიკის სწრაფი ზრდის ფაქტორები.

იაპონიის განვითარების ტემპები და მიღწევები უპირველესად შეიძლება აიხსნას შედარებით დაბალი სასტარტო დონით, საიდანაც დაიწყო სამრეწველო წარმოების ზრდა.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორებიდან ომისშემდგომ პირველ ათწლეულში შეიძლება დასახელდეს ზოგადად ხელსაყრელი ვითარება: ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერული კვლევა, სანელეულო რესურსებზე ფასების შედარებით დაბალი დონე. ამავე დროს სამრეწველო პროდუქციის ფასები დარჩა მნიშვნელოვნად მაღალი.

ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად იაპონიამ აირჩია პროტექციონისტული პოლიტიკა. სახელმწიფომ სამამულო წარმოებისათვის შექმნა მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები. მასში შედიოდა შეღავათიანი კრედიტები („დაბალი პროცენტით“), დოტაცია სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მაღალი საბაჟო ტარიფები მზა ნაწარმის შემოტანაზე, შეღავათიანი პირობები უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტზე, საგარეო კაპიტალდაბანდებათა შეზღუდვა, დემპინგი საგარეო ვაჭრობაზე და სხვ.

სახელმწიფომ დაუშვა შექმნილიყო უმსხვილესი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები, რითაც საშუალება მიეცა საწარმოებს მოკლე დროში გამოეშვათ კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქცია, კერძოდ, ავტომობილები. თუ ომის შემდგომ პირველ წლებში იაპონია თითქმის არ უშვებდა მსუბუქ ავტომობილებს, რამდენიმე წლის შემდეგ მან წამყვანი პოზიციები დაიკავა მსოფლიო ბაზარზე. 1959-1969 წწ. მისი წარმოება გაიზარდა 33-ჯერ, რამაც საშუალება მისცა იაპონიას გამხდარიყო მსოფლიოში მეორე ავტომობილმშენებელი ქვეყანა, აშშ-ის შემდეგ. 1970-იანი წლების დასაწყისში ფირმა „ტოიოტა მოტორსის“ ავტომობილების წილმა აშშ-ის ბაზარზე შეადგინა 16%. მაშინაც კი, როდესაც იაპონიის საავტომობილო მრეწველობა მყარი გახდა, საზღვარგარეთული ინვესტიციები კვლავ მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. გატარდა პოლიტიკა, რომელიც კერძო ინიციატივას და სახელმწიფო რეგულირების სისტემას ერთმანეთს უთანხმებდა, ამაში თვალსაჩინო იყო საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს როლი, რომელიც საგანგებოდ შეიქმნა 1953 წ. წარმოების განახლებისა და ექსპორტის გაფართოების სტიმულირებისათვის.

იაპონიის ეკონომიკური ზრდის ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორია შედარებით იაფი სამუშაო ძალა. იაპონიის მრეწველობაში დასაქმებული მუშის ხელფასი 1950-იანი წწ. ბოლოს 7-ჯერ, ხოლო 1960-იან წწ. ბოლოს იყო 4-ჯერ დაბალი

ვიდრე ამერიკაში. ხელფასზე ხარჯის წილი იაპონიის საერთო ხარჯებში 3-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში. მაგრამ მეორე მხრივ, 1960-იან წწ. იაპონიაში ნომინალური ხელფასი ყოველწლიურად საშუალოდ 12,5%-ით იზრდებოდა, ხოლო სამომხმარებლო ფასები კი – 5,9%-ით, რამაც წელიწადში რეალური ხელფასის 6,6%-ით, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა – 11%-ით ზრდა გამოიწვია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იაპონელები მხარს უჭერდნენ ხელისუფლების მიერ არჩეულ კურსს, რადგან მათ იცოდნენ, რომ ზოგადსახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელება მათი ცხოვრების გაუმჯობესებას უზრუნველყოფდა.

ეკონომიკის სწრაფ განვითარებას ბიძგი მისცა მზარდმა მასობრივმა სამომხმარებლო მოთხოვნილებამ, რომელსაც მძლავრი უკუქმედება ჰქონდა წარმოების სფეროზე, რაც იაპონიის ბიზნესს საშუალებას აძლევდა აენაზღაურებინა თავისი დანახარჯები და მაღალი მოგებაც მიეღო. 1950-1970 წწ. იაპონია კაპიტალდაბანდებათა სიდიდით 2,6-ჯერ უსწრებდა ინგლისს, საფრანგეთსა და გფრ-ს, ხოლო 4-ჯერ აშშ-ს. ამან კი ქვეყანას მისცა შესაძლებლობა დაეჩქარებინა საწარმოთა მასობრივი განახლება და ამ მხრივ გაესწრო ძირითადი კონკურენტებისათვის.

იაპონიის ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა იმან, რომ ქვეყანას არ ჰქონდა უფლება თავდაცვაზე დაეხარჯა ეროვნული პროდუქტის 1%-ზე მეტი. სახელმწიფოსათვის, რომელიც თითქმის 100 წ. მანძილზე ტრადიციულად უდიდეს სახსრებს ხარჯავდა არმიაზე, ხარჯვის ეფექტორის ამგვარმა მკვეთრმა შემობრუნებამ ანტისაომარი სტრატეგიისაკენ, უდიდესი გავლენა იქონია, რამდენადაც ეს იწვევდა მაღალი ტემპით კაპიტალის დაგროვებას. წარმოების მოდერნიზაციის კვალდაკვალ იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. 1963-1970 წწ. იგი ყოველწლიურად იზრდებოდა 11%-ით (აშშ-ში – 1,6, გფრ-ში – 5,5 და საფრანგეთში – 6%-ით). ამაში დიდი როლი ითამაშა უცხოური პატენტებისა და ლიცენზიების გონივრულმა და ეფექტურმა გამოყენებამ. მაგ.: 1950-1970 წწ. დინერგა 15 ათასზე მეტი. 1970 წ. დასაწყისში საზღვარგარეთის ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის წილი ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობაში 10%-ს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ დიდი სახსრები დახარჯა ნოუ-ჰაუს შესყიდვაზე, მან გაცილებით მეტი დაზოგა მატერიალური და ფინანსური რესურსები და, რაც მთავარია, მან დაზოგა დრო, რომელიც საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განსახორციელებლად დასჭირდებოდა.

თავდაპირველად საზღვარგარეთ შექმნილი ტექნიკის ასლის გადაღება ხდებოდა, შემდეგ თანდათანობით თავად დაიწყეს სამეცნიერო იდეების დამუშავება და მიზნად დაისახეს შეექმნათ მაღალი ხარისხის პრინციპულად, ახალი პროდუქცია, რაც განახორციელეს კიდეც. ამან იაპონიის მრეწველობას შესაძლებლობა მისცა უმოკლეს დროში გაეკეთებინა ნახტომი 1920-1930-იანი წლების დონესთან შედარებით.

იაპონიას ჰყავდა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა უფასო ცხრაწლიანი სასკოლო განათლებისა და მოწინავე დარგებისათვის მუშათა პროფესიული მომზადების ვრცელი სისტემის საფუძველზე. უკვე 80-იან წლებში პრაქტიკულად ყველა მუშას ჰქონდა საშუალო განათლება. დიდი ყურადღება ექცეოდა უმაღლესი განათლების სისტემას, განსაკუთრებით კი ისეთი პრიორიტეტული სპეციალობის ინჟინოების მომზადებას, როგორიცაა ელექტრონიკა.

„იაპონიის ეკონომიკური სასწაულის“ ერთერთ ფაქტორი იყო შრომითი აქტიურობის სტიმულირების კარგად დამუშავებული სისტემა, ანუ „ადამიანი–კაპიტალის“ სრულად და ეფექტურად გამოყენება, რასაც საფუძვლად ედო შრომის ანაზღაურების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები და რომელიც ითვალისწინებდა არა შრომის გათანაბრებით შეფასებას, არამედ კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე მუშაკის მატერიალურ სტიმულირებას; დაინერგა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული სისტემა; პროფკავშირების დაარსება არა დარგობრივი, არამედ საფირმო ნიშნით; კარგად გააზრებული პრემიული სისტემა, სადაც გათვალისწინებული იყო შრომის კონკრეტული შედეგები და მოცემულ ფირმაში მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობა.

იაპონიის მშრომელები მასიურად იყვნენ ჩართულები შრომისა და წარმოების რაციონალიზაციის პროცესში და პროდუქციის ხარისხზე კონტროლის სისტემაში. საწარმოებში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და ფირმის პრესტიჟის ამაღლებისათვის დაიწყეს ხარისხის კონტროლის წრეების შექმნა, სადაც მუშებთან ერთად შედიოდნენ ხელმძღვანელობისა და პროფკავშირების წარმომადგენლები.

გასათვალისწინებელია იაპონიის ეროვნული ხასიათის თავისებურებანი, რამაც ასევე გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს უპირველესად, დაკავშირებულია ჯერ კიდევ სებუნატის ეპოქაში შემოღებულ იდეოლოგიასთან: იაპონიის განსაკუთრებულობის რწმენა, პატრონის მორჩილება და ერთგულება, ტრადიციების პატივისცემა, დისციპლინა.

იაპონიის 60-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობის ფაქტორები ეკონომიკურ-ისტორიულ ასპექტში შეიძლება ამგვარად დაკონკრეტდეს:

უცხოეთის, პირველ რიგში, ამერიკული ეკონომიკური დახმარების მაღალეფექტურად გამოყენება;

ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლება;

საშინაო ბაზის გაფართოვება, მათ შორის აგრარული რეფორმების შედეგად;

უცხოეთის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების საყოველთაოდ გამოყენება, პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და სხვ. შესყიდვა. მაღალხარისხიანი სამუშაო ძალა; კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა.

ქვეყნა დონის იაპონელი მეწარმის მაღალი ინიციატივა და გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების სისტემა. ტრადიციული, ჰარმონიული ურთიერთობები ფირმის ადმინისტრაციასა და დაქირავებულ პერსონალს შორის;

კაპიტალის დაგროვების შედარებით მაღალი ნორმა;

საკუთარი მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ბაზის ჩამოყალიბება, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც განმსაზღვრელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, პირველ რიგში ელექტრონულ-ტექნიკურ დარგში.

ამ ფაქტორებს უკანასკნელ პერიოდში ამატებენ შემდეგს:

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ყველა მატერიალური და მორალური ძალების კონცენტრაციის აუცილებლობის გააზრება და ყველაფრის გაერთიანება ტრადიციულ იაპონურ ფასეულობებში;

სანედლეულო რესურსების უქონლობა. იაპონიას შემოაქვს მისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების 99% (100% ბოქსიტები, ბამბა, ნატურალური კაუჩუკი, 99,7% ნავთობის ნედლეული, 99,5% რკინის მადანი), რაც აიძულებს მოახდინოს წარმოების სტრუქტურის მუდმივი მოდერნიზაცია, დანერგოს მატერიალური და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები, ეძიოს და აწარმოოს მაძლეულისა და საწვავის ალტერნატული წყაროები;

იაპონიის ანტისაომარი კონსტიტუცია, რომელშიც მოცემულია პრინციპი – არ ჰქონდეს, არ აწარმოოს, არ შემოიტანოს ბირთვული იარაღი, არმია შეიზღუდოს თავდაცვის ძალებით, რომელზეც გამოყოფილია სახსრები ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 1% ფარგლებში.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ XX ს. მეორე ნახევრიდან აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ცენტრი გახდა. თანდათან პოპულარული ხდება მტკიცება, რომ დგება „წყნარი ოკეანის ერა“.

თანამედროვე ინდუსტრიალიზაციამ იაპონიაში გაიარა ორი ეტაპი:

პირველ ეტაპზე – 1960-1970-იანი წწ. ძირითადი ყურადღება მიმართული იყო მძიმე მრეწველობის მასალატევადი დარგების განვითარებისკენ, როგორებიცაა: შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობდამუშავება და ნავთობქიმია, გემთმშენებლობა და ა.შ., რომლის პარალელურადაც იქმნებოდა ახალი დარგები: რადიოელექტრონული, ხელსაწყოთმშენებლობა, პლასტმასების, ხელოვნური კაუჩუკისა და ქიმიური ბოჭკოს წარმოება. უცხოეთის პატენტები და ლიცენზიები, როგორც წესი, ინერგებოდა დამმუშავებელ მრეწველობაში, რის შედეგადაც სწრაფად გაიზარდა საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, ოპტიკური ხელსაწყოების, ფერადი ტელევიზორების, ვიდეომაგნიტოფონების წარმოება. 1970 წ. იაპონია გა-

მოვიდა მსოფლიოში მეორე ადგილზე ელექტროგამომთვლელი მანქანების დანერგვის სიდიდით.

ინდუსტრიული განვითარების მეორე ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1980-იან წწ. დასაწყისი, როდესაც წარმოიშვა ისეთი დარგები, რომლებიც არ მოითხოვდნენ ელექტროენერგიის, ნედლეულის, მუშა ძალის უზარმაზარ დანახარჯებს. ახალი ტექნოლოგიების მახასიათებელია მეცნიერებატევადობა და მაღალი სიზუსტე. ასეთ პროდუქციას ეკუთვნის მიკროელექტრონიკა, დიდი და უდიდესი ინტეგრალური სქემები, საზომი ხელსაწყოები და სხვ. 1980-იან წწ იაპონიამ დაიკავა მოწინავე პოზიციები მსოფლიოში სამედიცინო მოწყობილობათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა და თანამგზავრული მოწყობილობების, ოპტიკური ტექნიკის და სხვ. წარმოებაში.

ცვლილებები მოხდა იაპონიის აგრარულ სექტორში. აგრარულმა რეფორმამ დიდი გავლენა მოახდინა იაპონიის ეკონომიკაზე. მიმდინარე გარდაქმნებმა, იაპონიის სოფლის მიწის მცირე ნაკვეთების პირობებში, გაზარდა მოთხოვნილებები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციის საშუალებებზე, სასუქებზე, თესლზე, პირუტყვზე.

1961 წ. მიიღეს „ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კანონი“, რომლითაც გათვალისწინებული იყო სოფლის წვრილსასაქონლო მეურნეობიდან მსხვილ საბაზრო მეურნეობაზე გადაყვანა. დაისახა ამოცანა, რომ ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ბრინჯის წილი შემცირებულიყო, ვინაიდან იგი დაბალი რენტაბელობის გამო სახელმწიფო სუბსიდიებს საჭიროებდა. უნდა გადიდებულიყო მეცხოველეობის, მებაღეობის, მებაღჩეობის და მეხილეობის პროდუქტების წარმოება, რის შედეგადაც 1980-იანი წწ. შუახანებში იაპონიამ შეძლო საკუთარი სურსათით დაკმაყოფილების დონე 70%-მდე აემაღლებინა. 1985 წ. სასოფლო და სატყეო მეურნეობებში ასევე მეთევზეობაში დაკავებული იყო ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9%. ეს დარგი იძლეოდა შიდა პროდუქტის 3%.

იაპონიამ თავის თავზე გამოსცადა რა ატომური დაბომბვები, განსაკუთრებულად მომთხოვნი გახდა ეკოლოგიური

პრობლემების მიმართ. 60-70-იან წწ. შემუშავდა ეკოლოგიური სტანდარტების მკაცრი სისტემა, რომლითაც განისაზღვრება წყლის, ჰაერის, სასოფლო-სამეურნეო სასუქების (ქიმიკატების), ქალაქების გამწვანების და სხვ. ხარისხი. გარდა ამისა, რადიოტალღური ხმაურის დონე არსად ისე მაღალი არ იყო მსოფლიოში, როგორც იაპონიაში. დადგინდა ახალი მშენებარე სახლების მიერ უკვე არსებული სახლების განათებაზე გავლენის სტანდარტი, ფანჯრების დაჩრდილვის დასაშვები ნორმა, ანუ ფანჯრების დაჩრდილვის დრო წელიწადის ნებისმიერ დროს დღეღამის განმავლობაში არ უნდა ყოფილიყო 2 საათზე მეტი. იაპონია ქალაქების ნაგვისაგან გასაწმენდად იყენებს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიას, მისი გადამუშავებით იგი ღებულობს სათბობ ენერგიას, რომელიც შემდეგ გამოიყენება სამეურნეო მიზნებისათვის.

მიღებული ზომების შედეგად იაპონიის ინდუსტრიამ აქტიურად დაიწყო წმინდა ტექნოლოგიურ დასუფთავებაზე გადასვლა. 80-იანი წწ. შუახანებში ყოველწლიურად მხოლოდ ტოკიოს ნაგვის დაწვით მიღებულმა სათბობმა შესაძლებელი გახადა ეწარმოებინათ 300 მლნ. კვტ. საათი ელექტროენერგია, რაც 1 მლრდ. იენის მოგებას იძლეოდა.

1986 წ. დასაწყისში საწარმოთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20% მაღალტექნოლოგიურ საწარმოთა წილად მოდიოდა. იაპონიის სამრეწველო კლასიფიკაციის სტანდარტებით სახელდება 7 დარგი, რომელთა საწარმოები შეიძლება მიეკუთვნონ მაღალტექნოლოგიურს: სამედიცინო პრეპარატების წარმოება, კავშირგაბმულობისა და თანამგზავრის მოწყობილობათა, ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა, ელექტროსახზომი ხელსაწყოების, ელექტრონული კომპონენტების და დეტალების წარმოება; სამედიცინო მოწყობილობების და ინსტრუმენტების; ოპტიკური ტექნიკის და ოპტიკური ლინზების წარმოება. აღსანიშნავია, რომ ამ დარგთა უმრავლესობაში იაპონიამ შეძლო მსოფლიო ლიდერობის მოპოვება.

ამავე პერიოდში მოხდა ცვლილებები იაპონიის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში. 1950-იან წწ. იაპონიის ეკონომი-

კაში ექსპორტი არ თამაშობდა დიდ როლს. პროტექციონიზმით დაცული საქონელი ძირითადად იყიდებოდა საშინაო ბაზარზე, მაგრამ 60-იან წწ. ძირითადი ყურადღება გადავიდა საგარეო ბაზრებზე. იაპონიის კორპორაციების პროდუქცია პასუხობდა მსოფლიო სტანდარტებს და უკვე აღარ საჭიროებდა მფარველობით საბაჟო პოლიტიკას. მთავრობამ დაუშვა საგარეო-ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა იაპონიის სპეციფიკური „საგარეო სავაჭრო მოდელი“, რომლის მიხედვითაც ექსპორტი მოიცავდა მრეწველობაში გადამუშავებულ პროდუქციას, ხოლო იმპორტი – მინერალურ ნედლეულს, ნავთობს.

ამ წლებში იაპონიას აქტიურად გაჰქონდა ავტომობილები, მოტოციკლები, ფოლადისა და ლითონდამმუშავებელი წარმოების პროდუქცია, გემები, ელექტრონიკა, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა. წარმოებული ელექტრონიკის 44% და გამოშვებული ავტომობილების 55% გადიოდა საზღვარგარეთ.

საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებაში გადამწყვეტი იყო იაპონია–აშშ-ის ურთიერთობა, სადაც მიემართებოდა იაპონიის ექსპორტის 75%.ფაქტიურად იაპონიის ეკონომიკა დამოკიდებული გახდა აშშ-ის ბაზარზე, ასევე იყო იენის კურსი დოლართან მიმართებაში, ეს ტენდენცია 1990-იან წლებამდე ძლიერდებოდა. ასეთმა ორიენტაციამ იაპონიის ეკონომიკა სარისკო მდგომარეობაში ჩააყენა იმ თვალსაზრისით, რომ იგი სულ უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული ნაკლებად პროგნოზირებად გარე ფაქტორებზე, რომლის რეგულირებაც იაპონიის მთავრობის კომპეტენციას სცილდებოდა.

პირველ ხანებში იაპონია აშშ-ს აწვდიდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქტებს, 60-იან წწ. შუახანებში ამერიკის ბაზარი გაიცსო იაპონური ქსოვილებით. ხოლო 1970 წ. ერთგვარი „სავაჭრო ომის“ მიზეზი გახდა იაპონიის ფოლადი, უფრო მოგვიანებით – ტელევიზორები, ელექტროტექნიკური მოწყობილობანი და ავტომობილები.

1950-1980-იან წწ. იაპონიამ შეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა გეოგრაფიული მდგომარეობა, იმყოფებოდა რა სავაჭრო-სატრანსპორტო გზების გადაკვეთაზე, თავის გარშემო

გააერთიანა მეზობელი ქვეყნები. იგი გახდა სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციების შექმნის ორგანიზატორი. იაპონიამ მჭიდრო კავშირები დაამყარა უახლოეს მეზობლებთან შორეულ-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში: სამხრეთ კორეასთან, ტაივანთან, ჰონკონგთან, სინგაპურთან, მალაიზიასთან, ტაილანდთან, რომელთაც უწოდებდნენ აზიურ „ვეფხვებს“ ან „დრაკონებს“. ამის შემდეგ ამ ქვეყნებმა მიიღეს სრული დამოუკიდებლობა თავის ყოფილი მეტროპოლიისგან, შექმნეს საკუთარი საექსპორტო პოტენციალი (1960-იან წლებში), და უმრავლესობამ გაიმეორა იგივე გზა, რაც იაპონიამ გაიარა.

იაპონიის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საბჭოთა კავშირთან (ახლა რუსეთთან) მოუგვარებელ ტერიტორიულ პრობლემას. იგულისხმება სამხრეთ კურილიის კუნძულების (შიკოტანი, იტურუპი, კუნაშირი, ხაბომაი) საკუთრებას, 9 ათასი კვადრატული კილომეტრის საერთო ფართობით. 1951 წ. სან-ფრანცისკოში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით იაპონიამ უარი განაცხადა თავის პრეტენზიაზე კურილიის კუნძულებზე, რომლებიც გადავიდნენ სსრ კავშირის სუვერენიტეტის ქვეშ. 1956 წ. იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ სსრ კავშირი იაპონიას გადასცემდა ჯერ კუნძულებს ხაბომაის და შიკოტანს, ხოლო შემდეგ დანარჩენ სამხრეთ კურილის კუნძულებსაც (იაპონია მათ თვლის თავის ჩრდილოეთ ტერიტორიებად). მაგრამ 1960 წ. იაპონიაში ამერიკული მსხვილი სამხედრო ბაზების განლაგების შემდეგ სსრ კავშირმა უარი განაცხადა კუნძულების გადაცემაზე. პრობლემა XXI ს. დამდეგსაც მოსაგვარებელია, მისი გადაწყვეტის პერსპექტივები კი – საკმაოდ ბუნდოვანი.

1970-იან წწ. შეექმნა რა პრობლემები აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ბაზრებზე, ზესახელმწიფოს ამბიციის მქონე იაპონია გააქტიურდა აზიის მიმართულებით. 1980-იან წწ. ბოლოს იაპონიის ინვესტიციებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში აშშ გადააჭარბა 2,5-ჯერ. იაპონია ამ რეგიონში

იყენებდა დემპინგს, სახელმწიფო დოტაციის პოლიტიკას, ამ ქვეყნებს უწევდა დახმარებას საქონლის და ტექნოლოგიების მიწოდების სახით.

ნიშანდობლივია, რომ იაპონიის კომპანიები ავითარებდნენ დაბალტექნოლოგიურ საწარმოებს, რომლებიც უშვებდნენ მასიურ პროდუქციას, რომელზეც მსოფლიოში დიდი მოთხოვნილება იყო. მაგ.: ტელევიზორებს, ვიდეოტექნიკას, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, კავშირგაბმულობის საშუალებებს, საკერავ მოწყობილობებს და ა.შ.

ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა ამ პერიოდში იაპონიისთვის უაღრესად წარმატებული გამოდგა, მას შესაძლებლობა მიეცა შეევიწროებინა აშშ მსოფლიო ბაზარზე და ფაქტიურად დასწოდა მას უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების და ბანკების რაოდენობით თუ სხვა მაჩვენებლებით. 1955-1985 წწ. – „ეკონომიკური სასწაულის“ წლებში – იაპონიამ შეძლო წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეორე ადგილის მყარად დაკავება. თუმცა საგარეო ვაჭრობის მოცულობით 80-იან წწ. შუახანებში ეჭირა მესამე ადგილი აშშ-სა და გფრ-ს შემდეგ. ამავე დროს 1985 წ. იაპონიის ექსპორტი 46 მლრდ. დოლარით აღემატებოდა იმპორტს.

1973-1974 წწ. და 1979-1980 წწ. ნავთობის კრიზისმა გააუარესა იაპონიის საგადამხდელო ბალანსი და შეანელა მისი ეკონომიკის ზრდის ტემპები. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 90-იან წწ. დასაწყისი გახდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, წარმოების მესამე მსოფლიო ეკონომიკური ვარდნის პერიოდი. ამასთანავე, შენარჩუნებულ იქნა რა სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის უზარმაზარი დადებითი სალდო, სახელმწიფო შემოსავლების გადამეტება ხარჯებთან, უდეფიციტო ბიუჯეტი და სტაბილური ზრდის ტემპი, იაპონია XXს. ბოლომდე დარჩა მსოფლიოში დინამიურად განვითარებულ ქვეყნად. ამაზე მეტყველებს შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებული ტემპები. მაგ.: 80-იან წწ. მან შეადგინა 6,2%, აშშ-ში – 3,4 და გფრ-ში – 3,1%. ასეთივე ტენდენცია შენარჩუნდა 90-იან წლებშიც.

80-იანი წწ. მეორე ნახევარში იაპონია საგარეო სავაჭრო ბრუნვის სიდიდით მყარად იკავებს მესამე ადგილს აშშ-სა და გფრ-ს შემდეგ. თუმცა იაპონია არ წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტიორს, იგი ყველას უსწრებს საგარეო სავაჭრო დადებითი სალდოთი, რომელმაც 1993 წ. მიაღწია 120,2 მლრდ. დოლარს, გფრ – 23,1 მლრდ. დოლარს, ხოლო აშშ ჰქონდა 115,8 მლრდ. დოლარის უარყოფითი სალდო. 1990-იან წწ. შკვე შეინიშნება იაპონიის პოზიციების ძლიერი შერყევა.

4. იაპონიის ეკონომიკა XX ს. ბოლოს

1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა, რომ იაპონიამ მსოფლიო ეკონომიკაში დათმო წამყვანი პოზიციები. კონკურენტუნარიანობის ინდექსით 1995 წ. 1-დან-5 ადგილზე. ხოლო 1998 წ. – მე-18-ზე გადავიდა, მას გაუსწრო ევროპის ყველა განვითარებულმა ქვეყანამ, ასევე ტაივანმა, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ. იაპონიის საექსპორტო საქონელს სიძნელეები ტრადიციულ ბაზრებზეც შეექმნა.

იაპონიაში არსებული ეკონომიკური ვითარების სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროა იმ კრიზისის მიზეზების სიღრმისეული განხილვა, რამაც მოიცვა იაპონიის ეკონომიკა 1990-იან წლებში.

უპირველესად, 1950-1970-იან წწ. იაპონიის წარმოების სწრაფი ინდუსტრიალიზაცია არ აღმოჩნდა საკმარისი ეკონომიკის იმგვარი მუშაობისათვის, რომელიც სტაბილურად უპასუხებდა თანამედროვე მოთხოვნებს. იაპონელი ხალხის მოთხოვნილების შედარებით დაბალი დონის პირობებში, ფორმირებულმა სამეურნეო მოდელმა, ვერ შეძლო ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლის უზრუნველყოფა. 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იან წწ. ნათელი გახდა, რომ განვითარების „შკუსვლის“ ხელოვნურად შეკავება სახელმწიფოსაგან მოითხოვდა ეკონომიკის მუდმივ საინვესტიციო შევსებას, ხოლო ამ ინვესტიციების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ მოთხოვნის სფეროს ზრდის მეშვეობით.

იაპონიისათვის ნიშანდობლივია ე.წ. სუსტი ადგილი: საშინაო ბაზრის შედარებითი სივიწროვე, საკუთარი სანედლეულო და ენერგეტიკული ბაზის უქონლობა, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, საცხოვრებელი ფონდის დაბალი ხარისხი, სოციალური ინფრასტრუქტურის შედარებითი განუვითარებლობა და მშრომელთა სუსტი სოციალური უზრუნველყოფა (პენსიები, დახმარებები, ჯანმრთელობის მომსახურება), ექვსდღიანი სამუშაო კვირა და ხანგრძლივი სამუშაო დღე, ყოველწლიური ხანმოკლე (უმეტესად 6 დღე) ფასიანი შვებულება, ქალაქების მოსახლეობის მჭიდრო დასახლება და ა.შ. ყველაფერი ეს გავლენას ახდენდა და ახდენს იაპონელთა ხასიათზე და ცხოვრების დონეზე. ეს დასტურია იმისა, რომ იაპონიის ეკონომიკას გააჩნია როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები.

იაპონია საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის სისუსტის გამო იძულებულია განვითარებული ქვეყნებიდან მუდმივად შეისყიდოს პატენტები და ლიცენზიები. ამან ომისშემდგომ პერიოდში დადებითი როლი ითამაშა ეკონომიკის აღმავლობაზე, მაგრამ 1980-1990-იან წწ. ეს პროცესი დამუხრუჭდა. იაპონიის მეწარმეებს საინფორმაციო და სამეცნიერო ცოდნის სფეროში ვერაფერს სთავაზობდნენ, რომელიც XX ს. ბოლოს განსაზღვრავდა მსოფლიო ბაზრის სრუქტურას. ამასთანავე მსოფლიო ბაზრის სხვა სფეროშიც არ ჰქონდა იაპონიას კონკურენტუნარიანი საქონელი.

ახალი ათასწლეულის მიჯნაზე იაპონიის ეკონომიკა უმეტესად დაკავშირებული იყო მის პოტენციურ შესაძლებლობებთან ახალი ტექნოლოგიების განვითარების დარგში. იაპონიის მთავრობა მიზნად ისახავდა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდას და იაპონიის გადაქცევას ლიდერ ტექნოლოგიურ ქვეყნად, რისთვისაც უნდა გადაელახა დაბრკოლება ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის დარგში და დაეძლია ჩამორჩენა.

80-იანი წწ. ბოლოს იაპონიამ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ და საკონსტრუქტორო სამუშაოებში ასიგნების წილით მეორე ადგილი დაიკავა გფრ-ის შემდეგ, 1986 წ. შეიქმნა იაპონიის ტექნოლოგიური ცენტრი, რომლის მუშაობის პრიო-

რიტეტს წარმოადგენდა ინფორმაციული უზრუნველყოფა, როგორც ქვეყნის ტექნოლოგიური სიძლიერის ძირითადი კრიტერიუმი. შეიმუშავეს „საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გეგმა 2000 წლამდე“. გაიზარდა იმ უცხოელთა რაოდენობა, რომელნიც ცდილობდნენ მიეღოთ სერთიფიკატი მათი საქონლის იაპონიის სამრეწველო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

იაპონელი ექსპერტების შეფასებით, იაპონიის მთელი პროდუქციის მხოლოდ 10%, უპირატესად კი მრეწველობის მოწინავე დარგების პროდუქცია, შეესაბამებოდა მსოფლიო ბაზრის სტანდარტებს, რაც შეეხება ისეთ დარგებს, როგორიცაა კვების, ქაღალდის, ცემენტის, ალუმინის, ფარმაცევტულ, საავიაციო წარმოებას, ასევე სოფლის მეურნეობას და მომსახურების სფეროს, ისინი არსებითად ჩამორჩებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების და ამერიკის პროდუქციას.

1980-იან წწ. „იაპონიის ეკონომიკური სასწაული“ გამოიხატა არა იმდენად მრეწველობის ზრდის ტემპით, რომელიც წელიწადში 5-6% იყო, არამედ საფონდო ბირჟასა და უძრავი ქონების ბაზარზე ფასების მატებაში. 1989-1990 წწ. ძირითადმა საფონდო მაჩვენებლებმა, ასევე ფასების ინდექსმა მიწაზე იმდენად მაღალ ნიშნულს მიაღწია, რომ გიგანტური ინვესტიციები ვეღარ დარჩებოდნენ მყარ მდგომარეობაში. უკვე 1990-1991 წწ. დაიწყო საფონდო ინდექსის მკვეთრი ვარდნა, დაეცა ფასები მიწასა და უძრავ ქონებაზე, შენელდა შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი. მაგალითად, 1992-1997 წწ. შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდა აღმოჩნდა 1%-ზე ნაკლები (გარდა 1996 წ., როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი იყო – 3,9%).

ამ პერიოდში იაპონიამ შეამცირა თავისი ინდუსტრიული ექსპანსია აზია-წყნარი ოკეანის აუზში და მთელ თავის ძალებს თავი მოუყარა საშინაო პრობლემების გადასაწყვეტად, მას არ უნდოდა აშშ-სთვის დაეთმო პოზიციები და 1998 წ.-დან აზიურ ქვეყნებთან ვაჭრობაში ჩამოართვა კიდეც პირველობა, კერძოდ: ჩინეთთან, ვიეტნამთან, ჩრდილო კორეასთან. იგი ძველებურად აგრძელებდა უზარმაზარი სახსრების ჩადებას სწრაფად განვითარებად აზიის ქვეყნებში, რის შე-

დეგადაც იაპონური საქონლის და მომსახურების ექსპორტი მკვეთრად აღემატებოდა აშშ-ს. 1990-1996 წწ. იმ ბანკების რაოდენობა, რომელთაც განყოფილებები ჰქონდათ აზიის ქვეყნებში, 83-დან 161-მდე გაიზარდა. პირდაპირი კრედიტები 4-ჯერ აღემატებოდა ამერიკულ კრედიტებს. 1997 წ. დასაწყისში კრედიტებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში შეადგინა იაპონიის საბანკო კაპიტალის 43%. საბანკო და სარეწველო კომპანიები აშენებდნენ ან იძენდნენ სამრეწველო და საოფისე ნაგებობებს აზიის ქვეყნებში. შემდგომ ამ ქვეყნებში მოხდა განვითარების იაპონური მოდელის განმეორება. იაპონიამ ვერ შეაფასა საშინაო ფინანსური პრობლემები, ასევე ზედმეტად შეაფასა თავისი გავლენა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რამაც ამ რეგიონში 1997 წ. აგვისტოში გამოიწვია საფინანსო კრიზისი. 1997 და 1998 წწ. შეიძლება ვუწოდოთ ყველაზე არახელსაყრელი მთელი ომისშემდგომი იაპონიის ეკონომიკისათვის. მკვეთრად დაეცა ზრდის ტემპი. უმუშევრობის დონე გაიზარდა 4,6%-მდე. ასეთ პირობებში მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევით და საერთაშორისო ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით შეიძლებოდა კრიზისის დამანგრეველი მოქმედების შეჩერება.

მნიშვნელოვანია იაპონია–აშშ-ის ეკონმიკური ურთიერთობები, რომელთა წილად მოდის მსოფლიო შიდა პროდუქტის 40% და მსოფლიო ექსპორტის 20%-ზე მეტი. აშშ-ის სავაჭრო სალდოს დეფიციტმა იაპონიასთან 1993 წ მიაღწია 60 მლრდ დოლარს. იაპონია აგრძელებს აშშ-თვის მანქანათმშენებლობის პროდუქციის და პირველ რიგში მსუბუქი ავტომობილების მიწოდებას, ხოლო აშშ-დან შემოაქვს დიდი რაოდენობით ნედლეული და კვების პროდუქტები. ამის გამო აშშ-თან იაპონიის ვაჭრობას კოლონიურსაც კი უწოდებენ.

90-იანი წწ. შუახანებში აშშ-ში არსებული ავტომობილების ნახევარი იაპონური წარმოების იყო, დასავლეთის შტატების მოქალაქეთა უმრავლესობა ატარებს იაპონურ საათებს, ამერიკის სახლების 90%-ში დგას იაპონური ტელევიზორი, ხოლო რადიომიმღებების, ვიდეომაგნიტოფონების და ელექტროსაპარსების უმრავლესობას ამშვენებს წარწერა. „დამზადებულია იაპონიაში“.

მსოფლიოსა და მათ შორის ამერიკის ბაზრებზე იაპონიის საქონლის კონკურნტუნარიანობის მთავარი ფაქორებია:

1) პროდუქციის ხარისხზე კონტროლის განსაკუთრებული სისტემა: წუნი არა უმეტეს 0,01%;

2) შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული ზრდა. 90-იან წწ. იაპონიამ მოსპო თავისი ჩამორჩენა აშშ-თან;

3) შრომითი კონფლიქტების გამო სამუშაო დროის მნიშვნელოვნად მცირე დანაკარგები;

4) იაპონიაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მაღალი დონე აშშ-თან შედარებით და მათი იმგვარი გადანაწილება, რომ დაგროვების დიდი წილი წარმოებაში მიემართება;

5) იაპონიის სურვილი დარჩეს კერძო კაპიტალის მაღალი დონის ქვეყნად.

ამგვარად, აქტუალური ხდება აშშ-სა და იაპონიას შორის ვაჭრობის დეფიციტთან ბრძოლის პრობლემა, ვინაიდან იაპონიის ექსპორტის 33% მოდის აშშ-ზე, ხოლო იაპონიის წილი აშშ-ს ექსპორტში შეადგენს მხოლოდ 10%-ს.

სერიოზული პრობლემები შეიქმნა ბანკებში, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ კრედიტებთან უძრავი ქონების, მიწის და ფასიანი ქაღალდების დაგირავებით. მკვეთრად შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლები ეკონომიკის რეალური სექტორიდან. ამ პირობებში კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზა იყო სახელმწიფო სისტემის გაფართოება.

იაპონიას ხშირად უწოდებენ XXI ს. ქვეყანას. სპეციალისტების აზრით დღევანდელი იაპონია ფაქტიურად იყენებს ეკოლოგიური ვითარების შესაბამის და ქმედით მოდელს, რომელიც მომავალში ყველა ქვეყანამ შეიძლება გამოიყენოს.

კაცობრიობა მივიდა დასკვნამდე, რომ XXI ს დასაწყისთვის ბუნების ექსპლოატაციის ტექნოლოგიიდან, საჭიროა ბუნებასთან ურთიერთქმედების ტექნოლოგიაზე გადასვლა. მოსვლის ძირითადი ამოცანაა – ბუნებისაგან ვისწავლოთ ჩაკეტილ წრეში მუშაობა. ამ მიმართულებით იაპონიაში მიღწეულია გარკვეული წარმატებები. მაგ.: გადამმუშავებელი მრეწველობის ნარჩენების 50% გამოიყენება, როგორც ნედლეული. ამასთან დაკავშირებით ნაწარმის გამოშვების პრო-

ექტის შედგენისთანავე ითვალისწინებდნენ, თუ როგორ დააბრუნონ ხელახალ წარმოებაში ნამუშევარი დეტალები და კვანძები. მაგალითად, ფირმა „დენსომ“, რომელიც „ტოიოტას“ ამარაგებს ელექტრონაწილებით, განაცხადა, რომ არ არსებობს დეტალი, რომლის გამოყენებაც არ იყოს შესაძლებელი ხელმეორედ.

გარემოს დაცვაში იაპონიის მიღწევებზე მეტყველებს ასეთი ფაქტებიც: მისი ტერიტორიის 60% უკავია ტყეს მდიდარი ფლორით, რომელიც ითვლის 8118 სახის მცენარეს. ქვეყანაში არის 27 ნაციონალური პარკი 2 მლნ. ჰა ფართობით და ტერიტორიის 5%. 54 კვაზინაციონალური პარკი 1,3 მლნ. ჰა ფართობით, ანუ ტერიტორიის 3,4%. უდიდეს საგანძურს წარმოადგენს 500 სხვადასხვა ნაკრძალი და ნაკეთი ცივილიზაციისგან შეუხებელი ბუნებით და ველური ცხოველებით – დახლოებით 90 ათასი ჰა ფართობით. თუ ადამიანის მიერათვისებული ტერიტორიის ხვედრითი წილის თანაფარდობა ათვისებელთან ინგლისში შეადგენს 9:1, აშშ-ში 5:1, იაპონიაში 1:3.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იაპონია გამოირჩევა სეისმოაქტიურობით და აქ ყოველწლიურად ხდება ასეულობით მიწისძვრა. 1992 წ. რეგისტრირებულია 1981, 1945-1995 წწ. მოხდა ხუთი დამანგრეველი 7-9 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა, რის შედეგადაც დაიღუპა 15 ათასი კაცი. 1995 წ. 7.8 ბალიანი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 5 ათასი კაცი. ზარალი შეფასებულ იქნა 110 მლრდ. დოლარად მთავრობის გადაწყვეტილებით უნდა მიმართულიყო მშენებლობის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. დადგა 1975 წ. შემდეგ აშენებული ყველა სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტის დამონტაჟის, ან გამაგრების საკითხი. ამ ვითარებაში იაპონელებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს მოვლენებისადმი თავისებური მიდგომა.

XX ს. ბოლოს იაპონია გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის საფინანსო ცენტრად. იაპონია გადაიქცა მომსახურების ახალი სახის მიმწოდებლად – კაპიტალის გამცემ ქვეყნად. 1995 წ. იაპონიის წილად მოდიოდა მსოფლიოს კრედიტების 53%. ეს იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ იაპონიას, როგორც კაპიტალის ექსპორტიორს, ისეთივე გავლენა ექნება მსოფლიო ეკონომიკაზე, როგორც დიდ ბრიტანეთს ომებსშორის პერიოდში და აშშ-ს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ერთი პროგნოზით იაპონიის ნეტო-აქტივი XXI ს. დასაწყისში მიაღწევს 556 მლრდ. დოლარს, ხოლო მეორეთი – 1 ტრლნ. დოლარს.

ბოლო წლებში იაპონიის მთავრობამ მრავალჯერ სცადა საფინანსო სისტემისა და სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეფორმირება, მაგრამ მნიშვნელოვანი ეფექტის გარეშე. ქვეყანაში შეინიშნება ეკონომიკური ინსტიტუტების არასაკმარისი ლიბერალიზაცია, ზოგიერთ დარგში მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაცია.

მსოფლიო ეკონომიკა შევიდა XXI საუკუნეში. საქმიანი აქტიურობის ცენტრი გადაადგილდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთერთი ინიციატორი კი იაპონიაა. ამჟამად ამ ორგანიზაციაში შედის 11 აზიური სახელმწიფო: იაპონია, ბრუნეი, ჩინეთი, ჰონკონგი, ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ტაილანდი; 4 ამერიკული: კანადა, მექსიკა, აშშ და ჩილე. ასევე შედის ავსტრალია, ახალი ზელანდია და ახალი გვინეა. 1994 წ. ამ 18 სახელმწიფომ ხელი მოაწერა დეკლარაციას 2020 წლამდე თავისუფალი ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებების ზონის შექმნის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვეყნები იძლევიან მსოფლიო საერთო პროდუქტის 50%, და მათ ტერიტორიაზე ცხოვრობს ედამიწის მოსახლეობის 40%.

იაპონიის საზოგადოება განიცდის მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერის პოზიციის დაკარგვას და უწინარეს ყოვლისა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. თუმცა სავარაუდოდ იაპონია XXI ს. შეინარჩუნებს უდიდესი ქვეყნების გაერთიანების სრულუფლებიანი წევრის სტატუსს.

თემა 25. ბრიტანეთის ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 40-50-იან წლებში

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ინგლისის ეკონომიკა. ომის შედეგად ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები საკმაოდ შესუსტდა. ომში დაიღუპა 245 ათასი და დაიჭრა 278 ათასი ბრიტანეთის მოქალაქე,თუმცა ეს რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე პირველ მსოფლიო ომში. ქვეყანამ ნახა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი: დაკარგა ეროვნული სიმდიდრის მეოთხედი, მრავალი ინგლისური ქალაქი (ლონდონი, ბირმინჰემი და სხვ.) დაიბომბა და დაინგრა. ინგლისმა დაკარგა სავაჭრო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ნაწილი. ომის ბოლოს ინგლისის ფლოტის ტონაჟი ამერიკულს ორჯერ ჩამორჩებოდა. საომარმა ხარჯებმა 25 მლრდ. გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. სახელმწიფო ვალი 1939 წლის 7,2 მლრდ.-დან 1946 წლის 24,9 მლრდ. გრ. სტერლინგამდე გაიზარდა, აქედან 3,4 მლრდ. იყო საგარეო ვალი. ინგლისმა სამხედრო ხარჯების ნაწილის დასაფარად გამოიყენა თავისი საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების მესამედი, დაახლოებით 3,5 მლრდ.-ის საქონელი და კრედიტები მიიღო თავისი კოლონიებიდან. დიდმა ბრიტანეთმა მთლიანად მეორე მსოფლიო ომში დაკარგა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით 25%.

ომის წლებში მრეწველობა ორიენტირებული იყო სამხედრო წარმოებაზე. საომარი დანიშნულების სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1943 წ. ხუთჯერ გადააჭარბა ომამდელ – 1939 წ. დონეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მობილიზებული იყო არმიაში ან სამხედრო საწარმოებში სამუშაოდ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისი კვლავ გამარჯვებული ქვეყნების რიგებში აღმოჩნდა, თუმცა ამან მაინც ვერ უზრუნველყო მისი აყვავება.

1946 წ. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1937 წელთან შედარებით შეადგინა 90%. საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა 4 მლრდ. გრ. სტერ. გადააჭარბა, ომის წლებში საწარმოების მოწყობილობანი გაცვდა, შენელდა ტექნიკური პროგრესი. განსაკუთრებით დაქვეითდა ბამბეულის წარმოება – 50%-ით, ნახშირის მომპოვებელი – 16%-ით და ფეხსაცმლის წარმოება – 13%-ით. ომისშემდგომ პერიოდში ინგლისის მრეწველობა სხვა ქვეყნებთან შედარებით ნელა ვითარდებოდა.

ომისშემდგომი ინგლისის ეკონომიკის ჩამორჩენა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო აშშ-თან შედარებით. იგი ფოლადის გამოდნობით ჩამორჩებოდა – 4,7-ჯერ, ნახშირის მოპოვებით – 3,2-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 20%, ხოლო ექსპორტის მოცულობამ მხოლოდ 1/3-ს შეადგინა. ინგლისის მოსახლეობა განიცდიდა სიძნელეებს სურსათის უკმარისობის, გადასახადების ზრდის, მკაცრი საბარათო სისტემის, „შავი ბაზრის“ სტიქიის, ინფლაციის და სხვათა გამო. გადასახადები ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 3-ჯერ და მეტად.

ომმა გაზარდა დიდი ბრიტანეთის აშშ-ზე დამოკიდებულება, რომელიც ომის პერიოდში თავის მოკავშირეს ლენდ-ლიზით აწვდიდა იარაღს და სურსათს.

ინგლისმა შეამცირა და ზოგიერთი მიმართულებით სრულად გაწყვიტა თავისი საგარეო ეკონომიკური კავშირები, სადაც უფრო მეტად იჭრებოდა აშშ-ის კაპიტალი.

ინგლისს დიდი ზარალი მიაყენა საერთაშორისო ბაზრების დაკარგვამ. ომის დროს ბრიტანეთის თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყანა ოკუპირებულ იქნა იაპონიის და გერმანიის ჯარების მიერ (ბირმა, მალაი, ეგვიპტის ნაწილი და სხვ.). ომის შემდეგ ინგლისმა დაკარგა გავლენა მსოფლიოს ბევრ რეგიონში. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებში. შესამჩნევად შემცირდა და თითქმის სრუ-

ლად გაწყვიტა საგარეო ეკონომიკური კავშირები ჩინეთთან, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან და სხვ., რომლებიც ჩამოშორდნენ კაპიტალისტურ სისტემას (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი და სხვ. ქვეყნები). ინგლისის წილი მსოფლიო ექსპორტში (სსრკ-ის გარდა) 1937 წ. 11,3%-დან შემცირდა 1947 წ. 9,8%-მდე.

ომის წლებში და ომის შემდეგაც ბრიტანეთის კოლონიებში გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და დაიწყო კოლონიური სისტემის ნგრევა. 1947 წ. ინდოეთისათვის, რომლის დასავლეთი და აღმოსავლეთი რელიგიური ნიშნით გაყო ორ სახელმწიფოდ (ინდოეთი და პაკისტანი). 1971 წ. კი აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე შეიქმნა ბანგლადეშის სახელმწიფო. 1948 წ. დამოუკიდებლობა მოიპოვა ბირმამ და ცეილონმა. 1950-1960 წწ. ეს პროცესი გაძლიერდა, რის შედეგადაც სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა ნიგერიამ, სომალიმ, ტოგომ, მალიმ, სუდანმა, ოქროს ნაპირმა, კვიპროსმა, უგანდამ და სხვა ქვეყნებმა. ბრიტანეთის იმპერიიდან დარჩა მხოლოდ პატარა კუნძულები ოკეანეთში და სამხედრო ბაზები (მაგალითად, ჰიბრალტარი). 1997 წ. კი ამოიწურა ჰონკონგის შესახებ ჩინეთთან დადებული ხელშეკრულების 100 წლიანი ვადა, რის შემდეგაც ინგლისის ეს უკანასკნელი კოლონია გადავიდა ჩინეთის იურისდიქციაში. თუ 1945 წ. ინგლისის კოლონიებში და დამოკიდებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა შეადგენდა 432 მლნ. კაცი, 1969 წ. იყო მხოლოდ 10 მლნ. ინგლისისათვის, რომლის ეკონომიკური პოტენციალი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბევრად იყო დამოკიდებული თავისი კოლონიებზე, ამ სისტემის ნგრევა მისი ძლიერების არსებით დასუსტებას ნიშნავდა, თუმცა მან შეძლო მრავალ თავის ყოფილ კოლონიაში შეენარჩუნებინა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები.

1945 წ. ივლისში ქვეყანაში ჩატარდა მორიგი არჩევნები და უ. ჩერჩილის შემდეგ (1940-1945 წწ.) ხელისუფლებაში მოვიდნენ ლეიბორისტები კ. ეტლის მეთაურობით, რომლებმაც წამოაყენეს ეკონომიკის აღორძინების პროგრამა სახელწოდებით

„სახით მომავლისაკენ“, ისინი აღნიშნავდნენ, რომ „ლეიბორისტული პარტია არის სოციალისტური პარტია და ამით ამაყობენ“. მათი საბოლოო მიზანი იყო „ბრიტანეთის სოციალისტური თანამეგობრობის“ შექმნა და „შერეული ეკონომიკის“ თანდათანობით ჩამოყალიბება, სადაც კერძო საკუთრების გვერდით დიდი ადგილი დაეთმობოდა სახელმწიფო სექტორს.

მთავრობამ გაზარდა კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში, ახლად მოახდინა ეკონომიკის რიგი დარგების ნაციონალიზაცია და მისი რეკონსტრუქცია. ნაციონალიზებულ იქნა ინგლისის ბანკი, სამოქალაქო ავიაცია, ნახშირის და გაზის მრეწველობა, რიგი ელექტროსადგურები, ენერგეტიკის ობიექტები, ფოლადჩამომსხმელი ქარხნების ნაწილი, მთელი საშინაო ტრანსპორტი, ტელეგრაფი და რადიოკავშირი. ნაციონალიზებული საწარმოების მფლობელები ღებულობდნენ ფინანსურ კომპენსაციას – 4 მლრდ. გრ. სტერ., რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ ფაქტიურ ღირებულებას. ყოფილ პატრონს გარანტირებული ჰქონდა წლიური შემოსავალი, რომელსაც მას უხდიდნენ ნაციონალიზებული საწარმოების მოგებიდან. ზოგ შემთხვევაში ყოფილი მფლობელები ამ საწარმოებში იკავებდნენ მმართველის პოსტს. ნაციონალიზაცია უპირველესად შეეხო დაბალრენტაბელურ ძველ დარგებს, იმ თვალსაზრისით, რომ ამ საწარმოების მოდერნიზაციას მხოლოდ სახელმწიფო შეძლებდა სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. ნაციონალიზაცია ფართო მასშტაბით განხორციელდა ნახშირის მომპოვებელ დარგში, სადაც უმეტესად მცირე და მოძველებული მოწყობილობებით აღჭურვილი მაღაროები იყო. ამ მაღაროების პატრონებმა გამოსყიდვის სახით მიიღეს 166 მლნ. გრ. სტერ., რაც დიდად აღემატებოდა ამ მაღაროთა რეალურ საბაზრო ღირებულებას. გარდა ამისა, სახელმწიფომ წიაღისეულის სარგებლობის უფლებისათვის გადაიხადა 66 მლნ. გრ. სტერლინგი. ამ დარგის მართვისათვის შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელშიც მაღაროს ყოფილი მფლობელებიც შედიოდნენ.

მთავრობამ გააუქმა 1927 წ. მიღებული ანტიმუშური კანონი პროფკავშირების შესახებ და აღადგინა გაფიცვების და გამოსვლების უფლება. რეორგანიზებულ იქნა სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც უნდა შევსებულიყო მშრომელთა შე-

ნატანებით, საწარმოო ანარიცხებით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული თანხებით. ამ სახსრებიდან უნდა გაცემულიყო დახმარებები ავადმყოფებზე, უმუშევრებზე, შრომისუნარიანობის დაკარგვისას, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, ბავშვების აღზრდაზე, მოხუცების და ქვრივების პენსიებზე, მცირეშემოსავლიანთა უფასო სამედიცინო მომსახურებაზე.

მთავრობა თავიდანვე რთულ საგარეო-ეკონომიკურ პრობლემებს შეეჯახა. ომისშემდგომ პერიოდში ინგლისი ეკონომიკურად დამოკიდებული გახდა აშშ-ზე. აშშ ომის წლებში ლენდ-ლიზით ამარაგებდა ანტიჰიტლერული კოალიციის თავის მოკავშირეებს იარაღით, სურსათით და ტექნიკით (დახლოებით 10 მლრდ. დოლარის). მიუხედავად ინგლისის ეკონომიკური სიძნელეებისა, 1945 წ. სექტემბერში აშშ-მა მას გაუფრთხილებლად შეუწყვიტა ეს მიწოდება, ამასთან, ინგლისს პროდუქტებზე ვალი უნდა გადაეხადა დოლარებით. ამიტომ აშშ-ს სთხოვა ფინანსური დახმარება. 1945 წ. დეკემბერში აშშ-გან მიიღო სესხი 4,4 მლრდ. დოლარის ოდენობით. ლენდ-ლიზით მიწოდებული საქონლის ვალის (650 მლნ. დოლარი) დაფარვის გამოკლებით კრედიტმა შეადგინა 3,75 მლრდ. დოლარი. ეს იყო სასაქონლო კრედიტი წლიური 2%-ით. ინგლისს შეეძლო ამ თანხით შეესყიდა ამერიკული საქონელი 5 წლის განმავლობაში – 1946-დან 1951 წ.-მდე.

კრედიტის დაფარვა უნდა დაწყებულიყო ექვსი წლის შემდეგ და გაგრძელებულიყო 50 წელი. ინგლისმა ივალდებულა აღედგინა გირვანქა სტერლინგისა და დოლარის თავისუფალი გაცვლა და შეემცირებინა პრეფერენციული ტარიფები. 1946 წ. აშშ-ში გაუქმდა ფასებზე კონტროლი, რამაც გამოიწვია საექსპორტო საქონლის მკვეთრად გაძვირება. ამ მიზეზით ინგლისმა ერთ წელიწადში დახარჯა მიღებული სესხები. 1947 წ. ივლისში, აღებული ვალდებულების შესასრულებლად, დაიწყო გირვანქის დოლარზე თავისუფალი გაცვლა, იმის გამო, რომ ინგლისში რთული საფინანსო მდგომარეობა იყო, მთავრობამ ვერ შეძლო უარი ეთქვა ვალუტის თავისუფალ გაცვლაზე.

ქვეყანაში დაიწყო მწვავე საფინანსო კრიზისი და მთავრობა იძულებული გახდა შეემცირებინა სურსათის იმპორტი, რამაც გამოიწვია კვების პროდუქტებზე ფასების გაზრდა.

შექმნილი რთული ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსავალს მთავრობა ხედავდა „მარშალის გეგმასთან“ კავშირში. 1948 წ. იულისში ინგლისმა აშშ-თან ხელი მოაწერა ორმხრივ ხელშეკრულებას „მარშალის გეგმის“ რეალიზაციის შესახებ. ამ გეგმის მოქმედების პერიოდში, 4 წლის მანძილზე ინგლისმა მიიღო 2351 მლნ. დოლარი საქონლის მიწოდების, ხოლო 337 მლნ. დოლარი სესხის სახით. ძირითადად შემოდიოდა სურსათი არმიისათვის და არა ნედლეული და მოწყობილობანი, რომელიც სჭირდებოდა ინგლისის მრეწველობას. ამ წლებში ინგლისი იძულებული იყო თავის ქვეყანაში დაეშვა ამერიკელი მეთვალყურეები, რომლებიც აკონტროლებდნენ კრედიტების ხარჯვას, რაც ერთგვარად ლახავდა ინგლისელთა ღირსებას.

ინგლისის ეკონომიკაში საქმე გაართულა საგალუტო-საფინანსო სფეროში არსებულმა არასტაბილურობამ. აშშ-მა 1949 წლის მორიგი კრიზისის პერიოდში სტერლინგის ზონის ქვეყნებიდან შეამცირა იმპორტი, რამაც გამოიწვია ინგლისში ოქროსა და საგალუტო რეზერვების შემცირება. იმისათვის, რომ შეეჩერებინათ ოქროს და ვალუტის გადინება,. მთავრობამ 1949 წ. სექტემბერში მოახდინა გირვანქა სტერლინგის დევალვაცია 30,5%-ით, რის შედეგადაც მისი ღირებულება შემცირდა 4.03-დან 2,8 დოლარამდე. ამას მოჰყვა ვალუტის დევალვაცია იმ ქვეყნებშიც, რომლებიც შედიოდნენ სტერლინგის ბლოკში ან დაკავშირებულნი იყვნენ ინგლისურ ვალუტასთან. გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ შეასუსტა მისი, როგორც საერთაშორისო ვალუტის მნიშვნელობა და განამტკიცა დოლარის პოზიციები. გაიზარდა ფასები პირველადი მოთხოვნილების საქონელზე, რასაც მოჰყვა რეალური ხელფასის შემცირება. და მსოფლიო ბაზარზე ინგლისის საქონლის კონკურენტუნარიანობის დაქვეითება ომამდელთან შედარებით.

1950 წლიდან ქვეყნის ეკონომიკაში შეინიშნებოდა მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც რამდენადმე განაპირობა ომმა კორეაში (1950-1953 წწ.). ინგლისი უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ ომში, მაგრამ იგი აშშ-გან ღებულობდა ხელსაყრელ სამხედრო შეკვეთებს, აწვდიდა სამხედრო-სტრატეგიულ ნედლეულს, რამაც ქვეყანაში გამოაცოცხლა სამრეწველო წარმოება, შეიკვსო ოქროს საგალუტო მარაგები. 1950 წლის ბო-

ლოს ლეიბორისტების მთავრობამ უკვე შეძლო უარი გა-
ნეცხადებინა „მარშალის გეგმით“ გათვალისწინებულ ამე-
რიკულ დახმარებაზე.

ომისშემდგომ პერიოდში ინგლისის სამრეწველო განვითა-
რებაზე დიდი გავლენა მოახდინა გამალებულმა შეიარაღე-
ბამ. თუ 30-იან წლებში პირდაპირი სამხედრო ხარჯები ინ-
გლისში შეადგენდა ეროვნული შემოსავლის 2-2,5%, 50-იან
წწ. იგი – 10-11%-მდე გაიზარდა. 1949 წ. ინგლისმა მიიღო
ყველაზე აქტიური მონაწილეობა ჩრდილო ატლანტიკური ბლო-
კის – ე.წ. „ნატო“-ს შექმნაში და ცდილობდა დასავლეთ ევ-
როპის ლიდერად დამკვიდრებულიყო.

საერთოდ, ინგლისის ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგე-
ნა მოხდა სწრაფად. უკვე 1948 წ. მიღწეულ იქნა სამრეწვე-
ლო წარმოების ომამდელი დონე, ხოლო 1951 წ. სამრეწვე-
ლო პროდუქციის მოცულობამ სამჯერ გადააჭარბა 1937 წ.
ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა მრეწველობა არათანაბრად
ვითარდებოდა. ახალი დარგები – ელექტროენერგეტიკა, მან-
ქანათმშენებლობა, ქიმიური, საავტომობილო, ნავთობგადამამუ-
შავებელი – აღმავლობას განიცდიდნენ. ძველ დარგებს (ნახ-
შირის მოპოვება, საფეიქრო) 1951 წ. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ
მიღწეული ომამდელი დონე. ამავე პერიოდში ომამდელთან
შედარებით შემცირდა უმუშევრობა, რომელიც 1950-იან წწ.
მერყეობდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო
რაოდენობის 1,2-დან 2,6%-მდე.

ქვეყანაში კვების პროდუქტების წარმოების გადიდების მიზ-
ნით მთავრობამ 1947 წ. მიიღო სოფლის მეურნეობის განვი-
თარების ოთხწლიანი პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებ-
და მინიმალური ფასების დაწესებას და ფერმერებზე სუბსი-
დიების გაცემას მიწათმოქმედების მოსავლიანობისა და მე-
ცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. 1951-1952
წწ. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ომამდელთან შედარებით
50%-ით გაიზარდა, მიუხედავად ამისა სურსათის დიდი ნა-
წილი შემოჰქონდათ ინგლისში.

ინგლისში მიწის ძირითადი ნაწილი კვლავ მსხვილ მი-
წათმფლობელებს – ლენდლორდებს ეკუთვნოდათ, რომლებიც
მიწას იჯარით გასცემდნენ ფერმერებზე, მათ შორის ნახევარი

წვრილი და საშუალო ფერმერები იყვნენ. ინგლისში სასოფ-
ლო-სამეურნეო მიწის 70%-ზე მეტი, ხოლო შოტლანდიაში
90%-ზე მეტი მსხვილი ფერმერების ხელში იყო. თითოეული
მათგანის მეურნეობის ფართობი 60 ჰა-ს აჭარბებდა. ინგლისში
ასეთი მეურნეობები მეურნეობათა საერთო რაოდენობის 27%
იყო, უელსში – 23%, შოტლანდიაში – 30%, ჩრდილოეთ ირ-
ლანდიაში – 18%. ეს მეურნეობები იძლეოდნენ ძირითად სა-
საქონლო პროდუქციას. საერთოდ ჭარბობდა ფერმერები, რომ-
ლებიც ამუშავებდნენ 16 ჰა-ზე ნაკლებს.

50-იანი წწ. დასაწყისში, მიუხედავად მეორე მსოფლიო ომში
მიყენებული ზარალისა და კოლონიების დაკარგვისა, მთავ-
რობამ ძირითადად შეძლო აღედგინა ქვეყნის ეკონომიკური
პოტენციალი. ამავე დროს სოციალური სფერო კვლავ პრობ-
ლემური რჩებოდა. ამიტომ მორიგ სახელისუფლებო არჩევნებში
გამარჯვება მოიპოვეს კონსერვატორებმა.

1951 წ. კონსერვატორების ახალ მთავრობას სათავეში ჩა-
უდგა უ. ჩერჩილი, რომელიც „ცივი ომის“ ერთ-ერთ იდეო-
ლოგად ითვლება (1940-იანი წწ. ბოლო ითვლება „ცივი ომის“
დასაწყისად). ჩერჩილი ქვეყნის მთავრობას სათავეში ედგა
1940-1945 წწ. და 1951-1955 წწ. ჩერჩილმა 1946 წ. 5 მარტს ქ.
ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) გამოსვლისას თავის სიტყ-
ვაში გამოთქვა აღშფოთება იტალიასა და საფრანგეთში კო-
მუნისტების მზარდი გავლენის, ჩინეთში რევოლუციური მოძ-
რაობის გაძლიერების და სხვ. გამო. ჩერჩილი სთავაზობდა
გამოეყენებინათ ძალა (ატომური ბომბი) სსრ კავშირის შესაჩე-
რებლად, რომელიც მთელ მსოფლიოში ეწეოდა კომუნისტური
იდეოლოგიის პროპაგანდას.

ახალი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მი-
მართულებები იყო: 1. მრეწველობის დარგების ნაწილობრი-
ვი დენაციონალიზაცია; 2. მსხვილი მონოპოლისტური გაერ-
თიანებების მხარდაჭერა; 3. ეკონომიკის სტრუქტურული გარ-
დაქმნა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და საფინან-
სო პოლიტიკის ცვლილებების მეშვეობით; 4. ინგლისის ეგი-
დით ევროპის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის შექმნა მსოფ-
ლიოში თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით; 5. არმიის
რეფორმირება.

ინგლისის ეკონომიკური განვითარება 50-იან წწ. დაჩქარდა. თუ 1931-1938 წწ. ერთობლივი შიდა პროდუქტის საშუალოწლიური ზრდის ტემპი იყო 1,75%, ხოლო სამრეწველო წარმოების – 2,7%, 50-იან წწ. იგი გაიზარდა შესაბამისად – 2,7 და 3,3%-მდე. ომისშემდგომ ათწლეულში არ ყოფილა ღრმა და ხანგრძლივი კრიზისები. გაიზარდა საერთო დასაქმების დონე, ომამდელთან შედარებით შემცირდა უმუშევართა რაოდენობა, მისი წილი მერყეობდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 1,2-დან 2,6%-მდე.

1950-იანი წწ. ინგლისის მეურნეობის ზრდის ტემპების დაჩქარებას ხელი შეუწყო ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა, რომელიც საერთოა ყველა ინდუსტრიული ქვეყნისათვის. ესაა უპირველესად სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენა, რომელიც ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაცემის და სხვა ქვეყნებთან ინგლისის ჩამორჩენის პირობებში მოითხოვდა მეურნეობის რამდენადმე მოძველებული სტრუქტურის შეცვლას და მსხვილი კაპიტალდაბანდებების გადანაწილებას.

1951 წ. მთავრობამ დაიწყო მრეწველობის ცალკეული დარგების ნაწილობრივი დენაციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, შავ მეტალურგიაში. საწარმოების გაყიდვა ხდებოდა ძალიან დაბალ ფასებში, რამაც გამოიწია კერძო კაპიტალის დაინტერესება. ამასთან, მონოპოლისტთა ვარაუდით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მსხვილი კაპიტალდაბანდებების შედეგად შავი მეტალურგია კვლავ შეძლებდა მომგებიანი გამხდარიყო. დენაციონალიზაციით მონოპოლისტები დამატებით სოლიდურ სარგებელს ღებულობდნენ, მათ დაბალ ფასებში მიეყიდებოდათ სახელმწიფოს მიერ აგებული, ტექნიკურად კარგად შეიარაღებული მსხვილი მეტალურგიული ქარხნები.

წარმოების ხარჯების შემცირების და ინგლისის საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობამ სახელმწიფოსა და მონოპოლიებს წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციის ამაღლებისაკენ, მეურნეობის მართვის მეთოდების სრულყოფისკენ უბიძგა. ასე, 1950-იან წწ. დამმუშავებელი მრეწველობაში მომუშავეთა 30% მოდიოდა საწარმოებზე, სადაც დასაქმებული იყო 1000 მუშა-მოსამსახურეზე მეტი, მანქანათ-

მშენებლობის მსხვილ ქარხნებში დასაქმებული იყო – 44%, ხოლო მეტალურგიაში – 56%. ამავე დროს გაიზარდა კაპიტალის ცენტრალიზაცია. თავისი უზარმაზარი საფინანსო რესურსებით და მუდმივად მზარდი მოგებით წამყვანი მდგომარეობა ეკავათ გიგანტური მონოპოლიების მცირე ჯგუფს, რომელიც ეკუთვნოდათ დიდი ბრიტანეთის 100 უმდიდრეს ოჯახს.

ერთ-ერთ უმსხვილეს მონოპოლიურ გაერთიანებას კვლავ წარმოადგენდა კომპანია „ვიკერსი“, რომლის საწარმოებში 50-იანი წწ. ბოლოს მუშაობდა 100 ათასზე მეტი მუშა. იგი ფლობდა ქარხნებს, რომლებიც აწარმოებდნენ თვითმფრინავებს, გემებს, მათ შორის ატომურ ძრავიანებს, ლოკომოტივებს, ვაგონებს, ტრაქტორებს, საარტილერიო იარაღს, ელექტრომოწყობილობებს, ჩარხებს. მაგ.: კომპანიას მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე საწარმოები, რომლებიც ადნობდნენ ფოლადს, ამზადებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს და რაკეტებს. „ვიკერსს“ ჰქონდა ქარხნები კანადაში, ავსტრალიაში, ესპანეთში, თურქეთში და სხვ. სახელმწიფოებში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიებთან. ეს იმპერია აწარმოებდა 1580-ზე მეტი დასახელების საქონელს.

არანაკლებ მძლავრი იყო ქიმიური კონცერნი „იმპერიალ კენიგ ინდასტრის“-ი (იკი), რომელიც შეიქმნა 1926 წ. იგი თავისი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სიდიდით ჩამორჩებოდა მხოლოდ ამერიკულ კონცერნ „დიუპონს“, რომელთანაც იგი საწარმოო და საფინანსო ურთიერთობებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული. კონცერნს ინგლისში ეკუთვნოდა 100-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, სადაც დასაქმებული იყო დაახლოებით 120 ათასი მუშა-მოსამსახურე. მას 48 კაპიტალისტურ ქვეყანაში ჰქონდა 128 ქალიშვილი კომპანია, და გარდა ამისა, პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობდა მრავალ ფირმაში. იგი არსებითად წარმოადგენდა ინგლისის ქიმიური მრეწველობის სრულ მონოპოლისტს. მისი ქარხნები უშვებდნენ სასუქებს, გოგირდმჟავას, სინთეტიკურ საღებავებს, ხელოვნურ ბოჭკოს, ქიმიურ და ცეცხლსასროლ იარაღს, სპეციალურ საწვავს. ამ კონცერნის წილად მოდიოდა ასაფეთქებელი ნივთიერებების მსოფლიო ვაჭრობის 1/3. მონაწილე-

ობდა დიდი ბრიტანეთის ატომური მრეწველობის განვითარებაში.

ომის შემდგომ უმსხვილესი კონცერნი გახდა ინგლის–ჰოლანდიის კომპანია „როიალ–დატჩ–შელ გრუპი“, რომელსაც ეკუთვნოდა ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების საწარმოები ვენესუელაში, ახლო აღმოსავლეთში, აშშ-ში, ინდონეზიაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. 1950-იანი წწ. ბოლოს იგი ყოველწლიურად საშუალოდ 6,5 მლრდ. დოლარს საქონელს ასაღებდა, ხოლო მის საწარმოებში შრომობდა 25 ათასი კაცი. უმსხვილეს მონოპოლიებს მიეკუთვნებოდა „იუნილევერი“ და კონცერნი „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (ყოფილი ინგლის–ირანის ნავთობის კომპანია), 1952 წ. შეიქმნა ინგლისის საავტომობილო კომპანია – „ბრიტიშ მოტორ ჰოლდინგი“, ამავე წელს, კომპანია „ინგლიშ ელექტრიკი“ შთანთქა უძველესმა მონოპოლიამ „ჯენერალ ელექტრიკმა“ (1900 წ.), რამაც ამ უკანასკნელს მისცა საშუალება წამყვანი ადგილი დაეკავებინა ინგლისის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

1950-იანი წწ. ინგლისის ეკონომიკას ისევე, როგორც ომის წლებში, ახასიათებდა სახელმწიფო ხელშეწყობით წვრილი და საშუალო ფირმების იძულებითი შერწყმა,. 1959 წ. შეიქმნა ბამბის მრეწველობის რეორგანიზაციის სამმართველო, რაც ფაქტიურად ამ დარგში მეტი რაოდენობის ფირმების შერწყმაზე სანქცირებას ნიშნავდა.

მონოპოლიზაციის პროცესი მიმდინარეობდა საბანკო და სადაზღვევო სფეროშიც, რასაც თან სდევდა შერწყმის და შთანთქმის ტალღა. ინგლისში ძველებურად უდიდესი გავლენით სარგებლობდა „დიდი ხუთეული“, რომელსაც ეკუთვნოდა ქვეყნის საბანკო აქციების 85%. მის შემადგენლობაში შედიოდა „მინდლენდ ბანკი“, „ბარკლეიზ ბანკი“, „ლოიდ ბანკი“, „ვესტმინსტერ ბანკი“ და „ნეიშნლ პროვინციალ ბანკი“. კაპიტალის დაგროვებაში და ქვეყნის მეურნეობის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ სადაზღვევო კომპანიებს. მსხვილი სადაზღვევო კომპანიები „ელაიენი“, „ლიჩელ ენდ ჯენერალის“ და სხვ. ხელში იყო ელექტროტექნიკური, ქიმიური, მეტალურგიული და მრეწველობის სხვა დარგების აქციების დიდი ნაწილი. თავის მხრივ უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი „დიდი ხუთეულის“ და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბანკებთან.

იმისათვის, რომ ზეგავლენა მოეხდინათ ხელისუფლებაზე, უმსხვილესი მონოპოლიები გაერთიანდნენ მეწარმეთა კავშირში. ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაცია აერთიანებდა 600 ფირმას. მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები შედიოდნენ კონსერვატორთა კაბინეტის შემადგენლობაში და ასეთი სახით ახდენდნენ უშუალო ზეგავლენას ეკონომიკური პროგრამების შემუშავებასა და სახელმწიფო დაფინანსებაზე.

1950-იან წწ. მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნები, რადგანაც მრეწველობაში ძირითადი ადგილი კვლავ „ტრადიციულ“ დარგებს ეკავათ. ბრიტანეთის დარგობრივ სტრუქტურაში პირველი ადგილი დაიკავა მანქანათმშენებლობამ, მეორე – მეტალურგიამ და ლითონდამუშავებამ, მესამე – კვების, მეოთხე – საფეიქრო მრეწველობამ. ტექნიკური განახლების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ინგლისის მრეწველობა რამდენადმე ჩამორჩებოდა აშშ, გფრ და ნაწილობრივ იაპონიის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ დააჩქარა ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ინდუსტრიული პოლიტიკის გატარება მთავრობისაგან მოითხოვდა ახალ მიდგომას. ქვეყნის მოწინავე საავტომობილო, ელექტრონული, საავიაციო, ქიმიური, ნავთობდამმუშავებელ დარგებში, სადაც არსებობდა შესაბამისი პირობები და კვალიფიციური კადრები, სახელმწიფოს შეღავათიანი კრედიტების დახმარებით დაიწყო არსებული საწარმოების მოდერნიზაცია და ახლის შენება, სადაც ინერგებოდა მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებს, ყველაზე პროგრესული მიმართულების კვლევით ცენტრებს, ასევე არსებობდა მონოპოლიების მართვის ცენტრი.

ეს იყო დიდი ბრიტანეთის ინდუსტრიულად განვითარებულ სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთ მიდლენდის რაიონებში, მაგრამ არსებობდა რაიონები, რომელთა ეკონომიკაც აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. განსაკუთრებით შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, უელსში და ინგლი-

სის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ცხოვრობდა 10 მლნ. კაცზე მეტი, ე.ი. ბრიტანეთის მოსახლეობის 1/5.

მრეწველობის სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია ზოგიერთი იმ დარგის დაქვეითება, რომლებიც კონცენტრირებულნი იყვნენ ჩამორჩენილ რაიონებში. მაგ.: შოტლანდიაში ზედიზედ შეწყვიტეს არსებობა ნახშირის მაღაროებმა, საწარმოებმა, რომლებიც ფიქალისგან ამზადებდნენ თხევად საწვავს, ფოლადჩამომსხმელ მრეწველობაში სიმძლავრეთა მხოლოდ 60% იყო დატვირთული. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გემთმშენებლობა. სამხრეთ უელსში ათობით ნახშირის მაღარო დახურეს და ათეულ ათასობით მაღაროელი უმუშევართა რიგებში აღმოჩნდა.

მაღაროების დიდი ნაწილის დახურვა გამოწვეული იყო ნახშირის ექსპორტის მკვეთრი შემცირებით (1937 წლის 41 მლნ. ტონიდან 60-იანი წწ. დასაწყისის 6,8 მლნ. ტონამდე.) და გაზის, ნავთობპროდუქტების და ატომური ენერგიის მიერ ნახშირის თანდათანობით გამოდევნით. ნახშირის გატანის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსზე. ბრიტანეთში მეურნეობის სტუქტურის სრულყოფას ართულებდა ის, რომ კაპიტალდაბანდებათა 10% საზღვარგარეთ გადიოდა. კაპიტალდაბანდებათა წილი ქვეყნის მეურნეობაში შედარებით დაბალი იყო, ვიდრე ინდუსტრიულ სახელმწიფოებში.

დიდი სიძნელეები არსებობდა სოფლის მეურნეობაშიც, რომელიც ვითარდებოდა სახელმწიფოს ძლიერი ჩარევის პირობებში. იმის გამო, რომ ამ პერიოდში ინგლისს ძველებურად აღარ შეეძლო სურსათისა და ნედლეულის იმპორტი თავისი ყოფილი კოლონიებიდან, მთავრობამ მთელი ყურადღება გადაიტანა სამამულო წარმოებაზე.

1947 წ. მიიღეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოთხწლიანი პროგრამა. ამ პროგრამით მსხვილ ფერმერებს შეეძლოთ მიეღოთ სახელმწიფო სუბსიდიები და შეღავათიანი კრედიტები მანქანების და სასუქების შესაძენად, მათ აძლევდნენ პრემიებს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, დაადგინეს გარანტირებული შესასყიდი ფასები, რაც სტიმულს აძლევდა წარმოების განვითარებას. 1950-იან წწ. ინგლისის სოფლის მეურნეობა მაღალ დონეზე იყო მექანიზებული, ამასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოება ომამდელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისს კვლავ დიდი რაოდენობით შემოჰქონდა სურსათი.

ამ წლებში ინგლისში თავი იჩინა დემოგრაფიულმა და სპეციალისტების მომზადებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, რაც გამოიწვია ომის დროს ადამიანთა დანაკარგებმა. ნელა იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა. შობადობა გასულ საუკუნესთან და XX ს. პირველ ორ ათწლეულთან შედარებით 1,6-2-ჯერ შემცირდა. 1953-1958 წწ. და 1958-1963 წწ. მოსახლეობის საშუალო ზრდის ტემპმა ინგლისში შეადგინა შესაბამისად 0,4 და 0,7%; შედარებისათვის: აშშ – 1,7 და 1,6%, გფრ – 1,2 და 1,3%. შესამჩნევად გაიზარდა უფროსი ასაკის ადამიანთა წილი და სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც მოითხოვდა საპენსიო უზრუნველყოფის დანახარჯების გაზრდას. ნელა იზრდებოდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. ქვეყანაში არ ყოფნიდათ მაღალკვალიფიციური მუშები და სპეციალისტები, რომელთა კვალიფიკაციაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნის შესაბამისი იქნებოდა.

ამ დროისათვის ინგლისში იყო განათლების ყველაზე დაბალი დონე განვითარებულ ქვეყნებს შორის. მოსახლეობის 80% სწავლას ამთავრებდა 15 წლის ასაკში და მხოლოდ 15-17% 18 წლის ასაკში აგრძელებდა სწავლას უმაღლეს სკოლაში, აშშ-ში მათი წილი იყო 42%-. ეს წარმოიშობდა წინააღმდეგობრივ სიტუაციას შრომის ბაზარზე, საბოლოოდ კი ამუხრუჭებდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპს.

1950-იანი წწ. შუახანებში ქვეყანა აღმოჩნდა კიდევ ერთი პრობლემის წინაშე: ინგლისმა დაკარგა ტრადიციული წამყვანი პოზიცია მსოფლიო ბაზარზე. ბრიტანეთის კოლონიების დაკარგვამ, მსოფლიო სამეურნეო კავშირების გლობალურმა ცვლილებამ და ამერიკის პოზიციების გაძლიერებამ ომისშემდგომ პერიოდში გამოააშკარავა ინგლისის საგარეო ეკონომიკური პოზიციების სისუსტე და მისი საქონლის შედარებით დაბალი კონკურენტუნარიანობა. დიდი ბრიტანეთისთვის აუცილებელი იყო „თავისი ადგილის“ პოვნა შრომის

საერთაშორისო დანაწილებაში, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მის კონკურენტუნარიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს სამეურნეო გაერთიანება. 1957 წ. შეიქმნა მსხვილი საერთაშორისო გაერთიანება „საერთო ბაზარი“ (ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა). საფრანგეთმა, გფრ-მა, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა განიზრახეს ვაჭრობისათვის შეექმნათ უფრო ხელსაყრელი პირობები, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ აშშ-ისა და იაპონიის მხრიდან გაძლიერებული კონკურენციისათვის. ინგლისი ამ გაერთიანებაში არ გაწევრიანდა, რადგან ჩათვალა, რომ თავის საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტას დამოუკიდებლად შეძლებდა.

„საერთო ბაზრის“ ჩამოყალიბებამ ინგლისის საქონელს შეუზღუდა ევროპის ბაზრები, რამაც დიდად დააზარალა ინგლისის მეწარმეები და ფინანსისტები. მაშინ ინგლისმა „საერთო ბაზრის“ საპირისპიროდ შექმნა „თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია“ („თვეა“). მასში შევიდა ინგლისი, ავსტრია, შვეიცარია, დანია, ნორვეგია, შვედეთი და პორტუგალია. 1960 წ. იანვარში სტოკჰოლმში ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებას. ამ ასოციაციაში ინგლისს ჰქონდა წამყვანი როლი. „თავისუფალი ვაჭრობის ზონა“ რამდენადმე განსხვავდებოდა „საერთო ბაზრისაგან“. კერძოდ, შენარჩუნდა არსებული საბაჟო ტარიფები გარეშე სახელმწიფოებთან ვაჭრობაში. ინგლისის მიერ შექმნილ ორგანიზაციას არ შეეძლო ხელსაყრელი პირობების შეექმნა ინგლისური საქონლისათვის, რადგან მას არ ჰქონდა ისეთი ძლიერი ინტერნაციონალური საწყისი, როგორც „საერთო ბაზარს“. მალე აშკარა გახდა, რომ „თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციას“ არ შეეძლო ძლიერი კონკურენცია გაეწია „საერთო ბაზრისათვის“, ამიტომ 1961 წ. ინგლისმა დაიწყო მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ შესვლის შესახებ, მაგრამ ეს პროცესი 10 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

50-იან წწ. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მილიტარიზაციის პოლიტიკამ და გამალებულმა შეიარაღებამ. ინგლისი მონაწილეობდა სამხედრო ბლოკებში – ნატო, სენტო და სეატო, რომელთა სამხედრო ბაზები განლაგებული იყო კუნძულ კვიპროსზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებში. მილიტარიზაციის ხარისხით და სამხედრო ხარჯების სიდიდით ინგლისმა დაიკავა მეორე ადგილი აშშ-ის შემდეგ.

შეიარაღებულ ძალებში და მრეწველობის სამხედრო დარგებში დასაქმებული იყო 1,8 მლნ. კაცი, ე.ი. ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 8%. მთელი მანქანათმშენებლობის პროდუქციის 14% და გემთმშენებლობის 20%-ზე მეტი მზადდებოდა სამხედრო მიზნებისათვის. საავიაციო მრეწველობის 300 ათასი მუშიდან ნახევარი ემსახურებოდა სამხედრო თვითმფრინავებისა და მართული ჭურვების წარმოებას.

ელექტრონიკული და ატომური მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი იწარმოებოდა სამხედრო საჭიროებისთვის. ინგლისში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გამოყოფილი სახსრების 1/2-დან 2/3-მდე ხმარდებოდა სამხედრო დანიშნულების კვლევას. ქვეყნის მეცნიერ მუშაკთა დაახლოებით 1/3 დასაქმებული იყო სამხედრო ტექნიკის შექმნაზე.

1956 წელს ეგვიპტემ გამოაცხადა სუეცის არხის ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. ამის საპასუხოდ ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა 1956 წ ოქტომბერ-ნოემბერში განახორციელებს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რამაც არასახარბიელო ვითარებაში ჩააყენა ამ კოალიციის ქვეყნები. მსოფლიო საზოგადოებრივი ზეგავლენით, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუციით სამხედრო მოქმედებები შეწყდა.

ამ ომის შედეგები ინგლისისათვის იყო მძიმე. ეკონომიკური ზარალი შეფასდა 328 მლნ. გირ. სტერლინგად. ეს იყო დამატებითი ხარჯები არმიაზე, ფლოტზე და ავიაციაზე, დაკარგული სამხედრო ბაზები სუეცის არხზე, ინგლისის ნავთობის კომპანიების ზარალი, დანაკარგები ეგვიპტესთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით და სხვ. ამ თანხას დაემატა ეგვიპტის მიერ ნაციონალიზებული ინგლისის ბანკების

და კომპანიების ღირებულება. ამ ომში დამარცხების შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ე. იდენი (1955-1957 წწ.) იძულებული გახდა 1957 წ. იანვარში გადამდგარიყო, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა გ. მაკმილანი (1957-1963 წწ.).

ამგვარად, 40-იანი წწ. ბოლოს და 50-იან წწ. მთლიანად დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა ვითარდებოდა ევროპის ქვეყნებთან ერთად, განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა მხოლოდ გფრ-ს, აშშ-ს, მოგვიანებით იაპონიასაც. კოლონიურ იმპერიაში პოზიციების დაკარგვა მტკივნეულად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის დასაწყისი მოითხოვდა წარმოების ტრადიციული სტრუქტურების ცვლილებას. უდიდესი სამხედრო ხარჯები და 50-იან წწ. დაწყებული არმიის ტექნიკური გადაიარაღება მოითხოვდა მნიშვნელოვან ხარჯებს, რაც იწვევდა სოციალური პროგრამების შეზღუდვას. ამ ფაქტორებმა კონსერვატორულ მთავრობას, რომელიც ცდილობდა დიდი ბრიტანეთისათვის დაებრუნებინა მსოფლიო ლიდერობა, დაბრკოლებები შეუქმნა.

2. სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობანი 60-70-იან წლებში

1964 წ. პარლამენტის არჩევნებზე გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა ჰაროლდ ვილსონის მეთაურობით. მთავრობამ დაიწყო რეფორმების გატარება, რომელიც ითვალისწინებდა: ფოლადის აღდგენას, გარკვეული ღონისძიების განხორციელებას კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში. ჰ. ვილსონი ხელისუფლებაში მისვლისთანავე დაადგა მსხვილ მონოპოლიებთან თანამშრომლობის გზას. ლეიბორისტები შეეჯახნენ სერიოზულ მაკროეკონომიკურ სიძნელეებს და იძულებულნი გახდნენ მიეღოთ არაპოპულარული ზომები. 1966 წ. პარლამენტმა მიიღო კანონი ფასებისა და შემოსავლების შესახებ, რაც ნიშნავდა

მუშების და მომსახურეების ხელფასის გაყინვას, გადასახადების გაზრდას, ბიუჯეტის სოციალური ხარჯების შეკვეცას ცხოვრების ღირებულების ზრდის პირობებში, რამდენადმე პროფკავშირების შეზღუდვას, საცხოვრებლებზე გადასახადებისა და სატრანსპორტო ტარიფების გაზრდას. ხარჯები განსაკუთრებით გაიზარდა გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შედეგად, რომელიც 1967 წ. ნოემბერში გატარდა. მთავრობამ შემოიღო დამატებითი გადასახადები, მათ შორის სამომხმარებლო საქონელზეც. შეამცირეს ასიგნებანი სოციალური საჭიროებისათვის.

ლეიბორისტების სამრეწველო პოლიტიკა მიმართული იყო მონოპოლიზაციის პროცესის გაძლიერებისაკენ. 1960-იან წწ. ქვეყანაში პირველად წარმოიშვა მონოპოლიები, რომელთა საწესდებო ფონდებმა გადააჭარბა 1 მლრდ გირ. სტერლინგს.

1969 წ. დასავლეთ ევროპის 20 უმსხვილესი კერძო კომპანიიდან 8 იყო ინგლისის. წარმოების კონცენტრაციის ყველაზე მაღალი დონე შეინიშნებოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში და წარმოების ახალ დარგებში. ამ პროცესმა სწრაფად მოიცვა დამმუშავებელი მრეწველობის დარგები, რომლის პროდუქციაც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე, ასევე დარგები, რომლებიც საექსპორტო საქონელს აწარმოებდნენ.

თუ 1954-1958 წწ. საწარმოთა შერწყმის საშუალო წლიური რაოდენობა იყო 292, 1960-1969 წწ. გაიზარდა 794-მდე, ხოლო 1972 წ. მსხვილმა მონოპოლიებმა შთანთქეს 1700-ზე მეტი წვრილი კომპანია. 1968 წ. შემოდგომაზე ინგლისის მრეწველობის ისტორიაში მოხდა ყველაზე მსხვილი – „ჯენერალ ელექტრიკისა“ და „ინგლიშ ელექტრიკის“ გაერთიანება ერთ მძლავრ კომპანიად 900 მლნ. გირ. სტრ. აქტივებით, რომლის საწარმოებში 250 ათასზე მეტი მუშა მუშაობდა. იმავე წელს ელექტროგამომთვლელი მანქანების მწარმოებელი კომპანიების გაერთიანებით წარმოიშვა გიგანტური კომპანია „ინტერნეიშნლ კომპიუტერსი“. 1961-1970 წწ. დამმუშავებელ მრეწველობაში შერწყმათა შედეგად საქციო საზოგადოებების რაოდენობა 1/3-ით შემცირდა.

60-იან წლებში სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ საქმიანობაში. 1966 წ. შეიქმნა მრეწველობის რეორგა-

ნიზაციის კორპორაცია 150 მლნ. გირ. სტერ. ფონდით, 1967 წ. კი – გემთმშენებელი მრეწველობის სამმართველო. გააქტიურდა მათი საქმიანობა სხვადასხვა დარგის ფირმების გაერთიანებლად. ამან მეწარმეთა უკმაყოფილება გამოიწვია და 1970 წ. ეს კორპორაცია გაუქმდა.

1970-იანი წწ. ეკონომიკის სტრუქტურას განსაზღვრავდა უმსხვილესი სახელმწიფო კორპორაციები (ელექტროენერგეტიკაში, შავ მეტალურგიაში, გაზისა და ნახშირის მოპოვებაში, ინფრასტრუქტურაში). თითოეული მათგანის აქტივები 1 მლრდ. გირ. სტერლინგს აღემატებოდა. ქვეყანაში „შერეული ეკონომიკის“ ამგვარი სიჭარბის გამო მთავრობას ჰქონდა საფუძველი თავისთავზე აეღო სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური რეგულატორის ფუნქცია (ლეიბორისტებმა ეს საკითხი ჯერ კიდევ 1945 წელს დააყენეს).

კონცენტრაციის პროცესმა მოიცვა არა მარტო საწარმოო, არამედ საბანკო სისტემაც. მთავრობა ხელს უწყობდა საბანკო და სამრეწველო კაპიტალის კონცენტრაციას. საბანკო სისტემის მონოპოლიზაციის შედეგად ინგლისის ცნობილი უმსხვილესი ბანკების „ხუთეულის“ „ოთხეულად“ იქცა. 1968 წ. ბანკი „ვესტმინსტერი“ და „ნეიმილ პროვინციალ ბანკი“ შეერთდნენ. ამავე წელს „ბარკლეიზ ბანკმა“ შთანთქა „მარტინზ ბანკი“, რითაც შეიქმნა კომპანია, რომელმაც დეპოზიტების მოცულობით მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

ინგლისის ბანკები ახორციელებდნენ მსხვილ საერთაშორისო ოპერაციებს. 60-70-იან წწ. 8 ინგლისური ბანკი განაგებდა ქვეყნის მთელ აქტივებს. 1970 წ. ისინი განაგებდნენ 10 მლრდ. გირ. სტერლ. მოცულობით კაპიტალს.

ინგლისის მონოპოლიურ გაერთიანებათა ზრდა და განვითარება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციითაც იყო განპირობებული, განსაკუთრებით კი ეკონომიკის ახალ მოწინავე დარგებში, ვინაიდან ტექნიკურ პროგრამასთან დაკავშირებული კვლევის ჩასატარებელი ხარჯები იმდენად დიდი იყო, რომ ამის უზრუნველყოფა მხოლოდ მსხვილ ტრესტებს ან სახელმწიფო კომპანიებს შეეძლოთ.

ინგლისის კაპიტალი მონაწილეობდა უმსხვილეს საერთაშორისო მონოპოლებში, კერძოდ, ინგლის–ჰოლანდიის ნავთობის მწარმოებელ გიგანტში – „როიალ დატჩ შელი“, რომლის წლიური ბრუნვა იყო 4 მლრდ. გირ. სტერლ.; ინგლის-ჰოლანდიის „იუნივერლერი“ – ყოველწლიური 2,6 მლრდ. გირ. სტერლ. ბრუნვით. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მარგარინისა და საპნის მონოპოლია, იგი აკონტროლებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საპნისა და მარგარინის წარმოების 7/8-ს და აშშ-ში წარმოებული საპნის 1/4-ს. მის საწარმოებში, რომლებიც გაფანტული იყო 100-ზე მეტ ქვეყანაში, 320 ათასი მუშა და მოსამსახურე მუშაობდა.

ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლის შედეგად კოლონიური ნედლეულის მომწოდებელი მონოპოლიების პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ ისინი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ძალად რჩებოდნენ. მონოპოლიების ხელში იყო ინგლისის საზღვარგარეთულ კაპიტალდაბანდებათა ის ნაწილი, რომელიც კეთილშობილი ლითონების – კალის, სპილენძის, თუთიის, ტყვიის მომპოვებელ წარმოებაში, აგრეთვე კაუჩუკის პლანტაციებსა და ტროპიკულ კულტურებზე იყო დაბანდებული.

მთელი რიგი ინგლისური მსხვილი ფირმები ღრმად იჭრებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, „ბრიტიშ ლეილენდ მოტორ კორპორეიშნ“ გახდა ევროპის ერთერთი უმსხვილესი ავტომობილმშენებელი კომპანია, მის საწარმოებში ინგლისსა და მის გარეთ 180 ათას კაცამდე მუშაობდა. მის წილად მოდიოდა ინგლისური მანქანათმშენებლობის თითქმის ნახევარი. მსხვილი მონოპოლიები, რომლებიც მიისწრაფვოდნენ უფრო ღრმად შეეღწიათ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში, ემხრობოდნენ ინგლისის „საერთო ბაზარში“ გაწევრიანებას.

მონოპოლიზაციის პროცესმა მოიცვა ეკონომიკის ყველა დარგი, მათ შორის სახელმწიფო საწარმოებიც. მაგ.: ნახშირის მრეწველობაში მთელი ნახშირის მოპოვება თავმოყრილი იყო ერთი სახელმწიფო კომპანიის – „ნახშირის მრეწველობის ეროვნული სამმართველოს“ ხელში, ხოლო ფოლადის წარმოება – „ბრიტიშ სტილ კორპორეიშნ“-ში. ელექტროენერგეტიკის ერთი კომპანია აწარმოებდა ეროვნული ელექტროენერგიის 90%-ს. „ჯენერალ ელექტრიკი“ და „ინ-

გლიშ ელექტრიკის“ წილად მოდიოდა მთლიანად წარმოებული ლოკომოტივების 90%, ტურბოგენერატორების 50%, ასევე სამხედრო და სამრეწველო დანიშნულების ელექტრონიკის 50%. „ინტერნეიშნლ კომპიუტერსი“ აკონტროლებდა ელექტროგამომთვლელი მანქანების წარმოების თითქმის ნახევარს. ორ მსხვილ ფირმაზე მოდიოდა ინგლისში წარმოებული ტრაქტორების 80%.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის შედეგად ინგლისში შეიქმნა გიგანტური საფინანსო კონსორციუმი, რომელიც აკონტროლებდა სამრეწველო, საკრედიტო, სატრანსპორტო, სავაჭრო და მომსახურების სფეროს დიდ ნაწილს.

ინგლისის მთავრობა ხელს უწყობდა მონოპოლიების განმტკიცებას. კერძოდ, მსხვილ კომპანიებს აძლევდა საგადასახადო შეღავათებს, შეღავათიან კრედიტებს, სუბსიდიებს. სახელმწიფო იყო მრეწველობის რეორგანიზაციის კორპორაციის შექმნის ინიციატორი 150 მლნ. გირ. სტერლ. ფონდით. გიგანტური მონოპოლიების შექმნა კონკურენციის დაძლევის შესაძლებლობას იძლეოდა.

1960-იან წწ. მოხდა ხელახალი ნაციონალიზაცია. სახელმწიფო სექტორში გადავიდა გემთმშენებლობის, ავტომობილმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, ელექტრონული და სხვ. დარგების საწარმოები. სახელმწიფოს ხელში გადავიდა საავტომობილო კომპანიის აქციების 91,5%, ელექტროტექნიკური კომპანიის აქციების 62,5% და სხვ. 1970 წწ. ბოლოს სახელმწიფოს წილად მოდიოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის 12%, წარმოებული სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 20%, დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 19% და მთელი ინვესტიციების 40%.

1967 წ. ივლისში გატარდა ფოლადჩამომსხმელი მრეწველობის განმეორებითი მასშტაბური ნაციონალიზაცია, ყოფილ მფლობელებზე უზარმაზარი კომპენსაციების გადახდით. სახელმწიფომ დაიქვემდებარა მთელი ფოლადის წარმოების 90%-მდე. მფლობელებმა კომპენსაციის სახით მიიღეს 580 მლნ. გირ. სტერლ.

მთავრობა ატარებდა ცდებს ეკონომიკაში დაუნერგა დაგეგმვის სხვადასხვა ელემენტები: თავდაპირველად შეიმუშავეს

ინგლისის ეკონომიკის განვითარების პროგრამა, ხოლო შემდეგ „ეროვნული გეგმა“, რომელიც გათვლილი იყო 1960-იანი წწ. პირველ და მეორე ნახევარზე („ხუთწლედები“), რომლის რეალიზაციაც ვერ განხორციელდა, ამან გამოიწვია ინფლაციის ტემპების ზრდა, წარმოების ეფექტიანობის შემცირება.

ამ პერიოდში დაიწყო ინგლისის საგარეო დავალიანების ზრდა. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში ფართოდ იჭრებოდა ამერიკული კაპიტალი. 1960-იანი წწ. ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციების ვალმა 3 მლრდ. დოლარს მიაღწია. 1967 წ. ნოემბერში მთავრობა იძულებული გახდა უკვე მეორედ ომისშემდგომ პერიოდში გაეტარებინა გირვანქა სტერლინგის დევალვაცია. ამას შედეგად მოჰყვა ეკონომიკური ვითარების დროებითი სტაბილიზაცია; რამდენიმე წლის შემდეგ ინგლისი კვლავ აღმოჩნდა საფინანსო კრიზისის წინაშე.

საგარეო პოლიტიკაში ლეიბორისტებმა გაატარეს სამხედრო პოლიტიკური ბლოკების განმტკიცების და აშშ-თან განსაკუთრებული ურთიერთობის კურსი. ისინი მხარს უჭერდნენ აშშ-ის აგრესიას ვიეტნამში. მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სულ უფრო კარგავდა პოპულარობას და 1970 წ. ივნისში ვადამდე ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ე. ჰიტის მთავრობა, უპირველესად შეეცადა მიეღო კანონები, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურ პროგრამებზე ბიუჯეტის შემცირებას, გაფიცვების უფლებების შეზღუდვას და სხვ.

1961-1970 წწ. ქვეყნის ეროვნული პროდუქტის საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 2,89%, მაშინ, როდესაც იაპონიაში იყო 11,1%, საფრანგეთში – 5,8%, გფრ-ში – 4,8%. ინგლისის სამრეწველო პროდუქციის წილი კაპიტალისტურ სისტემაში განუხრელად ეცემოდა. თუ 1960 წ. იგი შეადგენდა 8,3%, 1965 წ. – 7,2%, 1972 წ. იგი 5,8%-მდე დაეცა. სამრეწველო წარმოების მოცულობით და სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპით ინგლისმა მეორე ადგილიდან, რომელიც მას ეკავა ომის შემდეგ, გადაინაცვლა მეოთხე ადგილზე აშშ-ის, გფრ-ისა და იაპონიის შემდეგ. არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა საგარეო ვაჭრობაც, რომელიც ტრადი-

ციულად დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში. 1972-1973 წწ. ინგლისს მთელ თავის ისტორიაში ყველაზე დეფიციტური სავაჭრო ბალანსი ჰქონდა. 1973 წ. დასაწყისში დეფიციტმა შეადგინა 90 მლნ გირ. სტერლ. თვეში, ხოლო მარტში მან 197 მლნ. გირ. სტერლ. მიაღწია. მცირდებოდა ქვეყნის წილი მსოფლიო ექსპორტში 1948 წ. 12,1%-დან 1970 წ. 8,9%-მდე და 1972 წ. 6,6%-მდე.

60-იანი წწ. მეორე ნახევარში და 70-იანი წლების ბოლოს მოხდა ინგლისის საგარეო ვაჭრობის ორიენტირების შეცვლა, რაც გამოწვეული იყო გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით და უპირველესად კოლონიური სისტემის ნგრევით. მაგ.: თუ 1950 წ. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნების წილად მოდიოდა დიდი ბრიტანეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40%, 1970 წ. შეადგინა მხოლოდ 23%. ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის წილი კი პირიქით, 1955 წლის 23%-დან 1970 წ. – 41%-მდე.

ქვეყნის ეკონომიკურმა და ფინანსურმა სიძნელეებმა ხელი შეუწყო სწრაფმზარდ ინფლაციას, რასაც შედეგად მოჰყვა ფასების ზრდა, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნებზე, დაეცა გირვანქა სტერლინგის მსყიდველობითუნარიანობა. ინფლაცია იქცა ინგლისის უპირველეს პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ 1972 წ. ნოემბერში ინგლისის მთავრობამ მიიღო „ანტიინფლაციური პროგრამა“, ინფლაცია კვლავ პროგრესულად იზრდებოდა. აუცილებელი იყო სასწრაფო ზომების მიღება. შემოიღეს გირვანქა სტერლინგის მერყეევი ანუ „მფრინავი“ კურსი, რაც მისი ღირებულების 5-6%-ით დაცემას ნიშნავდა. 1973 წ. დასაწყისში დიდი ბრიტანეთის ოქროს სავალუტო რეზერვი თითქმის 1 მლრდ. გირვ. სტერლინგით შემცირდა.

მიუხედავად ქვეყნის რთული საფინანსო და ეკონომიკური მდგომარეობისა, სამხედრო ხარჯები მაინც არ მცირდებოდა, არამედ კიდევ უფრო იზრდებოდა. ჯარი გადაიარაღდა ახალი სარაკეტო-ბირთვული იარაღით, რამაც კოლოსალური სახსრები მოითხოვა. დიდ ბრიტანეთს შეიარაღების ხარჯების სიდიდით მეორე ადგილი ეკავა აშშ-ის შემდეგ და პირველი – დასავლეთ ევროპაში.

ამრიგად, 60-70-იან წლებში ინგლისის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ზრდის ტემპის შენელება, სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, ინფლაციის სწრაფი ზრდა, კაპიტალდაბანდებათა დაბალი დონე, მსოფლიო ვაჭრობაში მისი წილის შემცირება და მრეწველობის მდგომარეობის გაუარესება.

ქვეყანაში არსებული პრობლემები ხელისუფლებას აიძულებდა ეზრუნა ქვეყნის „საერთო ბაზარში“ გაწევრიანებაზე. თუმცა ამის მიღწევა იოლი არ აღმოჩნდა. ინგლისის „საერთო ბაზარში“ შესვლას უმთავრესად საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა.

მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი „თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია“ უძლური აღმოჩნდა კონკურენცია გაეწია „საერთო ბაზრისათვის“ მაკმილანის კონსერვატორული მთავრობა 1961 წ. ითხოვდა „ევროპის ეკონომიკურ თანამშრომლობაში“ შესვლას. ხანგრძლივი მოლაპარაკებები ინგლისისათვის უშედეგო აღმოჩნდა. 1966 წ. ბოლოს ქვეყნის მსხვილი მონოპოლიების გავლენით, მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკების მეორე ტური, ეს ცდაც წარუმატებელი აღმოჩნდა. ხელისუფლების სათავეში ე. ჰიტის მთავრობის მოსვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა დაწყებულიყო მოლაპარაკებათა მესამე ტური, რომელიც 1973 წ. დიდი ბრიტანეთის „საერთო ბაზარში“ გაწევრიანებით დაგვირგვინდა.

იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციაში მიეღოთ, ინგლისს მოუწია მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა. წაყენებული პირობებით ინგლისის „საერთო ბაზრის“ ეკონომიკაში ჩართვა რამდენიმე წელი უნდა გაგრძელებულიყო. მრეწველობისათვის გარდამავალი პერიოდი უნდა ყოფილიყო 4,5 წელი. ინგლისსა და „საერთო ბაზრის“ წევრ ექვს ქვეყანას შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში არსებული ბაჟები თანდათანობით უნდა შემცირებულიყო. ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ინგლისის ჩართვა ერთიან სასოფლო-სამეურნეო ბაზარში, სადაც უფრო მაღალი ფასები მოქმედებდა, ამის გამო ინგლისი იძულებული იყო საშინაო ბაზარზეც გაეზარდა ფასები. ინგლისის მხარემ ივალდებულა გადაესინჯა თავისი მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმებები თა-

ნამეგობრობის ქვეყნებთან „ექვსეულის“ ქვეყნების მოთხოვნების გათვალისწინებით.

„საერთო ბაზარში“ შესვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო მოთხოვნა უარი ეთქვა გირვანქა სტერლინგზე, როგორც სარეზერვო ვალუტაზე, გადასულიყვნენ ზომის და წონის მეტრულ სისტემაზე. ევროპის თანამეგობრობის ბიუჯეტში ინგლისის შენატანების თანხა გაიზარდა სამჯერ 1973 წ. 100 მლნ-დან 1980 წლის 300 მლნ. გირვანქა სტერლინგამდე.

გარდამავალი პერიოდის ამ და სხვა სიძნელეებს მოსახლეობის უმეტესობა აღტაცებით არ შეხვედრია. 1974 წ. ჩატარდა ვადამდელი არჩევნები, სადაც ლეიბორისტების პროგრამა იყო უფრო მიმზიდველი, რამაც საშუალება მისცა მათ კვლავ გაემარჯვათ. ლეიბორისტები თავის წინასაარჩევნო მანიფესტში აცხადებდნენ, რომ უნდა შეექმნათ „უფრო პატიოსანი, უფრო დემოკრატიული და სოციალურად სამართლიანი საზოგადოება“. შეიმუშავეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო დარგის ნაციონალიზაციას, სახელმწიფო კონტროლის დაწესებას ნავთობის რესურსებზე ჩრდილოეთის ზღვაში, სამხედრო ხარჯების შემცირებას, ინგლისის „საერთო ბაზარში“ მონაწილეობის პირობების გადასინჯვას.

როგორც ყოველთვის, ლეიბორისტებმა პირველ რიგში დაიწყეს სოციალური პრობლემების მოგვარება, გაძლიერდა პროფკავშირების უფლებები, გაიზარდა მოხუცებულობის პენსია, შეჩერდა ბინის გადასახადების ზრდა და სხვ. ყოველივე ამას არ შეეძლო გადაეწყვიტა ღრმა ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც დაგროვდა ომისშემდგომ ათწლეულებში. ამასთანავე, 1973 წ. დაიწყო მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი, რაც განპირობებული იყო სპარსეთის ყურის ქვეყნების ქმედებით, რომლებიც გამოდიოდნენ ნავთობზე ფასების მომატების ინიციატივით. გაიზარდა ფასები ნავთობზე. ამან ძლიერი დარტყმა მიაყენა ინგლისის ეკონომიკას, რადგანაც ინგლისი ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი იყო. ეკონომმიკური სირთულეები გადაიზარდა 1975 წლის კრიზისში. ამ მომენტიდან ეკონომიკა განიცდიდა უძრაობას.

ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო ღებულობდა კორპორატიზმის ნიშნებს, რომლის დროსაც ეკონომიკური გადაწყვეტილებანი მიიღება მთავრობის, პროფკავშირების და მეწარმეების შეთანხმებათა საფუძველზე, მათი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს არსებითად ხელს უშლიდა პროგრესს, რადგან მაკროეკონომიკის ეს სამი სუბიექტი არ იყო დაინტერესებული გარდაქმნებით.

ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სტრატეგიის რადიკალური შეცვლის გზით. ლეიბორისტების მთავრობამ ვერ შეძლო განეხორციელებინა ეს ცვლილება.

ამირიგად, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა 60-70-იან წწ. იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. ერთის მხრივ, წარმოების უფრო თანამედროვე დარგებში იზრდებოდა გიგანტური საწარმოები, რომლებიც თავიანთ პირობებს კარნახობდნენ და მძლავრ ზემოქმედებას ახდენდნენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. მეორეს მხრივ – იზრდებოდა სახელმწიფო სექტორი, რომელიც მოიცავდა ძირითადად წარმოების ძველ ტრადიციულ დარგებს, სადაც უკიდურესად ნელა ხდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური გარდაქმნები. მისი პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე არ იყო კონკურენტუნარიანი.

სოციალურ პროგრამებზე კოლოსალური ხარჯები საზოგადოებაში იწვევდა „სხვის კმაყოფაზე ყოფნის“ ტენდენციის გაღრმავებას, ხოლო სოციალური ხარჯების შემცირების მცდელობას მწვავე პროტესტი მოჰყვა მძლავრი პროფკავშირული მოძრაობის მხრიდან.

კოლონიური იმპერიის არსებობის პერიოდში ინგლისის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა „კარგად“ ცხოვრების ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობდა მეტროპოლიაში ცხოვრების მაღალ დონეს. კოლონიური იმპერიის დაცემის შემდეგ ინგლისს გაუჭირდა ახალ პირობებთან შეგუება და მისი გათვალისწინება. ეს კი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა.

70-იან წწ. დიდი ბრიტანეთი გადაიქცა უძრავ საზოგადოებად, ეს შკუსვლა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდებოდა ქვე-

ლა მისი მთავარი მეტოქის სწრაფი წინსვლის ფონზე. ეკონომიკის მართვის კორპორაციული სისტემა კი (მთავრობა, პროფკავშირები, მეწარმეები) ძირითადად კერძო, თავის ინტერესებზე იყო გათვლილი. ეს იყო საზოგადოება, რომელიც ორიენტირებული იყო უფრო მწარმოებლებზე, ვიდრე მომხმარებლებზე.

3. ეკონომიკური პოლიტიკის შემობრუნება 80-90-იან წლებში. „ტეტჩერიზმი“

1979 წ. მაისის არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორები მარგარეტ ტეტჩერის მეთაურობით, ამ პერიოდიდან ინგლისის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო გარდატეხა. მთავრობამ წამოაყენა განვითარების სრულიად ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ყველა მანამდე არსებული პროგრამისაგან. ეკონომიკური განვითარების ასეთი სტრატეგია ისტორიაში შევიდა ნეოკონსერვატიზმის სახელწოდებით.

ახალმა მთავრობამ გააანალიზა რა დაგროვილი პრობლემები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის მოცემული სიტუაციიდან გამოსასვლელად აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრა, კერძოდ: 1) ქვეყანაში ჭარბი ძალაუფლებით სარგებლობდნენ პროფკავშირების ლიდერები, რასაც ისინი ხშირად იყენებდნენ პირადი ინტერესებისათვის, შანტაჟს უწყობდნენ მსხვილ მეწარმეებს და ემუქრებოდნენ გაფიცვებით; 2) ინგლისში პირადი შემოსავლები იბეგრებოდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი საგადასახადო განაკვეთებით: სტანდარტული 33%-იანი განაკვეთი 83%-ს აღწევდა; 3) უზომო ინფლაცია; 4) სახელმწიფოს ხელში ზედმეტი ძალაუფლების თავმოყრა.

მ. ტეტჩერის მთავრობამ მიზნად დაისახა ბოლო მოეღო ამ ნაკლოვანებებისათვის. ახალი პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი იყო: ა) თავისუფალი მეწარმეობა; ბ) პირადი ინიციატივა; გ) შეკიდურესი ინდივიდუალიზმი. „ტეტჩერიზმის“ იდეოლოგიური კონცეფციის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა

„ვიქტორიანულ ფასეულობებზე“ დაბრუნება – ოჯახისა და რელიგიის, კანონისა და წესრიგის პატივისცემა, მომჭირნეობა, აკურატულობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებლობა, პიროვნების უფლებები და ა.შ.

მ. ტეტჩერს განზრახული ჰქონდ შეეჩერებინა ეკონომიკის ხანგრძლივი ვარდნა „მონეტარიზმის“ პოლიტიკით, ხარჯების და გადასახადების შემცირებით, პროფკავშირების ძალაუფლების შეზღუდვით, გაკოტრებული საწარმოების სუბსიდირების აღკვეთით, სახელმწიფოს კუთვნილი დარგების პრივატიზაციით, ეკონომიკაში ბიუროკრატული აპარატის შეკვეცით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების, ფულის მასის, ინფლაციისა და მაღალი გადასახადების შემცირებით, ე.ი. ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზმის პრინციპებზე აგებით. საჭირო იყო „სხვის კმაყოფაზე ყოფნის“ ფსიქოლოგიის შეცვლა. სოციალური პრობლემები უნდა მოეგვარებინა შრომისუნარიან მოსახლეობას, ანუ ემუშავა ისე, რომ შეენახა თავისი თავიც და ოჯახიც. იგი თვლიდა, რომ ინფლაცია უფრო საშიშია, ვიდრე უმუშევრობა.

ამიტომ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგეს კონსერვატორებმა, გაფიცვების შესახებ კანონის მიღება იყო, რომელიც პროფკავშირების თითქმის უსაზღვრო უფლებების შეზღუდვას ითვალისწინებდა. 1980, 1982 და 1984 წწ. მიიღეს კანონები, რომლებმაც მთავრობას საგაფიცვო მოძრაობასთან (1984-1985 წწ. მაღაროელების და 1986 წ. მბეჭდავების) ბრძოლის შესაძლებლობა მისცა.

ახალი მთავრობისათვის ყველაზე რთული იყო ნაციონალიზებულ საწარმოთა პრობლემა, რომელთა უმეტესობა ზარალიანი იყო და მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო ბიუჯეტს. საჭირო იყო ამ სექტორის სრული პრივატიზაცია. საწარმოთა დენაციონალიზაცია შესაძლებლობას იძლეოდა, რომ არსებითად შეწყვეტილიყო სახელმწიფო ხარჯები მათ შენახვაზე.

1984-1987 წწ. განმავლობაში პრივატიზებული იქნა 9 მნიშვნელოვანი კონცერნი, ანუ მრეწველობაში სახელმწიფო საქმეების 1/3, მათ შორის გაზის მრეწველობის საწარმოები და ტელეკომუნიკაციები. 1987 წ. მთავრობამ გაყიდა ნავთობის კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“, ხოლო შემდეგ ფოლად-

ჩამომსხმელი და ავიაკოსმოსური მრეწველობის საწარმოები, ელექტროენერგეტიკის, წყალმომარაგების და საჰაერო ტრანსპორტის აქციები. მთლიანად 1980-იან წწ. მ. ტეტჩერის ხელისუფლებამ გაყიდა 25 მლრდ. დოლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო საწარმოები. კერძო ფირმებს შეეძლოთ ჩრდილოეთით შეეძინათ ნავთობის მდიდარი საბადოები, რადიოაქტიული იზოტოპების მწარმოებელი ქარხნები, ნახშირის მაღაროები, ტვირთის გადაზიდვის ეროვნული კომპანიები.

1980-იან წწ. საპრივატიზაციო კამპანიის პერიოდში 50%-დან 25%-მდე შემცირდა სახელმწიფო დაბანდებები, რომლებსაც ახორციელებდა როგორც მთავრობა, ისე ადგილობრივი ორგანოები. ფართო მასშტაბურმა პრივატიზაციამ მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალება მისცა გამხდარიყვნენ აქციონერები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაინტერესებული თავისი საწარმოს შემოსავლებით. 1979 წ. აქციების მფლობელთა რაოდენობა შეადგენდა ამომრჩეველთა 7%-ს, ხოლო 1988 წ. – 20% (მოსახლეობა 18 წ. ასაკის ზევით). აქციონერების რაოდენობით ინგლისს მეორე ადგილი ეკავა მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ.

იმ სახელმწიფო კომპანიებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ ითვლებოდნენ საპრივატიზაციო ობიექტებად, დაიწყო გარდაქმნები. მათ მიეცათ უდიდესი სამეურნეო და ფინანსური ავტონომია. სახელმწიფოს ურთიერთობა ასეთ საწარმოებთან ხორციელდებოდა კონტრაქტების საფუძველზე. სახელმწიფო საწარმოებს შეუწყვიტეს ხელოვნურად შექმნილი ხელსაყრელი კლიმატი, რომელშიც მათ მანამდე ამყოფებდნენ. კერძოდ, მათ მიერ წარმოებულ საქონელზე და მომსახურებაზე ფასებს უკვე აღარ არეგულირებდნენ, არამედ ფასს მთლიანად განსაზღვრავდა ბაზარი.

მ. ტეტჩერის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა ეკონომიკური პროგრესის უნივერსალური პრინციპი – „ჯანსაღი კონკურენცია“. ეს კონკურენცია უმეტესად გადადის ფასწარმოქმნის სფეროში, სადაც მეტოქე კომპანიები ერთმანეთთან ბრძოლაში იძულებულნი ხდებიან შეამცირონ ფასები.

მ. ტეტჩერის მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის არის ბინების პრივატიზაცია, რამდენადაც 1980-ინი

წწ. დასაწყისში ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის საცხოვრებელი ეკუთვნოდათ მუნიციპალურ ხელისუფლებას. საბინაო მეურნეობა იყო ზარალიანი, ამიტომ მისი შენახვა მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივ ბიუჯეტს და აქედან გამომდინარე სახელმწიფოს. პარლამენტმა მიიღო კანონი მობინადრე-არენდატორებზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბინების შეღავათიან ფასებში მიყიდვის შესახებ, რაც მათ ბინების მესაკუთრეებად აქცევდა. ბინების პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობდა საკმაოდ სწრაფად. 1989 წ. არენდატორების 66% უკვე მესაკუთრე იყო. ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

კონსერვატორების პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარება, რომელიც ახალი ძალა გახდა დიდი ბრიტანეთის სამეურნეო სტრუქტურაში. ტექნიკურად კარგად შეიარაღებული წვრილი და საშუალო ფირმები სამეურნეო კონიუნქტურის ცვლილებებზე მოქნილად რეაგირებდნენ, რაც არ შეიძლება ითქვას ბევრ გიგანტურ სამრეწველო საწარმოებზე.

მთავრობა აქტიურად უჭერდა მხარს და მფარველობდა ტრანსეროვნულ კორპორაციებს, სადაც დიდი წილი ჰქონდა ბრიტანეთის კაპიტალს. ინგლისის ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურება იყო წარმოების წამყვან დარგებში „ინტერნაციონალიზაციის“ მაღალი ხარისხი. თუმცა სამრეწველო წარმოების რამდენიმე სფერო ემყარებოდა საშინაო ბაზარს, ჰქონდა კაპიტალი და სამეცნიერო კვლევის განვითარებული ტექნიკური ბაზა. პირველ რიგში ეს შეიძლება ითქვას ქიმიურ და აეროკოსმოსურ დარგებზე, დანარჩენი კი უმეტეს წილად დაკავშირებული იყო საერთაშორისო კორპორაციებთან.

ინგლისის ეკონომიკის განვითარების მასტიმულებელი იყო კანონი საშემოსავლო გადასახადების სტანდარტული განაკვეთების შემცირების, სახელმწიფო აპარატის რაოდენობისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირების შესახებ. მაგ.: სამინისტროების რაოდენობა დაყვანილ იქნა მინიმუმამდე და დარჩა 16, მათ შორის პრაქტიკულად არც ერთი არ იყო დარგობრივი. სახელმწიფო პირდაპირ აღარ ერეოდა სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში.

მთავრობისათვის ყველაზე რთული აღმოჩნდა ბრძოლა ინფლაციასთან. მისი შემცირებისათვის შეიკვეცა სესხები, რომელსაც აძლევდა სახელმწიფო კერძო სექტორს, მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა ქვეყანაში ფულის მასის ზრდის ტემპი და ა.შ.

ინფლაციასთან ბრძოლა მოითხოვდა მკაცრ კონტროლს სახელმწიფო ბიუჯეტზე, ცნობილია, რომ ყველა სახელმწიფო ისწრაფვის ჰქონდეს დაბალანსებული, გადასახადებზე დაფუძნებული უდეფიციტო ბიუჯეტი, სისტემა, სადაც მთელი მოსახლეობა ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი თავისი შემოსავლების შესაბამისად. ტეტჩერის მთავრობა ატარებდა სააგადასახადო დაბეგვრის შესუსტების პოლიტიკას (ამ დროს აიძულა მიეღოთ კანონი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირების შესახებ. კერძო პირებისა და საწარმოების პირდაპირი პროგრესული საგადასახადო დაბეგვრა შეიცვალა არაპირდაპირით. მაგ.: მსხვილ შემოსავლებზე პირდაპირი გადასახადის ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლებში 1979 წ. 34%-დან 1981 წ. 39%-მდე გაიზარდა. 8%-დან 15%-მდე ამაღლდა დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლითაც იბეგრებოდა მრავალი სამომხმარებლო საქონელი, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სხვ. 17%-მდე გაიზარდა სააღრიცხვო განაკვეთები ინგლისის ბანკებში.

ინფლაციის შემცირებისათვის საჭირო იყო მრეწველობაზე, კომუნალურ და საგზაო მეურნეობაზე, კულტურაზე, განათლებაზე და სხვ. სახელმწიფო ხარჯების შემცირება. ამ მიზნით 1980-1981 წწ. ბიუჯეტის ხარჯები 14 მლრდ. გირ. სტერლინგით შემცირდა. შესამჩნევად შემცირდა სახელმწიფო აპარატი და მათი შენახვის ხარჯები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა პროპაგანდა სამომხმარებლო ხარჯების შემცირების აუცილებლობის შესახებ.

მ. ტეტჩერის მთავრობის ანტიინფლაციურმა პოლიტიკამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. თუ მისი ხელისუფლებაში მოსვლის დროს 1970-იანი წწ. ბოლოს ინფლაცია იყო 16% წელიწადში, 1983 წ. იგი 4%-მდე შემცირდა, ხოლო 1980-

იანი წლების მანძილზე მას არ გადაუჭარბებია საშუალოდ 6%-თვის. 1982 წ. მეორე ნახევრიდან ინგლისის ეკონომიკაში შეინიშნებოდა აღმავლობის ნიშნები, რომელიც 1983 წ. თვალსაჩინო გახდა: იზრდებოდა კრედიტების მოცულობა, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიების აქციების კურსი, ასევე მაღალი ტემპებით იზრდებოდა მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები (6,5%-ით) და კერძო ინვესტიციები (10,3%-ით); წამყვან სამრეწველო დარგებში გაიზარდა საბინაო მშენებლობა და წარმოების მოცულობა. ანალიტიკოსების მონაცემებით ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – პირადი მოხმარების მყარი ზრდა განპირობებული იყო მოსახლეობის შემოსავლების 5%-ით ზრდით და დაგროვების ნორმის 1,3%-ით შემცირებით.

პირადი მოხმარების ზრდას ხელს უწყობდა კრედიტების ფართოდ გავრცელება, საკრედიტო სფეროზე შეზღუდვების მოხსნა, უახლესი გამომთვლელი ელექტრონული ტექნიკის დანერგვა. კრედიტი ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ყველა ფენისათვის. 1988 წ. გაცემული სამომხმარებლო კრედიტების მოცულობამ ქვეყანაში შეადგინა 42 მლრდ. გირ. სტერლ., მოხმარების სტრუქტურაში სწრაფად იზრდებოდა ხარჯები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, იგი 1988 წ. გაიზარდა 12%-ით, 1987 წლის 6,8%-ის ნაცვლად. ამ სახის კრედიტები ძირითადად გამოიყენებოდა ბინების, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, პერსონალური კომპიუტერების და ა.შ. შესაძენად.

ამ პერიოდში ქვეყანაში იზრდებოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობა, ამასთანავე სწრაფი ტემპით ვითარდებოდა არა მარტო მრეწველობის დარგები, არამედ საშინაო ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი. შეიძლება ითქვას, რომ 1980-იანი წწ. შუალედში ინგლისი ეკონომიკური ზრდის ტემპებით უტოლდებოდა მსოფლიოს განვითარებული მრეწველობის მქონე სხვა ქვეყნებს.

მ. ტეტჩერის მთავრობის ერთ-ერთი მიღწევა იყო სამამულო ეკონომიკაში კაპიტალურ დაბანდებათა მკვეთრი ზრდა. განსაკუთრებით სწრაფი ზრდა აღინიშნა საავტომობილო დარგებში – თითქმის მესამედით, ასევე ცელულოზა-ქაღალდის

წარმოებასა და პოლიგრაფიაში – 25%-ით. დიდი მოცულობის ინვესტიციები იყო მიმართული ქიმიურ, ელექტრონულ, საფეიქრო და სხვ. დარგებში

აღსანიშნავია, რომ ამ სახსრების დიდი ნაწილი იხარჯებოდა სამრეწველო მოწყობილობათა შეცვლასა და განახლებაზე, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაზე, საწარმოო რესურსების დაზოგვის უზრუნველყოფაზე. უკვე 80-იან წლებში მთელი კაპიტალდაბანდებათა 75% მიემართებოდა დამმუშავებელ მრეწველობაში, სადაც იგი ხმარდებოდა მანქანების და მოწყობილობების მოდერნიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებული კვალიფიციური მუშაკების ღონე, შემდეგ კი იგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში.

მ. ტეტჩერის მთავრობის რეფორმები ინგლისის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებსაც შეეხო. 1980 წ. ოქტომბერში გაუქმდა შეზღუდვები კაპიტალის გატანაზე, რომელიც 40 წლის განმავლობაში არსებობდა. 1980-იანი წწ. დასაწყისში კერძო კაპიტალის საზღვარგარეთული ინვესტიციების საშუალო წლიურმა მოცულობამ შეადგინა 3,5 მლრდ. გირ. სტერლ. ამასთან, მთელი გატანილი კაპიტალის 80% მიემართებოდა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში – აშშ-ში, კანადაში, „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში. 1982 წ. ინგლისმა ამერიკის ეკონომიკაში ინვესტირებული თანხებით, პირველი ადგილი დაიკავა უცხოეთის სახელმწიფოებს შორის, გაუსწრო ნიდერლანდებს, რომლებიც მანამდე ლიდერობდნენ ამ მიმართულებით. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე მოდიოდა ინგლისის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 18%.

ამავდროულად განვითარდა საპირისპირო პროცესი – უცხოეთის ინვესტიციების შემოსვლა ინგლისში, რომელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ამერიკის კაპიტალმა. გარდა აშშ-ისა, სხვა ქვეყნებიც (მათ შორის განვითარებადი) აფართოებდნენ ინგლისის ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი, სინგაპური, ფილიპინები და სხვ.

1980-იან წწ. დიდი წარმატებები იქნა მიღწეული საგარეო ვაჭრობაში. საკუთარი ნავთობის გაყიდვის შედეგად უკვე 1983 წ. საგაჭრო ბალანსში ექსპორტი ჭარბობდა იმპორტს (1,1 მლრდ. გირ. სტერლ.), შემდგომ გაიზარდა დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის იმპორტის მოცულობა, რამაც 1985 წ. იმპორტის მოცულობის ზრდის ტემპი გაზარდა 3-ჯერ, კვლავ წარმოიშვა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი.

1980-იან წლებში მთავრობის მიერ დასახული პროგრამის განხორციელების შედეგად ინგლისი კვლავ ჩადგა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებში. მაგალითად, ინგლისი აღმოჩნდა ერთადერთი წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, სადაც 1980-იანი წლების მანძილზე მუდმივად მაღლდებოდა წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში იგი ან რჩებოდა იმავე დონეზე, ან ეცემოდა.

კონსერვატორული პარტიის და მისი ლიდერის მ. ტეტჩერის ავტორიტეტი გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1980-იან წწ. გამწვავდა სამხედრო კონფლიქტი ინგლისსა და არგენტინას შორის. მათ შორის არსებობდა საუკუნოვანი უთანხმოება ატლანტის ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულთა ჯგუფის გამო. ისტორიულად კუნძულები ეკუთვნოდა არგენტინას, მაგრამ 1833 წ. ხელში ჩაიგდეს ინგლისელებმა, თუმცა არგენტინელები არ სცნობდნენ ბრიტანეთის მფლობელობას, მათ ეს კუნძულები კვლავ თავისად მიაჩნიათ. 1982 წ. მაისში არგენტინამ კუნძულზე გადასხა დესანტი და აღმართა თავისი დროშა. ინგლისის სამხედრო ავიაციამ და არმადამ ამის საპასუხოდ განახორციელა რამდენიმე სამხედრო შეტევა, რის შედეგადაც არგენტინის გარნიზონი კაპიტულირებულ იქნა. ინგლისმა შემოიმტკიცა ფოლკლენდის კუნძულები და იქ შექმნა სამხედრო ბაზები.

ინგლისის ეკონომიკაში პროგრესს თან სდევდა მრავალი პრობლემა. უპირველეს ყოვლისა სოციალური დიფერენციაციის გაძლიერება. მთავრობა მხარს უჭერდა სოციალური საჭიროებისათვის ბიუჯეტის სახსრების შემცირებას, თავისი კონტროლი დააწესა ხელფასის ზრდაზე. საწარმოები, იმისათვის რომ გადარჩენილიყვნენ ახალ პირობებში, იძულებული იყვნენ ეზრუნათ წარმოების ინტენსიფიკაციაზე, რაც საშუალებას მისცემდათ შეემცირებინათ მუშაკების რაოდენობა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ 80-იან წწ. ერთ სულ

მოსახლეზე შემოსავალი 23%-ით გაიზარდა, ინგლისის ოჯახების 20% რეალური სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა. მათი საშუალო წლიური შემოსავალი იყო 4000 გირვ. სტერლ., რაც ინგლისში საარსებო მინიმუმზე დაბალი იყო.

სახელისუფლებო კურსის მიხედვით, ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს თავად უნდა უზრუნველეყო თავისი თავი, სახელმწიფოს ევალებოდა დახმარებოდა მხოლოდ შრომისუუნაროებს და მათ, ვინც თავისი სურვილით არ დატოვა სამუშაო. ინგლისელებისათვის ყველაზე რთული ცხოვრების ახალი პირობების შეგუება აღმოჩნდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სახელმწიფო „ვალდებულია“ განსაზღვრული სოციალური გარანტიებით უზრუნველყოს ყველა. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფცია, რომლიც ეფუძნებოდა საგადასახადო დაბეგვრის მაღალ დონეს, მოიცავდა ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა უფასო განათლება, სამედიცინო დახმარება, სახელმწიფო პენსიების სისტემა და ა.შ., რომლებიც ომისშემდგომ პერიოდში ყველა მთავრობის დროს არსებობდა. ახალ პირობებში კი ხალხს უნდა ეცხოვრა საკუთარი ძალების იმედად, ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პირობებში.

მ. ტეტჩერის მთავრობა შეეჯახა მოსახლეობის ძირითადი მასის ფსიქოლოგიის შეცვლის პრობლემას. უნდა დანგრეულიყო ათწლეულების განმავლობაში შექმნილი სოციალური გარანტიების სისტემა – „ყველასათვის“ და შეცვლილიყო ფასეულობათა ახალი, ინდივიდუალისტური სისტემით – „თითოეული თავისთვის“.

ათი წლის მანძილზე (1979-1989 წწ.) მთავრობამ შეძლო ქვეყანაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შეცვლა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს თვით საზოგადოებაში. შემცირდა უშუალოდ წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა, გაიზარდა მომსახურების სფეროში დასაქმება, ასევე გაიზარდა წვრილი მფლობელების ფენა, მათ შორის ოჯახური ფირმები, გაჩნდა საშუალო რანგის მაღალი ანაზღაურების მენეჯერთა სოციალური ჯგუფი. ასე, რომ 80-იან წწ. „საშუალო ფენას“ მიეკუთვნებოდა ინგლისის ამომრჩეველთა უმეტესობა. 80-იან წწ.

ბოლოს ინგლისელების 64%-ს ჰქონდა საკუთარი სახლი, 70%-ზე მეტს – ავტომობილი, 46% – ვიდეომაგნიტოფონი, ნახევარზე მეტს შეეძლო ბავშვებისათვის უზრუნველეყო ფასიანი ანუ უფრო მაღალი დონის განათლება.

1980-იანი წწ. მანძილზე ეკონომიკაში ხელისუფლების ცვლილებებმა არსებითად შეამცირეს უმუშევრობა 1987 წლის 9,8%-დან 1989 წ. – 6,8%-მდე. ყოფილი უმუშევრების დიდი ნაწილი სამრეწველო სექტორიდან გადავიდა მომსახურების სფეროში. 1988 წ. მიიღეს პროგრამა უმუშევართა პროფესიული სწავლების შესახებ, რაზედაც მთავრობამ გამოყო 1,4 მლრდ. გირ. სტერლინგი. ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო 600 ათას კაცის სწავლა მათი შემდგომი დასაქმებით.

1980-1990 წწ. მიჯნაზე ტეტჩერის მთავრობა მოსახლეობაში კარგავს პოპულარობას. განსაკუთრებით წარუმარტებელ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს 1990 წ. გაზაფხულზე გატარებული ადგილობრივი გადასახადების რეფორმა, რომელიც დაკავშირებული იყო ახალი საარჩევნო კანონის მიღებასთან. ინგლისელთა უკმაყოფილება გამოიწვია ახალმა, ყველასათვის ერთნაირმა (შემოსავლებისაგან დამოუკიდებლად) სულადობრივმა გადასახადმა, რომლითაც დაბეგრეს ქვეყნის ყველა მცხოვრები 18 წლის ზევით. ამით ეკონომიკური სარგებელი იყო უმნიშვნელო, ხოლო სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგები – უკიდურესად უარყოფითი. ამავე დროს მთავრობამ ვერ შეძლო დაერეგულირებინა ურთიერთობა და პროტესტანტებს შორის დაძაბული ურთიერთობა, ასევე წინააღმდეგობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ირლანდიელებს შორის, რომლებიც ისწრაფვოდნენ მიეღოთ დამოუკიდებლობა. ყოველივე ამან შელახა ხელისუფლების ავტორიტეტი. მოსახლეობა უკმაყოფილო იყო და მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა, რის შედეგადაც 1990 წ. ნოემბერში მარგარეტ ტეტჩერი იძულებული იყო გადამდგარიყო. პარტიის ახალი ლიდერი და პრემიერ-მინისტრი გახდა ჯონ მეიჯორი, რომელმაც მაშინვე გააუქმა არაპოპულარული სულადობრივი გადასახადი.

გაერთიანებული სამეფოს ახალმა პრემიერმა პრაქტიკულად არ შეცვალა ტეტჩერის ეკონომიკური კურსი. 90-იანი წწ.

პირველ ნახევარში მოხდა სახელმწიფოს მიერ კერძო მეწარმეობის, მეცნიერებატევადი წარმოების დაფინანსების, წვრილი და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის აქტიური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება. ახალი პრემიერის ძალისხმევით 1993 წ. 2 აგვისტოს ინგლისმა ხელი მოაწერა მაასტრიხის შეთანხმებას. ეს ხელშეკრულება იყო იმ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ლოგიკური გაგრძელება, რომელიც არსებობდა ინგლისსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. „ევროპის ეკონომიკურმა თანამშრომლობამ“ ანუ ევროპის კავშირმა მისი სრულად ამოქმედების შემდეგ მიზნად დაისახა, რომ მასში შემავალი ქვეყნები ჩამოყალიბებულიყვნენ ეკონომიკურ „ზესახელმწიფოდ“, როგორც მინიმუმი, გათანაბრებოდნენ აშშ-ს, და მნიშვნელოვანად გადაეჭარბებინათ იაპონიისთვის. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთიანი ფულადი ერთეულის – „ევროს“ შემოღებას, საზღვრების „გაუქმებას“ და ეკონომიკური და პოლიტიკური ზესახელმწიფოებრივი ორაგნოების შექმნას.

1990-იანი წწ. ეკონომიკა ხასიათდებოდა დინამიური განვითარებით. სტაბილურად გაიზარდა ერთობლივი შიდა პროდუქტი, შემცირდა უმუშევრობა, გაუმჯობესდა სავაჭრო ბალანსი. ქვეყანაში შეინიშნება 1960-იანი წწ. მოყოლებული ყველაზე დაბალი ინფლაციის ტემპი. 1991-1995 წწ. მთავრობამ შეძლო ზრდის მაღალი ტემპების ხელსაყრელი შეთანაწყობა ინფლაციის ყველაზე დაბალ ტემპებთან. 1995 და 1996 წლებში პირველად 1987 წლის შემდეგ საგადამხდელო ბალანსი იყო აქტიური.

90-იანი წწ. პირველი ნახევარში ბრიტანეთის ეკონომიკაში მიმდინარეობდა პოზიტიური პროცესები. საკმაოდ სტაბილურად გაიზარდა ერთობლივი შიდა პროდუქტი და შემცირდა უმუშევრობა. თუ 1993 წ პირველ კვარტალში ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 2,5%, 1994 წ. პირველ კვარტალში – 4%, უმუშევრობის დონე შესაბამისად უტოლდებოდა 10,5% და 9,9%, ხოლო 1994 წლის მეოთხე კვარტალში – 8,9%.

მიუხედავად ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი დადებითი ფაქტორებისა, მთელი მოსახლეობის დაახლოებით 20% არ იყო სოციალურად უზრუნველყოფილი. საზოგა-

დოებრივი აზრი კვლავ შეიცვალა და 1997 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ ლეიბორისტები ტონი ბლერის მეთაურობით, რომელმაც თავისი პოლიტიკა მიმართა მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ. კვლავ წამოტივტივდა აზრი ევროპის ინტეგრაციაში ინგლისის განსაკუთრებული ადგილის შესახებ.

ახალმა პრემიერმა ტონი ბლერმა პრაქტიკულად არ შეცვალა კონსერვატორების ძირითადი ეკონომიკური კურსი, იგი დაპირდა ხალხს, რომ მისი მთავარი ამოცანა იქნებოდა, ჯერ ერთი, ბრძოლა უმუშევრობასთან, მეორე, ხელფასის მინიმუმის შემოღება, მესამე, ევროპის თანამშრომლობის ქარტიაზე ხელმოწერა, რომლის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ კონსერვატორები, რათა არ შებოჭილიყვნენ იმგვარი ვალდებულებებით, რომელთაც შეეძლოთ უარყოფითად ემოქმედათ ეროვნული პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე, მეოთხე, განათლების სისტემის განვითარება და ტექნიკური მომზადების სრულყოფა. გარდა ამისა, მან დადო პირობა, რომ შექმნიდა შოტლანდიისა და უელსის ასამბლეას, ჩაატარებდა რეფერენდუმს „ევროზე“ გადასვლის მიზანშეწონილობის თაობაზე, შემოიღებდა მცოცავ გადასახადებს, და შეიტანდა შესწორებებს კონსტიტუციაში.

ბლერის პროგრამაში საგულისხმოა, რომ მან უარი თქვა ნაციონალიზაციაზე, რათა თავისკენ მიემხრო ბიზნეს-სამყარო. მისი კრედო იყო: პოლიტიკაში მთავარია დაისახო შესრულებადი მიზანი და ყურადრება მკვეთრად მიმართო იმაზე, რაც უნდა გააკეთო.

ამრიგად, XX ს. 80-90-იან წწ. ინგლისის ეკონომიკური განვითარების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ „ტეტჩერიზმი“ ბრიტანეთის პირობებში ეფექტური აღმოჩნდა. ამგვარმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ინგლისის სახე არსებითად შეცვალა. „ტეტჩერიზმის“ როგორც ნეოკონსერვატიზმის ბრიტანულმა მოდელმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი საკმაოდ მყარი სისტემაა და მას შეუძლია შეეგუოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვალებადობას, გარდაქმინას და მოდერნიზაციას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგები ამტკიცებს თეზას იმის შესახებ, რომ საბაზრო ეკონომიკას აქვს უდიდესი შესაძლებლობანი და იგი წარმატებით ეგუება ეკონომიკური პოლიტიკის ცვალებადობას.

თემა 26. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. მეორე მსოფლიო ომის ეკონომიკური შედეგები. საფრანგეთის ეკონომიკა ომისშემდგომ პირველ წლებში

საფრანგეთის მემარჯვენე ვრეების მიერ 30-იანი წწ. მეორე ნახევარში გატარებულმა პოლიტიკამ ქვეყანა სამხედრო კატასტროფამდე მიიყვანა. შინაგანი დაპირისპირების შედეგად საფრანგეთმა ვერ შეძლო ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის ჯარებისათვის. 1940 წ. ივნისიდან საფრანგეთის ტერიტორია ოკუპირებულ იქნა გერმანიის მიერ და თითქმის 4 წლის განმავლობაში მისი ეკონომიკა სრულად დაექვემდებარა გერმანიას. ქვეყნის ბურჟუაზიის დიდი ნაწილი თანახმა იყო ეთანამშრომლა საოკუპაციო ხელისუფლებასთან, გაეწია მისთვის ეკონომიკური მხარდაჭერა. შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა. საომარი მოქმედებისა და დაბომბვის შედეგად მიყენებულ ეკონომიკურ დანაკარგებს ემატებოდა ზარალი, რომელსაც გერმანელი ოკუპანტების მოქმედება აყენებდა. 1944 წ. საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატებებმა შესაძლებლობა მისცა საფრანგეთს 1944 წ. აგვისტოში განედევნა ოკუპანტები პარიზიდან, ხოლო წლის ბოლოს გაეთავისუფლებინა მთელი ქვეყანა.

ომში მიყენებულმა მთელმა ზარალმა შეადგინა 1440 მლრდ. ფრანკი. დაიღუპა 1,1 მლნ. კაცი. 700 ათასზე მეტი ფრანგი ფაშისტებმა წაიყვანეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოებზე. საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა ათასობით ადამიანი. სამრეწველო წარმოება შემცირდა 70%-ით. განადგურდა 50 ათასზე მეტი საწარმო, განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, ასევე განადგურდა ელექტროსადგურები, მაღაროები, გემთმშენებელი ქარხნები, ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების 80%, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა ტრანსპორტი, განსაკუთრებით დაზარალდა რკინიგზა, დაკარგეს თითქმის მთელი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეადგენდა ომამდელის 38%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა – 60%. მანქანების პარკი, იმის გამო, რომ დიდი ხნის მანძილზე არ განახლებულა, იყო ძველი და გაცვეთილი.

ოფიციალური მონაცემებით განადგურდა 2100 ათასი შენობა, 195,5 ათასი სამრეწველო საწარმო, 253 ათასი გლეხური მეურნეობა. 101 ბრძმედიდან მუშაობდა მხოლოდ 7. ნახშირის მოპოვება დაეცა 4-ჯერ. ქვეყანაში მძვინვარებდა ინფლაცია. 1945 წ ფრანკის ღირებულება 1938 წელთან შედარებით 6-ჯერ დაეცა. 100 ათასზე მეტი წვრილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმო გაკოტრდა. ქვეყანა განიცდიდა მანქანადანადგარების, ნედლეულის და სურსათის ნაკლებობას. ხალხის მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 3/4 შიმშილობდა.

საფრანგეთს დაუგროვდა უზარმაზარი საგარეო ვალი. შეირყა მისი, როგორც მსოფლიო მევახშის პოზიციები. ომამდელთან შედარებით მისი საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების მოცულობა განახევრდა, ხოლო 1913 წ. შედარებით 10-ჯერ შემცირდა. საფრანგეთის კაპიტალდაბანდებებს ძლიერი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გატარებულმა ნაციონალიზაციამ. საგახშო პოტენციალი საგრძნობლად შეასუსტა სამხედრო ვალების გადახდამ. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ომის დროს დაიწყო საფრანგეთის კოლონიური იმპერიის რღვევა. დამოუკიდებლობა მოიპოვა ინდოჩინეთმა, სირიამ და ლიბანმა.

ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთი რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელთაგან მთავარი იყო ეკონომიკური ნგრევისაგან თავის დაღწევა. 1944 წ. 30 აგვისტოს მთელი ხელისუფლება, მეოთხე რესპუბლიკის (1946 წ.) კონსტიტუციის მიღებამდე, გადავიდა დროებითი მთავრობის ხელში გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით. ამ მთავრობამ მიიღო სრული ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები და რწმუნებანი. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადას-

ხვა პარტიების წარმომადგენლები (მათ შორის კომუნისტები და სოციალისტები), რამაც განაპირობა ახრთა სხვადასხვაობა პოლიტიკურ ძალთა შორის სახელმწიფოს ომისშემდგომი მოწყობის, ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტის თაობაზე.

მთავრობაში ყველაზე მწვავე უთანხმოება მოჰყვა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტას. კერძოდ, ეკონომიკის მინისტრს, რადიკალ პიერ მენდეს-ფრანსს მიაჩნდა, რომ ინფლაციის შესამცირებლად საჭირო იყო ხელფასებისა და ფასების გაყინვა, საბანკო ანგარიშების ბლოკირება და ბანკნოტების იძულებითი გაცვლა. ფინანსთა მინისტრი რენე პლევენი ცდილობდა გადაერჩინა ის მაღალი მოგებანი, რაც ომის წლებში მიიღეს მსხვილმა კორპორაციებმა სამხედრო შეკვეთების შესრულებით. ამისათვის ისინი სთავაზობდნენ საშინაო სესხების გამოშვებას. კომუნისტები, რომელთაც ჰქონდათ ძლიერი პოზიციები ომში აქტიური მონაწილეობის გამო, უმთავრეს ამოცანად თვლიდნენ ნაციონალიზაციის გატარებას და მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის შექმნას.

მწვავე პოლიტიკური ბრძოლა გაიშალა მრეწველობის ნაციონალიზაციის გარშემო, რომელიც დამთავრდა კომპრომისით. 1945-1947 წწ. სახელმწიფოს ხელში გადავიდა ისეთი დარგები, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ქვანახშირის მოპოვება, გაზის და საავიაციო მრეწველობა, საზღვაო სანაოსნო, საჰაერო ტრანსპორტი, ფირმა „რენოს“ საავტომობილო ქარხნები, ოთხი უმსხვილესი სადეპოზიტო ბანკი. ნაციონალიზაცია შეეხო ქვეყნის სამრეწველო სიმძლავრეების 20%. შეიქმნა სახელმწიფო კომპანიები. სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ გადავიდა ხუთი უმსხვილესი ბანკი (მათ შორის საფრანგეთის ბანკი), შემნახველი სალაროები, ზოგიერთი სადაზღვევო კომპანია. ნაციონალიზებული საწარმოების (უმეტესად იმ საწარმოების, რომელთა მეპატრონეებიც ოკუპაციის პერიოდში გერმანელებთან თანამშრომლობდნენ) მართვისათვის შეიქმნა ადმინისტრაციული საბჭოები მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით. გაფართოვდა საფაბრიკო-სა-

ქარხნო პროფკავშირების უფლებები. მათ მიეცათ შესაძლებლობა გაეკონტროლებინათ მუშათა დაქირავების და გათავისუფლების, შრომის პირობების და მუშათა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხები.

ამავე დროს მონოპოლიებმა ნაციონალიზებული საწარმოების ნაცვლად (უმეტეს შემთხვევაში ზარალიანი) მიაღწიეს მიეღოთ მნიშვნელოვანი კომპენსაციები, კომპენსაცია არ გაიცემოდა იმ საწარმოებზე, რომლებიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ. მიღებულ სახსრებს ისინი აბანდებდნენ მოწინავე და რენტაბელურ დარგებში.

ნაციონალიზაცია საფრანგეთში ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, არ შეხებია მრეწველობის ყველა ძირითად დარგს და ასევე არ შეცვლილა კაპიტალისტური ეკონომიკის არსი. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს იყო კერძოდან სახელმწიფო-მონოპოლისტურ საკუთრებაზე გადასვლა, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებას. ნაციონალიზაციამ შეზღუდა მონოპოლიების ბატონობა.

ომისშემდგომი პირველი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ქვეყნის სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. აღადგინეს 40 საათიანი სამუშაო კვირა, ხოლო სახეგანაკვეთო მუშაობის ანაზღაურება მაღალი ტარიფით ხდებოდა. მუშებისათვის კვლავ შემოიღეს ორკვირიანი ფასიანი შვებულება, ხოლო მოსამსახურეებისათვის – სამკვირიანი. 1946 წ. მრეწველობაში და ვაჭრობაში მომუშავეთა ნომინალური ხელფასი გაიზარდა 80%-ით, სასოფლო-სამეურნეო მუშების – 25%-ით. პენსიები და ოჯახებზე დახმარებები გაიზარდა 80-დან 130%-მდე. შეიქმნა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა, რომელიც გავრცელდა ყველა დაქირავებულ მუშაკზე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა გარდა. მათ მიიღეს 65 წლის ასაკში მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების უფლება. შობადობის სტიმულირებისათვის შემოიღეს დახმარებები ბავშვებიან ოჯახებზე. სოციალური დაზღვევის სახსრები შედგებოდა მუშათა და მოსამსახურეთა შენატანებისა (ხელფასის 6%) და მეპატრონეების დანარიცხებისგან (ხელფასის ფონდის 10%). დაიწყო

მუშებისათვის ხელმისაწვდომი საბინაო მშენებლობა. სოციალური შეღავათები დაწესდა სოფლის მეურნეობაშიც. 1946 წ გაიზარდა მოზიარის წილი მოსავლის 50-დან 60%-მდე. მათ მიეცათ შეღავათიანი სესხები ომის დროს განადგურებული მეურნეობების აღსადგენად, ხოლო ახალგაზრდა ოჯახებს – მეურნეობის შესაქმნელად. ასაკოვანმა გლეხებმა მიიღეს პენსიის უფლება.

მსხვილი კაპიტალდაბანდებები მიმართული იქნა მრეწველობაში, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის სამრეწველო წარმოების სწრაფ განვითარებას. 1947 წ. ზაფხულში მიღწეულ იქნა ომამდელი დონე (სოფლის მეურნეობამ ამ დონეს მიაღწია 1950 წ.). საფრანგეთის ხელისუფლებაში არსებული უთანხმოების გამო 1947 წ. მაისში სამთავრობო კოალიცია დაიშალა, კომუნისტი მინისტრები მთავრობიდან გააძევეს. ქვეყანაში შეჩერდა ნაციონალიზაციის პროცესი. 1948 წ. იანვარში გატარდა ფრანკის დევალვაცია, რის შედეგადაც მისი ოქროს შემცველობა დაეცა 44%-ით.

1948 წ. 28 ივნისს პარიზში ხელი მოეწერა შეთანხმებას აშშ-ის და საფრანგეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ამის შემდეგ საფრანგეთში ამოქმედდა „მარშალის გეგმა“. მთავრობიდან კომუნისტების განდევნამდე აშშ-ის ადმინისტრაცია საფრანგეთს არ უწევდა სისტემურ მხარდაჭერას. „მარშალის გეგმით“ საფრანგეთმა მიიღო მნიშვნელოვანი დახმარება. 1948 წ. აპრილიდან 1951 წ. ოქტომბრამდე აშშ-სგან საფრანგეთმა მიიღო სურსათი, მოწყობილობანი და მსხვილი ფულადი სუბსიდიები 2458 მლნ. დოლარის ოდენობით, ხოლო 1958 წ. აშშ-ის საერთო დახმარებამ შეადგინა 12 მლრდ. დოლარი. ამერიკული კრედიტების ძირითადი მომხმარებლები იქვნენ მეტალურგიული და ქიმიური ტრესტები, საავტომობილო კომპანიები. ეს თანხები გამოიყენეს აგრეთვე უახლესი მოწყობილობების იმპორტისათვის, რამაც შემდეგ დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის სამრეწველო განვითარებაზე.

საფრანგეთის ეკონომიკა ამ პერიოდში აშშ-ის კრედიტორებზე აღმოჩნდა დამოკიდებული. მათ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. კერძოდ, განესაზღვრათ რომელი დარგისა თუ საწარმოსთვის

იყო საჭირო მათი აქტიური მხარდაჭერა და რომლის ფუნქციონირება უნდა შეჩერებულიყო. საფრანგეთის მთავრობა ვალდებული იყო წარედგინა სრული ინფორმაცია თავისი ეკონომიკის შესახებ. აშშ-ს უფლება ჰქონდა გაეკონტროლებინა საფრანგეთის საგარეო სავაჭრო საქონელბრუნვის სტრუქტურა და ა.შ.

ამერიკის კომპანიებს ხელი მიუწვდებოდათ საფრანგეთისა და მისი კოლონიების სანედლეულო წყაროებზე, ხოლო ისეთი კომპანიები, როგორიცაა „სტანდარტ ოილი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „ფორდი“, „კრაისლერი“ და სხვ. საშუალება ეძლეოდათ შეეძინათ ფრანგული საწარმოები, ან შეექმნათ თავისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთი შეეჯახა მთელ რიგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს. რთული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით ქვეყანაში გატარდა ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, გაიზარდა კაპიტალდაბანდებათა ნაკადი ეროვნულ მრეწველობაში. 40-იანი წლების ბოლოს. საფრანგეთი შეუერთდა „მარშალის გეგმას“, რამაც მისცა საწარმოო პოტენციალის მოდერნიზაციის და მოძველებული სიმძლავრეებისა და საწარმოებისგან გათავისუფლების საშუალება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საფრანგეთის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ განვითარებას.

2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და 50-60-იანი წლების სამეურნეო აღმავლობა

1950-იანი წლების შუახანებში შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ომამდელთან შედარებით გაიზარდა 60%-ით, ნავთობის პროდუქტების გადამუშავება – 4-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოება 2,5-ჯერ, ფოლადის გამოდნობა – 60%-ით, ამავე დროს ტრადიციული დარგებში (ძირითადად მსუბუქი მრეწველობის) ზრდა არ აღინიშნებოდა.

არსებითად შეიცვალა საფრანგეთის ეკონომიკური სტრატეგია.

ჯერ ერთი, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მრეწველობის ახალი ტექნიკით აღჭურვას, ომის ბოლოს დაზგა-დანადგარების საშუალო ასაკი საფრანგეთში შეადგენდა 30 წელს (ინგლისში – 7, დასავლეთ გერმანიასა და აშშ-ში – 5). ცალკეულ დარგებში საწარმოო სიმძლავრეები საუკუნის დასაწყისიდან არ განახლებულა. წარმოიშვა ლოზუნგი: „მოდერნიზირება ან სიკვდილი“. ინვესტიციები ძირითადად მიმართული იქნა მძიმე ინდუსტრიისკენ. აქ იყო მთელი მრეწველობის კაპიტალდაბანდებათა 90%. ომისშემდგომ პირველ წლებში ძირითადი კაპიტალი გაფართოვდა უმთავრესად ენერგეტიკულ კომპანიებსა და შავ მეტალურგიაში. ხოლო 50-იანი წწ. პრიორიტეტული გახდა ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, რადიოელექტრონიკის და ხელსაყოთმშენებლობის მოდერნიზაცია. წარმოიშვა ახალი დარგები – ატომური, ელექტრონული, ნავთობგადამმუშავებელი. დაიწყეს წარმოების მასობრივი, ნაკადური მეთოდის გამოყენება. საერთოდ 1958 წ. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 2-ჯერ და მეტად აჭარბებდა ომამდელ დონეს, ხოლო მძიმე მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა საფრანგეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის 2/3-ს.

მეორე, 1950-1960 წწ. მნიშვნელოვნად შემცირდა კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და იგი მიემართებოდა წარმოების სფეროში და არა უცხოეთის სესხებში. მაგალითად, თუ XX ს. დასაწყისში ფრანგული ინვესტიციები სახელმწიფო სესხის ობლიგაციებში და უცხოეთის ფასიან ქაღალდებში 10-ჯერ აღემატებოდა მრეწველობაში და ვაჭრობაში დაბანდებებს, 1960 წწ. დასაწყისში 6-ჯერ ნაკლები კაპიტალი იქნა გატანილი, ვიდრე დაბანდებები მრეწველობაში, ვაჭრობასა და ტრანსპორტზე.

მესამე, ფართოდ გამოიყენებოდა ეკონომიკის პროგრამირება (ინდიკატური დაგეგმვა). ჯერ კიდევ 1946 წ შეიქმნა დაგეგმვის გენერალური სამდივნო, რომლის ამოცანაც იყო ეკონომიკური განვითარების გეგმა-პროგრამის შედგენა. 1947 წ. საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ქვეყნის მოდერნიზაციის და

რეკონსტრუქციის პირველი საერთო გეგმა (1947-1953 წწ.), რომელიც გამიზნული იყო უმთავრესად ეკონომიკის ნაციონალიზებული სექტორის მოდერნიზაციისათვის. მეორე გეგმაში (1954-1957 წწ.) ყურადღება გამახვილდა კერძო ფირმების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე. მესამე გეგმით (1958-1961 წწ) მხარი დაუჭირეს ქვეყნის პროტექციონისტულიდან „ღია ეკონომიკაზე“ გადასვლას.

პროგრამირების ფრანგული სისტემა ატარებდა არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს. მთავრობა განსაზღვრავდა საჭირო სამრეწველო პროდუქციის სავარაუდო მოცულობას, შემდეგ კი საგეგმო კომისიებში უმსხვილეს საწარმოთა წარმომადგენლებთან ერთად ამუშავებდნენ ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტულ პროგრამებს. ამ პროგრამის ფარგლებში მთავრობა დებდა სპეციალურ კონტრაქტებს უმსხვილეს საწარმოებთან. გარდა ამისა, აძლევდა სახელმწიფო კრედიტებს და საგადასახადო შეღავათებს, გასცემდა უცხოურ ვალუტას საზღვარგარეთ მოწყობილობათა შესასყიდად, აძლევდა მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის უფლებას. მთავრობა გავლენას ახდენდა რიგი საწარმოების საქმიანობაზე და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს წარმოების კონცენტრაციას. 1958 წ. სახელმწიფო აკონტროლებდა ნახშირის მოპოვების 97%-მდე, გაზის მოპოვების – 95%, საავიაციო მრეწველობისა და ელექტროენერგიის წარმოების – 80%, საავტომობილო საწარმოთა – 40%. სახელმწიფო განაგებდა მთელი ქონების 36%, მას ეკუთვნოდა მსხვილი სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის კომპანიები და სხვ. ასეთმა პოლიტიკამ მიიღო „დირიჟიზმის“ სახელწოდება.

საფრანგეთის ეკონომიკაში ჭარბობდა წვრილი საწარმოები. 1954 წ. საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 13 მუშა. მრეწველობაში დასაქმებულთა 30%-მდე შრომობდა მსხვილ საწარმოებში, სადაც მუშაობდა 500 მუშაზე მეტი. 1958 წ. მთელ წარმოებაში უმსხვილესი საწარმოების წილმა შეადგინა 0,5%, რომლებზეც მოდიოდა მრეწველობის წლიური ბრუნვის 14%, ხუთი ტრესტი აკონტროლებდა ფოლადის წარმოების 72%-ს, ორი – ალუმინის მთლიან წარმოებას, ოთხი აწარმოებდა ავ-

ტომობილების 98%. 1960 წ. 500 მსხვილ კომპანიაზე მოდიოდა საწარმოო ბრუნვის 40%, 1970 წ. კი – 60%. მიუხედავად ამისა, წარმოების კონცენტრაციით საფრანგეთი კვლავ ჩამორჩებოდა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

1950-იანი წლების საფრანგეთის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკის მილიტარიზაციის ახალმა ტალღამ. 1949 წ. საფრანგეთი გაწევრიანდა სამხედრო ბლოკ ნატოში, 1954 წ. – სეატოში და 1955 წ. – დასავლეთ ევროპის კავშირში, რამაც გამოიწვია სამხედრო ხარჯების და სამხედრო წარმოების ზრდა. ამ პერიოდში საფრანგეთმა დიდი ხარჯი გაიღო თავისი კოლონიური სამფლობელოების შესანარჩუნებლად, რადგან კოლონიებში გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღო სამხედრო მოქმედების ფორმა. განსაკუთრებით ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო ბრძოლა ინდონეზიაში (1946-1954 წწ.), სადაც ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა იბრძოდნენ სრული გათავისუფლებისათვის. 1954-1962 წწ. იბრძოდა ალჟირი. საფრანგეთი ყოველნაირად ცდილობდა თავისი გავლენის შენარჩუნებას ჩრდილოეთ აფრიკაში.

სამხედრო ხარჯების ზრდამ გამოიწვია ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. 1948 წ. იანვარში გატარდა ფრანკის კიდევ ერთი დევალვაცია, რის შედეგადაც მისი ოქროს შემცველობა 44%-ით შემცირდა და 1949 წ. შეადგინა 1913 წლის 5%-ს.

1950-იან წწ. საფრანგეთის ეკონომიკა შეეჯახა არსებულ ინფლაციას. 1957 წ. ქვეყანაში ფასებმა საშუალოდ 25-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ამავე დროს ნომინალური ხელფასი გაიზარდა 21-ჯერ, ე.ი. ქვეყანაში ხელფასის ზრდას თან სდევდა ფასების ზრდაც, ეს კი იწვევდა ცხოვრების გაძვირებას.

1950-იან წწ. მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში. აქ დასრულდა ტექნიკური გადატრიალება. 16-ჯერ გაიზარდა ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილების რაოდენობა. სასოფლო-სამეურნეო რაიონების უმეტესობა ელექტროფიცირებული იყო, ფართოდ გამოიყენებოდა ქიმიური სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებანი. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია. 1956 წ. 50 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე მსხვილი მეურნეობების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ გაიზარდა ომამდელთან შეარებით. ისინი შეადგენდნენ მთელი მეურნეობის 5%-ს, მაგრამ ამუშავებდნენ მიწის 25%-ზე მეტს. აგრარულ სექტორში მსხვილმა კაპიტალდაბანდებებმა 1950-1960-იან წლებში გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზრდა 66%-ით. ამასთანავე, ეს ძვრები თითქმის არ შეხებია წვრილ გლეხურ მეურნეობებს, რომელთა დაახლოებით 80% პრაქტიკულად არ სარგებლობდა ტრაქტორებით, მათი გაჩანაგება ძლიერდებოდა. მიწათსარგებლობის პარცელური სისტემა, რომელიც არ იყო ეფექტური, ნელ-ნელა და მტკივნეულად იშლებოდა. პარცელური წარმოებიდან მსხვილ ფერმერულზე გადასვლამ, წარმოების მექანიზაციის ფართოდ გამოყენებამ როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მეცხოველეობაში, შედეგად გამოიღო ის, რომ ამ წლებში საფრანგეთი გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მეორე ექსპორტიორ ქვეყნად აშშ-ის შემდეგ, ხოლო დასავლეთ ევროპაში მარცვლეულის გამტან ერთ-ერთ ქვეყნად.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინტეგრაციის დაწყებამ, რომელშიც საფრანგეთი აქტიურად მონაწილეობდა. 1950 წ. მაისში საგარეო საქმეთა მინისტრმა შუმანმა წამოაყენა წინადადება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნახშირის და ფოლადის წარმოების და გასაღების კოორდინაციის შესახებ. ინგლისმა უარყო შუმანის გეგმა, მას მხარი დაუჭირა გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა. 1951 წ. აპრილში ამ ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ. ხელშეკრულება ექვსივე ქვეყნისათვის ითვალისწინებდა ბაჟების თანდათანობით გაუქმებას და ნახშირის და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნას. ამ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა უმაღლესი ნაციონალური ორგანო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულებაც სავალდებულო იყო გაერთიანების ყველა ქვეყნისათვის. არსებითად ეს იყო პირველი ნაბიჯი დასავლეთ ევროპის ინტეგრაციისკენ. 1957 წ. 25 მარტს საფრანგეთმა თავის პარტნიორებთან ერთად დადო ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნის შესახებ (ახლანდელი ევროპის კავშირი). საერთაშორისო

ეკონომიკური კავშირების გაფართოება ხელს უწყობდა ქვეყნების სამრეწველო განვითარების დაჩქარებას.

1950-1960-იან წლებში საფრანგეთში მოხდა დიდი ცვლილებები. 1958 წ 1 ივლისს ხელისუფლებაში მოვიდნენ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები შარლ დე გოლის მეთაურობით, რომელიც 1944-1946 წწ. მეთაურობდა მთავრობას. შარლ დე გოლი არჩეულ იქნა საფრანგეთის პრეზიდენტად (1958-1969 წწ.), მან მიიღო დიდი რწმუნებანი. ახალი კონსტიტუციის მიღებით დამყარდა მეხუთე რესპუბლიკა.

შ. დე გოლის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შინაარსი გახდა მრეწველობის საყოველთაო განვითარება წარმოების კონცენტრაციის გაძლიერების, უმსხვილესი მონოპოლიების შექმნის და სახელმწიფოსთან მათი კავშირების გზით. გათვალისწინებული იყო მრეწველობის ყველა დარგის სწრაფი განვითარება. უფრო გვიან ამ მიმართულებამ მიიღო „ინდუსტრიული იმპერატივის“ სახელწოდება (ეკონომიკის ყველა დარგის პროპორციული განვითარება). მიუხედავად უნივერსალური განვითარების პრინციპების მხარდაჭერისა, უპირატესი ყურადღება მიექცა დარგებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. მთავრობა ასტიმულირებდა ატომური, აეროკოსმოსური და სარაკეტო დარგების დაჩქარებულ განვითარებას. იქმნებოდა სამხედრო-სამრეწველო კომლექსის უახლესი დარგები. საფრანგეთი გადაიქცა მსოფლიოს მესამე ბირთვულ სახელმწიფოდ აშშ-სა და სსრ კავშირის შემდეგ. უკვე 60-იან წწ. მეცნიერება გადაიქცა უშუალოდ საწარმოო ძალად, რომელიც განაპირობებდა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებას. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია მრეწველობის სტუქტურული ცვლილებები: სწრაფად განვითარდა ავიაცია, ქიმიური და საავტომობილო დარგები, მნიშვნელოვნად გაიზარდა პლასტმასების, გამომთვლელ მოწყობილობათა წარმოება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად დაჩქარდა ქვეყნის მრეწველობის განვითარების ტემპები. 10 წელიწადში 1958-1968 წწ. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 60%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპმა შეადგინა 5,5% წელიწადში.

დე გოლის პოლიტიკის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება იყო დისპროპორციების შემცირება, რომელიც არსებობდა განვითარებულ ცენტრალურ რაიონებსა და ჩამორჩენილ პროვინციებს შორის. ამ მიზნით ახალი საწარმოები ძირითადად შენდებოდა ქვეყნის განაპირა რაიონებში, მაგ. აეროკოსმოსური კომპლექსი აშენდა ტულუზის ახლოს, ბირთვული – გრენობლის ახლოს, ელექტრონული მრეწველობის საწარმოები – ბრეტანში. გაფართოვდა საპორტო-საწარმოო კომპლექსები მარსელის და დასავლეთ სანაპიროს რაიონებში.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ და სამრეწველო წარმოების მასშტაბების გაფართოებამ დააჩქარა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია. განხორციელდა კომპლექსურ მექანიზაციაზე და სამანქანო სისტემის გამოყენებაზე თანდათანობითი გადასვლა, როგორც მიწათმოქმედებაში, ასევე მეცხოველეობაში. მსხვილმა კაპიტალდაბანდებებმა და შრომის ნაყოფიერების ზრდამ ქვეყანას მისცა შესაძლებლობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება 10 წელიწადში 66%-ით გაეზარდა. რის შედეგადაც საფრანგეთი აშშ-ის შემდეგ გახდა სურსათის მსხვილი ექსპორტიორი, რძის პროდუქტებისა და ღვინის უმსხვილესი მიმწოდებელი და დასავლეთ ევროპაში მარცვლეულის ერთადერთი გამტანი ქვეყანა.

შარლ დე გოლის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საერთაშორისო პოლიტიკას. დასავლეთ გერმანიის პოზიციების გაძლიერების შიშით საფრანგეთი ყოველნაირად მხარს უჭერდა „საერთო ბაზარში“ ზენაციონალური სტუქტურების ჩამოყალიბების პროცესს. ამავე დროს საფრანგეთი კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდა თავისი ძველი მეტოქის – ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“, ვინაიდან მას თვლიდა აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების გამტარებლად ევროპაში: საფრანგეთი მოითხოვდა დოლარის, როგორც მთავარი სარეზერვო ვალუტის, პრივილეგიის გაუქმებას და ა.შ. 1966 წ. საფრანგეთი გამოვიდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან, რომლის შტაბიც პარიზიდან ბრიუსელში გადავიდა.

საფრანგეთის მონაწილეობამ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, გააძლიერა სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენ-

დენციები ეკონომიკაში. მთავრობა სისტემატურად ადგენდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავდა საფინანსო-ეკონომიკურ და ტექნიკურ პოლიტიკას. ფირმების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სახელმწიფო სუბსიდიების სტიმულს აძლევდა მათ კონცენტრაციას, შეკვეთების და სხვა შეღავათების მეშვეობით. 60-იან წლებში დაიწყო ამგვარი კონცენტრაციის ბუმი. მრეწველობის სხვადასხვა დარგების მონოპოლიების და ბანკების შერწყმის შედეგად წარმოიქმნა გიგანტური საფინანსო-სამრეწველო კომპლექსები (ფინანსური ჯგუფები), რაც 60-იანი წწ. მეორე ნახევარში საფრანგეთში მონოპოლური გაერთიანებების მთავარ ორგანიზაციულ ფორმად იქცა. გიგანტებია: პარიზ-ნიდერლანდების ბანკი, ინდოჩინეთის ბანკი, როტშილდის და ძმები ლაზარების ბანკები, დე ვანდელის და შნეიდერის კომპანიები. წამყვან საფინანსო ჯგუფებში დაწინაურდა „კომერციული კრედიტი“, ავიამწარმოებელი „დასოს“ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი განაგებდა კერძო ქონების 40% და მათი გავლენით იმართებოდა ნაციონალიზებული მრეწველობა. 1967 წ. მათ მიერ იწარმოებოდა სამრეწველო პროდუქციის 11% და განაგებდნენ საწარმოო კაპიტალდაბანდებათა 38%

60-იან წწ. დასაწყისისათვის საფრანგეთის მრეწველობა კონცენტრაციით ჩამოუვარდებოდა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1962 წ. ქვეყანაში არსებული 771 ათასი სამრეწველო საწარმოდან 600 ათასზე მეტი, ანუ 84%, იყო წვრილი საწარმო რომელთაც ჰყავდათ არაუმეტეს 5 მუშისა.

60-იანი წწ. მეორე ნახევარში საფრანგეთის, „საერთო ბაზრისა“ და მთელი მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურაზე ორიენტაცია მოითხოვდა მეწარმეობის მეტ თავისუფლებას. მთავრობამ აიღო კურსი „გეგმის ლიბერალიზაციაზე“ და „ჩარევის მეთოდების ნორმის შემსუბუქებაზე ან გაუქმებაზე“. საფრანგეთის პროგრამები იქცა წმინდა პროგნოზულ დოკუმენტად. 1960-იან წწ. საფრანგეთის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები ვითარდებოდა ორი ძირითადი ფაქტორის: „დია ეკონომიკაზე“ გადასვლისა („საერთო ბაზრის“ ფარგლებში) და საფრანგეთის კოლონიური სისტემის დაცემის გავლენით. სამეურნეო და სამთავრობო ჯგუფები დარწმუნდნენ რა გამდიდრების კოლონიური მეთოდების უპერსპექტივობაში, წინ აღარ აღუდგნენ საფრანგეთის კოლონიური სისტემის საბოლოო დაცემას. 1954-1955 წწ. საფრანგეთმა ცნო ინდოჩინეთის სახელმწიფოთა (ვიეტნამის, ინდოჩინეთის და ლაოსის) დამოუკიდებლობა. 1956 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა ტუნისმა და მაროკომ, 1958 წ. – გვინეამ, 1960 წ. – კამერუნმა და შემდეგ ტოგომ. 1960 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა „აფრიკის წლად“. ერთბაშად დამოუკიდებელი გახდა „შავ კონტინენტზე“ არსებული საფრანგეთის 15 ყოფილი კოლონია. 1962 წ. დამოუკიდებლობა მიიღო საფრანგეთის უკანასკნელმა მსხვილმა კოლონიამ – ალჟირმა. 1960-1963 წწ. თითქმის ყველა ქვეყანამ დადო ხელშეკრულება ეკონომიკური, ტექნიკური და სამხედრო დახმარების შესახებ.

ამ პროცესების შედეგად საფრანგეთის საგარეო საქონელბრუნვაში დაეცა კოლონიების ხვედრითი წილი, ხოლო „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების წილი გაიზარდა და 3-ჯერ გადააჭარბა ყოფილ კოლონიებთან საფრანგეთის ვაჭრობის მოცულობას, თუმცა ჯერ კიდევ 1958 წ. კოლონიებთან უფრო აქტიურად ვაჭრობდა, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებთან.

ამრიგად, 50-60-იანი წწ. საფრანგეთის ეკონომიკის განვითარება მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენით. გაძლიერდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტენდენციები და გადამწყვეტ როლს თამაშობდა სამრეწველო კაპიტალი. შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურა, მოდერნიზებულ იქნა მისი ძირითადი დარგები. საფრანგეთი აქტიურად ჩაება ეკონომიკურ ინტეგრაციაში, რამაც შესაძლებლობა მისცა მკვეთრად გაეფართოებინა საგარეო სავაჭრო კავშირები.

1960-იან წწ. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 4-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1965 წ. საფრანგეთმა შეძლო ძირითადად გადაეხადა აშშ-ის ვალები, რამაც მას საშუალება მისცა კვლავ კრედიტორ ქვეყნად ქცეულიყო, კაპიტალის ექსპორტით საფრანგეთმა დაიკავა მესამე ადგილი მსოფლიოში აშშ-ისა და ინგლისის შემდეგ.

3. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება 70-იან წლებში

1960-იანი წწ. ბოლოს საფრანგეთში პოლიტიკური ვითარება რამდენადმე გართულდა, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური პრობლემებით: ფასების ზრდით, ინფლაციის მაღალი დონით. კოლონიური სისტემის დაცემამ მოშალა ტრადიციული ეკონომიკური კავშირები. საფრანგეთს მოაწყდა ფრანგების ნაკადი, რომლებიც მანამდე მუშაობდნენ კოლონიურ ადმინისტრაციაში. მკვეთრად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, მათ დაემატათ დემობილიზებული სამხედრო პირები, რის შედეგადაც გაძლიერდა სოციალური არასტაბილურობა. ქვეყანაში გამოჩნდა შეიარაღებული დაჯგუფებანი, რასაც თან მოჰყვა მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტები. გაძლიერდა ახალგაზრდული და სტუდენტური მოძრაობანი, ყოველივე ეს საფრთხეს უქმნიდა პარიზსა და სხვა ქალაქებს. პროტესტი არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა და მიმართული იყო დე გოლის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ მოვლენებმა ცხადყო, რომ საჭირო იყო რეფორმების გატარება და ქვეყანაში ძალადობისა და უწესრიგობის აღკვეთა.

1969 წლის 27 აპრილს პრეზიდენტ დე გოლის ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის ახალი რეგიონული დაყოფისა და სენატის რეფორმების თაობაზე. რეალურად ეს იყო რეფერენდუმი, ენდობოდნენ თუ არა პრეზიდენტის პოლიტიკას. დე გოლმა განაცხადა, რომ თუ მისი კანონპროექტი არ იქნება მოწონებული, გადადგებოდა. პრეზიდენტის პოლიტიკას მხარი არ დაუჭირა მონაწილეთა 52,41%-მა. იმავე დღეს შარლ დე გოლი გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან. 1969 წ. ივნისში საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს ჟორჟ პომპიდუ, რომელიც 1962-1968 წწ. იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. მან დაიწყო საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა. შეიცვალა საფრანგეთის სავალუტო-საფინანსო პოლიტიკა. 1969 წ. 8 აგვისტოს გამოცხადდა ფრანკის დევალვაცია 12%-ით აშშ-ის დოლართან და 11,1%-ით ოქროსთან შეფარდებით. 1969 წლის დევალვაცია იყო

მეორე, ხოლო 1936 წლიდან – მე-16. თუ ფრანკი 1928 წელს შეიცავდა 58,95 მგ ოქროს, 1969 წ. – სულ 1,60 მგ-ს. ამ პერიოდში არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არ განუცდია თავისი ვალუტის ასეთი გაუფასურება. ამასთან ერთად მთავრობამ ერთი თვით შეაჩერა სამრეწველო და სასურსათო საქონელზე ფასების ზრდა.

ამ პერიოდისათვის პრიორიტეტად იქცა ეკონომიკის გაჯანსაღება, რაც მოითხოვდა წონასწორობის აღდგენას ბიუჯეტში, წარმოებისა და მოხმარების სფეროში და სავაჭრო ბალანსში. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობა საჭიროდ თვლიდა საშინაო მოხმარების მოცულობის შეზღუდვას, მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას, საშინაო ინვესტიციების სტიმულირებას, ფასებზე კონტროლს და სხვ. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო საგარეო ბაზრებზე, განსაკუთრებით კი „საერთო ბაზრის“ შიგნით საფრანგეთის საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ამ ღონისძიებებმა მალე გამოიღო დადებითი შედეგები. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საფრანგეთის წილი ექსპორტში 1971 წ. შეადგენდა 6,61% (1968 წ. – 5,97, ხოლო ომამდე – 3,8%). 1971 წ. ექსპორტის ღირებულება 1968 წ. შედარებით გაიზარდა ორჯერ. თუმცა სამრეწველო აღმავლობა არ ყოფილა ხანგრძლივი. 1973 წ. შემოდგომაზე არაბულმა სახელმწიფოებმა მოპოვებულ ნავთობზე ფასები გაზარდეს 4-ჯერ. აქედან საფრანგეთს შემოაჭრონდა საჭირო ნავთობის 80-90%. ქვეყანაში შეიქმნა რთული ვითარება. საფრანგეთის ნავთობგადამუშავებელმა კომპანიებმა მაშინვე გაზარდეს ფასები ბენზინზე და სხვა ნავთობპროდუქტებზე. დაიწყო ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც მთელი ეკონომიკა მოიცვა.

მთავრობამ ნავთობის კომპანიებს გამოუყო დამატებითი სუბსიდიები და სახსრები მსოფლიო ბაზარზე ნავთობის შესაძენად. წარმოიშვა საგარეო სავაჭრო დეფიციტი და შეიცვა საფრანგეთის ვალუტის პოზიციები. დაეცა სამრეწველო წარმოების ტემპი. 1975 წ., პირველად ომისშემდგომ პერიოდში დაფიქსირდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ვარდნა წინა წელთან შედარებით. სამრეწველო წარმოება შემცირდა 8%-ით, სასოფლო-სამეურნეო

– 3%-ით. ომამდელი ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებით წარმოების ვარდნას თან არ სდევდა ფასების დაცემა, პირიქით, ფასები სისტემატურად იზრდებოდა (10% წელიწადში). იზრდებოდა უმუშევართა რაოდენობა 2,5-ჯერ.

საფრანგეთის მმართველი წრეები სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდნენ „სამრეწველო ორიენტაციის“ შეცვლაში, მთავრობამ 1976-1980 წწ. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში დაისახა ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურის ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ პირობებთან შეხამება „საერთო ბაზრის“ ფარგლებში, ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნა, მსოფლიო ბაზართან კავშირის გაძლიერება. ამ წლებში უნივერსალური ეროვნული მეურნეობების პრინციპები, რომელიც საფუძვლად ედო დე გოლის კურსს – „ინდუსტრიულ იმპერატივს“, შეიცვალა კურსით, სადაც სახელმწიფოს მხარდაჭერით ისარგებლებდნენ მხოლოდ ის დარგები, რომლის პროდუქციაც კონკურენტუნარიანი იყო საერთაშორისო მასშტაბით (საავტომობილო, ავიასარაკეტო, ქიმიური, ელექტროტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება).

სახელმწიფო წაახალისებდა საფრანგეთის მონოპოლიების მონაწილეობას ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. მაგალითად, საფრანგეთ-ამერიკული კომპანია „ხანუელ–ბიულ–კიი“, რომელიც გახდა ევროპაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მწარმოებელი. საფრანგეთის ფირმა „პეშო–სიტროენი“, რომელმაც შთანთქა ფირმა „კრეისლერის“ რამდენიმე ფილიალი და გადაიქცა ერთ-ერთ უმსხვილეს საავტომობილო კომპანიად მსოფლიოში. აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო დარგობრივი პროექტების დამუშავება ბირთვულ ფიზიკაში, ინფორმატიკაში, შემუშავდა საავიაციო პროექტები „აერობუსი“, „კონკორდი“ და სხვ. განმტკიცდა სამხედრო-სამრეწველო სექტორი, რომლის პროდუქციის 40% იყო საექსპორტო.

ამასთან ერთად ქვეყნის მრეწველობაში, განსაკუთრებით ძველ დარგებში კვლავ დიდი ადგილი ეკავა „წვრილ წარმოებას“. ამ საწარმოთა 90%-ში მუშაობდა 10 მუშაზე ნაკლები. საფეიქრო მრეწველობაში საწარმოთა 60% წარმოადგენდა ხელოსნური ტიპის უწვრილეს საწარმოს.

საფუძვლიანი გარდაქმნები, რომლებიც წინა წლებში დაიწყო, გრძელდებოდა სოფლის მეურნეობაში. 70-იანი წწ. წვრილი გლეხური მეურნეობანი შემცირდა 330 ათასით, ანუ 20%-ით. გრძელდებოდა მსხვილი მეურნეობების ხელში მიწის საკარგულების კონცენტრაციის პროცესი, სადაც მეტი იყო იმის შესაძლებლობა, რომ ეფექტურად გამოეყენებინათ ტექნიკა, მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები და სხვ. ეს მსხვილი მეურნეობანი ახდენდნენ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს და გამოიყენებდნენ დაქირავებულ ძალას. მეურნეობათა 8% ხელში თავმოყრილი იყო მიწის 36%. გამოიყენებდნენ რა წარმოების ინტენსიურ მეთოდებს, კაპიტალისტური ფერმები იძლეოდნენ წარმოებული სასაქონლო პროდუქტის დიდ ნაწილს, 1960-იან წწ. ხორბლის მოსავლით საფრანგეთს ლიდერის პოზიცია ეკავა მსოფლიოში, ამ მაჩვენებლით მას უსწრებდა მხოლოდ აშშ. საფრანგეთს პირველი ადგილი ეკავა შვრიის, სელის, შაქრის ჭარხლის წარმოებაში. მაღალი რენტაბელობით გამოირჩეოდა მეცხოველეობის მეურნეობებიც.

70-იანი წწ. მეორე ნახევარში საკმაოდ რთული იყო ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა. ჯერ ერთი, მრეწველობაში ფასებზე კონტროლის გაუქმების შემდეგ გაძლიერდა ინფლაცია. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1978 წ. გაიზარდა 4,8%, 1979 წ. – მხოლოდ 1,7% და 1980 წ. – 0,3%-ით. დანაზოგების წილი შემცირდა 17,8%-დან 16,7%-მდე. ერთდროულად შენელდა მოთხოვნის ზრდა.

მეორე, საფრანგეთის მთავრობას არ შეეძლო შეეჩერებინა აღრე დაგროვილი კაპიტალის გაუფასურება და ავანსირებულ კაპიტალზე გაეზარდა მოგების ნორმა ისეთი ხარისხით, რომ კერძო მეწარმეებს, რომელთაც ქვეყნის მეურნეობაში წამყვანი პოზიციები ეკავათ, კვლავ შეძლებოდათ კაპიტალდაბანდებათა გაფართოება ქვეყნის შიგნით. ამის დასტურია ის, რომ თუ სახელმწიფო საწარმოო ინვესტიციების მოცულობა 1973-1980 წწ გაიზარდა 96,4%-ით, კერძოსი – შემცირდა 4,3%-ით. საშიშ მასშტაბებს მიაღწია კაპიტალის გადინებამ საზღვარგარეთ.

მესამე, წინააღმდეგობრივი სიტუაცია შეინიშნებოდა საგარეო ვაჭრობაში. ერთი მხრივ, საფრანგეთი კაპიტალისტურ

მსოფლიოში მეხუთე ადგილზე გამოვიდა საგარეო ვაჭრობის მოცულობით. 80-იანი წწ. დასაწყისში მის წილად მოდიოდა მსოფლიო კაპიტალისტური ექსპორტის 6,7% (ომამდე – მხოლოდ 3,8%), 70-იან წწ. საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 5-ჯერ. იგი გახდა რკინის მადნის, ბოქსიტების, ფოლადის, ალუმინის, მანქანების, მოწყობილობების, ქიმიური პროდუქციის, საფეიქრო ნაწარმის, ღვინის, შაქრის უმსხვილესი ექსპორტიორი. იმპორტის მთავარი სახეები იყო – ნავთობი, გაზი, ბამბა, ნახშირი, ჩარხები, ფერადი ლითონები. საექსპორტო არხებით რეალიზდებოდა ქვეყნის ეროვნული პროდუქტის 18%, ნაცვლად 1970 წ. – 12,7%. მეორე მხრივ, 70-იან წწ. საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი უცვლელად იყო პასიური, რაც თულებდა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობას. საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი წარმოიშვა საფრანგეთის კონკურენტუნარიანი საქონლის რაოდენობის შემცირების და ენერგომატარებლებით ვაჭრობაში პასიური სალდოს ზრდის შედეგად. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის საბაჟო ტარიფების გაუქმებამ გამოიწვია მათ შორის საქონელბრუნვის გაზრდა, ამის შედეგად კი კიდევ უფრო გაიზარდა საფრანგეთის სავაჭრო დეფიციტი. 1980 წ. დასაწყისში მან შეადგინა უზარმაზარი თანხა 14,1 მლრდ. დოლარი, ნაცვლად 1970 წ 1,2 მლრდ. დოლარისა.

ზემოაღნიშნული მიზეზების შედეგად 1973-1979 წწ. საფრანგეთის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა 1,5 მლრდ. დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი შიდა პროდუქტის საშუალოწლიური ზრდის ტემპი დაჩქარდა და შეადგინა 1,9%, მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა – 4%, გაიზარდა კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა, ინვესტიციების აქტიური ნაწილი (მოწყობილობანი) გაიზარდა 48,3%-მდე. გაიზარდა მოსახლეობის დასაქმება ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში, ვაჭრობაში და სახელმწიფო აპარატში.

ამრიგად, 70-იან წწ. საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობა, თუ ვიმსჯელებთ ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლებით, მსოფლიო წარმოებაში და ვაჭრობაში შედარებით სტაბილური იყო და რადიკალურად არ შეცვლილა. ქვეყანა

მყარად დამკვიდრდა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების ხუთეულში და ეკონომიკური მდგომარეობით დაიკავა გფრ-ის შემდეგ მეორე ადგილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

4. ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გადასინჯვა 70-90 წწ. საფრანგეთის როლი ევროპის ეკონომიკურ თანამშრომლობაში

80-იანი წწ. დასაწყისში ზოგიერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში გამწვავდა ეკონომიკური ვითარება, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საფრანგეთის ეკონომიკაზე. საფრანგეთს განსაკუთრებით სერიოზული ზარალი მიაყენა ამერიკის სავალუტო-საფინანსო პოლიტიკამ, კერძოდ, ეს იყო დოლარის კურსის ხელოვნური ამაღლება: საფრანგეთის იმპორტის 1/3 გადაიხდებოდა ამერიკული ვალუტით. 1981-1982 წწ. დოლარის კურსის ზრდამ გამოიწვია საფრანგეთის სავაჭრო დეფიციტის ზრდა, რომელმაც 1981 წ. შეადგინა 65 მლრდ., ხოლო 1982 წ. 92 მლრდ. დოლარი. მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი, შეირყა ფრანკის პოზიციები, რომლებიც იტალიის ლირასთან და ბელგიის ფრანკთან ერთად გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ევროპულ ვალუტად. კრიზისმა განაპირობა უმუშევრობის და სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდა, წარმოიქმნა მრავალი სოციალური პრობლემა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა ოპოზიციური განწყობა, რამაც განაპირობა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში 1981 წ. მემარცხენე ძალების გამარჯვება. საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა სოციალისტების ლიდერი ფრანსუა მიტერანი, ხოლო პრემიერ-მინისტრი – პ. მორუა. ერთი წლის განმავლობაში 1981 წ. ივნისიდან 1982 წ. ივნისამდე ადმინისტრაციამ გაატარა 200-ზე მეტი რეფორმა. პირველ რიგში გაიზარდა მინიმალური ხელფასის დონე, პენსიები და დახმარებები გაიზარდა 40-50%-ით. გარდა ამისა, ფასიანი შვებულება გახანგრძლივდა ხუთ კვირამდე. სამუშაო კვირა შემ-

ცირდა 39 საათამდე ხელფასის შენარჩუნებით, მიიღეს კანონი 60 წლის ასაკში პენსიაზე გასვლის შესახებ.

1981 წ. ოქტომბერში მორუას მთავრობამ მოახდინა ფრანკის დევალვაცია 3%-ით, ხოლო 1982 წ. კიდევ 10%-ით დასავლეთგერმანულ მარკასთან შედარებით, და 5,75% ევროპის სავალუტო სისტემის დანარჩენ ვალუტასთან შეფარდებით. ხელისუფლება დევალვაციით აპირებდა საფრანგეთის ექსპორტის სტიმულირებას და სამრეწველო ზრდას, ასევე საფრანგეთის ფირმების პოზიციების განმტკიცებას საშინაო ბაზრის იმ სექტორებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო უცხოური კონკურენცია.

დევალვაციას თან მოჰყვა მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება 4 თვით ფასების და ხელფასების გაყინვის შესახებ, გარდა მინიმალურისა. ამგვარი ზომები, პირველად ომისშემდგომ პერიოდში, მიმართული იყო ინფლაციის წლიური ტემპის შესამცირებლად.

მნიშვნელოვან რეფორმებს შორის პირველი ადგილი უკავია კანონს ნაციონალიზაციის შესახებ (1982 წ. თებერვალი), რომელმაც რამდენადმე გადააჭარბა მრავალ განვითარებულ ქვეყანას როგორც მასშტაბებით, ისე ღარგობრივი მრავალფეროვნებით. ნაციონალიზებულთა შორის მოხვდა ისეთი მსხვილი სამრეწველო ჯგუფები, როგორიცაა „პეშინე–იუჟინ–კლიუმანი“ (ფერადი მეტალურგია და ქიმია), „რონ–პულენკი“ (ქიმია), „კომპან ჯენერალ დ ელექტრისიტე“, „ტომპსონ–ბრანდტი“ (ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა), „სენ-გობენ–პონტ–ა–მუსონი“ (შუშის და სამშენებლო მასალები), ასევე ორი ფოლადჩამომსხმელი ტრესტი „სესილორი“ და „ზინორი“, სამხედრო შეიარაღების მწარმოებელი კომპანია „დასო“ (ავიამშენებლობა) და „მარტა“ (სარაკეტო). 1982 წლის ოქტომბერში ნაციონალიზებულ იქნა ამერიკის კომპანიის „იტტ“-ის ორი მსხვილი ფილიალი.

ნაციონალიზაციის შედეგად საფრანგეთში ჩამოყალიბდა განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მსხვილი სახელმწიფო სექტორი. იგი მოიცავდა მთელი მრეწველობის მუშაობის 25%, უზრუნველყოფდა მთელი ექსპორტის 1/4-ს, სამრეწველო პროდუქციის 1/3-ს, მის წილად მოდიოდა საავიაციო

და კოსმოსური მრეწველობის 85%, შავი მეტალურგიის – 80% და ფერადი მეტალურგიის 2/3, ქიმიური მრეწველობის თითქმის ნახევარი და შუშის წარმოების 1/3.

პ. მორუას მთავრობა აპირებდა რა აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარებას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კრედიტების განაწილებაზე კონტროლს. სახელმწიფოს გადაეცა 36 კომერციული და საქმიანი ბანკი (თითოეულის დეპოზიტის თანხა 1 მლრდ. ფრანკზე მეტი), ასევე ორი უმსხვილესი საფინანსო ჯგუფი „პარიბა“ და „სიუზი“, რომელთაც ჰქონდათ ვრცელი საფინანსო იმპერია, ისინი აკონტროლებდნენ მრავალ ასეულ სამრეწველო კომპანიას და უმსხვილესი დაწესებულებებს. დაფინანსებისა და კრედიტის სფეროში სახელმწიფო სექტორის წილმა შეადგინა 95%.

1982 წ. აშკარა გახდა სახელმწიფოს ჩარევა კრედიტების გაცემის სფეროში. 44%-ზე მეტი გაიცა შეღავათიანი 6%-იანი განაკვეთით. ხშირად სახელმწიფო ორგანოები იძლეოდნენ მითითებებს ნაციონალიზებული სექტორის კონკრეტულ საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის შესახებ, მათი გაჯანსაღების მიზნით.

80-იან წწ. საფრანგეთის საწარმოო სტრუქტურების გარდაქმნა ხდებოდა არა მარტო ნაციონალიზებულ სექტორში, არამედ კერძო საწარმოებში, სადაც გამოიყენებოდა უახლესი ტექნოლოგიები, მათ დაფინანსებას და მასთან დაკავშირებულ რისკს თავის თავზე იღებნენ ნაციონალიზებული ბანკები.

რეფორმების წარმატება რამდენადმე დამოკიდებული იყო ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნებაზე. ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ ეკონომიკის ყოველწლიური 3%-იანი ზრდა შესაძლებელს გახდიდა ერთდროულად გარდაქმნების დაფინანსებასაც და მიღწეული ცხოვრების დონის შენარჩუნებასაც. დეფლაციის პოლიტიკაზე გადასვლამ – მიმოქცევაში ფულის მასის შემცირება მისი ნაწილობრივ ამოღების გზით, უკვე 1986 წ. გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შემცირება 0,7%-მდე. ამ ფაქტით ისარგებლა ოპოზიციამ და შეტევაზე გადავიდა. მუდმივმა კრიტიკამ ხელისუფლება აიძულა გადასულიყვნენ კრედიტების ცენტრალიზებული მარ-

თვის პოლიტიკაზე. მეწარმეებს მოგების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

1983 წ. გაზაფხულზე აშშ-მა და გფრ-მა მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა მოახდინა საფრანგეთზე, რათა მთავრობას უარი ეთქვა მონოპოლიების შეზღუდვის პოლიტიკაზე.

ამ პირობებში მიიღეს „პროგრამა ათი პუნქტით“, რომელსაც ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიუჯეტის მინისტრების სახელების მიხედვით ეწოდა „დელორის გეგმა“. ამ გეგმის მთავარი მიზანი იყო საგარეო-სავაჭრო დეფიციტის შემცირება, ხოლო სოციალური რეფორმები გადაიქცა მეორეხარისხოვნად. გათვალისწინებული იყო გადასახადების ზრდა, სოციალურ საჭიროებებზე ასიგნებათა გაყინვა, გადასახადის გადიდება ტრანსპორტზე, კომუნალურ მომსახურებაზე და ა.შ. რის შედეგადაც წლიური მოთხოვნილება შემცირდა 65 მლრდ. ფრანკით. ამავე დროს შემცირდა ძველი, ზარალიანი საწარმოების რაოდენობა.

ყოველივე ამის შედეგად მოხდა ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სტაბილიზაცია. 1984 წ. ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 1,75%, 1985 წ. კი – 2%. ქვეყანამ მიაღწია სერიოზულ წარმატებებს ენერგეტიკაში. თუმცა მიუღწეველი დარჩა ეკონომიკის 3%-იანი ზრდა. გარდა ამისა განახლდა უმუშევრობა, რომელმაც 1986 წ. მიაღწია 2587 ათას კაცს. მემარცხენე ბლოკი კარგავდა ამომრჩეველთა მხარდაჭერას და 1986 წ. მარტის არჩევნებზე ხმის უმეტესობა მიიღეს კონსერვატორებმა. ჩამოყალიბდა მთავრობა ჟაკ შირაკის მეთაურობით.

ახალმა ადმინისტრაციამ შეიმუშავა კერძო კაპიტალის ხელშემწყობი პროგრამა, რაც უპირველესად ითვალისწინებდა დენაციონალიზაციას. 5 წლის მანძილზე გაიყიდა და კერძო საკუთრებაში გადავიდა – 65 სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო საწარმო. მათ შორის უმსხვილესი სამრეწველო ჯგუფები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სატელევიზიო არხები, სარეკლამო სააგენტოები და სხვა, მთლიანად 200 მლრდ. ფრანკის ღირებულების. ამასთან ერთად ტეტჩერისგან განსხვავებით შირაკის მთავრობამ სახელმწიფოს ხელში დატოვა ისეთი დარგები, როგორიცაა ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება, გაზით მომარაგება და ტელეკომუნიკაციები.

საფრანგეთის კონსერვატორები დენაციონალიზაციის აუცილებლობას ხსნიდნენ რამდენიმე არგუმენტით: ჯერ ერთი, კერძო ბიზნესზე გადასვლით ბოლო მოეღებოდა სახელმწიფოს ჩარევას ფირმის სტრატეგიის შემუშავებაში და მიეცემოდათ საშუალება მორგებოდნენ ცვალებად საბაზრო კონიუნქტურას. მეორე, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია მოითხოვს კაპიტალის შერწყმას, რომლის ორგანიზებაც უფრო მოხერხებულია კერძო კომპანიებს შორის, ვიდრე საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოებს შორის. მესამე, წვრილი აქციონერების რაოდენობის გაზრდა საფუძველს უქრიდა ე.წ. „სახალხო კაპიტალიზმს“, მოსახლეობაში წარმოიქმნებოდა გრძნობა წარმოების საშუალებათა თანამეკუთრეობის შესახებ. შირაკი აცხადებდა, რომ პრივატიზაცია ეს არის ხანგრძლივი ნაციონალიზაცია, ვინაიდან ეს თითოეულ მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სამეურნეო მექანიზმის ტანსფორმაციის მეორე მიმართულებას წარმოადგენდა გადასახადების მასშტაბების შემცირება. შემოსავლების დიდი ნაწილი რჩებოდა უშუალოდ საწარმოების ერთეულების განკარგულებაში, რაც აფართოებდა კერძო მეწარმეთა თავისუფლებას და ინდივიდუალურ ინიციატივას. 1987 წ. საგადასახადო შემოსავლების თანხა წინა წელთან შედარებით შემცირდა 15 მლრდ ფრანკით, ხოლო 1988-1991 წწ. კიდევ 45 მლრდ. ფრანკით.

ლიბერალური რეფორმის უკანასკნელი ნაწილი იყო ეკონომიკური საქმიანობის სფეროს რეგლამენტაციის მოსპობა. 1987 წ. დასაწყისში მრეწველობის და მომსახურების სფეროს საწარმოებმა მიიღეს უფლება დამოუკიდებლად დაეწესებინათ ფასები თავის პროდუქციაზე, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საბაზრო პირობებზე. რეგლამენტაციას დაექვემდებარებოდა მხოლოდ ფასები წიგნებზე, მედიკამენტებზე, ასევე სიგათლის, გაზის და რკინიგზის ტრანსპორტის ტარიფებზე. მიიღეს ზომები, რათა სახელმწიფო არ ჩარეულიყო საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებაში, გატარდა საკრედიტო

დაწესებულებათა თანდათანობითი პრივატიზაცია, ლიკვიდირებულ იქნა პრივილეგიები კრედიტებით სარგებლობისას, დაწესდა პროცენტის თავისუფალი საბაზრო ნორმები.

მოკლე დროში ახალმა მთავრობამ მოამზადა 30 კანონპროექტი, რომლებმაც 80-იანი წწ. მეორე ნახევარში დადებითი გავლენა მოახდინეს საფრანგეთის ეკონომიკაზე. ქვეყანაში შეინიშნებოდა ეკონომიკური აღმავლობა. ერთობლივი შიდა პროდუქტის ყოველწლიური ზრდა იყო საშუალოდ 3%, სამრეწველო წარმოების – 4%, კაპიტალდაბანდებანი გაიზარდა 50%-ით და მეტად, რამაც განაპირობა ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა ავტომობილმშენებლობა, ქიმიური, ქაღალდის და მუყაოს წარმოება, ჩარხმშენებლობა და ა.შ.

90-იანი წწ. დასაწყისში ზრდის ფაქტორები ამოიწურა. აღმავლობის შენელების პირველი ნიშნები შეიმჩნეოდა უკვე გაზაფხულზე. საწარმოთა საინვესტიციო მოთხოვნილების შემცირებით, მოსახლეობის პირადი მოხმარების ზრდისა და ევროპის ქვეყნებში პროდუქციის ექსპორტის შენელებით. 1992 წ. გაზაფხულზე კიდევ უფრო გაძლიერდა კრიზისი. 1992 წ. შემოდგომაზე ეკონომიკური ვითარება გაუარესდა ზოგიერთ საექსპორტო საქონელზე მსოფლიო ფასების დაცემის გამო.

1993 წ. შუალედში მრავალი სპეციალისტის აზრით, ეკონომიკაში სიტუაცია უფრო ცუდი იყო, ვიდრე 1974-1975 და 1980-1983 წწ. კრიზისის პერიოდში. საწარმოების მზა პროდუქციაზე შეკვეთების და საქონლის რეალიზაციის დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე წინა კრიზისების დროს. საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა უტოლდებოდა 1974-1975 წწ. არსებულ დონეს.

ეროვნული კომპანიები განიცდიდნენ საკუთარი სახსრების უკმარისობას, ზარალდებოდნენ მზარდი დავალიანებისა და კრედიტების მაღალი პროცენტული განაკვეთით. საქონლის გაყიდვის მოცულობის და ფასების დაცემის გამო კომპანიების მოგების მიღების პერსპექტივები შემცირდა, საწარმოები კი გაკოტრდნენ.

1993 წ. ბოლოს გაუმჯობესდა ეკონომიკური სიტუაცია. მთავრობამ გაატარა ეკონომიკის გამოცოცხლების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა საზოგადოებრივი სამუშაოების,

საბინაო მშენებლობის გაფართოებას, წარმოების ზრდის სტიმულირებას და უმუშევრობის ზრდის შეჩერებას. შეიცვალა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, შენარჩუნებული იყო ფრანკის კურსი გერმანიის მარკასთან შეფარდებით. 1994 წლის იანვარში საფრანგეთის ბანკმა განაცხადა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი პრიორიტეტების შესახებ. მთავარი იყო ფასების სტაბილიზაციის მხარდაჭერა, 1994 წ. გეგმაში ინფლაცია, როგორც ნორმა განისაზღვრა 2%-ზე ქვევით.

1993 წ. უმუშევრობასთან ბრძოლისათვის, გამოუშვეს 110 მლრდ. ფრანკის სახელმწიფო სესხები. საბიუჯეტო ღონისძიებათა შედეგად შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, დაფინანსდა დროებითი შრომითი მოწყობისა და ახალგაზრდობის სწავლების პროგრამები. დაიწყო დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროგრამის რეალიზაცია. საფინანსო სიტუაციის გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახდა „ბანკ ნასიონალ დე პარი“-ს, ორი შედარებით წვრილი ბანკის და ქიმიური კომცერნი „რონ–პულენკი“-ს პრივატიზაცია, რომელთა გაყიდვითაც ხაზინაში შევიდა 43 მლრდ. ფრანკი. 1994 წ. იანვარში დაიწყო ნავთობის კომპანია „ელფ აკიტენ“-ის პრივატიზაცია, რომლის დირებულება შეფასდა 35 მლრდ. ფრანკად.

1994-1995 წწ. საფრანგეთის ეკონომიკა ხასიათდებოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის და წარმოების სფეროში ინვესტიციების სწრაფი ზრდით. შესამჩნევლად შემცირდა უმუშევრობა, ფასების ზრდის ტემპი იყო ყველაზე დაბალი მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის (კანადის და იაპონიის გარდა). ინფლაციის დონემ შეადგინა 1,8% წელიწადში.

1995 წ. მაისში საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაუჭირეს კონსერვატორებს, ჟაკ შირაკი აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო პრემიერ-მინისტრი გახდა ალენ ჟიუპე. მაგრამ უკვე 1996 წ. მსოფლიო კონიუნქტურის რყევასთან დაკავშირებით ახალი მთავრობა შეეჯახა დიდ წინააღმდეგობებს: შემცირდა ინვესტიციების მოცულობა, კვლავ შეიკვეცა სამუშაო ადგილები, უმუშევრობა მიუახლოვდა 13%-ს. მთავრობამ შეამცირა სახელმწიფო ხარჯები, პირველ რიგში სოციალურ პროგრამებზე,

რადგან ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია არ იძლეობა საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციის, საბინაო მშენებლობის შესაძლებლობას. 1997 წ მაისში ქვეყანაში ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები, რის შედეგადაც მინისტრთა კაბინეტის მეთაური გახდა სოციალისტი ლიონელ ჯოსპენი. მომდევნო წლებში საფრანგეთში დაამტკიცეს ეკონომიკის სოციალური მიმართულების გაძლიერების კურსი.

კონსერვატორები ძველებურად თავიანთ თავს უწოდებდნენ გოლისტებს, პრაქტიკულად აიღეს სახელმწიფო დირიჟიზმის სრული უარყოფის კურსი. ისინი უფრო ახლოს აღმოჩნდნენ ლიბერალურ იდეებთან, რომელიც კარგად მოერგო აშშ-სა (რ. რეიგანის) და ინგლისის (მ. ტეტჩერი) პირობებს.

საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მცსმა მონაწილეობამ ევროპის ეკონომიკურ თანამშრომლობაში. პირველ რიგში ეს აისახა საშინაო ვაჭრობაში. ქვეყნის ბაზარზე გამოჩნდა დიდი რაოდენობის ფართო მოხმარების იმპორტული საქონელი: იტალიიდან – მაცივრები და სარეცხი მანქანები, დასავლეთ გერმანიიდან – რადიოაპარატურა, ჰოლანდიიდან – ავეჯი, და სხვ.

ქვეყნის სამრეწველო განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ფინანსური ჯგუფების და კონცერნების მჭიდრო კავშირმა ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში. საფრანგეთში ჩამოყალიბდა სამრეწველო სამკუთხედი „პარიზი–ლილი–სტრასბურგი“, სადაც შეიქმნა შერეული საფრანგეთ-ბელგიის, საფრანგეთ-ჰოლანდიის და სხვა „ევროპული საწარმოების“ სერია.

ეკონომიკურმა გაერთიანებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საფრანგეტის სოფლის მეურნეობაზე, დააჩქარა კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი. წვრილგლეხურ მეურნეობების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი კაპიტალისტური ფერმები, რომლებიც თავად აკონტროლებდნენ არა მარტო გასაღებას, ნახევარფაბრიკატების მოწოდებასაც. წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობებს მიაწოდებდნენ საკვებს, კვერცხს, წიწილებს, ხოლო შემდეგ ამ ყველაფერს იღებდნენ მზა პროდუქციის სახით. საფრანგეთში ამ სახით იწარმოება დაკლული ფრინველის 1/3-მდე.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარების ეპოქაში მრეწველობის ახალი დარგები მოითხოვდნენ უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს, რომელიც შეეძლო გაეღო მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტურ ჯგუფს. წარმოიშვა მთელი რიგი „ევროპული“ პროექტები, როგორიცაა: ენერგოსისტემის მშენებლობა, ნავთობსადენი – მარსელი–სტრასბურგი–გფრ, რკინიგზის გვირაბის მშენებლობა ლა-მანშის სრუტის ქვეშ, კოსმოსური პროგრამები. ასიგნებანი ხორციელდება თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებზე (კოსმოსი, ელექტრონიკა, ატომური ენერგეტიკა), რის დაფინანსებასაც ინდივიდუალურად ცალკეული ქვეყნები ვერ შეძლებდნენ.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნებმა 80-იან წწ. შეძლეს ეკონომიკის განვითარების დაპროგრამება და მისი სპეციალიზაცია ქვეყნების მიხედვით. მაგ., საფრანგეთი დახპეციალებულია მცირე ტევადობის ავტომობილების, ქალის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულის; გფრ – სატვირთო მანქანების, მამაკაცის ტანსაცმლის; იტალია – იაფი მსუბუქი ავტომობილების, მაცივრების, ზაფხულის ტანსაცმლის; ჰოლანდია – ავეჯის ექსპორტზე.

საფრანგეთი ამ გაერთიანებაში ითვლება განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად და იგი შედის წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების „შვიდეულში“. ამასთანავე, ამ ფართო ეკონომიკური კავშირების გამო, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე მკვეთრად აისახება საერთაშორისო ეკონომიკასა და ფინანსებში კონიუნქტურის ცვალებადობა.

ამრიგად, ომისშემდგომ პერიოდში საფრანგეთის ეკონომიკაში მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები. ტრადიციული საფინანსო-სავაჭრო კაპიტალიზმი შეიცვალა თანამედროვე სამრეწველო კაპიტალიზმით კონცენტრაციის საკმაოდ მაღალი დონით და სახელმწიფოს გააქტიურებით ქვეყნის განვითარების პროგრამის განსაზღვრაში. ეკონომიკის სტრუქტურული გათანაბრებით საფრანგეთი გახდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის სრულუფლებიან პარტნიორად. და ბოლოს საფრანგეთის ეკონომიკამ შეიძინა ის თვისებები და ნიშნები, რომლითაც ის გადაიქცა გერმანული, იაპონური და ამერიკული სტილის ქვეყნად.

თემა 27. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1. კოლონიური სისტემის რღვევა და მისი გავლენა ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაზე და საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე

განვითარებადი ქვეყნები – ამგვარი მცნება ფართოდ გამოიყენება ლიტერატურაში მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების აღსანიშნავად. განვითარებად ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მსოფლიოში. იგი მოიცავს 170 ქვეყანაზე მეტს, 3804 მლნ. კაცზე მეტი მოსახლეობით. მათ წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 80% და დედამიწის ტერიტორიის 70%. გაერო-ს კლასიფიკაციით, რომლის გადასინჯვა პერიოდულად მიმდინარეობს, ინდუსტრიულად განვითარებულ ჯგუფში შედიან აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია და ევროპის ქვეყნა სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკით. დამოუკიდებელ ჯგუფად გამოიყოფა აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნები ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმით. მსოფლიოს ქვეყნა დანარჩენ ქვეყნებს მიაკუთვნებენ განვითარებადს სუსტად განვითარებული ეკონომიკით, დაბალი ეკონომიკური პოტენციალით, ჩამორჩენილი ტექნიკით და ტექნოლოგიით, მრეწველობისა და მთლიანად ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურით, რომლებიც ცდილობენ დაძლიონ ჩამორჩენილობა და მეტად განავითარონ ეკონომიკა. ამ ჯგუფში შედიან ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც არასოდეს ყოფილან კოლონიები: ირანი, ერაყი, აფღანეთი და სხვ.

კოლონიური დამოკიდებულებისგან გათავისუფლებულ ქვეყნებს უწოდებენ „განვათარებადს“ ან „მესამე სამყაროს ქვეყნებს“. ორივე ეს ტერმინი არ არის ზუსტი. სიტყვა „განვითარებადი“ არსით ნიშნავს, რომ დანარჩენი ქვეყნები არ ვითარდებიან. ტერმინი – „განვითარებადი” ჩაენაცვლა ტერმინს – „სუსტად განვითარებული“, რომელიც, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელი იყო ამ ქვეყნებისთვის. „მესამე სამყარო“ გამოჩნდა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის არსებობის პერიოდში, მაგრამ სოციალისტური სისტემის დაცემასთან დაკავშირებით ამ სახელწოდებამაც დაკარგა თავისი აზრი. არსებობდა მოსაზრება, რომ ამ ქვეყნებისთვის ეწოდებინათ „პერიფერიული“ ან „სამხრეთის“, მაგრამ ვერც ეს ტერმინები გავრცელდა.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა იყვნენ ინგლისის, ჰოლანდიის, ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთის და სხვ. განვითარებული ქვეყნების კოლონიები, ნახევრად კოლონიები, ან დომინიონები.

კოლონიალიზმმა, როგორც სისტემამ, XVI ს ბოლოდან XX ს მეორე ნახევრამდე იარსება. კოლონიურ ქვეყნებში კაპიტალის ექსპორტმა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებამ წარმოშვა განმათავისუფლებელი მოძრაობანი. თუ 1900 წლიდან, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა განაწილებული მსოფლიოს გადანაწილებისათვის, კოლონიებზე მოდიოდა მსოფლიოს ტერიტორიის 55% და მოსახლეობის 35%, მეორე მსოფლიო ომის წინ კოლონიურ სამყაროს ეკავა ტერიტორიის 31% და მოსახლეობის 30%. პირველმა მსოფლიო ომმა მოსპო XIX ს.-ში შექმნილი გერმანიის კოლონიური იმპერია, მეორე მსოფლიო ომმა კი საფუძვლიანად დაასუსტა ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვა ძველი კოლონიური იმპერიები. კოლონიათა გათავისუფლება ყოველთვის არ ხდებოდა მშვიდობიანად. მაგალითად, ჰოლანდია ცდილობდა ომის გზით შეენარჩუნებინა ინდონეზია. როგორც წესი, სისხლი იღვრებოდა იქ, სადაც ნავთობი იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითია საფრანგეთის ალჟირი, სადაც სსრ კავშირის სამხედრო-ტექნიკური დახმარებით გაიმარჯვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საერთოდ, საფრანგეთის მისწრაფება შეენარჩუნებინა თავისი კოლონიური იმპერია, აღემატებოდა მის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს. საფრანგეთის კოლონიურმა ომმა მიიღო მსოფლიოს ორ სისტემას

შორის შეიარაღებული დაპირისპირების ხასიათი. საფრანგეთის ყოფილი კოლონიის – ვიეტნამის ჩრდილოეთი ომობდა სოციალისტური საბჭოთა კავშირის იარაღით, სამხრეთი კი კაპიტალისტური აშშ-ის, იაპონიის, ინგლისის იარაღით. ინგლისი თუმცა მშვიდობიანად წავიდა თავისი კოლონიებიდან, მაგრამ მან შეძლო რამდენადმე შეენარჩუნებინა იქ ეკონომიკური პოზიციები. 1960 წლის დეკემბერში გაეროს მიიღო დეკლარაცია ყველა კოლონიისათვის დამოუკიდებლობის მიცემის შესახებ.

კოლონიური სისტემის ადგილზე შეიქმნა უზარმაზარი „მესამე სამყარო“, რომელმაც მოიცვა მრავალი ახალი და ძველი სუვერენული სახელმწიფო აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ოკეანეთში. სახელმწიფო დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამ ქვეყნების უმრავლესობა კვლავ ძველებურად ცხოვრობდა, დაემატა მხოლოდ ძვირადღირებული იარაღის იმპორტი. ყველგან შეიქმნა შეიარაღებული ძალები, ეს აიხსნებოდა აუცილებლობით დამოუკიდებლად (მეტროპოლიის გარეშე) გადაეწყვიტა გეოპოლიტიკური პრობლემები, რაც ძალიან იყო დახლართული ძველი ტომთაშორის მტრობის შედეგად. საბოლოოდ, „მესამე სამყარო“ გაიყო სოციალისტური და კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებად, იმის მიხედვით, თუ საიდან ღებულობდა იარაღს, ფინანსებს, სად ამზადებდნენ კადრებს. ჩამორჩენილ ქვეყნებში საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულებამ განაპირობა კომპრადორების შენარჩუნება. ესენი იყვნენ იმპორტული საქონლის გამყიდველები და გადამყიდველები. ადგილობრივი ვაჭრები, რომლებიც წარმოადგენდნენ შუამავლებს განვითარებად ეროვნულ ბაზარსა და ამ ბაზარზე შემოსულ უცხოური კაპიტალის მფლობელებს შორის, დაუსრულებელი სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა სამხედრო კომპრადორული ჯგუფები. ყოფილ კოლონიებში დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონე არ გაუმჯობესებულა.

70-90-იან წლებში „მესამე სამყაროს“ რიგ სახელმწიფოებში დაიწყეს დასავლეთის ტიპის სამეურნეო ლიბერალიზაცია. ეკონომიკური რეფორმები საშუალებას იძლეოდა მეურნეობის მართვა გადასულიყო კერძო კომპანიების ხელში, წარმოქმნილიყო კონკურენცია. ყოფილმა კოლონიებმა – სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ, მალაიზიამ შეძლეს აეშენებინათ სრულიად სუვერენული, დამოუკიდებელი ეკონომიკა. საკმაოდ სწრაფად ავითარებდა ეკონომიკას მექსიკა, ვენესუელა, ჩილე, ტაილანდი და სხვ. ქვეყნები.

ქვეყნები, რომლებმაც დაკარგეს კოლონიური სამფლობელოები, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ეკონომიკური გავლენა გათავისუფლებულ ქვეყნებში. ისინი მთელი ძალით ცდილობდნენ არ დაეშვათ ახალგაზრდა სახელმწიფოები წასულიყვნენ განვითარების სოციალისტური გზით. განვითარებული ქვეყნების ძირითადი მეთოდი იყო კაპიტალის დაჩქარებული გატანა (სახელმწიფო და კერძო) ყოფილ კოლონიებში, პოლიტიკური და ეკონომიკური შეღავათებით უზრუნველყოფილი, „სამეურნეო დახმარებების“ სხვადასხვა სახე, განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნა.

კოლონიური სისტემის დაცემის პირველი ეტაპი დაიწყო XIX ს პირველ ნახევარში, როდესაც ესპანეთის და პორტუგალიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ომში თავისუფლება მიიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა: არგენტინამ, ბრაზილიამ, ვენესუელამ, გვატემალამ, ჰონდურასმა, კოსტა-რიკამ, მექსიკამ, ნიკარაგუამ, სალვადორმა, პარაგვაიმ, პერუმ, ჩილემ და სხვ. ესპანეთის და პორტუგალიის მარცხი დიდად განაპირობა ინგლისის და აშშ-ის პოზიციამ, რომლებიც გამოდიოდნენ ლათინურ ამერიკაში ევროპის ინტერვენციის წინააღმდეგ და მათ პირველებმა სცნეს ახალი სახელმწიფოების სუვერენიტეტი.

კოლონიური სისტემის დაცემის მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც თავისუფლება მოიპოვა ინდონეზიამ (1945 წ.), ფილიპინებმა (1946 წ.), ინდოეთმა (1947 წ.), ბირმამ (1948 წ.), სინგაპურმა (1959 წ.) და სხვ. ქვეყნებმა. კოლონიური სისტემის დაცემას ხელი შეუწყო საშინაო პირობების – კოლონიური ქვეყნების ეროვნული თვითშეგნების, ანტიკოლონიური მოძრაობის შერწყმამ ხელსაყრელ

საგარეო პირობებთან; მოძველებული კოლონიური ძალისმიერი მეთოდებით უკვე შეუძლებელი იყო აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების დამორჩილება. ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვ. ქვეყნები იძულებულნი შეიქმნენ ეცნოთ კოლონიების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1960 წელს დაიწყო ახალი ეტაპი კოლონიური სისტემის ლიკვიდაციაში, იგი ისტორიაში შევიდა როგორც „აფრიკის დამოუკიდებლობის“ წელი, როდესაც დამოუკიდებელი გახდა ყოფილი აფრიკული კოლონიების უმრავლესობა. 1961–1971 წწ. დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ: ქუვეითი, ომანი, ბახრეინი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები. 1975 წ. დაეცა პორტუგალიის უკანასკნელი კოლონიებიც.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის გარდამავალი პერიოდისათვის ნიშანდობლივია ეკონომიკის მრავალწყობიანობა საკუთრების სხვადასხვა ფორმებით, მათ შორის არქაული (ტომობრივი, თემობრივი), სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შედარებითი განუვითარებლობა, განვითარებულ ქვეყნებზე და უცხოურ კაპიტალზე მათი დამოკიდებული მდგომარეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონით, ტემპებით და ხასიათით არაერთგვაროვანია. გამოყოფენ აგრარული ქვეყნების ჯგუფს განვითარების დაბალი დონით, აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფს განვითარების საშუალო დონით, ნავთობდამმუშავებელი ქვეყნების ჯგუფს და „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ ჯგუფს.

ეკონომიკური განვითარების დონით „მესამე სამყაროს“ ქვეყნებსა და ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის განსხვავება სისტემატურად იზრდება. 90-იან წწ. დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებლები შეადგენდნენ დედამიწის მოსახლეობის 50%-ს, მაგრამ აქ იწარმოებოდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 14%. თუ 60-იან წწ. ერთბოლოვი შიდა პროდუქტი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მაჩვენებელი – ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 13 განვითარებად ქვეყანაში, 70-იან წწ. – 29-ში, ხოლო 80-იან წწ. 59 ქვეყანაში, „მესამე სამყაროს“ საგარეო ვალი მხოლოდ 80-იან წწ. გაიზარდა ორჯერ.

კოლონიური სისტემის დაცემამ არ გამოიწვია ინგლისის, საფრანგეთის და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ვარდნა, თუმცა მათ განიცადეს არსებითი ეკონომიკური დანაკარგები. ყველაზე მეტად დაზარალდა ინგლისი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლონიებთან. მრავალი კოლონიის გათავისუფლების შედეგად მეტროპოლიამ დაკარგა მონოპოლიური პოზიციები ამ ქვეყნების ბაზრებზე. ბრიტანეთის თანამეგობრობაში პრეფერენციის შემცირებით შეიზღუდა ინგლისის საქონლის კონკურენტუნარიანობა პრეფერენციის ქვეყნების საშინაო ბაზარზე. მონოპოლიები თანდათან კარგავდნენ სრულ კონტროლს განვითარებადი ქვეყნების ნედლეულის ფასებზე. განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნით გაიზარდა ფასები ექსპორტირებულ ნავთობზე, ამან კი გამოიწვია სავალუტო სისტემის კრიზისი, უმთავრესად დოლარის დევალვაცია.

ყოფილმა მეტროპოლიებმა დაკარგეს თავისი მონოპოლიური პოზიციები კაპიტალის ექსპორტშიც, ვინაიდან მათ გამოუჩნდათ კონკურენტები: აშშ, გფრ და იაპონია. ამასთან ერთად არსებითად შეიცვალა მონოპოლიების მოქმედების პირობები ყოფილ კოლონიებში, რაც უცხოური კაპიტალის მოქმედების არეალის და უფლებების შეზღუდვის სახით ვლინდებოდა.

გამწვავდა წინააღმდეგობა მონოპოლისტურ დაჯგუფებებს შორის და ცალკეული ქვეყნების შიგნით. კოლონიურ ბიზნესთან დაკავშირებული ფინანსური ჯგუფები, თანდათანობით თმობდნენ პოზიციებს.

კოლონიური იმპერიის დაცემის შედეგად იმ სავალუტო დაჯგუფებებში, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ყოფილი მეტროპოლიის ეგიდით, გამოვლინდა ცენტრისტული ტენდენციები. მათი დასუსტება დაკავშირებულია როგორც ცალკეული პერიფერიული ქვეყნის ჩამოცილებასთან (გვინეამ დატოვა ფრანკის ზონა, ბირმამ – სტერლინგის ზონა და ა.შ.), ასევე ამ დაჯგუფებების მოქმედების პრინციპების მოშლასთან, რაც ხანს აყენებდა ყოფილი მეტროპოლიის ინტერესებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა სტერლინგის ზონაში, სადაც განვითარებადი ქვეყნები თანდათან ხდუდავდნენ ინგლისიდან არაპირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქონ-

ლის იმპორტს. პოლიტიკურად უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების ზეწოლით, ინგლისი იძულებული გახდა დაეფარა თავისი სტერლინგის დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი.

კოლონიური სისტემის დაცემა სერიოზულად აისახა ყოფილი მეტროპოლიების ეკონომიკაზე და მთლიანად განვითარებულ ქვეყნებზე, უპირველესად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე, სადაც ყოფილი კოლონიებიდან ინტენსიური იმიგრაციის გამო, შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. მიგრანტები გაურბოდნენ სიღატაკეს, ძალადობას, სურდათ ესარგებლათ დასავლეთის ცხოვრების პირობებით. მათი დიდი ნაკადი (ძირითადად არალეგალურად) ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან, ალჟირიდან და სხვა ქვეყნებიდან ინგლისს, საფრანგეთს, ჰოლანდიას, ბელგიას, სკანდინავიის ქვეყნებს უქმნიდნენ სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს, უმთავრესად დასაქმების სფეროში.

მომპოვებელი მრეწველობის ნაციონალიზაციის შედეგად გარკვეული სიძნელეები წარმოიშვა ყოფილი კოლონიების საწყლდლეულო რესურსების ექსპლოატაციის სფეროშიც (ნავთობის მოპოვება ერაყში, გაზის – ვენესუელაში, სპილენძის – ჩილეში, ნავთობსადენზე სირიის გავლით და სხვ.), ასევე გაიზარდა ფასები ნედლეულზე. გარდა ამისა, გამწვავდა საერთაშორისო კონკურენცია ყოფილ კოლონიებში ამერიკის, გერმანიის და იაპონიის პოზიციების განმტკიცებასთან დაკავშირებით. დაზარალდნენ ყოფილი მეტროპოლიები – ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, რომლებიც პრივილეგიებით სარგებლობდნენ კოლონიურ პერიოდში.

ამ პირობებში ყოფილი მეტროპოლიები თანდათანობით დაადგნენ სურსათითა და ნედლეულით თვითუზრუნველყოფის გზას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დააჩქარეს საკუთარი ბუნებრივი რესურსების დამუშავება (მაგალითად, საფრანგეთში ალმოაჩინეს ბუნებრივი გაზი, ურანი, გააფართოეს რკინის მადნის, ბოქსიტების, ნავთობის და სხვ. დამუშავება). გაიზარდა ინვესტიციები ევროპის ყოფილი იმ ახალშენი კოლონიების მომპოვებელ დარგებში, რომლებიც კარგა ხნის ეკონომიკურად განვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ კანადა, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ.

მიუხედავად ამისა, ყოფილი კოლონიების ხვედრითი წილი საერთაშორისო საქონელბრუნვაში, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდეც.

2. განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციით განვითარებად ქვეყნებში გამოყოფენ ნავთობის ექსპორტიორ და არაექსპორტიორ ქვეყნებს, მზა ნაწარმის ექსპორტზე სპეციალიზებულ ქვეყნებს და ტერიტორიებს. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონის მიხედვით განვითარებადი ქვეყნები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფებს მიეკუთვნება ახალი ინდუსტრიული ქვეყნები და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები.

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს მიეკუთვნება არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი (1997 წ. 1 ივლისიდან), სინგაპური, ტაილანდი და სხვ. აგრეთვე ბაჰრეინი, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ომანი, საუდის არაბეთი.

1960 წ. სექტემბერში, ნავთობის მსხვილი მარაგის მქონე 13 სახელმწიფომ (მათ შორის ალჟირი, ეკვადორი, გაბონი, ვენესუელა, ინდონეზია, ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, კატარი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები), შეიქმნა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია – ოპეკ-ი.

„ახალი ინდუსტრიული ქვეყნები“ აერთიანებს ორი ტიპის ქვეყნებს, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდის საშუალო სწრაფი ტემპით, მაგრამ ამავე დროს განსხვავდებიან ეკონომიკური თვალსაზრისით: ესენია აღმოსავლეთის და ლათინური ამერიკის „ახალი ინდუსტრიული ქვეყნები“.

აღმოსავლეთის „ახალი ინდუსტრიული ქვეყნებია“: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი, ტაილანდი, ჰონკონგი. ამ ქვეყნების ეკონომიკის საფუძველია მრეწველობა, რომელიც შემოსავლის ძირითად ნაწილს იძლევა, ინტენსიურად ვითარ-

დება ელექტროტექნიკური წარმოება, ხელსაწყოთმშენებლობა და დიდი ყურადღება ექცევა ურთულეს, მეცნიერებატევად წარმოებას. სახელმწიფო ხელს უწყობს მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების დონის ამაღლებას. სამრეწველო პროდუქციის ხარისხი შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. სოფლის მეურნეობა ორგანიზებულია, ინდუსტრიულ საფუძველზე. ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ტურიზმი, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება. თანდათანობით იზრდება მათი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის საფინანსო ცენტრის როლი. ამ ქვეყნების სამეურნეო განვითარების დამახასიათებელი ნიშნებია საზღვარგარეთის პარტნიორებთან კონტაქტების დამყარება, უცხოური ინვესტიციების აქტიური მიზიდვა, კერძო მეწარმეობის სტიმულირება, სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკის გატარება.

ლათინური ამერიკის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპები უფრო დაბალია ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებში. აქ დიდ როლს თამაშობს აგრარული სექტორი, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/3, ექსპორტში დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ექსპორტის საგანია აგრეთვე მრეწველობის პროდუქცია. ამ ჯგუფის ქვეყნებისათვის სპეციფიკურია სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა (დროის ცალკეულ პერიოდებში). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება თანდათან სუსტდება და მცირდება სახელმწიფო სექტორის წილი, პრივატიზაციის პოლიტიკა ამ ქვეყნებში ხელს უწყობს სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარებას.

ომისშემდგომ წლებში ფართო მაშტაბები მიიღო 30-იან წწ. დაწყებულმა იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პროცესმა, ანუ იმპორტს უნდა ჩანაცვლებოდა ადგილზე წარმოებული სამრეწველო საქონელი. ეს იყო ბიძგი უფრო ფართო ინდუსტრიალიზაციისაკენ. პირველ რიგში განვითარდა მსუბუქი მრეწველობის დარგები. ლათინური ამერიკის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ამ პერიოდთანაა დაკავშირებული მულტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი, ენერგეტიკული, ქიმიური დარგების შექმნა, რეგიონში 1958 წ. სამრეწველო პრო-

დუქციის გამოშვებამ სამჯერ გადააჭარბა ომამდელს, ნავთობის მოპოვება გაიზარდა 4-ჯერ და მიაღწია მსოფლიო წარმოების 1/5-ს. ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 62 მლრდ. კვტ. სთ-მდე, ფოლადის გამოდნობა კი 13-ჯერ.

ლათინურ ამერიკაში სამრეწველო განვითარების დონით პირველი ადგილი დაიკავა არგენტინამ, რომლის წილად 1950 წ მოდიოდა რეგიონის სამრეწველო წარმოების 1/4, თუმცა მოსახლეობა შეადგენდა ამავე რეგიონის 10%-ს. 1/6 მოდიოდა ბრაზილიაზე, რეგიონის 30% მოსახლეობით. ბრაზილიის და მექსიკის განვითარება მიმდინარეობდა უფრო სწრაფი ტემპებით. 50-იანი წწ ბოლოს არგენტინის წილი შემცირდა და პირველ ადგილზე (რეგიონის წარმოების 1/5) გამოვიდა მექსიკა, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებით მექსიკა (ბრაზილია უფრო მეტად) ჩამორჩებოდა არგენტინას.

შესამჩნევი ნაბიჯები გადაიდგა ახალი ინდუსტიული ქვეყნების ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გარდაქმნის გზაზე. მძიმე მრეწველობის საწარმოების შექმნაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა სახელმწიფოს გააქტიურება. სახელმწიფო განსაკუთრებით ასტიმულებდა იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, თუმცა იმპორტზე სრულიად დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელი იყო. მათი ეკონომიკა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის ექსპორტზე და შესაბამისად მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე. სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე დამოკიდებულება შეიცვალა, თუმცა კვლავ არსებობდა ძვირადღირებული მანქანების და მოწყობილობების იმპორტზე დამოკიდებულება. უცხოურმა კაპიტალმა დაიწყო მიმართულების შეცვლა ადგილობრივი დამმუშავებელი მრეწველობისკენ. 1946-1960 წწ. ახალმა კაპიტალდაბანდებებმა და სესხებმა ლათინურ ამერიკაში 10 მლრდ. დოლარს მიაღწია, ხოლო მოგების გატანამ – 19 მლრდ. დოლარს.

იმპორტშემცვლელი ინდსტრიალიზაციის პოლიტიკამ ვერ გამოიღო მოსალოდნელი ეფექტი. ადგილობრივი ბურჟუაზია და პოლიტიკოსები ეძებდნენ ეკონომიკის უფრო ეფექტურად ამოქმედების ბერკეტებს. ცნობილი არგენტინელი ეკონომისტის რაულია პრებიშის ხელმძღვანელობით შემუშავდა მთე-

ლი ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის დაჩქარებული მოდერნიზაციის პროგრამა, რომლის საფუძველიც უნდა ყოფილიყო ინდუსტრიულიზაცია და ინტენსიური საგარეო ეკონომიკური კავშირები. მან მიიღო ეკლა-დოქტრინის სახელწოდება (ეკლა – გაეროს ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, რომელიც შეიქმნა 1948 წ.).

1961 წ. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ „ახალი მიჯნის“ კურსის მიხედვით წამოაყენა პროგრამა „კავშირი პროგრესისათვის“, რომელიც გათვლილი იყო 10 წელზე. იგი მიიღო ლათინური ამერიკის ცხრამეტმა სახელმწიფომ. პროგრამის მიზანი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დაჩქარება. იგი სთავაზობდა ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას, აგრარულ-სანედლეულო საქონლის ექსპორტზე და მანქანა-მოწყობილობების იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. ასევე ითვალისწინებდა 20 მლრდ. დოლარის ოდენობის კრედიტებს და სხვა სახის დახმარებას.

ეკონომიკური რეფორმები მექსიკაში უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში. მიუხედავად დემოგრაფიული აფეთქებისა, აგრარული რეფორმის დაჩქარებით, გლეხებზე კრედიტების გაცემითა და აგროტექნიკური დახმარებით შეძლო გადაეწყვიტა ქვეყნის სურსათით თვითდაკმაყოფილების პრობლემა. 60-იან წწ. ერთობლივი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა მიაღწია 7%-ს, ნაცვლად 1960 წ. 5,8%-ისა. მექსიკის წილი ლათინური ამერიკის ერთობლივ შიდა პროდუქტში გაიზარდა 1960 წლის 20,3%-დან 1970 წლის 23,2%-მდე (მეორე ადგილი ბრაზილიის შემდეგ).

უცხოური კრედიტები და სესხები, რომლის 70% მოდიოდა აშშ-ზე, 20 წელიწადში (1950-1970 წწ.) გაიზარდა 0,6 მლრდ.-დან 28 მლრდ. დოლარამდე. მექსიკის საგარეო ვალი 1960-1970 წწ გაიზარდა 2,6 მლრდ-ით და შეადგინა 3,8 მლრდ დოლარი.

შვიდი წლის მანძილზე (1961-1967 წწ.) ლათინოამერიკულ ქვეყნებს აშშ-მა კრედიტების, სესხების და სხვა ფორმით გამოუყო 7,7 მლრდ. დოლარი. აშშ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საფინანსო დახმარებები ძირითადად მიდიოდა საწარმოო ინფრასტრუქტურის, აგრარული სექტორის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაზე.

ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას განაპირობებდა:

1. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
2. იაფი მუშახელის არსებობა;
3. უცხოეთის, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის, გფრ-ის, იაპონიის კაპიტალის მსხვილი დაბანდებანი;
4. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება;
5. ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური როლი (მათი მთელი სახსრების დაახლოებით 80% დაბანდებული იყო ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში).

მესამე სამყაროს სწრაფად განვითარებად ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს.

ნავთობდამმუშავებელი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება ბაჰრეინი, ბრუნეი, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ომანი, საუდის არაბეთი და სხვ. ამ რეგიონში არის ნავთობის უმსხვილესი მსოფლიო მარაგი. ამ ქვეყნების ეკონომიკის საფუძველს შეადგენს ნავთობის მოპოვება, გადამუშავება და ნავთობპროდუქტების ექსპორტი. იგი იძლევა სახელმწიფო შემოსავლის 95%-ს, ექსპორტის 99%-ს და შიდა პროდუქტის 90%-ს. სოფლის მეურნეობა აქ არ არის პრიორიტეტული, იგი დაქვემდებარებული და წარმოდგენილია მეცხოველეობის ცალკეული დარგებით და ოაზისური მიწათმოქმედებით. ეს ქვეყნები, ნავთობის საბადოების აქტიური ექსპლოატაციით აღმოჩნდნენ მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთ მოსახლეზე მაღალი წლიური შემოსავლების მიხედვით. აქედან გამომდინარეობს მათი სოციალური პოლიტიკა – უფასო ჯანმრთელობის დაცვა, განათლების თანამედროვე სისტემა. მათი ძირითადი საგარეო სავაჭრო პარტნიორები არიან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. ეს ქვეყნები აქტიურად არიან ჩართული მსოფლიო მეურნეობაში. ისინი წარმოადგენენ აგრეთვე მსხვილ საერთაშორისო საბანკო ცენტრებს. შეხავლები, რომელსაც ეს ქვეყნები ღებულობდნენ ნაციონალიზებული ნავთობგადამამუშავებელი კომპანიებიდან, იმდენად დიდი იყო, რომ საშინაო ინვესტიციებით შეუძლებელი იყო მისი მთლიანად ათვისება და მნიშვნელოვანი სახსრები მოდინებოდა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში. რეგიონის

მრავალ ქვეყანაში, ისეთში, როგორიცაა საუდის არაბეთი, ომანის და ბუბაის სასულთნოები, კერძო სექტორს თანდათანობით ენაცვლება სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნების კერძო პირების საინვესტიციო კაპიტალი საზღვარგარეთ შეფასებულია 162 მლრდ. დოლარად.

არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში აქვთ მნიშვნელოვანი შემოსავლები ნავთობიდან (ერთ სულ მოსახლეზე 10 ათასი დოლარი). ბუბაიში ნავთობიდან შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 2500 დოლარს. მათ აქვთ ფართო შესაძლებლობანი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა პოლიტიკის განხორციელებისათვის.

1993 წ. 1 იანვრის შეფასებით ნავთობის მარაგი უტოლდებოდა 635 მლრდ. ბარელს. არაბულ ქვეყნებში განლაგებულია ნავთობის მარაგის 62,4% და 25578 მლრდ. კუბ. მ. ბუნებრივი აირი, რაც გაზის მსოფლიო მარაგების მეხუთედს შეადგენს. პროგნოზით მოსალოდნელია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების გაზრდა არაბულ ქვეყნებში, რაც მათი, როგორც მსოფლიოში ენერგომატარებლების ძირითადი მიმწოდებლის როლს აძლიერებს. თუ მსოფლიოში ექსპორტირებული სამი ბარელიდან ერთ ბარელზე მეტი მოდიოდა არაბულ ქვეყნებზე, 2000 წ. შესაბამისად მოდიოდა ორიდან ერთი ბარელი.

ნავთობის ბუმის მიუხედავად, არაბეთის ქვეყნებს საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვთ. ესაა გვალვა, მთლიანად მოსახლეობის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით კი ქალაქებში, სასურსათო იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება, მდგომარეობის გაუარესება სოფლის მეურნეობაში, ჩამორჩენა ინფრასტრუქტურაში, მრეწველობაში: მათ შორის ნავთობის მრეწველობაში.

უკანასკნელ ათწლეულში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკაში გაძლიერდა სტრუქტურული ძვრები, რაც ხელს უწყობს მათ თანდათანობით დაახლოებას მოწინავე ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებთან. ამასთანავე ღრმავდება განსხვავებაც ეკონომიკური დონეების თვალსაზრისით მათსა და განვითარებადი ქვეყნების ძირითად მასას შორის.

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ცხოვრობს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/8, აქ იქმნება ერთობლივი სამრეწველო და მთლიანი პროდუქციის 2/5-ზე მეტი.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების მოძიებას, კვალიფიციური კადრების მომზადებას, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ათვისებას, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციას. ინდუსტრიალიზაციის გატარების შედეგად განვითარებადი ქვეყანების უმეტესობაში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი რამდენადმე უსწრებდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს, ხოლო მთლიანად წარმოებაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი 50%-ით აღემატებოდა. მაგ., თუ განვითარებად ქვეყნებში 1950-1980 წწ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის საშუალოწლიური ზრდა იყო დაახლოებით 2,2%, ხოლო ეროვნული შიდა პროდუქტის ზრდა – 2,3%, სამრეწველო წარმოების საშუალო ზრდის ტემპმა მიაღწია 6,7%-ს ინდუსტრიალიზაციის პროცესი ამ ქვეყნებში კვლავ აქტიურად გრძელდება.

განვითარებადი ქვეყნების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება 33 ქვეყანა, რომლის წლიურმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე გადააჭარბა 415 დოლარს (1978 წ.). ესენია აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები: ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია, ირანი, სირია, ერაყი, ლიბანი, კოლუმბია, პერუ, ჩილე და სხვ.

კოლონიური სისტემის დაშლის შემდეგ განვითარებადი ქვეყნების წინაშე დადგა დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნის პრობლემა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორს, სადაც დასაქმებულია მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 60% და იქმნება ერთობლივი შიდა პროდუქტის დიდი ნაწილი. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დიდი ნაწილი ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე. მრეწველობა წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოებით და საფეიქრო ფაბრიკებით; ვითარდება მაქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ხელსაწყოთმშენებლობა; ზოგიერთ ქვეყანაში სწრაფად იქმნება მრეწველობის ახალი, თანამედროვე დარგები, მეურნეობის თა-

ნამედროვე ინფრასტრუქტურა (ირანი, თურქეთი, ჩილე). ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობს აგრარული სექტორის საქონელი, არსებითია აგრეთვე მსუბუქი, მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგების წილი, იმპორტში ჭარბობს ფართო მოხმარების საქონელი, მოწყობილობანი, მანქანები და სხვ. ყველაზე აქტიური საგარეო სავაჭრო კავშირები აქვთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ინდოეთმა 1947 წ. ინგლისზე გამარჯვებით მოიპოვა დამოუკიდებლობა. ყოფილი ბრიტანეთის კოლონიის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სახელმწიფო – ინდოეთი და პაკისტანი. 1949 წ. ინდოეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჯავაჰარლალ ნერუ, შემდეგ, 1964 წლიდან – შასტრი, ხოლო 1966 წლიდან ჯერ ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი – ინდირა განდი, ხოლო შემდეგ შვილიშვილი რაჯივ განდი. ისინი 39 წელი ხელმძღვანელობდნენ მთავრობას. ქვეყანაში აღებულ იქნა ეკონომიკური კურსი, სადაც არსებობდა კერძო სექტორი და ამასთანავე დიდი როლი ენიჭებოდა სახელმწიფო სექტორს და დაგეგმვას.

ქვეყანაში დაიწყო აგრარული გარდაქმნები. შეიზღუდა მამულური მიწათმფლობელობა. სახელმწიფო მხარს უჭერდა გლეხურ მეურნეობებს, ხელუდავდა მევახშეობას, განავითარებს კორპორაციები, ნერგავდნენ მოწინავე აგროტექნიკას. ინდოეთის ეკონომიკური ზრდის პრობლემად იქცა მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი, ნაციონალურ-რელიგიური შუღლი, კასტების პრობლემა. მიუხედავად ამ პრობლემისა, 70-იან წლებში უკვე შეძლეს უარი ეთქვათ ხორბლის იმპორტზე. გაძლიერდა სამრეწველო პოტენციალი.

ინდოეთის წარმატებების სიმბოლოდ იქცა 1980 წ. ინდური სარაკეტო მატარებლით საკუთარი თანამგზავრის გაშვება. ინდოეთმა, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მსგავსად 80-იან წწ. დაიწყო საბაზრო რეფორმები და იმპორტშემცვლელი ინდუსტრიიდან გადავიდა მომპოვებელი მრეწველობის საექსპორტო დარგებზე. სახელმწიფოს პოლიტიკა ახალისებდა სახელმწიფო სექტორის საბაზრო დარგებს, კერძო მეწარმეობას, ტრანსნაციონალური კორპორაციების კაპიტალის მოზიდვას წარმოების პროგრესულ დარგებში. მაგრამ ქვეყანამ ვერ მიაღწია

ბეგმით გათვალისწინებულ ეკონომიკურ ზრდას. მაგალითად, მეშვიდე სუთწლედში (1985-1990 წწ.) საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 3,5% დაგეგმილი 5%-ის ნაცვლად.

პაკისტანი ისევე, როგორც ინდოეთი, წავიდა განვითარების კაპიტალისტური გზით, თუმცა ქვეყანაში მისი სრული ისლამიზაციის გამო არსებობდა დემოკრატიზაციის პრობლემები. მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფო სექტორს, ამასთანავე, მხარს უჭერდნენ კერძო მეწარმეობასა და უცხოეთის ინვესტიციებს. ეკონომიკური პოლიტიკის არაეფექტურობაზე მეტყველებს ის, რომ ქვეყანაში არსებობდა ბიუჯეტის დეფიციტი, ჩამორჩებოდა ეკონომიკის მთავარი დარგი – სოფლის მეურნეობა, სადაც მოსახლეობის 80%-ია დასაქმებული. იზრდებოდა ინფლაცია, ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია კი დამოკიდებული იყო საგარეო ბაზრის კონიუნქტურაზე.

ირანის სუვერენიტეტი აღდგენილ იქნა 1946 წ., ხოლო რეფორმების გატარება დაიწყო 60-70-იან წლებში, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისა და ეკონომიკური მოდერნიზაციის დაჩქარებისათვის მნიშვნელოვანი იყო 60-იან წწ. გატარებული აგრარული რეფორმა. მისი მიზანი იყო მიწის უკმარისობის ლიკვიდაცია, მსხვილი მიწათმფლობელების შეზღუდვა და ფერმერულ-კაპიტალისტური მეურნეობების შექმნა. სახელმწიფოს მიერ ხდებოდა მიწების გამოსყიდვა და გლეხებზე დარიგება განვადებით გამოსყიდვის პირობით.

შაჰის – მუჰამედ რეზა ფეჰლევის მიერ გატარებული მოდერნიზაციის პოლიტიკამ მიიღო თეთრი რევოლუციის სახელწოდება. მან გაატარა რეფორმები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. ინდუსტრიალიზაციის განხორციელებამ გამოიწვია სამრეწველო წარმოების ზრდა 10-15%-ით წელიწადში. სხვა ვითარება იყო სოფლის მეურნეობაში: მემამულური საქონლო მეურნეობის ლიკვიდაციამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემა, მასობრივი უმუშევრობა. უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გავლენიანი მუსულმანი სასულიერო პირები, რომლებიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმებს. 1979 წ. ირანში მრავალწლიანი განდევნის შემ-

დეგ დაბრუნდა შიიტების სულიერი ლიდერი ჰომეინი, რომლის მეთაურობითაც ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, შაჰი განიდევნა ქვეყნიდან და ირანი გამოცხადდა ისლამურ რესპუბლიკად. იმამი ჰომეინის სიკვდილის შემდეგ ირანი კვლავ დარჩა ისლამურ რესპუბლიკად.

აფრიკის დემოკრატიზაცია მთლიანად მოხდა ომისშემდგომ წლებში. თავდაპირველად დამოუკიდებლობა მიიღეს ჩრდილოეთ აფრიკის არაბულმა ქვეყნებმა. მათი განვითარება წავიდა სხვადასხვა გზით. თუ მაროკო და ტუნისი სტაბილურად მხარს უჭერდნენ პროდასავლურ ორიენტაციას და ქვეყნის მოდერნიზაციის კურსს საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, ალჟირი და ლიბია ცდილობდნენ აეშენებინათ არაბული სოციალიზმი.

არაბეთის ანტიკოლონიურ მოძრაობაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის სირიას. სირიამ 1941 წ. გამოაცხადა საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა, ხოლო ფაქტიურად გათავისუფლდა 1946 წ. საფრანგეთის არმიის გაყვანის შემდეგ.

არაბულ ქვეყნებს შორის სირიას მეექვსე ადგილი უკავია მოსახლეობის რაოდენობით, ხოლო ტერიტორიის სიდიდით მეათე. სირიის განვითარება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა დაკავშირებულია არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიასთან. 1963-1965 წწ. გაატარეს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები: ბანკების და სადაზღვევო საზოგადოებების ნაციონალიზაცია, მიიღეს ახალი კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმოები. თანდათანობით სახელმწიფო სექტორმა წამყვანი პოზიციები დაიკავა წარმოებაში, საკრედიტო-საფინანსო სფეროში და საგარეო ვაჭრობაში. ნაციონალიზებულ იქნა ქვეყნის ბუნებრივი რესურსები. სირია გახდა პირველი არაბული სახელმწიფო, რომელმაც თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანა ნავთობის საბადოები.

სირიაში 1966 წ. მთავრობის სათავეში მივიდა რევოლუციურ-დემოკრატული ძალები. ახალი მთავრობის ერთ-ერთი აქტი იყო მოთხოვნა ნავთობის კონსორციუმ „ირაკ პეტროლიუმ კომპანის“ მიმართ სირიის ტერიტორიის გავლით სხვადასხვა ზღვისკენ ნავთობის ტრანსპორტირებაზე გადასახადების გადიდების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებულია იქ

ნა. ქვეყნის მდგომარეობაზე კვალი დატოვა 1967 წ. ისრაელის ექვსდღიანმა ომმა, სადაც არაბები დამარცხდნენ. ისრაელის მიერ ანექსირებული იქნა ეგვიპტის, სირიის და იორდანიის მომიჯნავე ტერიტორიები.

1971 წ. სირიის პრეზიდენტი გახდა ჰაფეზ ასადი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ახალი ეტაპი. ქვეყანაში შეიქმნა მაღალგანვითარებული საფეიქრო, კვების, ნავთობმომპოვებელი მრეწველობა, საამშენებლო ინდუსტრია, მრეწველობის ახალი დარგები: ქიმიური, სამთომომპოვებელი, ცემენტის და სხვ..

სირიაში მრეწველობის დაჩქარებული განვითარება დაიწყო მეოთხე ხუთწლედში (1976-1980 წწ.), დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ინდუსტრიალიზაციას. ხუთ წელიწადში ქვეყანაში აიგო ასზე მეტი სამრეწველო ობიექტი. 1985 წ მრეწველობის წილი ერთობლივ შიდა პროდუქტში გაიზარდა 30%-მდე. ქვეყნის ექსპორტის 33% შეადგინა სამრეწველო პროდუქციამ.

ქვეყნის ეკონომიკა განმტკიცდა მეხუთე ხუთწლედშიც (1981-1985 წწ.): სწრაფი ტემპებით განვითარდა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი, რომლის წილად მოდიოდა სამრეწველო წარმოების 80% და ექსპორტ-იმპორტის 90%. დიდ წარმატებებს მიაღწია სახელმწიფო სექტორმა მშენებლობაში. გაიყვანეს რკინიგზები და ააშენეს ასობით ხიდი.

სირიის ეკონომიკის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, რომლის წილიც შიდა პროდუქტში 20%-ს შეადგენს. ქვეყანაში ჩამოყალიბდა კოოპერატივები. 1987 წ. სირიაში იყო 4156 კოოპერატივი, მეტწილად მომარაგება-გასაღების სფეროში. ისინი ხშირად არ ამართლებდნენ და უქმდებოდნენ.

1957 წ. სსრკ და სირიას შორის დაიდო პირველი ეკონომიკური შეთანხმება. საბჭოთა ორგანიზაციები ზემოქმედებდნენ სირიის ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარებაზე. ელექტროენერგეტიკის დარგში საბჭოთა-სირიის თანამშრომლობის ობიექტი იყო ევფრატის ჰიდროკვანძი. 1987 წ შეუდგა სსრკ-სირიის ერთობლივი კოსმოსური ფრენა თანამგზავრზე „სოიუზ მ-3“.

მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

მრავალი სახის წარმოება ჩაკვდა. სიძნელეების ძირითადი მიზეზია ინფლაციური პროცესების განვითარება ნავთობის ექსპორტიორი არაბული სახელმწიფოების გავლენით და რუსეთის დახმარების შემცირება, რომელიც თავად გახდა დახმარების ობიექტი და თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებს ვეღარ დააფინანსებდა ისე, როგორც ეს სსრკ-ის შემთხვევაში ხდებოდა.

ამრიგად, ამ ჯგუფში შემავალ ქვეყნებს აქვთ ეკონომიკური ზრდის საკმარისი შესაძლებლობანი, მხოლოდ მათ რეალიზაციას ძირითადად ართულებს მწვავე სტრუქტურული დისპროპორციები.

განვითარებადი ქვეყნების მესამე ჯგუფში შედიან ქვეყნები განვითარების დაბალი დონით, რომელთა ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 350 დოლარს, მოსახლეობის განათლების ზღვარია 20%, მისი წილი დამუშავებულ მრეწველობაში 10%-ზე ნაკლებია. ოთხი ათეული ქვეყნიდან, რომლებიც მიეკუთვნებიან სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს, 25 აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს.

ამ ჯგუფში შედის ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის ქვეყნები (ათეულობით სხვადასხვაგვარი და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოები, სამხედრო-ტომობრივი წარმონაქმნები). ტროპიკული აფრიკის ქვეყნების დიდმა ნაწილმა (17 ერთად) 1960 წელს მიიღო დამოუკიდებლობა, ეს წელი ცნობილია აფრიკის წლად.

1974 წ. პორტუგალიის წინააღმდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად დამოუკიდებლობა მიიღო ანგოლამ, მოზამბიკმა, გვინეამ. 1989 წ. ნამიბიამ უკანასკნელმა მიიღო დამოუკიდებლობა. ეკონომიკურად აფრიკა ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონია მსოფლიოში. ჩამორჩენილობას აღრმავებს მრავალი ფაქტორი: მოსახლეობის სწრაფი ზრდა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეთნიკური და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, ტომობრივი სტრუქტურების არსებობა.

განვითარებადი ქვეყნების (ანგოლა, გვინეა, ზიმბაბვე, ლიბერია, მოზამბიკი, ნიგერია, რუანდა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, ეკვატორული გვინეა) ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, სადაც დასაქმებულია მთელი მოსახლეობის 90%, სწორედ სოფლის მეურნეობაში იწარმოება ამ ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის უდიდესი ნაწილი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა, ხშირად მომთაბარეც. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა სექტორებში, არის დაბალი და ხშირად ნულოვანი. წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იყო საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეკონომიკური განვითარების უმთავრესი მიმართულებაა მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფა. მიუხედავად მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა (ფერადი ლითონები, ნავთობი, გაზი, ნახშირი და სხვ.), რაც წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის საფუძველს, მრეწველობა ან სუსტად იყო განვითარებული, ან საერთოდ არ არსებობდა. ამ ქვეყნების იმპორტის და ექსპორტის სტრუქტურა ასახავს მათი ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს. ექსპორტი ძირითადად წარმოდგენილია ნედლეულით (ტროპიკული ხილი, ბოსტნეული, სანელებლები, ცოცხალი პირუტყვი), სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქტებით (კონსერვები, ტყავი), ასევე უმნიშვნელო მოცულობის მომპოვებელი და გადამუშავებელი მრეწველობის დარგების პროდუქტებით, ხელოსნური ნაწარმით. იმპორტის საგნებს წარმოადგენს კვების პროდუქტები, ფართო მოხმარების საგნები. ამ ქვეყნების წამყვან სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. მხოლოდ შრომის ნაყოფიერება აგრარულ ქვეყნებში 20-50-ჯერ დაბალია, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს სიღატაკეში, ხალხის მასა გაუნათლებელია, იზრდება უმუშევრობა, დაბალია სიცოცხლის ხანგრძლივობა. მიუხედავად სიკვდილიანობის მაღალი დონისა, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, შობადობის მაღალი დონე იწვევს მოსახლეობის სწრაფ ზრდას. ეს კი დიდად განაპირობებს კვების პროდუქტების ტრადიციულ უკმარისობას ამ ქვეყნებში, რაც წარმოშობს სერიოზულ და ძნელად გადასაწყვეტ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში არსებობს ეკონომიკის მრავალწყობიანობა, სადაც ჭარბობს წვრილსასაქონლო წყობა. ამ

ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციულად თავმოყრილი იყო სოფლის მეურნეობაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც ამ ქვეყნების ლიდერები შეეცადნენ დაერღვიათ ტრადიცია და შეექმნათ დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის აუცილებელი სრულფასოვანი ეკონომიკა, მათ დაკარგეს შემოსავლის ერთადერთი სტაბილური წყაროც. დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში მრავალი აფრიკული სახელმწიფოს ეკონომიკური დამოკიდებულება კი არ შემცირდა, არამედ გაძლიერდა. პრაქტიკულად ყველა აფრიკულ ქვეყანაში წარმოდგენილია უცხოური კაპიტალისტური საწარმოები, რომელსაც აფუძნებენ განვითარებული ქვეყნები, ძირითადად კი ყოფილი მეტროპოლიები – ინგლისი და საფრანგეთი ტრანსნაციონალური კორპორაციების შვილობილი კომპანიების სახით. მაგ., ცენტრალური აფრიკის ყოფილი კოლონიების უმეტესობაში საფრანგეთის კაპიტალის წილად მოდიოდა მთელი უცხოური კაპიტალდაბანდებების 58-70%, მხოლოდ 1980-1986 წწ. უცხოურმა მონოპოლიებმა წმინდა მოგების სახით მიიღეს 24,9 მლრდ. დოლარი.

აფრიკის ქვეყნების უმეტესობაში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკის მეტნაკლებად არასტაბილურ დარგს, რასაც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გაუარესება განსაკუთრებით საჰარის მიმდებარე ქვეყნებში.

მსოფლიო კლასიფიკაციის შესაბამისად ღარიბად ითვლება ის ქვეყანა, რომლის მოსახლეობის საშუალო წლიური შემოსავალი 275 დოლარზე ნაკლები იყო. 1990 წ. ღარიბად ჩაითვალა 20 ქვეყანა. აქ სურსათის წარმოების ტემპი ქრონიკულად ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის ტემპს, და რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება, ტროპიკული აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდებოდა შიმშილის ზონაში.

მსოფლიოს განვითარებადმა ქვეყნებმა დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარება დაიწყეს უდიდესი საგარეო ვალით (1950 წ. – 2 მლრდ. დოლარი). 70-იან წლებამდე ეს ქვეყნები სახსრებს უპირატესად ოფიციალური წყაროებიდან იზიდავდნენ, მათ შორის დაუბრუნებელ სუბსიდიებს. ამიტომ მათი საგარეო ვალი ნელა იზრდებოდა. 1950-1970 წწ. იგი გაიზარდა 64 მლრდ დოლარით, ხოლო 1970-1980 წწ. ვალი გაიზარდა თითქმის 700 მლრდ. დოლარით, ვინაიდან მრავალი განვითარებადი ქვეყანა სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე გავიდა.

ვინაიდან განვითარების ოფიციალური დახმარების განაწილების ძირითად კრიტერიუმად ითვლება მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ყველაზე დიდ სახსრებს ერთ სულ მოსახლეზე ღებულობენ სამხრეთ საჰარის აფრიკული ქვეყნები, რომლებზეც მოდის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/10 და განვითარების ოფიციალური დახმარების საერთო თანხის 1/3. ისრაელი ღებულობს შეღავათიანი კრედიტების და სუბსიდიების 1/20, თუმცა მისი მოსახლეობა შეადგენს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 0,1%-ს. ეს კი იმას მოწმობს, რომ სახსრების განაწილება დამოკიდებულია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ფაქტორებზეც.

საერთაშორისო ბანკის გაანგარიშებით განვითარებადი ქვეყნების (107 ქვეყანა) საგარეო დავალიანება 1975-1992 წწ. 250 მლრდ. დოლარიდან 1,4 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, მათ შორის აზიის ქვეყნების ვალმა შეადგინა 539,3 მლრდ დოლარი, ლათინური ამერიკის ქვეყნების – 477,8 მლრდ. დოლარი, აფრიკის ქვეყნების – 288,4 მლრდ დოლარი. განვითარებადი ქვეყნების მცირე ნაწილმა შეძლო საკმაო კრიზისის დაძლევა, უმეტესობისათვის კი იგი რჩება უმწვავეს პრობლემად. 90-იან წწ. უმსხვილესი მოვალე იყო ბრაზილია (100 მლრდ. დოლარზე მეტი). რამდენადმე ჩამორჩება მექსიკა. ინდოეთის, ინდონეზიის, არგენტინის საგარეო ვალმა შეადგინა 50-60 მლრდ. დოლარამდე.. ნიგერიის, ფილიპინების, ვენესუელის – თითოეულის 30-30 მლრდ. დოლარი.

3. ინტეგრაციული პროცესები განვითარებადი ქვეყნების ცალკეულ რეგიონებში

განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო მეურნეობაში მათი ჩაბმის ხარისხზე, მის ადგილზე და ეროვნული განვითარების თავისებურებებზე. განიცდიდნენ რა ტრანსნაციონალური კორპორაციების ძლიერ

ზემოქმედებას, წარმოების განვითარებისა და საკუთარი პროდუქციის ექსპორტისათვის სახსრების უკმარისობას, ნედლეულის, სურსათის, ენერგეტიკული რესურსების და ა.შ. მნიშვნელოვან დანაკარგებს მსოფლიო ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად, განვითარებადი ქვეყნები საერთაშორისო არენაზე თავისი ინტერესების დასაცავად სულ უფრო ცდილობენ ძალთა გაერთიანებას, ან სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური შეთანხმებების დადებას. ამგვარი გაერთიანებებისა თუ შეთანხმებების მონაწილე ქვეყნები ახდენენ საქონლის ექსპორტზე და იმპორტზე ფასების დონის, ასევე საქონლის გადაზიდვის, კრედიტების, სესხების და შეღავათების მიღების, ვალუტის კურსის ცვალებადობის და ა.შ. კოორდინირებას. ასეთი კავშირების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად გამოდის საერთაშორისო არენაზე, რკინის მადნის ქვეყნების ორგანიზაცია (ინდოეთის მეთაურობით), სპილენძის ექსპორტიორები (ზაირი, ზამბია, პერუ, ჩილე), ბოქსიტების, ზოგიერთი მინერალური და სანედლეულო საქონლის და ა.შ. ექსპორტიორი.

განვითარებადი ქვეყნების გაერთიანებაში აქტიურად მოქმედებს ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, ლათინური ამერიკის ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია და სხვ. აღმოცენდა რიგი სახელმწიფოთაშორისი ბანკებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციები. მხოლოდ აფრიკაში მოქმედებს ინტერანციონალური ხასიათის 20 ეკონომიკური დაჯგუფება. არსებობს ასევე მრავალრიცხოვანი კომისიები, ასევე კომიტეტები, ყავის, არაქისის, ტყის, ბრინჯის, ფოსფატებისა და სხვ. ექსპორტიორთა გაერთიანებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირების პროცესი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობაში შედარებით ახალი მოვლენაა. 50-იან წწ. ბოლოს და 60-იან წწ. დასაწყისში იქმნება მრავალგვარი ეკონომიკური გაერთიანებები. გაეროს მონაცემებით, 80-იან წწ. სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კავშირები გათავისუფლებულ ქვეყნებში მოიცავდა 44 რეგიონულ სავაჭრო-ეკონომიკურ დაჯგუფებას, ნედლეულის მწარმოებელთა 90 ასოციაციას, ორ საგალუტო

კავშირს, ხუთ საკრედიტო შეთანხმებას. განვითარებადი ქვეყნების საერთო საქონელბრუნვაში ინტეგრირებულ დაჯგუფებათა წილი 1960 წლის 7%-დან 1980-იანი წწ. შუახანების – 15%-მდე გაიზარდა.

განვითარებად ქვეყნებში ინტეგრირება ხორციელდება უპირველესად რეგიონულ საფუძველზე: აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებს შორის ყალიბდება შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი ფორმები. უფრო წარმატებულ ინტეგრაციულ დაჯგუფებას წარმოადგენს ასეან-ი (ბრუნეი, ინდონეზია, მალაზია, ფილიპინები, ტაილანდი), რომელმაც თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე ერთიანი ბაზრის შექმნაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ამ დაჯგუფებაში შემავალი ქვეყნები თანდათანობით ნედლეულის უპირატესი ექსპორტიდან გადადიან სამრეწველო ნაწარმის ექსპორტზე, მათ შორის იაპონიასა და აშშ-ში. მათი სწრაფი განვითარების საფუძველს წარმოადგენს პირდაპირი კერძო კაპიტალდაბანდებანი, მათ შორის უცხოურიც. მიუხედავად მონაწილე ქვეყნების უმეტესობის წარმოების სწრაფი ზრდისა, მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციის ხაზით არასაკმარისია, ვინაიდან ისინი ვერ ახერხებენ შიდა რეგიონულ ვაჭრობაში ბაჟების შემცირებას ინდონეზიის წინააღმდეგობის გამო, რომელიც თვლის, რომ ეს ნეგატიურად იმოქმედებს მისი მრეწველობის განვითარებაზე. ჯერჯერობით ნელა მიდის წინსვლა რეგიონალური ერთიანობისკენ.

ინტეგრაციული პროცესები აფრიკაში დაიწყო 60-იანი წლებიდან. პირველ ეტაპზე წარმოიშვა ე.წ. „სამდინარო პროფილის“ შვიდი ორგანიზაცია: მდინარე გამბიის აუზის ათვისების ორგანიზაცია (ომვგ), მდინარე სენეგალის ათვისების ორგანიზაცია (ომვს), მდინარე კატერის აუზის ექსპლოატაციისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვ. მაგრამ ისინი ნაკლებად ეფექტურნი აღმოჩნდნენ საწარმოო კავშირების შეზღუდულობის გამო.

1959 წ. შეიქმნა ეკონომიკური კავშირი – თანხმობის საბჭო; 1964 წ. დაამტკიცეს აფრიკის განვითარების ბანკი; 1964 წ. – ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავში-

რი; 1967 წ – აღმოსავლეთ აფრიკის თანამშრომლობა; 1972 წ. – დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობა; 1977 წ. შეიქმნა აფრიკის განვითარების, ადაპტაციისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი და ა.შ. ამ კავშირთაგან უმრავლესობა აღმოჩნდა მერყევი და ნაკლებ ეფექტური. 80-იანი წლების ბოლოს შეიქმნა პროცესების კონცენტრაციისა და მათი გაერთიანებებში მოქცევის სტრუქტურები. აფრიკის სატყეო მრეწველობის ორგანიზაცია, კაკაოს მწარმოებელი ქვეყნების საერთაშორისო კავშირი, დასავლეთ აფრიკაში მებრინჯაობის განვითარების ასოციაცია და სხვ.

პრიორიტეტული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უფრო მეტი ყურადღება ექცევა ხელშეკრულებას აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ეტაპობრივი განვითარების შესახებ (აფეს), იგი შეიქმნა 1994 წ. და გათვლილია 34 წელზე. აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ელემენტებია უკვე არსებული სუბრეგიონული დაჯგუფებები, კერძოდ, დასავლეთაფრიკულ სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა (ეკოვას), რომელიც 1975 წელს შეიქმნა. 16 ქვეყანამ 1993 წ. შექმნა აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი (კომესა), 1992 წ. 12 სახელმწიფოს მიერ შეიქმნა სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამშრომლობა (სადკ), 1967 წ. 6 ქვეყნის მიერ შეიქმნა ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი (იუდეიკ). პირველ რიგში დიდი ყურადღება ექცევა ამ ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას.

აფრიკაში ინტეგრაციული პროცესები ფერხდება, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. აფრიკის ეკონომიკური თანამშრომლობის პრაქტიკული ეფექტი შორეულ მომავალშია მოსალოდნელი. თანამშრომლობის შექმნის თვით პროცესი აფრიკულ ქვეყნებს უბიძგებს ეკონომიკური ურთიერთქმედებისკენ.

განისაზღვრება არაბული სამყაროს სამი ზონა:

1. მაღრიბი (ალჟირი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი);
2. სპარსეთის ყურის რაიონი (არაბეთის გაერთიანებული ემირატები და საუდის არაბეთი);
3. 1989 წ. შექმნილი არაბეთის თანამეგობრობის საბჭო (სას) (ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი).

არაბეთის რეგიონის ქვეყნებში ამოქმედდა სხვადასხვა რეგიონული ინტეგრაციული შეთანხმებები და ორგანიზაციები (ორმხრივ ან მრავალმხრივ საფუძველზე). ყველა ამ ქვეყნისათვის საერთო, უნივერსალური ორგანიზაციაა არაბეთის ქვეყნების ლიგა. არაბეთის სავალუტო ფონდის (ავფ) წევრია რვა სახელმწიფო, რომელთა საანგარიშსწორებო ერთეულია არაბული დინარი. არაბეთის სავალუტო ფონდი შეიქმნა ნავთობმომპოვებელი და სხვა არაბული ქვეყნების სავაჭრო კავშირების გაფართოების მიზნით, ვინაიდან ამ ორგანიზაციაში აფრიკის არაბული სახელმწიფოებიც შედის, იგი ერთგვარად განსაზღვრავს კიდეც კონტინენტის ინტეგრაციულ პროცესებს.

რეგიონში ინტეგრაციული პროგრამის წარმატება რამდენადმე განსაზღვრავს მათ საერთო პოლიტიკურ პრობლემებს, ესენია: პალესტინის საკითხის გადაწყვეტა, თვით რეგიონის ქვეყნებს შორის ტერიტორიული და სხვა სადავო საკითხების დარეგულირება, არაბეთის სამყაროში ლიდერობის პრობლემა და ა.შ.

ყოველივე ეს განვითარებადი ქვეყნების ამ ჯგუფებში ინტეგრაციული პროცესების განვითარებაზე მეტყველებს.

ლათინური ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაცია (19 სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკა და მექსიკა) ვითარდება სხვადასხვა ფორმით. 1960 წ. შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ლათინური ამერიკული ასოციაცია (ლასტ), 1983 წ. გადაკეთდა ლათინურ ამერიკული ინტეგრაციის ასოციაციად (ლაი). ასოციაციის წევრები იყოფიან სამ კატეგორიად: უფრო განვითარებული ქვეყნები (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა), განვითარების საშუალო დონის ქვეყნები (ჩილე, კოლუმბია, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა) და ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნები (ბოლივია, ეკვადორი, პარაგვაი). ასოციაციის მთავარი ყურადღება მიმართულია მრეწველობის კონკრეტული დარგების კოოპერირებაზე, ექსპორტის და მთლიანად ეკონომიკის განვითარების ერთობლივ პროგრამაზე ამ ზონის შიდა ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის პირობებში. 80-იანი წწ. შუა ხანებში შიდა რეგიონულმა ექსპორტმა შეადგინა ლათინურ-ამერიკული ექსპორტის 16%.

განვითარდა თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციების ფარგლებშიც: ლათინურ-ამერიკული ეკონომიკური სისტემა (ლაეს), ანდების სუბრეგიონული ჯგუფი, ამაზონის პაქტი (1978 წ.), არგენტინა-ბრაზილიის ინტეგრაცია (1986 წ.) და სხვ.

1991 წ. არგენტინის, ბარზილიის, ურუგვაის და პარაგვაის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზრის (მერკოსური) შექმნაზე, რომლის შემადგენლობაში შევიდა 4 სახელმწიფო 200 მლნ. მოსახლეობით, 11 მლნ. კვ. კმ. ტერიტორიით (სამხრეთ ამერიკის თითქმის 2/3) და 460 მლრდ. დოლარის ერთობლივი შიდა პროდუქტით (1992 წ.).

ინტეგრაციული პროცესები განვითარდა კარიბის ზღვის აუზშიც, სადაც 1978 წლიდან არსებობდა კარიბის თანამშრომლობა (კარიკომი), რომელშიც გაერთიანებული იყო 14 ინგლისურენოვანი სახელმწიფო. თანამშრომლობის ფარგლებში არსებობდა საერთო ბაზარიც.

1990 წლის 27 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტი ჯ. ბუში გამოვიდა დასავლეთ ნახევარსფეროში „ახალი ეკონომიკური პარტნიორობის“ იდეით. მის ინიციატივას პოზიტიურად შეხვდა ლათინოამერიკულ მთავრობათა უმეტესობა. 1992 წ. შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ჩრილოამერიკული ზონა (ნაფტა) აშშ, მექსიკის და კანადის მონაწილეობით.

მიუხედავად ინტეგრაციული კავშირების და გაერთიანებების ურთიერთობებში არსებული სიძნელეებისა, მომავალში ისინი ხელს შეუწყობენ არა მარტო ეკონომიკური ჩამორჩენილობის და სამხედრო კონფლიქტების ლიკვიდაციას, არამედ შეამცირებენ კიდეც ამ რეგიონში უცხოური ქვეყნების ზეგავლენას.

ამრიგად, 1960-1990-იან წწ. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდისათვის ზოგადად დამახასიათებელია წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, ასევე ყოფილ მეტროპოლიასა და განვითარებადი ქვეყნების განვითარების დონეთა შორის სხვაობის შემცირება, რაც განვითარებად ქვეყნებში მოდერნიზაციის დაწყებაზე მეტყველებს.

თემა 28. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში

1. სსრ კავშირის ეკონომიკა დიდი სამამულო ომის წლებში

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია მოულოდნელად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ომის წლებში სსრ კავშირის სამეურნეო-პოლიტიკური პრიორიტეტი იყო ფრონტის უზრუნველყოფა იარაღ-საჭურველით და სურსათით. ქვეყანას, ერთის მხრივ, გააჩნდა მაღალი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი და უზარმაზარი ბუნებრივი და ადამიანთა რესურსები და, მეორეს მხრივ, იგი მოუმზადებელი იყო ომისთვის. მეფის რუსეთისგან განსხვავებით სამხედრო წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობებს თავიდ სსრკ აწარმოებდა, გარდა ამისა, გერმანიისგან განსხვავებით (რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ნავთობი), სსრკ-ს ჰქონდა ყველა სახის სტრატეგიული ნედლეული.

გერმანიამ შეძლო უზარმაზარი არმიის მობილიზება. 1940-1941 წწ. შეიარაღებული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 3750 ათასიდან 7330 ათას კაცამდე. სსრკ-ის სახღვრებთან თავმოყრილი იყო მხოლოდ გერმანიის 4,6 მლნ. და მოკავშირეთა მეომრებთან ერთად 5,5 მლნ. კაცი. სსრკ-ის წინააღმდეგ გამოიყვანეს 4980 თვითმფრინავი, 4300 ტანკი, 47 ათასი საარტილერიო დანადგარი და ნაღმსატყორცნი. გერმანიის არმია აღჭურვილი იყო უახლესი იარაღით. მისმა არმიამ დაპყრობილ ქვეყნებთან ბრძოლაში შეიძინა თანამედროვე ომის გამოცდილება. მასთან დასაპირისპირებლად სსრკ-ს გააჩნდა: 2,9 მლნ. მეომარი, 1540 ახალი ტიპის თვითმფრინავი, 34500 საარტილერიო დანადგარი და ნაღმსატყორცნი, 1800 მძიმე და საშუალო ტანკი. მთლიანად გერმანიას ჰყავდა 2-ჯერ მეტი მეომარი, 3-ჯერ მეტი ტანკი, 3-ჯერ მეტი თვითმფრინავი და

25%-ით მეტი არტილერია. ამ უპირატესობამ გერმანიას მისცა საშუალება მოეხდინა ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია. გერმანიის ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე გადაყვანილი იყო ჯერ კიდევ სსრკ-ზე თავდასხმამდე, სსრკ-ში კი ეს პროცესი ომის პარალელურად მიმდინარეობდა. გარდაქმნა მოითხოვდა დროს, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის საომარი მზადყოფნა ომის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ მოხერხდა.

მტრის გასანადგურებლად ომი მოითხოვდა მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაციას. 1941 წლის 30 ივნისს შექმნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი (ი. სტალინის ხელმძღვანელობით) ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გადაიქცა, რომელსაც დაექვემდებარა ყველა სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა მიმდინარეობდა ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში. 1941 წლის შემოდგომაზე გერმანიის არმია უკვე მოსკოვთან იყო. მის ხელში აღმოჩნდა ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონები.

1941 წელს ოკუპირებულ რაიონებში ცხოვრობდა 88 მლნ კაცი, ანუ სსრკ-ის მთელი მოსახლეობის 40%, მუშების და მოსამსახურეების 32%. აქ იმყოფებოდა საწარმოთა ძირითადი ფონდების 33%, ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 33%, წარმოებული თუჯის – 68%, ალუმინის – 60%, ფოლადის – 58%, ნახშირის მოპოვების – 63%. 1942 წ. ქვეყანაში იწარმოებოდა 8 მლნ. ტ. ფოლადი, ხოლო გერმანიაში – 32 მლნ. ტ., ე.ი. 4-ჯერ მეტი. ოკუპანტების ხელში აღმოჩნდა ტერიტორიები, სადაც თავმოყრილი იყო ქვეყნის მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების ნათესების 47%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 45%, ღორების – 68%, ცხვრის და თხის – 29%.

ოკუპირებული ტერიტორიიდან გერმანიას გაჰქონდა სამრეწველო მოწყობილობანი, ნედლეული და სურსათი, ისტორიული და მხატვრული ფასეულობანი. მათ ხელში აღმოჩნდა ჩარხების 24,6%, რომელიც გაიტანეს გერმანიაში, იყენებდნენ სარემონტო სახელოსნოებს ან ანადგურებდნენ მათ. დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ. გერმანიაში გაიტანეს ან განადგურდა 137 ათასი ტრაქტორი, 49 ათასი კომბაინი, 4 მლნ. გუთანი, მიითვისეს 7 მლნ. ცხენი, 17 მლნ.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 20 მლნ. ღორი და ა.შ. გლეხებს დააკისრეს ნატურალური და ფულადი გადასახადები, სხვადასხვა ვალდებულებანი (გზების და ხიდების მოვლა და ა.შ.). დაპყრობილი რაიონების მოსახლეობას იყენებდნენ, როგორც იაფ სამუშაო ძალას გერმანიის ეკონომიკისთვის. 1941 წლის შემოდგომიდან მოსახლეობას ძალდატანებითი ერეკებოდნენ გერმანიაში. გერმანია ცდილობდა თავის სამსახურში დაუყოვნებლივ ჩაეყენებინა ოკუპირებული რაიონები. ამავე მიზნით მათი კონცერნების წარმომადგენლები ჩქარობდნენ სსრკ-ის ტერიტორიაზე შეექმნათ საკუთარი ფილიალები.

ომების ისტორიას არ ახსოვს საომარი მოქმედებებისას რომელიმე არმიას ასე მიზანმიმართულად და სისასტიკით გაენადგურებინა ოკუპირებული ტერიტორია, როგორც ამას ჰიტლერის არმია აკეთებდა.

ყოველ ომს თან სდევს მატერიალური და ადამიანთა დანაკარგები. განსაკუთრებით დიდი დანაკარგები განიცადა იმ რაიონებმა, სადაც მიმდინარეობდა საომარი მოქმედებანი. გააფთრებული ბრძოლების შედეგად ქალაქები და სოფლები რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. ომმა ორჯერ გადაიარა ერთი და იგივე ტერიტორიაზე და გამოიწვია მისი ნგრევა.

აუცილებელი იყო სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ევაკუაცია ფრონტისპირა რაიონებიდან ზურგში. ევაკუაციის ორგანიზება დაისახა ისე, რომ ახალ ადგილებზე უმოკლეს დროში უზრუნველეყოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. 1941 წლის 24 ივნისს შეიქმნა საევაკუაციო საბჭო. მას დაევალა ფრონტისპირა რაიონებიდან საწარმოების, მატერიალური ფასეულობების და მოსახლეობის ევაკუაცია. მაგრამ შეუძლებელი იყო ნახშირის მაღაროების, რკინიგზის, ბრძმედების, მარტენის ღუმელების, ელექტროსადგურების და ა.შ. ევაკუაცია, ამიტომ მათ ადგილზე ანადგურებდნენ, რათა მტერს არ გამოეყენებინა.

საჭირო გახდა ახალ ადგილებში სამრეწველო საწარმოთა სწრაფი მშენებლობა. საწარმოები კარგავდნენ ძველ ეკონომიკურ კავშირებს, ნედლეულის, სათბობის, ენერგიის წყაროებს. ამიტომ აუცილებელი იყო ახალი სამეურნეო კავშირების დამყარება, ახალ ადგილებში სასარგებლო წიაღისე-

ულის ძიება, დამატებითი ენერგეტიკული სიმძლავრეების შექმნა და რკინიგზების მშენებლობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ფრონტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის ეკონომიკის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, მოკლე დროში 1942 წლის შუახანებში დამთავრდა. აღმოსავლეთ რაიონებში დიდი რაოდენობით საწარმოთა გადატანამ მძლავრი ბიძგი მისცა მათ ინდუსტრიულ განვითარებას, რომელიც ომისშემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა.

ქარხნებისა და ფაბრიკების ევაკუაცია ძირითადად სსრკ-ის აღმოსავლეთ რაიონებში ხდებოდა, კერძოდ: ყაზახეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და ყირგიზეთში, რომელბმაც უკვე 4 თვეში დაიწყეს პროდუქციის გამოშვება. 1941 წლის ივლისიდან ნოემბრამდე ქვეყნის აღმოსავლეთში დამონტაჟდა 1523 სამრეწველო საწარმო, განსხვავებით პირველი მსოფლიო ომისა, როდესაც საწარმოების მფლობელები სახელმწიფოსგან ღებულობდნენ სახსრებს საწარმოთა ევაკუაციისათვის და არც ფიქრობდნენ მათ გადატანაზე და ხშირად თანამშრომლობდნენ კიდეც ოკუპანტებთან. ევაკუირებულ იქნა არა მარტო სამრეწველო საწარმოები, არამედ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ქონებაც. უკარაინიდან აღმოსავლეთის რაიონებში გადაიყვანეს 10 მლნ.-ზე მეტი პირუტყვი, ბელორუსიიდან – 395 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 248 ათასი ცხვარი და 15 ათასი ღორი. 1942 წლის გაზაფხულზე აღმოსავლეთის რაიონებში გადაიყვანეს 7,4 მლნ. კაცი.

ახალი სამრეწველო ბაზა არსებითად გადაიქცა პროდუქციის მნიშვნელოვანი სახეების ძირითად მომწოდებლად. უკვე 1942 წ. აღმოსავლეთის რაიონების სამრეწველო საწარმოები აწარმოებდნენ ტრაქტორების 100%-ს, კოქსის – 99%, რკინის მადნის – 97%, თუჯის – 97%, ფოლადის – 87%, ნახშირის – 82%, ნაგლინის – 90%, ჩარხების – 52%, ელექტროენერგიის 59%. რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფრონტის იარაღით და სურსათით მომარაგებაში და ოკუპანტებისგან გათავისუფლებული რაიონების სამეურნეო აღდგენაში.

1942-1944 წლებში ქვეყნის აღმოსავლეთში აშენდა 2250 მსხვილი სამრეწველო საწარმო, ხოლო გათავისუფლებულ რაიონებში აღდგენილ იქნა 6 ათასზე მეტი საწარმო. მოქმედებდა 100 ათასი მეტალურგიული დაზგა, 24 ბრძმედი, 128 მარტენის ღუმელი და 70 ელექტროღუმელი.

1942 წლის მეორე ნახევარში დაიწყო სამრეწველო წარმოების, ძირითადად სამხედრო მრეწველობის ზრდა. უკვე 1942 წელს სსრკ-მა ტანკების, თვითმფრინავების, საარტილერიო იარაღის წარმოებით გაუსწრო გერმანიას. ომის წლებში სამხედრო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 2,5-ჯერ, მათ შორის ტანკების და თვითმფრინავების – 3-ჯერ. თუ ომის დაწყისში სსრკ-ს გერმანიასთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები ტანკი და თვითმფრინავი ჰქონდა, უკვე 1945 წ. დასაწყისში ჰქონდა ტანკი 2,8-ჯერ, საარტილერიო იარაღები – 3,2-ჯერ, ხოლო თვითმფრინავები – 7,5-ჯერ მეტი, ამასთან ხარისხობრივი უპირატესობაც მოიპოვა საბჭოთა ტექნიკამ. ამრიგად, ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში, 1942 წ. დაიწყო გარდატეხა.

ომისგან სოფლის მეურნეობა უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე მრეწველობა. ოკუპირებულ რაიონებში: უკრაინაში, დონზე, სადაც საშუალოზე რამდენადმე მაღალი იყო მოსავლიანობა, იწარმოებოდა პურის ნახევარზე მეტი. ფრონტზე იმყოფებოდა სოფლის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი, მეურნეობას უძღვებოდნენ მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები. მკვეთრად შესუსტდა ტექნიკური ბაზაც, ომის დასაწყისში ტრაქტორების წარმოება შეწყდა, რაც დარჩა – მობილიზებული იქნა ომის საჭიროებისათვის, შემცირდა ცხენების რაოდენობაც. ასეთ რთულ პირობებში ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ნათესი ფართობები გაიზარდა 8-9%-ით. მაგრამ ეს ვერ აანაზღაურებდა დასავლეთში ნათესი ფართობების 47%-იან დანაკარგს.

ომის წლებში შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მაგალითად, 1944 წელს ქვეყანამ მიიღო ომამდე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 54%. 2-3-ჯერ შემცირდა ტექნიკური კულტურების, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის წარმოება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირებამ ქალაქი აიძულა გადასულიყო სურსათის განაწილების ნორმირებულ, საბარათო სისტემაზე. მსხვილ საწარმოებში იქმნებოდა მუშათა მომარაგების განყოფილებები, რომ-

ლებიც ეძებდნენ მომარაგების დამატებით წყაროებს, ქმნიდნენ დამხმარე მეურნეობებს, მოყავდათ ბოსტნეული, ზრდიდნენ გოჭებს და ა.შ. 1944 წ. ამ განყოფილებების წილად მოდიოდა საბაზრო საქონელბრუნვის 30%.

ომის დაწყებისთანავე უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნა ტრანსპორტზე. რკინიგზა გადატვირთული იყო სამხედრო ეშელონებით, ათეულ და ასეულობით საწარმოთა ევაკუაციით. ამასთანავე გაიზარდა გადაზიდვების მანძილი. შემცირდა სამოქალაქო ტვირთების გადაზიდვა. ამან დროებით მოშალა ქვეყნის რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირები. ომის ბოლო წლებში რკინიგზით გადაიზიდებოდა 40%-ით მეტი ტვირთი, ვიდრე 1942 წელს. ამავე პერიოდში რკინიგზის გამტარუნარიანობამ შეადგინა ომამდელის 76%.

მოსახლეობაზე სამრეწველო საქონელი ცენტრალიზებულად ნაწილდებოდა, მაგრამ აქ საქონლის სიმცირის გამო მომარაგების ნორმირება შეუძლებელი იყო. მოსახლეობაზე მისაყიდად რჩებოდა გამოშვებული ბამბის ქსოვილების მხოლოდ 9% და ტყავის ფეხსაცმელების – 28%, დანარჩენით მარაგდებოდა ფრონტი. მოსახლეობას სამრეწველო საქონელი მიეყიდებოდა არა რეგულარულად, არამედ ხშირად მას იყენებდნენ მატერიალური წახალისებისათვის.

სურსათი და სამრეწველო საქონელი მაღაზიებში იყიდებოდა მყარ სახელმწიფო ფასებში, მაგრამ თავისუფალ ბაზარზე („საკოლმეურნეო“, თუმცა კოლმეურნეობათა პროდუქცია აქ არ შემოდიოდა) ფასები 13-ჯერ აჭარბებდა, ვინაიდან მოთხოვნა დიდად აღემატებოდა მიწოდებას.

ფასების ზრდის ერთერთი მიზეზი იყო ქაღალდის ფულის ემისია. საომარი ხარჯების დასაფარად სახელმწიფომ გაზარდა ქაღალდის ფულის გამოშვება. მიმოქცევაში მისი რაოდენობა 4-ჯერ აღემატებოდა ომამდელს. ფულის ძირითადი ნაწილი რჩებოდა დაუსაქონლებელი, რაც იწვევდა ფასების ზრდას. საჭირო იყო ამ ფულის ნაწილი დაბრუნებოდა სახელმწიფოს და მიმოქცევაში შემცირებულიყო ქაღალდის ფული.

1944 წლიდან გახსნეს „კომერციული“ მაღაზიები, სადაც პროდუქტები და სამრეწველო საქონელი იყიდებოდა დაახლოებით საბაზრო ფასებში. „კომერციული“ ვაჭრობა აკავებდა

ფასების ზრდას თავისუფალ ბაზარზე და ზრდიდა საქონლის მასას მიმოქცევაში, ამავე დროს სახელმწიფოს უბრუნდებოდა გამოუყენებელი ფულის ნაწილი. მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად და სახელმწიფო შემოსავლების ზრდისათვის გაზარდეს მოსახლეობის გადასახადებიც.

ომის პირველ პერიოდში, 1941 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1/3-ით დაეცა. 1943 წლიდან იგი თანდათანობით იზრდებოდა და 1944 წ. იგი გაიზარდა 30%-ით, თუმცა მისმა მოცულობამ ომის ბოლოსაც ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. ამან თავისი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაზე. 1942 წ. სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირდა 50 მლრდ. მანეთით (შესაბამის ფასებში). თავდაცვისა და ეკონომიკის აღდგენაზე მზარდი ხარჯების დასაფარად ქვეყნის შიგნით მოძიებულ იქნა დამატებითი შემოსავლები. საგარეო წყაროები არ არსებობდა.

მიუხედავად ომით გამოწვეული ნგრევისა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ რჩებოდა სახელმწიფო საწარმოები. სახალხო მეურნეობის დარგებში გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა: შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ხარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, არსებითად გაუმჯობესდა საწარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები, რასც 1945 წელს მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა 60 მლრდ. მანეთით. მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებს არ შეეძლოთ სრულად უზრუნველეყოთ ბიუჯეტის ფინანსური რესურსების საჭირო ოდენობით შევსება, მისი ერთერთი წყარო გახდა მოსახლეობის შენატანები (გადასახადები, სახელმწიფო სესხები და ა.შ.). ომის დასაწყისში რამდენიმე ახალი გადასახადის (მარტოხელებზე, სამხედრო და სხვ.) შემოღებით ბიუჯეტში მათი ხვედრითი წილი 1941 წლის 5,2%-დან 1945 წ. 13,2%-მდე გაიზარდა.

სახელმწიფოს დიდ შემოსავლებს აძლევდა სესხები, კერძოდ მოსახლეობას იძულებით ურიგებდნენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს. თუ ომამდე მოსახლეობიდან ამოღებული გადასახადები სახელმწიფოს აძლევდა წელიწადში 9 მლრდ. მა-

ნეთს, ხოლო სესხები – 11 მლრდ.-ს, საერთო ჯამში კი – 20 მლრდ.-ს, 1945 წელს გადასახადებმა შეადგინა 40 მლრდ., ხოლო სესხებმა – 30 მლრდ., სულ – 70 მლრდ მანეთი.

შემოსავლებმა უზრუნველყო თავდაცვის ფონდი. გარდა ამისა, ამ ფონდში შედიოდა მოსახლეობის ე.წ. ნებაყოფილობითი შენატანებიც. ზოგიერთმა კოლმეურნეებმა დაიწყეს ისეთი თანხების შეტანა, რაც საკმარისი იყო ტანკების და თვითმფრინავების აშენებისათვის. ყოველივე ამ ღონისძიებათა შედეგად სახელმწიფო შემოსავლები ომამდელის 180 მლრდ.-დან 1945 წელს 300 მლრდ. მანეთამდე გაიზარდა.

ომის მსვლელობისას შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა. დასაწყისში ფინანსური რესურსების 60% მიმართული იყო თავდაცვაზე, ხოლო ომის მეორე ნახევარში, სამხედრო წარმოებისა და არმიის გაძლიერების შემდგომ დაიწყო სამხედრო ხარჯების შემცირება. 1944 წ. მისი ხვედრითი წილი დაეცა 52,3%-მდე, ხოლო 1945 წელს – 42,9%-მდე. თუ 1944 წელს სამხედრო მიზნებისთვის იხარჯებოდა 137,8 მლრდ. მანეთი, 1945 წ. – 128,2 მლრდ. მანეთი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში უცხოეთის მატერიალური დახმარების ერთერთი წყარო იყო დახმარება ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებიდან. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და კანადის შეთანხმებით ომის პერიოდში საბჭოთა კავშირს ლენდ-ლიზით მიეწოდა 9,8 მლრდ. დოლარის იარაღი, სურსათი და მოწყობილობანი. ომის წლებში მთელი იმპორტის წილი სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების 4%-ს შეადგენდა. ამიტომ ეს მიწოდება შეიძლება ითქვას დიდად მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საწარმოთა მოგების ანგარიშიდან გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი მიმართული იყო ახალ მშენებლობებზე და ძირითადი სამეურნეო ფონდების აღდგენაზე. თუ 1942 წ. 1940 წელთან შედარებით ძირითადი ფონდების მოცულობა შეადგენდა 63%, 1943 წ. შეადგინა 76%, 1944 წ. – 87% და 1945 წ. – 91 %.

დიდი ზარალი განიცადა არასაწარმოო ფონდებმაც (საცხოვრებელი ფონდი, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებები). 1942 წ. მისი მოცულობა შემცირდა 50%-ით ომამდელთან შედარებით.

დიდი რაოდენობით საწარმოების, მუშათა და მათი ოჯახების აღმოსავლეთში გადასროლა მოითხოვდა არასაწარმოო ფონდების გაფართოებას. ამ მიზნით კაპიტალდაბანდებათა გადანაწილების შემდეგ არა მარტო შეწყდა არასაწარმოო ფონდების შემცირება, არამედ თანდათანობით მისი ზრდაც დაიწყო – უკვე 1943 წ. 1942 წელთან შედარებით გაიზარდა 28%-ით, 1944 წელს – 29%. სახსრები ძირითადად მიმართული იყო საბინაო მშენებლობებზე. 1942 წ. აშენდა 5,8 მლნ. კვ. მ., 1943 წ. – 10,5 მლნ., 1944 წ. – 15,7 მლნ., 1945 წ. – 15 მლნ. კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ომისა, ბიუჯეტიდან ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა კიდეც. 1942 წ. მისი ხვედრითი წილი ბიუჯეტში შეადგენდა 16,6%-ს, 1943 წ. – 17,9%, 1944 წ. – 19,4% და 1945 წ. – 21%-ს. ეს ზრდა განპირობებული იყო გათავისუფლებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების ჩატარებითაც.

ომის წლებში მწვავედ იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა. ომში წავიდა მამაკაცთა უმრავლესობა. 1943 წ. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 40%-ით შემცირდა. საბჭოთა არმიის ტექნიკური მომსახურება მოითხოვდა კვალიფიციურ მუშახელს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა ქვეყნის მოსახლეობის 45%. ყოველივე ამან გამოიწვია მთელ ეკონომიკაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირება 1940 წლის 31,2 მლნ.-დან 1942 წ. 18,4 მლნ.-მდე.

ამ პრობლემის გადასაჭრელად წარმოებაში დაიწყო დამატებითი შრომითი რესურსების ჩაბმა, რომლის ძირითადი წყარო იყო ქალები, პენსიონერები და მოზარდები, ასევე სამრეწველო საწარმოებში იმ რესპუბლიკების მცხოვრებთა ჩაბმა, სადაც სოფლის მოსახლეობა ჭარბობდა.

მოხდა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაცია. მილიონობით ქალმა დაიწყო მუშაობა წარმოების სხვადასხვა სფეროში. ისინი ითვისებდნენ მამაკაცთა პროფესიას და ცვლიდნენ მამაკაცებს მეტალურგიულ, ქიმიურ, სამხედრო საწარმოებში. 1943 წ. აღმოსავლეთის რაიონების მეტალურგიულ ქარხნებში ქალების ხვედრითმა წილმა შეადგინა 40,9%.

მთელს ეკონომიკაში ქალების რაოდენობა 1940 წლიდან 1945 წლამდე გაიზარდა 20,6%-ით, ხოლო მათი ხვედრითი წილი 39-დან 56%-მდე. ისინი შეადგენდნენ მემანქანეების 33%, ზეინკლების – 33%, შემდუღებლების 31% და ა.შ. განსაკუთრებით გაიზარდა ქალების როლი სოფლის მეურნეობაში. აქ ისინი თითქმის მთლიანად ცვლიდნენ ფრონტზე წასულ მამაკაცებს და შეადგენდნენ დასაქმებულთა 80%-ს. ქალი-ტრაქტორისტების და კომბაინერების ხვედრითი წილი 1943 წელს გაიზარდა 54%-მდე, 1940 წელს იგი შეადგენდა 8%-ს.

ომის წლებში ფრონტის ერთ ჯარისკაცზე მუშაობდა 6-7 ადამიანი ზურგში. სამუშაო დღე გაიზარდა 11 საათამდე, ხოლო ხალხი ნებაყოფლობით დღე და ღამე მუშაობდა საამქროებში. რეგულარულად ასრულებდნენ 2-3 ნორმას. კვალიფიციური მუშახელის ადგილს იკავებდა მშიერი და ჩაუცმელი ქალები, ბავშვები და მოხუცები.

სსრ კავშირის სამეურნეო მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა კარგად მიესადაგა საომარ ვითარებას. ომის წლებში პროდუქციის მთავარი მომხმარებელი გახდა სახელმწიფო. წარმოება მუშაობდა სამხედრო დაკვეთების უზრუნველსაყოფად. მართვის ცენტრალიზებულმა სისტემამ შესაძლებელი გახადა მთელი ძალების და რესურსების მობილიზება ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად. სახელმწიფო დირექტივები უპირობოდ და უმოკლეს ვადებში სრულდებოდა. საბაზრო ურთიერთობა ვერ შეძლებდა ასეთი მობილურობის და ძალების კონცენტრაციის უზრუნველყოფას. სახელმწიფო დავალებები პატრიოტული ენთუზიაზმით უმოკლეს ვადებში სრულდებოდა. ამიტომ ბაზარი რეგულატორად მხოლოდ მშვიდობიან პირობებში შეიძლება გამოვიდეს.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია შედგება „ექსტრემალური“ პერიოდებისგან, როდესაც სახელმწიფოს მთელი თავისი ძალები უნდა მიემართა რაღაც გადამწყვეტისაკენ: საზაციია, ახალი ომი და ახალი აღდგენა, ინდუსტრიალიმოქალაქო ომი და მისი შემდგომი აღდგენა, ინდუსტრიალიმხოლოდ „ნეპის“ პერიოდის რამდენიმე წელი. ამიტომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები მიღებული იქნა როგორც ბუნებრივი და ყველაზე სწორი მეთოდი.

საბჭოთა კავშირმა უდიდესი ეკონომიკური ზარალი განიცადა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ქვეყანაში მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა 1710 ქალაქი და 70 ათასზე მეტი სოფელი, 6 მლნ.-ზე მეტი შენობა, განადგურდა 31850 სამრეწველო საწარმო, სადაც ომამდე 4 მლნ. მუშა მუშაობდა; 65 ათასი კმ რკინიგზის ლიანდაგი, 4100 რკინიგზის სადგური, 91 ათასი კმ გზატკეცილი, ათასობით ხიდი, გემების, საპორტო აღჭურვილობის და კავშირგაბმულობის უდიდესი ნაწილი, გაიძარცვა 84700 კოლმეურნეობა, 1883 საბჭოთა მეურნეობა, 2890 მტს, ასეულ ათასობით სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოები; საბჭოთა კავშირმა დაკარგა ეროვნული სიმდიდრის 30%.

სსრ კავშირის ნგრევის შედეგად მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 679 მლრდ მანეთი (1941 წლის ფასებში), მათ შორის, სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების – 287 მლრდ მანეთი, კოლმეურნეობების – 181, სოფლის და ქალაქის მოსახლეობის – 192, საზოგადოებრივი ორგანიზაციების – 19 მლრდ. მანეთი, ამან შეადგინა ოკუპირებული ტერიტორიის ეროვნული სიმდიდრის 2/3.

ამასთანავე, ზარალის თანხაში არ ასახულა ისეთი დანაკარგები, როგორიცაა შემოსავლების შემცირება სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და მოქალაქეთა საქმიანობის შეწყვეტის შედეგად, გერმანიის მიერ ჩამორთმეული ქონება, სსრკ-ის სამხედრო ხარჯები, 1941-1945 წწ. ომის პერიოდში სამეურნეო განვითარების ტემპების შენელების შედეგად მიღებული დანაკარგები. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სსრკ ოკუპირებულ რაიონებმა ომის წლებში ვერ აწარმოეს დაგეგმილი 307 მლნ. ტ. ქვანახშირი, 70 მლრდ. კვ. სთ ელექტროენერგია, 38 მლნ. ტ. ფოლადი, 136 მლნ. ტ. ალუმინი, 58 ათასი ტრაქტორი, 90 ათასი ლითონმჭრელი დაზგა, 63 მლნ. ტ. შაქარი, 11 მლრდ. ფუთი მარცვალი, 68 მლნ. კგ. ხორცი და სხვა პროდუქტები. პროდუქციის ეს უდიდესი მასა უნდა შექმნილიყო წარმოება, რომ 1940 წლის დონეზე დარჩენილიყო, ფაქტიურად ეს მაჩვენებლები იქნებოდა უფრო მეტი, რადგანაც წარმოების ტემპი საგარაუდოდ მოიმატებდა.

განსაკუთრებით მძიმე იყო ადამიანთა დანაკარგები. ბრძოლის ველზე, საკონცენტრაციო ბანაკებში, ფაშისტების კატორღებში დაიღუპა და დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე დახვრეტილ და ნაწამები იქნა 27 მლნ. საბჭოთა მოქალაქე.

გერმანელები საჭიროებდნენ რა შრომით რესურსებს, ოკუპირებული რაიონებიდან გერმანიაში სამუშაოდ მიერეკებოდნენ მოსახლეობას. საბჭოთა კავშირიდან წაიყვანეს 4 მლნ კაცი. სამხედრო ტყვეებთან ერთად მათი რაოდენობა უფრო მეტი იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1945 გერმანიიდან რეპატრირებული იქნა 5 მლნ.-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 3,1 მლნ. მამაკაცი, 1,4 მლნ. ქალი და 600 ათასი ბავშვი.

მეორე მსოფლიო ომში მეომარი ქვეყნების ხარჯებზე მეტყველებენ დასავლეთის ეკონომისტების მონაცემები, რომლითაც ომში ყველაზე მეტი ზარალი განიცადა საბჭოთა კავშირმა.

დასავლეთგერმანელმა ეკონომისტმა ბ. ენდრიუქსმა გამოთვალა: თუ პირველ მსოფლიო ომში დაიხარჯა 260 მლრდ. დოლარი, მეორე მსოფლიო ომში – 3300 მლრდ. დოლარი შეადგინა. საომარი მიზნებისათვის ბიუჯეტის ასიგნებებმა აშშ-ში შეადგინა 275 მლრდ. დოლარი, გერმანიაში – 272, ინგლისში კანადასთან ერთად – 120, საფრანგეთში – 15, იტალიაში – 94, იაპონიაში – 56 და სსრ კავშირში – 357 მლრდ. დოლარი. ბუნებრივია, ამ თანხებით არ ამოიწურებოდა ომში მეომარი ქვეყნების დანაკარგები. გაცილებით დიდი იყო დანაკარგები იმ ტერიტორიებზე, სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა ომი.

ფრანგი ეკონომისტის ა. კლოდის გაანგარიშებით, ევროპის სახელმწიფოებში საომარმა დანაკარგებმა ნგრევის სახით შეადგინა 260 მლრდ. დოლარი (1938 წ. ფასებით). ამ თანხიდან სსრკ-ზე მოდის 128 მლრდ. დოლარი (679 მლრდ. მანეთი), გერმანიაზე – 48, საფრანგეთზე – 21,5, პოლონეთზე – 20, ინგლისზე – 6,8 მლრდ. დოლარი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომში მიყენებული ზარალის საერთო თანხამ შეადგინა: სსრკ – 485 მლრდ დოლარი (2569 მლრდ. მანეთი), გერმანიაში – 320, აშშ – 275, ინგლისში კანადასთან ერთად – 126,9, იტალიაში – 94, იაპონიაში – 56, საფრანგეთში 36,5 მლრდ. დოლარი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ში სხვა ქვეყნებთან შედარებით ომი გვიან დაიწყო, მისი ზარალი გაცილებით დიდი იყო.

თუ ომის დასაწყისში სამხედრო ტექნიკით გერმანია ჭარბობდა საბჭოთა კავშირს, 1942 წლიდან საბჭოთა სამხედრო მრეწველობამ შეძლო იარაღის იმ რაოდენობით გამოშვება, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა არმიის მატერიალურ-ტექნიკურ უპირატესობა და ფრონტზე, საომარი მოქმედებების სსრკ-ს სასარგებლოდ გარდატეხა.

2. სსრ კავშირის ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა

მეორე მსოფლიო ომი ფაშისტური გერმანიის მარცხით დასრულდა. სსრ კავშირი გამარჯვებულ ქვეყნებს შორის იყო, მაგრამ ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა ადამიანთა და უზარმაზარი მატერიალური დანაკარგების ხარჯზე. საბჭოთა კავშირმა დაკარგა ეროვნული სიმდიდრის 30% და ათეულობით მილიონი ადამიანი. ქვეყანას მოაკლდა მუშახელი, რამაც სერიოზულად გააძნელა ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა. ადამიანთა ასეთი დანაკარგები აისახა სსრ კავშირის ომისშემდგომ დემოგრაფიულ სიტუაციაზე, შემცირდა შობადობა.

ომის დამთავრების შემდეგ მოხდა ცვლილებები მართვის სტრუქტურაში. 1945 წ. სექტემბერში გაუქმდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, 1946 წ. მარტში მისი ფუნქციები გადაეცა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახალხო კომისარიატები კი გადაკეთდა სამინისტროებად.

ფაშისტური გერმანიის განდევნის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო მუშაობა გათავისუფლებული რაიონების აღსადგენად. მართალია, სამრეწველო წარმოების მოცულობა უმნიშვნელოდ – სულ 9%-ით შემცირდა, მაგრამ გამოშვებული პროდუქცია ძირითადად სამხედრო დანიშნულების იყო, ხოლო სამშენებლო დარგების მიერ პროდუქციის გამოშვება ომამდელთან შედარებით მკვეთრად იყო შემცირებული. ომის ბოლოს ორჯერ ნაკლები მოხმარების საგნები იწარმოებოდა.

საწარმოები, რომლებიც ომის დროს გადაყვანილი იყო სამხედრო წარმოებაზე, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე უბრუნდებოდა სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებას. ამ პროცესს თან მოჰყვა წარმოების შემცირება: ჯერ შეწყდა საომარი პროდუქციის გამოშვება, მოხდა მოწყობილობათა ნაწილობრივი შეცვლა, ხოლო ამის შემდეგ იწყებოდა ახალი სამშვიდობო პროდუქციის გამოშვება. ამიტომ 1946 წ. წარმოება ომამდელზე მეტად შემცირდა შკვმ არა 9%-ით, არამედ 23%-ით.

სამოქალაქო ომისშემდგომი აღდგენის პროცესისგან განსხვავებით, ახლა საჭირო არ იყო მთელი მრეწველობის აღდგენა. 1946 წ. მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება უტოლდებოდა ომამდელს, ქვეყნის აღმოსავლეთში კი ომის დროს იმედნიეც საწარმო აშენდა, რაც დაინგრა დასავლეთში. ამიტომ აღდგენამ მოიცვა სამი პროცესი: ოკუპაციის შედეგად დანგრეული რაიონების აღდგენა, სამხედრო წარმოების გადაყვანა სამშვიდობოზე და ევაკუირებული საწარმოების ნაწილის დაბრუნება ძველ ადგილებზე. თუმცა ახალ ადგილებზე დამონტაჟებული მრავალი საწარმო იქცა რჩებოდა.

ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა ერთიანი ძალებით დაიწყო. ყველა რესპუბლიკა ვალდებული იყო გათავისუფლებულ რაიონებს დახმარებოდა სოფლის მეურნეობის აღდგენაში. მაგალითად, მეცხოველეობის აღსადგენად ყაზახეთმა გამოყო 550 ათასი სული პირუტყვი, ყირგიზეთმა – 130 ათასზე მეტი, საქართველომ – 30 ათასი სული. მთლიანად კოლმეურნეობებმა მიიღეს 1,7 მლნ. სული პირუტყვი და 516,8 ათასი ფრინველი. 1944 წ. თესვის კომპანიის ჩასატარებლად სახელმწიფო რეზერვებიდან გამოიყო 50 ათასი ტონა მარცვალი, რითაც გათავისუფლებულ რაიონებში დაითესა 16 მლნ. ჰა. 1945 წ. დასაწყისში აღდგა 84700 კოლმეურნეობა, 1883 საბჭოთა მეურნეობა და 2890 მტს.

ომის დამთავრების შემდეგ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე ვერ იქნა მიღწეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. მრეწველობის პროდუქციამ 1940 წელთან შედარებით შეადგინა 91%, ნახშირის მოპოვებამ – 90%, ნავთობმა – 62%, თუჯის გამოდნობამ – 59%, ფოლადის – 67%, ქსოვილების წარმოებამ – 41%, ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ – 76%, საცალო საქონელბრუნვამ – 41%, მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო წლიურმა რაოდენობამ – 87%. ნათესი ფართობი შემცირდა 37 მლნ. ჰა-ით, ხოლო პირუტყვის სულადობა – 7 მლნ. სულით. 1945 წ. ქვეყნის შემოსავლებმა შეადგინა 1940 წლის 83%. ომმა მძიმე ზეგავლენა მოახდინა შრომით რესურსებზე: მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა შემცირდა 5,3 მლნ. კაცით, სოფლებში კი შრომისუნარიანი მოსახლეობა შემცირდა 1/3-ით.

საბჭოთა კავშირი მოკლებული იყო რა საგარეო ეკონომიკურ დახმარებას, ომისგან დანგრეული მეურნეობის აღდგენა საკუთარი ძალებით უნდა მოეხდინა.

სსრ კავშირის ომისშემდგომი განვითარება მოიცავს მეოთხე (1946-1950 წწ.), მეხუთე (1951-1955 წწ.), მეექვსე (1956-1960 წწ.) ხუთწლედებს, შვიდწლედს (1956-1965 წწ.), მერვე (1966-1970 წწ.), მეცხრე (1971-1975 წწ.), მეათე (1976-1980 წწ.) და მეთერთმეტე (1981-1985 წწ.) ხუთწლედებს.

1946 წლის მარტში სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის აღდგენის და შემდგომი განვითარების 1946-1950 წწ. მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ომისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენას, განვითარების ომამდელი დონის მიღწევას და მის გადაჭარბებას.

ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის კაპიტალდაბანდებებმა 348,7 მლრდ. მანეთი შეადგინა. აქედან მეოთხედი გადაეცა ომისგან დაზარალებულ მეურნეობებს. კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს.

ფინანსების ომისშემდგომ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედა ცვლილებებმა სახოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურაში. გაიზარდა მრეწველობის წილი. 1949 წ. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 17%-ით, ხოლო 1950 წ. – 21%-ით. განმტკიცდა საფინანსო სისტემა და სსრკ ბიუჯეტი, რომელიც მეოთხე ხუთწლედში 325-დან 422 მლრდ. მანეთამდე გაიზარდა.

ომის წლებში უზარმაზარი სამხედრო ხარჯებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად სახელმწიფო იძულებული იყო მიემართა ფულის ემისიისათვის. გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაშისტებმა გამოუშვეს დიდი რაოდენობით ყალბი ფული. ყოველივე ამის შედეგად მოქცევაში მყოფი ფული 3,8-ჯერ აღემატებოდა ომამდელს და კიდევ უფრო მეტად – ეკონომიკის მოთხოვნას. დაეცა მანეთის მსყიდველობითი უნარი.

სამეურნეო ანგარიშის აღდგენის, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განმტკიცების, სრულფასოვანი საბჭოთა მანეთის აღდგენის და ფულის როლის ამაღლებისათვის აუცილებელი იყო მიმოქცევიდან ზედმეტი ფულის მისის ამოღება. 1947 წ. გატარდა ფულის რეფორმა. ფულის რეფორმასთან ერთად ქვეყანაში გაუქმდა საბარათო სისტემაც.

1947 წ. დეკემბერში სსრკ ცკ-მა და მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სურსათზე და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმების შესახებ“, რომლითაც გაუქმდა პროდუქტების ნორმირებული გაწაწილება, დაიწყო გაყიდვა ღია ვაჭრობის წესით (ბარათების გარეშე). ამავდროულად, გაუქმდა კომერციული ფასები და შემოიღეს ერთიანი, დაბალი სახელმწიფო საბითუმო ფასები. ყოველივე ამან ბიძგი მისცა სავაჭრო ქსელის გაფართოებას და საქონელბრუნვის ზრდას. ხალხის ნაწილს მიეცა შესაძლებლობა შეეძინათ ისეთი საქონელი, რომელიც ომამდე ან არ იყიდებოდა, ან იყიდებოდა შეზღუდული რაოდენობით (მაცივრები, მტვერსასრუტები, სარეცხი მანქანები, ტელევიზორები და ა.შ.).

ფულის რეფორმა გატარდა შემდეგნაირად: ძველი 10 მანეთი შეიცვალა 1 ახალი მანეთით. შეღავათიანი პირობებით მოხდა შემნახველ სალაროებში მყოფი ფულის გადაფასება. 3000 მანეთამდე შენატანები დარჩა უცვლელად, ე.ი. 1 მანეთი იცვლებოდა 1 მანეთზე. უფრო მსხვილი შენატანები გადაფასდა შემდეგნაირად: პირველი 3000 მანეთი დარჩა უცვლელად, 3000-დან 10000 მანეთამდე შემცირდა 1/3-ით და 10000 მანეთის ზევით შენატანები შემცირდა 2-ჯერ. 1947 წლამდე გამოშვებული ობლიგაციები გაიცვალა 1948 წლის ახალ 25-იან ობლიგაციაზე ანგარიშით 3:1.

ფულის რეფორმამ ხელი შეუწყო ფულის მიმოქცევაში ომის შედეგების ლიკვიდაციას, გაიზარდა მანეთის მსყიდველობითი უნარი. შესაძლებელი შეიქმნა მანეთის კურსის ოქროთი უზრუნველყოფა, რაც განხორციელდა 1950 წლის თებერვალში, დადგინდა ფულის შემცველობა 0,222168 გრ. ოქროთი, მისი კურსი უცხოურ ვალუტასთან შედარებით გაიზარდა 32,5%-ით.

ეკონომიკაში არსებობდა შრომითი რესურსების, მასალების, მოწყობილობების და ნედლეულის დეფიციტი. ამასთანავე, დისპროპორციები მრეწველობის ცალკეულ დარგებს შორის, რაც გამოწვეული იყო ომის წლებში ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნით. აუცილებელი იყო მოშლილი საწარმოო კავშირების აღდგენა, არა მარტო ცალკეულ საწარმოებს შორის, არამედ ქვეყნის სამრეწველო ცენტრებთან; დარგებს შორის მატერიალური, საფინანსო და შრომითი რესურსების განაწილება; სამრეწველო წარმოებაში სამოქალაქო პროდუქციის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი გაზრდა.

ომისშემდგომ პერიოდში აღდგენითი სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. გათავისუფლებულ ტერიტორიაზე დაიწყო 263 ახალი საწარმოს მშენებლობა, მათ შორის იყო მინსკის საავტომობილო ქარხანა, „აზოვსტალი“ და სხვ. აღდგენა ხდებოდა სწრაფი ტემპებით, მაგალითად: 1940 წელთან შედარებით ნახშირი 57%-ით მეტი იქნა მოპოვებული; ამოიღეს 22%-ით მეტი ნავთობი, შავი ლითონების წარმოება გაიზარდა 45%-ით, მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქცია – 2-ჯერ.

ომმა დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას. ოკუპაციის დროს დაინერგა და გაიძარცვა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების 40%. შრომისუნარიანი მოსახლეობა შემცირდა 35,4 მლნ.-დან 23,9 მლნ. კაცამდე. ტრაქტორების რაოდენობა შეადგენდა ომამდელის 59%, ხოლო ცხენების რაოდენობა – 14,5-დან 6,5 მლნ. სულამდე შემცირდა. ამან გამოიწვია ნათესი ფართობების 36 მლნ. ჰა-ით შემცირება და მარცვლეულის მოსავლის დაცემა 762 მლნ.-დან 333 მლნ. ცენტნერამდე. მთლიანად სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროდუქტი შემცირდა 40%-ით. ომის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე ომამდელთან შედარებით უფრო დაბა-

ლი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შემდეგ.

ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ წელს ომისაგან მიყენებულ ზარალს დაემატა სტიქიური უბედურება. 1946 წელს უკრაინა, მოლდავეთი, ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ზონის ოლქები მოიცვა გვალვამ. ეს იყო ყველაზე მკაცრი გვალვა, რომელიც კი მანამდე ყოფილა 50 წლის განმავლობაში. ამ წელს კოლმეურნეობებმა 2,6-ჯერ ნაკლები მარცვლეული მოიყვანეს ომამდელთან შედარებით. გვალვა მძიმედ აისახა მეცხოველეობაზეც. მარტო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიცხვი შემცირდა 1,5 მლნ. სულით.

ყოველწლიურად იზრდებოდა ასიგნებანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის. იზრდებოდა ამ სახსრების არა მარტო აბსოლუტური ოდენობა, არამედ იზრდებოდა მისი ხვედრითი წილიც სახალხო მეურნეობის ხარჯებში. თუ 1946 წ. მან შეადგინა 12,9 მლრდ. მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობის ხარჯების 11,9%, 1950 წ. მისი მოცულობა გაიზარდა 34 მლრდ. მანეთამდე, ხოლო ხვედრითი წილი 21,6%-მდე. სულ მეოთხე ხუთწლედში ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაში და სატყეო მეურნეობაში მიმართული იყო 115,5 მლრდ. მანეთი.

გარდა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის ცენტრალიზებული დახმარებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქის მცხოვრებთა დახმარება. მათ ააშენეს და გაარემონტეს ათეულ ათასობით საცხოვრებელი სახლი, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, საწარმოო შენობა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა და ა.შ. ყველაფერმა ამან განამტკიცა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გვალვასთან საბრძოლველად სტეპიან რაიონებში დაიწყო ტყის გაშენება. მინდორსაცავი ტყის ზოლები იცავდა მინდორს გაშრობისგან, აუმჯობესებდა ნიადაგში წყლის რეჟიმს და ატენიანებდა ჰაერს, ამგვარად ნათესებისთვის იქმნებოდა ხელსაყრელი მიკროკლიმატი, რაც ხელს უშლიდა ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის გამოშრობას და ეროზიას. შემუშავდა მინდორსაცავი ნარგავების, არხების და წყალსაცავების მშენებლობის გეგმა, რომელიც 1950-1965 წწ. ითვალისწინებდა 16 ოლქში, ძირითადად კი რსფსრ-სა და უკრაინაში 5320 კმ სიგრძის ტყის ზოლის გაშენებას, გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მინდვრებში 5 მლნ. 709 ათას ჰექტარზე დამცავი ტყის ზოლების გაშენებას.

ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში დაწყებულმა მიწის გარდაქმნის სამუშაოებმა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების გაუმჯობესებამ დადებითი შედეგები გამოიღო. 1951 წლამდე – მინდორსაცავი ტყის ზოლები 1852 ათას ჰექტარზე გაშენდა, რომლის სიგრძე 6 ათას კმ.-ზე მეტი იყო.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში გაშენებული ტყის მასივები ათეული წლის მერეც იცავს 25 მლნ. ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწას.

ამრიგად, ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენის შედეგად პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით 73%-ით, კაპიტალდაბანდბანი – 3-ჯერ, შრომის ნაყოფიერება – 37%-ით, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი – 64%-ით გაიზარდა.

მეოთხე ხუთწლედში დაიწყო ქვეყნის სატრანსპორტო სისტემების აღდგენა და გაფართოვება. ძირითადი ყურადღება მიექცა რკინიგზის ტრანსპორტს. აღდგა ომის დროს დანგრეული გზები, ხიდები. აღიჭურვა ურალი–ციმბირის, შუა აზიის, ჩრდილოეთის და სხვა მიმართულების ახალი მაგისტრალები. ელექტრიფიცირებულ იქნა მრავალი სარკინიგზო ხაზი ურალში, ამიერკავკასიაში და კრივოი როგში. დაინერგა ავტომატიკა, ტელემექანიკა, რადიოკავშირი. გაიზარდა მოძრაობის სიჩქარე. რკინიგზის მთლიანმა ტვირთბრუნვამ 1950 წ. 45%-ით გადააჭარბა ომამდელს.

აღდგა დანგრეული საზღვაო და სამდინარო პორტები. ფლოტი შეივსო ახალი გემებით. 1950 წ. წყლის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ ომამდელ დონეს 1,4-ჯერ გადააჭარბა. დაიწყეს მძლავრი სატვირთო ავტომანქანების და მრავალადგილიანი საქალაქთაშორისო ავტობუსების გამოყენება. მწყობრში ჩადგა ავტომაგისტრალი მოსკოვი–სიმფეროპოლი.

სწრაფი ტემპებით განვითარდა საჰაერო ტრანსპორტი. რეგულარული საჰაერო ხაზების სიგრძე გაიზარდა 2-ჯერ.

ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგარეო ეკონომიკური კავშირები. სსრ კავშირმა დაამყარა კავშირები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, რომლებიც ომის შემდგომ თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოაქცია და რომლებიც იძულებული გახადა დადგომოდნენ განვითარების სოციალისტურ გზას. ამ ურთიერთობების ძირითადი ფორმა იყო საგარეო ვაჭრობა. პირველი ასეთი ხელშეკრულება დაიდო პოლონეთთან 1944 წლის ოქტომბერში. 1945 წ. ხელი მოეწერა მეორე ხელშეკრულებას პოლონეთთან, ასევე რუმინეთთან და უნგრეთთან, 1946 წ. აპრილში – ჩეხოსლოვაკიასთან, შემდეგ – ბულგარეთთან.

სოციალისტური ქვეყნები საიმპორტო მოთხოვნილების მნიშვნელოვან ნაწილს იკმაყოფილებდნენ სსრკ-თან საგარეო ეკონომიკური კავშირით. 1946-1950 წწ. ამ ქვეყნებთან საქონელბრუნვა გაიზარდა 3-ჯერ. მათმა წილმა სსრკ-ის საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში 80%-ს გადააჭარბა ხუთწლედის ბოლოს. რაც შეეხება ვაჭრობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომისშემდგომ პირველ წლებში რამდენადმე გაიზარდა, შემდეგ კი მკვეთრად შემცირდა, რაც დაკავშირებული იყო აშშ-ს და მისი პარტნიორების სსრკ-თან ურთიერთობის გაუარესებასთან.

სოციალისტურ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო კავშირებთან ერთად დამყარდა ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმები. მაგალითად, 1947 წ. სსრკ-მა პოლონეთს მისცა ოქროს სესხი, 1948 წ. კი – 450 მლნ. დოლარის კრედიტი, 1950 წ. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 300 მლნ. დოლარის ოდენობით კრედიტი და ა.შ. 1947 წლიდან სსრკ-სა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის დაიდო ხელშეკრულებები სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხდებოდა მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების გაცვლა, ხორციელდებოდა თანამშრომლობა კადრების მომზადებაში.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1949 წ. იანვარში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) შექმნას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მრავალმხრივ ეფექტურ ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას.

3. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება 50-80-იან წლებში

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი: აღმავლობის (1950-1970 წწ.), უძრაობის (1971-1985 წწ.), კრიზისის და სოციალურ-ეკონომიკური წყობის შეცვლის (1985-1990-იანი წწ.).

აღმავლობის წლებში (1950-1970 წწ.) ქვეყნის ეკონომიკა ვითარდებოდა. პირველ ათ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპმა შეადგინა 11,7%, სოფლის მეურნეობის – 5%, ძირითადი საწარმოო ფონდების – 9,9%, წარმოებული ეროვნული შემოსავალის – 10,2%, ხოლო საქონელბრუნვის – 11,4%. ოფიციალური მონაცემებით სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე მიღწეული იქნა 1948 წ., ხოლო 1950 წ. მრეწველობა 70%-ით მეტ პროდუქციას აწარმოებდა 1940 წელთან შედარებით, თუმცა ზოგიერთი მიუკერძოებელი მკვლევარის გამოთვლით ეროვნული შემოსავლის ომამდელი დონე მიღწეულ იქნა მხოლოდ 1950 წელს. ზოგადად, სსრკ-ის პერიოდის ოფიციალური ეკონომიკური მონაცემები დაზუსტებას მოითხოვს.

აღმავლობას ხელი შეუწყო მრეწველობის ძირითადი ფონდების განახლებამ და მოდერნიზაციამ, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებამ, ყამირი მიწების ათვისებამ, მმართველობის სისტემის სრულყოფამ, ქვეყანაში შიდა პოლიტიკური გარემოს შეცვლამ. ასევე ასეულ ათასობით პატიმარი სრულიად უფასოდ შრომობდა სხვადასხვა მაღაროებში და მძიმე სამუშაოზე.

1953 წ. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იყო ტოტალიტარული სისტემის შერბილების მცდელობა, საშინაო პოლიტიკის ახალ კურსზე გადასვლა გამოიხატა ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ცვლილებაში, კერძოდ, „ბ“ ჯგუფის დარგებში და სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა გაზრდით, საწარმოების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისათვის უფლებების გაზრდით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ვოლგაზე, დონზე და სხვა მდინარეებზე დაიწყო გორკის, კახოვკის, კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადის უზარმაზარი ჰესების მშენებლობა, რომლებიც 1950-1960-იან წწ. ამოქმედდა. 1952 წ. აშენდა ვოლგა-დონის არხი, რომელმაც მოახდინა ხუთი ზღვის: თეთრი, ბალტიის, კასპიის, აზოვის და შავი ზღვის ერთიან სისტემაში გაერთიანება.

სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკუთვნის 1953 წ. სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. შემუშავებული იქნა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროგრამა. 1951-1960 წწ. კაპიტალდაბანდებებმა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შეადგინა 20,5 მლრდ. მანეთი. ეს იყო 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე სოციალისტური მშენებლობის 33 წლის მანძილზე.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება 1951-1960 წწ. გამოიხატა ძირითადი საწარმოო ფონდების 6,5-ჯერ ზრდაში. 10 წელიწადში მათი ღირებულება გაიზარდა 14-დან 36,6 მლრდ მანეთამდე, ე.ი. 2,6-ჯერ; ხოლო ფონდშეიარაღება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით – 2,7-ჯერ.

50-იან წლებში გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრირება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მსხვილდებოდა და მცირდებოდა მათი რაოდენობა. კოლმეურნეობათა გამსხვილების და მათი ნაწილის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის შედეგად კოლმეურნეობების რიცხვი 1950 წლის 123,7 ათასიდან 1960 წლის 44,9 ათასამდე შემცირდა. გაიზარდა კოლმეურნეობებში ნათესი ფართობები 1-დან 2,7 ათას ჰა-მდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობების – 2,6-დან 9 ათას ჰა-მდე, გაიზარდა პირუტყვის სულადობა და სატრაქტორო პარკი. განუყოფელი ფონდები კი – 60,0-დან 310 მლრდ. მანეთამდე.

1959 წლიდან დაიწყო საბჭოთა მეურნეობების გამსხვილება. სუსტი მეურნეობები შეუერთდა უფრო ძლიერებს (კოლმეურნეობების გამსხვილების ანალოგიურად).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას ციმბირში, ყაზახეთში და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში. თავდაპირველად აქ იგზავნებოდნენ პატიმრები სხვადასხვა ბანაკებიდან, შემდეგ კი კომკავშირულმა

ორგანიზაციებმა მიავლინეს ახალგაზრდობა. მოკლე დროში დასავლეთ ციმბირში და ყაზახეთში შეიქმნა ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, გაიყვანეს გზები, აშენდა დასახლებანი. ხუთ წელიწადში სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაიზარდა 34%-ით. ქვეყნის აღმოსავლეთში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი რაიონები. ყამირი მიწები იძლეოდა მარცვლეულის 40%-ს. 1953-1956 წწ. ათვისებული იქნა 33 მლნ. ჰა, ხოლო სულ 1960 წლამდე – 42 მლნ. ჰა მიწა. ამან შესაძლებელი გახადა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა. თუ 1954 წ. სსრკ-ში მოიყვანეს 85,5 მლნ. ტ. მარცვალი, აქედან 27,1 მლნ. ტ. აღებულ იქნა ახლად ათვისებულ ყამირ მიწებზე, 1960 წ. – შესაბამისად, 125,5 და 58,7 მლნ. ტ.

ამ ახალ მიწებზე არ არსებობდა მარცვლეულის შესანახი ან უბრალო შესაფარი, რის გამოც დიდი რაოდენობის აღებული მარცვლეული იყო დია ცის ქვეშ, სველდებოდა წვიმაში და იბნეოდა ქარში. არ იყო რკინიგზა, არ ყოფნიდათ ავტომანქანები მისი ტრანსპორტირებისთვის.

ყოველწლიურად აღმოსავლეთში ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად იგზავნებოდა ტექნიკა და ხალხი ცენტრალური და სამხრეთის რაიონებიდან, სადაც მოსავალი უფრო ადრე მწიფდებოდა და იღებდნენ. ყველაფერი ეს მოითხოვდა მნიშვნელოვან ხარჯებს. 1954-1964 წწ. ყამირზე მარცვლეულის ღირებულება 20%-ით მეტი იყო, ვიდრე მარცვლეულის ძირითად რაიონებში.

ახალი მიწების ასათვისებლად გადაიტყორცნა უზარმაზარი სახელმწიფო რესურსები, რის გამოც მარცვლეულის ტრადიციული რაიონები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქვეყანა უმეტესად დამოკიდებული გახდა ყამირი მიწების მოსავალზე, რომლის უდიდესი მასივები (განსაკუთრებით ყაზახეთში) იმყოფებოდა სამიწათმოქმედოდ სარისკო ზონაში. ყამირი მიწები განსაკუთრებით დაზარალდა 1963 და 1965 წწ. ქვიშიანი ქარიშხლისგან. აქ საშუალო მოსავლიანობა უფრო დაბალი იყო, ვიდრე უკრაინაში, ან ჩრდილოეთ კავკასიაში.

ცვლილებები მოხდა არა მარტო აგრარულ სექტორში, არამედ ეკონომიკის სხვა დარგებშიც. ყურადღება გამახვილდა მრეწ-

ველობაზე, განსაკუთრებით მის ტექნიკურ დონეზე. 1955 წ. პლენუმზე განიხილავდნენ მცდარ თეორიას, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის დროს მორალური ცვეთა არ არსებობს. ამან ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ წარმოება შორს აღმოჩნდა მეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისგან. ხაზგასმული იყო, რომ მრეწველობისათვის მთავარია წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება ელექტრიფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის საფუძვლებზე. უმნიშვნელო იყო მეცნიერების როლი წარმოების პროცესში.

1950-იან წწ. შუალედში ნათელი გახდა, რომ საბჭოთა მეცნიერებაში ახალ მიმართულებათა პრიორიტეტული განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევა. 1950-1960-იან წლებში გამოჩნდა ცნობილი ლოზუნგი: „მეცნიერება უნდა გახდეს სოციალისტური ეკონომიკის უშუალო მწარმოებელი ძალა“.

ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, კიბერნეტიკა, კოსმოსური გამოკვლევები) მეცნიერების განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისკენ იყო მიმართული უზარმაზარი საფინანსო, მატერიალური და ადამიანთა რესურსები, რის შედეგადაც თვალსაჩინო გახდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი. 1954 წ. ამოქმედდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური ქ. ობნინსკში, 1959 წ. აიგო პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“, 1957 წ. კოსმოსში გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, 1961 წ. პირველი კოსმოსური ფრენა განახორციელა ი. გაგარინმა.

იყო მცდელობა სამეურნეო მექანიზმის ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად. აუცილებელი იყო ადგილობრივი ხელმძღვანელობის სამეურნეო დამოუკიდებლობის გაზრდა. 1957 წელს მოხდა მმართველობის ტერიტორიულ პრინციპზე გადასვლა. გაუქმდა საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროები. ქვეყანა დაიყო ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონებად. საწარმოები გადაეცათ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შექმნილ სახალხო მეურნეობის საბჭოებს. მათ გადაეცათ სამინისტროების, ასევე დაგეგმვის ფუნქციები. ყოველი სახალხო მეურნეობის საბჭო გეგმავდა თავისი ეკონომიკური რაიონის განვითარებას. ამგვარი ცვლილებებით წარმოიქმნა სიძნელეები ერთიანი სახელმწიფოებრივი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებაში, გაიფანტა რესურსები, დაეცა სახსრების კონცენტრაციის ხარისხი.

რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ეს არ იყო სისტემური ცვლილება. ცენტრალური ორგანოები შეიცვალა ადგილობრივით, მაგრამ დარჩა მართვის დირექტიული მეთოდი. ქვეყნის ერთიანი მეურნეობა დაქუცმაცდა. სახალხო მეურნეობის საბჭოს თითოეული ხელმძღვანელი ქმნიდა ეკონომიკური რაიონის ჩაკეტილ მეურნეობას, რომლის ფარგლებში ცდილობდნენ ყველაფრის წარმოებას, რაც საჭირო იყო რაიონის ცხოვრებისათვის. ეს რა თქმა უნდა მიუღებელი იყო. გაჩნდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის მსგავსი წარმონაქმნები.

ეს დაქუცმაცებულობა ხელს უშლიდა ქვეყნის მასშტაბით წარმოების დაგეგმვას და მის სტრუქტურულ რეგულირებას. აბრკოლებდა წარმოების სპეციალიზაციას, სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელები სპეციალიზებულ საწარმოებს გადატვირთავდნენ დამატებითი პროდუქციის წარმოებით. გარდა ამისა, სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებები მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, სხვადასხვა ეკონომიკური რაიონი ქმნიდა ერთიდაიგივე ნაწარმის საკუთარ მარკას. ამიტომ ეკონომიკური რეფორმის გატარების დროს 1965 წ. ლიკვიდირებულ იქნა სახალხო მეურნეობის საბჭოები და აღდგა დარგობრივი სამინისტროები.

50-იანი წლების პირველ ნახევარში აღდგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე, ე.ი. მნიშვნელოვნად გვიან, ვიდრე მრეწველობა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. ტრაქტორების რაოდენობა ომამდელთან შედარებით გაიზარდა 2-ჯერ, კომბაინების – 2,5-ჯერ. მაგრამ სოფლის მეურნეობის ტექნიკური დონის ამაღლება იყო ცალმხრივი. ხვნა, მარცვლეულის თესვა, მოსავლის აღება და ლეწვა 80-90%-ით იყო მექანიზებული, ხოლო მცხოველეობაში, ტექნიკური კულტურების წარმოებაში (კარტოფილი, ბოსტნეული) დაბალი იყო მექანიზაციის დონე. სელის აღება მექანიზებული იყო 30%-ით, ხოლო კარტოფილის – 10%-ით.

პირადი დამხმარე მეურნეობები, რომელთაც მიწის უმნიშვნელო ნაკვეთები ეკავათ 50-იან წწ. იძლეოდნენ მეცხოველეობის პროდუქტების 70-75%-ს. დაისახა კოლმეურნეობების და კოლმეურნეების ინიციატივის გაზრდა.

დაგეგმვის წესებში მოხდა ცვლილებები. ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები გეგმავდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას, ე.ი. კოლმეურნეობებს განუსაზღვრავდნენ რა რაოდენობის პროდუქტები უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმები უნდა შეეძგინათ თვით კოლმეურნეობებს, განესაზღვრათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წესი და ჩატარების ვადები.

მატერიალური დაინტერესებისათვის გაზარდეს დამზადების და შესყიდვის ფასები. ეს ფასები ღირებულებაზე გაცილებით დაბალი იყო, ე.ი. კოლმეურნეობებისთვის იყო ზარალიანი. 1953 წ. კოლმეურნეობათა უმრავლესობას ცენტნერი კარტოფილის წარმოება უჯდებოდა 40 მანეთი, ხოლო მისი დამზადების ფასი იყო 3 მანეთი. 1953 წ. გაიზარდა ეს ფასები, და თუ ადრე იყო ფასების ორი კატეგორია – დამზადების და შესყიდვის, ახლა დაწესდა ერთიანი შესასყიდი ფასები, რომლითაც ბარდებოდა საკოლმეურნეო ყველა პროდუქცია. პირუტყვზე ფასები გაიზარდა 5,5-ჯერ, კარტოფილზე – 2,5-ჯერ.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს მტს-ებმა. მათი არსებობა გამოწვეული იყო იმით, რომ ადრე ქვეყანაში არ იყო საკმარისი ტექნიკა, რომ უზრუნველეყო ყველა კოლმეურნეობა. შემდეგ კი მინდვრის სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკა უკვე საკმარისი იყო, ხოლო მტს-ები ტექნიკური ბაზიდან გადაიქცნენ კოლმეურნეობათა მართვის ორგანოებად. მინდვრის ძირითად სამუშაოებს ისინი ასრულებდნენ: ხნავდნენ, თესავდნენ, მოსავალს იღებდნენ. მტს-ები იყვნენ სახელმწიფო ორგანიზაციები და ექვემდებარებოდნენ არა კოლმეურნეობებს, არამედ სახელმწიფოს. ისინი სახელმწიფოსგან ღებულობდნენ დირექტივებს შესასრულებელი სამუშაოების შესახებ. კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ სამეურნეო დამოუკიდებლობა. ამასთანავე მტს-ებში იყვნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები – აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სხვ.

კოლმეურნეობათა დამოუკიდებლობის გაძლიერებაში დიდი როლი ითამაშა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ. 1958 წლის გადაწყვეტილებით ტექნიკა მიეყიდა კოლმეურნეობებს. კოლმეურნეობებში გადავიდნენ მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მტს გარდაიქმნა სარემონტო ტექნიკურ სადგურებად (სტს) კოლმეურნეობათა ტექნიკის რემონტისათვის. იმის გამო, რომ რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ შეძლეს ტექნიკის ღირებულების გადახდა, 1965 წ. სახელმწიფომ ჩამოაწერა მათ ეს დავალიანება.

1958 წ. მაისში და 1963 წ. დეკემბერში შემუშავდა ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარების პროგრამა. 60-იან წწ. აიგო და ამოქმედდა რამდენიმე ათეული ქიმიური საწარმო, რეკონსტრუირებულ იქნა და გაფართოვდა მრავალი მოქმედი ქიმიური ქარხანა. აითვისეს ახალი სახის ნედლეული და პოლიმერული მასალები, სინთეტიკური კაუჩუკი, პლასტმასი, ქიმიური ბოჭკო, სარეცხი საშუალებანი, შხამქიმიკატები, სამკურნალო პრეპარატები, გაფართოვდა მინერალური სასუქების წარმოება.

60-იან წწ. უდიდესი ყურადღება მიექცა მანქანათმშენებლობას. მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების ხვედრითმა წილმა 1960 წ. შეადგინა 16,6%, 1965 წ. – 19,9%, ხოლო 1970 წ. – 23%. ამ წლებში გასამმაგდა მანქანათმშენებლობის მთლიანი პროდუქცია.

1960-1970 წწ-დან ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდებოდა, მსუბუქი და კვების მრეწველობა (ზრდამ შეადგინა 71 და 89%).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. პენსიების და გადასახადების შესახებ კანონით საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა გადასახადები, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაწესდა მინიმალური გარანტირებული ხელფასი, ხელფასები მოემატათ სხვა დარგებშიც, ასევე შემცირდა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა.

სსრკ-ში თითქმის არ არსებობდა უმუშევრობა (1-2%). ეს პროცესები რეგულირდებოდა არა მხოლოდ გეგმებით, არა-

მედ შრომითი კანონმდებლობითაც. აკრძალული იყო გაეთავისუფლებინათ ცუდი მუშაკიც კი, ან, თუნდაც შეემცირებინათ მუშაკთა ჭარბი რაოდენობა. მუშაკები სამუშაოს ტოვებდნენ მხოლოდ მოხუცებულობის, მძიმე ავადმყოფობის, სერიოზული დანაშაულის, სხვა ტერიტორიაზე გადასახლების და ოჯახური გარემოების გამო. სსრკ-ში არ იყო შრომის ბაზარი.

საბინაო პრობლემის გადასაწყვეტად ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის იძლეოდნენ შეღავათიან კრედიტებს. ამან გააუმჯობესა მდგომარეობა როგორც პატარა და საშუალო ქალაქებში, ასევე სოფლად. 60-იან წწ., ინდუსტრიულ საფუძველზე დაიწყო ტიპური ბინათმშენებლობა, რამაც 70-იანი წლების ბოლოს შესაძლებელი გახადა ქალაქის ოჯახების 80%-ის ბინებით უზრუნველყოფა.

ამაღლდა განათლების დონე. სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ქსელის შექმნამ გააუმჯობესა ქვეყნის საკადრო პოტენციალი. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობდა მეცნიერების და კულტურის განვითარებას.

ინტენსიურად განვითარდა ტელევიზია, ჯერ შავ-თეთრი, ხოლო 60-იანი წლებიდან – ფერადი. გაფართოვდა სატრანსლაციო სადგურების ქსელი, რომელშიც ერთვებოდა რეგიონების და რესპუბლიკების უდიდესი ნაწილი. 1970 წ. მწყობრში ჩადგა ოსტანკინოს სატელევიზიო ანძა.

1950-1960-იან წწ. მიჯნაზე ჩატარებული ექსპერიმენტების მიუხედავად, სსრკ-ის ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო იყო. მზარდი ინფლაციის გამო 1961 წ. გატარდა ფულის რეფორმა. 1 იანვრიდან მიმოქცევაში გაუშვეს ახალი კუპიურები. ძველი ფულის გაცვლა მოხდა პროპორციით 10:1, ამავე პროპორციით შეიცვალა ფასები და ხელფასები. ფაქტიურად გატარდა დენომინაცია, ე.ი. ქვეყნის ფულის ერთეულის გამსხვილება. მაგრამ ახალი ფულის მსყიდველობითი უნარის ვარდნა კვლავ გრძელდებოდა.

შვიდწლედში პირველად დაისვა წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხი, რომელიც მეცნიერულად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. წარმოება შეიძლება განვითარდეს ექსტენსიური ან ინტენსიური გზით. ექსტენსიური გზა არის საწარმოო სიმძლავრეების, დასაქმებულთა რაოდენობის და გადასამუშავებელი რესურსების რაოდენობრივი ზრდა, ხოლო ინტენსიური – წარმოების ზრდა შრომის ნაყოფიერების გადიდების და ტექნიკური პროგრესის ანგარიშზე.

ერთი შეხედვით შვიდწლედში წარმატებით განვითარდა მრეწველობა, რომელიც უნდა გაზრდილიყო 80%-ით და გაიზარდა 84%-ით, ანუ გეგმა გადაჭარბებულ იქნა. მოხდა სტრუქტურული ძვრები: ნახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადავიდა „ძველი“ დარგების თანრიგში. შემდეგ განვითარდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დარგები – რობოტოტექნიკა, მიკროელექტრონიკა და ა.შ.

მშენებლობაში მოხდა ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლა, შენობის დეტალებს ამზადებდნენ ქარხნებში, ხოლო სამშენებლო მოედნებზე ხდებოდა მათი აწყობა.

რკინიგზებზე ორთქლმავლებიდან გადავიდნენ თბომავლებსა და ელმავლებზე.

შვიდწლედში შრომის ნაყოფიერების ტემპი არ გაზრდილა, არამედ შემცირდა კიდეც. შემცირდა ფონდუკუგება, ე.ი. პროდუქციის გამოშვება ძირითადი ფონდების ერთეულზე. მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 84%-ით, ხოლო ძირითადი ფონდები – 100%-ით. ლოგიკური იქნებოდა, რომ ფონდუკუგება გაზრდილიყო, ვინაიდან ახალი ფონდები – ახალი ტექნიკა უფრო მწარმოებლურია. თუმცა, მაჩვენებლები, საპირისპიროს ადასტურებდნენ, ფონდუკუგება და ინტენსიფიკაციის პროცესი შენელდა. ინტენსიფიკაციის ლოზუნგი არ იყო გამყარებული რეალური ეკონომიკური სტიმულებით. ადმინისტრირების არსებული სისტემა გამორიცხავდა კონკურენციას, რაც ბიძგს მისცემდა წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვას. ეს პროცესი ხორციელდებოდა „ზემოდან“, ადმინისტრაციული მითითებებით, შედეგად კი იზრდებოდა მოწინავე ქვეყნების მრეწველობის ტექნიკური დონისგან სსრკ ჩამორჩენა.

1965 წ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკონომიკური რეფორმირების შესახებ – ადმინისტრაციულიდან მეურნეობის მართველობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის შესახებ. რეფორმა ითვალისწინებდა, ერთის მხრივ, სახალხო მეურ-

ნეობის საბჭოების ლიკვიდაციას და დარგობრივი სამინისტროების აღდგენას; მეორეს მხრივ, საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის გამოცოცხლებას, იქმნებოდა მატერიალური სტიმულირების ფონდები, საწარმოებს უფრო ფართო უფლებები ეძლეოდათ დაგეგმვაში.

ეკონომიკის გასაჯანსაღებლად თითქოს დაიწყო ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც მატერიალურ წახალისებას გულისხმობდა, მაგ.: შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა, სატარიფო განაკვეთები კვალიფიკაციის მიხედვით, პრემიები გეგმისა და ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაგრამ მმართველობის ადმინისტრაციული სისტემა ისე იყო აგებული, რომ საწარმოს ინტერესები უპირისპირდებოდა საზოგადოების ინტერესებს. საწარმოთა კეთილდღეობა უნდა დაკავშირებოდა მისი მუშაობის შედეგებს, ე.ი. რეალურად აღდგენილიყო სამეურნეო ანგარიშის პრინციპი.

საწარმო დაინტერესებული იყო საგეგმო დავალების შემცირებით. გეგმა, გადაჭარბებით შესრულებისას, შემდეგ წელს იზრდებოდა და იქმნებოდა მისი შეუსრულებლობის საშიშროება. მეორეს მხრივ, საწარმოები დაინტერესებულნი იყვნენ სახელმწიფოსაგან მიეღოთ მეტი საშუალებანი: მუშების და მოსამსახურეების უფრო მეტი შტატები და, შესაბამისად, ხელფასის გაზრდილი ფონდი, მეტ დაბანდებებს კაპიტალურ რემონტზე და მოწყობილობათა შესაძენად. ანუ, საწარმოები დაინტერესებულნი იყვნენ მეტი მიეღოთ სახელმწიფოსგან და საზოგადოებისგან, ხოლო ნაკლები მიეცათ.

სამეურნეო პრინციპის პარადოქსი ის იყო, რომ საწარმოთა შემოსავლები მთლიანად ხვდებოდა სახელმწიფოს განკარგულებაში, ხოლო წარმოების გასაგრძელებლად საწარმოები სახელმწიფოსგან ღებულობდნენ სახსრებს. ამასთან თანხების მიღება არ იყო საწარმოთა რენტაბელობის ადეკვატური.

ახალი დებულებით, საწარმოთა მოგება გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი კვლავ გადაეცემოდა სახელმწიფოს, მეორე კი რჩებოდა საწარმოთა განკარგულებაში და იხარჯებოდა მოწყობილობათა განახლებაზე, ხელფასის გაზრდაზე (პრემიებზე), მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ამრიგად, საწარმოთა აღმავლობა რამდენადმე დამოკიდებული გახდა მის რენტაბელობაზე.

შეიცვალა საწარმოთა მუშაობის შეფასების საგეგმო მაჩვენებლები. ადრე მთავარი მაჩვენებელი იყო საერთო პროდუქცია, ე.ი. წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობა. შეიძლება ეს პროდუქცია არ იყო საჭირო და არც იყო მასზე მოთხოვნილება, მაგრამ საწარმო არ იყო პასუხისმგებელი მის რეალიზაციაზე. ახალი დებულებით, პირველ რიგში წამოიწია ორი სხვა მაჩვენებელი: რეალიზებული (გაყიდული) პროდუქცია და რენტაბელობა.

ახალი მაჩვენებლები მოითხოვდნენ საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას, ამიტომ მიღებულ იქნა „დებულებანი სოციალისტურ საწარმოთა შესახებ“, რომლითაც რამდენადმე გაფართოვდა მათი უფლებები. ახალ პირობებში, იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ პროდუქციის გასაღება და არა საწყობებში დაგროვება, საჭირო იყო მყიდველების, შემკვეთების პოვნა და მათთან კონტრაქტების დადება, ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქციის პირობებში. ეკონომისტები უკვე აღნიშნავდნენ, რომ საწარმოები უნდა დაკომპლექტდეს შეკვეთების საფუძველზე.

მიუხედავად გონივრულად მოფიქრებული რეფორმისა, ეკონომიკის ეკონომიკური მეთოდებით მართვის მცდელობა მაინც დაიბლოკა, უპირველესად იმიტომ, რომ არსებობდა მყარი სტერეოტიპი: სოციალიზმი – ეს არის გეგმა, კაპიტალიზმი – ეს არის ბაზარი. ამიტომაც ბაზარი, თუნდაც დოზირებულად, სოციალისტურ ხელისუფლებას საფრთხობელად ეჩვენებოდა. სამეურნეო, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი მიღებულ იქნა, როგორც დირექტიული დაგეგმვის დანამატი. გეგმა კვლავ განსაზღვრავდა პროდუქციის მოცულობას და სხვა მაჩვენებლებს, და მხოლოდ ზეგეგმური პროდუქცია ხვდებოდა საბაზრო პირობებში.

ხელფასის ფონდი და განაკვეთები ძველებურად განისაზღვრებოდა ზემოდან და მისი უზრუნველყოფა ხდებოდა ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო პრემიები იყო დამოკიდებული მოგებაზე. მაგრამ ეს პრემიებიც კარგი მუშაობისათვის წახალისების მექანიზმიდან გადაიქცა დაკანონებულ მეცამეტე ხელ-

ფასად. განზრახული იყო, რომ ახალ პირობებში კარგ მომუშავეს კარგი ანაზღაურება ჰქონოდა და ეცხოვრა უფრო უკეთ, ვიდრე ცუდად მომუშავეს, მაგრამ ამავე დროს, არარენტაბელურ საწარმოთა მუშაკები არ უნდა დაზარალებულიყვნენ. ყველა მშრომელს უნდა ჰქონოდა თანაბარი ცხოვრების პირობები. ამისათვის, წარმატებული წარმოებიდან იღებდნენ ნაწილს და გადასცემდნენ ჩამორჩენილ საწარმოს. გათანაბრების ტენდენციამ კვლავ გაიმარჯვა, რაც დაწინაურების სტიმულს უკარგავდა არარენტაბელურ საწარმოო სუბიექტს.

განზრახული იყო საწარმოებს შორის დამყარებულიყო პირდაპირი სავაჭრო კავშირები, მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა რესურსების განაწილების ცენტრალიზებულ სისტემას. საწარმოთა გეგმა განისაზღვრებოდა არა შეკვეთების პორტფელით, არამედ იმ რესურსების რაოდენობით, რომელსაც ღებულობდნენ სახელმწიფოსგან.

1965 წ. ეკონომიკურმა რეფორმამ, მიუხედავად მისი კომპრომისულობისა და არასრულფასოვნებისა, ხელი შეუწყო მდგომარეობის გაუმჯობესებას მრეწველობაში. 1966-1970 წწ. სამრეწველო წარმოება გაიზარდა 50%-ით. შემდეგ დაიწყო ტემპების შენელება. 1971-1975 წწ. იგი გაიზარდა 43%-ით, 1976-1980 წწ. – 24%-ით, 1981-1985 წწ. – 29%-ით, ხოლო 1986-1990 წწ. – 13%-ით. ეცემოდა წარმოების რენტაბელობა და ფონდუკუბება. წარმოება, ძველებურად, ძირითადად იზრდებოდა ექსტენსიური ფაქტორებით და მისი შემცირების შედეგად მცირდებოდა ზრდის ტემპებიც.

ინტენსიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი. XX ს მეორე ნახევარში ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტი მიმართულება იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც გულისხმობდა წარმოების სრულ ავტომატიზაციას და ახალ ტექნოლოგიებზე (პლაზმური, ლაზერული) გადასვლას. სსრკ კი ტექნიკურ პროგრესში მოიაზრებდა ე.წ. კომპლექსურ მექანიზაციას და ტრადიციული ტექნიკის სრულყოფას, რომელთაც არ ჰქონდათ საერთო სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან.

მექანიზაციის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ XVIII-XIX სს-ში სამრეწველო გადატრიალების – ხელით შრომიდან მანქანურ შრომაზე გადასვლის დროს. ხელით სრულდებოდა მხოლოდ ის სამუშაოები, რომელთა მექანიზაცია აძვირებდა წარმოებას.

ეკონომიკურად არაეფექტური იყო ტრადიციული ტექნიკის სრულყოფა მისი ტექნოლოგიის პრინციპული ცვლილებების გარეშე (მაგ., კარგი ჩარხების შეცვლა უკეთესით). სპეციალისტების გაანგარიშებით, ლითონმჭრელ ჩარხებს სრულყოფით შესაძლებელი გახდა მწარმოებლურობის 7-8%-ით ზრდა, მაგრამ მოწყობილობებზე 1,5-ჯერ მეტი დანახარჯებით. საქმე ის იყო, რომ ტრადიციულმა ტექნიკამ შესაძლებლობათა მაქსიმუმს 60-იან წლებში მიაღწია, ამის შემდეგ ამოიწურა მისი შესაძლებლობანი.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციას, რითაც შესაძლებელი იყო დიდად გაზრდილიყო წარმოების ეკონომიკური ეფექტურობა, ამუხრუჭებდა ისევ ადმინისტრაციული სისტემა. მაგალითად, ქარხანა, რომელიც უშვებდა ლითონსაჭრელ ჩარხებს, შეეძლო მისი სრულყოფა, მაგრამ არ შეეძლო გადასულიყო პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოშვებაზე, რადგან ითვალისწინებდა, რომ ეს არ შეესაბამებოდა მის სპეციალიზაციას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი ქარხანა შეწყვეტდა არსებობას, ვინაიდან სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მისი პროდუქცია არ გასაღდებოდა. სსრკ-ის პირობებში კი ასეთი მიზეზით არ იყო მიღებული ქარხნის დახურვა და ქარხნები აგრძელებდნენ მრეწველობის მორალურად მოძველებული ტექნიკით აღჭურვას, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფდა ძველი მოდელის პროდუქციის გასაღებას. შედეგად აღმოჩნდა, რომ ლითონსაჭრელი ჩარხები სსრკ-ში უფრო მეტი იყო, ვიდრე აშშ-ში, გფრ-სა და იაპონიაში ერთად.

სსრკ-ის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის შენელების ერთ-ერთი მიზეზად იქცა ბუნებრივი რესურსების არასწორი ექსპლოატაცია. მდიდარი ბუნებრივი რესურსების, ნავთობის, მერქნის მარაგი ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებში ილეოდა. ურალში იყო პირველხარისხოვანი რკინის მადნის მთები, რომელიც გამოილია. ნედლეულის უდიდესი მარაგი იყო ძნელად მისადგომ რაიონებში, მაგრამ იქ ადამიანთა ცხოვრების არახელსაყრელ პირობებში მათი მოპოვება რამდენდერმე ძვირდებოდა. მაგალითად, კილომეტრი რკი-

ნიგზის მშენებლობა 10-ჯერ ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ქვეყნის ევროპულ ნაწილში. ამიტომ მრეწველობის ძირითადი ფონდები იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე პროდუქციის გამოშვება. დაცა ფონდუკუგება – ძირითადი საწარმოო ფონდების ეროვნულზე პროდუქციის გამოშვება. მხოლოდ 80-იან წლებში 1 მანეთის ძირითად საწარმოო ფონდებზე პროდუქციის გამოშვება შემცირდა 1 მან. 29 კაპ.-დან 98 კაპიკამდე.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენდა რესურსების დამზოგი ტექნოლოგია. მრეწველობაში წამყვანი იყო მაღაროელის, მენავთობის, მეფოლადის პროფესიები, ე.ი. ადამიანები, რომლებიც „მოიპოვებენ“ რესურსებს. თუმცა, პროგრესი ამცირებს მომპოვებელი დარგების წილს, ვინაიდან ბუნებრივი რესურსების გაძლიერებული ექსპლოატაციით საფრთხე ექმნება მომავალ თაობას. სსრკ ერთ სულ მოსახლეზე მოიპოვებოდა 3,5-ჯერ მეტი რკინა, ვიდრე აშშ-ში, და გამოიდნობოდა 1,5-ჯერ მეტი ფოლადი. მაგრამ აშშ-ში ისინი იყო ჭარბად, ხოლო სსრკ-ს კი არც ყოფნიდა. ლითონის 40%-მდე იკარგებოდა მისი დამუშავებისას. მაგ.: თუ იაპონური ჩარხი იწონიდა საშუალოდ 800 კგ-ს, სსრკ-ის იწონიდა – 2500 კგ-ს. შენელებული ტემპებით ვითარდებოდა ასევე მომპოვებელი დარგები.

ომისშემდგომ ხუთწლედში მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდებოდა 20%-ით (ომამდე უფრო მეტით), რაც წარმოადგენდა წარმოების ზრდის ექსტენსიურ ფაქტორს. 1981-1985 წწ. იგი გაიზარდა 3,3%-ით, ხოლო 1986-1990 წწ. 1%-ით. შობადობის შემცირებასთან ერთად შენელდა დასაქმებულთა ზრდაც, და აქედან გამომდინარე წარმოების ზრდის მთავარი, ექსტენსიური ფაქტორიც.

ამრიგად, დაიწყო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის ვარდნა. თუ მანამდე ინტენსიფიკაცია განიხილებოდა როგორც განვითარების ოპტიმალური ვარიანტი, ამ ეტაპზე მას უკვე ალტერნატივა აღარ ჰქონდა, მაგრამ დირექტიული სისტემისა და კონკურენციის არ არსებობის პირობებში ინტენსიფიკაცია რჩებოდა კეთილ სურვილებად. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა შევიდა ჩიხში. მისი ლიკვიდაციის გარეშე შემდგომი განვითარება შეუძლებელი იყო.

70-იანი წლებში ჩამოყალიბდა ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, უპირველესად აღმოსავლეთ რაიონებში (დასავლეთ ციმბირში, პავლოდარ-ეკიბასტუზში, სამხრეთ-ტაჯიკეთში, საიანში და სხვ.), რომლებიც უზრუნველყოფდნენ მთელი ნავთობის, გაზის და ნახშირის მოპოვების ზრდას.

1971-1985 წწ. შემუშავდა ენერგეტიკის, ფართო მოხმარების საქონლის, სურსათის, ავტოსაგზაო მშენებლობის განვითარების ფართომასშტაბიანი პერსპექტიული პროგრამა.

ეკონომიკაში დაიწყო კრიზისული მოვლენების სიმპტომები: მრეწველობის წამყვან დარგებში მოწყობილობათა ცვეთა; ძირითადი წარმოებისაგან ინფრასტრუქტურის ჩამორჩენა; შეინიშნებოდა რესურსების კრიზისი, რაც გამოიხატებოდა ბუნებრივი რესურსების მოპოვების გადაადგილებაში ძნელად მისადგომი რაიონებისკენ; მოპოვებული ნედლეულის გაძვირება.

ყველაფერი ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ყოველ ხუთწლედში მათი ზრდის საშუალო წლიური ტემპი ეცემოდა. მაგალითად, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი – 1966-1970 წწ. შეადგენდა 3,2%-ს, 1971-1975 წწ. – 2,5, 1976-1980 წწ. – 1,9, ხოლო 1981-1985 წწ. – 0,9%-ს. შესაბამისად, კაპიტალდაბანდებანი – 7,6, 7,4, 5,2 და 3,3%; ძირითადი საწარმოო ფონდები – 8,1, 8,7, 7,4 და 6,4%; შრომის ნაყოფიერება – 5,2, 4,4, 3,2 და 3,0%; სამრეწველო პროდუქციის მოცულობა – 8,5, 7,4, 4,5 და 3,1%; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა – 4,0, 2,5, 1,7 და 1,2%; წარმოებული ეროვნული შემოსავალი – 7,6, 5,4, 3,9 და 3,2%.

ეროვნული შემოსავლის ზრდასა და ძირითადი ფონდების ზრდას შორის თანაფარდობა გაუარესდა. 1960 წლიდან 1985 წლამდე ძირითადი ფონდები გაიზარდა 7-ჯერ, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი – მხოლოდ 4-ჯერ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკა უპირატესად ვითარდებოდა ექსტენსიური გზით, ე.ი. პროდუქციის მოცულობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდა მიიღწეოდა წარმოებაში ბუნებრივი და შრომის რესურსების ჩართვით და ძირითადი ფონდების ზრდით.

სსრკ ეწეოდა საკმაოდ ამბიციურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მოითხოვდა მძლავრი, სამხედრო სამრეწველო კომპლექ-

სის შექმნას, რომლის განვითარებასა და შესანახად აუცილებელი იყო უზარმაზარი მატერიალური და ფინანსური რესურსები, ეს მიღწეულ იქნა ეკონომიკის სხვა დარგების ჩამორჩენის და მშრომელთა დაბალი ანაზღაურების ხარჯზე.

მთელი სოციალისტური ეკონომიკის პერიოდში, გარდა მეცხრე ხუთწლედისა, უპირატესად ვითარდებოდა წარმოების საშუალებათა წარმოება („ა“ ჯგუფი).

მსუბუქსა და კვების მრეწველობაში („ბ“ ჯგუფი) თავმოყრილი იყო ძირითადი საწარმოო ფონდების 10%. ამიტომ სისტემატურად მცირდებოდა წარმოებული მოხმარების საგნების წილი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში, რომელმაც 1986 წ. შეადგინა 24,7% ნაცვლად 1928 წლის 60,5%-ისა. ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკა არ იყო ორიენტირებული ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი, წარმოების საშუალებები არ იყიდებოდა, არამედ ნაწილდებოდა.

ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა იწვევდა სოციალური სფეროს გაუარესებას, რადგანაც საბინაო მშენებლობაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, მეცნიერებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების წილი სისტემატურად მცირდებოდა.

სახელმწიფოს აღარ შეეძლო წარმოების ტემპების ვარდნის შეჩერება და დაგეგმილი დავალებების შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მომდევნო ხუთწლედში ეს დავალებები მცირდებოდა. ქვეყანაში რამდენჯერმე იყო ეკონომიკის ინტენსიური გზით განვითარების და ზარალიანი მეურნეობების გაძარჩენის (მათი წილი შეადგენდა 40%-ს), ასევე, დამზადებული პროდუქციის ერთეულზე მოხმარებული მატერიალური, ენერგეტიკული, შრომითი რესურსების შემცირების მცდელობა. მაგრამ ეკონომიკა რჩებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღმა. ჩამორჩენა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდებოდა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით.

ყოველივე ამის გარდა, ცდილობდნენ პირადი დამხმარე მეურნეობის აკრძალვას, ქვეყანაში მკაცრად იზღუდებოდა დემოკრატია და ადამიანთა უფლებები. არსებობდა, მწარმოებლის მონოპოლია და ერთპარტიული პოლიტიკური სისტემა.

ამგვარ ვითარებაში მოხდა ადამიანის გაუცხოება საზოგადოებრივი საკუთრებისადმი და დაიკარგა შრომის და მისი შედეგებისადმი ინტერესი. დისკრედიტირებულ იქნა პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხებს უნერგავდნენ საერთო-სახალხო სახელმწიფოსა და სსრკ-ში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ.

ეკონომიკაში ნეგატიური ტენდენციები განპირობებული იყო ასევე ხელმძღვანელობის დაბალი პროფესიონალიზმით, კომუნისტური პარტიის მონოპოლური მმართველობის მდგომარეობით, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყანაში შესაბამის საკადრო პოლიტიკას, კონსტრუქციული კრიტიკის აკრძალვით.

ეკონომიკის განვითარების ექსტენსიური მეთოდები, ახალ საწარმოთა დაუსაბუთებელი მშენებლობა იწვევდა დისპროპორციებს სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდასა და შრომითი რესურსების ზრდას შორის. თუ ომამდელ და ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში შრომითი რესურსების ზრდა ქალაქებში უზრუნველყოფილი იყო სოფლის მცხოვრებთა ხარჯზე, 80-იან წლებში ეს წყარო პრაქტიკულად ამოიწურა. 1976-1980 წწ. შრომითი რესურსები გაიზარდა 11 მლნ. კაცით, 1981-1985 წწ. – 3 მლნ.-ზე მეტით, 1986-1990 წწ. – 2 მლნ. კაცით. ამგვარ ტენდენციას მოჰყვა შრომის და ტექნლოგიური დისციპლინის დაცემა, ასევე შრომის შედეგებზე მუშაკთა პასუხისმგებლობის დაცემა.

ამას ემატებოდა ფარული ინფლაცია ქვეყანაში, რომლმაც ეკონომისტების გათვლით წელიწადში შეადგინა 3%. 80-იან წლებში ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა შეჩერდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა ნელა, მაგრამ იზრდებოდა. ამრიგად, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე მცირდებოდა, ე.ი. მიმდინარეობდა მოსახლეობის აბსოლუტური გაღატაკება.

60-იან წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ინტენსიფიკაცია, მაგრამ მრეწველობისგან განსხვავებით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაში იგულისხმებოდა არა წარმოების ზრდა ერთ მუშაკზე, არამედ გამოყენებული მიწის ერთეულზე, ანუ წარმოების ზრდა ერთი და იგივე ფართობზე მოსავლიანობისა

და მეცხოველეობის პროდუქციის ზრდის მეშვეობით. ამ პერიოდში ინტენსიფიკაციის ზრდა არ მომხდარა, პირიქით, შემცირდა მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტების მოცულობა. მთლიანად სოფლის მეურნეობა რჩებოდა ზარალიან დარგად.

სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასები კვლავ ღირებულებაზე დაბალი იყო. მეურნეობა სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვით ზარალდებოდა. ამასთანავე, მოწინავე მეურნეობებს, როგორც წესი, აკისრებდნენ დამატებით დავალებებს. მათ პროდუქცია უნდა ჩაებარებინათ ჩამორჩენილების მაგივრადაც, ვისაც არ შეეძლო სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმის შესრულება. არ არსებობდა დაინტერესება წარმოების გადიდებისათვის.

1965 წ. მიიღეს გადაწყვეტილება შესასყიდი ფასების გაზრდის შესახებ. გადაწყდა, რომ ფასები გაუთანაბრებოდა ღირებულებას, რათა კოლმეურნეობები არ დაზარალებულიყვნენ პროდუქციის სახელმწიფოზე მიყიდვის შედეგად. საბითუმო ფასები რჩებოდა უცვლელად, ხოლო განსხვავება იფარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სავალდებულოს გარდა, შემოიღეს თავისუფალი (დამატებითი) შესყიდვა, რომლის ფასიც სავალდებულოსთან შედარებით 50%-ით მეტი იყო. ვარაუდობდნენ, რომ მეურნეობას დააინტერესებდნენ სახელმიწოფოსათვის გეგმის ზევით პროდუქციის ჩაბარებით.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მიზეზი იყო მისი მექანიზაციის დაბალი დონე. მთლიანად იყო მექანიზებული ხვნა, თესვა, მოსავლის აღება და მარცვლეულის ლეწვა, მაგრამ ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის მოვლა და მეცხოველეობაში ყველა სამუშაო სრულდებოდა ხელით. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა ტექნიკური პროგრესის მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ინტენსიფიკაციას: სასუქების წარმოება, მელიორაცია, სელექცია. შვიდწლედში ნიადაგში 10-ჯერ ნაკლები სასუქები შეიტანეს აგროტექნიკურ ნორმებთან შედარებით.

1965 წ. გადაწყდა მკვეთრად გაზრდილიყო სახელმწიფო ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანებით

აღჭურვისათვის და მინერალური სასუქებით მომარაგებისათვის. კვლავ დაისვა კომპლექსური მექანიზაციის ამოცანა.

სოფლის მეურნეობის ნაკლოვანება იყო მისი სუსტი სპეციალიზაცია. კოლმეურნეობები იყო მრავალდარგოვანი, რაც არ შეესაბამებოდა მსხვილი სასაქონლო წარმოების პრინციპებს, მაგრამ იგი განმტკიცებული იყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემით: კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა პროდუქციის განსაზღვრული სახეობანი – მარცვალი, ბოსტნეული, ხორცი, რძე და ა.შ. უფრო მეტიც, ეს სავალდებულო სახეობები სხვადასხვა ბუნებრივი ზონის კოლმეურნეობებისათვის იყო თითქმის ერთნაირი. საქმე მიდიოდა იქამდე, რომ კოლმეურნეობა ზოგიერთი სახეობის პროდუქციას ყიდულობდა ბაზარზე, რათა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის, ვინაიდან იგი თვითონ არ აწარმოებდა ამ პროდუქტებს.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გაძლიერებისათვის. ყველა ეს გადაწყვეტილება იყო სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული, მაგრამ მისი სრულად რეალიზება შეუძლებელი იყო კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სისტემის ლიკვიდაციის გარეშე.

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება ინტენსიფიკაცია. სხვაგვარად შეუძლებელია, ვინაიდან ქვეყანაში ნათესი ფართობები შემცირდა 1965 წლის 209 მლნ. ჰა-დან 1990 წლის 208 მლნ ჰა-მდე. ზოგჯერ კამათობდნენ, როგორ შეიძლება ინტენსიფიკაციის შერწყმა ზრდის ძალიან დაბალ ტემპებთან. არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ ორი ცნება – ტემპები და ინტენსიფიკაცია. ინტენსიფიკაცია ეს არც სიჩქარეა და არც ტემპები, ეს არის განვითარების მიმართულება, გზა, რომლითაც შეიძლება მოძრაობა ნელა ან სწრაფად.

ინტენსიფიკაცია მოითხოვს მეურნეობის ტექნიკური დონის მკვეთრ ამაღლებას, უდიდეს კაპიტალდაბანდებებს და საწარმოო ძირითადი ფონდების ზრდას. ფონდშეიარაღება (ძირითადი ფონდების ღირებულება ერთ მუშაკზე გაანგარიშებით) სოფლის მეურნეობაში უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მრეწველობაში. ამიტომ 1965 წლიდან დაბანდებანი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების-

თვის მკვეთრად გაიზარდა და 1990 წ. სოფლის მეურნეობაში ფონდშეიარაღებამ მრეწველობასთან შედარებით შეადგინა 79%. ამასთან, სოფლის მეურნეობაში ფონდშეიარაღების ზრდა მიშვნელოვნადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ფასების ზრდაზე.

წინსწრები ტემპებით გაიზარდა ტექნიკური პროგრესის ის მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ინტენსიფიკაციას. ერთ ჰა სახნავზე სასუქების მოხმარება გაიზარდა 3,25-ჯერ და იგი მაინც ნაკლები იქნა შეტანილი, ვიდრე აგროტექნიკური ნორმებით იყო გათვალისწინებული. მას უპირველესად შეიტანდნენ ტექნიკური კულტურების ნათესებში, ხოლო მარცვლეულზე აღარ ყოფნიდათ. ამასთანავე მინერალურ სასუქებს ხშირად ხარჯავდნენ არამეურნეობრივად, რაც იწვევდა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მელიორაციას, უკანასკნელ ხუთწლედებში გვალვიანი ამინდის გამო სოფლის მეურნეობაში გეგმები არ სრულდებოდა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმეტესი ნაწილი იმყოფება გვალვიან ზონაში. აშშ-ში ტენიანობით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება სავარგულების 60%, მაგრამ სარწყავი მიწა შეადგენს 18%, ხოლო ჩვენთან – 9%-ს.

ფართობი, რომელიც მოიცავს მელიორაციას 1965 წ.-დან 1990 წ.-მდე გაიზარდა თითქმის 2-ჯერ. ეს ძალიან მაღალი ტემპია, მაგრამ მელიორატორების შემოსავლები განისაზღვრებოდა რა იმით, თუ რამდენ სახსრებს დახარჯავდნენ მათვის უფრო ხელსაყრელი იყო ეშენებინათ გრანდიოზული ნაგებობანი, ვიდრე მოეხდინათ სარწყავი მიწების წესრიგში მოყვანა.

მექანიზაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა ნაწილის გათავისუფლებას. მექანიზაციის საერთო შანვენებელია შრომის ენერგოშეიარაღება, ე.ი. მოხმარებული ენერგიის რაოდენობა დასაქმებულ მუშაკზე. 1965 წლიდან 1990 წლამდე იგი გაიზარდა 4,7-ჯერ. შრომის ნაყოფიერება ამ პერიოდში გაიზარდა 123%-ით, ეს 5-ჯერ დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში.

1965 წელს დადგენილი კომპლექსური მექანიზაციის დავალებები ნაწილობრივ სრულდებოდა. ძირითადად მექანიზებული იყო სელის, შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება, ხროხის წველა. სოფლის მეურნეობაში ხელით შრომა მაინც ჭარბობდა.

სსრკ-ის ბოლო პერიოდში მიღებული იყო მსჯელობა არა სოფლის მეურნეობაზე, არამედ აგროსამრეწველო კომპლექსზე. აგროსამრეწველო კომპლექსი – ეს არის სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგები. მის შემადგენლობაში შედიოდა სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებების წარმოება (სასუქები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება. ვინაიდან ეს დარგები ერთმანეთთანაა დაკავშირებული თავიანთი საქმიანობით, იგი განიხილებოდა ერთიან კომპლექსში. არსებობდა აგრეთვე „აგრომრეწვი“ – ადმინისტრაციული ორგანოების სისტემა, რომელიც გამოგონილი იყო კომპლექსების ადმინისტრირებისთვის.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში არსებობდა ჰორიზონტალური კავშირები (ხორცის, მარცვლეულის, კარტოფილის, სელის წარმოება), რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის პირობებში შეიცვალა ვერტიკალურით: სელის წარმოებას შეერწყა მისი გადამუშავება, სახორცე მეცხოველეობა – ხორცკომბინატებს, კარტოფილის წარმოება – შესანახ, გასაყიდ და გადამმუშავებელ საწარმოებს.

ახალი კავშირები მოითხოვდა სპეციალიზაციას, საკმაოდ მსხვილი სპეციალიზებული საწარმოების შექმნას, სოფლის მეურნეობაში მხოლოდ სპეციალიზაცია უზრუნველყოფდა ტექნიკურ პროგრესს. შეუძლებელია იყოს ქარხანა, რომელიც აწარმოებს სამრეწველო პროდუქციის სხვადასხვა სახეს – ქსოველს, მანქანებს და ავეჯს. შეუძლებელია იმიტომ, რომ თითეული დარგი მოითხოვს მანქანების თავის კომპლექსს. ხოლო სოფლის მეურნეობაში მსგავსი მდგომარეობა შეკანასკნელ პერიოდამდე ნორმალურად ითვლებოდა: ერთ კოლმეურნეობაში აწარმოებდნენ ბოსტნეულსაც, ხორცსაც, ყურძენსაც, სელსაც და პურსაც. თითოეული დარგი მოითხოვდა მანქანების თავის კომპლექსს.

1966-1970 წწ. ინდუსტრიული ტიპის სპეციალიზებული სა-
წარმოების შექმნა დაიწყო მექანიზაციის დონით ჩამორჩე-
ნილი დარგის – მეფრინველეობიდან. სახელმწიფო მეფრინ-
ველეობის ფაბრიკების საწარმოო პროცესები მაქსიმალურად
იქნა მექანიზებული. კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურ-
ნეობებთან შედარებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და
რენტაბელობა.

ეს იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმალუ-
რი გზა. მაგრამ იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო არსებუ-
ლი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაშლა,
და მათ ადგილზე სპეციალიზებული მსხვილი აგრარული
კომპლექსის შექმნა, შემუშავდა სპეციალიზაციის ორი ფორმა.
ერთერთი ფორმა იყო საკოლმეურნეობათაშორისი კოოპერა-
ცია: რამდენიმე კოლმეურნეობა (ან საბჭოთა მეურნეობა) სა-
პაიო საწყისებზე აერთიანებდა თავისი წარმოების რომელი-
მე დარგს და ერთად აშენებდნენ საწარმოებს. ეს იყო პირუტყ-
ვის საკვების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშა-
ვებელი საწარმოები. მაგრამ ამგვარი გაერთიანების ეკონო-
მიკური ეფექტი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე სახელმწი-
ფო საწარმოს ორგანიზაციისას. უპირატესად იქმნებოდა სა-
კოლმეურნეობათაშორისო ფორმის სამშენებლო საწარმოები.

მეორე ფორმა – აგრარული და სამრეწველო საწარმოების
ინტეგრაცია. ეს არსით არაა ახალი მიმართულება. ჯერ კი-
დევ ბატონყმობის დროს მემამულეთა მამულებში პრაქტიკა-
ში ფართოდ იყო გავრცელებული შაქრის ჭარხლის წარმო-
ება და გადამუშავება, რაც ეფექტური იყო. დაისახა ამოცანა
მოეხდინათ ბოსტნეულის, კარტოფილის და ხილის მეურნეო-
ბის ინტეგრაცია მის შენახვასთან, გადამუშავებასა და რე-
ალიზაციასთან, მაგრამ XX ს. 90-იანი წწ. დასაწყისში ამ
მიმართულებით არსებითი მიღწევები არ ყოფილა.

სოფლის მეურნეობის განვითარება ამ მიმართულებით შე-
უძლებელი იყო ტრადიციული ადმინისტრაციული სისტემის
პირობებში. აღმოჩნდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ბაზის
ცვლილების, მუშაკის მატერიალური დაინტერესების გარე-
შე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროგრამის რე-
ალიზაცია შეუძლებელი იყო. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო

პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1961-1965 წწ.-დან
1986-1990 წწ.-მდე გაიზარდა 72,5%-ით, ხოლო ზრდის ტემპი
თანდათანობით შემცირდა. თუ 1966-1970 წწ. სასოფლო-სამე-
ურნეო წარმოება გაიზარდა 21%-ით, ყოველ შემდგომ ხუთ-
წლედში შესაბამისად: 13,2%, 8,8% და 5,8%-ით. მარცვლეუ-
ლის წარმოება გაიზარდა 51%-ით, ჰექტარიდან 10-დან 17 ცენ-
ტნერამდე საშუალო მოსავლიანობის პირობებში.

სწრაფი ტემპით გაიზარდა ბოსტნეულის, ხილის და მე-
ცხოველეობის პროდუქტების წარმოება. 1969-1975 წწ.-დან 1986-
1990 წწ.-მდე ბოსტნეულის წარმოება გაიზარდა 70%-ით, ხორ-
ცის – 107%-ით, კვერცხის – 189%-ით. ეს ზრდა მიმდინარე-
ობდა კერძო სექტორის შეზღუდვის პირობებში. 50-იან წლებში
პირადი დამხმარე მეურნეობანი იძლეოდნენ მეცხოველეობის
პროდუქტების 70-75%, 1965 წ. – 20-27% (ხორცის და რძის
40% და კვერცხის – 67%), ხოლო 1990 წ. – 20-27% (ხორცის
– 26%, რძის – 20% და კვერცხის – 27%). ამრიგად, საზოგა-
დოებრივ სექტორში გაიზარდა ამ პროდუქტების წარმოება,
რითაც გადაიფარა კერძო სექტორში წარმოებული პროდუქ-
ციის შემცირება.

მეცხოველეობის, ხილის და ბოსტნეულის ზრდას ხსნიდ-
ნენ კვების სტრუქტურაში დადებითი ძვრებით. ხალხის ცხოვ-
რების დონის ამაღლებისას გაიზარდა ამ პროდუქტებზე მო-
თხოვნილება, ხოლო კარტოფილზე და პურზე – შემცირდა.
1965 წ.-დან 1989 წ.-მდე ხორცზე და რძეზე მოთხოვნილება
ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 43-44%-ით, კვერცხზე – 2-
ჯერ, ხილზე და ბოსტნეულზე – 30%-ით, მაგრამ კარტოფილზე
და პურზე მოთხოვნილება შემცირდა 15-30%-ით.

არასაკმარისი ეფექტურობით ფუნქციონირებდა აგროსამ-
რეწველო კომპლექსი. იზრდებოდა გამოყენებული მიწის რე-
სურსები. მიუხედავად პირუტყვის სულადობის ზრდისა, ორ-
განული სასუქები ნაკლებად გამოიყენებოდა, ქიმიური სასუ-
ქები კი არ ყოფნიდა და უხარისხო იყო, რის შედეგადაც ძი-
რითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა
გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამორჩენის ერთ-ერთი მი-
ზეზი იყო ინფრასტრუქტურის და სასოფლო-სამეურნეო პრო-

დუქციის გადამამუშავებელი სიმძლავრეების სისუსტე. არ ყოფნიდათ აღებული მოსავლის საცავები, სოფლად არ იყო კარგი გზები, სარემონტო სამსახური და აგროტექნიკის მარაგი ნაწილები. ამის შედეგად იყო მცირე მოსავლიანობა. რასაც იღებდნენ, ცუდად ინახავდნენ, გადაზიდვებისას დიდი იყო პროდუქტების დანაკარგები.

ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში დაიწყო სასურსათო კრიზისი, რაც მთავრობას აიძულებდა ყოველწლიურად სახღვარგარეთ შეესყიდათ 20-დან 40 მლნ. ტ-მდე მარცვლეული. კვების და მსუბუქ მრეწველობას არ ჰქონდა ნედლეული.

მეცნიერ-ეკონომისტები, სოციოლოგები, ეკოლოგები და სხვ. ქვეყნის ხელმძღვანელობას მიუთითებდნენ სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ჰიპერტროფირებული განვითარების საშიშროებაზე, სამოქალაქო დარგების და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე, მაგრამ მათ მოსაზრებებს არ ითვალისწინებდნენ.

1950-1970 წწ. ქვეყანაში განხორციელდა სათბობი ბალანსის საფუძვლიანი გარდაქმნა: გაიზარდა ნავთობისა და გაზის მოპოვება, მათი წილი ენერგორესურსებში გაიზარდა 3-ჯერ 19,7-დან 60,2%-მდე. ამ სათბობის ტრანსპორტირებისათვის ააგეს შორი მანძილის მსოფლიოში უმსხვილესი დიამეტრის მილსადენი. მილსადენთა ქსელის მეშვეობით, რომელიც ყველა რაიონს უკავშირდებოდა შორეული აღმოსავლეთის ჩათვლით, ქვეყანაში შეიქმნა ნავთობ და გაზმომარაგების ერთიანი მოქნილი სისტემა. მაღალი ტემპებით განვითარდა ელექტროენერგეტიკა – აშენდა უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურები, თბოელექტროსადგურები და ატომური ელექტროსადგურები. დასრულდა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ენერგოსისტემის (ურალის ჩათვლით) შექმნა.

არსებითად განვითარდა საზღვაო ტრანსპორტი, რომლის ტონაჟითაც საბჭოთა კავშირი მეხუთე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. საბჭოთა ფლოტი გემების ასაკით ყველაზე ახალი იყო. ქვეყანაში ფართოდ გამოიყენებოდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევა – რეაქტიული თვითმფრინავი. მთელი ავიაცია გადაყვანილ იქნა რეაქტიულ ძრავაზე. დაიწყო საჰაერო ხაზების მომსახურება მაღალი სიჩქარის თვითმფრინავებით. გაფართოვდა საერთაშორისო ავიაციის ხაზებიც. ამ წლებში გან-

ხორციელდა რკინიგზის ტექნიკური რეკონსტრუქცია – ელექტრომავლებზე და თბომავლებზე გადასვლა. 1958 წლიდან სსრკ-ში შეწყდა ორთქლმავლების გამოშვება. განვითარდა საავტომობილო ტრანსპორტი, გაფართოვდა ავტოსაგზაო მშენებლობა. ყოველივე ამან განაპირობა კარდინალური ცვლილებები სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში, რომელშიც წამყვანი გახდა გადაადგილების პროგრესული საშუალებანი. ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო სატრანსპორტო სისტემა.

1970-იანი წლებიდან მრეწველობის პრიორიტეტული მიმართულება იყო ატომური ელექტროენერგეტიკა და ავტომობილმშენებლობა. შეიქმნა მანქანათმშენებლობის ახალი დარგი – ატომური მანქანათმშენებლობა. ამ წლებში შეიქმნა სსრკ-ის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა. მეათე ხუთწლედში კავშირის ენერგეტიკული სისტემის ევროპულ ნაწილს შეუერთდა ციმბირის ენერგოსისტემა, რომელიც ემსახურებოდა ტერიტორიას 200 მლნ მოსახლეობით. შეიქმნა მსოფლიოში პირველი ატომური თბოელექტროცენტრალი.

დიდი მიღწევები იყო სამხედრო სამრეწველო კომპლექსის სფეროშიც. საავიაციო მრეწველობამ 1949 წ. მიაღწია 1945 წლის დონეს. 1947 წ. შეიქმნა პირველი ბალისტიკური რაკეტა. რესურსები მიმართული იქნა შეიარაღების ახალი სახეების შექმნაში, როგორიცაა რეაქტიული ავიაცია, რადიოლოკაცია და ატომური იარაღი. 1949 წ. სსრკ-მა გამოსცადა პირველი ატომური მოწყობილობა, ხოლო 1953 წ. შექმნა წყალბადის ბომბი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაში მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ატომური წყალქვეშა ნავის შექმნაზე. 50-იანი წწ. შუახანებში საფუძველი ჩაეყარა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, რომელიც გადაიქცა ეკონომიკის მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ნაწილად.

სწრაფი ტემპით განვითარდა რადიოელექტრონული, ატომური, ქიმიური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა. ქვეყანას გააჩნდა საკუთარი ბირთვული და სარაკეტო პოტენციალი, გაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი, ხოლო შემდეგ კოსმოსური ხომალდი, განხორციელდა ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში, აიგო პირველი ატომური ელექტროსადგური და საზღვაო ატომური გემი.

ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ერთერთი ძირითადი მიზეზი იყო ეკონომიკის მილიტარიზაცია. მრავალი ათწლეულის მანძილზე სამხედრო კომპლექსებში მიემართებოდა სახელმწიფოს მატერიალური რესურსების და უმაღლესი კატეგორიის შრომითი რესურსების უმეტესი ნაწილი. სამხედრო საწარმოების პროდუქცია სრულიად აკმაყოფილებდა ქვეყნის სამხედრო მოთხოვნებს. მაგრამ უმნიშვნელო იყო გამოყენებული მატერიალური, საფინანსო და შრომითი რესურსების უკუგება. პირიქით ამ საწარმოთა მუშაობა მოითხოვდა უზარმაზარ საბიუჯეტო ასიგნებებს, ხოლო მათი პროდუქცია ძირითადად ელაგა საწყობებში. ახალი ტექნოლოგია, რომელსაც შეიმუშავებდნენ სამხედრო საწარმოებში, თავისი გაიდუმლოების გამო ვერ აღწევდა ეკონომიკის სხვა დარგებში და ამიტომ ქვეყანაში გამოუყენებელი რჩებოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ღირებული მიღწევები.

უდიდესი ძალისხმევისა და მეურნეობის სხვა დარგების მუდმივი დაუფინანსებლობის ანგარიშზე სსრკ სამხედრო პოტენციალი უზრუნველყოფდა სახელმწიფოს თავდაცვით ძლიერებას, ასევე შემოინახავდა გეოპოლიტიკურ წონასწორობას პლანეტაზე, უპირისპირდებოდა რა აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, სსრკ მუდმივად აძლიერებდა თავის სამხედრო პოტენციალს. ეს დაპირისპირება აქეზებდა ქვეყნის ხელმძღვანელობის ამბიციურ საგარეო პოლიტიკას, რომლის შედეგადაც მუდმივად არსებობდა საერთაშორისო დაძაბულობა და გამალებული შეიარაღება.

ასე იყო 1950 წ. ჩრდილოეთ კორეაში, 1962 წ. – კუბაში, როდესაც აქ საბჭოთა რაკეტების განლაგების შემდეგ აშშ-მა სსრკ-ს წაუყენა ულტიმატუმი მათი ლიკვიდაციის შესახებ. მსოფლიო იმყოფებოდა ახალი მსოფლიო ომის ზღვარზე. ამ საშიშროების თავიდან აცილება მხოლოდ სარაკეტო დანადგარების დემონტაჟის შედეგად მოხერხდა. გართულდა ურთიერთობები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან (სსრკ-ის საწინააღმდეგო გამოსვლები უნგრეთში, ალბანეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში). 1968 წ. მოხდა სამხედრო კონფლიქტი სსრკ-სა და ჩინეთს შორის ამურზე, დომანის კუნძულის გამო. ეს იყო პირველი სამხედრო

დაპირისპირება სოციალისტური ბანაკის ორ სახელმწიფოს შორის.

საბჭოთა სამხედრო ბაზები არსებობდა კორეაში, ვიეტნამში, ანგოლაში, ეგვიპტეში, სირიაში, ერაყში და სხვა სახელმწიფოებში. 1978 წ. სსრკ ჩაერთო ავღანეთის ომში, რომელმაც ქვეყანას სერიოზულად შეულახა საერთაშორისო ავტორიტეტი. ეკონომიკა უარესად დაუძლურდა და ქვეყნის შიგნით შეიქმნა უარყოფით ფსიქოლოგიური კლიმატი.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებამ და ამასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა ეკონომიკის სამოქალაქო დარგები მიიყვანა ტექნიკურ ჩამორჩენილობამდე და მისი მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანობამდე. ქვეყნის შიგნით ეს გახდა სასაქონლო შიმშილის, მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პროდუქციის მუდმივი დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზი. ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის უქონლობამ თავისუფალ ბაზარზე გამოიწვია კორუფცია მიმოქცევის სფეროში და პროდუქციის ფასების ზრდა.

საქონელზე დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნამ ბიძგი მისცა იატაკქვეშა საწარმოების და ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას, სახელმწიფო მოხელეთა კორუფციას, მოსახლეობის სოციალურ განშრევებას, ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, მოქალაქეთა უკმაყოფილების ზრდას.

მატერიალური, საფინანსო და შრომითი რესურსების მუდმივი დეფიციტის პირობებში ქვეყნის ეკონომკაში არ არსებობდა პროდუქციის მწარმოებელთა კონკურენცია. ამის შედეგად არ არსებობდა სტიმული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, წარმოების ხარჯების და ფასის შესამცირებლად, რესურსების დაზოგვის და მოძველებული მოწყობილობების შესაცვლელად. 80-იანი წწ. სამრეწველო მოწყობილობათა პარკის ნახევარზე მეტი 50%-ზე მეტად იყო გაცვეთილი. ყოველივე ეს თავის მხრივ არ უწყობდა ხელს სამრეწველო ტექნიკური რევოლუციის მიღწევების დანერგვას, მაშინაც კი თუ სამამულო მეცნიერება ამას შესთავაზებდა.

გაუარესდა სახელმწიფოს საფინანსო მდგომარეობა. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და ბიუჯეტის მოშლით, რომელიც

სახელმწიფოს სარკვა და მის ეკონომიკური და პოლიტიკუ-
რი მდგომარეობის ბარომეტრად ითვლება, დაიწყო ეკონომიკის,
სოციალური ყოფის და კულტურის ნგრევა.

ომისშემდგომ პირველ ათწლეულში საბჭოთა ფინანსები
ასახავდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ფინანსებზე
დიდი გავლენა მოახდინა ცვლილებებმა ერთობლივი საზო-
გადოებრივი პროდუქტის სტრუქტურაში, სადაც გაიზარდა
მრეწველობის წილი, ეს კი ხელს უწყობდა მოგების ზრდას,
ბიუჯეტში მოგებიდან ანარიცხების და ბრუნვიდან გადასა-
ხადის შესვლას. 1947 წ. ფულის რეფორმის წარმატებით გა-
ტარებამ განამტკიცა ქვეყნის თავდაცვა და ფინანსები.

ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილის სახელმწიფო ბი-
უჯეტში ცენტრალიზაციამ შესაძლებელი გახადა სახსრების
ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უფრო მნიშ-
ვნელოვანი მიმართულებით კონცენტრაცია და სახელმწიფო
პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა. 1938 წლიდან 1960 წლამდე
ქვეყნის საფინანსო უწყებას მეთაურობდა ცნობილი ეკონომისტი,
პროფესიონალი-ფინანსისტი ა. ზვერევი, რომელსაც დიდი
ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის ფინანსების განმტკიცებაში.

50-იან წწ. ბოლოს ნ. ს. ხრუშჩოვმა ქვეყნის ხელმძღვანელო-
ბა დაიწყო ისეთი მეთოდებით, რომელსაც მოგვიანებით ვოლუნ-
ტარიზმი უწოდეს. იგი ასეთ პოლიტიკას იყენებდა არა მარტო
საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და ეკონომიკაში, არამედ ფი-
ნანსებშიც. ფინანსების დარგში ამ კურსს ატარებდა 1960 წ. ფი-
ნანსთა მინისტრად დანიშნული ვ. გარბუზოვი, რომელიც ქვეყნის
პირველი პირის მსგავსად აღმოჩნდა ნაკლებად პროფესიონალი
და საკმაოდ ამბიციური. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ
ქვეყნიდან გადიოდა დიდი რაოდენობით ნავთობი მაშინ, როდე-
საც კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს არ ყოფნიდათ
საწვავი მოსავლის ასაღებად (ეს იყო ერთერთი მიზეზი იმისა,
რომ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დანაკარ-
გებმა შეადგინა დაახლოებით 50%) და სხვ.

სსრკ ფინანსთა მინისტრად ვ. გარბუზოვის მოსვლით, რო-
მელსაც ბ. ხვერევისგან განსხვავებით არ შეეძლო ან არ უნ-
დოდა დაესაბუთებინა თავისი პოზიცია და თავიდან აეცი-
ლებინა ბიუჯეტის დამასუსტებელი გადაწყვეტილებანი, და-

იწყო სახელმწიფო ფინანსების დესტაბილიზაცია, იმის მი-
უხედავად, რომ ფინანსთა სამინისტროს აპარატში იყო კვალ-
ფიციური საფინანსო კადრები.

1961 წ. გატარდა ფულის რეფორმა, რომელმაც ვერ განამ-
ტკიცა ფინანსები. დაიწყო ფასების ზრდა. ბიუჯეტის შემოსავ-
ლების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ბრუნვიდან გადასახა-
დი, რომლის ხვედრითი წილი ბიუჯეტში შეადგენდა 60%-ს, ამ
გადასახადს საწარმოებიდან იღებდნენ დაბეგრილი პროდუქციის
რეალიზაციამდე, რის შედეგადაც სუსტდებოდა საწარმოს სა-
ფინანსო მდგომარეობა, ვინაიდან ხშირად ამ გადასახადს იხ-
დიდნენ თავისი საბრუნავი სახსრების ანგარიშზე.

60-70-იან წწ. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ერ-
თერთი წყარო იყო შემოსავლები საგარეო ეკონომიკური საქ-
მიანობიდან. ძირითადად ეს იყო შემოსავლები ნედლეულის
რესურსების, უმთავრესად ნავთობის რეალიზაციიდან. ამ პე-
რიოდში ქვეყანა იღებდა 150 მლრდ დოლარს. ეს სახსრები
მიემართებოდა საწარმოებისათვის მოწყობილობათა შესყიდ-
ვაზე, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების მშენელობაზე,
სურსათის და ფართო მოხმარების საქონლის შესყიდვაზე.

80-იან წწ. გაძნელდა ამ სახსრების მიღება, ვინაიდან
გაძნელდა ნავთობის მოპოვების არსებული დონის შენარჩუ-
ნება. ილეოდა ძველი ნავთობსარეწები. გაუარესდა მოპოვე-
ბის გეოლოგიური პირობები. მსუბუქი ნავთობი არსებითად
შემცირდა, ხოლო მძიმე ნავთობის მოპოვებისათვის აუცილე-
ბელი იყო სპეციალური მოწყობილობანი, მისი წარმოებისათ-
ვის კი არ იყო მზად მანქანათმშენებელი მრეწველობა.

შეიცვალა კონიუნქტურა ნავთობის საერთაშორისო ბაზარ-
ზე. მეურნეობაში უფრო ფართოდ ნერგავდნენ ენერგოდამზოგ
ტექნოლოგიებს. ამას მოჰყვა ენერგომატარებლებზე მოთხოვ-
ნილების შემცირება. ნავთობის ბაზარზე გაძლიერდა ნავთობ-
მომპოვებელი ქვეყნების კონკურენციული ბრძოლა. დაეცა ნავ-
თობის ფასები.

გარდა ამისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლესის, დაბალ-
რენტაბელური საწარმოების და არასაწარმოო სფეროს შენახვა
მოითხოვდა სულ უფრო მეტ საბიუჯეტო ასიგნებებს. მათი
წყარო იყო საგარეო ვალი და ქვეყნის ოქროს მარაგი, რომე-

ლიც 1953 წლის 2050 ტონიდან 1987 წლის 681 ტონამდე, ხოლო 1996 წელს 340 ტონამდე შემცირდა.

გამწვავდა ქვეყნის საგარეო დავალიანების პრობლემა, რომლის მოცულობა უტოლდებოდა 80 მლრდ. დოლარს. დაახლოებით ამდენივე ემართათ სხვა ქვეყნებს. თუ სსრკ ვალებს იღებდა ძირითადად ფირმებისა და ბანკებისაგან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაძენად, თვითონ სხვა სახელმწიფოებს აძლევდა კრედიტებს თავისი სამხედრო სამრეწველო კომპლექსის პროდუქციის რეალიზაციისათვის. ეს იყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნები (ვიეტნამი, კუბა და სხვ.), და უმთავრესად მესამე სამყაროს ქვეყნები (ერაყი, სირია, მგვიპტე, ანგოლა, ავღანეთი და სხვ.), რომელთა სავალუტო გადახდისუნარიანობა იყო უკიდურესად დაბალი.

ამრიგად, თუ საგარეო ვალების დაფარვაზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები იზრდებოდა, შემოსავლები საგარეო წყაროებიდან მცირდებოდა. ყველაფერმა ამან გამოიწვია სახელმწიფო ფინანსების გაუარესება, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, რომელიც უმეტესად იფარებოდა ფულადი ემისიის და ქვეყნის საშინაო ვალის ზრდის მეშვეობით. გაიზარდა საბიუჯეტო ასიგნებანი ეკონომიკის დარგების დოტაციებზე, რაც შეადგენდა ბიუჯეტის ხარჯების 1/5-ს. ამასთანავე, ყოველწლიურად იზრდებოდა დანაკარგები და არასაწარმოო ხარჯები. 1981 წლიდან 1988 წლამდე იგი გაიზარდა 12,5 მლრდ.-დან 29 მლრდ. მანეთამდე, მათ შორის მრეწველობაში და მშენებლობაზე წუნის ზეგეგმური დანაკარგები 364 მლნ.-დან 1076 მლნ. მანეთამდე; გაწუხორციელებელი და საბოლოოდ შეწყვეტილი კაპიტალური მშენებლობის დანაკარგები 2831 მლნ.-დან 4631 მლნ. მანეთამდე; დავარდნილი პირუტყვის დანაკარგები – 1696 მლნ.-დან 1912 მლნ. მანეთამდე.

1988 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 379 მლრდ. მანეთი, ე.ი. ამ წელს დანაკარგებმა ეკონომიკაში შეადგინა ბიუჯეტის ხარჯების 7%.

ეს და სხვა ფაქტორები ნეგატიურად ზემოქმედებდნენ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობაზე, ახლოვდებოდა საფინანსო კრიზისი, რომელიც გამწვავდა 90-იან წწ., მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

ეს ფაქტორები იაძულებდა ქვეყნის ხელმძღვანელობას ეძებნათ გზები შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. აუცილებელი შეიქმნა მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა, ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლა. ეს გამოიხატებოდა სამეურნეო ანგარიშის საყოველთაო დანერგვის ცდებში, საწარმოებს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარებაში, საარენდო ურთიერთობების შემოღებაში.

მართვის უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის მოუქნელობამ და მრავალ შემთხვევაში არაკომპეტენტურობამ გამოიწვია იმ საწარმოების ჩამორჩენა, რომლებიც არ შედიოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, საწარმოთა უუნარობამ უზრუნველეყოთ საშინაო ბაზარი, და არაკონკურენტუნარიანობამ ჯერ საგარეო და შემდეგ საშინაო ბაზარზე, გამოიწვია 80-იან წწ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ბაზრების, შემდეგ კი 90-იან წწ. დსთ-ს ქვეყნების ბაზრების დაკარგვაც.

საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური სიძნელეების შექმნაში მონაწილეობდნენ ჩრდლო ატლანტიკურ პაქტში (NATO) შემავალი ქვეყნები. ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის მრავალწლიანმა დაპირისპირებამ აჩვენა, რომ „ცივ ომში“ წარმატებას უზრუნველეყოფს ეკონომიკური უპირატესობა. ასეთი წარმატების მისაღწევად დასავლეთის ქვეყნების ანალიტიკოსებს არ გამორჩენიათ სუსტი ადგილები სსრკ-ის ეკონომიკაში, ამის შესაბამისად „ნატო“ ს ქვეყნებისთვის სიძნელეს ალარ წარმოადგენდა საბჭოთა ეკონომიკის დასუსტება. ამისათვის ორგანიზაცია გაუკეთეს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის დაკლების ფართომასშტაბიან კომპანიას და საბჭოთა ბუნებრივი გაზის ექსპორტის შეზღუდვას, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირში უცხოეთის კონვერტირებული ვალუტის შემოსვლის შემცირება. აშშ-ის მიერ მრეწველობის ახალი პროდუქციის და ახალი ტექნოლოგიების სსრკ-ზე მიყიდვის შეწყვეტამ, „ნატო“-ს ქვეყნების სამხედრო შეიარაღების ზრდამ, მათი ტექნოლოგიური დონის და ღირებულების ამაღლებამ გაამწვავა რესურსების და ტექნოლოგიების კრიზისი სსრკ-ში, გამოიწვია საკუთარი სამხედრო-კვლევის გაზრდის აუცილებლობა. ყველაფერი ეს იწვევდა

შემდგომ ეკონომიკურ გაღატაკებას. ამასთან დასავლეთის ქვეყნები ქმნიდნენ პირობებს, რომელიც აძნელებდა სსრკ მიერ უცხოური კრედიტების მიღებას.

1970-1980-იანი წწ. დასაწყისში გატარებული რეფორმები იყო პროპაგანდისტულ-კოსმეტიკური. მუდმივად „იბრძოდნენ“ „ხარისხისათვის“, „ინტენსიფიკაციისთვის“, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ეკონომისტ-ექსპერტების აზრით, 1970-იან წწ. საერთოდ არ იყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, ხოლო 1980-იანი წწ. დასაწყისში მოხდა მისი 8%-ით შემცირება.

გაღრმავდა ეკონომიკის თვითნგრევის ტენდენცია: რესურსების დეფიციტი, ეკოლოგიის გაუარესება, შობადობის შემცირება. უფრო ნათლად გამოვლინდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ეკონომიკური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

1985 წ. აპრილში სსრკ გენერალური მდივანი გახდა მ. ს. გორბაჩოვი. მან წამოიწყო რეფორმების სერია, რომელმაც შემდეგ მიიღო „გარდაქმნის“ სახელწოდება. რეფორმების მთავარი მიზანი იყო ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, დაგეგმვის სისტემის და სოციალისტური იდეოლოგიის სრული შენარჩუნებით, ანუ დემოკრატიული სოციალიზმის შექმნა.

მ. გორბაჩოვის რეფორმები ითვალისწინებდა მრეწველობის მოდერნიზაციას სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევების საფუძველზე; ცენტრალიზებული მართვის დეცენტრალიზაციას; კერძო მეწარმეობის შეზღუდული სექტორის შექმნას; შრომის დისციპლინის გაუმჯობესებას; მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებას; საარენდო ურთიერთობების დანერგვას მომსახურების სფეროში და აგრარულ სექტორში; კოოპერაციის განვითარებას და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ხელშეკრულებას.

წარმოების მოდერნიზაცია ნიშნავდა კონვერსიას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებისათვის (გადაყვანას სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე). კონვერსია ბიუჯეტში დამატებითი კაპიტალდაბანდებისთვის სახსრების უქონლობის გამო ნელი ტემპით ტარდებოდა.

გარდაქმნების პირველ ეტაპზე (1985-1987 წწ.) დაიწყო უკვე მრავალჯერ ნაცადი საწარმოო წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების; ადამიანური ფაქტორის გააქტიურების; საზო-

გადოებაში შრომის პატივისცემის ამაღლების ღონისძიებები. დაგეგმილი იყო საბანკო სისტემის გარდაქმნაც.

საგანგაშო სიგნალი გახდა ავარია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე. 1987 წ. დასაწყისში წარმოების ვარდნამ ცხადყო კარჩაკეტილი და დირექტიული ეკონომიკის წრის გარღვევის აუცილებლობა. 1987-1988 წწ. დაიწყო ზრუნვა სახელმწიფოს მიერ რეგულირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნაზე.

1987 წ. ივნისის კანონით „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ“ გამოცხადდა სრული სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება. შემოსავლის ერთი ნაწილი განკუთვნილი იყო სავალდებულო გადასახადებზე, მეორე – კოლექტივის სამეურნეო ანგარიშის შემოსავლებზე.

გაფართოვდა საწარმოთა უფლებები წარმოების დაგეგმვაში; წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობაში; საგარეო ეკონომიკრ საქმიანობაში (საწარმოს შეეძლო დამოუკიდებლად გასულიყო საგარეო ბაზარზე); საკუთარ პროდუქციაზე ფასების დაწესებაში; რეალურ თვითმმართველობაში; ხელმძღვანელთა არჩევითობაში; დაშვებულ იქნა საერთო კრებებზე სამუშაო გეგმის განხილვა, შრომითი კოლექტივების საბჭოების არჩევნები.

რეფორმები კვლავ წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან აშკარა იყო რომ პრაქტიკაში მის რეალიზაციას არ აპირებდნენ. რესურსები ისევ ლიმიტით ნაწილდებოდა, ისევ არ აძლევდნენ უფლებას დაწესებინათ სახელშეკრულებო, ან თავისუფალი ფასები ნაწარმზე.

გრძელდებოდა ზარალიანი საწარმოების დაფინანსება. ეს იყო დეკლარირებული საბაზრო ურთიერთობების მშენებლობა საკუთრების ფორმების რადიკალური ცვლილებების გარეშე, ბაზრის მთავარი მექანიზმის – კონკურენციის გარეშე. 1988 წ. გაზაფხულ-ზამთარში „რევოლუციაში ზევიდან“ გაჩნდა კრიზისული მოვლენები. ეკონომიკაში გარდაქმნებით დაკავებული იყო პარტიული და სახელმწიფო აპარატი, რომელთა მიზანი იყო ხელოვნური „საგეგმო-საბაზრო“ სისტემის შექმნა, ბაზარი განიხილებოდა როგორც ცენტრალიზებული მეურნეობის დანამატი. საზოგადოებაში არ არსებობდა ნდობა გატარებული რეფორმების კურსისადმი.

მეორე ეტაპზე (1988-1989 წწ.) კურსი იქნა აღებული ცენტრალიზებული ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობაზე, კერძოდ 1988 წ. მიღებულ „კანონში კოოპერაციის შესახებ“ აღიარებული იყო ეკონომიკის კოოპერატიული და სახელმწიფო სექტორების თანასწორუფლებიანობა. 1988 წ. სსრკ-ში კოოპერატივების რაოდენობა 6-ჯერ გაიზარდა.

მიღებულ იქნა „საკანონმდებლო საფუძვლები არსებულ ურთიერთობათა შესახებ“ და „კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“.

საარენდო ურთიერთობანი უმეტესად განვითარდა მომსახურების სფეროში და სოფლად. იქ კოლმეურნეობის, ან საბჭოთა მეურნეობისგან არენდით იღებდნენ მიწის ნაკვეთს ან პატარა ფერმას.

ამ ახალი ფორმით ეკონომიკაში იქმნებოდა არასახელმწიფო სექტორი, მისი საწარმოები კონკურენციას უწევდნენ სახელმწიფო სექტორის საწარმოებს. მაგრამ ის ღონისძიებანი არ იყო დეტალურად გააზრებული, იგნორირებული იყო კოოპერატიული სექტორის შექმნა და საწარმოების გადასვლა სამეურნეო ანგარიშსა და არენდაზე. განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა გარდაქმნებს სოფლის მეურნეობაში, სადაც მრავლად არსებობდა არარენტაბელური საწარმოები – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ქვეყანაში სასურსათო პრობლემის მოგვარება ერთგვარად გააუმჯობესებდა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, შეამცირებდა დასავლეთის ქვეყნებზე დამოკიდებულებას.

კერძო სექტორის საწარმოები სახელმწიფო სექტორის საწარმოებთან არათანაბარ ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. წვრილ საწარმოებში, კვების და მომსახურების სფეროს საწარმოებში დროულად არ შეიქმნა დაბეგვრის ნორმატიული ბი, არ იყო დადგენილი მომსახურების და ნაწარმის სარეალიზაციო ფასების ზღვრები. დეფიციტური და ძალიან ძვირი აღმოჩნდა მათთვის ნედლეული და მასალები. ასეთ პირობებში კოოპერატივები თავის პროდუქციაზე და მომსახურებაზე უმატებდნენ ფასებს. მათი უმრავლესობა მალე გაკოტრდა, ზოგიერთმა მაღალი შემოსავლის არარეგულირებადი დაბეგვრით შეძლო დაეგროვებინა აუცილებელი საწყისი კაპიტალი ბანკების ორგანიზებისათვის, ან 1991 წ. შემდეგ სახელმწიფო სექტორის სამრეწველო საწარმოების მინიმალურ ფასად შეძენისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანოებმა არ გაითვალისწინეს მოსალოდნელი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა კოოპერატორების, არენდატორების და ინდივიდუალურ მეწარმეთა უფლებების და ინტერესების შელახვას. სახელმწიფო აკონტროლებდა არენდატორების შემოსავლების განაწილებას, ცდილობდნენ არ მომხდარიყო შრომითი კოლექტივების მიერ ამ საწარმოთა პრივატიზაცია. გართულდა არენდატორების მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში, რომელთა უმრავლესობა შრომობდა უფრო ეფექტურად, ვიდრე მეზობელი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები. არღვევდნენ საარენდო ხელშეკრულებებს, არენდატორებს ართმევდნენ ქონებას. უარს ეუბნებოდნენ მათ მატერიალურ-ტექნიკურ და საფინანსო დახმარებაზე.

მესამე ეტაპზე (1989 წ. ბოლო – 1990 წწ.) ქვეყნის ყველა სფეროში დაიწყო უდიდესი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. წარმოიშვა მრავალპარტიულობა, მ. გორბაჩოვი აირჩიეს სსრკ პრეზიდენტად, ამავე პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებში დაიწყო სწრაფვა სრული დამოუკიდებლობისათვის. ხელისუფლება ვეღარ ახერხებდა კავშირის კონტროლს. რუსეთში ეროვნული ლიდერი გახდა რადიკალი ბ. ელცინი.

პოლიტიკურმა რეჟიმმა და ნაციონალური საკითხების გამწვავებამ მეორე რიგში გადასწია ეკონომიკური პრობლემები. ხელისუფლებამ დაუშვა ქვეყნის მთლიანობის ფარგლებში საბაზრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა. სსრკ-ის ხელმძღვანელობა უუნარო აღმოჩნდა ეფექტურად ემუშავა ახალ პირობებში.

გაძლიერდა ინფლაციური პროცესები, შეინიშნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. კვლავ დაიწყო ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ვარდნა. პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობამ წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად არ გამოიყენა შესაძლებლობა გააქტიურებინა კოოპერატიული და საარენდო ურთიერთობანი (განსაკუთრებით კვების პროდუქტების წარმოებაში), ხელი არ შეუწყო „საშუალო კლასის“

შექმნას. ასეთი ფენა იქნებოდა დემოკრატიის დასაყრდენი, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში გამოდიოდა კონტროლიდან. დაიწყო ბრძოლა კომუნისტურ იდეოლოგიასთან. სრულად იყო დისკრედიტირებული სსრკ-ის ფუნდამენტური იდეოლოგიური მცნებები: ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული სოლიდარობა, კლასობრივი ბრძოლა, ინტერნაციონალიზმი. სსრკ-ის ყველა რესპუბლიკა მიისწრაფოდა დემტკიცებინა, მრავალეროვანი სახელმწიფოს დანგრევის აუცილებლობა და გარდაუვალობა. ამ პროპაგანდაში მთავარ როლს თამაშობდა ეროვნულად განწყობილი ინტელიგენცია, ისინი აღვივებდნენ კონფლიქტებს, რომლებიც 80-იანი წწ. ბოლოს და 90-იან წწ. დასაწყისში გაღვივდა აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ლიტვაში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, მოლდავეთში და სხვა რესპუბლიკებში. ეკონომიკური კრიზისის პარალელურად ქვეყანაში მომწიფდა იდეოლოგიური, შემდეგ კი პოლიტიკური კრიზისიც.

სწრაფად იზრდებოდა დისიდენტური მოძრაობის გავლენა, რომელიც 70-80-იან წლებში განიცდიდა რეპრესიებს. ამ მოძრაობის მიზანი იყო ბრძოლა ადამიანის სამოქალაქო უფლებების, კულტურის დეიდეოლოგიზაციისა, საზოგადოების დემოკრატიზაციის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სკკპ-ის მონოპოლიის ლიკვიდაციის და ეროვნულობის შენარჩუნებისათვის.

სსრკ კავშირში პარტიული ხელმძღვანელობის ნაწილმა და დემოკრატიულმა საზოგადოებამ დაიწყო მოწოდებები, რადიკალური რეფორმებისაკენ პოლიტიკასა და ეკონომიკაში. თუმცა ვერც ეს რეფორმები გადაარჩენდა იძულებით ძმურ კავშირს. მოსახლეობის მასობრივი გამოსვლები ხდებოდა აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ლიტვაში, სადაც მღელვარების ჩასახშობად, მომიტინგეთა წინააღმდეგ ცენტრმა გამოიყენა შეიარაღებული ძალები, რაც მსხვერპლით დამთავრდა და კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. 90-იანი წწ. ქვეყანაში დაიწყო მუშათა გაფიცვები ხელფასის მომატების მოთხოვნით, ასევე მოსახლეობის გამოსვლები დემოკრატიის მოთხოვნით. ასეთ პირობებში სსრკ-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი სამოკავშირო ხელშეკრულების

მომზადების შესახებ, რომელშიც უნდა ასახულიყო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოება. ხელმოწერა გათვალისწინებული იყო 1991 წ. 20 აგვისტოს. 21 აგვისტოს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის საბჭოს სხდომა რეფორმების რადიკალიზაციის გეგმის განსახილველად.

1991 წლის აგვისტოში ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ ადამიანთა ჯგუფმა, სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონებიდან, ქვეყანაში შექმნა საგანგებო მდგომარეობა. 18-22 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების ცდამ ჩაშალა ეს გეგმები და მკვეთრად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. დემორალიზებული კომუნისტური პარტია, რომლის წევრებიც მონაწილეობდნენ ამ გადატრიალებაში, აიკრძალა. ცენტრალური ხელისუფლება ფაქტიურად გადაეცა რუსეთის ხელმძღვანელობას, ხოლო გორბაჩოვი, სსრკ პრეზიდენტი, დეკორატიულ ფიგურად იქცა. რესპუბლიკების უმეტესობამ, გადატრიალების შემდეგ, უარი განაცხადეს სამოკავშირო ხელშეკრულეის ხელმოწერაზე.

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის პრეზიდენტებმა ბ. ელცინმა, ლ. კრავჩუკმა და ს. შუშკევიჩმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა წყვეტს თავის არსებობას“. გამოაცხადეს 1922 წლის სამოკავშირო ხელშეკრულების შეწყვეტის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანდა 11 ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა (საქართველოს და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა). ამრიგად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. სსრკ პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი გადადგა. საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა.

ამრიგად, ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ქვეყანაში განვითარდა 80-იანი წწ. ბოლოს და 90-იანი წწ. დასაწყისში, განპირობებული იყო მრავალწლიანი არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკით, რომელსაც ატარებდა ქვეყნის ხელმძღვანელობა, მისი ამბიციურობით საერთაშორისო ურთიერთობებში. ამან გამოიწვია სახელმწიფოს ეკონომიკური დაუძლურება, სოციალისტური წარმოების წესის და მთელი სოციალისტური სისტემის დიკრედიტაცია.

თემა 29. სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა აღმოსავლეთ ევროპის, აზიის ქვეყნებსა და კუბაში

1. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის აღდგენა 1945–1949 წწ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის და აზიის რამდენიმე ქვეყანაში – ალბანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩინეთში, კორეის ჩრდილოეთ ნაწილში, პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, 1959 წელს კუბაში და 1975 წ. ლაოსში, ხოლო ომამდე – 1921 წ. მონღოლეთში, შეიცვალა არსებული პოლიტიკური რეჟიმი და დაადგნენ განვითარების სოციალისტურ გზას. შემდეგ სსრკ-ის ზეწოლის შედეგად წარმოიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. პოლიტიკური სისტემის ცვლილებამ განსაზღვრა ეკონომიკური გარდაქმნების ხასიათი და მიმართულება. ამ ქვეყნებმა სსრ კავშირის აქტიური ჩარევით და მისი გამოცდილების გათვალისწინებით დაიწყეს სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალიზმი არ დამყარებულა ერთბაშად. ეს პროცესი ყოველთვის არ ღებულობდა სახელმწიფო გადატრიალების ფორმას, როგორც ეს მოხდა მაგალითად პრაღაში (ჩეხოსლოვაკია) 1948 წელს. უმეტეს შემთხვევაში ფაშისტებისგან გათავისუფლების შემდეგ ქვეყნებში წარმოიქმნებოდა შიდა პოლიტიკური დისპროპორციები, რის შედეგადაც კომუნისტური პარტია სსრკ-ის აქტიური იდეოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით იკავებდა გაბატონებულ პოზიციებს, ხშირად პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები ძალიან შორს იყო დემოკრატიისაგან. სსრკ მიზანმიმართულად ისწრაფვოდა გაეფართოებინა თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური გავლენა. 50-იანი წწ. დასაწყისში თანდათანობით ამ ქვეყნებშიც გავრცელდა გეგმური ეკონომიკის სტალინური პრინციპები.

გერმანიის მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებს შორის, გერმანელთა განდევნის შემდეგ მხოლოდ ალბანეთის და იუგოსლავიის კომუნისტებმა შეძლეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება სსრკ-ის შეიარაღებული ჩარევის გარეშე. სხვა ქვეყნებში საქმე გართულდა. აქ კომუნისტური გადატრიალების ძალდატანება საზოგადოების მღელვარებების მიზეზად იქცა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია გამოსვლები 1953 წ. აღმოსავლეთ გერმანიაში და 1956 წ. უნგრეთსა და პოლონეთში. ეს წლები ტრაგიკული აღმოჩნდა მათთვის, ვინაიდან სსრკ-ის და ამ ქვეყნების კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მოწყობილი სახალხო აჯანყება საბჭოთა ტანკების მეშვეობით სისხლში ჩაახშეს. ამრიგად, ამ ქვეყნებში მკვიდრდებოდა ახალი სახელმწიფოებრივი სისტემა. ხალხის ფართო მასების უკმაყოფილების ფონზე თავსმოხვეული პოლიტიკური ვითარება ხასიათდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების დეკორატიულობითა და კანონდარღვევით.

თავსმოხვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ დაარღვია ქვეყნების საუკუნეობრივი ევროპული კავშირები, სოციალისტურ ბანაკში შესვლით დეფორმირებული აღმოჩნდა ტრადიციული ეროვნული ეკონომიკა. დაირღვა მათი ზოგადსახელმწიფოებრივი ბუნებრივი მიმდინარეობა. სწორედ ამან განაპირობა „ევროპაში დაბრუნების" ბედნიერების განცდა, რომელიც 1989-1990 წლებში რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის დემონტაჟის შემდეგ გახდა შესაძლებელი. კაპიტალისტური სისტემისა და რუსეთის მიერ შექმნილი სოციალისტური სისტემის დაპირისპირებამ ღრმა კვალი დააჩნია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირის მსგავსად ყველა ქვეყანაში დაინერგა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა უმნიშვნელო ცვლილებებით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ ერთი, ომის შემდგომ დასავლეთის სახელმწიფოები არასაიმედო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რაც თავსმოხვეული ახალი სისტემის ქვეყნებს აიძულებდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და მო-

რალურ დახმარებას დაყრდნობოდნენ. ეს ხელს უწყობდა არა იმდენად საბჭოთა კავშირთან თანასწორუფლებიან ურთიერთობას დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, რამდენადაც მეურნეობრიობის საბჭოთა სისტემაში ჩართვას. მეორე, ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიის ლიდერები მრავალი წელი ცხოვრობდნენ და იდეოლოგიურ წვრთნას გადიოდნენ მოსკოვში, იმყოფებოდნენ სტალინის უძლიერესი პოლიტიკური და პიროვნული გავლენის ქვეშ, რომლის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა ომში გამარჯვებით, დაიკავეს რა ხელმძღვანელი პოსტები, მათ თავიანთ ქვეყნებში გადაიტანეს მმართველობის ავტორიტარული მეთოდები. ამ მეთოდების საშიშროება კი, გეოპოლიტიკრი და ეკონომიკური თვალსაზრისით წინასწარ არ შეეძლო შეეფასებინა არც ხალხს და არც პოლიტიკურ პარტიებს. მესამე, საბჭოთა ხელისუფლები იყენებდნენ ქვეყნებს შორის მოსკოვის ძალისმიერი ზეგავლენის მეთოდებს, ახდენდნენ სოციალისტური მეურნეობის ფორმებისა და მეთოდების უნიფიკაციას.

რამდენადაც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის არსებით შემადგენელ ნაწილს, სადაც ორმოც წელზე მეტი მიმდინარეობდა სოციალიზმის დამკვიდრება, ამდენად აუცილებელია განვიხილოთ ამ ქვეყნებში სოციალისტური გარდაქმნების ისტორიული გამოცდილება.

სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობის გეგმა ითვალისწინებდა რევოლუციის ამა თუ იმ ფორმით გატარებას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას; ხელისუფლების ხელში ეკონომიკის ძირითადი პოზიციების თავმოყრას (მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, წიაღისეულის, ტყეების და წყლის, საფინანსო-საკრედიტო სისტემის, საგარეო და საშინაო საბითუმო ვაჭრობის, ასევე საცალო ვაჭრობის უდიდესი ნაწილის ნაციონალიზაციას); ინდუსტრიალიზაციას; წვრილი გლეხური საკუთრების კოოპერატიულ გარდაქმნას, ე.წ. მსხვილი გასაზოგადოებული წარმოების შექმნას; კულტურულ რევოლუციას.

თავდაპირველად განზრახული იყო ამ ქვეყნებში სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა ზუსტად სსრ კავშირის გა-

მოცდილების მსგავსად, მაგრამ ფაქტიურად სსრ კავშირის გამოცდილება სხვა ქვეყნებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები იყო იგივე, რაც სსრ კავშირში, მაგრამ მათი განხორციელების გზები არსებითად განსხვავდებოდა. ეს განპირობებული იყო, როგორც ახალი ისტორიული ვითარებით, ასევე კონკრეტული ქვეყნის ტრადიციული ეკონომიკური განვითარების თავისებურებით.

თავდაპირველად ცდილობდნენ ძალმომრეობით ჩაეხშოთ საბჭოთა გამოცდილებიდან გადახვევა. შემდგომში კი წავიდნენ კომპრომისზე და ცნეს სოციალისტური მშენებლობის გზების მრავალფეროვნების შესაძლებლობა.

შეიძლება გამოიყოს გარდაქმნების ორი ეტაპი:

პირველ ეტაპზე გატარდა „რევოლუციური გარდაქმნები ეკონომიკაში“, ე.ი. აგრარული რეფორმა და ნაციონალიზაცია, ლიკვიდირებულ იქნა კაპიტალისტური წყობის საფუძველი – წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. ეს იყო ძველის ნგრევის და ახლის მშენებლობის მოსამზადებელი ეტაპი.

მეორე ეტაპზე დაიწყო სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა, სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო ინდუსტრიალიზაცია და გლეხობის კოოპერირება.

განვიხილოთ ამ ეტაპებზე სოციალისტური გარდაქმნების თავისებურებანი.

I. ბანკების, ტრანსპორტის და მრეწველობის ნაციონალიზაცია საბჭოთა სახელმწიფოში გატარდა კონფისკაციის ფორმით ანაზღაურების გარეშე და წარმოადგენდა ბურჟუაზიული წყობის ლიკვიდაციის რევოლუციურ აქტს. ხოლო ახალ სახელმწიფოებში ომის დამთავრებისთანავე არ დაწყებულა სოციალიზმის მშენებლობა. აქ თავდაპირველად დემოკრატიული წყობა დამყარდა ბურჟუაზიული პარტიების მიერ, შემდეგ კი ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პარტიებს შორის დაპირისპირების შედეგად მოხდა სოციალისტური გადატრიალება. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში ასეთი გადატრიალება სსრკ-მა მოახდინა 1948 წელს, როდესაც ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მთავრობა, ხოლო პრეზიდენტი ბენეში კი გადამდგარიყო. უნ-

გრეთში ომისშემდგომ პირველ არჩევნებში გაიმარჯვა აგრარულმა პარტიამ, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელებისა და ფერმერების ინტერესებს გამოხატავდა. კომუნისტებმა ამ არჩევნებში მიიღეს ხმების მხოლოდ 17%, ხოლო 1947 წ. გაიმარჯვა მემარცხენე ბლოკმა კომუნისტების მეთაურობით.

ბუნებრივია, რომ სოციალისტურ გადატრიალებამდე არ ხდებოდა საწარმოთა სრული ნაციონალიზაცია. ნაციონალიზებულ იქნა მხოლოდ მონოპოლიების საწარმოები და ის საწარმოები, რომლებიც ომის წლებში გერმანელებს ეკუთვნოდათ. ამ ღონისძიებებს არ ჰქონდათ მკვეთრად ანტიკაპიტალისტური შინაარსი. სოციალისტური გადატრიალების შემდეგ კი მოახდინეს მთელი მრეწველობის ნაციონალიზაცია. აქაც წვრილი საწარმოები, განსაკუთრებით ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და საზოგადოებრივი კვების სფერო, როგორც წესი არ იქნა ნაციონალიზებული.

მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრში), რომელიც სსრკ-ის ზეწოლით და გერმანიის გავლენით წარმოიქმნა, პირველად ნაციონალიზებულ იქნა მონოპოლისტური კორპორაციების შემადგენლობაში მყოფი და ნაცისტების კუთვნილი საწარმოები. ეს განიხილებოდა როგორც დენაციფიკაციის პროცესი, რაც მიმდინარეობდა პოტსდამის ხელშეკრულების შესაბამისად. დანარჩენი საწარმოები რჩებოდნენ ძველი მფლობელების საკუთრებაში. ეს საწარმოები 50-იან წლებში გადაიქცნენ შერეულ სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოებად. სახელმწიფო მათ უწევდა ფულად და სხვა მატერიალურ დახმარებას ომისშემდგომი აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის. ასეთი დახმარების შედეგად სახელმწიფო ხდებოდა საწარმოთა თანამფლობელი. ამგვარი სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოები ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო დაგეგმვას და ერთვებოდნენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაში. კაპიტალისტი ხდებოდა საწარმოს ხელმძღვანელი, მომდევნო ეტაპზე კი იგი იქცეოდა სახელმწიფო საწარმოს დირექტორად, ხოლო თვით საწარმო კი თანდათანობით შერეულიდან ხდებოდა სახელმწიფო საწარმო.

განსაკუთრებული მდგომარეობა იყო პოლონეთში. სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი უკვე აღარ იყო კაპიტალისტების საკუთრება. გათავისუფლების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ საწარმოები ჩამოართვა გერმანელთა საოკუპაციო ორგანოებს, ამიტომ თუ სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია ცდილობდა ნაციონალიზაციისაგან თავის დაღწევას საკუთრების შენარჩუნების მიზნით, პოლონეთში სახელმწიფო იბრძოდა, რომ ნაცისტებისაგან საკუთრება დაებრუნებინა. პოლონეთში მიმდინარეობდა ნაწილობრივი რეპრივატიზაცია. უმეტეს შემთხვევაში საწარმოები არ უბრუნდებოდა ძველ მფლობელს, ვინაიდან იგი აღარ წარმოადგენდა იმ საწარმოს, რომელიც ომამდე იყო. მაგალითად, გერმანელმა ოკუპანტებმა თუთიის ქარხანა გადააკეთეს ავტოშემკეთებელ სახელოსნოდ და ის იმის გამო, რომ საწარმოო პროფილი შეუცვალეს, თავის კანონიერ მფლობელს აღარ დაუბრუნეს. ზოგ შემთხვევაში ომის დროს ნანგრევებად ქცეული საწარმოები აღდგენილ იქნა სახელმწიფოს სახსრებით და ისინი მიისაკუთრა კიდეც სახელმწიფომ.

ჩეხოსლოვაკიაში და ბულგარეთში ნაციონალიზაცია ტარდებოდა სამ, ხოლო უნგრეთში ხუთ ეტაპად. დასაწყისში მას ჰქონდა არა იმდენად სოციალისტური, რამდანადაც ეროვნული ხასიათი. სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა უცხოეთის (გერმანიის) და იმ პირების კაპიტალი, რომლებიც ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ.

2. სოციალისტურ გზაზე მდგარ ქვეყნებში აგრარული რეფორმის შედეგად მოხდა მსხვილი მიწათმფლობელებისგან მიწის კონფისკაცია და მისი გადაცემა გლეხობაზე. სსრ კავშირში იგი მოხდა მიწის ნაციონალიზაციის ფორმით. აგრარული რეფორმის გატარება იმან განაპირობა, რომ რუსი გლეხი თემური მიწათმოსარგებლე იყო. ანუ იგი არ იყო მიწის კერძო მესაკუთრე. ახალ სახელმწიფოებში მიწის ნაციონალიზაცია კი არ მოხდა, არამედ მოისპო მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა და ჩამოყალიბდა გლეხური მიწათმფლობელობის სისტემა, გლეხებს მიწები მიეყიდებოდათ შედავათიან პირობებში. მემამულეებს კი ხშირად ჩამოერთმეოდათ მიწა არა მთლიანად, არამედ იმდენი, რაც დაწესებული ნორმის ზევით ჰქონდათ, ამისთვის ზოგიერთ შემთხვევაში მემამულეები ნაწილობრივ კომპენსაციასაც კი იღებდნენ. ამგვარი

რეფორმა იქნებოდა ეფექტური, ვინაიდან მოისპო მსხვილი სასაქონლო და შეიქმნა წვრილსასაქონლო და ნატურალური მეურნეობანი.

უნგრეთში აგრარული რეფორმა მიმართული იყო მემამულეების და არა კულაკების (გამდიდრებული გლეხები სსრკ-ში) წინააღმდეგ. უნგრელი მემამულეები კი შკვე დიდი ხანია აღარ იყვნენ მემამულეები. ისინი გლეხებისგან არ იღებდნენ ფეოდალურ რენტას. მათი მეურნეობები კაპიტალისტური ყაიდის იყო და ფერმერებისგან განსხვავებული მათ მხოლოდ „სოციალური წარმომავლობა“ ჰქონდათ. მემამულეებისათვის მიწათმფლობელობის ნორმა დაწესდა 50 ჰა, ხოლო „კულაკებისათვის“ – 100-150 ჰა-ს ოდენობით. ასეთმა დიფერენციაციამ გამოიწვია აგრარულ პარტიაში, რომელმაც გაიმარჯვა ომისშემდგომ არჩევნებში და უზრუნველყო ახალი წესების მხარდაჭერა სოფლის წარჩინებულთა მხრიდან.

მიწათმფლობელობის ნორმის მაღალი მაქსიმუმი – 100 ჰა იყო დაწესებული გდრ-ში. აქ კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში განვითარდა „პრუსიული გზით“ ანუ როდესაც მეურნეობის ფეოდალური სისტემა თანდათან იგუებოდა კაპიტალისტურ ელემენტებს. ჭარბობდა მემამულური მიწათმფლობელობა, ხოლო სოფლის მეურნეთა, ე.ი. გლეხების უდიდესი ნაწილი (70%), ფლობდა მიწის 17%-ს. რეფორმა აშკარად კომპრომისული იყო, ვინაიდან მან სრულად ვერ მოსპო მსხვილი სასაქონლო მეურნეობანი, მაგრამ ამავე დროს დააკმაყოფილა სოფლის უღარიბესი ნაწილის მოთხოვნილება მიწაზე.

ბულგარეთში მიწათმფლობელობის მაქსიმუმი დაწესდა 20 ჰა-ს ოდენობით. აქ არ იყო მემამულეთა პრობლემა, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში ბულგარეთი დაპყრობილი იყო თურქეთის მიერ, ამიტომ აქ ფეოდალები შეცვალა თურქეთის ადმინისტრაციამ. ბულგარეთმა 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომით თავი დააღწია თურქეთს, მიწა კი აღმოჩნდა გლეხების საკუთრებაში. აქ არ მომხდარა გლეხთა ღრმა დიფერენციაცია, ვინაიდან აგრარული რეფორმის შედეგად სოფლის მდიდარმა ზედა ფენამ დაკარგა მიწის მხოლოდ 16%, ე.ი. მხოლოდ მიწების 16% აჭარბებდა მიწების დაწესებულ ნორმას – 20 ჰა-ს.

იმის გამო, რომ ახალ სოციალისტურ ქვეყნებში შემორჩენილი იყო მიწაზე კერძო საკუთრება, გლეხებს მსხვილი მიწათმფლობელებისგან ჩამორთმეული მიწები, ბუნებრივია, არ გადაეცემოდა უსასყიდლოდ, თუმცა ეს თანხა იყო მინიმალური. მაგალითად, პოლონეთში გლეხი ვალებული იყო განვადებით – 10-20 წლის განმავლობაში გადაეხადა ამ მიწიდან ერთი წლის მოსავლის ღირებულება.

ამრიგად ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში „რევოლუციური გარდაქმნები“ ეკონომიკაში არ იყო რადიკალური და ნაკლებად მტკივნეულად განხორციელდა, ვიდრე რუსეთში. გათვალისწინებული იქნა რუსეთის მძიმე გამოცდილება, რომელითაც ცხადი გახდა, რომ რადიკალური რეფორმები იწვევენ სოციალურ და სამეურნეო ნგრევას. ამ ქვეყნებში „სამხედრო კომუნიზმი“ არ ყოფილა. მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია კი უფრო მეტად განსხვავდებოდა სსრკ-ს ანალოგიური პროცესისაგან.

3. გლეხთა კოოპერირებას ჰქონდა რამდენადმე განსხვავებული მიზანი, ვიდრე საბჭოთა კოლექტივიზაციას. სოციალიზმის მშენებლობის საპროგრამო ამოცანა ევროპულ ქვეყნებში იყო წარმოების განსაზოგადოება. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობიდან კოოპერატიულზე გადასვლას უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის აღმავლობა და ეკონომიკის ამ სფეროში სახელმწიფო კონტროლის გაადვილება. თუ სსრ კავშირში სათემო ურთიერთობებმა გაადვილა კოლექტივიზაცია, აქ კი მიწაზე კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლა რთულდებოდა, ვინაიდან გლეხებს არ სურდათ საკუთარი მიწის გადაცემა საზოგადოებრივ საკუთრებაში.

ამიტომ, თუ სსრ კავშირში კოლექტივიზაცია გატარდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ფორმით, ევროპის სახელმწიფოებში დაარსდა საწარმოო კოოპერატივების რამდენიმე სახე. დაბალი ტიპის კოოპერატივებში გაერთიანდა მხოლოდ შრომა, ე.ი. კოლექტიურად ეწეოდნენ ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ხოლო მიწა და წარმოების სხვა საშუალებანი რჩებოდა კერძო საკუთრებაში. საშუალო ტიპის კოოპერატივებში მიწა და წარმოების სხვა საშუალებანი იყო გაერთიანებული, მაგრამ შემოსავლის ნაწილი იყო-

ფოდა კოოპერატივებში მიწის საპაიო შენატანების შესაბამისად. ეს ხდებოდა კოოპერატიულ საკუთრებაში მიწების შესყიდვის სახით. მაღალი ტიპის კოოპერატივებში კი შემოსავალი ნაწილდებოდა შრომის მიხედვით.

უნგრეთში შემოიღეს კოოპერატივების ორი სახე: „საწარმოო-კოოპერატიული ჯგუფი“, სადაც გაერთიანდა მხოლოდ შრომა და „საწარმოო კოოპერატივი“, სადაც გაერთიანებული იყო წარმოების ძირითადი საშუალებანი, ხოლო შემოსავლის 25% იყოფოდა მიწის საპაიო შენატანების პროპორციულად. აქ იმის მცდელობა, რომ კოლექტივიზაცია მოეხდინათ საბჭოთა კავშირის მსგავსად დამთავრდა კოოპერატივების დაშლით და კოოპერირება დაიწყო თავიდან. გაუქმდა სავალდებულო სახელმწიფო მომარაგება და გაიზარდა კოოპერატივების სამეურნეო დამოუკიდებლობა.

გდრ-ში შემუშავებული იყო კოოპერატივების ხუთი სახე. უმაღლესი ტიპის კოოპერატივებში შემოსავლის 20% ნაწილდებოდა მიწის პაის მიხედვით.

ბულგარეთში გლეხების უდიდესი ნაწილი კოოპერატივებში გაერთიანდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო იმამდე, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ გამოიყენა ტრადიციები და დაიწყო არსებული კოოპერატივების გაერთიანება „შრომითი მიწათმოქმედების მეურნეობებში“.

პოლონეთში არ მომხდარა გლეხთა კოოპერირება. იგი იყო გლეხური მცირემიწიანი ქვეყანა. სწორედ მიწის უკმარისობა იქცა ამერიკაში პოლონელი გლეხების მასობრივი ემიგრაციის მიზეზად. ახალი ხელისუფლების მიერ მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწების მიღებას გლეხები ეჭვით შეხვდნენ. ამიტომ პოლონეთში საწარმოო კოოპერატივებში ერთიანდებოდა გლეხების უმნიშვნელო ნაწილი. თუმცა გლეხები აქტიურად მონაწილეობდნენ მომარაგება-გასაღების კოოპერაციაში, ანუ ისეთ კოოპერატივებში, რომლებიც „ნეპის“ პერიოდში იქმნებოდა სსრკ-ში.

4. სოციალისტური სისტემის არსებობის საწყის პერიოდში ინდუსტრიალიზაცია ითვლებოდა სოციალისტური მშენებლობის აუცილებელ კანონზომიერებად. შემდგომ აღიარეს, რომ ინდუსტრიული ქვეყნები, რომელსაც მიეკუთვნებოდა გდრ და

ჩეხოსლოვაკია, ინდუსტრიალიზაციის გატარებას აღარ საჭიროებდა. ამ ქვეყნებში იგი შეიცვალა მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციით.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც გატარდა ინდუსტრიალიზაცია, არსებითად განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისგან. სსრ კავშირში ინდუსტრიალიზაცია მიზნად ისახავდა კაპიტალისტური მსოფლიოსგან ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მძლავრი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის შექმნას. ახალ პირობებში უკვე სოციალისტურ სახელმწიფოებში აღარ იყო საჭირო მრეწველობის ყველა დარგის შექმნა, იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ პოლიტიკური, თუ ეკონომიკური დამოუკიდებლობა. შედარებით პატარა ქვეყნები შეზღუდული რესურსებით ამას ვერ შეძლებდნენ. ისინი დარგებს ავითარებდნენ თავისი პოტენციალის შესაბამისად, ხოლო რაც არ ჰქონდათ, მასზე მოთხოვნას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ინტეგრირებით იკმაყოფილებდნენ. ხოლო საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი საკმარისი იყო ვარშავის ხელშეკრულების ყველა იმ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ ხელშეკრულებით გაერთიანდა. საბჭოთა კავშირი ყველა ამ სახელმწიფოს უზრუნველყოფდა სამხედრო ტექნიკით.

თავდაპირველად გდრ-ში, სსრკ-ში განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის მსგავსად, დაიწყო ნახშირის, მეტალურგიული წარმოების, მძიმე და ლითონტევადი მანქანათმშენებლობის შექმნა, ე.ი. იმ დარგების, რომლებიც მანამდე გერმანიის აღმოსავლეთში არ იყო, ვინაიდან ნახშირისა და მადნის საბადოები გერმანიის დასავლეთში დარჩა. გდრ-ში ქვანახშირის საბადოს არ არსებობის გამო დაიწყეს მურა ნახშირის გადამუშავება. მისგან მეტალურგიულ კოქსსაც კი ამზადებდნენ. აშენდა მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც გამოიყენებდნენ ადგილობრივი დაბალი ხარისხის რკინის მადანს, ნაწილობრივ კი მადანს საბჭოთა კავშირიდან და კოქსს – პოლონეთიდან.

შემდეგში შეიცვალა დამოკიდებულება მეტალურგიის განვითარების მიმართ და გადაწყდა, რომ ლითონის და ნახ-

შირის შემოტანა უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე რთული და ძვირადღირებული საშუალებებით ღარიბი მადნის და მურა ნახშირის გადამუშავება. ან უნდა შეეზღუდათ მეტალურგიის განვითარება, ან განევითარებინათ მეტალურგია შემოტანილ ნედლეულსა და საწვავზე. ამიტომ გადაწყდა, რომ შეზღუდულიყო ნახშირისა და მეტალურგიული წარმოება, ხოლო მანქანათმშენებლობა დასპეციალებულიყო არალითონტევად დარგებზე.

ჩეხოსლოვაკია შედგებოდა ორი ნაწილისაგან — ინდუსტრიული ჩეხეთისა და აგრარული სლოვაკეთისაგან. სოციალიზმის მშენებლობის პროგრამის შესაბამისად გადაწყდა სლოვაკეთის ინდუსტრიალიზაცია. იქ არა მარტო აშენებდნენ ახალ ქარხნებს, არამედ მოქმედი საწარმოები გადატყორცნილ იქნა ჩეხეთიდან სლოვაკეთში. ეს აიხსნებოდა იმით, რომ სლოვაკეთში არსებობდა ჰიდრორესურსები, რომელზედაც ხელსაყრელი იყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და ამიტომ აქ გადაჰქონდათ ენერგოტევადი საწარმოები. ჩეხოსლოვაკიაში ისევე, როგორც გდრ-ში აამოქმედეს მრეწველობის ისეთი დარგები, რომელთა პროდუქციაც ადრე შემოჰქონდათ.

აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე სუსტადგანვითარებული იყო ბულგარეთი და რუმინეთი, ინდუსტრიალიზაციის შედეგად აქ შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა.

ბულგარეთში მრეწველობაში დაკავებული იყო მოსახლეობის 7%. მძიმე მრეწველობა თითქმის არ არსებობდა. მრეწველობის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა იყო კუსტარული სახელოსნობი. თავიდანვე აშკარა იყო, რომ ამ პატარა ქვეყანაში შეუძლებელი იყო შექმნილიყო თანამედროვე მრეწველობის ყველა დარგი, ამიტომ დაიწყეს ისეთი დარგების განვითარება, რომლისთვისაც ბულგარეთში არსებობდა რესურსები და ხელსაყრელი პირობები. იგი დასპეციალდა კვების მრეწველობაში (განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოებაში), ელექტროენერგეტიკაში (მთის მდინარეების გამოყენებით), ფერადი მეტალურგია (რომპის მოებში ფერადი ლითონის საბადოების ბაზაზე), მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი (სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება), აგრეთვე, ელექტროგამომთველი მანქანების მაგნიტური დისკის წარმოებაში. ისეთ ქვეყნებში, როგორიც ბულგარეთია, ინდუსტრიალიზაციამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. 1985 წელს აქ მრეწველობა იძლეოდა ეროვნული შემოსავლის 60%-ზე მეტს.

პოლონეთი და უნგრეთი იყო აგრარული ქვეყნები. პოლონეთში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას არსებობდა საფეიქრო, ნახშირის და მეტალურგიული წარმოება. უნგრეთში განვითარებული იყო საფეიქრო, მეტალურგიული წარმოება და მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგი. ამ ქვეყნებში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების მიზნით ყოველგვარი პირობების გარეშე იქმნებოდა მძიმე მრეწველობის ახალი დარგები, რამაც უზარმაზარი ხარჯები მოითხოვა. ჩამორჩა მსუბუქი მრეწველობა, დაეცა ცხოვრების მატერიალური დონე. 50-იან წწ. უნგრეთში მძიმე მრეწველობაზე იყო მიმართული კაპიტალდაბანდებათა 90%. შემდგომში, ამ დისპროპორციების დასაბალანსებლად უნგრეთმა თითქმის უარი თქვა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე, შეზღუდეს მსუბუქი და კვების მრეწველობა. ინდუსტრიალიზაციის მიზნით შექმნილი ურთიერთსაწინააღმდეგო პროგრამების გამო პარალიზებულ იქნა მრეწველობა. 1953-1954 წწ. წარმოება არ გაზრდილა.

ამრიგად, მიუხედავად სოციალისტური რეკონსტრუქციის თავდაპირველი პროგრამის არსებითი კორექტირებისა, მეურნეობის მართვის დირექტიულ-ადმინისტრაციული მეთოდები მსხვილ ეკონომიკურ დანაკარგებს იწვევდნენ.

გადაწყდა, რომ მომხდარიყო სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების გეგმების კოორდინაცია, დაიწყო შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ეკონომიკა იმართებოდა ავტორიტარულად და დაგეგმვის პრინციპით, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ზემოდან ნაკარნახევი გეგმური სიდიდით და ვადებში. ეკონომიკის სოციალისტური ინტეგრაციის მიზნით სოციალისტურ ქვეყნებში კომპლექსურად იქმნებოდა ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი დარგები.

1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. ქვეყანაში გატარებული რეფორმები მიმართული იყო სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობისაკენ. ჩინეთის მთავრობის მიერ 1949 წ. ნაციონალიზებულ იქნა ჩინელი და უცხოელი ბურჟუაზიის კერძო საკუთრება, დაიწყო ინდუსტრიალიზაციისათვის მზადება. 1956 წ., როდესაც სოციალისტურმა ე.ი. სახელმწიფო სექტორმა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა, ოფიციალურად გამოცხადდა სოციალიზმის მშენებლობა როგორც ქვეყნის განვითარების გენერალური მიმართულება.

იმის შემდეგ, რაც აშშ შეუდგა „მარშალის გეგმის" განხორციელებას სსრკ ისწრაფვოდა დასავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნებისათვის შეექმნა საპირისპირო სიმეტრიული ორგანიზაცია. 1949 წელს სოციალისტური ქვეყნების გეგმაზომიერი ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. მასში შევიდა ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი (იგი 1961 წლიდან აღარ მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობაში); შემდგომში მას შეუერთდა გდრ (1950 წ.), მონღოლეთი (1962 წ.), კუბა (1972 წ.) და ვიეტნამი (1978 წ.). საბჭოს არაწევრი სხვა სოციალისტური ქვეყნები მის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც მეთვალყურენი. 1964 წლიდან იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოსთან დადებული ხელშეკრულებით მონაწილეობდა მისი ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში. 1976 წლიდან ლაოსის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ, როგორც მეთვალყურეები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოების მუშაობაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ მოქმედება დაიწყო წესდების მიღების შემდეგ, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების ძირითადი პრინციპები; სპეციალიზაცია და კოორდინაცია.

შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებას უნდა უზრუნველეყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანაბარი განვითარება საბჭოს შიგნით ფუნქციების ადმინისტრაციული განაწილების გზით.

1971 წ. მიიღეს თანამშრომლობის კომპლექსური პროგრამა, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისაკენ. ყოველი ქვეყნის გეგმა უნდა შეთანხმებულიყო სხვა ქვეყნების გეგმებთან, რათა სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოება თანაბრად განაწილებულიყო პარტნიორებს შორის. თითოეულ ქვეყანაში იქმნებოდა სახალხო მეურნეობის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი დარგების კომპლექსი.

ფართო მასშტაბს ღებულობდა რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა: 1965 წ. მწყობრში ჩადგა სსრკ, პოლონეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის ერთობლივი ძალით აგებული ტრანსეროვნული ნავთობის მაგისტრალი „მეგობრობა"; წარმატებით მოქმედებდა ენერგოსისტემა „მშვიდობა", სადაც გაერთიანებული იყო დასავლეთ უკრაინის, გდრ-ის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის ენერგოსისტემები; შეიქმნა შავი ლითონების წარმოების ორგანიზაცია „ინტერლითონი" ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის და სსრკ მონაწილეობით; სოციალისტურ ქვეყნებს შორის მზარდი ტვირთბრუნვისათვის შეიქმნა სატვირთო ვაგონების პარკი; მუშაობდა რკინიგზის თანამშრომლობის ორგანიზაცია, სადაც ყველა სოციალისტური ქვეყნის (კუბის და იუგოსლავიის გარდა) რკინიგზა შედიოდა.

1964 წლიდან მოქმედებდა ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ანგარიშსწორების განხორციელების, საგარეო ვაჭრობის ოპერაციების დაკრედიტების, სამრეწველო და სხვა ობიექტების მშენებლობის დაფინანსებისათვის. კრედიტი, რომელსაც ქვეყნები ერთმანეთს აძლევდნენ, ურთიერთდახმარების ფორმა იყო. სარგებლის განაკვეთი 2%-ს არ აღემატებოდა და ზოგჯერ ცალკეულ შემთხვევაში ამისგანაც თავისუფლდებოდა. კრედიტის დაფარვა ხდებოდა უმთავრესად საქონელბრუნვაში მყოფი საქონლით. ამასთან, დიდ როლს თამაშობდა სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარებით, კადრების მომზადებით, სპეციალისტების გაცვლით და სხვ.

მაგრამ მალე ეს საქმიანობა შეეჯახა შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილების შეზღუდული შესაძლებ-

ლობისა და თვით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის ხასიათთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს, პირველ რიგში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების გადახდის ელემენტარული უზრუნველყოფის უუნარობა, რამდენადაც საწარმოო სფეროში ინტეგრაცია ნაწილობრივ ხორციელდებოდა. ეკონომიკის სუსტი ურთიერთშევსება სოციალისტურ ქვეყნებს არ აძლევდა იმპორტის ანგარიშზე საშინაო ბაზრის საქონლის დეფიციტის კომპენსირების საშუალებას. ყველა ქვეყანას ჰქონდა თითქმის ერთნაირი სასაქონლო რესურსები, თუმცა არსებობდა მაღალხარისხიანი სამრეწველო საქონლის და ნედლეულის ცალკეული სახეების ქრონიკული დეფიციტი. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ფასები, რომლებიც გამოიყენებოდა ურთიერთშორის ვაჭრობაში, არ ასრულებდა არც მასტიმულირებელ და არც ღირებულების საზომის ფუნქციას. ამიტომ სერიოზული საუბარი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მნიშვნელობაზე ევროპაში „საერთო ბაზრის" საპირისპიროდ შექმნისა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელების შესახებ არ შეიძლება. ეს იყო მსგავსი რეჟიმის მქონე ქვეყნების პოლიტიზირებული დაჯგუფება, გაერთიანებული არა შინაგანი გამომწვევი მოტივებით, არამედ წმინდა საგარეო, სოციალისტური წყობის უპირატესობის რეკლამის თვალსაზრისზე დაფუძნებული ფაქტორებით.

სოციალისტური ეკონომიკა ყურადღებით ეკიდებოდა ლიბერალიზმის პრინციპებს, რომლის თანახმადაც შრომის საერთაშორისო დანაწილება და საქონლის და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს უწყობდა კოლექტიური სიმდიდრის გადიდებას. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის საჭოთა ნიმუშს, გარდა წმინდა იდეოლოგიური ვითარებისა, აქვს მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური შეფერილობა. ამიტომ ეს ქვეყნები საგარეო ვაჭრობაში სისტემატურად ატარებდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რის განხორციელებასაც ააღვილებდა საგარეო ეკონომიკურ კავშირში სახელმწიფოს მონოპოლიზაცია.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ისტორია ომისშემდგომ ათწლეულში წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების რეალურ ფაქტორს.

ევროპაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1955 წ. ვარშავის ხელშეკრულებამ მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელზედაც ხელი მოაწერა ბულგარეთმა, უნგრეთმა, გდრ-მა, პოლონეთმა, რუმინეთმა, სსრკ-მა, ჩეხოსლოვაკიამ, ასევე ალბანეთმა (1962 წლიან აღარ მონაწილეობდა). ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციით, როგორც სოციალისტური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ბლოკით (ნატოს საპირისპიროდ) დამთავრდა ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაცია სოციალისტური ბანაკის ჩარჩოებში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნამ დასაბამი მისცა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

2. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარება 1950-1960 წწ.

სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის სოციალისტური საფუძვლის აგების შემდეგ მიიღეს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი გეგმები, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას.

აგრარული გარდაქმნებით შეიზღუდა კერძო მიწათმფლობელობის ზომები და უფლებები, განხორციელდა გლეხობის კოოპერირება, რომელიც უმეტეს ქვეყნებში დასრულდა 60-იანი წლების დასაწყისში. გამონაკლისს წარმოადგენდა პოლონეთი და რუმინეთი, სადაც სახელმწიფო მფლობელობამ აგრარულ სექტორში ვერ მიაღწია უპირატესობას.

50-იან წლებში მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა. მისმა ზრდის ტემპმა წელიწადში 10% შეადგინა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გადაიქცნენ აგრარულიდან (გარდა გდრ და ჩეხოსლოვაკიისა) ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნებად. დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის ფორმები და მეთოდები განსაზღვრა ნაციონალური მეურნეობის მართვის მონოპოლიზებული სტრუქტურის ჩამოყალიბებამ, კონკრეტული ქვეყნების თავისებურებამ, მმართველობის ადმინისტრაციულმა სისტე-

მამ. ამასთან, მიუხედავად განვითარების ექსტენსიური ტიპის უპირატესობისა, ამ ათწლეულში აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში სამეურნეო მიღწევები შეიძლება დადებითად შეფასდეს.

სოციალისტური ბანაკის აზიურ ნაწილში საყურადღებო გარდაქმნები ჩატარდა ჩინეთში. 1956 წ.-დან 1958 წ.-მდე ჩინეთში გატარდა „დიდი ნახტომის“ პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიზანი იყო დაეჩქარებინა წარმოების საშუალებების და კერძო საკუთრების საზოგადოებრივ კუთვნილებად ქცევა. ამ დროისათვის დამახასიათებელი იყო არა რეალური ეკონომიკური ამოცანების და კონკრეტული საწარმოო მიზნების დასახვა, არამედ მასების რევოლუციური ენთუზიაზმის, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორის წამოწევა. მატერიალური დაინტერესების პრინციპი მთლიანად იქნა უგულვებელყოფილი. მას მიიჩნევდნენ რევიზიონიზმის გამოხატულებად.

ამ პერიოდში ფართოდ გაშალა თავისი მოქმედება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ. საქონელბრუნვის 90%-მდე მოდიოდა ახალ ეკონომიკურ რეგიონზე. წარსულში არ იყო ეკონომიკური კონტაქტები არც სახელმწიფოთაშორისი და არც საწარმოების და ფირმების დონეზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დახმარებით მოკლე დროში გატარდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების ორიენტაციის შეცვლა. ამას ხელს უწყობდა საგარეო პირობები, „ცივი ომის“ ვითარებაში პარტნიორებს მოესპოთ ალტერნატიული არჩევანის საშუალება. საბჭოს ჩარჩოებში თანამშრომლობა მის მონაწილეებს დაეხმარა არა მარტო იმაში, რომ ეარსებათ, არამედ აღედგინათ ომის შემდგომი მეურნეობა და მიეღწიათ მნიშვნელოვანი პროგრესისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მოქმედების საწყის ეტაპზე ჟურადღება გადატანილი იყო უმთავრესად კოორდინაციაზე, საქონელგაცვლასა და საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე, აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე. 1956-1957 წწ. საბჭოს წევრი ქვეყნები გადავიდნენ წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაზე, სახალხო მეურნეობის გეგმების შეთანხმებაზე, ერთობლივი სამეცნიერო ცენტრების და სამეურნეო ორგანიზაციების შექმნაზე. დაინერგა სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის პრაქტიკა.

3. მეურნეობრიობის პრობლემები სოციალისტურ ქვეყნებში 1960-1970 წწ.

ქვეყნების ექსტენსიური გზით ზრდის რესურსების ამოწურვასთან ერთად სოციალისტურ ქვეყნებში შესამჩნევი გახდა მეურნეობრიობის სისტემის ხარვეზები. მკვეთრად დაეცა სამრეწველო და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, აუცილებელი გახდა სამეურნეო რეფორმების გატარება.

უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში რეფორმა მიმართული იყო საბაზრო მექანიზმების გამოყენების, შრომის დანაწილების საერთაშორისო სისტემაში ჩართვისა და მსოფლიო ბაზარზე გასვლისაკენ. ამ ქვეყნებში ეკონომიკური სისტემის რეფორმირება უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ბდრ-სა და პოლონეთში, სადაც გარდაქმნები სახალხო მეურნეობის მმართველობის და დაგეგმვის სისტემის არსებული ადმინისტრაციული სისტემის მოდერნიზაციის ფარგლებს არ სცილდებოდა. ისეთ ქვეყნებში კი, როგორიცაა რუმინეთი, მონღოლეთი, კუბა და ვიეტნამი რეფორმირების ეროვნული მოდელები ამ პერიოდში არ დაწყებულა.

60-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპაში სამეურნეო რეფორმები შეჩერდა, რადგან აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციამ დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ სამრეწველო საწარმოთა უმეტესობის მონოპოლური მდგომარეობის პირობებში რეფორმის შედეგად კონკურენციული გარემო კი არ ჩამოყალიბდა, არამედ მათი მონოპოლიური უპირატესობის რეალიზაცია და, მათ შორის, ფასების ზრდა მოჰყვა. ამავდროულად, კოლექტივმა მიიღო უფლება გავლენა მოეხდინა შემოსავლის განაწილებაზე მოხმარების ფონდად და დაგროვების ფონდად, დაიწყო საწარმოთა შემოსავლების „გაფლანგვა“.

1968 წ. იანვრიდან ჩეხოსლოვაკიის ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო თანდათანობითი ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის კურსზე გადასვლა. ამგვარი რეფორმები სსრკ-სთვის მიუღებელი აღმოჩნდა.ჩეხოსლოვაკიაში ეს რეფორმები ჩაშალა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების პრაღაში შეჭრის გამო.

ჩინეთში 1960 წლიდან დაიწყეს „დიდი ნახტომის“ ხისტი პოლიტიკიდან უკან დახევა. ოფიციალურად აღიარეს ზოგიერთი შეცდომა, უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში და დაიწყო მუშაობა მათი გამოსწორებისათვის. გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება: ბამბის ნართის, ნახშირის, ელექტროენერგიის, ნავთობის, ლითონსაჭრელი დაზგების, ქვეყანაში აღმოცენდა მრეწველობის ახალი დარგები: ელექტრონიკა და ნავთობქიმია, გაიზარდა რკინიგზის და საავტომობილო გზების სიგრძე. თუმცა მალე – 1966 წ. ქვეყანაში დაიწყო ე.წ. „კულტურული რევოლუცია“, რომელიც გაგრძელდა 1976 წლამდე. ამ პერიოდში კვლავ დამუხრუჭდა ეკონომიკური ზრდა, თუმცა ჩინეთის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ეკონომიკური ზრდაა დაფიქსირებული: 1966-1976 წწ. მარცვლეული გაიზარდა 34%-ით, ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სამრეწველო საწარმოები (დაახლოებით 1570), რკინიგზის ხაზები, შეიქმნა წყალბადის ბომბი, ორბიტაზე გავიდა პირველი კოსმოსური თანამგზავრი.

4. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა 1970-80-იანი წლების შუახანებში

სოციალისტურ ქვეყნებში ამ პერიოდში ცდილობდნენ რადიკალური ცვლილებების გარეშე მეურნეობრიობის ადმინისტრაციული სისტემის მოდერნიზაციის გზით, გადაეწყვიტათ სამეურნეო პრობლემები. ექსტენსიური ზრდის რესურსების ამოწურვა აიძულებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გამოეყენებინათ სახღვარგარეთული კრედიტები.

1973-1974 წწ. მსოფლიო მოიცვა ენერგეტიკულმა კრიზისმა, რაც გამოიხატა ნავთობზე ფასების ზრდით.

დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ შეემცირებინათ ნედლეულის და სათბობის იმპორტზე დამოკიდებულება. მათ ოპერატიულად დაიწყეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა რესურსების, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, სოციალისტური ქვეყნების განვითარებაზე უარყოფითად აისახა ეს კრიზისი, ვინაიდან, სსრ კავშირის ამოუწურავი რესურსები პლუს საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობის ფასწარმოქმნის სისტემა სოციალისტურ ქვეყნებს უკარგავდა ტექნოლოგიური ნოვატორობის სტიმულს. ეს სერიოზულად აფერხებდა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები არ განიცდიდნენ მსოფლიო ენერგეტიკულ კრიზისს, ვინაიდან ძირითად მომწოდებელს – სსრ კავშირს – ამ ქვეყნებში ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოჰქონდა მსოფლიო ფასებზე გაცილებით დაბალ ფასებში.

ერთის მხრივ, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და, მეორეს მხრივ, სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებს შორის დაიწყო ეკონომიკური განსხვავების ზრდა არა მხოლოდ ზრდის ტემპებსა და ზოგადად დონეებს შორის, არამედ სტრუქტურული თვალსაზრისითაც.

საბჭოს შიგნით წარმოიშვა წინააღმდეგობები. ქვეყნებმა, სადაც ტარდებოდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმები (უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია), და რომლებიც საბჭოსთან დაკავშირებულნი იყვნენ რიგი სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე, გადაწყვიტეს აქტიურად ჩაბმულიყვნენ მსოფლიო ბაზარში. ამ ქვეყნებში საგარეო ეკონომიკური ბრუნვა გაიყო ორ ნაკადად: უფრო ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტი ხვედბოდა დასავლეთის ბაზარზე, ხოლო ნაკლებად ხარისხიანი გადიოდა საბჭოს არხებით. ეს ქვეყნები საექსპორტო მზა პროდუქციის დაბალ ფასებში რეალიზაციით ზარალდებოდნენ, რის გამოც იზრდებოდა უკმაყოფილება. 60-იან წლებში საბჭოს წილი მათ საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში იყო სტაბილურად 60%, ხოლო წინააღმდეგობების გაძლიერების შედეგად 70-იანი წწ. დასაწყისიდან დაიწყო დაცემა და შეადგინა 50-55%.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წინაშე მდგარი პრობლემები მოითხოვდა მისი მოქმედების ფორმების შეცვლას. 1971 წ. მიიღეს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმების განვითარებას: საწარმოო კოოპერირება და სპეციალიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, ეკონომიკური განვითარების გეგმების კოორდინაცია, ერთობლივი საინვესტიციო მოქმედება. 70-იან წწ. საბჭოს როლი რამდენადმე გაიზარდა. ეს უპირველესად მოხდა ნავთობზე დამოკიდებულების გაძლიერებით, ასევე საბჭოს ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული ერთობლივი პროექტები, მაგალითად აშენდა ცელულოზის კომბინატი, გაზსადენი ორენბურგი–დასავლეთის საზღვარი, ენერგოსისტემა „მშვიდობა“. 1971-1978 წწ. დადეს 100 მრავალმხრივი და 1000 ორმხრივი ხელშეკრულება საწარმოო კოოპერაციის შესახებ. ყველაზე მეტად კოოპერაცია და სპეციალიზაცია გაიტარდა საავტომობილო მრეწველობაში. თუმცა, მისი მასშტაბები არსებითად ჩამორჩებოდა დასავლეთის სტანდარტებს. 70-იანი წლების ბოლოს შეიმუშავეს ეკონომიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამა. ეს იყო საბჭოს მოდერნიზაციის მორიგი მცდელობა.

80-იან წლებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში თანდათანობით იზრდებოდა პრობლემები. 1991 წელს საბჭოს კრიზისი მისი გაუქმებით დასრულდა. ეს კრახი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

– მიუხედავად არაერთი მცდელობისა, დაენერგათ თანამშრომლობის ტექნოლოგიური მოდელი, მაინც ვერ დაძლიეს დარგთაშორისი შრომის დანაწილების ბარიერი. მაგალითად, სსრ კავშირის საბჭოს წევრ ქვეყნებთან კოოპერაციის დონე მანქანათმშენებლობის დარგში 5-ჯერ დაბალი იყო, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებს შორის;

– საბჭოს ფარგლებში ურთიერთკავშირები ხორციელდებოდა „საობურის“ პირობებში, იგი დახურული იყო დანარჩენი მსოფლიოსთვის. მწარმოებელ ქვეყნებში არ არსებობდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი

– კონკურენცია. საბჭომ სტრატეგიული თვალსაზრისით ნეგატიურად იმოქმედა 70-იანი წლების სათბობ-ენერგეტიკული კრიზისის პირობებში;

– ზოგადად სოციალისტურ ქვეყნებში კრიზისული მოვლენების ზრდა;

– აღმოსავლეთევროპული საქონლის პოზიციების გაუარესება მსოფლიო ბაზარზე;

– განუწყვეტელი უთანხმოება და დავა ფასების და საქონელგაცვლის პრინციპებზე;

– 80-იანი წლების მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის) მისწრაფება დაბრუნებოდნენ დასავლურ საბაზრო მოდელს.

1991 წ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მოქმედების შეწყვეტა სხვადასხვაგვარად აისახა ამ ქვეყნების განვითარებაზე. რუსეთის (სსრკ-ის) მიერ საქონლის მიწოდების შეწყვეტა საბჭოს წევრ ქვეყნებზე კრიზისის გაღრმავების დამატებით ფაქტორად იქცა. აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების რეაქცია განისაზღვრებოდა იმით, თუ მათი მეურნეობა რამდენად იყო დამოკიდებული სსრ კავშირიდან ნედლეულის მიწოდებაზე და იმპორტის როგორი ალტერნატიული წყარო და რესურსდამზოგ ტექნოლოგიებზე გადასვლის როგორი პერსპექტივები ჰქონდა.

ჩინეთში, 70-იანი წლებში ჩამოყალიბდა ეკონომიკური სისტემის ძირითადი ნიშნები. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა – მართვის ზეცენტრალიზაცია. ტოტალური იყო სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. მან მოიცვა ფინანსები, საბანკო საქმე, შრომის მართვა, ხელფასის, პროდუქციის ფასების და განაწილების კონტროლი..

სახელმწიფო საწარმოებს ამარაგებდა წარმოების საშუალებებით და შეისყიდიდა მის მთელ პროდუქციას იმ ფასად, რომელსაც იგი თვითონ აწესებდა. სახელმწიფოს მიჰქონდა საწარმოების მთელი შემოსავლები და ფარავდა მათ ხარჯებს. ამ პერიოდისათვის კვლავ შემორჩენილი იყო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის განაწილების საბარათო სის-

ტემა, მკაცრად იყო განსაზღვრული სურსათის ნორმები. გაიზარდა ფასები სახელმწიფო ვაჭრობაში. ბაზრებში ფასები სახელმწიფოზე ხუთ-შვიდჯერ მაღალი იყო. ქვეყანაში ისეთმა, როგორც სსრკ-სა და ზოგადად სოციალისტურ ქვეყნებში, არსებობდა „შავი ბაზარი“, მასობრივი მოვლენა გახდა სპეკულაცია.

ჩინეთში, ეკონომიკაზე ზეგავლენის უზრუნველსაყოფად, გამოიყენებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული იძულების მეთოდი. სამხედრო პოტენციალის ზრდას ხმარდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედზე მეტი. 70-იანი წლების მეორე ნახევარში ჩინეთში შეინიშნება ეკონომიკური სიძნელეები. 1977 წ. მრეწველობის მოცულობა ჩამორჩებოდა 1975 წ. დონეს, შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მკვეთრად გაიზარდა სურსათის იმპორტი, დაეცა ცხოვრების დონე.

ჩინეთში რეფორმების გატარება დაიწყო 1978 წ. დეკემბერში. რეფორმის ოფიციალური ამოცანა იყო სოციალიზმის პოტენციალის უფრო სრულად გამოყენება და მისი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა.

რეფორმის პირველი ეტაპი გაგრძელდა 1984 წლამდე, გარდაქმნები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში. სოფლად ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად დაშვებულ იქნა ოჯახური სამეურნეო საქმიანობა, ნება დართეს ჰქონოდათ გლეხური სარეწები, რამაც გაზარდა გლეხთა შრომითი აქტივობა. მიწა კვლავ სახელმწიფოს ეკუთვნოდა. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბრიგადებისთვის შემოიღეს შრომის შედეგებზე „პასუხისმგებლობის სისტემა“, რაზედაც 1984 წ. ბრიგადების 99% გადავიდა. ექვს წელიწადში ყოველწლიური მარცვლეულის მოსავალი ჩინეთში გაიზარდა 300-დან 400 მლნ. ტონამდე. ორჯერ გაიზარდა ბამბის მოსავალი. ჩინეთი გადაიქცა მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უმსხვილეს მწარმოებლად. ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე. ამ პერიოდში ეკონომიკაში დაიწყო უცხოური კაპიტალის მოზიდვა. 1982 წ. ჩინეთში არსებობდა ექვსი „სპეციალური ზონა“, სადაც უცხოელებს მიეცათ შეღავათები. უცხოეთის და ერთობლივ საწარმოებში კაპიტალდაბანდებებმა 1,5 მლრდ. დოლარი შეადგინა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-თან, იაპონიასთან და დასავლეთ გერმანიასთან.

1984 წ. მიღებულ იქნა დადგენილება „სამეურნეო სისტემის რეფორმირების შესახებ“, რითაც ჩინეთში დაიწყო რეფორმის მეორე ეტაპი. რეფორმა ითვალისწინებდა გეგმიანი სისტემის შექმნას ღირებულების კანონების გამოყენებით, ამოცანად დაისახა სოციალისტური სახაქონლო ეკონომიკის განვითარება, ფასების რაციონალური სისტემის დამყარება ეკონომიკური ბერკეტების თავისუფალი მოქმედების პერიოდში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებით.

საწარმოებს მიეცათ უფლება ბაზარზე შეეძინათ მოწყობილობანი და ნედლეული და გაეყიდათ დამატებით წარმოებული პროდუქცია. მოგების იმ ნაწილიდან, რომელიც საწარმოს რჩებოდა, იქმნებოდა წახალისების ფონდი.

ნება დართეს უმეტესად ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში მცირე კერძო და კოლექტიური საწარმოების, კუსტარული სახელოსნოების ამოქმედებას.

გატარებული რეფორმების შედეგად 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა ბამბის და ცემენტის წარმოებაში, მეორეზე – ტელევიზორების წარმოებასა და ქვანახშირის მოპოვებაში, მესამეზე – გოგირდმჟავასა და ქიმიური სასუქების წარმოებაში და მეოთხეზე – ფოლადის გამოდნობაში.

შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: მეტალურგიული და მაღაროების მოწყობილობათა მწარმოებელი, საავიაციო, საავტომობილო მშენებლობა, ჩარხმშენებელი, ფერადი მეტალურგია, ბირთვული და კოსმოსური ენერგეტიკა. ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში მთელი მრეწველობის ხვედრითი წილი 1949 წ. 25,2%-დან გაიზარდა 1985 წ. 53,7%-მდე.

ამგვარი ეფექტური ეკონომიკური რეფორმის პირობებში უცვლელი დარჩა სახელმწიფოს როლი. იგი აკონტროლებდა საქონლის მარაგებს, ახორციელებდა მთელი ქვეყნის ქალაქების და სოფლის ბაზრების თანაბარზომიერ მომარაგებას, კორდინაციას უწევდა სხვადასხვა სავაჭრო სფეროებს შორის ურთიერთობას, ანაწილებდა საქონელს დახახლებულ პუნქტებს შორის.

სახელმწიფომ მიზნად დაისახა გაეფართოებინა კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. დაიწყო დია კარის პოლიტიკის გატარება. გაიხსნა 19 საზღვაო პორტი.

ორ ათწლეულში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ექვსჯერ გაიზარდა. მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7-ჯერ, ხოლო მარცვლეულის ყოველწლიურმა წარმოებამ 500 მლნ. ტონას მიაღწია.

5. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იან წლებში

ამ პერიოდისთვის სოციალისტურ ქვეყნებში აღინიშნება ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარება, მეცნიერებატევადი წარმოების ჩამორჩენა, ძვრები ფინანსურ სფეროში, საგარეო დავალიანების ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების შედარებით დაბალი დონე. 70-80-იან წლებში სამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ღრმა და ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც დაერთო პოლიტიკური დესტაბილიზაცია და ნაციონალური წინააღმდეგობების გამწვავება ცხადყოფდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სფერო ღრმა გარდაქმნებს საჭიროებდა.

1990 წ. გადაწყდა კურსი აელოთ დასავლური დემოკრატიისა და საბაზრო ურთიერთობისაკენ, რაც უნდა მომხდარიყო სახელმწიფო სექტორის პრივატიზაციით და კერძო მეწარმეობის წახალისებით. ყველა ქვეყანაში ამ კურსს თან ახლდა კრიზისული მოვლენების ზრდა. 1990-1992 წწ. ეკონომიკური ვარდნის სიღრმეზე მეტყველებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემცირება: ბულგარეთში თითქმის ორჯერ, რუმინეთში – 1/3-ით, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში – 1/4-ით, პოლონეთში – 1/5-ით. 1992 წ. მეორე ნახევარსა და 1993 წ. ეკონომიკური ვარდნის ტემპი შენელდა და სტაბილიზაციის ნიშნები გამოიკვეთა. შენელდა ინვესტირების, სამომხმარებლო მოთხოვნილების და ცხოვრების დონის ვარდნა. საბაზრო გარდაქმნებმა გამოიწვია უმუშევრობის ზრდა (1992 წ. 5,5 მლნ. კაცზე მეტი), სიღარიბის პრობლემის გამწვავება, ქონებრივი დიფერენციაცია, დამნაშავეობის ზრდა

და სხვა ნეგატიური მოვლენები. აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილების კვალდაკვალ მკაფიოდ განისაზღვრება საბაზრო ეკონომიკის წარმოქმნის სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც ატარებს როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ ნიშნებს და პრინციპებს, რაც განპირობებულია ამ ქვეყნების ისტორიული და ნაციონალური სპეციფიკით.

უნგრეთი. აღმოსავლეთ ევროპულ რეგიონში რეფორმების გზას ყველაზე ადრე უნგრეთი დაადგა, აქ გარდაქმნები 1968 წლიდან დაიწყო. თუმცა ჯერ კიდევ 1966 წ. ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია სამეურნეო მექანიზმის ძირითადი მახასიათებელი გახდეს ცენტრალიზებული გეგმური მართვის ორგანული კავშირი სასაქონლო ურთიერთობებისა და ბაზრის აქტიურ როლთან წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების საფუძველზე. ამან ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. ამიტომ 80-იან წლებში სამომხმარებლო საქონლის ბაზრის შექმნასთან ერთად კურსი იქნა აღებული წარმოების, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის ბაზრის ჩამოყალიბებაზე. გაიზარდა კერძო კაპიტალის წილი. 1987 წ. კერძო საქტორში წარმოებულ იქნა ეროვნული შემოსავლის 7% (კერძო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარდა). მრეწველობაში დაშვებულ იქნა კერძო მეურნეობებისა და ფირმების შექმნა 500 კაცამდე ოდენობით. განვითარდა სხვადასხვა ფორმის წვრილი საწარმოები.

უნგრეთში დაიწყო სახელმწიფო საწარმოების აქციების პირდაპირი მიყიდვა მოსახლეობაზე. თუმცა აქციების შესყიდვა ძალიან ნელა მიმდინარეობდა და იგი ვერ გახდა მნიშვნელოვანი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად. ბანკებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და საწარმოებს ნება მიეცათ განეხორციელებინათ ობლიგაციების და აქციების ემისია, რომლის განსაზღვრული წილი შეეძლო შეეძინა მოსახლეობას. ამრიგად, შეიქმნა სააქციო კაპიტალი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

სოფლის მეურნეობაში ამ წლებში სახელმწიფო საწარმოთა წილი რჩებოდა სტაბილური. შემდგომ წლებში კი წარმოების კერძო სექტორი თანდათანობით გაფართოვდა. სახელმწიფო საწარმოების ხვედრითი წილის შემცირებასთან ერთად გაიზარდა კოოპერატიულ მეურნეობათა რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთში საკმაოდ რადიკალური სამეურნეო რეფორმა ადრე დაიწყო, მას 80-იანი წლების ბოლოსთვის არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

80-იანი წლების დასაწყისში უნგრეთში მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ფასების ხანგრძლივი ზრდა. ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული გახდა გაემკაცრებინა საფინანსო პოლიტიკა და 1991 წ. ბოლოს მიაღწია ინფლაციის დონისა და ფასების ზრდის ტემპის რამდენადმე შემცირებას. ანტიინფლაციური პოლიტიკის შედეგად მოხდა უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვანი მოზღვავება, პროგრესული საბაზრო გარდაქმნები, გატარდა ეფექტური ღონისძიებები უპერსპექტივო საწარმოების მიმართ.

1991 წ. მიიღეს კანონი გაკოტრების შესახებ, რომელმაც განსაზღვრა გადახდისუნარიანი საწარმოების ლიკვიდაციის პროცედურა: სასამართლოს დაეკისრა განესაზღვრა ვადები, წესები, ვალის დაფარვის რიგითობა და მიეღო გადაწყვეტილება პრივატიზაციის შესახებ. თუკი საწარმო სამი თვის განმავლობაში ვერ შეძლებდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. გაკოტრების შესახებ კანონის გატარებამ გაზარდა სამეურნეო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ საკითხებზე.

1992-1993 წწ. ექსპერტების შეფასებით უკვე მონახული და დამკვიდრებული იყო საბაზრო ურთიერთობებისკენ მიმავალი გზა. საბანკო და საგადასახადო სისტემა მიუახლოვდა იმ ნორმას, რომელიც მოქმედებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ფაქტიურად მიღწეულ იქნა ადგილობრივი ფულის – ფორინტის შიდა კონვერტირება. ამავე პერიოდში შეჩერდა საერთო ვალის ზრდა, რამდენადმე შემცირდა წმინდა დავალიანება, შეინიშნებოდა უცხოური კაპიტალის ნაკადის ზრდა (1993 წ. ბოლოს მან შეადგინა 4 მლრდ. დოლარი, ე.ი. აღმოსავლეთ ევროპაში და დსთ-ში მთელი დასავლური ინვესტიციების ნახევარი). მნიშვნელოვნად გაიზარდა არასახელმწიფო სექტორის (კერძო, კოოპერატიული, უცხოური) წილი, რომელმაც გადააჭარბა სახელმწიფო სექტორს. კერძო სექტორზე მოდიოდა ერთობლივი შიდა პროდუქტის 1/3 და დასაქმებულთა 20%.

მთლიანად დასრულდა საბაზრო ეკონომიკის, მისი ინფრასტრუქტურის (ბანკები, ბირჟა, საინვესტიციო ფონდები და ა.შ.), საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა. 1992 წ. 2300 ორგანიზაციის წინააღმდეგ აღიძრა საქმე მათი გაკოტრების შესახებ.

ამასთან ერთად, სერიოზული ვარდნა შეინიშნებოდა სოფლის მეურნეობაში, სადაც მოხდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ლიკვიდაცია. 1992 წ. აგრარული პროდუქციის წარმოების მოცულობა შემცირდა 1/4-ით. ბიუჯეტის დეფიციტის ზრდასთან ერთად გრძელდებოდა ინვესტიციების მოცულობის შემცირება. გაიზარდა უმუშევრობა, რამაც შეადგინა შრომისუნარიანი მოსახლეობის 12%. 1994 წ. ქვეყანამ თავი დააღწია ეკონომიკური ვარდნის სტადიას, თუმცა საბოლოო შემობრუნება აღმავლობისაკენ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

პოლონეთი. თითქმის უნგრეთის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა პოლონეთში. აქ ეკონომიკური რეფორმა დაიწყო 1982 წ., როდესაც ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონები. რეფორმის პერიოდში გაძლიერდა სოციალური წინააღმდეგობები და ინფლაცია, რასაც მოჰყვა მთავრობის შეცვლა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „სოლიდარობის“ გამარჯვება. ტ. მაზოვეცკის მთავრობამ დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების შესაბამისად დააჩქარა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა.

სოციალისტური საზოგადოების გარდაქმნისათვის პოლონეთმა მიმართა ე.წ. „შოკურ თერაპიას“. 1990 წლის დასაწყისში პროდუქციისა და მომსახურების სახეების 90%-ზე დაუშვეს ფასების ლიბერალიზაცია. ამას მოჰყვა სოციალური დაძაბულობა, რამაც აიძულა მთავრობა დაეწესებინა საკონტროლი ფასები კვების და 24 უმსხვილესი მონოპოლისტის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ასევე მკვეთრად შეეკვეცა საკომპენსაციო ხარჯები. ინფლაცია კვლავ მაღალი იყო და შეადგენდა 25%, რამაც აიძულა მთავრობა გაეტარებინა მკაცრი ფულად-საფინანსო პოლიტიკა, რის შედეგადაც შემცირდა ინფლაცია.

ამგვარ ეკონომიკურ პოლიტიკას მოჰყვა ნეგატიური შედეგები. უპირველეს ყოვლისა სამრეწველო წარმოების და მო-

სახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება, სიძნელეები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაში, უმუშევრობის ზრდა (1 მლნ.-ზე მეტი). წარმოიშვა პრივატიზაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, ვაჭრობის სისტემაში იყო შემთხვევები, როდესაც მაღაზიები მიეყიდებოდა არა თვით ვაჭრობის მუშაკებს, არამედ გარეშე კერძო პირებს. აღგილებზე დაიწყო იძულებითი პრივატიზაცია. ყველაფერმა ამან გააძლიერა ხალხის უკმაყოფილება და 1990 წ. ნოემბერში უნდობლობა გამოუცხადეს მაზოვეცკის მთავრობას.

ქვეყანაში მდგომარეობა გაამწვავა უზარმაზარმა საგარეო ვალმა. 1971-1987 წწ. მიღებული იყო 47 მლრდ დოლარის კრედიტი. პოლონეთმა კრედიტისა და მისი პროცენტის დასაფარად გადაიხადა 50 მლრდ. დოლარი და 1989 წ. ვალის სახით კიდევ 39 მლრდ. დოლარი. შინაგანი რესურსები პროცენტის გადასახდელადაც არ ჰყოფნიდა. მთავრობა იძულებული იყო ახალი სესხები აეღო. ამიტომ 1990 წ. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 70-80%-მდე გაიზარდა. საგადასახადო ბეგარა ავალდებულებდა საწარმოებს ბიუჯეტში გადაერიცხა 80%. შენარჩუნებულ იქნა და მოქმედებდა ზოგიერთი ძველი გადასახადებიც. მაგ., ძირითად ფონდებზე გადასახადი აფერხებდა მოწყობილობათა განახლებას. ამასთან ერთად ინფლაციასთან ბრძოლა და ბიუჯეტის განმტკიცება მოითხოვდა საწარმოების შემოსავლების ნაწილის გადარიცხვას ბიუჯეტში. მხოლოდ 1991 წ. სახელმწიფო საწარმოთა 20% აღმოჩნდა გადახდისუუნარო, მათმა ვალმა 3,3 ტრილიონ ზლოტს მიაღწია. მთავრობამ საწარმოებს ნება დართო მიეღოთ ბანკის კრედიტები გირაოთი (ტექნიკური საშუალებანი, ტრანსპორტი და ა.შ.).

1991 წ. პოლონეთის მთავრობამ დაიწყო პრივატიზაციის პოლიტიკის განხორციელება. „შოკური თერაპიის“ პირობებში მოკლე დროში აპრობირებულ იქნა პრივატიზაციის რამდენიმე ფორმა: საწარმოთა გაყიდვა, სახელმწიფო საკუთრების განაწილება კუპონების და აქციების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ პრივატიზაცია არ ატარებდა მასობრივ ხასიათს და მან ვერ მოიტანა მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები. ამასთანავე საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობა, წარმოების მოცულობა, საწარმოო და დამხმარე პერსონალის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, ამის გამო, 1991 წ. პრივატიზებულ საწარმოთა საშუალო რენტაბელობა 20-40%-დან 8%-მდე დაეცა.

1992 წ. ტენდენცია შეიცვალა და საერთო ვარდნა სტრუქტურულში გადავიდა. მაგ., მომპოვებელი მრეწველობის და მეტალურგიის წარმოების ვარდნის პარალელურად იზრდებოდა ხის დამმუშავებელი, ქიმიური მრეწველობა, ელექტრომანქანათმშენებლობა. 1993 წ. პირველ ნახევარში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოება გაიზარდა 8%-ით. 1993 წ. ერთობლივი შიდა პროდუქტი გაიზარდა 4-5%-ით. ამავე პერიოდში სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების შედეგად ინფლაცია 35,3%-მდე შემცირდა. კერძო კაპიტალის წილი 1989-1993 წწ. 28%-დან 50%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება უმუშევრობას, სტრუქტურულმა გარდაქმნებმა და ზოგიერთი დარგის წარმოების დაცემამ განაპირობა მისი ზრდა.

<u>*ჩეხოსლოვაკია.*</u> 1990 წლამდე მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (1990 წ. ივნისიდან ჩეხეთ–სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1993 წ. 1 იანვრიდან ორი სახელმწიფო – ჩეხეთი და სლოვაკეთი) შედარებით სტაბილური იყო. იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი (1988 წ. 3%-ით). მთავრობა არეგულირებდა მატერიალურ მარაგებს, კაპიტალურ მშენებლობას, სახელფასო ფონდს, საგარეო და საშინაო ვაჭრობას.

1988 წ. რამდენადმე რეფორმირებულ იქნა სამეურნეო მექანიზმი, კერძოდ, სამრეწველო ობიექტებს მიანიჭეს მეტი დამოუკიდებლობა. ამავე დროს დაეკისრად პასუხისმგებლობა განვითარების ეფექტურობაზე. დაიწყო ცენტრალური ორგანოების გარდაქმნა, მმართველობის აპარატი შემცირდა 20%-ით. თუმცა ამ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

1989 წ. ნოემბერში ჩეხოსლოვაკიაში სახელისუფლებო გადატრიალების გზით მოვიდა ახალი მთავრობა (ამ მოვლენამ მიიღო „ხავერდოვანი რევოლუციის“ სახელწოდება), რომელმაც აიღო რადიკალური კურსი თავისუფალი ბაზრის და კერძო მესაკუთრეობის დამკვიდრებისკენ. უკვე 1990 წ. სექტემბერში რეგისტრირებული კერძო საწარმოების რაოდენობამ მიაღწია 339 ათასს. 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა კანონი,

რომელიც ითვალისწინებდა ძველ მფლობელებზე, ან მათ მემკვიდრეებზე იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც ნაციონალიზებული იყო 1948 წლის შემდეგ. ამასთან დაჩქარდა დენაციონალიზაციის პროცესები.

ქვეყანაში არსებობდა მსხვილი საწარმოები, რომელთა გაყიდვა ძალიან გაძნელდებოდა, ამიტომ საკუთრების განაწილება განხორციელდა კუპონების მეშვეობით. 1992 წ. 8,6 მლნ. მოსახლემ მიიღო კუპონები, რომელთაგან 1 მლნ-მა იმავე წელს ეს კუპონები გადაცვალა აქციებზე. ამასთანავე დაიწყო „მცირე პრივატიზაცია“ – მაღაზიების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების და სახელოსნოების გაყიდვა. ამას თან ახლდა უმუშევრობის ზრდა. 1990 წ. მდგომარეობის შესარბილებლად მიიღეს კანონი დასაქმების შესახებ, რომლითაც უმუშევარს უფლება ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში მიეღო დახმარება: პირველ ექვს თვეს თავისი გამომუშავების 60%, შემდეგ კი – 50%. ჩეხოსლოვაკიის მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ქვეყნის თითქმის სრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირიდან ენერგიის და ნედლეულის იმპორტზე.

საწყის ეტაპზე ჩეხოსლოვაკიის საწარმოთა 70% იყო გადახდისუუნარო, მათმა ვალმა შეადგინა 80 მლრდ. კრონი. ფულადსაკრედიტო პოლიტიკა ტარდებოდა მიზანმიმართულად, მთავრობამ დაიწყო რენტაბელური საწარმოების დაკრედიტება, ეხმარებოდა საწარმოებს, რომლებიც უშვებდნენ სამხედრო პროდუქციას. ამ მიზნისათვის გამოყოფილი იყო 1,2 მლრდ. კრონი. იმის გამო, რომ ამ საწარმოებს დიდი წილი ჰქონდათ ერთობლივ შიდა პროდუქტში, მნიშვნელოვანი იყო მათი გადაყვანა სამშვიდობო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე.

1991 წ. კრედიტის პროცენტის განაკვეთი კვლავ დაბალი (25%) იყო, ძველებურად ბანკის კრედიტები შეეძლოთ მიეღოთ პერსპექტიულ საწარმოებს მყარი ეკონომიკური მდგომარეობით. ჩეხოსლოვაკიაში 1991 წ. იანვარში განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია. 1991 წ. ფასები გაიზარდა სულ 59%-ით, რაც შეიძლება აიხსნას ჩეხოსლოვაკიის შედარებით მყარი ეკონომიკით.

ჩეხოსლოვაკიაში გატარებული რეფორმები გამოირჩეოდა თანმიმდევრულობით, რამაც ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნების დასაწყისშივე მისი ეფექტურობა განაპირობა. 1992 წ. შეიმჩნეოდა უმნიშვნელო ინფლაცია. თითქმის არ შემცირებულა რეალური ხელფასი. მცირე იყო ინვესტიციების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვარდნა, შედარებით მცირე იყო საგარეო დავალიანება (10 მლრდ. დოლარი 1992 წ. ბოლოს). ჩეხეთ–სლოვაკეთის ფედერაციის დაშლის შემდეგ 1993 წლიდან გაძლიერდა კრიზისული მოვლენები, მხოლოდ 1993 წ. პირველ კვარტალში ჩეხეთში სამრეწველო წარმოება დაეცა 8%-ით, მესამედით შემცირდა ექსპორტი. სლოვაკეთის ეკონომიკას ჰქონდა შედარებით უარესი სასტარტო პოზიციები. 1993 წ. მისი ერთობლივი შიდა პროდუქტი არანაკლებ 5%-ით შემცირდა. აღმოსავლეთის ბაზრებთან ტრადიციული ინტეგრაციაც ართულებდა ვითარებას. შემუშავდა პროგრამა, სადაც გამოიყო ხუთი პრიორიტეტული მიმართულება: ენერგეტიკა, მცირე ქიმია, ხის დამუშავება, ეკოლოგია და ტურიზმი.

იუგოსლავია. რეფორმები იუგოსლავიაში 1965 წლიდან დაიწყო, რომლის ძირითადი ორიენტირი იყო მასში შემავალი რესპუბლიკების და ცალკეული დარგების დამოუკიდებლობის ამაღლების კურსი. 1974 წ. შეიქმნა თვითმმართველური დაგეგმვის სისტემა, რამაც 70-იანი წწ. ბოლოს გამოიწვია რეგიონული და დარგობრივი ხასიათის დისპროპორციები და საგარეო ვალის ზრდა. თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემამ და სახელმწიფო კონტროლის უქონლობამ გამოიწვია ინფლაციის ზრდა. ამიტომ 1982 წ. გადაუდებელ ამოცანად დაისახა ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა და ტრადიციული ზომების გატარება: ინფლაციის დაძლევა ფასების ზრდის, ასევე საგარეო სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების გზით. გათვალისწინებული იყო ფედერაციაში შემავალი თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების აუცილებლობა. უთანასწორო განვითარება იყო არასტაბილურობის ზრდის და ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერების ერთ-ერთი ფაქტორი.

მიუხედავად სხვა ქვეყნებთან შედარებით რადიკალური გარდაქმნებისა, იუგოსლავიამ თავი ვერ აარიდა სამეურნეო კრიზისს. 1989 წ. შეიქმნა ა. მარკოვიჩის ახალი მთავრობა,

რომელმაც განიზრახა სამეურნეო მექანიზმის ძირეული რეფორმირება (საზოგადოებრივი ორიენტაციის შეუცვლელად), და ითვალისწინებდა ახალი სახის სოციალიზმის შექმნას საბაზრო ეკონომიკისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის საფუძველზე. 1990 წ. 1 იანვრიდან მთავრობამ დაიწყო ბრძოლა ინფლაციის აღმოსაფხვრელად. მათ შორის ხელფასების გაყინვა საქონლის და მომსახურების 80%-ზე თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიბერალიზაცია, კონვერტირებადი დინარის შემოღება მისი დენომინაციის გზით (10000 ძველი დინარი : 1 ახალ დინარზე) და მისი მუდმივი კურსის დამყარება გერმანულ მარკასთან (7:1). ამან დადებითი შედეგები გამოიღო.

1990 წ. აპრილიდან შეწყდა ფასების ზრდა. წარმოებაში ნაწილობრივ შეინიშნებოდა გამოცოცხლება. მაგრამ ქვეყანაში სეპარატისტულმა ტენდენციებმა გამოიწვია ახალი სოციალურ-ეკონომიკური აფეთქებები, სამოქალაქო ომი და სახელმწიფოს დაცემა. 1991 წ. ივნისში ხორვატიამ და სლოვენიამ თავი სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ეს ქმედება შეაფასა, როგორც უკანონობა, ამავე წლის ოქტომბერში მრავალმა სახელმწიფომ აღიარა სლოვენიის დამოუკიდებლობა. 1991 წ. შემოდგომაზე ომი დაიწყო სერბიამ და ხორვატიამ, ნოემბერში თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა მაკედონიამ. ხოლო 1992 წ. იანვარში – ბოსნიამ და ჰერცოგოვინამ. სერბიამ და ჩერნიგორიამ თავი გამოაცხადეს იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკებად, დედაქალაქით – ბელგრადში.

რუმინეთი. ოფიციალური რუმინული მონაცემებით რეფორმები რუმინეთში წარმატებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა ეროვნული შემოსავლის 3,2%-ით და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების 2,1%-ით ზრდით და ა.შ. მაგრამ დასავლეთის ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების გაანგარიშებით რუმინეთში არა მარტო არ შესრულებულა გეგმით გათვალისწინებული არც ერთი მაჩვენებელი, არამედ ეკონომიკის დარგთა უმეტესობაში კვეთრი ვარდნა შეინიშნებოდა. ეროვნული შემოსავალი 5%-ით იყო შემცირებული. რუმინეთში გამწვავებული ვითარების პასუხად დაამხეს ჩაუშესკუს რეჟიმი და 1990 წ. მაისის არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნული ხსნის ფრონტმა.

რთულ ეკონომიკურ, უპირველესად კი მოსახლეობის მძიმე სოციალურ და არასტაბილურ გარემოში მთავრობა შეუდგა ეკონომიკის გაჯანსაღების ვარიანტების დამუშავებას, რომელიც გათვლილი იყო 2-4 წელზე. რუმინეთში კურსი აიღეს სტაბილიზაციისკენ, რომლის შედეგად უნდა გადასულიყვნენ საბაზრო ეკონომიკაზე. გამოუშვეს ახალი მთავრობის პირველი დეკრეტები, რომლის მიხედვითაც რესურსები საწარმოოდან სოციალური სფეროსკენ მიიმართა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის მომარაგებას სამომხმარებლო საქონლითა და ელექტროენერგიით. თანდათანობით შესუსტდა მმართველობის ცენტრალური ორგანოების როლი, შემცირდა პროდუქციის ცენტრალიზებულად განაწილება, უფრო მოქნილი გახდა საგეგმო მაჩვენებლების სისტემა, 40%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი და დასამზადებელი ფასები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს გამოუშვეს 0,5 ჰა-მდე მიწა უსასყიდლოდ საოჯახო სარგებლობაში (სოფლის და ქალაქის დანარჩენ მოსახლეობას კი მათი სურვილით და კოოპერატივების თანხმობით 0,25 ჰა-მდე, განსაზღვრული გადახდით). კოოპერატივის წევრების საკარმიდამო ნაკვეთები (არაუმეტეს 0,6 ჰა) გამოცხადდა კერძო საკუთრებად სამემკვიდრეო უფლებით. 1990 წ. ბოლოს ფასების ლიბერალიზაციის შედეგად ფასები სასურსათო საქონელზე 661%-ით, ხოლო სამრეწველოზე – 114%-ით გაიზარდა. სამომხმარებლო საქონელზე თავისუფალი ფასები არ დაიშვებოდა, თუკი ბაზარზე მოცემული საქონლის სამ მომწოდებელზე ნაკლები იყო წარმოდგენილი, ზოგიერთ საქონელზე ფასები შეეძლოთ დაეწესებინათ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით. ლიბერალიზაციის მეორე ეტაპზე (1991 წ. აპრილიდან) თავისუფალმა ფასებმა მოიცვა უკვე სამომხმარებლო საქონლის ბრუნვის 83% და სამრეწველო დანიშნულების საქონლის ბრუნვის 89%. შემდგომ ოთხ წელიწადში ფასები მთლიანად გაიზარდა 316%-ით. მთავრობა მოსახლეობას შეპირდა ფასების ზრდის 70%-ის კომპენსირებას, მაგრამ პრაქტიკულად დაგეგმილის მხოლოდ ნახევრის კომპენ-

სირება მოხდა. 1991 წ. ნოემბერში სოციალურმა დაძაბულობამ მთავრობა აიძულა დაეწესებინა ფასები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე და ორჯერ შეემცირებინა მათი ფასები.

1992 წ. რუმინეთში ყველაზე მწვავე აღმოჩნდა ერთობლივი შიდა პროდუქტის შემცირება. წარმოება და სამომხმარებლო ბაზარი შეინარჩუნეს საგარეო კრედიტების ნაკადის ხარჯზე, რომელიც ძირითადად მოხმარდა სამეურნეო სუბიექტების ურთიერთგადახდის დეფიციტის დაფარვას. სტრუქტურული კრიზისი შეეხო როგორც მძიმე მრეწველობის დარგებს, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ რესურსების იმპორტზე, ასევე, კვების მრეწველობასაც. ეკონომიკის არასტაბილურობა გამოვლინდა ფასების სფეროშიც და საფინანსო პოლიტიკაშიც. 1993 წ. შეფასებით ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობამ შეადგინა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 6%.

<u>გულგარეთი.</u> ქვეყანაში რეფორმების მორიგი ეტაპი დაიწყო 1987-1988 წწ. მთავრობის პროგრამა ითვალისწინებდა საბაზრო ურთიერთობის დანერგვის სწრაფი („შოკური") ვარიანტის შეხამებას ეკონომიკური რეფორმირების ეტაპობრივ ვარიანტთან. ანტიკრიზისული პროგრამის ძირითადი მიზანი იყო – ცენტრალიზებული დაგეგმვიდან საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა, რომელიც დაეფუძნებოდა საკუთრების და სამეურნეო ფორმების მრავალფეროვნებას. თავისუფალი ფასწარმოქმნა უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად. მოსახლეობის შემოსავლების ზრდის შემცირების პირობებში ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომიაზე. საგარეო დავალიანების შემცირების მიზნით გათვალისწინებული იყო იმპორტის შემცირება და ექსპორტის გადიდება. მთავრობის დეკლარაციის (1990 წ. თებერვალი) მიხედვით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება უნდა განხორციელებულიყო ირიბი მეთოდებით ბიუჯეტის, გადასახადების, ანარიცხების, საბაჟო გადასახადების, კრედიტების, ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების და ა.შ. მეშვეობით.

1991 წ. თებერვალში განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია. ინფლაციის მაღალმა დონემ (1991 წ. – დაახლოებით 600%), ფინანსურმა არასტაბილურობამ, ბიუჯეტის დეფიციტმა და სხვა ფაქტორებმა ბულგარეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. 1991 წ.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზოგიერთ დარგსა და საწარმოს დახმარებოდა სახელმწიფო. ეს პირველ რიგში შეეხო მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებს, რომელთა პროდუქციასაც კონკურენციის გაწევა შეეძლო საგარეო ბაზრებზე.

მომდევნო ეტაპზე შესამჩნევად გაძლიერდა სტრუქტურული კრიზისი: უმუშევრობა იყო ყველაზე მაღალი – 15%. 1993 წ. ეკონომიკის ვარდნის ტემპი რამდენადმე შენელდა. მთავრობის შეფასებით ერთობლივი ეროვნული პროდუქტის კლებამ 4% შეადგინა.

ბულგარეთში კერძო სექტორი უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. 1992 წ. მასში დასაქმებული იყო 0,5 მლნ. კაცი და აწარმოებდა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 10%-ს. პრივატიზაცია ხორციელდებოდა საკუთრების დაბრუნებით მის ყოფილ მფლობელებზე ან მათ მემკვიდრეებზე.

<u>ვიეტნამი.</u> ხელისუფლებამ მეურნეობრიობის ტრადიციული სქემიდან გადახვევა და ეკონომიკური რეფორმების გატარება ვიეტნამში 70-იანი წწ. ბოლოს და 80-იანი წწ. დასაწყისში დაიწყო. რეფორმა ითვალისწინებდა, პროვინციებისათვის, ხოლო შემდეგ ცალკეული დარგებისათვის მიეცათ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარების უფლება; სახელმწიფო საწარმოებში უნდა დაენერგათ სამრეწველო დაგეგმვის სისტემა, ხოლო საბაზრო პირობებში დამოუკიდებლად მოეძიათ ნედლეული და მასალები; მიეცათ წარმოებული ზეგეგმური პროდუქციის ბრუნვის თავისუფლება; კერძო და კუსტარულ საწარმოებზე შესუსტებულიყო კონტროლი; ყურადღება გაემახვილებინათ მმართველობის და მატერიალური სტიმულირების ეკონომიკურ ბერკეტებზე.

ამასთან შემზღუდველი ზომების მიღებამ, განსაკუთრებით კი მრეწველობაში, კერძო და კოოპერატიულ სექტორში, რამდენადმე გააჯანსაღა ეკონომიკური ვითარება. გლეხებს გრძელვადიანი იჯარით გადაეცათ მიწები, ასევე კოოპერატივებს ფორმალურად არსებობის პირობებში მიეცათ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის სახელმწიფო სექტორს ჰქონდა შეღავათები და იმყოფებოდა მზარდ საბიუჯეტო დოტაციაზე, იგი მაინც ზარალიანი იყო. ძველებურად აქ

კვლავ არსებობდა სახელმწიფო დაგეგმვა და კონტროლი ფულად-საკრედიტო მიმოქცევაზე.

1986 წ. ვიეტნამში მხარი დაუჭირეს ეკონომიკის ტრადიციული კურსის ყოველმხრივ აღდგენას მთლიანად სახოგადოების საწარმოო ძალების გათავისუფლების საფუძველზე. ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება დაიწყო 1988 წლიდან. აღიარეს, რომ ყველა წყობა კერძო-კაპიტალისტური ჩათვლით თანაბარუფლებიანია. კერძო სექტორი ლეგალიზებულ იქნა არა მარტო საწარმოო სფეროში, არამედ საცალო და საბითუმო ვაჭრობაში. კერძო მფლობელობა დაშვებულ იქნა ასევე ოქროთი, ვერცხლით, ძვირფასი თვლებით ვაჭრობაში და ბანკების შექმნაში.

1989 წ. დასაწყისში ქვეყანაში ფაქტიურად გაუქმდა დირექტიული დაგეგმვა, მოისპო ფასების ორდონიანი სისტემა (თავისუფალი საბაზრო და ცენტრალიზებულად რეგულირებადი) გარდა სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების საქონლის შეზღუდული სახეობის. გატარდა ვიეტნამური დონგის თავისუფალი გაცვლა ე.წ. შავი ბაზრის კურსით, შენატანებზე პროცენტების სიდიდე და საკრედიტო განაკვეთები განისაზღვრებოდა ინფლაციის ტემპზე დამოკიდებულებით, რამაც შესაძლებელი გახადა სხვადასხვა სახის დაგროვების ამოღება და ფულად ერთეულში კონვერტირება. ბუნებრივია, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სახელმწიფო მეურნეობა, რამდენადაც მას მოაკლდა საბიუჯეტო დოტაციები, დაბალი ფასები ნედლეულზე და მასალებზე და საქონლის გარანტირებული გასაღება. ამიტომ დღის წესრიგში დადგა დენაციონალიზაციის საკითხი სხვადასხვა ვარიანტით.

მწვავე პრობლემად იქცა უმუშევრობა, ქონებრივი დაფენა. ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების გამო გართულდა სოციალური პროგრამის რეალიზაცია. მომდევნო წლებში ქვეყანამ არა მარტო შეძლო უზრუნველეყო მოსახლეობა კვების პროდუქტებით, არამედ იგი მსოფლიოში ბრინჯის მესამე (აშშ და ტაილანდის შემდეგ) ექსპორტიორ ქვეყნადაც იქცა. დაწყო ეკონომიკური წინსვლა. 1992 წ. ერთობლივი შიდა პროდუქტი გაიზარდა 8,3%-ით, ეკონომიკის ზრდამ 1993 წ. შეადგინა 7,5%. მაგრამ ამავდროულად გაიზარდა უმუშევრობაც (ქალაქებში შრომისუნარიანი მოსახლეობის 20-22%). ნეგატიური ტენდენციები შეინიშნებოდა აგრარულ სექტორში: სასოფლო-სამეურნეო საქონელზე სამრეწველო პროდუქციასთან შედარებით ფასების უფრო ნელი ზრდა, გლეხობის ფენებად მკვეთრი დაყოფა და მისი შედეგი – ქალაქში მიგრაცია. ამგვარმა ვითარებამ აიძულა ხელისუფლება, რომ რეფორმების გატარებისას ყურადღება გაემახვილებინა სოციალურ ასპექტებზე ისე, რომ არ გადაეხვიათ პოლიტიკის ძირითადი მიზნიდან, რომელიც მიმართული იყო საბაზრო ეკონომიკის ეტაპობრივად ჩამოყალიბებისაკენ.

მონღოლეთი. მონღოლეთში გარდაქმნის პროცესების თავისებურება დიდად განაპირობა საბჭოთა კავშირთან მისი ეკონომიკისა და პოლიტიკის ღრმა ინტეგრაციამ. 1988 წ. მაისი ქვეყნისათვის ითვლება ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, სოციალური სფეროს განახლებისა და სრულყოფის ახალი პერიოდის დასაწყისად. ამ წლის გადაწყვეტილებების განხორციელებისას ცხადი გახდა ტრადიციული პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის ძლიერი ინერცია. მიუხედავად სამეურნეო მექანიზმის ზედაპირული ცვლილებისა (ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა და შრომის სტიმულირება, კოოპერატივების მომრავლება და ა.შ.). 1988 წ. ეროვნული შემოსავლის მოცულობა საგეგმოზე 180 მლნ. ტუგრიკით ნაკლები იყო. შემდგომ წლებში რეფორმების პრიორიტეტი გახდა პოლიტიკური საკითხები: პარტიული და სახელმწიფო აპარატის ფუნქციების გამიჯვნა, მრავალპარტიულობის აღიარება, კანონების დაცვა.

1990 წ. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად გამოქვეყნდა მთავრობის პლატფორმა, რომლის საფუძველიც იყო სახელმწიფო რეგულირებად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საკუთრების მრავალფეროვანი ფორმებით. პროგრამის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს მეცხოველეობის ნედლეულიდან საქონლის მწარმოებელი მცირე საწარმოების ქსელის გაფართოება უცხოური, უმთავრესად ჩინური, მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შესყიდვის ბაზაზე. მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ორგანიზებულობას და დისციპლინას.

1996 წ. მთავრობამ დაიწყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაცია. ამ რეორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო მმართველობის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიდან საგეგმო-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ლაოსი. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით სამეურნეო მექანიზმის განახლებას ლაოსში აქვს არსებითი თავისებურებანი. აქ საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლა საკმაოდ ადრეულ ეტაპზე მოხდა. 1988 წ. ყველა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოზე (დაახლოებით 70 საწარმო) გავრცელდა სამეურნეო ანგარიში. დაგეგმვის, მომარაგების, მზა პროდუქციის რეალიზაციის, დაფინანსების საკითხები გადავიდა თვით საწარმოს კომპეტენციაში, რამაც გამოაცოცხლა სამრეწველო წარმოება. შემდგომი წლების პრიორიტეტად იქცა ახალი – საქციო და საიჯარო (კერძო, მათ შორის უცხოური და კოლექტიური) ფორმების დამკვიდრება. მაგალითად, თამბაქოს ქარხანა „555“ ხუთი წლის ვადით იჯარით გადაეცა ტაილანდელ მეწარმეს, რომელმაც ივალდებულა ყოველწლიურად სახელმწიფოსათვის გადაეხადა 3 მლნ. დოლარი. საწარმოთა იჯარით გადაცემა, განსაკუთრებით უცხოელ ბიზნესმენებზე, სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვინაიდან იზრებოდა ბიუჯეტში შენატანები. ეს ფორმა, გარდა იმისა, რომ ხდებოდა ტექნოლოგიების გაუმჯობესება, ამასთანავე ხელს უწყობდა მრეწველობის სწრაფ ჩართვას საბაზრო ურთიერთობებში.

1990 წ. სახელმწიფო საწარმოთა საიჯაროდ გადასაცემად მომზადების მიზნით მთავრობა შეუდგა მათ ინვენტარიზაციას, და ბიუჯეტში შესატანად საიჯარო თანხის დასაბუთებულ განსაზღვრას.

1991 წ. სახალხო რევოლუციური პარტიის V ყრილობამ გაიხილა ახალი ხუთწლიანი გეგმა, რამაც ერთგვარი დისონანსი გამოიწვია. ლაოსის ეკონომისტები არ თვლიდნენ, რომ შეიქმნებოდა რაიმე წინააღმდეგობა, ან უბრუნდებოდნენ მეურნეობრიობის ძველ მეთოდებს. გეგმის მთავარი არსი იყო ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებისას შექმნილიყო პირობები მისი პროპორციული განვითარებისათვის. კერძოდ: სოფლის მეურნეობის წამოწევა წინა პლანზე, რომელიც პროდუქციის გადამუშავების ბაზად უნდა ქცეულიყო. სახელმწიფოს უნდა განესაზღვრა რეგიონული განვითარების პერსპექტივები და შეექმნა პირობები ცალკეულ პროვინციებში ინვესტიციების მიმართვისათვის. ამავე დროს, ეს გეგმა არ შეიცავდა დირექტიულ მაჩვენებლებს. ყველაფერი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ბაზრის მოთხოვნილებითა და შესაძლებლობის მიხედვით.

ამრიგად, ლაოსმა უარი არ თქვა სახელმწიფო რეგულირებაზე, მაგრამ მხოლოდ მაკროეკონომიკურ დონეზე. მის სამართავ არეალში დარჩა ბანკები, საბითუმო ვაჭრობა, თავდაცვითი საწარმოები, ელექტროენერგეტიკა, კავშირგაბმულობის საშუალებები. გარდა ამისა, სახელმწიფომ ივალდებულა ყოფილიყო საზოგადოების სოციალური სამართლიანობის დაცვის გარანტი. წინსვლის საიმედო საშუალებად იქცა უცხოური ინვესტიციები, რომლებიც დაიშვებულ იქნა არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორშიც.

ლაოსში განხორციელებული გარდაქმნების შედეგები იძლევა საშუალებას, რომ განისაზღვროს იგი, როგორც „ლაოსის სასწაული“, რამდენადაც ქვეყანამ სწრაფად შეძლო გაეველო გზა ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკამდე.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. XX ს.-ის ბოლოს აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება აიძულა დაეწყო ახალი გზების ძიება, რათა როგორმე დაეძლია უძრაობის პროცესი. ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა 2%-მდე, არ სრულდებოდა ტანსაცმლის, მედიკამენტების წარმოების საგეგმო დავალებები, სრულიად არაეფექტური იყო მართვის სისტემა. ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობას განაპირობებდა ენერგეტიკის და ნედლეულის ქრონიკული უკმარისობა, მაღალი სამხედრო ხარჯები (წლიური ბიუჯეტის 30%).

ექსპორტის სიმცირემ გააძნელა საგარეო ვალების დაფარვა, რომელმაც სხვადასხვა შეფასებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შეადგენდა 3-დან 4,5 მლრდ. დოლარს, ხოლო საბჭოთა კავშირთან 2,2 მლრდ. დოლარს (1989 წ. 1 ნოემბერს). ამ ვითარებაში ხელისუფლება ცდილობდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ჩრდილოეთ კორეაში 90-იან წწ. ვითარება გართულდა სამეურნეო ევოლუციის თვალსაზრისითაც, როგორიცაა: ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვის გზით განვითარების შესაძლებლობათა ამოწურვა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის უსუსურობა, პოლიტიკური ატმოსფერო, კრიზისი აგრარულ სექტორში, რომელიც მოუსავლიანმა წლებმა (1995-1997 წწ.) უფრო გაართულა.

კორეის რესპუბლიკის ეკონომიკის ევოლუცია XX ს. მეორე ნახევრიდან არათანაბრად მიმდინარეობდა. სამეურნეო განვითარება საბაზრო ურთიერთობათა ფარგლებში და ამასთანავე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის წამყვან ქვეყნებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირში ხორციელდებოდა.

კორეის სამეურნეო წარმატებას საფუძველი ჩაეყარა 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიწყო ათ წელზე გათვლილი სამეურნეო განვითარების სტრატეგიის ეტაპობრივი განხორციელება.

80-იან წწ. კორეის ეკონომიკა ვითარდებოდა სტაბილიზაციის და ლიბერალიზაციის პროგრამის შესაბამისად. გატარდა ვონის დევალვაცია. ყოველმხრივ დაიწყო ინფლაციასთან ბრძოლა, ამის გამო ხელფასის ზრდაც კი შეიზღუდა.

კორეის სამეურნეო ცხოვრების თავისებურებაა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების აქტიური რეგულირება.

1960-იანი წლების დასაწყისიდან 1997 წლამდე კორეამ თავისი სამეურნეო ევოლუციით შეძლო მიეღწია უდიდესი წარმატებებისათვის და განვითარებული სამრეწველო ბაზით, მძლავრი საექსპორტო პოტენციალით შესულიყო „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ შემადგენლობაში. მკვეთრად გაიზარდა და მისი ექსპორტის მოცულობა 41 მლნ. აშშ დოლარიდან

130 მლრდ. აშშ დოლარამდე (ე.ი. 3170-ჯერ). 90-იანი წლების შუახანებში ქვეყანას მსოფლიო გემთმშენებლობაში ეკავა მეორე ადგილი; ნახევარგამტარების წარმოებაში – მესამე; ელექტრონიკაში, ავთომობილმშენებლობასა და საფეიქრო წარმოებაში – მეხუთე, ხოლო კორეის ავტომობილმშენებლობასა და მეტალურგიას – მსოფლიოში მეექვსე ადგილი ეკავა.

ამასთან ერთად გაიზარდა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის წარმოების მოცულობა, ხოლო მის სტრუქტურაში მკვეთრად (თითქმის ორჯერ) გაიზარდა მრეწველობის დარგების ხვედრითი წონა, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა 40%-დან 7%-მდე. 90-იანი წლების ბოლოს კორეის ექსპორტის 2/3 შეადგენდა მძიმე და ქიმიური მრეწველობის პროდუქციას.

კორეის რესპუბლიკის განვითარების სტრატეგიაში ექსპორტზე ორიენტაციამ ხელი შეუწყო ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარებას, თუმცა ამავდროულად შეიქმნა კრიზისის წინაპირობები, რომელიც 1997 წ. შემოდგომაზე დაიწყო.

კორეაში საფინანსო და ზოგადად ეკონომიკური კრიზისის ძირითად მიზეზებს შორის უმთავრესია: ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია მცირე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ხელში; მთავრობის მიერ საფინანსო სექტორის გამოყენება პრიორიტეტული დარგების „ნებაყოფილობით-იძულებითი“ დაფინანსებისათვის; წარმოებითი ურთიერთობების მოუმწიფებლობა და ბიუროკრატიის მაღალი დონე, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციისათვის; სახელმწიფო მოხელეთა ინტერესების შერწყმა „ჩებოლის“ (მსხვილი ნაციონალური საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები) ხელმძღვანელობასთან.

ქვეყნის კრიზისიდან გამოსასვლელ ღონისძიებათა სისტემა მოიცავდა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების და შრომის ბაზრის რეფორმას, საფინანსო ინსტიტუტების რესტრუქტურიზაციას, უცხოური კაპიტალდაბანდებების დაცვას, მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგის და ბაზრის გახსნას უცხოელებისათვის, ფირმების შეძენისას და შერწყმაზე არსებული ყველა შეზღუდვის მოხსნას და, ბოლოს, საფონდო ბირჟის ლიბერალიზაციას.

ჩინეთი. ეკონომიკური რეფორმის გატარება ჩინეთში დაიწყო 1978 წლიდან. ჩინეთის რეფორმების თავისებურება ის იყო, რომ ჯერ ერთი, თუ სსრ კავშირში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რეფორმა დაიწყო პოლიტიკური გარდაქმნებით, ჩინეთში დაიწყო ეკონომიკური გარდაქმნებით. ქვეყანას კვლავ კომუნისტური პარტია მართავდა და აგრძელებდა სოციალიზმის მშენებლობის კურსს, ოღონდ „ჩინური სპეციფიკით“.

მეორე, იქ არ ჩატარებულა პრივატიზაცია. თვით სიტყვა „პრივატიზაციას“ ჩინეთში ნეგატიურად აღიქვამენ და მას კერძო, egoისტურ ინტერესებთან აიგივებენ, რასაც ვერ ეგუება ჩინეთის მენტალიტეტი. მიუხედავად ამისა, რეფორმების შედეგად სახელმწიფოს წილი ეროვნულ პროდუქტში 70%-დან 40%-მდე, ხოლო სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი 95%-დან 18%-მდე შემცირდა. ასევე ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში სახელმწიფო ხარჯები 36%-დან 13%-მდე შემცირდა.

მესამე, შეინარჩუნეს ადმინისტრაციული დაგეგმვა, ხოლო ბაზარი არის მხოლოდ როგორც სახელმწიფო გეგმის დანამატი. სახელმწიფო გეგმავს სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა გამოშვებას და აწესებს მათზე ფასებს. კერძო ვაჭრებს ეკრძალებათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების საბითუმო შესყიდვა. მათი შესყიდვა დაშვებულია სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასებით.

დაიწყო რეფორმის გატარება სოფლის მეურნეობაში, რაც მთელ მოსახლეობას შეეხო. გლეხი ღებულობდა მიწის ნაკვეთს საშუალოდ ერთ კომლზე 0,5 ჰა-ს ოდენობით, ამასთანავე იგი სახელმწიფოსთან დებდა კონტრაქტს პროდუქციის განსაზღვრული რაოდენობის მიწოდებაზე (სახელმწიფო შესასყიდი ფასებით), ხოლო პროდუქტის დანარჩენ ნაშთს გლეხი განკარგავდა თავისი შეხედულებისამებრ.

ჩინელი გლეხი ეწეოდა ხელოსნობასაც. სოფლებში შეიქმნა საწარმოები, სადაც შრომობდნენ გლეხები. ეს საწარმოები მოქმედებდნენ საბაზრო საფუძველზე. სოფლად ამგვარი საწარმოები იძლეოდნენ შემოსავლის ნახევარზე მეტს. 80-იანი წლების ბოლოს ისინი აწარმოებდნენ ჩინეთის სამრეწველო პროდუქციის 20%-ს.

სოფლის სახელოსნოები უშვებდნენ სახალხო მოხმარების საქონელს, იზრდებოდა რა გლეხების შემოსავლები, თავის მხრივ ასტიმულირებდა საქალაქო მრეწველობის ზრდას. თუ რეფორმის დასაწყისში მსუბუქი მრეწველობა მძიმესთან შედარებით ორჯერ ნაკლებ პროდუქციას უშვებდა, 90-იან წლებში მან გაუსწრო მძიმე მრეწველობას. დაჩქარდა საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის გამოშვება, როგორიცაა ტელევიზორები, მაცივრები, სარეცხი მანქანები.

1984 წლიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა მკვეთრად შენელდა. შემცირდა მარცვლეულის წარმოება და მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდის შედეგად შემცირდა მისი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე. სპეციალისტების შეფასებით ეროვნული შემოსავლის 40%-იანი ზრდა გადაიფარა მოსახლეობის სწრაფი ზრდით. ქალაქებში შემოიღეს ღონის ხორცისა და კვერცხის ნორმირებული განაწილება. ფასები იზრდებოდა ნორმირებულ პროდუქტებზეც. ამავე დროს გატარდა ღონისძიებანი მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებისათვის. მეორე ბავშვის დაბადებაზე ოჯახი იხდიდა დიდ ჯარიმებს. პროცესების ამგვარი დარეგულირება აშკარას ხდის სახელმწიფოს დიქტატის არსებობას.

მომდევნო წლებში ვითარების გაუმჯობესების კვალდაკვალ გლეხებს თანდათან გაუჩნდათ შესაძლებლობა ეყიდათ სარეცხი მანქანები, ტელევიზორები, მოტოციკლები. თიხის ქოხების ნაცვლად დაიწყეს კეთილმოწყობილი სახლების მშენებლობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა მიღწეული იყო ხელით შრომით. ჩინეთის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებამ 1995 წ. შეადგინა აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 4%. შემდგომი ზრდისათვის საჭირო იყო წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება.

გარდაქმნების შედეგად ჩინეთის წარმოებაში შემცირდა სახელმწიფო სექტორის წილი, მაგრამ არა პრივატიზაციის ხარჯზე, არამედ წვრილი კერძო მეწარმეობის გაფართოებით, სადაც დასაქმებული იყო საშუალოდ 8-10 კაცი და უზრუნველყოფდა სამრეწველო წარმოების ზრდას. სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის ისინი გადაყავდათ სამეურნეო ანგარიშზე.

ჩინეთის მრეწველობის წარმატებებში არსებითი როლი ითამაშა უცხოური კაპიტალის მოზიდვამ, რისთვისაც შეიქმნა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები. გარდა ამისა, უცხოელი მეწარმისათვის მიმზიდველია იაფი მუშახელი: აქ ხელფასი 20-ჯერ დაბალია, ვიდრე აშშ-ში, თუმცა ოდნავ მაღალი, ვიდრე ჩინეთის ადგილობრივ კაპიტალზე შექმნილ საწარმოებში. უცხოური კაპიტალის საწარმოები იძლეოდნენ მთელი სამრეწველო ექსპორტის მეოთხედს.

რეფორმიდან 19 წლის შემდეგ ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტი გაიზარდა 5,7-ჯერ, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი საერთო პროდუქტი 4,4-ჯერ. ჩინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა ბამბის ქსოვილებისა და ცემენტის წარმოებაში, მეორეზე – ტელევიზორების წარმოებასა და ნახშირის მოპოვებაში, მესამეზე – ქიმიური სასუქების წარმოებაში. ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის ჩინეთი გამოირჩევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით.

ჩინეთის მიღწევები არ შეიძლება გადაჭარბებით შეფასდეს, განსათვალისწინებელია, რომ ჩინეთი უდიდესი ქვეყანაა, განსაკუთრებით კი მოსახლეობით. ჩინეთი ერთობლივი ეროვნული პროდუქტით მსოფლიოში მეშვიდე ადგილზე გამოდის, მაგრამ ამ პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებით იგი დაახლოებით 70-ე ადგილზეა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება 1995 წ. 15-ჯერ დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში, 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში. ტელეფონი და აბაზანა, ცხელი წყლით მომარაგება საცხოვრებლებში აქ უმეტესობისათვის მიუწვდომელი იყო. 200 მლნ. გლეხი ცხოვრობს ელექტრობის გარეშე. ტელევიზია აქ უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე საყოველთაო განათლება. 90-იანი წლების დასაწყისში მთელი მსოფლიოს წერა-კითხვის უცოდინართა მეოთხედი ჩინეთზე მოდიოდა.

სამომხმარებლო მოთხოვნილება აქ წარმოების ზრდას ჩამორჩებოდა, ამიტომ ჩინეთი იძულებული გახდა მრეწველობის ზრდის ტემპების შემცირება დაეგეგმა.

ჩინეთის ეკონომიკური წარმატებები იმიტომაც არის შესამჩნევი, რომ ზრდა დაიწყო უკიდურესად დაბალი დონიდან. ეკონომიკური და ზოგადად ისტორიული განვითარების თავისებურებებით აიხსნება წინააღმდეგობები თანამედროვე მეურნეობაში: ხელით შრომა და ხალხის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, მცირე მეურნეობანი და მიწათმოქმედების შერწყმა მრეწველობასთან, სოციალიზმის მშენებლობა და ამასთანავე საბაზრო ურთიერთობების გაფართოება.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით ჩინეთი რჩება ჩამორჩენილ ქვეყნად.

<u>კუბა.</u> კუბაში ეკონომიკური სიტუაცია რჩება დაძაბული. 1986 წლიდან დაწყებული ქვეყანაში გაიზარდა კრიზისული მოვლენები. 1989 წ. (ტრანსპორტის და შაქრის წარმოების გარდა) არც ერთ დარგში არ შესრულდა საგეგმო დავალებები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამი ათწლეულის მანძილზე არსებობდა კვების და სამრეწველო საქონლის ნორმირებული განაწილება, მოსახლეობის გარანტირებული მომარაგება მაინც არ იყო მყარი. გრძელდება მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. წარმოიშვა უმუშევრობა. უმუშევართა რიცხვმა შეადგინა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის 6%. ძირითადად ეს არის ახალგაზრდობა 30 წლამდე. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან საგარეო დავალიანებამ გადააჭარბა 7 მლრდ. აშშ დოლარს. 80-იანი წლების ბოლოს კუბაში ჩატარდა ცდა ნეგატიური პროცესების დაძლევისათვის, მაგრამ დასაყრდენი იყო სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში მბრძანებლური საწყისების გაძლიერება, რის შედეგადაც ქვეყანამ ვერ მიიღო შესამჩნევი დადებითი შედეგები. მხოლოდ მთავრობა უარყოფს რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიურად. ეს პოზიცია დაადატურა ფ. კასტრომ დეკლარაციაში „კუბის ხალხს“, რომელიც დაამტკიცა 1989 წ. 26 დეკემბერს სახალხო ხელისუფლების ნაციონალურ ასამბლეაზე.

თემა 30. საქართველოს ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში

1. საქართველოს სსრ ეკონომიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. საქართველო ოკუპირებული არ ყოფილა გერმანელი ფაშისტების მიერ, თუმცა იგი შედიოდა რა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მის ეკონომიკაში საომარი პირობების გათვალისწინებით იგივე ცვლილებები განხორციელდა, რაც მთლიანად საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ხდებოდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში საქართველოდან გაწვეული იქნა 700 ათასზე მეტი მებრძოლი.

საქართველოს ტერიტორიის ნაწილი მცირე დროით საომარი ოპერაციების ასპარეზად, ხოლო მთლიანად რესპუბლიკა – ფრონტისპირა რაიონად იქცა. შავი ზღვისპირეთის ზოგიერთი ქალაქი დაზარალდა მტრის ავიაციის თავდასხმების გამო. ომმა ეკონომიკას მეტად რთული ამოცანები დაუსახა.

საქართველოს ეკონომიკა გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე და დარგთაშორის პროპორციები ფრონტისათვის მომუშავე დარგების სასარგებლოდ შეიცვალა. დაიწყო არსებულ საწარმოთა გადაყვანა სამხედრო ყაიდაზე და ახალი სამხედრო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა მშენებლობა. გარდა ამისა, წარმოები, რომლებიც ევაკუირებულ იქნა ფრონტისპირა რაიონებიდან, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგდა და სამხედრო პროდუქციის გამოშვება დაიწყო.

1941 წლის ოქტომბერში თბილისში მშენებარე დიმიტროვის სახელობის საავიაციო ძრავების ქარხნის ბაზაზე განლაგდა ტაგანროგიდან ევაკუირებული საავიაციო ქარხანა, რომელმაც უკვე ნოემბერში გამოუშვა რამოდენიმე ავიაგამანადგურებელი. 1942 წ. ნოემბრიდან ქარხანა გადავიდა გაუმჯობესებული თვითმფრინავების გამოშვებაზე. 1941 წლის დეკემბერში საქართველოში მოხდა სევასტოპოლის გემთმშენებელი ქარხნის ევაკუაცია. ქარხნის ნაწილი გაიგზავნა ფოთში, ნაწილი კი – ბათუმში. ფოთის, ბათუმის და სოხუმის გემთმშენებელმა ქარხნებმა მოკლე დროში არა მარტო უზრუნველყვეს შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო და სხვა დანიშნულების გემების შეკეთება, არამედ საომარი იარაღისა და სათადარიგო ნაწილების წარმოებაც დაიწყეს.

ახალ მშენებლობებში 1941 წლის 1 ივლისიდან 1946 წლის 1 იანვრამდე გამოიყო 219 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებები. ეს 47%-ით აღემატებოდა 1921-1932 წლებში გაწეულ კაპიტალურ დაბანდებებს. მისი დიდი ნაწილი მძიმე მრეწველობის იმ დარგების განვითარებას მოხმარდა, რომელიც უშუალოდ სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა.

ომის წლებში საქართველოში აიგო 200-ზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთა უმრავლესობა სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა. სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდა მრეწველობის თითქმის ყველა დარგი.

ჯერ კიდევ ომამდე საქართველოში შეიქმნა რთული ჩარხებისა და მოწყობილობების მწარმოებელი საწარმოები. ომის პერიოდში ისინი გადავიდნენ სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე. ამის შედეგად საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობა 1945 წელს 1940 წელთან შედარებით – 51,6%-ით, ხოლო მანქანათმშენებლობა – 86,8%-ით გაიზარდა.

1942 წლის შემოდგომაზე, როდესაც მტერი უშუალოდ ამიერკავკასიის მისადგომებთან იყო, საქართველოს მრეწველობა ფრონტს აწვდიდა ათიათასობით ავტომატს, ათასობით ნაღმტყორცნს, ასობით თვითმფრინავს, სხვადასხვა საომარ მასალას და სხვ.

ფრონტს ემსახურებოდა აგრეთვე საქართველოს მსუბუქი და კვების მრეწველობაც. გაიზარდა წარმოებული ბამბეულის ქსოვილების და კონსერვების მოცულობა, ხორცისა და ცხიმის წარმოება. ფეხსაცმლის ფაბრიკები უშვებდნენ სამხედრო დანიშნულების ფეხსაცმელს, ასევე ჩანთებს შაშხანების, ვაზნების, ხელყუმბარებისა და სხვა აღკაზმულობისათვის. საქართველოს საფეიქრო მრეწველობამ დიდი სამამულო ომის

წლებში გამოუშვა 7 მლნ.-მდე მეტრი მაუდის, შალისა და სპეციალური დანიშნულების აბრეშუმის მაღალხარისხიანი ქსოვილი, 1000 ტონამდე ბამბა. საქართველოს მრეწველობამ ომის პერიოდში საბჭოთა არმიისათვის გამოუშვა 3,5 მლნ.-ზე მეტი მაზარა, ორ მილიონამდე წყვილი დაბამბული ტანსაცმელი და სხვ. კვების მრეწველობამ ომის წლებში არმიას მიაწოდა 20 ათასამდე ტონა ორცხობილა, 16 ათასამდე ტონა მაკარონის ნაწარმი, 13 ათასი ტონა თამბაქო, ნახევარი მილიარდი ცალი სიგარეტი, 200 ათასზე მეტი დეკალიტრი ღვინო და სპირტი, 24 ათასი ტონა ხორცი, 2 ათასი ტონა ძეხვეული, 3 ათას ტონაზე მეტი ცხიმი, 18 ათასი ტონა შაქარი, 4 ათასი ტონა ჩაი, 2 ათასი ტონა საპონი, 25 მლნ. ქილა ხორცის, ხილის, ბოსტნეულის კონსერვები და სხვ.

საქართველოს ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები, მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, ბაქტერიოფაგის კვლევითი ინსტიტუტები და ბიოკომბინატები სამხედრო საჭიროებისთვის დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ მედიკამენტებს, სხვადასხვა პრეპარატებს, შრატებს, ვაქცინებსა და სადიაგნოსტიკო-ვეტერინარულ პრეპარატებს, განგრენის, ტეტანუსის, ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო შრატებს და სხვ.

ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამკურნალო მცენარეების დამზადებას. ყოველწლიურად მზადდებოდა ასობით ტონა გვირილა, ევკალიპტი, ვალერიანის ფესვები, შროშანი, მოცვი, ასკილი და და სხვა სამკურნალო მცენარეები.

მიუხედავად ფრონტისათვის მომუშავე მრეწველობის დარგების ზრდისა, მთლიანად საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1945 წელს 1940 წელთან შედარებით ერთი მეხუთედით შემცირდა.

ომის გამო ნავთობის მრეწველობაში შეწყდა ღრმა ბურღვითი სამუშაოები. ბურღვის პროცესში მყოფი ჭაბურღილები დააკონსერვეს და მთელი ყურადღება ნავთობის ამოღების გადიდებას მიექცა, რის შედეგადაც საქართველოში ნავთობის ამოღება 1940 წლის 41,2 ათასი ტონიდან 1941-1943 წლებში გაიზარდა 57,5 ათას ტონამდე. მაგრამ 1944 წ.-დან მისი ამოღება შემცირდა და 1945 წელს 1940 წლის დონეზე

დაბლა დაეცა. 1940 წელს საქართველოს სათბობის მოპოვების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა ნახშირს. მის წილად მოდიოდა 60,7%, ნავთობზე – 10,4 ხოლო შეშაზე – 28,9%. 1945 წელს ნახშირის ხვედრითი წონა 70,4%-მდე გაიზარდა, თუმცა 1943 და 1944 წლებში ომამდელ დონეზე დაბალი იყო ნახშირის მოპოვებაც.

საქართველოში მანგანუმის მადანი ყველაზე დიდი ოდენობით 1937 წ. მოიპოვეს. ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1941 წ. ოქტომბრიდან მოხდა მაღაროების კონსერვაცია. 1943 წლის აგვისტოდან დაიწყო ცალკეული მაღაროების ნაწილობრივი ექსპლოატაცია.

მცირედ, მაგრამ შემცირდა ელექტროენერგიის გამომუშავება, შეჩერდა ხრამჰესის, სოხუმჰესის და სხვა ომამდე დაწყებულ ელექტროსადგურთა მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან მდიდარია ჰიდრორესურსებით, რომელთა ჯამური საშუალო წლიური თეორიული სიმძლავრე 15518 ათას კილოვატს უდრის და შეუძლია გამოიმუშაოს 135,9 მლრდ. კვტ/სთ ელექტროენერგია, ელექტროენერგეტიკა მაინც ყველაზე მეტად იყო ჩამორჩენილი.

1943 წ. ბოლოს დაიწყო ტყვარჩელის ელექტროსადგურის 24 ათასი კილოვატის სიმძლავრის მეორე რიგის მშენებლობა. იგი მწყობრში ჩადგა 1945 წ. დეკემბერში. 1944-1945 წწ. განახლდა ომამდე დაწყებული და შემდეგ შეწყვეტილი ხრამისა და სოხუმის ჰიდროელსადგურების მშენებლობა. საომარი ვითარების გამო შეჩერდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, სამგორის სარწყავი სისტემის და სხვ. მშენებლობანი.

მამაკაცთა ჯარში გაწვევის გამო შემცირდა მათი რაოდენობა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში და გაიზარდა მომუშავე ქალების და ბავშვების რაოდენობა. 1945 წელს მსუბუქ მრეწველობაში ქალების რაოდენობა იყო 75,9%, საფეიქრო მრეწველობაში – 81%, კვების მრეწველობაში – 63,7%. მაღაროებში, ტრანსპორტში, სამხედრო საწარმოებში და სოფლის მეურნეობაში დიდი იყო დასაქმებული ქალების და ბავშვების ხვედრითი წილი. მუშახელის ჯარში გაწვევასთან დაკავშირებული დანაკარგების ასანაზღაურებლად მიმდინარეობდა ადრების მომზადება შრომითი რეზერვების სასწავლებლებში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დაეცა საქართველოს სამრეწველო მუშათა შრომის ნაყოფიერება, თუმცა თავდაცვითი მრეწველობის ცალკეულ საწარმოებში იგი იზრდებოდა. არმიაში მუშათა მასიური წასვლის შედეგად მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებში 50-60% იყო ახლადმოსული.

ომის წლებში დიდად დაზარალდა რესპუბლიკის ტრანსპორტი, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში, სადაც მტრის ავიაციის თავდასხმების შედეგად სატრანსპორტო საშუალებათა დიდი ნაწილი განადგურდა. რკინიგზების მშენებლობა ომის პერიოდშიც არ წყდებოდა.

1941 წ. აიგო სარკინიგზო მაგისტრალის ცხაკაია–სოხუმის მონაკვეთი, ხოლო 1945 წ. გაიხსნა მიმოსვლა ადლერამდე (346 კმ), რითაც დამთავრდა შავი ზღვის მაგისტრალის მშენებლობა. ამავე წელს დამთავრდა ბოჯომი-ვალეს სარკინიგზო უბნის მშენებლობა, შენდებოდა კაჭრეთ-მირზაანის რკინიგზის შტო. მიმდინარეობდა არსებული ქსელის რეკონსტრუქცია და ელექტრიფიკაცია. უკვე 1945 წ. ელექტრიფიცირებული იყო 282 კმ. სულ უფრო მეტად იყენებდნენ სარკინიგზო ელმავლებს. საორთქლმავლო დეპოებში არემონტებდნენ დაზიანებულ ვაგონებს და უკან, ფრონტზე გზავნიდნენ.

ფრონტის შეუფერხებელი მომარაგებისათვის ხორციელდებოდა საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და ახლის მშენებლობა. გაიყვანეს გზატკეცილები: მაიაკოვსკი–საირმე–დიდმაღალა, ჩოხატაური–ბახმარო და სხვ. არემონტებდნენ გზებს საქართველოს სამხედრო, შავიზღვისპირეთის, თბილისი–რუსთავი–წითელი ხიდის და სხვათა მიმართულებით.

სამოქალაქო ავიაციამ მიუხედავად თვითმფრინავების ნაკლებობისა, შეძლო საქართველოს შიგნით და რესპუბლიკათაშორისი მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვა. თბილისის და ქუთაისის საავიაციო-სარემონტო სახელოსნოებმა ასობით სხვადასხვა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი შეაკეთეს.

1943 და 1944 წლებში შავი და აზოვის ზღვის საბრძოლო გემებს და ხომალდებს ძირითადად საქართველოს ნავსადგურებში ჰქონდათ ბაზა. ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურები უზრუნველყოფდნენ ჯარების გადაყვანას და დიდძალი ტვირთების გადაზიდვას. მიმდინარეობდა სანავსადგურო ნაგებობათა მშენებლობის გაფართოებისა და სრულყოფის სამუშაოები. გაიზარდა როგორც შიდა, ისე საექსპორტო და საიმპორტო ტვირთბრუნვა.

ომის წლებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. მანქანა-იარაღების (ტრაქტორები, ავტომობილები), აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტზე გაიგზავნა, რის შედეგადაც დაქვეითდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობა არ ახლდებოდა. სამხედრო დაკვეთებით გადატვირთული მრეწველობა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ვეღარ აწარმოებდა. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან კადრები არმიაში იგზავნებოდა. არსებულ მანქანა-ტარქტორთა სადგურებში ტრაქტორისტებად ძირითადად მუშაობდნენ ქალები და მოზარდები.

ომის წლებში საქართველოში მთლიანად შეწყდა ისეთი ძვირფასი კულტურების ფართობების ზრდა, როგორიცაა ვაზი, ჩაი, ციტრუსები. ყურადღება გადატანილი იყო მრავალწლიანი ნარგავების შენარჩუნებაზე, მაგრამ მუშახელის, ქიმიკატებისა და სამეურნეო აპარატურის უკმარისობის გამო მათ დროულად და ხარისხიანად ვერ უვლიდნენ. ყოველივე ეს კი იწვევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა ჩამორჩენას.

ომის პერიოდში მოსახლეობისა და არმიის სურსათით უზრუნველსაყოფად საქართველოში სისტემატურად იზრდებოდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესები. გადიდდა აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის ნათესებიც. ნათესი ფართობების ზრდა ხდებოდა უმთავრესად ყამირი მიწების ათვისებით და ბუჩქნარების გაკაფვით.

ომის წლებში მნიშვნელოვანი იყო მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტებით არმიის მომარაგება, მაგრამ პრობლემას ქმნიდა მისი სულადობის სიმცირე, საკვები ბაზის სიმწირე, შრომის დაბალი ორგანიზაცია, პროდუქტიული პირუტყვის დეფიციტი. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, დარგი მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა.

ომის წლებში კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად კოლმეურნეობებში იზრდებოდა ძირითადი საწარმოო ფონდები. კოლმეურნეობათა წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1945 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 96,2%-ით.

საომარ ვითარებაში საქართველოს სოფლის მეურნეობამ შეძლო უზრუნველეყო სურსათის შეუფერხებელი მიწოდება არმიისათვის, ხოლო ნედლეულისა – მრეწველობისათვის. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 115 მილიონამდე ფუთი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და ნედლეული ჩააბარეს.

ომის პერიოდში შეიცვალა თავისუფალი ვაჭრობა, შემოღებულ იქნა საბარათო სისტემა და დაწესდა ნორმირებული ვაჭრობა, ომამდელ დონეზე შენარჩუნდა ფასები. საცალო ვაჭრობა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო მოხმარების საგნებით.

შეიქმნა თავდაცვისა და წითელი არმიის ფონდები. საქართველოს მოსახლეობას თავისი პირადი დანაზოგები შეჰქონდა ამ ფონდებში. შენატანებმა 420 მილიონამდე მანეთი შეადგინა. გამოშვებულ იქნა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, რომელიც საქართველოში 2,3 მლრდ. მანეთის ოდენობით იქნა რეალიზებული. ეს თანხაც ომის საჭიროებისთვის იქნა მობილიზებული.

ომის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ხდებოდა მოსახლეობის მობილიზაცია. ქალაქის მოსახლეობა, ასევე მოსწავლეები და მასწავლებლები არდადეგების პერიოდში ვალდებულნი იყვნენ სოფლად ემუშავათ. კოლმეურნეობათა უმრავლესობას ჰყავდა საშეფო სამხედრო ნაწილები, დაწესებულებები და ევაკოჰოსპიტალები, რომელთაც ამარაგებდნენ საკვები პროდუქტებით. საქართველო ამარაგებდა სსრკ-ის სხვა რაიონების მოსახლეობასაც.

ობიექტური მიზეზებით გამოწვეული რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, საქართველოს მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ და სხვა დარგებმა წარმატებით შეძლო ეკონომიკის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა და თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში. ომის შემდგომ საქართველო ოკუპანტებისგან გათავისუფლებულ რაიონებს ეხმარებოდა დანგრეული მეურნეობის აღდგენაში.

2. საქართველოს სსრ ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა

მეორე მსოფლიო ომი ფაშიზმის განადგურებით დამთავრდა. უზარმაზარი იყო სამეურნეო ნგრევის მასშტაბები. სსრ კავშირმა დაკარგა ეროვნული დოვლათის დაახლოებით 30%. ამ ომში 20 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა.

ომის დამთავრებამდე საბჭოთა კავშირი გერმანელთა ოკუპაციისგან გათავისუფლებულ რაიონებში დანგრეული ეკონომიკის აღდგენას შეუდგა. საქართველოდან ამ რაიონების კოლმეურნეობებს 1944 წელს 26 ათას სულზე მეტი პირუტყვი გადაეგზავნა.

საქართველოს ომისშემდგომი განვითარება მოიცავს მეოთხე (1946-1950 წწ.), მეხუთე (1951-1955 წწ.), მეექვსე (1956-1960 წწ.) ხუთწლედებს, შვიდწლედს (1956-1965 წწ.), მერვე (1966-1970 წწ.), მეცხრე (1971-1975 წწ.), მეათე (1976-1980 წწ.) და მეთერთმეტე (1981-1985 წწ.) ხუთწლედებს.

ეკონომიკის აღდგენა სრული მასშტაბით ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1946 წ. მარტში მიიღო კანონი 1946-1950 წწ მეოთხე (ომისშემდგომ პირველი) ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლის ამოცანა იყო ქვეყნის დაზარალებული რაიონების აღდგენა, სახალხო მეურნეობის ომამდელი დონის მიღწევა და მისი გადაჭარბება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1946 წლის აგვისტოში დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წწ. ხუთწლიანი გეგმა. გეგმის მთავარი ამოცანა იყო საქართველოს სახალხო მეურნეობაში ომის შედეგების ლიკვიდაცია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და ამ დონის გადაჭარბება.

გეგმა ითვალისწინებდა საქართველოში მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებასა და ახალი დარგების, კერძოდ, მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობის შექმნას. ეკონომიკის გარდაქმნა და საწარმოთა გა-

დაყვანა სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებაზე უნდა დამთავრებულიყო 1946 წელს.

ომის დამთავრების შემდეგ არმიიდან ყველა დემობილიზებული უზრუნველყოფილ იქნა სამუშაოთი მათი კვალიფიკაციისა და სპეციალობის შესაბამისად.

1946 წლიდან დაიწყო აღდგენითი სამუშაოები, საწარმოთა აღდგენასთან ერთად მიმდინარეობდა მათი რეკონსტრუქცია, მოწინავე ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვა.

აღდგენითი სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ეკონომიკის გარდაქმნაც. რეორგანიზაციამ გარკვეული პერიოდით წარმოების შემცირება გამოიწვია.

საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა ოკუპაციისგან გათავისუფლებული რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. რესპუბლიკიდან იგზავნებოდა ტექნიკა და მასალები მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის, სურსათ-სანოვაგე, სპეციალისტები, კვალიფიციური მუშები და სხვა. მაგ., საქართველოდან კომბაინები გაიგზავნა კრასნოდარის მხარეში.

მეოთხე ხუთწლედში საქართველოში წარმოების ომამდელი დონე მიღწეულ და გადაჭარბებულ იქნა. 1946 წელს საქართველოს მრეწველობამ ძირითადად დაამთავრა წარმოების ომისშემდგომი სამშვიდობო გარდაქმნა, რაც გამოხატებოდა სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლაში. ამ წელს არ შემცირებულა რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, როგორც ეს კავშირის მასშტაბით მოხდა, პირიქით, სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა 9%-ით და 1940 წლის 87% შეადგინა, ხოლო 1947 წელს – 12%-ით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

1948 წელს საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია წინა წელთან შედარებით 19%-ით გადიდდა, ომამდელ დონეს 34%-ით გადააჭარბა და 1950 წლისათვის გეგმის გათვალისწინებული მოცულობის 86,9% შეადგინა. სამრეწველო წარმოების ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა ახალი საწარმოების ამოქმედებამ, როგორიცაა: ქუთაისის მანქანათმშენებელი და თბილისის პლასტმასების ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის და თბილისის ლოკომოტივსარემონტო

საამქროები, ხრამჰესის მეორე აგრეგატი, სოხუმჰესი, ტყიბულის მაღაროები და სხვ. მეოთხე ხუთწლედში სისტემატურად იზრდებოდა მანგანუმის მადნის ამოღება. 1950 წელს 1940 წ.-თან შედარებით სასაქონლო მანგანუმის მადნის ამოღება გაიზარდა 26,8%-ით.

პროდუქციას იძლეოდა თბილისის კერამიკული კომბინატის პირველი რიგი. აიგო და გაფართოვდა ჩაის 18 ფაბრიკა, შენდებოდა კიდევ 15 და ფართოვდებოდა 13 ფაბრიკა, გორში გრძელდებოდა ბამბეულის კომბინატის მშენებლობა.

50-იანი წლების დასაწყისში საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში არ იყო განვითარებული შავი მეტალურგია. 1940 წლის შემოდგომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მეტალურგიული ქარხნის აგების შესახებ, რომლის მშენებლობა ომის დაწყებამ შეაფერხა. 1944 წ. ქ. რუსთავში განახლდა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. 1950 წ. ამოქმედდა მარტენის ღუმელი. სიმძლავრეთა თანმიმდევრულად მწყობრში შეყვანით ამუშავდა ქარხანა მთლიანი ციკლით, 1954 წელს კი დაიწყო თუჯის გამოდნობა. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის განახლებასთან ერთად დაიწყო სამუშაოები ნახშირის მრეწველობის განვითარებისათვის. საქართველოში ნახშირის მრეწველობა ზრდის ტემპებით უსწრებდა საბჭოთა კავშირში ნახშირის მოპოვების ზრდის ტემპებს. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან ერთად გაიშალა მაღაროების მშენებლობა ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში.

ტყიბულისა და ახალციხის ნახშირის ბაზაზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან აიგო თბოელექტროცენტრალი. მისი პირველი აგრეგატი მწყობრში ჩადგა 1949 წელს.

ომის დამთავრებამდე განახლდა ხრამჰესი და დაიწყო ჩიხახევჰესის, ორი მსხვილი თბოელექტროსადგურის, ნახშირის ათამდე მაღაროს, თბილისის ლოკომოტივმშენებელი, ქუთაისის სამთო-სამადარო მანქანათმშენებელი, საავტომობილო ქარხნისა და სხვა ინდუსტრიულ საწარმოთა მშენებლობა. აშენდა თბილისის თბოელექტროცენტრალი, ჩაის 4 ფაბრიკა, ავეჯის ორი ფაბრიკა და სხვ.

მეოთხე ხუთწლედში ელექტროენერგეტიკის სწრაფი ზრდის მიუხედავად, საქართველოში მაინც არსებობდა ელექტროენერგიის დეფიციტი, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკის წინსვლას.

მრეწველობაში შესრულდა მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. მისი მთლიანი პროდუქცია 1950 წელს 1940 წ.-თან შედარებით 56%-ით გაიზარდა და 15,9-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონე.

ომის წლებში გაიზარდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი წარმოების მოცულობა. იგი 1950 წელს ომამდელთან შედარებით გაიზარდა თითქმის სამჯერ.

მეოთხე ხუთწლედში მთავრობა სახსრებს ძირითადად აბანდებდა მძიმე მრეწველობის აღდგენასა და განვითარებაში, რის გამოც მოხმარების საგნების წარმოება ერთგვარად ჩამორჩა. ამ პერიოდში სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საშუალება დიდი სახსრების დაებანდებინა მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებისათვის.

მეოთხე ხუთწლედში გაუმჯობესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, გაძლიერდა მისი მომარაგება ტრაქტორებით, კომბაინებით, ავტომობილებით და ა.შ., აგრეთვე მინერალური სასუქებით. 1950 წლისათვის იყო 67,3%-ით მეტი ტრაქტორი (15 – ცხ. ძალაზე გადაყვანით) და 80,6%-ით მეტი ავტომობილი, ვიდრე 1940 წელს.

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია 1950 წელს 1940 წელთან შედარებით თითქმის 3,3-ჯერ გადიდდა. ამ დროისათვის რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობის 23% და საბჭოთა მეურნეობის 78% ელექტროფიცირებული იყო.

დიდი სამუშაოები ჩატარდა სარწყავი მიწების ფართობების გადიდებისათვის, აიგო კეხვის, სალთვისის, დოეს-გრაკალის, სკრა-ქარელის (აღმ. საქართველოში) და აჯამეთის (დას. საქართველოში) არხები, რომლითაც 30 ათასი ჰა მიწა მოირწყა. დამთავრდა ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია, რომლის საშუალებით 31,1 ათასი ჰა მიწა მოირწყა. სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის პირველი რიგი დამთავრდა 1951 წელს, რითაც 20 ათასი ჰა მიწის მორწყვა გახდა შესაძლებელი. სულ კი მეოთხე ხუთწლედში სარწყავი მიწის ფართობი საქართველოში დაახლოებით ერთი მეხუთედით გადიდდა და 1950 წელს 285,2 ათ. ჰა შეადგინა.

1944 წ. ფართოდ გაიშალა სამუშაოები კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად.

მეოთხე ხუთწლედში მარცვლეულის მეურნეობა ვითარდებოდა ლოზუნგით: „დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება პურზე საკუთარი წარმოებით“. ეს იყო მცდარი აგრარული პოლიტიკა, რასაც შედეგად მოჰყვა ვენახების, ხეხილის ახალი ბაღების, თამბაქოს ფართობების შემცირება, საძოვრების და სათიბების დიდი რაოდენობით გადახვნის შედეგად მეცხოველეობა ფაქტიურად საკვები ბაზის გარეშე დარჩა. მომდევნო ხუთწლედში ამ შეცდომის გამოსასწორებლად ნათესი ფართობები შემცირდა 13%-ით, თუმცა არ შემცირებულა მარცვლეულის წარმოება მისი მოსავლიანობის ამაღლების შედეგად.

მეოთხე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანმა პროდუქციამ ომამდელ დონეს 32%-ით გადააჭარბა, აღსანიშნავია, რომ მთლიანად სსრკ მიხედვით ანალოგიური მაჩვენებელი ომამდელი დონეც კი ვერ იქნა მიღწეული.

დიდი სამამულო ომის პერიოდში შემოღებული საბარათო სისტემის გაუქმება შესაძლებელი გახდა 1947 წელს, რაც ფულის რეფორმასთან ერთად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით განხორციელდა.

ერთიანი სახელმწიფო ფასებით განხორციელდა გაფართოებულ ვაჭრობაზე გადასვლა. ამასთანავე, დაიკლო ფასებმა უმნიშვნელოვანეს სასურსათო საქონელზე.

ფულის რეფორმის აუცილებლობა გამოწვეული იყო მიმოქცევაში ჭარბი ქაღალდის ფულის არსებობით და მისი მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებით. ფულის რეფორმა გატარდა შემდეგნაირად: მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული (რომელიც შემნახველ სალაროებში არ იყო) იცვლებოდა სრულფასოვან ახალ ფულზე თანაფარდობით: ძველი 10 მანეთი – ახალ 1 მანეთზე. შემნახველ სალაროში არსებული ფულის გაცვლა ხდებოდა 3000 მანეთამდე 1:1-ზე, 3000-დან 10000-მდე შემცირდა – 1/3-ით, და 100000 მანეთის ზევით შენატანები შემცირდა ორჯერ.

რეფორმამ განამტკიცა ფულადი სისტემა, გაიზარდა მანეთის მსყიდველობითი უნარი და ხელი შეუწყო მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

გაფართოებულ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლამ, 1947 წლის ფულის რეფორმამ, მეოთხე ხუთწლედში ფართო მოხმარების საქონელზე ფასების შემცირებამ, განაპირობა საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა.

ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით საბჭოთა კავშირმა და მასთან ერთად საქართველომაც, აღდგინა წარმოების ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადააჭარბა მას.

3. საქართველოს ეკონომიკა 50-80-იან წლებში

1951-1955 წწ. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, ჯანმრთელობის დაცვას და კულტურის დონის ამაღლებას.

მეხუთე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანებათა მოცულობამ მეოთხე ხუთწლედს 1,7-ჯერ გადააჭარბა.

საქართველოს სამრეწველო წარმოების ზრდის 1951 წლის გეგმა გადაჭარბებით 108%-ით შესრულდა და მრეწველობის მთლიანი პროდუქტის მოცულობა წინა წელთან შედარებით 13%-ით გადიდდა.

1952-1958 წწ. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მძიმე მრეწველობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგიული, ენერგეტიკული, სათბობის, ქიმიური, საშენ მასალათა, ქაღალდის და ავეჯის, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება. აშენდა 100-ზე მეტი ახალი მსხვილი საწარმო. გაიზარდა სასაქონლო მანგანუმის ამოღება, ფოლადის გამოდნობა და ფეროშენადნობთა წარმოება. გადიდდა ქვანახშირის მოპოვება. გაფართოვდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

მეხუთე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი მოხმარდა მრეწველობასა და ტრანსპორტს.

1955 წელს 1950 წელთან შედარებით სასაქონლო მანგანუმის მადნის ამოღება გადიდდა 61%-ით, ფეროშენადნობის წარმოება – 26%-ით, ფოლადის გამოდნობა – 7,4-ჯერ, ქვანახშირის მოპოვება 57%-ით. აითვისეს ახალი მარკის ნავთობპროდუქტების წარმოება.

ამუშავდა შაორის და სხვა ელექტროსადგურები, გაიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზები, რომელიც აერთიანებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემას.

შავი მეტალურგიის საფუძველი განამტკიცა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციამ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა მილსაგლინავი საამქრო. დაიწყო ფოლადის მილების გამოშვება.

მეხუთე ხუთწლედში მანგანუმის წარმოების განვითარებას აფერხებდა ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მონაკვეთი. 1957 წ. მწყობრში ჩადგა ამ ხაზის ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზა.

ომისშემდგომ პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის და სოფლის მეურნეობის ტექნიკური კულტურების, ციტრუსების, ვენახების მოსავლიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქიმიურ სასუქებს. 1956 წელს ამოქმედდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელმაც დაიწყო საქართველოს, შუა აზიის რესპუბლიკების, ყუბანის და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მომარაგება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს მანქანათმშენებლობამ. 1951 წელს გამოშვებულ იქნა პირველი ქართული ავტომობილი.

საერთო წარმატებების ფონზე ადგილი ჰქონდა ცალკეული საწარმოების და უწყებების მიერ გეგმების შეუსრულებლობის ფაქტებს. აღსანიშნავია ნაკლოვანება მრეწველობის მუშაობაში, კერძოდ, ნელა ინერგებოდა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, არასრულად გამოიყენებოდა წარმოების ზრდის რეზერვები.

1955 წელს საქართველოს მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 105%-ით შეასრულა და 1954 წლის მოცულობას 9%-ით გადააჭარბა.

1953 წელს IX პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ. სოფლის მეურნეობა ჩა-

მორჩებოდა, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.

ობიექტურ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სახელმწიფოს შესაძლებლობა არ ჰქონდა ერთდროულად განვითარებინა მძიმე მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა ომისშემდგომ პერიოდში გამოწვეული იყო იმ უზარმაზარი ზარალითაც, რაც მას მეორე მსოფლიო ომის დროს მიადგა.

სუბიექტური მიზეზები: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის მიერ ირღვეოდა შრომის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რაც გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დაბალი ფასებით და შრომის დაბალი ანაზღაურებით. არადამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა მტს-ების მძლავრი ტექნიკა; კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სპეციალისტთა კადრებით. სოფლის მეურნეობა ზედმეტად ცენტრალიზებულად იგეგმებოდა, რაც ბორკავდა ადგილობრივ ინიციატივას. არ იყო დისციპლინირებული კოლმეურნეთა შრომაც.

დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში 1955 წელს 34,5%-ით მეტი ტრაქტორი და 77%-ით მეტი კომბაინი იყო, ვიდრე 1950 წელს.

სოფლის მეურნეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება 2,2-ჯერ და მეტად გადიდდა. მიუხედავად ამისა 1955 წ. მისი ხვედრითი წილი ელექტროენერგიის მთლიან მოხმარებაში 4,1%-ს არ აღემატებოდა.

მეხუთე ხუთწლედში გაგრძელდა საირიგაციო სისტემის მშენებლობა. ამ წლებში ამუშავდა ზემომაგისტრალური არხი. სამგორისაკენ გაუშვეს მდ. იორის წყალი და დაიწყო თბილისის წყალსაცავის ავსება, გაგრძელდა ტაშისკარის არხის მშენებლობა. აშენდა მუხრანის სარწყავი სისტემა, დაიწყო სამუშაოები სიონის წყალსაცავის ასავსებად. ამ ღონისძიებათა შედეგად სარწყავი მიწის ფართობები უმნიშვნელოდ გადიდდა.

ომისშემდგომ პერიოდში ყოველწლიურად იზრდებოდა კაპიტალდაბანდებანი საქართველოს სოფლის მეურნეობაში, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე კოლმეურნეობათა საკუთარი სახსრების ხარჯზე. ომის წლებში მან შეადგინა 4 მლნ., მეოთხე ხუთწლედში – 53 მლნ., ხოლო მეხუთე ხუთწლედში – 123,8 მლნ მანეთი.

ჩატარდა სამუშაოები მოსახლეობის გადასახლება–დასახლების მიმართულებით. ყოველწლიურად ხდებოდა გადასახლება-დასახლება მცირემიწიან მაღალმთიანი რაიონებიდან უხვმიწიან, დაბლობ რაიონებში, კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში.

მცირემიწიანობა სერიოზულად აფერხებდა მეცხოველეობის განვითარებას საძოვრების სიმცირის გამო. ამიტომ საქართველოს კოლმეურნეობებს გრძელვადიანი სარგებლობისათვის გადაეცა გროზნოს ოლქისა და დაღესტნის ზამთრის საძოვრების ნაწილი.

დიდი ყურადღება ექცეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას. დაწესდა პრემიები ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი, საადრეო და გემრიელი ჯიშების გამოყვანისათვის. შეიქმნა აგროლაბორატორიები.

საკოლმეურნეო მშენებლობაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1950 წლიდან დაწყებული კოლმეურნეობათა გამსხვილება. 1950 წ. 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 3893 კოლმეურნეობა. მათ 25%-ში თვითოეულში გაერთიანებული იყო 50 გლეხურ კომლამდე. მათი გამსხვილების შედეგად შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები და შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაციონალური გამოყენებით კოლმეურნეობებში სამუშაოს მექანიზაციის დონის ამაღლება. გაიზარდა ფულადი შემოსავლები და განუყოფელი ფონდები.

მეხუთე ხუთწლედში რკინიგზის ტვირთბრუნვა გადიდდა 70%-ით, ელექტროფიცირებული ხაზების სიგრძე – 300 კმ-ით. გაუმჯობესდა სატვირთო ავტომობილების გამოყენება. მაგარსაფარიანი საავტომობილო გზის სიგრძე გაიზარდა 500 კმ-ით.

1952-1958 წწ. გრძელდებოდა კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება. გაფართოვდა რადიო მაუწყებლობის ქსელი. წინსვლის მიუხედავად მსუბუქი და კვების მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. არადამაკმაყოფილებელი იყო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაც.

1955 წლის ივლისის პლენუმმა შეიმუშავა გეგმა და მთავარ მიზნად მიიჩნია წარმოებაში არსებულ მოწყობილობათა მოდერნიზაცია და წარმოების ტექნოლოგიის მუდმივი სრულყოფა. კონკრეტული ამოცანები დაუსახა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ჭიათურმანგანუმის ტრესტს, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას და სხვ. ყურადღება გამახვილდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ასევე ელექტროსადგურების სიმძლავრეების გაზრდაზე და მშენებლობის პროცესში მყოფი ელექტროსადგურების ექსპლოატაციაში გადაცემის ვადის დაჩქარებაზე. ასევე დასახა ამოცანები საწარმოში არსებული სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1956-1960 წლებში მიღებული იქნა მეექვსე ხუთწლედის გეგმა, რომლითაც განისაზღვრა მრეწველობის საერთო პროდუქციის 65%-იანი ზრდა. იგი ითვალისწინებდა საწარმოო პროცესების ფართო მექანიზაციას და საწარმოების მთლიანად ავტომატიზაციაზე გადასვლას. ტრანსპორტის დარგში ამოცანად დაისახა რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება. გეგმა ითვალისწინებდა ბინების, სკოლების, ბაღების, საავადმყოფოებისა და სხვ. მშენებლობების კაპიტალდაბანდებათა 67%-ით გაზრდას, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებას და მათი მასობრივი წარმოების დანერგვას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდებას 1,6-ჯერ. მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოების („ა“ ჯგუფი) – 64,5%-ით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოების („ბ“ ჯგუფი) 46,3%-ით ზრდას.

მეექვსე ხუთწლედში უნდა აშენებულიყო ჰიდროელექტროსადგურები; გათვალისწინებული იყო ნახშირის მოპოვების გადიდება ტყიბულსა და ტყვარჩელში, ასევე ქიმიური მრეწველობის სწრაფი ზრდა, კერძოდ, უნდა აეთვისებინათ ახალი სახის ქიმიური პროდუქტების წარმოება.

ამოქმედდა ქიმიური მრეწველობის რამდენიმე ახალი საწარმო, მათ შორის – თბილისის პლასტმასისა და წულუკიძის სინთეზურ მასალათა ნაკეთობების ქარხანა, საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოები. შეიქმნა ქიმიური ინდუსტრიის დარგების – სასუქების, კაპროლაქტამისა და სინთეზური ბოჭკოების წარმოება. დაჩქარდა მინერალური სასუქების წარმოების ზრდის ტემპი.

გეგმა ითვალისწინებდა მანქანათმშენებლობის უპირატეს ზრდას. შესაბამისად უნდა განვითარებულიყო რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობა.

მეექვსე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე საქართველოს მრეწველობაში, სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში კაპიტალურმა დაბანდებებმა 308 მლნ მანეთი შეადგინა. ამავე პერიოდში აიგო და ამოქმედდა 53 მსხვილი სამრეწველო საწარმო, როგორიცაა რუსთავის ცემენტის ქარხანა და ახალი ითხვისის მანგანუმის მადარო ჭიათურაში, ნახშირის მაღაროები ტყვარჩელსა და ახალციხეში, ჭიათურის გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი, ელექტროსადგურები, კვების მრეწველობის ათობით ახალი საწარმო და სხვ.

1954-1958 წწ. შეიქმნა ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემა. 1957 წელს საქართველოს ენერგოსისტემა გაერთიანდა კრასნოდარის ენერგოსისტემასთან.

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელმაც 1957 წელს გამოუშვა პირველი მძლავრი ელმავალი. 1955-1960 წწ. აიგო თბილისის „ელექტროშემდუღებელი“ და „ელექტროგამშვები“ ქარხნები.

1957 წელს საქართველოს მანქანათმშენებელმა საწარმოებმა აითვისეს ახალი სახეობის ჩარხები, მანქანები ჩაის წარმოებისათვის. 1958 წ. გამოუშვეს ელექტროვიბრაციული მანქანა ფხვიერი ტვირთების ტრანსპორტირებისათვის. გადიდდა მშენებლობაში სასაწყობო რკინაბეტონის გამოყენება.

ელექტროტექნიკური მრეწველობის ფორმირება განპირობებული იყო ინდუსტრიული განვითარების აუცილებლობით, გაეუმჯობესებინა საწარმოო პროცესები და შრომის პირობები.

ტრანსპორტის დარგში ამაღლდა რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის აღჭურვის დონე. მოხდა რკინიგზის ელექტრიფიკაცია. ორთქლმავლები შეიცვალა მძლავრი ელმავლებით და თბომავლებით.

ამ პერიოდში დამთავრდა სოხუმი-სოჭის რკინიგზის ელექტრიფიკაცია და ზესტაფონი-ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზის მშენებლობა. მშენებლობაში ინერგებოდა ინდუსტრიული მეთოდები.

მეექვსე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში საქართველოს სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატების ტემპი იყო 8,6% და 1958 წელს 1955 წლის დონეს 28%-ით გადააჭარბა. „ა“ ჯგუფის წარმოება იმავე პერიოდში 35%-ით გადიდდა, ხოლო „ბ“ ჯგუფის – 19%-ით. 1958 წელს 3,4-ჯერ იქნა გადაჭარბებული 1940 წლის სამრეწველო დონე. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობა თავისი განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა სსრკ-ის მრეწველობას.

მეექვსე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე ამოცანად დაისახა მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობის, მეთამბაქოეობის, მეციტრუსეობის და მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება. ძირითადად დამთავრდა სოფლის ელექტრიფიკაცია რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურებით და სახელმწიფო ენერგოსისტემასთან მიერთების გზით.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის განვითარების გზაზე. გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა, განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამაღლდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით.

1958 წელს 1955 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 11,2%-ით, მათ შორის ძროხების – 20,7%-ით, თხის და ცხვრის – 11,4%-ით. გაიზარდა მათი პროდუქტიულობა.

გაიზარდა კვების მრეწველობა. 1958 წელს საქართველოში იყო ჩაის პირველადი დამუშავების 65 ფაბრიკა. კვების მრეწველობაში მეორე ადგილი ეკავა მეღვინეობას. სამარკო ღვინოების წარმოებით საქართველოს პირველი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში. აიგო კვების მრეწველობის სხვა საწარმოებიც.

სკკპ ცკ 1958 წლის თებერვლის პლენუმზე გადაწყდა, რომ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურება მტს-ების მეშვეობით აღარ შეესაბამება საწარმოო ძალთა განვითარების მოთხოვნებს და საჭიროდ მიიჩნია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიყიდვა უშუალოდ კოლმეურნეობებზე, რომელთა უმრავლესობას უკვე შეეძლო მისი ყიდვა და მწარმოებლურად გამოყენება.

კოლმეურნეობებს ტექნიკა მიეყიდებოდათ ნაღდ ანგარიშზე და კრედიტით. მტს-ები გარდაიქმნებოდა სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად, რომელთაც ევალებოდათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურება.

1958 წლის მეტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები. მტს-ებში არ იყო ყველა კოლმეურნეობისთვის საკმარისი ტექნიკა. ამასთან, ყველას არ ჰქონდა ტექნიკის შესაძენად თანხები. დაისვა საკითხი სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს შენარჩუნებოდათ ტექნიკის ნაწილი იმ კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის, რომლებიც ტექნიკას ვერ ყიდულობდნენ.

მტს-ების რეორგანიზაციამ განაპირობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებათა სისტემის შეცვლის აუცილებლობა. ეს დამზადება უნდა განხორციელებულიყო უშუალოდ სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით.

1956-1958 წწ. სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რიცხვი 22%-ით გაიზარდა (15 ცხ. ძალიანზე გადაყვანით) კომბაინების – 77%-ით და ავტომობილებისა – 9%-ით. 1958 წელს ელექტროფიცირებული კოლმეურნეობების ხვედრითი წონა მათი საერთო რაოდენობის 48%-ს შეადგენდა, საბჭოთა მე-

ურნეობების კი 91%-ს. გადიდდა მინერალური სასუქების მიწოდება. 1958 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1940 წელთან შედარებით 1,9-ჯერ და მეტად გადიდდა.

1958 წლიდან საქართველოს პროდუქცია გაჰქონდა სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონებში და 54 ქვეყანაში.

საქართველოს შემოჰქონდა: სხვადასხვა ტიპის ელმავლები, ტროლეიბუსები, ავტობუსები, ტრაქტორები, კომბაინები და მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა პროდუქტები. გაჰქონდა: მანგანუმი, ფეროშენადნობები, თუჯი, ფოლადი, ლითონსაჭრელი ჩარხები, აბრეშუმის, შალის, ბამბეულის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ზეთები, თამბაქო, ღვინო, ჩაი და სხვა პროდუქტები, აგრეთვე საამშენებლო მასალები – მარმარილო, ბოლნისის ოქროსფერი ტუფი და სხვ.

მიუხედავად ეკონომიკის წინსვლისა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმა არ შესრულდა.

სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობამ 1959 წელს მიიღო სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა.

შვიდწლიანი გეგმა ისახავდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ყველა დარგის აღმავლობას, სადაც პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო მძიმე ინდუსტრიის ზრდა, ასევე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

შვიდწლედში საქართველოს სსრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობა 80%-ით უნდა გადიდებულიყო, აქედან მრეწველობის „ა“ ჯგუფში – 25%-ით, ხოლო „ბ“ ჯგუფში – 62-65%-ით. ამჯერადაც მძიმე ინდუსტრია უპირატესად უნდა განვითარებულიყო.

რაც შეეხება რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ ბაზას: ნახშირის ამოღება შვიდწლედში 26%-ით უნდა გაზრდილიყო, განვითარულიყო ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება და სხვ.

გეგმის შესრულება დაიწყო უკვე 1959 წელს. ნაცვლად გეგმის 6%-ისა მრეწველობის პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით 8%-ით გადიდდა. მაღალი ტემპით იზრდებოდა მანქანათმშენებლობა, საშენმასალათა და ქიმიური მრეწველობა. მწყობრში ჩადგა 13 მსხვილი სამრეწველო საწარმო. ათვისებულ იქნა 55 ახალი სახეობის მანქანის გამოშვება. წარმოებები გადავიდნენ ბუნებრივი გაზის გამოყენებაზე.

ელექტროენერგეტიკა მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. საქართველოში ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდა ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯზე ხდებოდა. ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ეკონომიკის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ დაისვა საკითხი დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურების აშენების შესახებ. ასეთი იყო თბილისის რაიონული თბოელექტროსადგური და ენგურჰესი. პირველის მშენებლობა 1960 წელს დაიწყო, რომლის პირველი აგრეგატი 1963 წელს ამუშავდა, ხოლო უკანასკნელი – მერვე ბლოკი – 1972 წელს. ენგურჰესის მშენებლობა დაიწყო 1962 წელს და მხოლოდ 1980 წლისათვის ამოქმედდა მთელი სიმძლავრით. მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 2-ჯერ აღემატებოდა 1960 წლისთვის საქართველოში გამომუშავებულ მთელ ელექტროენერგიას. 1959-1965 წლებში ელექტროფიცირებული იქნა რკინიგზის გორი–ცხინვალის, ნავთლუღი–ლილოს, ნავთლუღი–გურჯაანის და სხვა უბნები.

საქართველოს სათბობის ბაზის გაუმჯობესება დამოკიდებული იყო 1958 წ. დასახული გაზსადენის გაყვანის დასრულებასა და თბილისის და რუსთავის გაზიფიკაციაზე. 1959 წლის ნოემბერში ამოქმედდა გაზგამანაწილებელი სადგურები თბილისსა და რუსთავში. 1963 წელს ამოქმედდა ორჯონიკიძე–თბილისის გაზსადენი.

მთლიანად შვიდწლედში საქართველოს სათბობი მრეწველობა ძლიერ არ გაზრდილა. 1965 წ. მისი პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 13%-ით აღემატებოდა 1958 წლის დონეს. საქართველოს ნავთობის ძიებას არსებითი შედეგი არ მოუტანია. უმნიშვნელო იყო ნავთობის მოპოვება, ხოლო მისი თვითღირებულება – მაღალი. ხშირი იყო ავარიები და სხვ.

1958 წელი მნიშვნელოვანი იყო ჭიათურის მანგანუმის მადნის მოპოვებაში. შვიდწლედის პირველსავე წლებში აიგო ახალი მაღაროები: ახალი ითხვისი, დარკვეთი, მღვიმე–ხრამი, ზედა რგანი, ასევე ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები.

მუშაობის სისტემატური გაუმჯობესების შედეგად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ზარალი შვიდწლედში შემცირდა 8-ჯერ. საქართველოს შავი მეტალურგიის მთლიანი პროდუქცია 46%-ით გაიზარდა. შვიდწლედის ბოლოს თუჯის გამოდნობით საქართველო სსრ კავშირის მასშტაბით იყო მეოთხე ადგილზე, ხოლო ფოლადის გამოდნობით – მესამეზე.

1965 წელს საექსლოატაციოდ გადაეცა რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი. მისი ამუშავებით საქართველოში შეიქმნა ქიმიური ინდუსტრიის ახალი დარგი.

1959 წ. დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი დიდი საბადოს – მადნეულის კომბინატის მშენებლობა.

გაიზარდა საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები, რაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებასა და სწავლას.

შვიდწლედში პირველი 3 წლის მანძილზე საქართველოს სამრეწველო წარმოება გადიდდა 21%-ით, სსრკ-ში კი – 33%-ით. საქართველო კვლავ ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებლებს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებისა და ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქციის წარმოების მიხედვით, ამასთან ზრდის დაბალი ტემპები თვით ბეგმით იყო განსაზღვრული.

აშკარაა, რომ დაგეგმვის მეთოდები, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერად იცვლებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების პროპორციები, არ ითვალისწინებდა წარმოების რეალურ მასშტაბებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება შვიდწლედში 2,8-ჯერ გაიზარდა. შვიდწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. ტრაქტორების რაოდენობა 1965 წელს 2,2-ჯერ მეტი იყო სოფლის მეურნეობაში, ვიდრე 1958 წელს. იმავე პერიოდში სატვირთო ავტომობილების რაოდენობა 14,3%-ით გაიზარდა.

დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ საქართველოს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში. შვიდწლედში ქიმიური სასუქების მიწოდება გაიზარდა 55,3%-ით.

მიუხედავად ამისა, შვიდწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პრდუქცია ისე, როგორც საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მხოლოდ 15%-ით გაიზარდა. ამასთან შვიდი წლიდან ოთხი წლის განმავლობაში (1959, 1960, 1961, 1963 წწ.) უფრო ნაკლები პროდუქცია იწარმოებოდა, ვიდრე 1958 წელს.

სკკპ ცკ 1965 წ. მარტის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა შედეგად დაჩქარდა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება. უკვე 1965 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით) წინა წელთან შედარებით 13,5%-ით, ხოლო 1966 წელს 1964 წელთან შედარებით 22,1%-ით გაიზარდა.

შვიდწლედში გაფართოვდა მრავალწლიან კულტურათა ნარგავები და ამაღლდა მათი მოსავლიანობა. 1959-1965 წწ. ციტრუსოვანთა საშუალო წლიური მოსავალი 84,2%-ით აღემატებოდა შვიდი წლის წინანდელ მაჩვენებელს, ჩაის ფოთლის – 52,7%-ით, ყურძნის – 9%-ით და მხოლოდ ხილის საშუალო წლიური მოსავალი შემცირდა 5,5%-ით. ეს გამოწვეული იყო უმთავრესად მისი მოსავლიანობის დაქვეითებით.

შვიდწლედში საქართველოს პირუტყვის სულადობა წლების მანძილზე მცირდებოდა კიდეც. მიუხედავად ამისა, 1965 წელს ძროხების, ცხვრების და თხის სულადობა აღემატებოდა 1958 წლის დონეს, შემცირდა მხოლოდ ღორის სულადობა.

შედარებით მნიშვნელოვანი იყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა, რაც უმთავრესად პროდუქტიულობის ამაღლებით განხორციელდა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით რესპუბლიკაში სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცა, რომ მოსახლეობისგან აღარ შეესყიდა რძე – 1965 წლიდან, კვერცხი – 1967 წლიდან და შეემცირებინა ხორცის შესყიდვა.

1966 წელს რესპუბლიკაში არსებობდა 173 საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც 1965 წლიდან რენტაბელურნი გახდნენ. გაიზარდა მათი როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქალაქების მომარაგებაში.

მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, შვიდწლედის ბოლო წლებში რამდენადმე შემცირდა ეროვნული შემოსავლისა და პროდუქციის მოცულობა.

მრეწველობის „ბ“ ჯგუფის ჩამორჩენა რამდენადმე განპირობებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ნელი ტემპით, რის შედეგად ჩამორჩა მსუბუქი და კვების მრეწველობა სანედლეულო ბაზის სივიწროვის გამო, სათანადოდ ვერ განვითარდა აგრეთვე ქიმიური და საშენმასალათა მრეწველობაც.

შენელდა კაპიტალური მშენებლობაც. ფერხდებოდა სიმძლავრეთა ამოქმედება და მათი ათვისება, დაგვიანებით ინერგებოდა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რამაც შეანელა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მრეწველობაში.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის 62%-ით გადიდებას. გაიზარდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, რამაც შვიდწლედში 88% შეადგინა. 1960 წელს დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის 7 და 6 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანა. სახელმწიფო საბინაო ფონდი გაიზარდა 40%—ით.

1956-1965 წლებში საქართველოში გაუმჯობესდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა 5475 ერთეულით, ანუ 41,1%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საქართველო ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებლებს. წლების განმავლობაში ვერ სრულდებოდა საცალო საქონელბრუნვის გეგმები. გაიზარდა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მიმოქცევის ხარჯები და შემცირდა მისი რენტაბელობა. შვიდწლედში ვაჭრობას ჰქონდა თავისებურებანი: საქონელბრუნვის დაბალი ტემპი; საქონელბრუნვაში საკოლმეურნეო ვაჭრობის დიდი ხვედრითი წილი; საქონელბრუნვის სტრუქტურაში სასურსათო საქონლის სიჭარბე; რენტაბელობის შემცირება და სხვ.

ეკონომიკის განვითარების შეფერხების მიზეზი იყო ეკონომიკის ცენტრალიზებული და არა კომპეტენტური მართვა, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკას მართავდნენ არა ეკონომიკური მეთოდებით, სამეურნეო ანგარიშის პრინციპით, არამედ ადმინისტრაციულ-დირექტიული პრინციპით, სადაც იგნორირებული იყო მატერიალური დაინტერესება და კერძო საკუთრების როლი. არსებობდა სუბიექტური მიდგომა ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისადმი, სამეურნეო-ეკონომიკური პროპორციების თვითნებური შეცვლა, მეცნიერული დასკვნების უგულებელყოფა და სხვ.

სკკპ ცკ IX (1965 წ.) პლენუმმა შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა ეკონომიკის წამყვანი დარგების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების, ასევე ეკონომიკის მართვის გაუმჯობესებისათვის.

მიიღო გადაწყვეტილება – მრეწველობის დარგობრივი მართვის პრინციპზე გადასვლის შესახებ, რის საფუძველზეც გაუქმდა სახალხო მეურნეობის საბჭოები და მრეწველობის მართვა დარგობრივ სამინისტროებს დაევალათ.

ამ ღონისძიებებმა მიიღო ეკონომიკური რეფორმის სახელწოდება. ამ რეფორმის არსი ის იყო, რომ სამეურნეო მართვა უნდა გადასულიყო ეკონომიკურ მეთოდებზე, რათა უფრო სრულად ყოფილიყო გამოყენებული ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიცაა ფასი, მოგება, კრედიტი, საწარმოთა წახალისების ფონდი და სხვ.

1965 წლის სექტემბრის პლენუმი ითვალისწინებდა დაგეგმვის სრულყოფასა და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებას, ასევე წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფად დანერგვის შესაძლებლობას, რაც დააჩქარებდა ქვეყნის სამრეწველო განვითარების ტემპებს.

1966-1970 წწ. მიღებულ იქნა მერვე ხუთწლიანი გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას და შექნილი დისპროპორციის დაძლევას.

ამ პერიოდში საქართველოში გაუმჯობესდა ენერგეტიკული ბალანსი, გაფართოვდა საავტომობილო, ელექტროტექნიკური, კვების და სხვ., გაიზარდა დარგების პროდუქციის ასორტიმენტი. შეიქმნა ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების ბერკეტები, აითვისეს გამომთვლელი

ტექნიკის საშუალებათა წარმოება. განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ტემპები არ იყო საკმარისი, ჭიანურდებოდა ახალ სიმძლავრეთა ათვისება-ამოქმედება, სათანადო ტემპით არ ინერგებოდა წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, არასრულფასოვნად იყენებდნენ მატერიალურ და მორალურ სტიმულებს და ა.შ.

მერვე ხუთწლედში განვითარდა შავი მეტალურგია, გაფართოვდა მანგანუმის მადნის მოპოვება, შავი ლითონისა და ფოლადის მილების წარმოება. რაც შეეხება საშენ მასალათა წარმოებას, იგი გადიდდა 50%-ით.

1965-1970 წწ. გაიზარდა მსუბუქი მრეწველობაც, კერძოდ საფეიქრო წარმოება. ამ პერიოდში ქვეყანა აწარმოებდა ბამბის, შალის, აბრეშუმის ქსოვილებს. ძირითადი პროდუქციის მოცულობა აღემატებოდა წინა ხუთწლების მაჩვენებელს, რომლის მოცულობაც 1,7-ჯერ გაიზარდა.

კვების მრეწველობის დარგთა უმრავლესობა ადგილობრივ სანედლეულო ბაზას ემყარებოდა და მათი პროდუქციის რაოდენობაც უმთავრესად ნედლეულის რესურსების გადიდების შესაბამისად იზრდებოდა. ომისშემდგომ პერიოდში კვების მრეწველობის პროდუქციის სახეობებიდან ყველაზე მეტად გაიზარდა ყველის, კონსერვების, ჩაის, შამპანური ღვინოების, შაქრის და სხვ. წარმოება. 1965-1970 წწ. მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 1,6-ჯერ.

1965 წლის პლენუმმა სათავე დაუდო ახალ კურსს სოფლის მეურნეობაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია განისაზღვრა ძირითადად: მეჩაიეობით, მეღვინეობით, მეციტრუსეობით, მეხილეობითა და მეთამბაქოეობით. ეს პროდუქცია განსაზღვრავდა ქვეყნის აღგილს შრომის საკავშირო დანაწილებაში.

60-იან წლებში საქართველოში შენელდა სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი, რაც აფერხებდა მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. 1970 წ. დამშრალი მიწების ფართობმა შეადგინა 139 ათასი ჰა, ხოლო სარწყავი მიწებისა – 347 ათასი ჰა. მეცხოველეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 30%-ს აღწევდა.

60-იან წლებში დიდად არ გაუმჯობესებულა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ტექნიკური შეიარაღება და ქიმიზაცია. გაფართოვდა მექანიზატორთა კადრების მოსამზადებელი ქსელი. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა დიდად ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებელს. ეს კი გამოწვეული იყო დაბალი შრომის ნაყოფიერებით.

1966-1970 წწ. საქართველოს ქიმიურ მრეწველობას შეემატა რამდენიმე ახალი საწარმო, რის შედეგადაც ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 2,9-ჯერ გაიზარდა. განვითარდა საშენ მასალათა მრეწველობა.

დამტკიცდა 1971-1975 წწ. მეცხრე ხუთწლიანი გეგმა. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა წინ წავიდა, თუმცა იგი ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებლებს. შემცირდა მრეწველობის წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. დაბალი ტემპით ვითარდებოდა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, მეტალურგია და ელექტროტექნიკა. მრეწველობაში მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრითი წილი აღწევდა თითქმის 60%-ს.

ჩამორჩებოდა კაპიტალური მშენებლობაც. ადგილი ჰქონდა მშენებლობის გაჭიანურებას, რის გამო იზრდებოდა დაუმთავრებელი ობიექტების, რაოდენობა. ნელი ტემპით ვითარდებოდა საშენ მასალათა და კონსტრუქციათა მრეწველობა, არადამაკმაყოფილებელი იყო მშენებლობის ხარისხი, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის. მიუხედავად იმისა, რომ დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიები რკინა-ბეტონის, ბეტონის კონსტრუქციების და საკედლე მასალების წარმოებაში ეს დარგი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. აგურის წარმოება შემცირდა 7%-ით, კირის კი – 12%-ით. საქართველოს არ გააჩნდა ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვების და დამუშავების თანამედროვე კარიერები. საჭირო იყო საწარმოთა მუშაობის რადიკალური გარდაქმნა.

1971-1972 წლებში ეკონომიკის მართვის არაეფექტურმა, მანკიერმა მეთოდებმა განაპირობა მრეწველობის ჩამორჩენა. ნელი ტემპით მიმდინარეობდა მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გან-

ვითარება. მრეწველობის რიგ დარგებში დიდი იყო ხელით შრომის ხვედრითი წილი. მექანიზაციის დაბალი დონე აფერხებდა შრომის ნაყოფიერების ზრდას. განსაკუთრებით დაბალი ტემპით ვითარებოდა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგიული და ელექტროენერგეტიკა. წარმოებას მძიმე ტვირთად აწვა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანები და მოწყობილობანი.

მეცხრე ხუთწლედში კვლავ დაიწყო მცდელობა საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის. შეიქმნა 281 ტიპის ახალი მექანიკური და ავტომატური მანქანა-მოწყობილობა. აითვისეს 400 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქცია, წარმოებიდან მოიხსნა 66 სახეობის მოძველებული კონსტრუქციის მანქანა.

განვითარდა ელექტროენერგეტიკა, გაიზარდა მისი სიმძლავრე. ამუშავდა ენგურჰესის პირველი აგრეგატები, დაიწყო ვარციხის, ჟინვალის და სხვ. ჰესების მშენებლობა. უპირატესი ადგილი დაიკავეს თბოელექტროსადგურებმა.

მეცხრე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და მაღაროების მშენებლობის გაჭიანურების გამო შემცირდა ქვანახშირის ამოღება. გაიზარდა ნავთობის მოპოვება და შეიქმნა ამ დარგის განვითარების პერსპექტივები. ფართოდ გაიშალა ბუნებრივი გაზის საძიებო სამუშაოები.

ხუთწლედის პირველ ორ წელს შემცირდა შავი მეტალურგიის პროდუქციის საშუალო წლიური მატების ტემპი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პროდუქციის შემცირების გამო შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ მეორე ნახევარში ვითარება შეიცვალა.

ხუთწლედის მეორე ნახევარში გაიზარდა ჭიათურის მანგანუმის ამოღება. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამუშავებით დაწინაურდა ფერადი მეტალურგია. ადგილობრივი მერქნის დამზადების შეზღუდვის გამო შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. მიუხედავად დაბალი ტემპისა, ეს დარგი ასე თუ ისე ვითარდებოდა.

მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან დაჩქარდა ქიმიური მრეწველობის განვითარება. პროდუქციის წარმოება გაიზარდა 60,3%-ით. რუსთავის ქიმიური კომბინატი გარდა სასუქებისა აწარმოებდა სინთეზურ ბოჭკოს. ყოველწლიურად იზრდებოდა მინანქრის, შაბიამნის და ბარიტის კონცენტრატების წარმოება.

ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, რომლის პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპი გაიზარდა 14%-ით.

სოფლის მეურნეობაში დამკვიდრდა სამეურნეო ანგარიშის სისტემა. სამუშაოთა მექანიზაციას ხელს უწყობდა სოფლის ელექტრიფიკაცია: გაფართოვდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ქსელი. შემცირდა შრომატევადი და მძიმე სამუშაოები, განსაკუთრებით მეცხოველეობაში, კერძოდ, ძირითადად მექანიზებული გახდა ფერმების წყლით მომარაგება, ვენტილაცია, მაცივრების მუშაობა, საკვების დამზადება, ცხვრის პარსვა, სანიტარული და სხვ. თუმცა კვლავ არსებობდა მცირე ზომის, არამექანიზებული ფერმები.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მოსავლიანობის ზრდა შესაძლებელი გახდა მიწათმოქმედების მექანიზაციითა და მინერალური სასუქების გამოყენებით, რამაც გაზარდა საჭექტარო მოსავლიანობა.

ტარდებოდა სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოები, მაგრამ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა, რის გამოც ეს მიწები კვლავ უვარგისი და გამოუყენებელი რჩებოდა.

გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები. მიმდინარეობდა ნათესი ფართობების სტრუქტურული ცვლილებები. მარცვლეულის ნაცვლად გაიზარდა ტექნიკური კულტურების ფართობები და ამ კულტურების ხვედრითი წილი.

მეათე (1976-1980 წწ.) და მეთერთმეტე (1981-1985 წწ.) ხუთწლედში შემუშავდა ღონისძიებანი, რის შედეგადაც ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციის და ტექნიკური გახლების ხარჯზე მთლიანი პროდუქციის მატებამ შეადგინა 850 მლნ. მანეთი. გაუმჯობესდა რესპუბლიკის ადგილობრივი წარმოება, განვითარდა ელექტროენერგეტიკა.

ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა და მაღალი ძაბვის ხაზების მშენებლობის ზრდამ განაპირობა ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, აამაღლა წარმოების კულტურა და მისი ეფექტიანობა.

განვითარდა საქართველოს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. გაუმჯობესდა ყველა სახის ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი მუშაობა. რკინიგზის სიგრძე არ გაზრდილა, თუმცა გადიდდა რკინიგზის გამტარუნარიანობა და ტვირთბრუნვა, რომლის ხვედრითი წილი აღემატებოდა ყველა სახეობის ტრანსპორტის ხვედრით წილს, ხოლო მგზავრთა გადაყვანით საავტომობილო ტრანსპორტმა პირველი ადგილი დაიკავა. გაიზარდა ავტომობილების პარკი.

ამ პერიოდში განვითარდა საქართველოს სამოქალაქო ავიაცია და საზღვაო ფლოტი. სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავების პარკი შეივსო ახალი თვითმფრინავებით. ფოთში დაიწყო ახალი საზღვაო ვაგზლის მშენებლობა. გაიზარდა ნავსადგურების გამტარუნარიანობა.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობათა მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მუდმივი ზრდის შედეგად აშენდა და კოლმეურნეობებს საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმები, ფაბრიკები და საწარმოო კომპლექსები. სოფლის ელექტრიფიკაციამ გააუმჯობესა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის ხარისხი და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, თუმცა იგი კვლავ ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენა გამოწვეული იყო მისი ფონდაღჭურვის დაბალი დონითა და არსებული ფონდების არასრულფასოვანი გამოყენებით. ამ მხრივ რესპუბლიკა ერთ–ერთ უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა სსრ კავშირში. იყო მცდელობა ვითარების გამოსასწორებლად, თუმცა მრავალი პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა.

ვაჭრობაშიც არსებობდა პრობლემები, რომელსაც განაპირობებდა მრეწველობის მიერ უხარისხო პროდუქციის წარმოება. ამის გამო ჭირდა საქონლის რეალიზაცია და სწრაფი ტემპით იზრდებოდა გაუსაღებელი საქონლის მარაგი. ეკონომიკის სხვა

დარგებთან შედარებით, ყველაზე მძიმე ვითარება შეიქმნა ვაჭრობის სფეროში. აქ მრავალი წლის განმავლობაში ირღვეოდა კანონი, არსებობდა მექრთამეობა, ფულის გამოძალვა, გაფლანგვა, მოტყუება და კანონის სხვა უხეში დარღვევა.

თუ ზოგადად შევაფასებთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის პერიოდს, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სოციალისტური ეკონომიკური პოლიტიკის მრავალი ნაკლოვანებებისა საქართველოს ეკონომიკა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საკმაოდ წინ წავიდა. საბჭოთა ეკონომიკის აღმავლობა ენთუზიაზმისა და მკაცრი ადმინისტრირების პირობებში მხოლოდ 3-4 ათეული წელი გრძელდებოდა, შემდგომ პერიოდში წარმატებული სტარტის ინერციით ინარჩუნებდა არსებობას. 80-იან წლებში კი აშკარა გახდა გარდაუვალ დემოკრატიზაციის პროცესებთან დირექტიული ეკონომიკის შეუსაბამობა. ეკონომიკა შევიდა ჩიხში და ქაოსური გახდა, რამაც დააჩქარა მისი სრული კრახი.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკონომიკა კრიზისის ფაზაში შევიდა. 90-იანი წლების მიჯნაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღრმა კრიზისმა მოიცვა.

არაბუნებრივი გზით მიმავალი საქართველოს ეკონომიკის თვალსაჩინო მაგალითია მისი დარგობრივი სტრუქტურა, მათი ფუნქციონირების და მართვის მეთოდები. ეკონომიკის განვითარების სქემით პრიორიტეტები განისაზღვრებოდა არა საქართველოს ინტერესების და მისი კონკრეტული პრობლემების გათვალისწინებით, არამედ იგი ექვემდებარებოდა საბჭოთა იმპერიის ერთიან ეკონომიკურ კურსს.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვალდებული იყო აქ წარმოებული პროდუქციის 80-95% რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანა საკავშირო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ცენტრალური მმართველი ორგანოების დადგენილებების შესაბამისად სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ პროდუქციის უდიდესი ნაწილი.

1990 წ. მონაცემებით საქართველოში წარმოებული პროდუქციიდან გაზიდული პროდუქტების ხვედრითმა წონამ ცალკე-

ული სახეობების მიხედვით შეადგინა: მანგანუმის შენადნობის – 78,3%, ფოლადის მილების – 95,4%, მეორადი ლითონების – 88%, ბამბის ქსოვილების – 74,8%, აბრეშუმის ქსოვილების – 72,5%, ტრიკოტაჟის ნაწარმის – 79,7%, კონიაკის – 90,9%, ღვინის – 60%, ჩაის – 99,7%, დაკონსერვებული ხილბოსტნეულის – 80%. იმავე წელს შემოტანილ იქნა ქვეყანაში მოხმარებული შავი ლითონების: ნაგლინის 68% (1985 წ. – 90%), ფოლადის მილების – 86%, დახერხილი ხე-ტყის მასალების – 70%, ბამბის ქსოვილების – 92%, აბრეშუმის ქსოვილების – 83,2%, ბამბის ნართის – 100%, შაქრის ფხვნილის – 85,3%, ნატურალური ჩაის – 93,3%, სიგარეტის – 80%, ხორცის – 40%, კარაქის – 97%, მარცვლეულის – 73%. საბოლოოდ, ძირითადი პროდუქტების წარმოება და მოხმარება ერთმანეთს აბალანსებდა, მაგრამ წარმოებული პროდუქციის გაზიდვა და მისი კვლავ უკან შემოზიდვის ეკონომიკური აბსურდის არსი მდგომარეობს თვით სსრ კავშირის ეკონომიკური პოლიტიკისა და ზოგადად პოლიტიკის აბსურდულობაში. საქართველო, როგორც მოდერნიზებული რუსული იმპერიის ქვემდებარე სუბიექტი ვალდებული იყო თავისი ბუნებრივი, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების დიდი ნაწილი საბჭოთა იმპერიის მოთხოვნილების შესაბამისად წარემართა. ანუ, სსრ კავშირის ეკონომიკასთან სრული ინტეგრაციის გამო, მისი კონკრეტული ეკონომიკური ინტერესები იგნორირებული იყო, მას არ შეეძლო ჰქონოდა განვითარების საკუთარი პროგრამა. ამით იყო განპირობებული წარმოებული პროდუქციის ჯერ გაზიდვა და შემდეგ მისი ნაწილის შემოზიდვა. გაზიდვა-შემოზიდვის 60-70% მოდიოდა მხოლოდ რუსეთზე. ამგვარ ეკონომიკურ ინტეგრაციას, გარდა ეკონომიკური მიზნებისა, საფუძვლად ედო პოლიტიკური ზრახვანი, რომ არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას და მათ შორის საქართველოსაც, არ ჰქონოდა დამოუკიდებლად, ავტონომიურად ფუნქციონირების უნარი. ეს დადასტურდა სსრ კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, როდესაც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გაწყდა იძულებითი ხასიათის საწარმოო-ეკონომიკური კავშირები, რომელიც არ შეესაბამებოდა თითოეული მათგანის რეალურ ეკონომიკურ ინტერესებს.

4. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა პოსტსაბჭოთა პერიოდში

80-იანი წლების ეკონომიკურმა კრახმა სსრ კავშირში, ხოლო 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამ და დამოუკიდებლობის აღიარებამ, რასაც მოჰყვა ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევა, შექმნა სრულიად ახალი ეპოქა ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

სსრ კავშირის არსებობის პერიოდში მრავალი წარმატება იქნა მოპოვებული, მაგრამ პარალელურად პრობლემებიც გროვდებოდა, რომელთა გადაჭრა შეუძლებელი იყო იმ სისტემის პირობებში, რომელიც თავად ქმნიდა გარდაუვალი საყოველთაო კრიზისის ნოყიერ ნიადაგს და რომლის ლოგიკური შედეგი უნდა ყოფილიყო ეკონომიკის სრული კრახი. კერძოდ, სსრ კავშირის არსებობის მანძილზე ფეხზე ვერ დადგა სოფლის მეურნეობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფაქტიურად არ ხდებოდა შრომის ანაზღაურება და იძულებას ეფუძნებოდა. ქრონიკულად არსებობდა სურსათისა და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის დეფიციტი. გაბატონებული იყო საყოველთაო კორუფცია, არნახული მასშტაბები მიიღო სახელმწიფო ქონების დატაცებამ, რაც ცხოვრების წესად იქცა არა მარტო სახელისუფლებო და სამეურნეო მმართველობისთვის, არამედ რიგითი ადამიანებისთვისაც.

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დაუძლეველ სენად იქცა მართვის ბიუროკრატიზაცია, არაეფექტური დაგეგმვის სისტემა. ხშირად საწარმოებს უგეგმავდნენ გამოეშვათ ისეთი პროდუქცია, რომელზედაც მოთხოვნილება არ არსებობდა. დიქტატი ზემოდან, რომელიც ყველგან და ყველაფერში ბატონობდა ხელ-ფეხს უბორკავდა საწარმოთა ხელმძღვანელობის ინიციატივას.

ამას შედეგად მოჰყვა „გარდაქმნა“, რომლის დროსაც იყო მცდელობა მინიმუმამდე დაეყვანათ დირექტიულ ორგანოთა

რაოდენობა და საწარმოთათვის მიეცათ გარკვეული ზომით თავისუფლება. ამას ეწინააღმდეგებოდა ბიუროკრატიული ზედაფენა, ამ წინააღმდეგობის დასაძლევად წარმოიშვა ცხოვრების დამოკრატიზაციის მოთხოვნილება, ხოლო დემოკრატიზაცია სრულიად შეუთავსებლი აღმოჩნდა სოციალიზმის საბჭოურ მოდელთან. ამ პროცესს მოჰყვა არსებული სისტემის ნგრევა, თანაც ისე სწრაფად, რომ შეუძლებელი გახდა ამ პროცესის მართვა, შედეგად შეიქმნა საყოველთაო ქაოსისა და ანარქიის ატმოსფერო. მართვის ძველი მოდელი ისე მოიშალა, რომ ახლის გააზრება და შექმნა ვერ მოესწრო. ამან კი ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მკვეთრი ეკონომიკური დაქვეითება გამოიწვია.

საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ამ მოულოდნელად აზვირთებულ პროცესებს და ამიტომ ადმინისტრაციულ-ცენტალიზებული სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გარდამავალი პერიოდი მეტად მტკივნეულად წარიმართა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლება საბოლოოდ დასუსტდა, და ვედარ ფლობდა მართვის სადაგეებს. საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ საბჭოური ქვეყნებიდან, რომელმაც აღიდგინა სახელმწიფოებრიობა.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, სადაც ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერით გადაიდგა ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით საქართველოს მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა არა მარტო დამოუკიდებლობის, არამედ საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდაც.

ქვეყანაში გრძელდებოდა ანარქიული პროცესები. ჩვეულებრივი გახდა სამუშაო საათებში მიტინგების მოწყობა, დემონსტრაციები, სარკინიგზო და საავტომობილო გზების პიკეტირება და სხვა ეკონომიკისათვის დამანგრეველი აქციები. შემდეგ უკვე ეროვნული ხელისუფლების მიერ ქვეყნის თვითიზოლაციაში მოქცევით პარალიზებული იყო მთელი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება, მთლიანად მოიშალა სამუშაო და სასწავლო პროცესი. ამას დაემატა საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკუთრების მასობრივი დატაცება, როდესაც თვით ხელისუფლებაც ძარცვავდა სახელმწიფო ქონებას და ხაზინას. ქვეყანა ფაქტიურად ლოზუნგებით იმართებოდა, არსებულ უკიდურეს ინტერნაციონალიზმს უკიდურესი ნაციონალიზმი ჩაენაცვლა.

ხელისუფლებამ მოსვლისთანავე 1990 წელს დაიწყო საომარი მოქმედებანი ცხინვალის რეგიონში, სადაც დასუსტდა რა საქართველო, თავი იჩინა სეპარატიზმმა. რასაც არ შეიძლებოდა საგალალო ზემოქმედება არ მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკაზე.

ხელისუფლებამ ვერ შეძლო ნორმალური ურთიერთობის დამყარება ოპოზიციასთან, რასაც მოჰყვა ვითარების უკიდურესად დაძაბვა. ამან კი ქვეყანა ჯერ სახელმწიფო გადატრიალებამდე, შემდეგ კი სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. სახელმწიფო ქონების ძარცვის პარალელურად საომარი მოქმედების ზონაში და მთელ რიგ რეგიონებში (განსაკუთრებით სამეგრელოში) ფართო მასშტაბი მიიღო მოსახლეობის ძარცვამ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა ყაჩაღობა და შეიარაღებული ბანდების თარეში.

სოჭი–თბილისი სომხეთსაკენ გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის ბლოკადამ, ბაქო–ბათუმის ნავთობსადენისა და სხვა გაზსადენის გადაკეტვამ, რომლებშიც ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივი აირი გადიოდა, ამიერკავკასიის გზების ხშირმა ჩაკეტვამ ცხადყო არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკის მჭიდრო დამოკიდებულება რუსეთზე. ენერგიის, საკვები პროდუქტებისა და სამრეწველო ნედლეულის გარეშე, რომელიც სსრკ-ის რესპუბლიკების მიერ მიეწოდებოდა ან თვითონ გაჩქონდათ ამ რესპუბლიკებში, პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა რომელიმე დარგის ნორმალური ფუნქციონირება საქართველოში. ამასთანავე რეგიონული ეკონომიკის ორი ტრადიციული დარგი სოფლის მეურნეობა და ტურიზმი რადიკალური ცვლილებების პირობებში კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია, რომლის პრობლემაც არ არსებობდა, ჩიხში აღმოჩნდა. ისეთი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ღვინის ნაწარმი, ბამბა და ა.შ. უხარისხობის გამო საერთაშორისო ბაზარზე

ანალოგიური პროდუქციის კონკურენციას ვერ უძლებდა. რეალურად მხოლოდ რუსეთის ბაზარზე იყო შესაძლებელი ამგვარი პროდუქციის რეალიზაცია, ისიც დაბალ ფასებში. საქართველოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ექსპორტი პრობლემებს წააწყდა, რადგან არ გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ), რომელიც პოსტსაბჭოთა წარმონაქმნი იყო. იგივე ითქმის ტურიზმზე. ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო, იშვიათი გამონაკლისის გარდა ამიერკავკასიის ტურიზმი უპირველეს ყოვლისა იყო რუსულ-საბჭოური ტურიზმი.

1992-1993 წლებში საქართველო აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე სიტუაციაში. განსაკუთრებით დამღუპველი შედეგები მოიტანა ომმა აფხაზეთში, სადაც ფაქტიურად რუსეთი იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ და რომელიც 11 თვე გაგრძელდა. ომმა არა მარტო ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, არამედ კოლოსალური მატერიალური და ფინანსური ზარალიც გამოიწვია. გაჩნდა 300 ათასზე მეტი ლტოლვილი აფხაზეთიდან, რომელთათვისაც შემწეობის აღმოჩენა უზარმაზარ ტვირთად დააწვა გაპარტახებულ ქვეყანას.

ამას დაერთო რუსეთის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ზეწოლა, ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მსხვილი სამრეწველო ობიექტების, მათ შორის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის, საავიაციო ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საამშენებლო მექანიზმების ქარხნის და სხვ. პარალიზება.

ამასთან, სოფლის მეურნეობაც არ აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში: კოლმეურნეობები დაიშალა, მიწების ერთი ნაწილი პრივატიზებულ იქნა, მაგრამ საწვავის უქონლობის გამო გლეხებმა ვერც მისი დამუშავება შეძლეს და ვერც მოწეული მწირი მოსავლის რეალიზება. თუ სოფლის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ახერხებდა თავის გატანას საკარმიდამო მეურნეობის წყალობით, იგი დაუბრუნდა საუკუნეობრივი ტრადიციული თვითრჩენის წყაროებს. ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა უიმედოდ მძიმე იყო. მოკლებული იყო ელექტროენერგიას, ბუნებრივ აირს, გათბობას, ტრანსპორტს, არსებობდა პურის საყოველთაო დეფიციტი. ხალხი რიგში იდგა მთელი

დამეების განმავლობაში რამდენიმე გრამი პურისათვის, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ერთადერთ საკვებს წარმოადგენდა, ამასთანავე დაიწყო უმუშევრობის ზრდა. დაეცა წარმოების ტემპები, მთლიანად მოიშალა კონტროლი და საანგარიშსწორებო დისციპლინა, სახელმწიფოს მართავდა გასამხედროებული კრიმინალური ჯგუფები.

საქართველოში საწარმოთა მასობრივი გაჩერება ძირითადად განპირობებული იყო: საბჭოთა კავშირის დაშლით, რომელსაც მოჰყვა სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლა და ბარტერული ურთიერთობების დამკვიდრება. ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია საბრუნავი სახსრების უკმარისობა, დაეცა გადახდისუნარიანი მოთხოვნა, დაიწყო ენერგოკრიზისი, მოხდა ეკონომიკის კრიმინალიზაცია და ა.შ. ასეთ პირობებში კერძო, თუ სახელმწიფო საწარმოების ამუშავება შეუძლებელი იყო.

1989 წლიდან საქართველოში დაიწყო ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა, რომელმაც უკიდურეს დონეს 1994 წელს მიაღწია. ეს იყო მზაკვრულად ინტეგრირებული საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგი.

მხოლოდ ერთი წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული შემოსავალი 1990 წელთან შედარებით 25%-ით შემცირდა.

ღრმა კრიზისმა მოიცვა საქართველოს აგრარული სექტორის ყველა სფერო. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის შედეგად მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, რასაც არ მოჰყოლია კერძო საკუთრებაში სულადობის შესაბამისი ზრდა.

უმძიმესი ვითარება შეიქმნა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. შეწყდა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა, განადგურდა კომუნალური მეურნეობა.

მთლიანად ეკონომიკაში შეიქმნა საინვესტიციო კრიზისი, მოწყობილობათა იმპორტი შეწყდა, არსებული დაიტაცეს, ან ჯართად აქციეს. მისი მუშა მდგომარეობაში შენახვა-შენარჩუნება არ ხერხდებოდა.

არსებითად მოიშალა ფინანსები, ბიუჯეტის დეფიციტმა კოლოსალურ დონეს მიაღწია, ბიუჯეტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ინფლაცია უმართავი გახდა. მოსახლეობას ვერ უხდიდნენ ხელფასს.

პერსპექტივაში ისახებოდა ტოტალური უმუშევრობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რეალურად დადგა შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე.

1991-1994 წლებში ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოება შემცირდა 80-90%-ით და მეტად. მრავალი სახის პროდუქციის წარმოება სრულიად შეწყდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მრეწველობაში: ელექტროენერგიის წარმოება შემცირდა 52%-ით, ქვანახშირის – 89%-ით, მანგანუმის – 95%-ით, ცემენტის – 92,9%-ით, ქსოვილების – 99,1%-ით და ა.შ. მოიშალა კავშირები ქვეყნის შიგნით მრეწველობის ქვედარგებს შორის, თითქმის მთლიანად გაწყდა კავშირურთიერთობანი საზღვარგარეთის ქვეყნებთან. დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს იურისდიქციის მიღმა აღმოჩნდა. საერთო ეკონომიკურმა ზარალმა მიახლოებით 5-5,5 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც 2,5-3-ჯერ აღემატებოდა საქართველოს შიდა ეროვნული პროდუქტის ღირებულებას. გარდა ამისა, ქვეყანას განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთად წოდებული შიდა ქართლის ნაწილის სამეურნეო, სატრანსპორტო პოტენციალის სრულმა ჩამოშორებამ.ქვეყანა პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

უაღრესად მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში ქვეყნის მართვას შეუდგა სამხედრო საბჭო. ხელისუფლების ხელთ არსებული ისედაც მცირე რესურსები ილეოდა, შეიქმნა უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალება შეიძლება მოჰყოლოდა. საჭირო იყო ქვეყნის გამოყვანა საერთაშორისო იზოლაციიდან. ცხადი გახდა, რომ პრობლემის მოსახსნელად აუცილებელი იყო ექსტრემალური ღონისძიებების გატარება.

საქართველოს ხელისუფლებამ თანდათან დაიწყო სხვადასხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. საქართველო გაწევრიანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დაიწყო საკმაოდ მასშტაბური ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ნგრევის ინერციის შენელება გაჭირდა.

1991-1992 წლებში საქართველოში დაიწყო „შოკური თერაპიის“ მოდელის გამოყენება, რომელიც ომის შემდეგ გამოიყენეს დასავლეთ გერმანიაში, ხოლო მოგვიანებით მოხდა მისი პოლონური მოდიფიკაცია.

საქართველოში „შოკური თერაპია“ გამოიხატებოდა სახელმწიფო საკუთრების (ბინების და სახელმწიფო საწარმოების) დაჩქარებულ პრივატიზაციაში; ვაჭრობის ლიბერალიზაციაში; ფასების და რუბლის სავალუტო კურსის სახელმწიფო რეგულირებაში; ეკონომიკის გეგმიან ხელმძღვანელობაში და საწარმოთა პროდუქციის გეგმიან განაწილებაში, სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოსახლეობის საბიუჯეტო დოტაციებში და პროდუქციის მწარმოებლის მომხმარებელთან ადმინისტაციული მიბმაზე უარის თქმაში; წარმოების ადმინისტრაციული რეგულირების ინსტიტუტების, ე.ი. სახელმწიფო მაკრორეგულირების გაუქმებაში; ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ჩარჩოებში მყოფ საწარმოებშიც კი სახელმწიფო კონტროლის შემცირებაში.

მოუმზადებლად განხორციელებულმა ეკონომიკურმა შეკვეთრებამ, რაც ეკონომიკის ქაოსური ლიბერალიზაციითა და ფასების უკონტროლო აშვებით გამოიხატა, კოლოსალურად გაზარდა ნაღდ ფულზე მოთხოვნა და გააღრმავა დისპროპორცია მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

„შოკური თერაპიის“ მეთოდის ზოგადი სქემიდან გამომდინარე, საქართველოში არ გაუქმდა საბიუჯეტო დოტაციები და სუბსიდიები, მკაცრად არ შეიზღუდა ბრუნვაში არსებული ფულის მასა. იმ დროს ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და ძირითადად ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია განწირული იყო კრახისათვის. ასეთ ვითარებაში უფრო გონივრული იქნებოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადავსლის ეტაპობრივი გზის არჩევა, რომელიც დაეყრდნობოდა რეფორმისათვის და საერთოდ სახელმწიფოებრიობისათვის საჭირო ინსტიტუტების თანმიმდევრულ შექმნას.

1992 წელს მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადების გაზრდას და ახალი ტიპის გადასახადების შემოღებას. იმისათვის, რომ გა-

დასახადების არგადახდას არ მიეღო მასიური ხასიათი, დაწესდა მკაცრი ჯარიმები და ადმინისტრაციული ზომები, თუმცა უშედეგოდ.

1992 წელს და 1993 წლის პირველ ნახევარში ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შედეგად გაღრმავდა უკვე არსებული ინფლაციური ტენდენციები. ინფლაციის საშუალო დონემ 40%-ს გადააჭარბა. იმ პერიოდში საქართველო იმყოფებოდა რუსეთის რუბლის ზონაში და ქვეყანას მოსკოვიდან ფულის ნიშნების მოწოდების იმედი ჰქონდა.

1991 წლის ზაფხულში ინფლაციამ სსრ კავშირში 100%-ს მიაღწია, რაც სრული კრახის მანიშნებელი იყო. ამ პერიოდში საქართველოს არ გააჩნდა დამოუკიდებლად მოქმედების შანსი, რადგან იგი ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის ნაწილი იყო. 1992 წელს შეწყდა საბჭოთა მანეთის მოწოდება, რითაც რუსეთმა ფაქტიურად საქართველოს ბლოკირება მოახდინა. 1993 წლის აპრილში საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ბრუნვაში შემოეღო დროებითი ფულის ნიშანი – საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი. დაიწყო დაუდევ უფრო გააუარესა 1993 წლის მეორე ნახევარსა და 1994 წლის პირველ ნახევარში კუპონის ემისიამ. ამას დაემატა ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც 1992-1994 წწ. ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. კუპონი ვეღარ ასრულებდა საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქციას, კუპონის გამოყენების სფეროდ ფაქტიურად დარჩა მხოლოდ პურით ვაჭრობა, სახელმწიფო ტრანსპორტი და კომუნალური მომსახურება. მისი ადგილი რუსულმა რუბლმა და ნაწილობრივ აშშ დოლარმა დაიკავა. პარალელურად მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და საზღვარგარეთ კაპიტალის გადინების ზრდა, ოქროს რეზერვის შემცირება, იმპორტზე ქვეყნის შიდა მოთხოვნის გადიდება და ა.შ.

1992 წლის ზამთარში განხორციელებულმა პატიმართა ამნისტიამ, ხოლო შემდგომ საომარ მოქმედებაში ჩაბმამ არმიის არ არსებობის პირობებში კრიმინოგენული ვითარების უკიდურესად გამწვავება გამოიწვია. საშიში გახადა სამეწარმეო საქმიანობა. ამასთან, აშკარა ყაჩაღობა თანდათანობით

გზას უთმობდა რეკეტს, რაც ხელს უშლიდა მეწარმეობას. მეწარმეთა უმრავლესობამ დატოვა სამშობლო, რამაც დააჩქარა კაპიტალის გადინება.

1992-1993 წლები ხასიათდება აგრეთვე საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა არასრული აღრიცხვით, საბაჟო სამსახურის უმოქმედობით, სასაქონლო მარაგების განიავებით, სახელმწიფო ქონების საზღვარგარეთ უკონტროლო გადინებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების არნახული გაზრდით, ჰუმანიტარული დახმარების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით.

დაიწყო პრივატიზაცია, საქართველოს ეკონომიკაში გატარდა მთელი რიგი რეფორმები. 1992 წლის იანვარში გამოქვეყნდა კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ, ხოლო თებერვალში მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები იყოფოდა სახელმწიფო მიწებად და მიწის რეფორმის ფონდებად. სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა მიწები, რომლებიც უვადო სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, ექსპერიმენტულ მეურნეობებს, საცდელ სადგურებს, სანერგე და საჯიშე მეურნეობებს, მსხვილი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსებსა და ფაბრიკებს, სასათბურე კომბინატებს, ასევე სარეზერვო მიწები, რომლებიც პერსპექტივაში საბაღედ და სააგარაკედ იყო გამოყენებული, მიწები, რომლებზეც სახელმწიფოს სახსრებით იყო აშენებული სამელიორაციო სისტემები და ნაგებობები, სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში განლაგებული და აგრეთვე განსაკუთრებული დანიშნულების სხვა მიწები.

რეფორმით მიწის ფონდი გადაეცემოდა სოფელს მფლობელობაში, მასზე დაშვებული იყო ყველა სიხით მეურნეობის მოწყობა მათთვის მიწის საკუთრებაში, მფლობელობაში, ან სარგებლობაში გადაცემით.

საკარმიდამო ნაკვეთები, საბაღე და სააგარაკე მიწები კანონით საკუთრებაში უფასოდ გადაეცემოდა მათ, ვისზედაც ირიცხებოდა. ამასთან, ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა და პოტენციალის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ითვალა საკარმიდამო ფართობის უფასოდ გაზრდა დაბლობ რაიონებში 1,25 ჰექტრამდე, ხოლო მთაში 5 ჰექტრამდე.

მიწების განაწილების დროს უპირატესობა ენიჭებოდათ სოფლებში მუდმივად მაცხოვრებლებს, გათვალისწინებული იყო სოფლის ყოფილ მკვიდრთა ინტერესები, რომლებსაც ამ სოფლებში სახლი ან სახლის ნაწილი ჰქონდათ საკუთრებაში და ასევე შეძლებისდაგვარად ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიც.

რაც შეეხება მიწების ყოფილ მეპატრონეებსა და მათ მემკვიდრეებს, მიწები საერთო წესით დაურიგდათ, ხოლო, თუკი ამის შესაძლებლობა იყო, პირველ რიგში მათი წინაპრების კუთვნილებაში მყოფ მიწებზე ეძლეოდათ ნაკვეთები.

დადგენილების მიხედვით მიწები საკუთრებაში, მფლობელობაში და სარგებლობაში გადაეცემოდათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს კი – დროებით სარგებლობაში.

მიწის სარგებლობისათვის წესდებოდა ყოველწლიური ერთჯერადი გადასახადი, რომელიც ყველა ტიპის მეურნეობას ეკისრებოდა.

საქართველოში გლეხებს მიწა კერძო საკუთრებაში გადაეცემოდათ ყიდვა-გაყიდვის უფლებით, მაგრამ უფლების რეალიზაცია მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი სერთიფიკატების გაუცემლობის გამო წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. სერთიფიკატი გლეხს აძლევდა საშუალებას მიწა კანონიერად ეყიდა, გაეყიდა, იჯარით გაეცა, ან დაეგირავებინა. სერტიფიკატების გაცემა ფერხდებოდა მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებელი სახსრების უქონლობის გამო, რომელიც შემდგომ აშშ-მა დააფინანსა.

მიწის რეფორმის შედეგად გლეხთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთების ზრდის კვალდაკვალ მნიშვნელოვნად იმატა მოსავლის რაოდენობამ, რამაც შიდა ბაზარი შეავსო, მაგრამ არ გაზრდილა გლეხის შემოსავალი. მოსავლის ოდენობის ზრდა იმის გამო, რომ თვითღირებულება არ მცირდებოდა, ზოგჯერ წამგებიანიც კი იყო.

მიწის რეფორმამ ვერ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა. გაჭირდა უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრება, სადაც სხვა ქვეყნების საქონელს კონკურენციას ვერ უწევდა.

განხორციელდა კომუნალური საცხოვრებელი ბინების პრივატიზაცია, რაც განხორციელდა მობინადრეთათვის პრაქტიკულად უსასყიდლოდ გადაცემით. ამ თავისთავად ჰუმანური აქტით დიდი ზაინი მიადგა ბინათმშენებლობას. პრივატიზაცია რომ განხორციელებულიყო დიფერენცირებული საფასურის გადახდით, ანუ ბინების ადგილმდებარეობისა და კეთილმოწყობის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდებოდა ბინათმშენებლობისათვის საჭირო თანხების აკუმულირება.

ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა სააღრიცხვო საქმიანობის სრული მოშლა, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება ფირმებისა და მათი საქმიანობის შედეგების შესახებ. ამ მოვლენამ, თავის მხრივ, გამოიწვია განმაზოგადებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და შესაბამისად დასაბეგრი ობიექტების მასშტაბების შემცირება.

1995 წლის ბოლოს იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მათ შორის, ფულად-საკრედიტო სისტემაში. 1995 წლის 2 ოქტომბერს შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რომელიც გამოცხადდა ერთადერთ საგადასახადო საშუალებად. მის მიწოდებაზე დაწესდა მკაცრი კონტროლი, რითაც გამყარდა ლარის კურსი. ლარმა სწრაფად თითქმის მთლიანად გამოდევნა მიმოქცევიდან რუსული რუბლი (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისა, აგრეთვე ახალქალაქის რაიონის, რომლის მოსახლეობა ძირითადად რუსეთის სამხედრო ბაზაში მუშაობდნენ და ხელფასს რუბლით იღებდნენ) და ნაწილობრივ ამერიკული დოლარიც, რომელსაც არასახელმწიფო სექტორში ძირითადად მსხვილი გარიგებების მომსახურების ფუნქცია შერჩა.

ამ პროცესის პარალელურად დაიწყო საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესი, რასაც მოჰყვა უსაზღვრო რაოდენობის კომერციული ბანკების შემცირება.

1995 წლიდან საქართველოში მოხერხდა ეკონომიკური ვარდნის შეჩერება. თუ 1989 წ. წარმოების ვარდნა შეადგენდა 4,8%-ს, 1990 წ. მან შეადგინა 12,4%, 1991 წლიდან – 10,6%, 1992 წ. – 44,8%, 1993 წ. – 25,4%, 1994 – 11,3%, ხოლო 1995 წ. შეადგინა 5%.

1995 წლისთვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1989 წელთან შედარებით 75%-ზე მეტით შემცირდა. ამასთან, ქვეყანამ ვერ შეძლო თავისი პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრებისა და ნედლეულის ახალი წყაროების მოძიება.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკურ და მატერიალურ მომარაგებაში არსებული კრიზისიდან გამოყვანის ბერკეტად იქცა მცირე ბიზნესის განვითარება.

სახელმწიფო შეზღუდვების მიუხედავად მეურნეობის სხვადასხვა დარგში თანდათან იქნებოდა მცირე საწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახელმწიფო ხელს არ უწყობდა.

საქართველო გადაიქცა მცირე მასშტაბის აგრარულ სექტორზე დაფუძნებულ ეკონომკის მქონე ქვეყნად, სადაც წარმოებული პროდუქციის 50% – სოფლის მეურნეობაში იქმნებოდა.

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯი იყო 1995 წლის დასაწყისში პარლამენტის მიერ რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება. ამ ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების დასაბალანსებლად უარი ეთქვა საკრედიტო ემისიას, რის შედეგადაც ინფლაციის ტემპი 1995 წლის პირველ ნახევარში 2-3%-მდე შემცირდა, მაშინ, როდესაც წინა წლის მაჩვენებელი 60-70%-ს უტოლდებოდა. შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ცალკეულ სექტორში წარმოების ვარდნის ტემპის შენელება, ზოგიერთ მათგანში შეინიშნებოდა ზრდის ტენდენციაც. კერძოდ, 1995 წელს 1994 წელთან შედარებით მანქანათმშენებლობის პროდუქცია გაიზარდა 23%-ით, ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება 11,1%-ით, ფარმაცევტული წარმოების – 42%-ით და ა.შ. ამავე დროს სოფლად 29%-ით მეტი მიწის ფართობი დაითესა. საქონლობრუნვის მოცულობა გადიდდა 3,2-ჯერ.

1994 წლის მაისიდან საწარმოთა კოლექტივებს მიენიჭათ უპირატესობა აქციონირების პროცესში. ამავე დროს სტიმულირებული იქნა პრივატიზება პირდაპირი შესყიდვის გზით. 1995 წლიდან დაიწყო ვაუჩერიზაცია. ამავე ეტაპზე გააქტიურდა მუშაობა სპეციალური კრედიტების მოსაზიდად ენერგეტიკულ სფეროში მძიმე მდგომარეობის დაძლევის მიზნით,

გაუმჯობესდა სააღრიცხვო საქმიანობა, დაიწყო საგადასახადო სისტემის გამარტივების პროცესი. რეფორმირების მცდელობა იყო ჯანდაცვის სისტემაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოხდა ფასიან სისტემაზე გადასვლა, ხოლო სამედიცინო დაზღვევის სისტემა სრულიად უსუსური აღმოჩნდა. ასევე ფორმალური იყო განათლების სისტემის რეფორმაც. ეს ეგრეთწოდებული რეფორმისტული ღონისძიებანი ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი ფინანსური მარდაჭერით.

საქართველოს დახმარებას უწევდნენ დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები, ქვეყნის 1995 წლის ბიუჯეტში გასავლების მხოლოდ 47% მოდიოდა გადასახადებზე, ხოლო დანარჩენი 53% ივსებოდა ჰუმანიტარული დახმარების გზით მიღებული ხორბლის და ფქვილის მონეტიზაციით.

1997 წლიდან საქართველო გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ხოლო 1999 წლიდან – ევროსაბჭოს წევრი.

1999 წლის ბოლოს საქართველოს გაერთიანებამ მრავალ სავაჭრო ორგანიზაციაში ახალი თვისებრივი მახასიათებლები შესძინა ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით – გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ქვოტები, საგარეო-სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაცია. იმპორტზე დაწესდა დიფერენცირებული სატარიფო განაკვეთი 0%-ის, 5%-ისა და 12%-ის ოდენობით. ასევე გაუქმდა საბაჟო გადასახადები ექსპორტზე და ა.შ.

საქართველომ პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის ასამოქმედებლად გააფორმა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები. კერძოდ, სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 17 ქვეყანასთან; ურთიერთხელსაყრელი და უსაფრთხო ინვესტირების შესახებ – 15 ქვეყანასთან, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ – 6 ქვეყანასთან, ორმაგი დაბეგვრის აცილების შესახებ – 3 ქვეყანასთან, „თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ" – დსთ-ს წევრ ქვეყნებთან, ევროკავშირის ბაზარზე საფეიქრო ნაწარმის ექსპორტირების შეღავათიანი პირობების შესახებ – ევროპის თანამეგობრობასთან და ა.შ. იაპონიამ, კანადამ, შვეი-

ცარიამ საქართველოზე გაავრცელეს შეღავათები პრეფერენციათა გენერალური სისტემის საფუძველზე და ა.შ.

1999-2000 წწ. წინა წლებისგან განსხვავებით შემცირდა ვაჭრობის დეფიციტი. თუ 1996 წ. საქართველოს იმპორტის ექსპორტით დაფარვა უტოლდებოდა 28,9%-ს, 1997 წელს იგი 25,4% გახდა, 1998 წ. – 21,7%, 1999 წ. – 39,6%, ხოლო 2000 წელს – 47,1%.

საქართველომ სავაჭრო ურთიერთობები დაამყარა თურქეთთან, გერმანიასთან, რუსეთთან, აშშ-თან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, შვეიცარიასთან, თურქმენეთთან, იტალიასთან, იაპონიასთან, კანადასთან, სომხეთთან და სხვა ქვეყნებთან.

საქართველოს ექსპორტში ჭარბობდა ნედლეული, ხოლო იმპორტში – სამომხმარებლო საქონელი.

საქართველოდან საექსპორტოდ გადიოდა: ციტრუსები, ჩაი, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელები, სპილენძის მადანი, არაორგანული ქიმიის ნაწარმი; იმპორტის სახით შემოდიოდა: რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი და კვერცხი, ხორბალი, ცხიმი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები, თამბაქო, ფარმაცევტული ნაწარმი, ნავთობი, მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია, რადიო-ელექტრონული საქონელი და სხვ.

ექსპორტზე ორიენტაციის გაძლიერებამ სავალუტო შემოსავლების გადიდების საფუძველი შექმნა. ექსპორტზე ორიენტაციის სტრატეგიის განმტკიცებისათვის აუცილებელი პირობა იყო საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიახლოვება მსოფლიო სტანდარტებთან, რაც საკმაოდ რთულ და ძვირადღირებულ ღონისძიებათა გატარებას უკავშირდებოდა.

1996 წელს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 295 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2003 წელს კი – 613,7 მლნ. დოლარი. ექსპორტის ძირითადი ბაზრად კვლავ დსთ რჩებოდა (48,4%).

საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა პროცესმა. მაგალითად, თურქმენეთიდან გაზის შემოტანის ერთადერთ გზად მიჩნეულ იქნა ბარტერი. ხელოვნურად ძვირად იქნა შეფასებული, როგორც თურქმენული გაზი, ისე ქართული წარმოების ბევრი უხარისხო საქონელი. ამგვარად აპირებდნენ საქართველოს საწარმოებისათვის შეექმნათ მასტიმულირებელი გარემო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემო მართლაც შეიქმნა, მაგრამ ეს პროდუქცია მთავრობას უნდა შეეძინა ბიუჯეტის ხარჯზე, უბიუჯეტობის პირობებში კი ამგვარი ოპერაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ისიც ფულის ემისიის ხარჯზე. ვინაიდან მთავრობა ვერ იხდიდა, საბარტერო პროდუქციის უდიდესი ნაწილი საწარმოებიდან იძულების წესით იქნა ამოღებული საფასურის მომავალში გადახდის გარანტიის მიცემით, რამაც ეს საწარმოები უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა. შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა არგადახდის პრაქტიკულად ძნელად დასაშლელი მყარი სისტემა.

სახელმწიფოს მიერ ფაქტიურად ექსპროპრიაციული ღონისძიებების გატარების გზით შეუძლებელი იყო თურქმენეთთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაცვლელი საქონლის სრული რაოდენობით თავმოყრა. ამასთან ერთად აზერბაიჯანის სატრანსპორტო არტერიაზე არსებულმა სირთულეებმა – აფხაზეთზე, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთზე გამავალი რკინიგზის ბლოკირებამ ჯერ გაართულა, ხოლო მოგვიანებით შეუძლებელიც კი გახადა საქართველოს მთავრობის ხელში თავმოყრილი საქონლის დროული ტრანსპორტირება თურქმენეთში. შედეგად საქართველოს ორი წლის განმავლობაში თურქმენეთის მიმართ თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა.

გაიზარდა სახელმწიფოს საგარეო ვალი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მისი საგარეო ვალების მიმართ ვალდებულება რუსეთს დაეკისრა საქართველოს მემკვიდრეობით საგარეო ვალი არ მიუღია. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაგროვდა, რამაც 1994 წელს 1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, 1995 წელს კი 1,6 მლრდ. დოლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 56%-ს შეადგენდა. გადახდისუნარიანობა კი ძალიან დაბალი იყო. საგარეო ვალების მომსახურება მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს, რის გამოც შემცირდა სოციალური ხარჯები და სახელმწიფო ფინანსები.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო გზების დაარსება.

1995 წლის ოქტომბერში ნავთობის დიდმა კონსორციუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის ტრანსპორტირების თაობაზე. მოგვიანებით გადაწყდა, რომ საქართველოზე უნდა გაევლო დიდ ნავთობსადენსაც. ასევე საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი ე.წ. TRACEKA, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპის ქვეყნებს აზიის სახელმწიფოებთან.

TRACEKA-ს პროექტი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ფორმირების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენად იქცა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ისტორიული აბრეშუმის გზის აღორძინების იდეის განხორციელება. ამ პროექტის მიხედვით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აშენდა აზერბაიჯან-საქართველოს შემაერთებელი ახალი ე.წ. წითელი ხიდი და სარკინიგზო გადასასვლელები ფოთსა და ბათუმში, საფუძველი ჩაეყარა ევროპის ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციების ჩართვას. ამ პროექტს უკავშირდება ენერგოგადამცემი ხაზების და გაზსადენების სისტემის აგება.

დიდი აბრეშუმის გზის აღორძინებამ საქართველოს შეუქმნა შესაძლებლობა ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემაში ჩართულიყო. ამით საქართველო მოექცა მსოფლიოს უმძლავრესი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროში. ქვეყანას ექმნებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის საიმედო პირობები. საქართველოზე გადის ევროპის სატრანსპორტო დერეფნის სახმელეთო გზის საერთო სიგრძის დაახლოებით 1/6 ანუ 400 კმ. გარდა ამისა, საქართველოზე გადის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი 600 კმ-იანი საჰაერო გზა. კავკასიაზე გამავალი ევრაზიის სატრანსპორტო მარშრუტები დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებასთან ერთად მოიცავს ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებასაც.

როგორც მილსადენების, ისე „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტების ხორცშესხმისათვის საქართველოსთვის არსებობს

მრავალი წინააღმდეგობები და ურთულესი პრობლემები, რომელიც ამ სფეროში არსებულ მწვავე კონკურენციას, ევრაზიის ალტერნატიულ სატრანსპორტო მაგისტრალებს უკავშირდებოდა. კერძოდ, ჩრდილოეთის (რუსეთის) და სამხრეთის (თურქეთ-ირანის) მარშრუტებს.

1994-1997 წწ. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გარდატეხის მცდელობა იყო, როდესაც დაიწყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია.

ძირითად მიმართულებად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო გარდაქმნა, პრივატიზაციის ტემპის მკვეთრი დაჩქარება, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და ზოგადად სოციალური სფეროს რეფორმა, ფასების ლიბერალიზაცია. ამ ეტაპზე განხორციელდა რიგი ღონისძიებანი, რომელთა შედეგად არა მარტო შეჩერდა ეკონომიკის ნგრევის პროცესი, არამედ წინსვლის იმედიც ჩაისახა. დასაბამი მიეცა თვისებრივად განსხვავებულ ურთიერთობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან), რაც ქვეყანაში საფინანსო წესრიგის დამყარებისა და ეკონომიკის არსებითი ლიბერალიზაციის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის საწინდარი გახდა. 1999 წლისთვის შესაძლებელი გახდა წარმატების მიღწევა.

კრიმინოგენული სიტუაცია გაუმჯობესდა, მაგრამ კრიმინალური ელემენტების მიერ აშკარა დაყაჩაღებისა და რეკეტის შიშით მთელი რიგი საწარმოები ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ სრული დატვირთვით ამოქმედებას. ეს პრობლემა მხოლოდ 1996 წ. მოიხსნა. 1999 წელს შესაძლებელი გახდა სერიოზული წარმატებების მიღწევა.

ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის პროცესში გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი ტენდენციები, როგორიცაა ჰიპერინფლაციის დაძლევა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, სართლწესრიგის აღდგენა, შემდეგ – ეროვნული ვალუტის შეღება, სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია და კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბება (რის შედეგადაც კერძო საკუთრების ხვედრითმა წილმა 2003 წელს 80%-ს მიაღწია),

სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ მიწებზე კერძო მოჯარეთა ფენის ჩამოყალიბება, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

თანდათანობით შესაძლებელი გახდა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო ხარჯები 1995 წლის 67 დოლარიდან 2003 წლის 160 დოლარამდე, საშუალო ყოველთვიურმა ხელფასმა 2003 წელს შეადგინა 85 დოლარი ნაცვლად 11,5 დოლარისა 1994 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საშუალო მაჩვენებლებში დაფარულია მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებს შორის უზარმაზარი სხვაობა. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (სხვადასხვა მონაცემებით 60-70%) ღატაკად ითვლებოდა და ჰქონდათ მიზერული შემოსავლები. 1994 წელს მინიმალური ხელფასი საცხოვრებელი მინიმუმის მხოლოდ 0,5%-ს შეადგენდა, 2003 წელს კი შეადგინა 30%. თუ 1995 წელს საბიუჯეტო შემოსავალი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ შეადგენდა 7,5%-ს, 2003 წელს შეადგინა 14%. საშუალო წლიური ინფლაცია 1996 წლის 13,5%-დან დაეცა 2003 წლის 5%-მდე (ეს მაჩვენებელი 1994 წ. უდრიდა 8500%-ს).

ფინანსურ სისტემასა და სოციალურ სფეროში მომხდარი გარკვეული დადებითი ტენდენციები ძირითადად განსაზღვრა წარმოების გამოცოცხლებამ. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გაიზარდა 1994 წლის 1516 მლნ. ლარიდან 2003 წლის 8400 მლნ. ლარამდე, ე.ი. 5,5-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცალკეული სახის პროდუქციის წარმოება. მიუხედავად ამ ზრდისა 2003 წლისათვის მიღწეული წარმოების დონე არსებითად ჩამორჩებოდა 1990 წლისას, ე.ი. კრიზისის დაწყების დროისათვის არსებულ დონეს. 1995 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1990 წლის მიმართ მხოლოდ 14% შეადგინა. ეს კი ცხადყოფს, რომ წარმოების მთლიანი მოცულობა თუნდაც 2-3-ჯერ, ხოლო ცალკეული სახეობების პროდუქტებისა ათჯერაც რომ გაზრდილიყო, საქმეს ვერ უშველიდა, რადგან წარმოების საერთო მოცულობა კრიზისის პერიოდში შემცირდა დაახლოებით 5-7-ჯერ, ხოლო ცალკეული სახის პროდუქციის წარმოება – 30-40-ჯერ, ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოება კი საერთოდ შეწყდა. რა თქმა უნდა

1994-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკაში მიღწეულ იქნა გარკვეული წარმატებები, მაგრამ ეს იყო მინიმუმი, რისი გაკეთების შესაძლებლობაც არსებობდა. ამ პოტენციალისა და რეზერვების გამოუყენებლობას, რომლებმაც ხელი შეუშალეს საქართველოს ეკონომიკის შესაძლებელი მაღალი ტემპებით განვითარებას, გააჩნდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები და ფაქტორები,.

ეს მიზეზები და ფაქტორებია შემდეგი: არ არსებობდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი და სამეურნეო პრაქტიკული გამოცდილება; საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებული ყოველგვარი კავშირების სტიქიურ-რევოლუციური რღვევა; ეკონომიკური გარდაქმნებისათვის საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, ხოლო მიღებული კანონების განსახორციელებლად საზოგადოების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა და მათი ცხოვრებაში გასატარებლად სახელისუფლო ნების არ არსებობა; ბაზრის არსის არასწორად გაგება, მისი ყოვლისშემძლე, თვითრეგულირებად სისტემად მიჩნევა და ეკონომიკის მართვისა და რეგულირების, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების, მართვისა და რეგულირების არაკომპეტენტურობა; არასწორი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა; ადგილობრივი სპეციალისტებისა და სამეცნიერო პოტენციალის იგნორირება და მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების ექსპერტებზე დაყრდნობა.არ მოხდა უცხოური ექსპერტებისა და იმ ადგილობრივი მეცნიერ-ეკონომისტების ცოდნის ოპტიმალური შეჯერება, რომლებიც კარგად იცნობენ ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკას, პოტენციალს, პრობლემებს და შესაძლებლობებს; დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის, რომელთა უფლება-მოვალეობები არ იყო კვეთრად გამიჯნული; კანონების იგნორირება თვით მეწარმეების მხრიდან; ეთნოკრიზისები, სამოქალაქო ომი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, ლტოლვილებისა და ადგილგადანაცვლებულთა უზარმაზარი, სოციალურად დაუც-

ველი არმიის წარმოშობა; კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება, ყაჩაღობა, საბოტაჟი, პოლიტიკური წრეების აშკარა კავშირი მაფიოზურ დაჯგუფებებთან.

ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: 2003 წელს საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული ერთი მუშაკის მინიმალური ხელფასი შეადგენდა ერთი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 19,5%-ს, შრომისუნარიანი მამაკაცის – 17,2%-ს და ერთი საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის 9,9%-ს. მინიმალური პენსია კი უდრიდა შესაბამისად: 13%-ს, 11,5%-ს და 6,6%-ს. როგორც წესი, მინიმალური ხელფასი და პენსია საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ე.ი. კვლავ მდგომარეობა უკვე უკიდურესად მძიმე იყო.

ზოგადად, რეფორმების მიმართულების განსაზღვრაზე და განხორციელებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ქვეყნის თავისებურებანი; მისი განვითარების დონე; სასტარტო პოზიციები; ტრადიციები; საბაზრო მენტალიტეტი; ეკონომიკური თეორიის პროგრესულობა და მისი ფლობის ხარისხი; პოლიტიკოსების, ეკონომისტების, სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე; საზოგადოების მზადყოფნა რეფორმებისათვის; ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა.

საქართველოში ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე არსებული კონსტიტუცია შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით მოქმედებდა გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი. 1995 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია.

რაც შეეხება საკანონმდებლო სფეროს: მიღებულ იქნა კანონები: საკუთრების; მიწის; მშრომელთა უფლებების; საპენსიო უზრუნველყოფის; შრომისა და გარემოს დაცვის; საგადასახადო კოდექსის; საგადასახადო სისტემისა და გადასახადების; მომხმარებელთა უფლებების დაცვის; საოჯახო; ფასების და ფასწარმოქმნის; დაზღვევის; სტატისტიკის; კოლექტიური ხელშეკრულების; დასაქმების; მეწარმეთა; ფასიანი ქაღალდების; ბუღალტრული აღრიცხვისა და ნორმების; სამეწარმეო საქმიანობის; სახელმწიფო ქონების; პრივატიზაციის; მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების; გაკოტრების; საინვესტიციო საქმიანობის; უცხოური ინვესტიციების; ბანკებისა და საბანკო საქმიანობის; ეროვნული ბანკის; ფულად-საკრედიტო რეგულირების; სახელმწიფო კრედიტების; ბირჟის; წიაღისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ; საზღვაო კოდექსი; საჰაერო კოდექსი და სხვ.

თუკი 1995-1997 წწ. საქართველოში გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები, რაც გამოიხატა ეკონომიკური ვარდნის არა მარტო შემცირებით, არამედ გარკვეული ზრდის მიღწევითაც, ხანმოკლე აღმოჩნდა. მომდევნო წლებში თავი იჩინა საწინააღმდეგო ტენდენციამ. წარმოიშვა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რამაც საბიუჯეტო დაფინანსების მთელი სისტემის დეფორმაცია გამოიწვია. ამას მოჰყვა ბიუჯეტის ხშირი სეკვესტრი და სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების იგნორირება.

1998 წლიდან საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ისევ იწყება შეფერხება. ხელისუფლება ამას მსოფლიოს, განსაკუთრებით რუსეთის ფინანსური კრიზისის გავლენით ხსნიდა. ქვეყნის წინაშე კვლავ დადგა ეკონომიკური სტაბილიზაციის ამოცანა.

მსოფლიო საფინანსო კრიზისს ორი წლის განმავლობაში, საქართველოში მოჰყვა უმძიმესი გვალვები, რომელმაც ასევე სერიოზული გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკაზე. ასეთ რთულ ვითარებაში ქვეყანაში შენარჩუნებულ იქნა მცირე, 2,9%-იანი ეკონომიკური ზრდა. 1998 წ. ინფლაციის ტემპი დაახლოებით 10%-ის დონეზე დაფიქსირდა. ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის ტემპი იყო 3%. ამ პროცესმა გამოააშკარავა ფისკალური პოლიტიკის სისუსტე. გადასახადებისაგან თავის არიდების მასშტაბურობა, რის შედეგადაც გროვდებოდა სახელფასო და საპენსიო დავალიანება, საგრძნობლად შემცირდა ჯანდაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის სისტემის დაფინანსება. ამ პროცესების შედეგად ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა სოციალური მდგომარეობა.

კანონების რეალიზების მიზნით შეიქმნა მართვის შესაბამისი სტრუქტურები. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები, გეგმები, პროგნოზები, მთელი გარდამავალი პერიოდის (1991-2003 წწ.) განმავლობაში ქვეყანა ვერ გამოვიდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან. ვერ ჩამოყალიბდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, არ არსებობდა კონკრეტული ეკონომიკური მიზნები და მათ განსახორციელებლად აუცილებელი კონკრეტული სამუშაო გეგმა. ეკონომიკის განვითარების გენერალური მიმართულების და მისი განხორციელების გზების, სახელისუფლებო ნების, მართლწესრიგის არარსებობის პრობლემებში, ნებისმიერი კანონი, პროგრამა, თუ გეგმა ფიქციურ დოკუმენტთა უსარგებლო გროვად იქცა. ქვეყანაში მწიფდებოდა ვითარება, როდესაც პოლიტიკურ-ეკონომიკური სტატუს-ქვო სრულად მიუღებელი იყო. აშკარა ხდებოდა რადიკალური ცვლილებების აუცილებლობა.

შექმნილ ვითარებას, რაშიც გადამწყვეტი როლი უკიდურესად სუსტ სახელმწიფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა, არ შეძლო ობიექტურად არ გამოეწვია საქართველოში ბოლო დრომდე არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის რევოლუციური გზით შეცვლის აუცილებლობა, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს განხორციელდა.

ლიტერატურა

აბუთიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1984 წლებში. თბ., 1990-91.

ადვაძე ვ. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური ისტორია. თბ., 1975.

ადვაძე ვ. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური ისტორია. თბ., 1985.

ადვაძე ვ. საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ისტორია. თბ., 1968.

ადვაძე ვ. საქართველოს ეკონომიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში. თბ., 1968.

ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი, 1924.

ამერიკის ეკონომიკა. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა აშშ საინფორმაციო სააგენტო. 2002.

ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბ., 2002.

ბალტეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2002.

ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.

ბახტაძე ვ., ჩიჩუა გ., ადვაძე ვ. სსრ კავშირის ეკონომიკური ისტორია. ნაწ. II. თბ., 1971.

გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბ., 1996.

გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004.

გუგუშვილი პ. საქართველოს სსრ მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევები. თბ., 1970.

გუგუშვილი პ. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1988 წწ. თბ., 1989.

გურული ვ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა 1917-1924 წწ. თბ., 1988.

თევზაძე ნ. ეროვნულ დემოკრატიული პარტია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა 1918-1920 წლებში. თბ., 1999.

კუნჭულია ი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. თბ., 1997.

მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბ., 2001.

მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები). თბ., 1996.

მესხია ი. საქართველოს საგადასახადო სისტემის კრიზისის მიზეზები და მისი დაძლევის გზები. საქართველოს ეკონომიკური ფორუმის მასალები. თბ., 2001.

ნანიტაშვილი ნ. ევროპის და ამერიკის ისტორია. თბ., 1978.

ნანიტაშვილი ნ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თბ., 1997.

პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.

პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.

პაპავა ვ. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. თბ., 1991.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა 60 წლის მანძილზე. თბ., 1980.

სამადაშვილი ჟ. საკუთრების პრივატიზაცია და მეურნეობის ახალი ფორმები. თბ., 1991.

სანთელაძე ნ. საბაზრო ეკონომიკის მოდელები. თბ., 1993.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა 1918-21 წწ. თბ., 1991.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. საქართველო 1900-1921 წლებში. თბ., 1972.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VII. საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში. თბ., 1976.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VIII. საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომისშემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში. თბ., 1980.

საქართველოს სსრ ეკონომიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-1945 წწ. პროფ. აპ. ნუცუბიძის რედაქციით. თბ., 1985.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1946 წწ. პ. გუგუშვილის რედაქციით. თბ., 1947.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით. თბ., 1971.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1970 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით. თბ., 1972.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ. თბ., 1981.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. V. თბ., 1976-82.

ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 1995.

ძნელაძე დ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. თბ., 1991.

ძნელაძე დ. საბაზრო ეკონომიკის საკითხები. თბ., 1993.

ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. I ნაწილი, თბ., 1997.

ჭითანავა გ. გარდამავალი პეორიდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). II ნაწილი. თბ., 1999.

ჯიქია ნ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი პირველი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები. თბ., 2001.

Агапова И. И. История экономики. Курс лекций. М., 2001.

Большой энциклопедический словарь. Авт. и сост. А. Б. Борисов. М., 2000.

Ван дер Вес Г. история мировой экономики. 1945-1990гг. М., 1994.

Вербицкий С. Н. Япония в поисках новой роли в мировой политике. М., 1992.

История мировой экономики. Под ред. Поляка Г. Б. и Марковой А. Н. Учебник. М., 1999.

История мировой экономики. Хозяйственные реформы 1920-1990 гг. Под ред. А. Н. Марковой. М., 2001.

История народного хозяйства зарубежных стран (после второй мировой войны). Под ред. А. Н. Марковой. М., 1992.

История народного хозяйства капиталистических стран (до второй мировой войны). Под ред. А. Н. Марковой. М., 1991.

История народного хозяйства. Словарь-справочник. Под ред. А. Н. Маркокой. М., 1995.

История народного хозяйства СССР. Курс лекций. Под ред. Ф. Я. Полянского, Б. П. Орлова, И. Н. Шемякина. М., 1960.

История новейшего времени стран Европы и Америки. 1918-1945 гг. Под ред. Е. Ф. Языкова. М., 1989.

История экономики. Учебник. Под общ. ред. О. Д. Кунецовой, И. Н. Шапкина. М., 2001.

Конотапов М. В., Сметанин С. И. История экономики. Учебник для вузов. М., 2001.

Лойберг М. Я. История экономики. Учебное пособие. М., 1997.

Лященко П. И. История народного хозяйства ссср. Курс лекций в 3-х т. М., 1956.

Метелкин Н. К. Мировое хозяйство и его регулирование. М., 1994.

Неровня Т. Н. История экономики в вопросах и ответах. Учебн. пособие. Ростов-на-Дону. 1999.

Пилоян М. Г. Экономическая история. Учебн. пособ. Под ред. И. С. Гладкова. М., 2003.

Тимошина Т. М. Экономическая история: генезис рыночной экономики. М., 2002.

Тимошина Т. М. Экономическая история зарубежных стран. Учебн. пособ. Под ред. М. Н. Чепурина. М., 2000.

Тимошина Т. М. Экономическая история России. Учебн. пособ. М., 1998.

Толмачева Р. П. Краткий словарь по экономической истории. Термины, понятия, имена, хронология. М., 2003.

Толмачева Р. П. Практикум по экономической истории. М., 2004.

Толмачева Р. П. Экономическая история: генезис рыночной экономики. М., 2002.

Толмачева Р. П. Экономическая история. Учебник. М., 2003.

Экономическая история: генезис рыночной экономики. М., 2002.

Экономическая история зарубежных стран. Курс лекций. Под общ. ред. В. И. Голубовича. Минск. 2000.

Экономическая история капиталистических стран. Под ред. В. Г. Чунтулова и В. В. Сарычева. М., 1985.

Экономическая история капиталистических стран. Под ред; Ф. Я. Полянского, В. А. Жамина. М., 1986.

Экономическая история мира. Европа. Под ред. М. В. Конотапова. М., 2003.

Экономическая история социалистических стран. Под ред. В. А. Жамина. М., 1985.

Экономическая историс СССР и зарубежных стран. Под ред. И. Н. Шемякина и др. М., 1978.

Экономическая история: теория и практика. М., 1992.

Экспансия международных монополий в развивающиеся страны. Под ред. Г. Н. Клименко. М., 1989.

Хромов П. А. Экономическая история СССР. М., 1982.

Economic History of the World. From Paleolitic Times to the Present. Fourth Eduitiom Rondo Camepom. Larry Neal. New York, Oxford. Oxford University Press, 2003.

შინაარსი

თემა 15. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური
როლის ზრდა მსოფლიო ომებსშორისის პერიოდში 3
1. აშშ პოზიციების განმტკიცება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 3
2. 1929–1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სოციალური
წინააღმდეგობების გამწვავება აშშ-ში 10
3. ფ. რუზველტის ადმინისტრაციის რეფორმები („ახალი კურსი"),
მისი შედეგები და მნიშვნელობა 13

თემა 16. გერმანიის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო
ომებსშორისის პერიოდში 23
1. პირველი მსოფლიო ომის მიზეზები და შედეგები 23
2. ვერსალის ხელშეკრულება და მისი გავლენა გერმანიის
ეკონომიკაზე 26
3. გერმანიის ეკონომიკა 20-იან წლებში. დაუესისა და
იუნგის გეგმები 29
4. გერმანიის მეურნეობა 1929-1933 წწ. მსოფლიო
ეკონომიკური კრიზისის პერიოდში 36
5. გერმანიის ფაშისტური ხელისუფლება და მისი
ეკონომიკური პოლიტიკა 38

თემა 17. ინგლისის ეკონომიკური განვითარების ტემპების
შენელება მსოფლიო ომებსშორისის პერიოდში 46
1. პირველის მსფოლიო ომის გავლენა ინგლისის ეკონომიკაზე.
ეკონომიკური შეჩერება ომისშემდგომ პირველ ათწლეულში 46
2. 1929–1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სახელმწიფო-
მონოპოლისტური ტენდენციების გაძლიერება ინგლისში 52
3. ეკონომიკური ვითანება ინგლისში მეორე მსოფლიო ომის წინ 57

თემა 18. საფრანგეტის ეკონომიკური განვითარების ტემპების
შენელება მსოფლიო ომებსშორისის პერიოდში 63
1. პირველი მსოფლიო ომის გავლენა საფრანგეთის ეკონომიკაზე 63
2. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა
20-იან წლებში 65
3. 1923-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი გამოვლენის
თავისებურებანი 69
4. სახალხო ფრონტის ეკონომიკური პოლიტიკა 71

თემა 19. იაპონიის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო
ომებსშორისის პერიოდში 77
1. პირველი მსოფლიო ომის გავლენა იაპონიის ეკონომიკაზე 77
2. იაპონიის ეკონომიკის განვითარება 20-იან წლებში 79
3. 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის
გავლენა იაპონიის ეკონომიკაზე 83
4. იაპონიის ეკონომიკის მილიტარიზაციზაცია 84

თემა 20. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება მსოფლიო
ომებსშორისის პერიოდში (1917—1941 წწ) 88
1. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება
და რევოლუციური გარდაქმნები 88
2. ქვეყნის მეურნეობა უცხოეთის ინტერვენციისა და
სამოქალაქო ომის პერიოდში (1918–1920 წწ.) 101
2. სახალხო მეურნეობის აღდგენა. ახალ ეკონომიკურ
პოლიტიკაზე გადასვლა 109
4. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის
კოლექტივიზაცია 121
5. სსრ კავშირის ეკონომიკა ომამდელი ხუთწლედების პერიოდში 123

თემა 21. საქართველოს ეკონომიკური განვითარება მსოფლიო
ომებსშორისის პერიოდში 145
1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ეკონომიკა 1918–1921 წლებში 145
2. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921–1925 წწ. 157
3. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია 163
4. საქართველოს ეკონომიკა ომამდელ ხუთწლედებში 165

თემა 22. აშშ ეკონომიკური გაძლიერება მეორე
მსოფლიო ომის შემდეგ 178
1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ეკონომიკური
განვითარების თავისებურებანი ომისშემდგომ ათწლედში 178
2. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენა 60-იანი
წლების მეორე ნახევარში 185
3. აშშ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობათა
გამწვავება 70-იან წლებში 193
4. ეკონომიკური რეგულირების კონსერვატიულ მოდელზე გადასვლა.
ეკონომიკური განვითარების შედეგები 90-იან წლებში 200

354-355

თემა 23. გერმანიის გზა ევროპაში ეკონომიკური ლიდეროგისაკენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 212

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები და ეკონომიკის აღდგენა ომისშემდგომ გერმანიაში 212
2. „მარშალის გეგმისა" და ლ. ერჰარდის რეფორმის როლი გერმანიის ეკონომიკის აღორძინებაში 216
3. „ეკონომიკური სასწაული" გფრ-ში, მისი წამყვან პოზიციებზე დამკვიდრება 50-იანი წ.წ. ბოლოს და 60-იან წწ 223
4. გფრ ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 70-80-იან წლებში 231
5. გფრ-ის და გდრ-ის გაერთიანება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრობლემები 235

თემა 24. იაპონიის გადაქცევა მსოფლიო ერთერთ წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 239

1. იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის წლებში 239
2. იაპონიის ეკონომიკის ომისშემდგომი პირველი ათწლეულის რეფორმები 241
3. იაპონიის გადაქცევა მსოფლიოს წამყვან ქვეყნად 250
4. იაპონიის ეკონომიკა XX საუკუნის ბოლოს 261

თემა 25. გრიტანეთის ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 268

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 40-50-იან წლებში 268
2. სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობანი 60-70-იან წლებში 284
3. ეკონომიკური პოლიტიკის შემობრუნება 80-90-იან წლებში. „ტეტჩერიზმი" 294

თემა 26. საფრანგეტის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 306

1. მეორე მსოფლიო ომის შედეგები. საფრანგეტის ეკონომიკა ომისშემდგომ პირველ წლებში 306
2. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და 50-60-იანი წლების სამეურნეო აღმავლობა 311
3. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება 70-იან წლებში 320
4. ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გაასინჯვა 70-90-იან წწ. საფრანგეთის როლი ევროპის ეკონომიკურ თანამშრომლობაში 325

თემა 27. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 334

1. კოლონიური სისტემის რღვევა და მისი გავლენა ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაზე და საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე 334
2. განვითარებადი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური დეფერენციაცია 341
3. ინტეგრაციული პროცესები განვითარებადი კვეყნების ცალკეულ რეგიონებში 355

თემა 28. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში 361

1. სსრ კავშირის ეკონომიკა დიდი სამამულო ომის წლებში 361
2. სსრ კავშირის ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა 373
3. სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარება 50-80-იან წლებში 381

თემა 29. სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა აღმოსავლეთ ევროპის, აზიის ქვეყნებსა და კუბაში 418

1. სოციალისტური ქვეწნების ეკონომიკის აღდგენა 1945-1949 წწ. 418
2. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარება 1950-1960 წწ. 433
3. მეურნეობრიობის პრობლემები სოციალისტურ ქვეყნებში 1960-1970 წწ. 435
4. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა 1970-1980-იანი წლების შუახანებში 436
5. სოციალისტური ქვეყნების ეკონომკა 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იან წლებში 442

თემა 30. საქართველოს ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში 464

1. საქართველოს სსრ ეკონომიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში 464
2. საქართველოს სსრ ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენა 471
3. საქართველოს სსრ ეკონომიკა 50-80-იან წლებში 476
4. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ქვეყნის ეკონომიკის მდგომარება პოსტსაბჭოთა პერიოდში 497

ლიტერატურა 519

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი მ. ღუდუშაური
კომპიუტერული უზრუნველყოფა თ. გვიანიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 30.03.2005 წ.
ნაბეჭდი თაბახი 33
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 33

ტირაჟი 300
ფასი სახელშეკრულებო